თბილისის სასულიერო აკადემია
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

# ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები

# III

**TBILISI THEOLOGICAL ACADEMY**
**NATIONAL CENTER OF MANUSCRIPTS**

# Old Georgian Translationes of Saint John of Damascus' Homilies Dedicated to the Holy Virgin Mary

**The text prepared for publication, notes, research and a synonymic vocabulary-glossary appended by**

**NINO MELIKISHVILI**

**TBILISI THEOLOGICAL ACADEMY AND SEMINARY PUBLISHING HOUSE**

**TBILISI 2019**

თბილისის სასულიერო აკადემია
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

# წმიდა იოანე დამასკელის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ჰომილიების ძველი ქართული თარგმანები

ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები, გამოკვლევა და სინონიმური ლექსიკონ-საძიებელი დაურთო

ნინო მელიქიშვილმა

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა

თბილისი 2019

სერიით „ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები" პირველად ქვეყნდება VII-VIII საუკუნეების დიდი საეკლესიო მამისა და ღვთისმეტყველის, წმიდა იოანე დამასკელის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ჰომილიების ბერძნული ენიდან შესრულებული ძველი ქართული თარგმანები. ჰომილიები წარმოთქმულია ღვთისმშობლის შობისა და გარდაცვალების საეკლესიო დღესასწაულებზე. ღვთისმშობლის შობისადმი მიძღვნილი ჰომილიები წინამდებარე კრებულში შევიდა ორი დიდი საეკლესიო მამისა და ღვთისმეტყველის, წმ. ეფთვიმე ათონელისა და თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ თარგმნილი ტექსტებით, ხოლო გარდაცვალების ჰომილიები – წინაათონური ანონიმი მთარგმნელისა და ელინოფილური მიმდინარეობის ფუძემდებლის, ეფრემ მცირის თარგმანების სახით. კიდევ ერთი ჰომილია - ღვთისმშობლის ქება და შესხმა – სავარაუდოდ, მხოლოდ ქართული თარგმანით არის შემონახული და, ამდენად, ძალიან ღირებულ ტექსტს წარმოადგენს არა მხოლოდ ძველი ქართული მწერლობის თვალსაზრისით, არამედ ბიზანტიური სასულიერო მწერლობის კვლევის კუთხითაც.

For the first time ever, the series "Georgian Translated Homiletical Monuments" suggests to the reader homilies dedicated to the Mother of God, translated from Old Greek into Old Georgian. The monument belongs to John of Damascus, the Great Church Father and Theologian who lived and worked in the 7th-8th centuries. They were pronounced on the feast days of Nativity and Dormition of the Mother of God. The homilies, dedicated to the Nativity of the Holy Virgin Mary, included in the present book, are translated versions of two great Church Fathers and Theologians, Saint Euthymius the Athonite and Theophilus the Hieromonk. As concerns the homilies on Dormition, they are versions belonging to an anonymous Pre-Athonic translator and to the founder of Elinophilic stream Ephrem Mtsire. One more homily – The Song of the Veneration of the Mother of God – has presumably been preserved solely in its Georgian version and therefore, it represents a text of paramount importance, not only for the Old Georgian Literature.


| | |
|---|---|
| **რედაქტორი** | **ირაკლი ორჟონია**<br>**თეოლოგიის დოქტორი** |
| **Editor** | **Irakli Orjonia**<br>**Doctor of Theology** |
| **რეცენზენტი** | **დავით შენგელია**<br>**ფილოლოგიის დოქტორი** |
| **Reviewer** | **David Shengelia**<br>**Doctor of Philology** |



**© თბილისის სასულიერო აკადემია**
**© ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**


ISBN 978-9941-9655-1-7

# სარჩევი


წინასიტყვა ..... 9

შობაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ. საკითხავი,
თქმული ნეტარისა იოანე დამასკელისაჲ შობისათჳს
წმიდისა ღმრთისმშობელისა მის ქალწულისა მარიამისა
(ეფთვიმე ათონელის თარგმანი) ..... 12

თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა,
ხუცესმონაზონისა იოანე დამასკელისაჲ შობისათჳს
ყოვლადწმიდისა, უხრწნელისა, უფროჲსად კურთხეულისა
დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის
ქალწულისა მარიამისა (თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანი) ..... 32

წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე დამასკელისაჲ,
საკითხავი შობისათჳს ყოვლადწმიდისა
ღმრთისმშობელისა და მარადისქალწულისა მარიამისა
(თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანი) ..... 52

თქუმული ნეტარისა იოანე დამასკელისაჲ
გარდაცვალებისათჳს წმიდისა ღმრთისმშობელისა
(წინაათონური ანონიმური თარგმანი; I ჰომილია) ..... 69

წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა
ჩუენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა
დამასკელისაჲ სიტყუაჲ შესხმისაჲ დაძინებასა
უმეტესად კურთხეულისა წმიდისა ქალწულისა
და ყოვლადუბიწოჲსა ღმრთისმშობელისა მარიამისა
(ეფრემ მცირის თარგმანი; I ჰომილია) ..... 89

მეორე, თქუმულივე გარდაცვალებისათჳს
წმიდისა ღმრთისმშობელისა (წინაათონური
ანონიმური თარგმანი; II ჰომილია) ..... 110

წმიდისა და ღმრთივგანბრძნობილისა მამისა
ჩუენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა
დამასკელისაჲ სიტყუაჲ შესხმისაჲ დაძინებასა
წმიდათა უზეშთაესისა დედოფლისა ჩუენისა

ღმრთისმშობელისა და მარადისქალწულისა
მარიამისა (ეფრემ მცირის თარგმანი; II ჰომილია) ..... 140

მესამე, თქუმული მისივე, იოვანე დამასკელისაჲ,
გარდაცვალებისათჳს წმიდისა ღმრთისმშობელისა
(წინაათონური ანონიმური თარგმანი; III ჰომილია) ..... 167

წმიდისა და ღმრთივგანბრძნობილისა მამისა
ჩუენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა
დამასკელისაჲ, სიტყუაჲ შესხმისაჲ დაძინებასა
ყოვლადდიდებულისა, წმიდათა უზეშთაესისა
დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა
(ეფრემ მცირის თარგმანი; III ჰომილია) ..... 178

ქებაჲ და შესხმაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ,
თქუმული წმიდისა იოვანე დამასკელისაჲ ..... 189

შენიშვნები I

ღვთისმშობლის შობის პირველი ჰომილიის
სამი ქართული თარგმანის
(ეფთვიმე ათონელის, თეოფილე ხუცესმონაზონისა
და ეფრემ მცირის) ურთიერთმიმართებისა
და ბერძნულ წყაროსთან მიმართების შესახებ ..... 196

დანართი I

ღვთისმშობლის შობის პირველი ჰომილიის
ეფთვიმე ათონელის თარგმანის
მიმართება ბერძნულ ტექსტთან..... 198

დანართი II

ღვთისმშობლის შობის პირველი ჰომილიის
თეოფილე ხუცესმონაზონის
თარგმანის მიმართება ბერძნულ ტექსტთან ..... 204

შენიშვნები II

ღვთისმშობლის დაძინების სამი ჰომილიის
წინაათონური და ეფრემ მცირისეული
თარგმანების ურთიერთმიმართებისა
და ბერძნულ წყაროსთან მიმართების
შესახებ ..... 215

დანართი I

ღვთისმშობლის დაძინების სამი ჰომილიის წინაათონური
ანონიმური ქართული თარგმანის მიმართება ბერძნულ
ტექსტთან ..... 217

დანართი II

ღვთისმშობლის დაძინების სამი ჰომილიის
ეფრემ მცირისეული ქართული თარგმანის
მიმართება ბერძნულ ტექსტთან ..... 237

წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი
ჰომილიების ძველი ქართული თარგმანები
შესავალი ..... 251

თავი I
წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლის შობის
პირველი ჰომილიის ორი ქართული
თარგმანის ურთიერთმიმართება და მიმართება
ბერძნულ წყაროსთან ..... 259

1. ღვთისმშობლის შობის პირველი ჰომილიის
   წმ. ეფთვიმე ათონელისეული ქართული თარგმანის მიმოხილვა ..... 260

2. ღვთისმშობლის შობის პირველი ჰომილიის
   თეოფილე ხუცესმონაზონისეული
   ქართული თარგმანის მიმოხილვა ..... 267

თავი II
**წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლის დაძინების სამი ჰომილიის ორი ქართული თარგმანის ურთიერთმიმართება და მიმართება ბერძნულ წყაროსთან** ..... **283**

**1. ღვთისმშობლის დაძინების ჰომილიების წინაათონური თარგმანის მიმოხილვა** ..... **284**

**2. ღვთისმშობლის დაძინების ჰომილიების ეფრემ მცირისეული თარგმანის მიმოხილვა** ..... **294**

ლექსიკონისათვის ..... 304

ლექსიკონი ..... 308

Abstract ..... 372

გამოყენებული ლიტერატურა ..... 379

## წინასიტყვა

VII-VIII საუკუნეების დიდმა საეკლესიო მამამ და ღვთისმეტყველმა, წმ. იოანე დამასკელმა, სასულიერო მწერლობის ბევრ დარგს დაამჩნია კვალი. ამ დარგებს შორის არის ჰომილეტიკაც – წინამდებარე გამოცემაში შევიდა წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ჰომილიების ბერძნული ენიდან შესრულებულ ძველი ქართული თარგმანები.

წმ. იოანე დამასკელმა ორ დიდ საეკლესიო დღესასწაულზე – ღვთისმშობლის შობასა (8/21 სექტემბერი) და ღვთისმშობლის გარდაცვალებაზე (15/28 აგვისტო) - ღრმა თეოლოგიური დატვირთვის მატარებელი ქადაგებები შექმნა. ჰომილეტიკა სასულიერო მწერლობის ის დარგია, რომელიც ქადაგებაში სხვადასხვა ჟანრის ელემენტების შეტანის საშუალებას იძლევა. ღრმა განათლებისა და უდიდესი მასშტაბის მოღვაწე წმ. იოანე დამასკელი, ბუნებრივია, თავის ჰომილიებში გვერდს ვერ აუვლიდა იმ უმნიშვნელოვანეს საღვთისმეტყველო საკითხებს, რაც ამ ორ მოვლენას, ღვთისმშობლის შობასა და გარდაცვალებას, უკავშირდება. ამდენად, ეს ჰომილიები მკითხველისათვის ბევრი კუთხით არის საინტერესო, კერძოდ, როგორც სასულიერო მწერლობის მაღალმხატვრული ნიმუშები, საღვთისმეტყველო აზრით დატვირთული ძეგლები, ძველი ქართული მთარგმნელობითი სკოლების ღირსშესანიშნავი თხზულებები...

ღვთისმშობლის შობისადმი მიძღვნილი წმ. იოანე დამასკელის ორი ბერძნული ჰომილია არსებობს. პირველი ჰომილია ბერძნულიდან სამმა ქართველმა მთარგმნელმა გადმოიღო XI საუკუნეში: ეფთვიმე ათონელმა, ეფრემ მცირემ და თეოფილე ხუცესმონაზონმა. სხვადასხვა ენაზე არსებულ თარგმანთა შორის ეფთვიმე ათონელის თარგმანი უადრესია (1000 წ.). ლათინურად ეს ჰომილია რამდენიმეჯერ ითარგმნა (პირველად - 1577 წ-ს, ბილიუსის მიერ. ყველა შემდეგი თარგმანი და გამოცემა - 1601, 1601, 1603, 1662, 1712, 1860, 1877 წლების - ეყრდნობა ამ პირველ თარგმანს და წარმოადგენს მის შევსებასა და გადამუშავებას). არსებობს იტალიური (1843 წ., 1968 წ., 1980 წ.), ფრანგული (1961 წ.), ახალბერძნული (1970 წ.), რუსული (1868 წ.), არაბული (XVI ს.), რუმინული (1980 წ.) თარგმანები.

წინამდებარე წიგნში შევიდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი შობის I ჰომილიის ორი თარგმანი – ეფთვიმე ათონელისა და თეოფილე ხუცესმონაზონის, რომლებიც დღემდე გამოუცემელი იყო; რაც შეეხება ღვთისმშობლის შობის მეორე ჰომილიას, ბერძნული ხელნაწერული ტრადიცია მის ავტორად ორ

სხვადასხვა პირს – იოანე დამასკელსა და თეოდორე სტუდიელს - ასახელებს. ამ ჰომილიის ერთ-ერთი ქართველი მთარგმნელი, თეოდორე ხუცესმონაზონი, მის მიერ თარგმნილი შობის ჰომილიის სათაურში ავტორად იოანე დამასკელს მოიხსენიებს. ამგვარად, ქართული მთარგმნელობითი ტრადიცია მას დამასკელისეულად აღიარებდა და ამიტომ შევიტანეთ ეს ტექსტი ღვთისმშობლის შობის I ჰომილიასთან ერთად ჩვენს გამოცემაში.

ღვთისმშობლის გარდაცვალებისადმი (დაძინებისადმი) მიძღვნილი სამი ჰომილია მოიცავს მარიამის მთელ ცხოვრებისეულ გზას – მის დაბადებას, მიწიურ მყოფობასა და გარდაცვალებას. პირველ ჰომილიაში საუბარია მარიამის წარმომავლობაზე, ღმერთის ძის განკაცებაზე, წინასწარმეტყველებებზე და მისი გარდაცვალების თანმდევ საიდუმლოებებით აღსავსე მოვლენებზე. პირველი ჰომილია რამდენადმე შესავალს წარმოადგენს მეორე ჰომილიისათვის, რომელშიც აღწერილია მარიამის გარდაცვალება და ზეცად ამაღლება. რაც შეეხება მესამე ჰომილიას, მას ეპილოგის დანიშნულება აქვს – ის აჯამებს წინა ორში გადმოცემულ მოვლენებს და ხოტბას ასხამს ღვთისმშობელს, როგორც მაცხოვრის დედას, განმარტავს ამ ფაქტის მნიშვნელობას საეკლესიო კუთხით. ღვთისმშობლის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი სამი ჰომილიის ერთმანეთზე დამოკიდებულებასა და მათ თანმიმდევრობას ცხადყოფს თვითონ ჰომილიათა შინაარსი, აგრეთვე, მათი განლაგება ბერძნულ ნუსხებში, რომლებიც ჰომილიების ავტორად ერთხმად, გამონაკლისის გარეშე, წმ. იოანე დამასკელს ასახელებენ. ზოგიერთი ბერძნული ხელნაწერი, დამატებითი ცნობის სახით, აღნიშნავს, რომ იოანე დამასკელი იყო წმიდა საბას მონასტრის ბერი.

არსებობს ამ სამი ჰომილიის სხვადასხვაენოვანი თარგმანები: I ჰომილიის არაბული თარგმანი მე-9 ს-ით თარიღდება, მე-15 ს-ით - ამავე ენაზე III ჰომილიის თარგმანი. I ჰომილია სომხურად XIII ს-ში თარგმნა სიმეონ პღინცაჰანკმა. I და II ჰომილიების პირველი ლათინური თარგმანი გააკეთა ვოლატერანუსმა, რომელიც გამოიცა 1518 წელს; II ჰომილია თარგმნა ლიპომანუსმა, დაიბეჭდა 1558 წელს. ეს თარგმანები რამდენიმეჯერ გამოქვეყნდა სხვადასხვა გამომცემლის მიერ. ლათინურ ენაზე სულ ბოლოს III ჰომილია იქნა თარგმნილი ალატიუსის მიერ. სამივე ჰომილიის თარგმანი გადაამუშავა ლექვიენმა და 1712 წელს დაიბეჭდა მინის გამოცემაში (ბერძნულ-ლათინური ტექსტები). არსებობს თარგმანი იტალიურ ენაზე (1843 წ.), ინგლისური თარგმანი (1898 წ.), ფრანგული თარგმანი (1961 წწ.), ახალბერძნული (1970 წ.). რუსულად მოიპოვება III ჰომილიის (1836 წ.), I ჰომილიის (1879 წ.) და II ჰომილიის (1900 წ.) თარგმანები.

ღვთისმშობლის გარდაცვალების (დაძინების) სამი ჰომილია ქართულად

ორჯერ ითარგმნა. ეს თარგმანები, ისევე როგორც შობის ჰომილიისა, არსებულ სხვადასხვაენოვან თარგმანებს შორის უადრესია: სამივე ჰომილიის პირველი თარგმანი გაკეთებულია ჯერ კიდევ წინაათონურ პერიოდში (X საუკუნემდე), ხოლო მეორე თარგმანი - XI საუკუნეში. ორივე ეს თარგმანი ანონიმურია.

წინამდებარე გამოცემაში შესული ღვთისმშობლის შობისა და გარდაცვალების ჰომილიათა მთარგმნელები არიან დიდი საეკლესიო მამები და ღვთისმეტყველები. ამ გამორჩეულ მთარგმნელთა და მოაზროვნეთა ნამუშაკევი ბევრი კუთხით არის საინტერესო. სწორედ ამიტომ შედარდა ეს თარგმანები გამომცემლის მიერ გამოწულილვით ბერძნულ წყაროსთან, რამაც გარკვეული ღირებულების მქონე დასკვნების გაკეთების საშუალება გააჩინა: ამის შესახებ მეტყველებს ტექსტებზე დართული შენიშვნები და გამოკვლევა.

წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ჰომილიებს ჩვენს გამოცემაში აბოლოებს ღვთისმშობლის ,,ქება და შესხმა'', რომლის ბერძნული დედანი ვერ მოვიძიეთ. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც იგივე მოვლენასთან გვაქვს საქმე, რაც ხშირად მომხდარა ძველი ქართული თარგმანების კვლევისას, კერძოდ: ბერძნულმა დედანმა ვერ მოაღწია დღევანდლამდე, ის დაკარგულია. ამდენად, ქართულ ვერსიას დედნის მნიშვნელობა ენიჭება და მისი ღირებულება ბიზანტიური ლიტერატურის შესწავლის კუთხით მაღალია.

*გამომცემელი*

.

**ლოცვა-ყავთ[1] გლახაკისა[2] ეფთუმესათჳს[3], ჰომელმან ესე საკითხავი ბეჰძელისაგან წიგნისა ქართულად ვთარგმნე სეკედენბეჰსა ☧. შობაჲ წმიდისა ღმერთისმშობელისაჲ. საკითხავი, თქმული ნეტარისა იოანე დამასკელისაჲ შობისათჳს წმიდისა ღმერთისმშობელისა მის ქალწულისა მარიამისა**

S 3648, 1-38 [XIX **ს.]**

**(ღვთისმშობლის შობის პირველი ჰომილიის ეფთვიმე ათონელის თარგმანი)**

1) [1] მოვედით ყოველნი ნათესავნი და ტომნი და ყოველნი ენანი ძეთა კაცთანი და ყოველი ჰასაკი ყოველთა არსთაჲ და ყოველი მთავრობაჲ წესიერი[4] და სიხარულით ვდღესასწაულობდეთ შობასა ქალწულისა მარიამისსა და სიხარულსა ყოველისა სოფლისასა. უკუეთუ ძენი იონთანი ცუდითა სიტყჳთა საეშმაკოჲთა მიიპარვენ გონებათა
5 და დაჰფარვენ ჭეშმარიტებასა და მეფეთა მათთა შობასა ყოველთა პატივითა წინა-უყოფენ ძღუენსა[5] [2] თითოეული[6] მათი, მსგავსად ძალისა მათისა ნაკლულევანთა მათ და კნინცხორებულთა და სრულიად განქარვებადთა[7], რავდენ არა უფროჲს ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა[8] პატივ-ვსცეთ შობასა დედისა ღმრთისასა, რომლისა მიერ განამტკიცნა
10 ყოველი ნათესავი კაცთაჲ და რომლისა მიერ შეიცვალა მწუხარებაჲ იგი პირველისა დედისა ევაჲსი სიხარულად. მას ესმა განბჭობითა ღმრთისაჲთა, ვითარმედ: *„მწუხარებით ჰშვნე შვილნი შენნი[9]"*, ამას -

1 ლოცუა-ყავთ S.

2 გლახაკსა S.

3 ეფთუმესათჳს S.

4 ყოველი მთავრობაჲ წესიერი] apan axiwma (PG 96 col. 661 B 6; Kotter 1988:169,2**). თეოფილეს თარგმანშია:** "ყოველივე პატივი და წესიერებაჲ", **ხოლო ეფრემის თარგმანში:** "ყოვლისავესთჳს პატივისა" (გოგუაძე 1986:115,13**).** .

5 ძღუნსა S (ყოველთვის**).**

6 თითუეული S.

7 განქარვებათა S. მსგავსად ძალისა მათისა ნაკლულევანთა მათ და კნინცხორებულთა და სრულიად განქარვებადთა] to kata dunamin, kai panta lumainomenwn ton bion (PG 96 col. 661 B 12-13; Kotter 1988:169,6**). თეოფილეს თარგმანშია:** "ძალისაებრ თჳთოეულისა მათისა და ესედა ხენეშთათჳს და განხრწნილთა ცხორებითა და არაწმიდათა მოქალაქობითა", **ხოლო ეფრემის თარგმანშია:** "ძალისაებრსა და ამას ზედა წარაგებენ ყოველსა ცხორებასა მათსა" (გოგუაძე 1986:.115, 13-14) **(იხ. შენიშვნ. №7).**

8 რათა (ყოველთვის) S.

9 **დაბ. 3,16.**

*„გიხაროდენ, მიმადლებულო!”*[10] მისდა[11] - *„იყოს მიქცევაჲ შენი ქმრისაგე შენისა!”*[12], ხოლო ამას - *„უფალი შენ თანა!”*[13]

და რაჲ-მე უკუე მიუძღუანოთ და წინა-უყოთ დედასა სიტყჳსასა, არამედ სიტყუაჲ?[14] ყოველი დაბადებული მხიარულ იყავნ და ადიდებდინ ანას უბიწოსა და შობასა მისსა უმანკოსა, რამეთუ უშვა სოფელსა 5 საფასე და სიმდიდრე კეთილ[3]თა მათ დაუსრულებელთაჲ, რომლისა მიერ დამბადებელმან შეცვალა[15] ყოველი ბუნებაჲ უმჯობესად შუვამდგომელობითა[16] კაცებისაჲთა. და უკუეთუ კაცი დგას შორის გონებისა და ნივთისა და შეკრულ არს იგი ყოვლითა მით დაბადებულითა და შეცვულ ხილვითა და უხილავითა და განაგებს მას ზრახვითა 10 თჳსითა, რავდენ არა უფროჲს განაგოს ცხორებაჲ ჩუენი[17] მხოლომან მან? შუვამდგომელობითა თჳსითა შეაერთა სიტყუაჲ[18] ღმრთისა, დამბადებელი ბუნებისა კაცობრივისა, და მის მიერ შეიერთა ყოველი დაბადებული სათნოდ მისსა. და აწ ვდღესასწაულობდეთ განჴსნასა კაცთა ბერწობისასა და რამეთუ განიჴსნას სიბრძე ჩუენი კეთილთაგან 15 და ვიქმნენით მხედველ შუენიერებისა მისისა.

2) არამედ რომლისა-მე სახისათჳს იშვა დედაჲ ქალწული ბერწისაგან? რამეთუ ჯერ-იყო მისსა, რომელი-იგი მხოლოჲ იყო [4] ახალი მზისა[19] ქუეშე და თავი საკჳრველებათა[20], რაჲთა მცირედთაგან სასწაულთა მიიწიოს უზეშთაესსა მას. და არს ჩემ თანა სხუაჲცა სიტყუაჲ საღმრთოჲ 20 უმაღლესი ამისსა, რამეთუ ბუნებაჲ მეოტქმნილ იყო მადლისაგან და დადგრომილ იყო შეძრწუნებული და ვერშემძლებელ იყო განვლად გზასა მას ბუნებათასა, რამეთუ განმზადებულ იყო შობაჲ დედისა ღმრთისაჲ ანაჲსაგან. და ამისთჳს ვერ იკადრა ბუნებამან მიღებად ნერგი მადლისაჲ და დაადგრა უნაყოფოდ, ვიდრემდის რტოვან ქმნა მადლმან ნაყოფი, 25 *რამეთუ ჯერ-იყო შობად პირმშოჲ, მშობელი პირმშოჲსა ყოვლისა* დაბა-

---

10 **ლკ. 1,28.**

11 მას და S.

12 **დაბ. 3,16.**

13 **ლკ. 1,28.**

14 სიტყჳ S.

15 “შეცვალა” **არის ეფთჳმესა და თეოფილეს თარგმანებში ბერძნული ტექსტის “μετεστοιχείωσεν”-ის შესატყვისად (PG 96, col. 661 C 10-11; Kotter 1988:169,15). რაც შეეხება ეფრემის თარგმანს, ამ სიტყვის შესატყვისად მან დაწერა “გარდანივთა” (გოგუაძე 1986:115,25)** (იხ.: ტერმინოლოგიის ლექსიკონი 2010:89**).**

16 შოვამდგომელობითა (ყოველთვის) S.

17 და განაგებს მას ზრახვითა თჳსითა, რავდენ არა უფროჲს განაგოს ცხორებაჲ ჩუენი მხოლომან მან?] - PG 96 col. 661 C 12; Kotter 1988:169,18-170,19. **ამ ფრაზას უმატებს მხოლოდ ეფთვიმე – არ არის არც თეოფილესთან და არც ეფრემთან (გოგუაძე 1986:115,26) (იხ. შენიშვნ. №17).**

18 სიტყვაჲ S.

19 მზესა S.

20 საკჳრველებათა (ყველგან) S.

*დებულისაჲ, რომლისა მიერ განათლდა ყოველი ქუეყანაჲ*[21].

ეჰა, ორთა მათ ნეტართა მეუღლეთა, იოვაკიმს და ანას! ყოველი ბუნებაჲ თქუენგან თანამდებ არს ვითარცა მოსეს ხისაგან[22], რამეთუ თქუენ[23] მიერ [5] მოიღო ნიჭი უზეშთაესი ყოველთა ნიჭთაჲ, დედაჲ ნანარი და შუენიერი[24], იგი მხოლოჲ ღირსი დამბადებელისაჲ.

ეჰა, ზურგსა მას ნეტარისა იოვაკიმისსა, რომლისაგან გამოვიდა თესლი იგი, და ეჰა, საშოსა მას ანაჲსსა უბიწოსა, რომელსა შინა თესლი ნაყოფიერ იქმნა, ახლითა კურთხევითა შემკული[25], და აღორძინდა და იშვა მისგან ჩჩული,[26] აღმომაცენებელი სიწმიდისაჲ! ᲐᲐ[27] მუცელსა მას, რომელმან იტჳრთა[28] ცაჲ სულიერი, რომელი-იგი ჭეშმარიტად უვრცელეს სივრცესა ცათასა!

ᲐᲐ კალოსა მას, რომელმან შეკრიბა მჭელი იფქლისა მის განმაცხოელებელისა, მსგავსად სიტყჳსა მის მაცხოვრისა: „*უკუეთუ არა დავარდეს მარცუალი იფქლისაჲ*[29] *ქუეყანასა*[30] *და მოკუდეს, იგი ხოლო მარტოჲ ეგოს*"[31].

ᲐᲐ ძუძუთა[32] მათ, მაწოებელთა სოფლისა მზრ[ნ]დელსა, დედისა ღმრთისათა! ᲐᲐ საკჳრველსა მას საკჳრველებათასა და დიდებულსა უზეშთაეს დიდებათასა, სიმდაბლესა მის ღმრთისა განკაცებისასა გამოუთქმელსა, რამეთუ წინაჲსწარ - განაგო და განჰმზადა გზაჲ საკჳრველებათაჲ.

---

21 **კოლას. მიმ. 1,15-17.**

22 "ვითარცა მოსეს ხისაგან" **არ არის არც ეფრემის და არც თეოფილეს თარგმანში, არ არის არც ბერძნულ ტექსტში. ეფრემი და თეოფილე ზუსტად თარგმნიან ბერძნულ ფრაზას: ὑπόχρεως ὑμῖν ἐστι πᾶσα ἡ κτίσις (PG 96 col. 664 A 14-15) (...ἡ κτίσις] ἡ φύσις... Kotter 1988:170,11-12)**: "ყოველი ბუნებაჲ თანამდებ არს თქუენდა" **(ეფრ., გოგუაძე 1986:116,8-9)**; "ყოველივე ბუნებაჲ თანამდებ არს თქუენდა და მოვასხე" **(თეოფ.)**. შესაძლოა, XIX ს-ის ხელნაწერ **S** 3648-ში გადამწერმა დაუშვა შეცდომა, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ ეფთვიმემ შეგნებულად დაუმატა ეს ფრაზა ტექსტს (**იხ.: შენიშვნ. №22).**

23 თქვენ S.

24 "დედაჲ ნანარი და შუენიერი" – **ეფრემთან: "დედაჲ დიდად დიდებული"** (გოგუაძე 1986:116, 10**).** mhtera semnhn (PG 96 col. 664 B 1; Kotter 1988:170,13**).**

25 რომელსა შინა თესლი ნაყოფიერ იქმნა, ახლითა კურთხევითა შემკული] – PG 96 col 664 B 3; Kotter 1988:170,15. **ეს ფრაზა არ არის არც თეოფილესა და არც ეფრემთან.**

26 ჩჩული S.

27 ᲐᲐ (ყველგან) S.

28 იტურთა (ყველგან) S.

29 იფქულისაჲ S.

30 ქვეყანასა S.

31 **ინ. 12,24.**

32 ძოძუთა (ტექსტის პირველ ნახევარში ამ ფორმითაა, შემდეგ ნაწილში – ძუძოთა) S.

არამედ ვითარ-მე რაჲ[33] მივიწიო მას, რამეთუ გონებაჲ განცუბრდების[34], შიში და სურვილი განყოფილ არიან ჩემ ზედა და მეწყვებიან, გული აღიძრვის და ენაჲ აღექმის, ვერ თავს-ვიდებ გემოსა, ძლეულ ვარ საკჳრველებათაგან და აღზრზენილ ვარ სურვილითა და აწ მრე იქმნენით სურვილი[35], და იძლიენ შიში და ილტოდენ, რამეთუ სრულმან 5 სიყუარულმან გარე - განდევნის შიში[36] და აღიძარნ აწ ქნარი სულისა წმიდისაჲ გონებასა შინა შემსხმელთასა, რაჲთა ღირსად იტყოდიან: „და *იხარებდინ ცანი და გალობდინ ქუეყანაჲ!*"[37]

3) [7] *დღეს ბჭენი ბერწობისანი განეხუმიან და ბჭე ქალწულებისაჲ სწრობით წარმოდგების, რომლისაგან და რომელსა შინა ღმერთი,* 10 *გამომსახველი ყოვლისაჲ, ჴორცითა სოფლად შემოვიდა*[38], თქმულისა მისებრ პავლესსა, რომელსა-იგი ესმა სიტყუაჲ იგი უთქმელი: *დღეს ძირისაგან იესესისა*[39] *კუერთხი აღმოსცენდა და ყუავილთაგან - მაშენებელი სოფლისაჲ გუამი იგი ძისა ღმრთისა*[40]; დღეს ბუნებისაგან ქალწულისა[41] შექმნა ქუეყანისა ცაჲ, რომელმან პირველად დაამყარა[42] 15 და სიმაღლედ აღიყვანა. და ესე ჭეშმარიტად უფროჲს სადიდებელ არს და საქებელ, რამეთუ რომელმან-იგი სამყაროსა მას შინა შექმნა მზე, ამის ცისაგან გამობრწყინდა იგი მზედ სიმართლისა ორითა ბუნებითა, დაღათუ[43] ბორგნეულ იქმნენ და განჩემებულ უთაონი იგი და მრავალგესლოვანნი იაკობნი[44] და ერთითა [8] გუამითა ენებოს თქუმაჲ, 20 დაღათუ განსქდენ და განიპნენ უღმრთონი იგი ნესტორიანნი[45], რამეთუ

33 რა (ყველგან) S.

34 განცუბრდების S.

35 და აღზრზენილ ვარ სურვილითა და აწ მრე იქმნენით სურვილი] enqou~ upo tou paqou~ [poqou] gegona (PG 96 col. 664 C4; Kotter 1988:170,26).

36 იძლიენ შიში და ილტოდენ, რამეთუ სრულმან სიყუარულმან გარე-განდევნის შიში] nikatai o poqo~, upocwreitw o fobo~ (PG 96 col. 664 C 5; Kotter 1988:170,25-171,27).

37 **ფს. 95,11.**

38 **რომ. 9,5.**

39 იფსესისა S.

40 **ეს. 11,1.**

41 ბუნებისაგან ქალწულისა] ek th~ ghinh~ fusew~ (PG 96 col. 664 C 14; Kotter 1988:171,5). **თეოფილეს თარგმანშია:** "ბუნებისაგან ქუეყნიერისა", **ხოლო ეფრემთან:** "მიწიერისაგან ბუნებისა" (გოგუაძე 1986:116, 34) (**იხ. შენიშვნ. №41**).

42 დაამყარაჲ S. რომელმან პირველად დაამყარა] kateskeuasen epi gh~, o palai pote ex udatwn phxa~ (PG 96 col. 664 C 15 D 1; Kotter 1988:171,6). **თეოფილეს თარგმანშია:** "რომელმან ოდესმე დაჰკიდა ქუეყანაჲ წყალთა ზედა", **ხოლო ეფრემის თარგმანში:** "რომელმან-იგი ძუელ სადმე ქუეყანაჲ მიწისაგან და წყლისა შეამტკიცა" (გოგუაძე 1986:116,34-35).

43 დაღათო S.

44 „მრავალგესლოვანნი იაკობნი" არ არის არც ბერძნულ ტექსტში (PG 96 col. 664 D 5; Kotter 1988:171,9), არც თეოფილესა და ეფრემის თარგმანებში (**იხ. შენიშვნ. №44**).

45 და ერთითა გუამითა ენებოს თქუმაჲ, დაღათუ განსქდენ და განიპნენ უღმრთონი

ნათელსა მას დაუსაბამოსა, რომელ არს ნათლისაგან დაუსაბამოჲსა, პირველიდგანვე აქუს არსებაჲ, და უნივთოჲ ამის უბიწოჲსაგან განჴორციელდა და განკაცნა და *ვითარცა სიძე, გამოვიდა ეზოჲთ თჳსით.* და ღმერთი არს იგი და იქმნა ქუეყნის, და *ვითარცა გმირი,*
5 *მოსწრაფე*[46] *სრბად გზასა*[47] ბუნებისა ჩუენისასა, იხილვა მხიარული, მიიწია სიკუდილად[48] და *შეკრა ძრიელი იგი და იავარ-ყო მონაგები მისი*[49], რომელ არს ბუნებაჲ ჩუენი, და *ქუეყანასა ზეცისასა აღიყვანა სძალი*[50] *იგი წარწყმედული*[51].

დღეს ძე იგი ხუროჲსაჲ[52], სიტყუაჲ იგი შემოქმედი ყოველთა და
10 მკლავი ძრიელი ღმრთისა მაღლისაჲ, რომლისაგან შეიქმნა ყოველი, განაგებს ყოველსა, ვითარცა თითითა სულისაჲთა[53]; და ეჩუაჲ იგი სულისაჲ დაბჯგუებული[54] მოლესა და *შექმნა კიბჱ იგი სულიერი, რომლისა ძირნი ქუეყანასა*[55] *დგანან* და *წუერნი მისნი ცათა [9] მიწევნულ არიან*[56], რომელსა შინა განისუენა ღმერთმან, რომლისა
15 სახე იხილა იაკობ, რომლისაგან გარდამოჴდა გარდამოუვალად და სიმდაბლით, *„ქუეყანასა*[57] *ზედა იხილვა და კაცთა შორის იქცეოდა"*[58]. ესე გარდამოსლვაჲ სიმდაბლისა მოპოვნებაჲ არს წესისაებრ ქუეყანისა და მეცნიერებაჲ მისი მიცემად შორის ქუეყანისა, რამეთუ კიბე გონიერ,

---

იგი ნესტორიანნი] mia upostasi~, kan Nestorioi diarrhgnuntai (PG 96 col. 664 D 5-6). **თეოფილეს თარგმანშია:** "ერთითა გუამითა დადაცათუ განიდებიან ნესტორიანნი", **ხოლო ეფრემთან არის:** "ერთი გუამითა, დადაცათუ ნესტორიანნი განიპებოდინ" (გოგუაძე 1986:116,39).

46 მოწრაფე S.

47 **ფს. 18,6.**

48 სიკვდილად S. მოსწრაფე სრბად გზასა ბუნებისა ჩუენისასა, იხილვა მხიარული, მიიწია სიკუდილად] kai dia paqwn odeusai pro~ qanaton, kai dhsai ton iscuron (PG 96 col. 665 A 4-5); Kotter 1988:171,14-15. **თეოფილეს თარგმანშია:** "და ვნებათა მიერ თჳსთა მიმავალად სიკუდილისა მიმართ და განიცადე კეთილად", **ხოლო ეფრემთან არის:** "რაჲთა ალაგთა ზედა ვნებათასა სლვითა მიისწრაფოს სიკუდილისა მიმართ" (გოგუაძე 1986:.117,2-3)

49 **მთ. 12,29.**

50 „სძალის"ადგილას **ბერძნულ ტექსტში, თეოფილესა და ეფრემთან არის „ცხოვარი"** (გოგუაძე 1986:117,3-4); probaton (PG 96 col. 665 A 8; Kotter 1988:171,16) (**იხ. შენიშვნ. №50).**

51 **ლკ. 15,4.**

52 ხუროდმოძღვრისაჲ S.

53 განაგებს ყოველსა, ვითარცა თითითა სულისაჲთა...] w~ eautou daktulw tw Pneumati, ambluqen...( PG 96 col. 665 A 11; Kotter 1988:171,19). **თეოფილეს თარგმანშია:** "თითთა მიერ თჳსთა გამოჰსახავს მადლსა მას სულისასა"; **ეფრემის თარგმანშია:** "ვითარცა თითითა, ეგრეთ სულითა აღჰლესავს" (გოგუაძე 1986:117,8).

54 დაბუჯუგუებული S.

55 ქუჱყანასა S.

56 **დაბ. 28,12.**

57 ქვეყანასა S.

58 **ბარ. 3,38.**

რომელ არს ქალწული უბიწოჲ, აღდგმულ არს ქუეყანით[59] ცად, რამეთუ ქუეყანით არს ნათესავობაჲ მისი, ხოლო დიდებაჲ მისი მიწევნულ არს ვიდრე ზესკნელს ცათამდე. *ყოვლისა დედაკაცისა თავ მამაკაცი არს*[60], ხოლო ამისსა, ვინაჲთგან არა უვის მამაკაცი, თავ მისსა არს მხოლოჲ ღმერთი მამაჲ, რამეთუ სულმან წმიდამან ყო შეცვალებაჲ და ვითარცა 5 თესლი საღმრთოჲ სულიერი, ძე და სიტყუაჲ[61] მისი - ძალი ყოველთა ძალთაჲ[10] - მოავლინა ნებითა თჳსითა ქუეყანად და იქმნა კაც და ჴორცნი შეიმოსნა არათუ შეკრებითა ბუნებრივითა, არამედ სულისა წმიდისა მიერ ქალწულისა მარიამისგან, უზეშთაეს ბუნებისა. *„სიტყუაჲ*[62] *იგი ჴორციელ იქმნა უცვალებელად და დაემკჳდრა*[63] *ჩუენ*[64] *შორის”*[65] და 10 იქმნა შეერთებაჲ კაცთაჲ ღმრთისა თანა სულისა წმიდისა მიერ; და აწ, რომელი დაიტევს, დაიტიენ, და *„რომელსა ასხენ ყურნი სმენად*[66], *ისმინენ”*[67], რამეთუ წარსრულ ვართ წესთა ჴორციელებისათა.

ღმერთი, ϩ კაცნო, უვნებელ არს და ბუნებისაებრ თჳსისა უვნებელად შვა ძე თჳსი პირველ საუკუნეთა და კეთილად მეორედ იშვა უვნებელად 15 იგივე მხოლოჲ ბუნებისა ჩუენისაგან[68]. და მოწამე არს დავით, მამაჲ იგი საღმრთოჲ, და იტყჳს: *„უფალმან მრქუა მე, - ძე ჩემი ხარი შენ და მე დღეს [11] მიშობიე შენ”*[69], ხოლო „დღეს” არა აქუს ადგილი ჟამთაჲ შობისა მას პირველ საუკუნეთასა, რამეთუ უჟამო არს.

4. *დღეს აღეშენების ბჭϥ იგი აღმოსავალით, რომელსა შევიდა უფალი* 20 *იესო ქრისტე და გამოვიდა და ბჭეჲ იგი ეგო დაჴშულად*[70], *რომელ არს*[71] *კარი ცხოვართა*[72] *და აღმოსავალ არს სახელი მისი, რომლისაგან მოვლეთ შესავალი მამისაჲ*[73], დაწყებაჲ ნათლისაჲ, რამეთუ გუექმნა გზა ცხორებისა ნათლის[74]. დღეს მოჰბერეს ნიავთა სიხარულისათა,

59 ქვეყანით S.
60 **ეფეს. 5,23.**
61 სიტყვა S.
62 სიტყჳ S.
63 დაემკუდრა (ყველგან) S.
64 ჩვენ S.
65 **ინ. 1,14.**
66 სმენა S.
67 **ლკ. 8,8.**
68 კეთილად მეორედ იშვა უვნებელად იგივე მხოლოჲ ბუნებისა ჩუენისაგან] kai to deuteron oikonomikw~ (PG 96 col. 665 C 5-6; Kotter 1988:172,37**). თეოფილეს თარგმანშია:** “ხოლო მეორე ესე განგებულებაჲ არს”, **ხოლო ეფრემთან არის:** “ხოლო მეორე ესე – განგებულებითი” (გოგუაძე 1986:.117,31) (**იხ. შენიშვნ. №68).**
69 **ფს. 2,7.**
70 **ეზეკ. 44, 2-3.**
71 რომელ არს] + h Cristo~ (PG 96 col. 664 C 13; Kotter 1988:172,2**).**
72 **ინ. 10,9.**
73 **ზაქ. 6,12.**
74 რომლისაგან მოვლეთ შესავალი მამისაჲ, დაწყებაჲ ნათლისაჲ, რამეთუ

მსწრობელთა ხარებისათა ყოვლისა სოფლისათა, რაჲთა იხარებდენ ცანი მაღალთა შინა და მხიარულ იყოს ქუეყანაჲ, ქუესკნელთა თანა შეიძრას ზღუაჲ სოფლისაჲ და გამოვიდეს მისგან ძოწი იგი სამეუფოჲ, შესამოსელი მეფეთაჲ, განმზადებული მის მხოლოჲსათჳს[75], რომელი-იგი ზეცით ელვითა [12] საღმრთოთა მუცელსა შინა ტჳრთულ იქმნა და იშვა თავადი უფალი იესო ქრისტე, მარგალიტი იგი მრავალსასყიდლისაჲ.

და მან, მხოლომან უფალმან, მეუფემან დიდებისამან, შეიმოსა ძოწი იგი ჴორცთაჲ წმიდისა მისგან ქალწულისა, ვითარცა მან მხოლომან უწყის და წარტყუენულთა მოსლვითა მისითა უქადაგა გამოჴსნაჲ.

მხიარულ არს და განსცხრების ბუნებაჲ ჩუენი, რამეთუ შვა ანა ტარიგი უმანკოჲ, რომლისაგან იშვა კრავი იგი უბიწოჲ, მწყემსი იგი ჭეშმარიტი; და განხრწნა და განაქარვა სამოსელი იგი პირველი სიკუდილისაჲ, რაჲთა მხიარულ იყოს ქალწულება, რომლისა მიერ შეგუემოსა უხრწნელებაჲ, სამოსელი იგი ცხორებისა, და რამეთუ შობილ არს ქალწული, მშობელი ევმანუელისი, ვითარცა თქუა[76] ესაია[77]: *„მუცლად-იღოს და შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი ევმანუელ"*[78], რომელ არს: „ჩუენ თანა ღმერთი". და ჩუენ [13] თანა არს ღმერთი, ცანთ ნესტორეანნო, და იძლიენით, რამეთუ *ჩუენ თანა არს ღმერთი, არა კაცი, არცა მამშჳდებელი*[79], *არამედ ღმერთი მხოლოჲ მოვიდეს და მიჴსნეს ჩუენ*[80].

*კურთხეულ არს უფალი ღმერთი, მომავალი და გამოჩინებული ჩუენ შორის*[81]. განვჰმზადოთ დღესასწაული სიხარულისაჲ შობასა ღმრთისმშობელისასა. *გიხაროდენ, ანა, უბიწოო, რომელი არა ჰშობდ! იხარებდ*[82] *და განსცხრებოდე, რომელსა არა გელმოდა!*[83] მხიარულ იყავ

---

გუექმნა გზა ცხორებისა ნათლის] di on (ou thn) pro~ (ton) arcifanton (¼arcifwton) Patera prosagwghn eschkamen (PG 96 col. 665 C 14-15; Kotter 1988:172,3-4**). თეოფილეს თარგმანშია:** "რომლისა მიერ პირველისა მის მიმართ ნათლისა – მამისა - ვპოეთ გზაჲ წმიდაჲ მიახლებისაჲ"; **ეფრემი ზუსტად თარგმნის ბერძნულ ტექსტს:** "რომლისა მიერ მაქუს ჩუენ მიყვანებაჲ ნათელთდასაბამისა მამისა მიმართ" (გოგუაძე 1986:117,36-37**).**

75 და გამოვიდეს მისგან ძოწი იგი სამეუფოჲ] En auth gar koclo~ gennatai (PG 96 col. 665 D 3-4; Kotter 1988:172,6-7**). თეოფილეს თარგმანშია:** "რამეთუ მას შინა იშვების კოხლიოჲ იგი", **ხოლო ეფრემთან:** "რამეთუ მას შინა იშვების ბაზმაკი" (გოგუაძე 1986:117,40-41) (**იხ. შენიშვნ. №75).**

76 თქვა S.

77 **ეს. S.**

78 **ეს. 7,14.**

79 მამშუდებელი (ყველგან) S.

80 **ეს. 63,9.**

81 **ფს. 117,26.**

82 ანა, უბიწოო, რომელი არა ჰშობდ] Anna steira, h ou tiktousa (PG 96 col. 668 A 15-16; Kotter 1988:173,18-19**). თეოფილეს თარგმანშია:** "იხარებდ ანნა ბერწი, რომელი არა შობდ". **ეფრემთანაც ასევეა.**

83 **ეს. 44,1.**

იოვაკიმ, რამეთუ ასულმან შენმან „*გუშვა*[84] *ყრმაჲ და ძედ მოგუეცა*[85] *ჩუენ და ჰრქუან*[86] *მას დიდისა ზრახვისა ანგელოზი ცხორებისათჳს ყოვლისა სოფლისა. ღმერთი ძლიერი და ჴელმწიფე, მთავარი მშჳდობისაჲ, მამა მერმეთა მათ საუკუნეთაჲ*"[87].

ჰრცხუენოდენ ნესტორს და დაიდევინ ჴელი პირსა თჳსსა არღარა სიტყუად! ყრმაჲ ღმერთ არს და ვითარ არა ღმრთისმშობელ არს მშობელი მისი? "ყოველმან, რომელმან არა [14] აღიაროს ღმრთისმშობლად წმიდაჲ ქალწული მარიამ, იყავნ იგი შეჩუენებულ[88] და განძებულ ღმრთაებისაგან"![89]. არა ჩემი არს სიტყუაჲ[90] ესე, არამედ არსვე ჩემი, რამეთუ მოვიღე ესე გრიგოლი ღმრთისმეტყველისაგან და ვისწავენ მისგან სიტყუანი[91] საღმრთონი.

5. ᲑᲐ ნეტართა მათ მეუღლეთა – იოვაკიმს და ანას – და ჭეშმარიტად უბიწოთა, რამეთუ ნაყოფისაგან მუცლისა თქუენისა[92] იცნობენით; ვითარცა თქუა[93] უფალმან: „*ნაყოფთა მათთაგან იცნენით იგინი*"[94]. სათნოდ უფლისა იქცეოდეთ და ღირს-იქმნენით შობად დედასა ღმრთისასა[95]; უბიწოდ და უმანკოდ სცხონდებოდეთ და გამოიღეთ ნაყოფად საუნჯე ქალწულებისაჲ - ქალწული პირველ შობადმდე და ქალწული შობასა და ქალწული შემდგომად შობისა. და იგი მხოლოჲ ქალწული ჰგიეს მარადის ქალწულად; მხოლოჲ ახლითა ჴორცითა და სულითა ქალწული სამარადისოჲ, რამეთუ ჯერვე ეგე იყოო, რაჲთა[96] უბიწოთაგან აღმოსცენდეს [15] ქალწული, საუნჯე ქალწულებისაჲ, რომელმან მოიღო ნათელი მხოლომან მხოლოჲსა ჴორცითა, ნებითა მამისა უჴორცოჲსაჲთა, რომელი არაოდეს იშვა და მარადის მშობელ არს, რომლისა გუამსა აქუს მარადის მშობლობაჲ საკუთრად მას მხოლოსა.

Ბ რავდენთა სასწაულთა ჰყოფს და შეცვალებათაჲ იქმნა მასზე[97]

84 გუშვა S.
85 მოგჳეცა S.
86 ჰრქუან S.
87 **ეს. 9,6.**
88 შეჩუცნებულ S.
89 **გრიგოლ ღმრთისმეტყველის I ეპისტოლე კლიდონის მიმართ (Ad Cled.) S.**
90 სიტყვა S.
91 სიტყვანი S.
92 თქვენისა S.
93 თქვა S.
94 **მთ. 7,16.**
95 ღირს-იქმნენით შობად დედასა ღმრთისასა] kai axiw~ th~ ex umwn tecqeish~ epoliteusasqe (PG 96 col. 668 B 15; Kotter 1988:173,3-4**). თეოფილეს თარგმანშია:** "ღირსად თქუენგან შობილისა მის ჰმოქალაქობდით". **ასევეა ეფრემთან, რომელმაც ზუსტად გადმოიღო ბერძნული ტექსტი.**
96 რათა (ყველგან) S.
97 მისზე S.

ასული ესე დასაბამ და საუნჯე! შობაჲ ბერწობისაჲ იხილვების და შობაჲ ქალწულებითი გამოჩნდების და კაცებაჲ ღმრთეებასა თანა შეეზავების, ლმობიერი და ულმობელი, ცხორებაჲ და სიკუდილი, რომლისათჳს ყოველნი ნაკლულნი და უძლურნი იძლინეს უმჯობესითა მით და
5 შეიცვალნეს. და ესე ყოველი ჩუენისა ჴსნისათჳს ყო მან მხოლომან.

ᲐᲮ უფალო სახიერო, ესრეთ შემიყუარე, ვიდრემდის არათუ[98] ანგელოზთა და არცა სხუათა რაჲთ დაბადებულითა აღასრულე ესე, არამედ ვითარცა-იგი პირველსა მას დაბადებასა შენ დაჰბადე იგი, ეგრეთვე აწ განახლებასა მისსა შენ [16] შეამკვე იგი.

10 და აქა ვიხარებ და ვიქადი, ვიშუებ[99] და განვსცხრები და აღმომაცენებელისა მის საკჳრველებათაჲსა მივისწრაფი და განვძღები წყლითა მით სიხარულისაჲთა და შევსძრავ კუალად ქნარსა მას სულისასა და შობასა მას საღმრთოსა გალობით ვადიდებ.

6. ᲐᲮ ორთა მათ გურიტთა პირმეტყუელთა – იოვაკიმს და ანას,
15 უბიწოთა! თქუენ[100] შჯული ბუნებისაჲ უბიწოდ დაიცევით და ღირს-იქმნენით მოღებად უზეშთაესსა მას შობისასა, რამეთუ უშევით სოფელსა სიხარული მოუკლებელი, რომელმან შვა ღმერთი უთესლოდ, განმაცხოველებელი ყოვლისა სოფლისაჲ[101]. თქუენ კეთილითა ცხო-რებითა სიმართლით სცხონდებოდეთ ბუნებასა შინა კაცობრივსა
20 და ასული, უდიდებულესი ანგელოზთაჲ და დედაჲ უფლისა ძალთა ზეცისათაჲ[102], აწ ჰშევთ.

ᲐᲮ ასულსა მას ბრწყინ[17]ვალესა და ტკბილსა! ᲐᲮ შროშანსა მას შუენიერსა, აღმომაცენებელსა შორის ეკალთა ნათესავისაგან სამეუფოჲსა და ძირისაგან დავითისა გამობრწყინვებულსა! შენ მიერ მეუფემან
25 მღდელობაჲ განამდიდრა, შენ მიერ იქმნა შეცვალებაჲ შჯულისაჲ და გამოვიდა სული, რომელი-იგი დაბურვილ იყო წერილსა ქუეშე, და მიიცვალება ჭეშმარიტება მღდელობისაჲ ლევის ნათესავისაგან დავითის

98 არაჲ თუ S.

99 ვიშობ S.

100 თქვენ S.

101 სიხარული მოუკლებელი, რომელმან შვა ღმერთი უთესლოდ, განმაცხოველებელი (განმაცხოელებელი S 3648) ყოვლისა სოფლისაჲ] Qeou mhtera apeirandron (PG 96 col. 669 A 7; Kotter 1988:174,3-4**). თეოფილე და ეფრემი მისდევენ ბერძნულ ტექსტს:** “დედაჲ ღმრთისაჲ უქორწინებელი”(თეოფ.), “ქმრის გამოუცდელი დედაჲ ღმრთისაჲ” (გოგუაძე 1986:119,5) (**იხ. შენიშვნ. №101).**

102 ასული, უდიდებულესი ანგელოზთაჲ და დედაჲ **უფლისა** ძალთა ზეცისათაჲ] ასული, უდიდებულესი ანგელოზთაჲ და დედაჲ, **უფალი** ძალთაჲ ზეცისათაჲ (S 3648) twn aggelwn despozousan nun qugatera tetokate (PG 96 col. 669 A 9-10; Kotter 1988:174,5-6**).** ტექსტში **“უფალი” გავასწორეთ ფორმით “უფლისა”. თეოფილეს თარგმანშია:** “უაღრესი ანგელოზთაჲ ჰშევთ აწ და ასული მეუფისა მის ანგელოზთაჲსა”, **ხოლო ეფრემთან:** “ჰშევით ასული, მშობელი ანგელოზთა მეუფისაჲ” (გოგუაძე 1986: 119,7-8) (**იხ. შენიშვნ. №102).**

ნათესავისა. ჰ ვარდსა მას, აღმომაცენებელსა ეკალთაგან ჰურიათაჲსა, რომელმან სულითა სურნელებისაჲთა საღმრთოჲთა აღავსო ყოველი სოფელი!

ჰ ასულო ადამისო და დედაო ღმრთისაო! ნეტარ წელთა მათ და მუცელსა, რომელთაგან იშევ, და ნეტარ მკლავთა მათ, რომელთა 5 გიტჯრთეს შენ, და ბაგეთა მათ უბიწოთა, რომელთაგან იგურკნვე! ნეტარ მათ მშობელთა, რომელთაგან აღიზარდე, რაჲთა ყოვლით კერძოვე ეგო, მდგომარე ქალ[18]წულად სამარადისოდ![103]

დღეს იქმნა დაწყებაჲ ჴსნისა სოფლისაჲ! ღაღადებდით ღმრთისა ძლევისა გალობასა! ყოველი ქუეყანაჲ უგალობდით, იხარებდით და 10 აქებდით! აღამაღლეთ ჴმა თქუენი, აღამაღლეთ და ნუ გეშინინ, რამეთუ გუეშვა ჩუენ დედაჲ ღმრთისა დღეს წმიდასა შინა პროპატიკესა, ვითარცა სათნო-უჩნდა კრავსა მას ღუთისასა, რაჲთა იშვეს ამჴუმელი[104] ცოდვათა სოფლისათაჲ!

განსცხრებოდეთ მთანი და ბუნებაჲ მეტყუელთაჲ და აღიწიენით 15 სიმაღლედ ხილვათა მათდა ჩინებითა საღმრთოჲთა[105], რამეთუ მთაჲ ღმრთისა მაღალი იშვა უმაღლესი და უაღრესი ყოველთა მთათა და ბორცუთაჲ და უზეშთაეს ყოველთა ანგელოზთა და კაცთაჲ, რომლისაგან გამოეკუეთა თჳნიერ[106] კაცობრივისა ჴელისა ლოდი იგი საკიდური, გუამი ერთი სამეუფოჲ, რომელმან შეკრიბნა გან[19]ყოფილნი 20 და შეაერთა ღმრთეებაჲ და კაცებაჲ და ერთად მადიდებელ-ყვნა ანგელოზნი და კაცნი, წარმართნი და ისრაელნი და იგინი ერთად ისრაილად სულიერად გამოაჩინნა.

მთაჲ ღმრთისაჲ, მთაჲ პოხილი, მთაჲ შეყოფილი, მთაჲ, რომელი სთნდა ღმერთსა დამკჳდრებად[107] მას ზედა! ეტლნი ღმრთისანი ბევრწილ[108] 25

---

103 ნეტარ...ბაგეთა მათ უბიწოთა, რომელთაგან იგურკნვე! ნეტარ მათ მშობელთა, რომელთაგან აღიზარდე, რაჲთა ყოვლით კერძოვე ეგო, მდგომარე ქალწულად სამარადისოდ!] Makariai ai...ceilh ta twn agnwn filhmatwn sou apolausanta, mona ta gonika, in h~ en pasin aei parqeneuousa (PG 96 col. 669 B 7-9; Kotter 1988:175,13-15). **თეოფილეს თარგმანშია:** "რომელნი შეეხნეს მშობლებრ ამბორისვყოფითა წმიდათა მათ ბაგეთა შენთა, რომელი-ეგე შენ ოდენ ხარ მხოლოჲ დადგრომილ მარადის ქალწულებასა შინა". **ყველაზე ახლოს ბერძნულ ტექსტთან არის ეფრემის თარგმანი:** "ნეტარ არიან...ბაგენი, რომელნი უბიწოსა მას ამბორის-ყოფასა შენსა მიმღებელ იქმნნეს. მხოლოდ განმარჯუებულნი იგი - ნივთნი სამშობელონი, რომელთა შინა განიპოხე, მარადის ყოველსა შინა ქალწული" (გოგუაძე 1986: 119,18-20) (**იხ. შენიშვნ. №103).**

104 ამხმელი S.

105 საღმრთოთა S.

106 თუნერ S.

107 დამკუდრებად (ყველგან) S.

108 ბერწილ S. ბერძნულ ტექსტში ამ ადგილას არის: to muriοπλάσιον (PG 96 col. 669 C12; Kotter 1988:175,28-29), რაც ნიშნავს "ბევრად დიდი". **თეოფილეს თარგმანში ამ ადგილას არის ბერძნულის შესატყვისი "ბევრწილ".**

არიან, განმდიდრებულნი მადლითა ღმრთეებისაჲთა, რომელ არიან მთავრობანი ქერობინთა და სერაბინთანი, რომელი უწმიდეს მთისა მის სინაჲსა, რომელსა არა კუამლი, არცა ნისლი და არცა ქუხილი და ელვაჲ და არცა ცეცხლისა ბნელი ჰფარავს, არამედ ნათელი სულისა
5 წმიდისაჲ. მუნ სიტყუამან ღმრთისამან დაწერა შჯული ფიცართა ზედა ქვისათა თითითა, ვითარცა სულითა, ხოლო ამას მთასა ქალწულებისასა სულითა წმიდითა სისხლთა მისთაგან განჴორციელებულ იქმნა და მოსცა თჳსი იგი ბუნებასა ჩუენსა [20] ძირი, მოქმედი ცხორებისაჲ, მუნ - მანანაჲ, ხოლო აქა – მომცემელი სიტკბოებისაჲ უფროჲს მანანაჲსა,
10 რაჲთა დაემორჩილოს კარავი იგი რჩეული, რომელი შეჰმზადა მოსე უდაბნოსა მრავალთაგან ძოწეულთა და ზეზთა მრავალფერთა, და უწინარეს მისსა – კარავი იგი აბრაჰამისი კარავსა მას სულიერსა საღმრთოსა პირმეტყუელსა[109]. ესე არა მოქმედებით იქმნა შემწყნარებელ ღმრთეებისა, არამედ მიუწდომელად და გამოუთქუმელად იქმნა
15 დამტევნელ ნათელსა მას გუამსა ძისა ღმრთისასა. და გულისჴმა-ყავნ კიდობანმან მან შჯულისამან, განრჩუნვილმან ოქროჲთა, კიდობანი იგი დიდებული, შეუსწორებელი მისსა, და ტაკუკმან ოქროჲსამან, მტჳრთველმან მანანაჲსამან, და სასანთლემან და ტაბლამან და ყოველმან ძუელისა შჯულისა სამსახურებელმან, რამეთუ პატივად მისა
20 გამოისახნეს იგინი და ჭეშმარიტად ამისთჳს იყო [21] გამოსახვაჲ იგი მათი.

7. *დღეს სიტყუამან ღმრთისამან, შემოქმედმან ყოვლისამან, განჰმზადა ტომარი*[110] *ახალი და იგი მხოლოჲ ენითა ღმრთისა მამისაჲთა, ვითარცა კალმითა სულისაჲთა, დაიწერა*[111] *მას შინა*[112] და მიეცა იგი კაცსა,
25 რომელმან კითხვაჲ არა[113] იცოდა და ვერ ცნა იგი, რამეთუ იოსებ არა იცნა მარიამი, არცა ძალი მის საიდუმლოჲსა.

ჱ ასულსა მას იოვაკიმისსა და ანაჲსსა უბიწოსა, რომელმან დაშრიტნა ისარნი განჴურვებულნი მტერისანი და დათრგუნა მთავრობაჲ და ჴელმწიფებაჲ მათი, რომელი დამკჳდრებულ არს სასძლოსა მას შინა
30 სულისასა და დამარხულ იქმნა უბიწოდ, ვითარცა სძალი ღმრთისაჲ და დედაჲ მისი, რომელი-იგი ბუნებით არს ძე ღმრთისაჲ და ღმერთი!

ჱ ასულსა მას უბიწოსა, რომელი ჯერეთ ტჳრთულდა არს[114] მკლავთა ზედა დედისათა და არს იგი საშინელ ყოველთა მათ ძალთა მაცთურისათა!

ჱ [22] ასულო დიდებულო, გამომზრდელო სძითა ძუძუთაჲთა[115] და

109 პირმეტყველსა (ყველგან) S.
110 ტუმარი S. tomon (PG 96 col. 672 A 10; Kotter 1988:176,1).
111 დაიწერა S.
112 **ფს. 44,2-3.**
113 არაჲ (ყველგან) S.
114 ტჳრთულდა არა არს S. agkalai~ fainomenon (PG 96 col. 672 B 11).
115 ძუძოთაჲთა (ქვემოთ ყველგან) S.

გარეშეცვულო დასითა ანგელოზთაჲთა!

ᲐᲮ ქალწულსა მას სათნოსა ღმრთისასა, მადიდებელსა მშობელთა მისთასა! შენ ნათესავნი ნათესავთანი გნატრიან, ვითარცა სოქუ ჭეშმარიტად!

ᲐᲮ ასულსა მას, ღირსსა ღმრთისასა, განმაშუენებელსა კაცთა ბუ- 5
ნებისასა და განმამტკიცებელსა პირველისა დედისასა ევაჲსსა! შობითა შენითა ბრწყინვალითა ყოველნი დედანი განმტკიცნეს და იქადიან, დაღაცათუ[116] პირველი იგი ევაჲ ურჩ-ექმნა და მის მიერ სიკუდილი შემოჴდა, რამეთუ მსახურ-ექმნა გუელსა და მის მიერ აცთუნა მამაჲ იგი პირველი. არამედ მსახურ-ექმნა მარიამ სიტყუასა ღმრთისასა, რომელი- 10
იგი შეემთხჳა[117] გუელსა მას, და დათრგუნა იგი და სოფლად შემოიღო უხრწნელება.

ᲐᲮ ასულსა, მარადის ქალწულსა[118], რო[23]მელსა არა უჴმდა მამაკაცი მუცლადღებისათჳს, რამეთუ რომლისათჳს იგი მიდგომილ იყო, უვის მას მამაჲ დაუსაბამოჲ! 15

ᲐᲮ ასულო მშობელთა ქუეყანისათაო, რომელმან იტჳრთე ღმერთი დამბადებელი! შენ მიერ ეწყვებიან ჟამნი, ვითარ არა იქადოდიან შობითა შენითა?! არამედ ნებამან ღმრთისამან, რომელმან დაჰბადნა ჟამნი, წინაჲსწარ-გამოსახა საიდუმლოჲ შენი, სძალო, ჟამთა წყვობასა, და იქმნეს უკუანაჲსკნელნი პირველ, რომელთა მიიღეს შობაჲ შენი. 20
ჭეშმარიტად იქმენ შენ უპატიოსნეს ყოველთა დაბადებულთა, რამეთუ შენ მხოლოჲსაგან დამბადებელმან მიიღო ნაწილი, დაწყებაჲ თბისა ჩუენისაჲ, ჴორცნი ჴორცთა შენთაგან და სისხლნი სისხლთა შენთაგან და წოვნებულ იქმნა ღმერთი ძუძუთაგან შენთა - შეერთნეს ბაგენი შენი ბაგეთა მისთა სიწმიდისათა. 25

ᲐᲮ საქმეთა ამათ საკჳრველთა, მიუწდომელთა და მიუთხრობელთა! შენ წინაჲსწარ-გიცნა ღმერთმან ყოველთამან, წმიდაო ქალწულო, და ჭეშმარიტად შეგიყუარა[119]. [24] და ვითარ შეგიყუარა, უსწრო და გამოსახა საიდუმლოჲ შენი და უკუანაჲსკნელთა ჟამთა არსებად შეგმზადა და დედად ღმრთისა და მპოხელად ძისა და სიტყჳსა[120] მისისა გამოგაჩინა. 30

8. *თქუმულ[121] არს, ვითარმედ წინააღმდგომთა თჳსთა მკურნალისვედ

116 დაღაცათო S.

117 შეემთხუა (ყველგან) S.

118 ᲐᲮ ასულსა, მარადის ქალწულსა] ᲐᲮ ასულსა მას მის ქალწულისა S ] W qugatrion aeiparqenon (PG 96 col. 672 C 5; Kotter 1988:177,20). **ეფთვიმეს თარგმანში, როგორც ჩანს, გადამწერმა დაუშვა შეცდომა ქარაგმის გახსნისას. თეოფილესთან არის:** "ᲐᲮ ასულო საწადელო, მარადის ქალწულებითა პატივცემულო"; ეფრემი ზუსტად თარგმნის: "ᲐᲮ ასულო, მარადის ქალწულო". **(იხ. შენიშვნ. №118).**

119 შეგიყვარა S.

120 სიტყუასა S.

121 თქმულ S.

[ ], ვითარ-იგი იქმნა ჩემზე, და რამეთუ სიკეთესა განმყო მე ცოდვამან[122], ცოდვილი უფროჲს ზომისა, ეგრეთვე სიმართლემან და მიზეზმან სიმართლისამან წინააღმდგომთათჳს მყო მე მართალ, რამეთუ „*სადა განმრავლდა ცოდვაჲ, მუნ უფროჲსად გარდაემატოს მადლი**"[123]. რამეთუ
5 უკუეთუმცა დაგუემარხა პირველი იგი ზიარებაჲ ჩუენი ღმრთისა თანა, არამცა უფლებულ იყო ჩუენთჳს სიკუდილი, ხოლო ცოდვისა მისთჳს პირველისა მისგან ზიარებისა განვისხენით, რამეთუ არა დავიმარხეთ, რომელი მოვიღეთ, არამედ მოწყალებითა მისითა უფალმან წყალობით მომხედნა და განმამტკიცნა და ღირს-მყვნა მიწევნად უზეშთაესსა
10 მას, ვიდრემდის იქმნა ზიარე[25]ბაჲ იგი მტკიცე და შემძლებელ იქმნა დამარხვად, რომელმან-იგი მიიღო შეერთებაჲ იგი განუყენებლად[124].

და რამეთუ სიძვით ისიძვა ყოველმან ქუეყანამან და ერი ღმრთისაჲ სულითა სიძვისაჲთა სცთა ღმრთისა მიმართ, მაშინ დამბადებელმან მისმან ჴელითა მტკიცითა და მკლავითა მაღლითა გამოიყვანა იგი
15 სახლისა მისგან მონებისა ფარაოჲსისა[125] სასწაულებითა და ნიშებითა მრავლითა და *განიყვანნა ზღუასა მას მეწამულსა და უძღოდა მათ ღრუბლითა[126] დღისი და ღამე ყოველ ნათლითა ცეცხლისაჲთა. და მიიქცეს გონებითა მათითა ეგჳპტედვე[127] და იქმნა ერი ღმრთისაჲ არა ერ ღმრთისა[128]* და შეწყალებული იგი – არა შეწყალებულ, და საყუარელი
20 იგი – არა საყუარელ.

ამისთჳს აწ ქალწული შობს[129] წინააღმდგომად პირველისა მამისა ცოდვისა, რამეთუ მიითხოა იგი ღმრთისა და შვა წყალობაჲ დაბადებულთათჳს და ერი, რომელი პირველად [26] არა იყო ერ ღმრთისა,

---

122 "მკურნალისვედ" სიტყვის შემდეგ ტექსტის ბოლო ნაწილი გადასწორებულია და არ იკითხება, ამიტომ ფრაზა მთლიანობაში გაუგებარია; ასევე გაუგებარია - **„სიკუდილსა განმყო მე ცოდვამან" S;** ამის შესატყვისად ბერძნულ ტექსტში არის: „agaqou moi katergazomenh qanaton (PG 96 col673 A 4-5**). ბერძნული წყაროს ამ წაკითხვის მიხედვით, ტექსტში „სიკუდილსა" ჩავანაცვლეთ „სიკეთესა" ფორმით.**

123 **რომ. 5, 20;** მონაკვეთი: *თქუმულ...მადლი* - **ეფთვიმეს თარგმანში, როგორც ჩანს, ნაკლულია, რადგან აზრი ბოლომდე გასაგები არ არის და, ამასთან ერთად, საკმაოდ განსხვავდება როგორც ბერძნული წყაროსაგან (PG 96 col. 673 A 1-7; Kotter 1988, 177,1-5), ასევე, თეოფილესა და ეფრემის (გოგუაძე 1988:121,5-15) თარგმანებისაგან, რომლებიც თითქმის უცვლელად მისდევენ ბერძნულ ტექსტს.**

124 განოყენებლად S.

125 ფარაოისისა S.

126 ღრობლითა S.

127 **ფს. 77, 13-14.**

128 ღმრთის S. **რომ. მიმ. 9, 6-7.**

129 ამისთჳს აწ ქალწული შობს] Dia touto nun Parqeno~ tiktetai(PG 96 col. 673 B 11; Kotter 1988:178,20**). თეოფილესთან და ეფრემთან (გოგუაძე 1986:121,31) არის:** "ამისთჳსცა იშვების აწ ქალწული". **ეფთვიმემ რამდენადმა შეცვალა ფრაზა, მაგრამ აზრი იგივე დარჩა:** ქალწული იშვა თუ ქალწულმა შვა – ორსავე შემთხვევაში ეს მოხდა იმისათვის, რომ დამარცხებულიყო პირველცოდვა (ამაზე იქვე, ტექსტში არის საუბარი) (**იხ. შენიშვნ. №129).**

იქმნა ერ ღმრთის, და არა შეწყალებული იგი იქმნა შეწყალებულ, და
არა საყუარელი იგი შეიყუარა[130], რამეთუ მისგან იშვა ძე ღმრთისა,
საყუარელი[131] და სათნოდ, რომელი სთნდა მამასა ღმერთსა დაუსაბამოსა.

9. ვენაჴი რქაშუენიერი ანაჲსაგან აღმოსცენდა, ტევანი სიტკბოებისა
მისგან აღყუავილნა და აღმოუდინა ღუნოდ ახალი მყოფთა ქუეყანისათა[132] 5
ცხორებად საუკუნოდ. იოვაკიმ და ანა[133] დასთესეს თესლი მათი
სიმართლესა და მოიმკეს ნაყოფი ცხორებისაჲ და *განაბრწყინვნეს თავნი
თუსნი ნათლითა მეცნიერებისაჲთა და ითხოვეს ღმრთისაგან და მოეცა
მათ ნაყოფი სიმართლისაჲ*[134].

განმტკიცდა აწ ქუეყანაჲ და ძენი სიონისანი განათლდით და იხარებდით 10
უფლისა მიმართ ღმრთისა თქუენისა[135], რამეთუ აღმოუცენებიეს
უდაბნოსა[136] ნერგი და გამოუღებიეს ბერწსა ნაყოფი თუსი. იოვა[27]კიმ
და ანა, ვითარცა მთათა მაღალთა, სიტკბოებაჲ გონიერთა აცურიეს.

იხარებდ, ჲ ანა, ნეტარო, რამეთუ ჰშევ ასული, რომელ არს დედაჲ
ღმრთისა, კარი ნათლისაჲ და ბჭჱ ცხორებისაჲ, აღმჴოცელი ცოდვათაჲ 15
ნათესავისაგან დედათაჲსა! *პირსა ამის ასულისასა მდიდარნი ერისანი
ევედრებიან*[137], ამას ასულსა მეფენი წარმართთანი თაყუანის-სცემენ და
*ძღუნით პირსა მისსა ჰმსახურებენ*[138]. *ესე ასული მეუფესა წარუდგინეს
ღმერთსა, ვითარცა ფესუედითა ოქროვანითა*[139] და ბრწყინვალებითა
სათნოებათაჲთა შემკულ არს და შემოსილ მადლითა სულისა 20
წმიდისაჲთა, რომლისაჲ არს დიდება მისი შინაგან, რამეთუ დიდება
ყოვლისა დედაკაცისაჲ არს გარეშეთ ქმარი მისი, ხოლო დიდებაჲ
დედისა ღმრთისაჲ არს შინაგან ნაყოფი[140] მუცლისა მისისაჲ.

ჲ ასულო შუენიერო და სამგზის სანატრელო! კურთხეულ ხარ შენ
დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა [28] შენისაჲ! ჲ 25
ასულო მეუფისაო და დედაო სამეუფოო და დედაო ღმრთისა მეუფისაო![141]

---

130 შეიყუარა S.
131 საყვარელი S.
132 ქვეყანისათა S.
133 ანაჲს S.
134 **ეს. 61,11.**
135 თქვენისა S.
136 უდუაბნოსა S
137 **ფს. 44,13.**
138 **ფს. 67,30.**
139 ოქროვანითა] ოქრეანითა S. **ფს. 44,14.**
140 ნაყობი S.
141 ჲ ასულო მეუფისაო **და დედაო სამეუფოო** და დედაო ღმრთისა მეუფისაო!] W Qhlu, qugater tou basilew~ Dabid, kai Mhthr tou Pambasilew~ qeou! (PG 96 col. 676 A 6-7); W Qhlu, qugater tou basilew~ kai mhter, qugater tou basilew~ Dauid kai mhter tou pambasilew~ qeou! (Kotter 1988:179,18-20). **ბერძნულ ტექსტში, ასევე თეოფილესა და ეფრემის (გოგუაძე 1986:122,13-14) თარგმანებში, ეფთვიმეს თარგმანთან შედარებით მეტია შემდეგი სიტყვები: "ასულო დავით მეფისაო".**

ᲗᲒ ხატსა მას ღმრთივშუენიერსა და სიტყჳერსა, რომელი სთნდა ღმერთსა
დამბადებელსა, რამეთუ გონებაᲲ მისი შეკრულ იყო სიყუარულსა[142]
ღმრთისასა და მის მიერ განგებულ იყო და არარას წადიერებასა
შეიწყნარებდა, გარნა მხოლოᲲსა ღმრთისა და მისსა მიმართ ტრფიალ
5 იყო და სურვიელ, ხოლო გულისწყრომაᲲ მისი იყო ცოდვისა ხოლო
მიმართ და რომლისაგან იშვებიან ვნებანი.

ნეტარ შენ, მარიამ[143], რამეთუ ღირსად ცხორებითა შენითა აცხოვნე
თავი შენი, რამეთუ ჰშევ ცხორებაᲲ, რომელი უზეშთაეს არს ბუნებისა;
რამეთუ არა თავისა თჳსისათჳს იშევ, ამისთჳს ცხოველ იქმენ
10 ღმრთისა მიერ და შემოხუედ სოფლად მის მიერ, რაᲲთა სახიერ ექმნე
მაცხოვარსა ყოვლისა სოფლისასა, რომლითა პირველ ნებაᲲ ღმრთისაᲲ
და განჴორციელებაᲲ[144] სიტ[29]ყჳსა მისისაᲲ და განღმრთობაᲲ[145] ჩუენი
შენ მიერ სრულ-იქმნეს. ტრფიალებითა საღმრთოᲲთა სიტყუათაᲲთა[146]
იზარდებოდე და მათ მიერ განიპოხე, ვითარცა ზეთისხილი, მსხმოᲲ
15 სახლსა ღმრთისასა, და ვითარცა *ᲗᲒ, დანერგული თანაწარსადინელსა*
*წყალთა სულიერთა*[147], და ვითარცა ნერგი ცხორებისაᲲ[148], რომელმან
გამოიღო ნაყოფი თჳსი ჟამსა, განსაზღვრებულსა ღმრთისა მიერ, -
ღმერთი განჴორციელებული, ცხორება ყოვლისა სოფლისაᲲ.

ყოველი [ზრახული][149], მზრდელი სულისაᲲ, ამან სახიერმან მოიზიდა
20 და ყოველი ნამეტავი და მავნებელი სულისაᲲ გემოᲲსხილვადმდევე
განაგდო. თუალნი მისნი ჰხედვიდეს ყოველსა ჟამსა ნათელსა უფლისასა,
რომელი მოუკლებელ არს და მიუახლებელ; ყურნი მისნი ისმენდეს
თქუმულთა[150] მათ საღმრთოთა და გული მისი იშუებდა ქნარითა სულისა
წმიდისათა, რომლისათჳს მოვიდა ძე ღმრთისაᲲ განჴორციელებული
25 სოფლად; [30] საყნოსელნი სურნელებასა სიძისასა იყნოსდეს, რომელ არს
სურნელებაᲲ[151]ღმრთისაᲲ და ნებითა თჳსითა გარდათხეულ[152], ვითარცა

142 სიყვარულსა S.

143 ნეტარ შენ, მარიამ] – PG 96 col. 676 A 12; Kotter 1988:179,23. **ეს სიტყვები არ არის არც თეოფილესა და არც ეფრემთან (გოგუაძე 1986:122,20).**

144 განხორციელებაᲲ S.

145 განღთობაᲲ S.

146 საღვთოთა სიტყუათაᲲთა S.

147 **ფს. 1,3.**

148 ნერგი ცხორებისაᲲ] w~ xulon zwh~ (PG 96 col. 676 B 6; Kotter 1988:179,30). **თეოფილესა და ეფრემთან (გოგუაძე 1986:122,27) არის "ᲗᲒ ცხორებისაᲲ".**

149 **სიტყვა გადაკეთებულია და ძნელად იკითხება.**

150 თქმულთა S.

151 სურნელებაᲲ S.

152 გარდათხეულ] + kai crion thn eautou anqrwpothta (PG 676 col. C 1-2; Kotter 1988:179,38). **თეოფილესთან ეს ფრაზა თარგმნილია:** "რომელმან სცხო თავსა თჳსსა კაცებითა". **თარგმნილია ეფრემის მიერაც:** "რომელი თავისა მიერ თჳსისა სცხებს კაცებასა" (გოგუაძე 1986:122,38-39) **(იხ. შენიშვნ. №152).**

თქუა[153] წიგნმან – *ნელსაცხებელ გარდათხეულ სახელი შენი*[154]; ბაგენი
შენი მადიდებელნი ღმრთისანი და მისა შეყოფილ ენაჲ სასით[ურთ],
სიტყუათა[155] ღმრთისა მზრახველი და სიტკბოებითა მისითა განპოხილი;
გული წმიდა და შეუგინებელი, მარადის მხედველი და მოსურნე ღმრთისა
უხილავისა; მუცელი, რომელმან დაიტია დაუტევნელი, ძუძუნი სძისანი, 5
რომლითა განიპოხა ყრმაჲ იესუ, მზრდელი ყოვლისა სოფლისაჲ და მამაჲ
მერმეთა მათ საუკუნეთა[156], ბჭß ღმრთისაჲ, მდგომარე მარადის ქალწულად
განუღებელად[157]; ჴელნი, მტჳრთველნი ღმრთისანი, მუჴლნი, საყდრისა
მსგავსნი, უმაღლესნი ქერაბინთა, რომელთაგან განძლიერდეს ჴელნი
დაშთომილნი[158] და მუჴლნი დაჴსნილნი; ფერჴნი, ვითარცა ლამპარ[31] 10
ნი ნათლისანი მის, მავალნი შჯულსა შინა ღმრთისასა და კუალსა
მისსა შედგომილნი მოსწრაფედ და არა მქცეველნი, ვიდრე მიწევნადმდე
საწადელისა მის და სასურველისა. და საწადელმან მან მოიზიდა[159]
ტრფიალი იგი სასძლოჲ სულისაჲ და ქალაქი ღმრთისა ცხოველისაჲ,
რომელმან ახარა სლვასა მდინარეთასა ღელვანი მადლთა სულისა 15
წმიდისათანი, ყოვლითურთ მიახლებული ღმრთისა. ესე უზეშთაეს ექმნა
ქერაბინთა და უმაღლეს სერაბინთა და მიიწია მახლობელად ღმრთისა.

10. ß საკჳრველსა მას, უზეშთაეს საკჳრველებათასა! დედაკაცი
იქმნა უზეშთაეს ქერაბინთასა, *რამეთუ ძე ღმრთისაჲ იშვა მისგან,*
*დაკლებული მცირედ რაჲმე ანგელოზთა*[160]. *და დადუმენინ აწ სოლომონ*[161] 20
*განბრძნობილი და ნუ იტყჳნ*[162], *ვითარმედ: არარაჲ არს ახალი უზეშთაეს*
*მზისა*[163].

ქალწულო, ღმრთისა მიერ ხარებულო და ტაძარო მეუფისაო,
წმიდათა უწმიდესო, რომელი განმზადა სულმან სოლომონისამან[164] და
[32] სიბრძნისა აღმომაცენებელმან, რომელ არს მთავარი მშჳდობისაჲ[165], 25

153 თქვა S.
154 **ქება ქებათა 1,3 (2).**
155 სიტყვათა S.
156 ფრაზა: "მზრდელი ყოვლისა სოფლისაჲ და მამაჲ მერმეთა მათ საუკუნეთაჲ" **არ არის ბერძნულ ტექსტში (PG 96 col. 676C 9; Kotter 1988:180,43) და არც თეოფილესა და ეფრემთან (გოგუაძე 1986:123,4).**
157 განოღებელად S.
158 დაშთუმილნი S.
159 მოიზიდა]+ და ("და" შემდეგ არის ჩამატებული).
160 **ებრ. მიმ. 2,9.**
161 სულომან S.
162 იტყუნ S.
163 **ეკლ. 1,10.**
164 **ხელნაწერში, როგორც ჩანს, გადამწერის შეცდომის გამოისობით, არის: "სულმან სულიერმან". ბერძნულ ტექსტში: "ο πνευματικὸς Sολομών" (PG 96, col. 677 A 5; Kotter 1988:180,4-5).**
165 მშუდობისაჲ S.

და იგი მხოლოდ დაემკჳდრა მას შინა და არათუ ოქროდთა შეამკო[166] იგი და არცა ქვათა მათ უსულოდთა, არამედ ოქროდსა[167] წილ – ბრწყინვალებითა სულისა წმიდისაჲთა და ქვათა მათ წილ პატიოსანთა აქუს მას ქრისტე, მარგალიტი იგი მრავალსასყიდლისაჲ და *ცეცხლი*
5 *ღმრთეებისაჲ, რომელი შევახოთ ბაგეთა ჩუენთა*[168] *და განვწმიდნეთ ყოვლისაგან ბილწებისა*[169]. ამას მამისა თანა და სულისა წმიდისა გალობითა ვადიდებდეთ და ვიტყოდით: წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ[170], ბუნება ერთი ღმრთეებისაჲ, სამგუამოვნად[171] ცნობილი. წმიდა არს მამა ღმერთი, რომელმან სათნო-იყო შენგან და
10 შენ მიერ განსრულება საიდუმლოდსაჲ, ქალწულო, რომელმან წინაჲსწარ გამოსახა იგი უწინარეს საუკუნეთა. წმიდა არს ძლიერი ძე ღმრთისაჲ და ღმე[33]რთი ძალთაჲ, რომელმან შენ მხოლოდ, დღეს პირმშოდ, გამოგიყვანა დედისაგან ბერწისა, ვითარცა-იგი მხოლოდ მარტოდ არს მამისაგან, პირმშოდ ყოველთა დაბადებულთაჲ, და მხოლოდ შენგან
15 იშვა, ᲰᲐ დედაო და ქალწულო. პირმშოდ იგი ძმათა შორის მრავალთა მომეახლა ჩუენ მიღებითა შენგან ჴორცთა და სისხლთაჲთა, რაჲთა იყოს ყოველთა შინა მხოლოდ, რამეთუ იგი მხოლოდ მარტო არს მამისაგან მხოლოდსა და მხოლოდ დედისაგან მხოლოდსა[172]. წმიდა არს უკუდავი სული წმიდაჲ, რომელ ნოტია-ყო ღმრთეება თჳსი და ცუარითა მით
20 შენ დაგიცვა უხრწნელად და სახედ საიდუმლოდსა[173] ამის გამოისახა[174] პირველად მაყუალი იგი მოსეს ზე და მოგასწავა.

11. გიხაროდენ, პროპატიკეო, ტაძარო დედისა ღმრთისაო უბიწოო! გიხაროდენ, პროპატიკეო, საყოფელო დედოფლისა ჩუენისა მშობელთაო!

---

166 შეამკვო S.

167 ოქრუსა S.

168 ჩვენთა S.

169 **ეს. 6, 6-7.**

170 საბაოჲთ S.

171 სამგვამოვნად S.

172 რაჲთა იყოს ყოველთა შინა მხოლოდ, რამეთუ იგი მხოლოდ მარტო არს მამისაგან მხოლოდსა და მხოლოდ დედისაგან მხოლოდსა – **ეს ტექსტი არის შემოკლებული გადმოცემა ბერძნული ტექსტის მოზრდილი მონაკვეთისა:** All ouk ek monou se Patro~, h ek monh~, Mhtro~ prohgagen, ina tw monw Monogenei fulacqh to kata panta monogene~. Auto~ gar mono~ monogenh~ ek monou Patro~, kai mono~ ek monh~ Mhtro~ (PG 96, col. 677 B 6-10; Kotter 1988:180,18-181,20), **რომელიც სრულად არის წარმოდგენილი თეოფილესა და ეფრემის თარგმანებში:** "რაჲთა მხოლოდშობილი დამარხულ იქმნე ყოვლითურთ მხოლოდშობილისა მიერ, რამეთუ იგი ოდენ მხოლოდ თავადი არს მხოლოდ მხოლოდსაგან მამისა მხოლოდშობილი და კუალად მხოლოდ მხოლოდსაგან დედისა" (თეოფილე); "რაჲთა მხოლოდ იგი მხოლოდ დაიცვას, მხოლოდ მხოლოდსაგან მხოლოდშობილად, რამეთუ იგი მხოლოდ არს მხოლოდ მამისაგან მხოლოდშობილი და მხოლოდ მხოლოდსა დედისაგან" (გოგუაძე 1986:123,35-37) **(იხ. შენიშვნ. №172).**

173 საიდუმლოდსა S.

174 გამოდსახა S.

*გიხაროდენ, პროპატიკეო, რომელი პირველ იყავ სა[34]დგურ ცხოვართა იოვაკიმისთა და დღეს იქმნა ეკლესია სამწყსოთა მათთჳს ქრისტესთა პირმეტყველთა (იხ. 10,16),* მიმსგავსებულო ცათაო, *რომელ პირველ ერთგზის წელიწადსა შინა შეიწყნარებდ*[175] *ანგელოზსა ღმრთისასა* 5
*და აჩუენებდ სასწაულსა მიუწდომელსა*[176], *რამეთუ ამრღუევასა მას წყალთასა ერთი ხოლო განიკურნის და შეცვალის სენი მისი სიმრთელედ (იხ. 5,4).*

ხოლო აწ სიმრავლე ძალთა ზეცისათაჲ ადიდებს ჩუენ თანა დედასა ღმრთისასა, რამეთუ სიღრმე არს საკჳრველებათაჲ, აღმომაცენებელ კურნებისაჲ და განმანათლებელი ყოვლისა სოფლისაჲ. არა შეიწყნარა[177] 10
მსახურებად თჳსა ანგელოზი, არამედ ზრახვაჲ იგი ზეშთა დიდებისაჲ[178], და ვითარცა საწმისსა ზედა უჴმობელად გარდამოავლინა წჳმაჲ[179] სიმართლისაჲ, და ყოველი ბუნება, დამჴობილი და ხრწნილებად მიდრეკილი, სრულსა მას სიკეთესა და ცხორებასა დაუბერებელსა [35] მიაწია უფალმან და განამტკიცა, რომლისა მიერ განრღუეული იგი, 15
რომელი იყო შენ შორის, ვითარცა ირემი, ხლდომით განივლინა.

*გიხაროდენ, პროპატიკეო, პატიოსანთა უბიწოთა საყუარელო*[180], *და შეემატენ ნიჭთა შენთა! გიხაროდენ, ჰ მარიამ, ასულო ანაჲსაო, შუენიერო და ტკბილო! შენდა მიმართ კუალად სურვილითა აღვიძრვი* *და მოვისწრაფი შენდა. ვითარ გამოვსახო ნანარად სლვაჲ შენი და* 20
*ვითარ გამოვთქუა ღირსებისა იგი სამოსელი შენი, ანუ*[181] *ვითარ მოვასწავო სიწმიდით და ღირსებით შემკული პირი შენი, გული მხიარული და გუნებაჲ მჭმუნვარე*[182] *და სიბრძნე მოხუცებულებრი*[183], *ჰასაკსა შინა ჭაბუკისასა ქცევაჲ, განგება, ყოვლისაგან დაჴსნილობისა* *და მცბიერობისა მეოტი, სლვაჲ დაწყნარებული, უშფოთველად მავალი,* 25

175 შეიწყნარებდ S.

176 და აჩუენებდ სასწაულსა მიუწდომელსა] – PG 96 col. 677 C 6; Kotter 1988:181,5. **თეოფილესა და ეფრემთანაც (გოგუაძე 1986:124,4) არ არის ეს ფრაზა (იხ. შენიშვნ. №176).**

177 შეიწყნარა S.

178 ზრახვაჲ იგი ზეშთა დიდებისაჲ] ton th~ megalh~ boulh~ (PG 96 col. 677 C 12-13; Kotter 1988:181,9). **თეოფილესა და ეფრემის თარგმანში (გოგუაძე 1986:124, 9-10) არის:** ”დიდისა ზრახვისა მამისა ანგელოზი”.

179 წუმაჲ S.

180 საყვარელო S.

181 ანო S.

182 გული მხიარული და გუნებაჲ მჭმუნვარე] – PG 96 col. 677 D 6; Kotter 1988:181,16. **არ არის ეს ფრაზა არც თეოფილესა და არც ეფრემთან (გოგუაძე 1986:124,18) (იხ. შენიშვნ. №182).**

183 სიბრძნე მოხუცებულებრი] სახß მოხუცებულებრი S. ghraleon fronhma (PG 96 col. 677 D 6; Kotter 1988:181,16). **თეოფილესთან არის “სიბრძნე მოხუცებული”, ხოლო ეფრემთან: “მოხუცებულებრობაჲ ცნობისაჲ” (გოგუაძე 1986:124,18).**

მეტყველება[184] მოწიწებით, სათნოდ ღმრთისა მზრახვალი[185], ცხორება
მყუდროჲ, შეზავებული ყოვლითა შუე[36]ნიერებითა და სიწმიდითა
დაყოვლითურთ განშორებული თანაქცევისაგან მამათაჲსა. და მოწამე არს
შიში იგი, რომელი შეემთხჳა[186] მას სიტყჳსგებასა მას ანგელოზისასა,
5 რამეთუ უჩუეველ იყო იგი ზრახვასა მამათასა, მორჩილ მამა-დედათაჲ
მოდრეკითა თავისაჲთა, მოშიში[187] განზრახვითა ჩუენებითა მათ
ზესკნელთაჲთა[188], სიტყუაბრწყინვალე[189] სულისა განურისხველისა.
და რაჲ-და-მე რაჲ სხუაჲ[190] ვთქუა ღირსისა მისთჳს[191] ღმრთისა
სამკჳდრებელისა[192], რამეთუ ყოვლითურთ სათნოდ ღმრთისა შემკულ[193]
10 იყო?

შენ ჭეშმარიტად ყოველნი ნათესავნი განატრიან, მარიამ, რომელმან
მოართუ დიდებაჲ ყოველთა კაცთა. შენ ხარ სიქადული მდდელთაჲ[194],
შენ ხარ სიმტკიცე მეფეთა[195] და სასო ქრისტიანეთა. შენ ხარ
სიქადული დედათაჲ და სიხარული მამათაჲ, ნერგი ქალწულებისაჲ
15 მრავალნაყოფიერი, მომცემელი სიტკბოე[37]ბისაჲ. შენ მიერ განვრცნა
სიკეთე ქალწულებისაჲ. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და
კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაჲ. რომელნი აღგიარებენ შენ
დედად ღმრთისა, იკურთხევიან, და რომელნი უვარ-გყოფენ, წყეულ
არიან!

20 12. ჲ ორთა მათ უბიწოთა, იოვაკიმს და ანას, ღირსად ცხორებულთა![196]

---

184 მეტყველება S.

185 მზახვალი S.

186 შეემთხუა S.

187 მოშიში] მშიერი S.

188 მოშიში [მშიერი S] განზრახვითა ჩუენებითა მათ ზესკნელთაჲთა] Fronhma tapeinon en Qewriai~ uyhlotatai~ (PG 96 col. 680 A 3-4; Kotter 1988:181,20-21). **თეოფილე ამ ფრაზას ასე თარგმნის:** "შიში იგი, რომელი შეგემთხჳა მოკითხვასა მას ანგელოზისასა", **ხოლო ეფრემის თარგმანშია:** "შიში იგი, რომელი შეგემთხჳა მოკითხვასა უჩუეველსა მას ზედა ზრახვასა ანგელოზისასა" (გოგუაძე 1986:124,22-23). **S 3648-ის "მშიერი" გადამწერის შეცდომა უნდა იყოს.**

189 სიტყვაბრწყინვალე S.

190 სხჳაჲ S.

191 მისთუს S.

192 სამკუდრებელისა S.

193 შემკოლ S.

194 მღვდელთაჲ S.

195 შენ ხარ სიმტკიცე მეფეთა] – PG 96 col. 680 A 8. **კოტერის გამოცემის ძირითად ტექსტში არის ეს სიტყვები:** "basilewn sthrigma" (Kotter 1988:181,24) **და ვარიანტულ წაკითხვებში გაკეთებული აქვს ასეთი შენიშვნა:** basilewn sthrigma om., sed suppl. Sub aster. i. m. inf. L. **ეს ფრაზა არის ეფრემისა (გოგუაძე 1986:124,29) და თეოფილეს თარგმანებშიც (იხ. შენიშვნ. №195).**

196 ღირსად ცხორებულთა] – PG 96 col. 680 A 14; Kotter 1988:182,1. **ეს სიტყვები არ არის არც თეოფილესა და არც ეფრემთან (გოგუაძე 1986:124,35).**

შევსწირავთ თქუენდა თქუმულთა ამას შობისათჳს ასულისა თქუენისა[197] ყოვლადწმიდისა[198].

ჰ ასულო იოვაკიმისო და ანაჲსო, დედოფალო[199] და დედაო ღმრთისაო![200] შეიწირე[201] და შეიწყნარე თქუმული[202] ესე ცოდვილისა მონისაჲ, რამეთუ სიმძაფრისაგან სურვილისა და წადიერებისა არს, რაჲთა შენ მხოლოჲ მოგიგო სასოდ სიხარულისა და წინდად ძლიერად ცხორებისა თჳსისა და მეოხად და მფარველად თავისა თჳსისა და წინამძღუარად[203] და მიმყვანებელად ძისა შენისა და აღმღებელად ტჳრთისა მის ცოდვათაჲსა და მომძარცუველად[204] [38] ნისლისა მის წყუდიადისა[205] ბნელისაჲ და გონებათა დამაბნელებელისა. და სიზრქჱ იგი ნივთიერთაჲ განაქარვე და სიმძაფრე განსაცდელთაჲ დააყუდე[206] და შუენიერად გზაჲ ცხორებისა ჩუენისაჲ განაგე *და ნეტარებასა მას პირველსა მადიდებელთა შენთათჳს მოუწოდე და ცხორებასა მას საუკუნესა ერი შენი აღიყვანე და ლოცვითა მშობელთა შენთაჲთა და მეოხებითა ყოველთა სათნოთა და ღირსთა, იყავნ!*

გიხაროდენ, სახარულევანო, უფალი შენ თანა! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაჲ, იესუ[207] ქრისტე, ძე ღმრთისაჲ. მას მხოლოსა დიდებაჲ მამისა თანა და სულისა წმიდისა, საუკუნეთა მიმართ საუკუნეთაჲსა დაუსრულებელთა, ამინ!

197 თქვენისა S.

198 ყოვლადწმიდასა S. ასულისა თქუენისა ყოვლადწმიდისა] – PG 96 col. 680 B 2; Kotter 1988:182,2. **არ არის ეს ფრაზა არც ეფრემის თარგმანში (გოგუაძე 1986:124,35). თეოფილეს თარგმანშია:** "წმიდისა მაგის და ყოვლადუბიწოჲსა" (**იხ. შენიშვნ. №198).**

199 დედუფალო S..

200 დედაო ღმრთისაო] – PG 96 col. 680 B 3; Kotter 1988:182,2. **ეს სიტყვები არ არის არც თეოფილესა და არც ეფრემთან (გოგუაძე 1986:124,37).**

201 შეიწირე S.

202 თქმული S.

203 წინამძღვრად S.

204 მომძარცჳველად S.

205 წყდიადისა S.

206 დააყოდე S.

207 იე S. (ქარაგმაში).

## თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა, ხუცესმონაზონისა იოანე დამასკელისაჲ შობისათჳს ყოვლადწმიდისა, უხრწნელისა, უფროჲსად ჯერთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადისქალწულისა მარიამისა

Ath. 20, 171r-177v (X1 ს.; A); H 1760, 2r-7r (XV ს.; H)

**(ღვთისმშობლის შობის პირველი ჰომილიის თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანი)**

**[A171r]** 1. მოვედით უკუე ყოველნი ტომნი, ყოველნი თესლნი და ყოველნი ნათესავნი კაცთანი[208], ყოველი ენაჲ და ყოველი ჰასაკი და ყოველივე პატივი და წესიერებაჲ, და სიხარულით ვდღესასწაულობდეთ სახარულევანსა მას შობასა ღმრთისმშობელისასა[209], რამეთუ უკუეთუ
5 შვილნი ელენთანი, შეცთომილნი იგი ეშმაკთაგან და წარპარულნი გონებითა სიტყუათხზულებისა მიერ, წმასნიან საქმეთა[210] და იპარვენ სამართალსა და მოსწრაფე არიან [ ]დღეობად ჭეშმარიტებისა და აღსწერენ შობასა მეფეთასა და მეფეთა მათ დღესასწაულთა სურვილით პატივ-სცემენ და მოწიწებით შესწირვენ ძღუენთა სიხარულით, ძალისაებრ
10 თჳთოეულისა მათისა, და ესეღა ხენეშთათჳს და განხრწნილთა ცხორებითა და არაწმიდათა მოქალაქობითა, რაოდენ უფროჲსღა ჯერ-არს ჩუენდა პატივისცემად შობასა ღმრთისმშობელისასა, რომლისა მიერ აღემართა ყოველივე ნათესავი კაცთაჲ, რომლისა მიერ მწუხარებაჲ პირველისა მის დედისა ევაჲსი სიხარულად შეიცვალა, **[A171v]**, რამეთუ

---

208 ყოველნი ტომნი, ყოველნი თესლნი და ყოველნი ნათესავნი კაცთანი] panta eqnh, pan geno~ anqrwpwn (PG 96 col. 661 B 5; Kotter 1988:169,1). **ეფთვიმეს თარგმანშია:** "ყოველნი ნათესავნი და ტომნი", **ხოლო ეფრემის თარგმანში:** "ყოველნი წარმართნი, ყოველნი ნათესავნი კაცთანი" (გოგუაძე 1986:115,8). ბერძნული eqnh (eqno~ to = ტომი, ეთნოსი, სახეობა, ფენა) თეოფილემ თარგმნა ორი სიტყვით: **ტომი, და თესლი;** ეფთვიმემ დაწერა "**ტომი",** ხოლო ეფრემმა - **"წარმართი".**

209 ვდღესასწაულობდეთ სახარულევანსა მას შობასა ღმრთისმშობელისასა] to pagkosmiou eufrosunh~ geneqlion eortaswmen (PG 96 col. 661 B 7-8; Kotter 1988:169,2-3). **ეფთვიმეს თარგმანშია:** "სიხარულით ვდღესასაწაულობდეთ შობასა ქალწულისა მარიამისსა და სიხარულსა ყოვლისა სოფლისასა", **ხოლო ეფრემ მცირესთან:** "მხიარულებით ვდღესასწაულობდეთ ყოვლისა სოფლისა სიხარულსა შობისა დღესა" (გოგუაძე1986:115,9-10).

210 შვილნი ელენთანი, შეცთომილნი იგი ეშმაკთაგან და წარპარულნი გონებითა სიტყუათხზულებისა მიერ, წმასნიან საქმეთა] Ei gar Ellhnwn paide~, daimonwn yeudei muqwn kleptontwn ton noun (PG 96 col. 661 B 8; Kotter 1988:169,3-4). **ეფთვმეს თარგმანშია:** "ძენი იონთანი ცუდითა სიტყჳთა საეშმაკოჲთა მიიპარვენ გონებათა", **ხოლო ეფრემის თარგმანში:** "შვილნი მეკერპეთანი, ეშმაკთა ტყუვილისა ზდაპრობითა წარპარულნი გონებითა".

მას ესმა განჩინებისა მიერ საღმრთოჲსა: *„მწუხარებით შობაჲ შვილთაჲ”*[211], ხოლო ამას - *„გიხაროდენ, მიმადლებულო!”*[212] მას, ვითარმედ - *„ქრისაგე მიმართ იყოს მიქცევაჲ შენი”*[213] და ამას - *„უფალი შენ თანა!”*[214]

რაჲ უკუე შევწიროთ ჩუენ დედისა მის მიმართ სიტყჳსა, არამედ სიტყუაჲ, შემსგავსებული ძალისაჲ[215]. ყოველი დაბადებული ჴმობდინ ჩუენ თანა[216] და აქებდინ წმიდასა ანნას, უწმიდესსა მას ნაყოფსა, და სიხარულით დღესასწაულობდინ, რამეთუ შვა ნანდჳლვე საღმრთომან ანნა სიმდიდრე იგი სოფლისაჲ და საუნჯე კეთილთაჲ დაულევნელი, რამეთუ მის მიერ დამბადებელმან მან ბუნებათამან უაღრესად შეცვალა ყოველივე ბუნებაჲ დაბადებული შუვამდგომელობითა კაცებისაჲთა, რამეთუ უკუეთუ კაცი მდგომარე არს შორის გონებისა და ნივთთა და არს საკრველ, ანუთუ შემკრებელ ყოვლისავე ხილულისა და უხილავისა ბუნებისა დაბადებულისა, საცნაურ არს უკუე, რამეთუ შეერთო რაჲ შემოქმედი და დამბადებელი ღმერთი ბუნებასა კაცობრივსა, მის თანა განახლდებიან ყოველნივე ბუნებანი, ვინაჲცა ვდღესასწაულობდეთ დღეს განჴსნასა კაცთა ბერწობისასა, რამეთუ განმეჴსნა ჩუენ საკრველი იგი კეთილთა მიმართ უქმობისაჲ.

2. არამედ რაჲსათჳს იქმნა შობაჲ ქალწულისაჲ ბერწისაგან? ამისთჳს, რაჲთა მხოლოდ მხოლომან მან მზესა ქუეშე ყავ გზაჲ სახიერ სასწაულსა მას სასწაულითა და მცირედ-მცირედ აღიყვანოს უმდაბლესთაგან უაღრესთა მიმართ. ხოლო მაქუს რაჲმე სხუაჲცა სიტყუაჲ, უმაღლესიცა და საღმრთოჲ, რამეთუ ბუნებაჲ ძლეულ იქმნა მადლისაგან და მდგომარე იყო შიშით და სწრობად მისსა ვერ შემძლებელ იყო, რამეთუ ვინაჲთგან ეგულვა ღმრთისმშობელსა ქალწულსა შობაჲ ანნაჲსგან, ვერ იკადრებდა ბუნებაჲ წინაჲსწარსწრობად ყუავილსა მას მადლისასა, არამედ ეგო უნაყოფოდ, ვიდრემდის მადლმან მან ნაყოფი იგი აღმოაცენოს, რამეთუ ჯერ-იყო, *რაჲთა იშვას პირმშოდ მშობელი იგი პირმშოსა მას ყოველთა დაბადებულთასა, რომლისა მიერ დაიბადა ყოველი არსებაჲ და არს იქმნა*[217].

ᲐᲑ ნეტარებასა მას თქუენსა, ღირსნო იოვაკიმ და ანნა, რამეთუ

211 **დაბ. 3,16.**

212 **ლკ. 1,28.**

213 **დაბ. 3,16.**

214 **ლკ. 1,28.**

215 შემსგავსებული ძალისაჲ] – PG 96 col. 661 C 5; Kotter 1988:169,12. **არ არის არც ეფთვიმეს და არც ეფრემის თარგმანში.**

216 ჴმობდინ ჩუენ თანა] euwceisqw (PG 96 col. 661 C 6. suneuwceisqw Kotter 1988:169,13). **ეფთვიმეს თარგმანში:** “მხიარულ იყავნ”, **ხოლო ეფრემმა ზუსტად გადმოიღო ეს ბერძნული სიტყვა:** (euwcia euwcew=ნადიმი; გამასპინძლება, ნადიმობა): “ჩუენ თანა მეინაჴეობდინ” (გოგუაძე 1986:115,22) (**იხ. შენიშვნ. №216**).

217 **კოლას. მიმ. 1,15-17.**

ყოველივე ბუნებაჲ თანამდებ არს თქუენდა და მოვასხე, რამეთუ თქუენ მიერ [მიუღოს]რა ძღუენი შემოქმედსა, ძღუენი უაღრესი ყოველთაჲვე და უზეშთაესი, რომელ არს დედაჲ წმიდაჲ და იგი ოდენ მხოლოჲ ღირსი დამბადებელისაჲ.

ᲐᲮ რჩეულებასა მას შენსა[218], იოვაკიმ, ყოვლადსანატრელო, რომელმან დასთესე თესლი იგი უბიწოებისაჲ! ᲐᲮ საშოსა მას ანნაჲსასა, რომელსა შინა მცირედ-მცირედ შემატებითა აღორძნდა და გამოისახა რაჲ, იშვა ჩჩჳლი ყოვლადწმიდაჲ! ᲐᲮ საშოჲ იგი სანატრელი, რომელმან დაიტია თავსა შორის თჳსსა ცაჲ იგი სულიერი, სივრცესა მას ცათასა უვრცესი და უაღრესი!

ᲐᲮ კალოჲ იგი მტჳრთველი ზჳნსა მას **[A172r]**, ცხოველმყოფელისა იფქლისასა, რაჲთა თქუა თჳთ თავადმან ქრისტემან, ვითარმედ: *„უკუეთუ არა მარცუალი იფქლისაჲ დავარდეს ქუეყანასა ზედა და მოკუდეს, იგი ოდენ მხოლოჲ ეგოს”*[219].

ᲐᲮ ძუძუნი იგი, რომელნი წოვნა მზრდელმან მან მზრდელისა მის სოფლისამან! ᲐᲮ სასწაული სასწაულთაჲ და საკჳრველი საკჳრველთაჲ, რამეთუ ჯერ-იყო ნანდჳლვე გამოუთქუმელსა მას გარდამოსლვასა ღმრთისა განკაცებისასა გზა-ყოფად საკჳრველებითა!

გარნა ვითარ-მე ვიდოდი მე წაღმართ გზისა მის მიმართ სრბოლადისა, რამეთუ განკრთობილ არს გონებაჲ ჩემი და განყოფილ ვარ მე და გან[სრ]ულ შიშისა მიერ და სურვილისა, ჰკრთების გული და შეიკრვის ენაჲ, რამეთუ ვერ პირსა უძლებს თავსდებად გემოვნებასა მას სიტკბოებისასა. ძლეულ ვარ სასწაულითა და შეერთებულ მტკიცედ სურვილისა მიერ, სძლევდინ უკუე სურვილით და ივლტოდენ შიში, ანუთუ კნინ ოდენ განეშორენ და ესრეთ გალობდინ ენაჲ, მორთული ქნარითა მით სულისაჲთა. *„იხარებდინ ცანი  და იშუებდინ ქუეყანაჲ”*[220].

3. *დღეს განეხუმან ბჭენი ბერწობისანი და გამოვალნ ბჭე იგი საღმრთოჲ ქალწულებისაჲ, რომლისაგან და რომლისა მიერ ღმერთი ყოველთა არსთაჲ შემდგომად მისსა სოფლად შემოვალს ჴორციელად*[221] და გუასმენს ქუეყანისათა თჳთ უთქუმელთა მათ სიტყუათა პავლეჲსთა: *„დღეს ძირისაგან იესესა კუერთხი იგი მორჩ იქმნების, რომლისაგან აღ-მოუცენდა სოფელსა ყუავილი ღმრთივგუამოვანი”*[222]. დღეს ბუნებისაგან ქუეყნიერისა შეჰმზადებს ცასა იგივე, რომელმან ოდესმე დაჰკიდა

218 ᲐᲮ რჩეულებასა მას შენსა] W osfu~ (PG 96 col. 664 B 1; Kotter 1988:170,13). **ეფთვიმეს თარგმანშია:** “ეჰა, ზურგსა”, ხოლო ეფრემთან: “ეჰა, წელთაღა შენთა” (**იხ. შენიშვნ. №218).**

219 **ინ. 12,24.**

220 **ფს. 95,11.**

221 **რომ. 9,5.**

222 **ეს. 11,1.**

ქუეყანაჲ წყალთა ზედა და ზეშთა სიმაღლედ გარდაართხა სამყაროჲ, რომელი ესევითარად უაღრეს არს მას ჭეშმარიტად და უდიდებულეს, *რომელი-იგი განაშუენა მზითა.* **[H 2r]**[223] ხოლო ამის მიერ თჳთ აღმოჴდა[224] თავადი იგი მზე სიმართლისაჲ ორითა ბუნებითა, დაღაცათუ ცბიან უთაონი იგი და ერთითა გუამითა დაღაცათუ განიღებიან ნესტორიანნი, 5 რამეთუ ნათელსა მას სამარადისოსა სამარადისოჲსა მისგან ნათლისა საუკუნოჲსაჲ[225] და პირველისა მისგან მიზეზისა აქუს არსებაჲ სწორადვე მისა და არს იგი უნივთო და უჴორცო ბუნებითა მით ღმრთეებისაჲთა, ხოლო განკაცნების ამისგან უკუანაჲსკნელ და *თავადი, ვითარცა სიძე იგი,* მოვალს სასძლოჲთ. და ღმერთ არს იგი და კაც იქმნების, ხოლო 10 შემდგომად ამისა იხილო იგი, *ვითარცა გმირი, სრბად გზასა მას*[226] ბუნებისა ჩუენისასა და ვნებათა მიერ თჳსთა მიმავალად სიკუდილისა მიმართ და განიცადე კეთილად, *თუ ვითარ შეკრას ძლიერი იგი და აღიტაცოს ჭურჭელი მისი,*[227] რომელ არს ბუნებაჲ ჩუენი, და *აღიყვანოს ზეცასა მას შინა ქუეყანასა შეცთომილი იგი ცხოვარი.*[228] 15

დღეს ძᲩ იგი ხუროთმოძღურისაჲ, ყოვლადჴელოვანი სიტყუაჲ, შემმზადებელი იგი ყოვლისავე ბუნებისაჲ, მარჯუენე იგი და მკლავი ძლიერი **[A172v]** ღმრთისა მაღლისაჲ, თითთა მიერ თჳსთა გამოჴსახავს[229] მადლსა მას სულისასა და აღჴლესავს ეჩოსა მას ბუნებისასა და *იშენებს თავისა თჳსისა სულიერსა მას კიბესა, რომლისა აღსავალი* 20 *მისი დამტკიცებულ არს ქუეყანასა ზედა, ხოლო თავი მისი მისწუთების ვიდრე თავადმდე ცათა*[230], რომელსა ზედა განისუენებს ღმერთი, რომლისა სახე წინაჲსწარვე იხილა იაკობ, რომლისა მიერ გარდამოჴდა უქცეველად, უფროჲსდა თანა-დამდაბლდა გარდამოსლვისა მიერ და *ღმერთი ქუეყანასა ზედა გამოჩნდა და კაცთა შორის აღიზარდა*[231], 25 რამეთუ ესე არს გარდამოსლვაჲ, თანაშთამოსრული იგი სიმდაბლე და ქუეყანასა ზედა მოქალაქობითა მით თჳსითა მიცემად ქუეყანისათა მეცნიერებისა მის თჳსისა, ვინაჲცა არს ქუეყანით კიბე იგი საცნაური, რომელსა ზედა დამტკიცებულ არს ქალწულებაჲ, რამეთუ აქუს მას შობაჲ ქუეყანით, ხოლო თავი მისი მისწუთების ვიდრე ცადმდე, რამეთუ 30

---

223 **ამ ადგილიდან შესაძლებელია გავითვალისწინოთ XV ს-ის ნუსხის, H 1760-ის ჩვენებები, რადგან ტექსტი ამ ხელნაწერში პირველი ფურცლის შემდეგ დაუზიანებელია.**

224 აღმოჴდა H.

225 საუკუნოჲსა H.

226 **ფს. 18,6.**

227 **მთ. 12,29.**

228 **ლკ. 15,4.**

229 გამოჴსახავს A] გამოსახავს H.

230 **დაბ. 28,12.**

231 **ბარ. 3,38.**

*ყოვლისავე დედაკაცისა თავ მამაკაცი არს*[232]. ხოლო ამან, ვინაჲთგან მამაკაცი არა უწყოდა, ამისთჳს თავ მისა იცნობა ღმერთი და მამაჲ, სულისა მიერ წმიდისა მცვალებელი იგი წესთა მათ შჯულისათა, რომელმან მხოლომან, ვითარცა თესლი საღმრთოჲ სულიერი, ძესა მას
5 თანა თჳსსა და სიტყუასა ყოვლადძლიერსა, ძალი მაღლით მოავლინა, რამეთუ ნებითა მამისაჲთა, არა წესითა ბუნებისაჲთა, არამედ სულისაგან წმიდისა და მარიამისგან ქალწულისა უზეშთაეს ბუნებისა *იქმნა განკაცებაჲ იგი სიტყჳსაჲ უქცეველად და დამკჳდრებაჲ ჩუენ შორის*[233] და შეერთებაჲ ღმრთისაჲ კაცთა თანა განეგო სულისა მიერ წმიდისა.
10 დამტევნელმან დაიტიენ და *„რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ესმოდენ"*[234].

შორს ვიქმნნეთ ჴორცთაგან და ჴორციელთა ზრახვათა, რამეთუ უვნებელ არს ღმრთეებაჲ, ჰ კაცო, და უვნებელად შვა პირველ მამამან ძე თჳსი, ბუნებით უვნებელად მისგან შობილი. ხოლო მეორე ესე განგებულებაჲ არს და მოწამე არს ამას დავით, მამაჲ ღმრთისაჲ,
15 რამეთუ იტყჳს: *„უფალმან მრქუა მე – ძჱ ჩემი ხარი შენ. დღეს მიშობიე შენ*[235]*."* ხოლო თუ „დღეს", პირველ ყოველთა საუკუნეთა შობასა მას თანა შეუმსგავსებელ არს და დაუტე**[H2v]**ვნელ, რამეთუ იგი უჟამოჲ არს.

4. *დღეს აღმოსავალით იშენების ბჭე, რომლისა მიერ შევიდეს ქრისტე და გამოვიდეს და ეგოს ბჭე იგი დაჴშულადვე*[236]*, რომელსა შინა იპოოს*
20 *ქრისტე, კარი იგი ცხოვართაჲ.*[237]*„მზის აღმოსავალ"*[238] *სახელი მისი, რომლისა მიერ პირველისა მის მიმართ ნათლისა - მამისა - ვპოვეთ*[239] *გზაჲ წმიდაჲ მიახლებისაჲ*[240]*.*

დღეს დაჰბერეს ნიავთა და აცურიეს ღრუბელთა ცუარი სიხარულისაჲ, ყოვლადშუენიერისა მის წინაჲსწარმაუწყებელთა[241]. იხარებდინ უკუე

232 **ეფ. 5,23.**
233 **ინ. 1,14.**
234 **ლკ. 8,8.**
235 **ფს. 2,7.**
236 **ეზ. 44,2-3.**
237 **ინ. 10,9.**
238 მზის აღმოსავალ] დიდ აღმოსავალ AH. Anatolh (PG 96 col. 665 C 14; Kotter 1988:172,3). **ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანებში არის "აღმოსავალ". ეს არის ზაქ. 6,12-დან აღებული პარაფრაზირებული ციტატა. ერთ-ერთ ლექციონარში, ნაცვლად ბიბლიის ძირითადი ნუსხების "აღმოსავალ"-ისა, არის: "მზის აღმოსავალ" (იხ.: ჭელიძე 2015:1593). ვფიქრობთ, თეოფილეს თარგმანში თავიდან იყო "მზის აღმოსავალ", რაც გადამწერის მიერ არის შეცვლილი "დიდ აღმოსავალ"-ით. ამიტომ ტექსტში გავასწორეთ ეს სიტყვა (იხ. შენიშვნ. №238).**
239 ვპოვეთ A] ვპოეთ H.
240 **ზაქ. 6,12.** მიახლებისაჲ A] განახლებისაჲ H.
241 და აცურიეს ღრუბელთა ცუარი სიხარულისაჲ, ყოვლადშუენიერისა მის წინაჲსწარმაუწყებელთა] Shmeron epneusan aurai cara~ pagkosniou proaggeloi (PG 96 col. 665 C15-D1; Kotter 1988:172,4-5). **ეფთვიმეს თარგმანშია:** "დღეს მოჰბერეს ნიავთა სიხარულისათა, მსწრობელთა ხარებისათა ყოვლისა სოფლისათა". **ეფრემიც**

ცანი ზეგარდამო და იშუებდინ ქუეყანაჲ, საფუძველითურთ იძრვოდენ
სოფელი და ზღუაჲ ესე ქუეყანისაჲ უფსკრულითურთ, რამეთუ მას
შინა იშვების კოხლიოჲიგი[242], რომელი ზეგარდამოჲსა მისგან ელვისა
**[A173r]** ღმრთეებისა მუცლად-იღებს და შობს მრავალსასყიდლისა მას
მარგალიტსა - ქრისტესა, რომლისა მიერ მეუფე იგი დიდებისაჲ შეიმოსს 5
ძოწეულსა მას ჴორცთასა და პორფირსა კაცებისასა და მივალს ტყუეთა
მათ თანა ქადაგებად განტევებისა. განსცხრებოდენ ბუნებაჲ, რამეთუ
იშვა ტარიგი იგი, რომლისაგან მწყემსმან შეიმოსა სახე ცხოვარისაჲ და
განხეთქა კუართი იგი პირველისა მის ცოდვისაჲ. განეწყვენ ქალწულებაჲ,
რამეთუ „იშვა ქალწული", სიტყჳსაებრ ესაიაჲსა, „*რომელმან მუცლად-* 10
*იღოს და შვეს ძჱ და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ*"[243], რომელ არს
„ჩუენ თანა ღმერთი". ჩუენ თანა არს ღმერთი, ცანთ, ნესტორიანნო, და
იძლიენით, რამეთუ *ჩუენ თანა არს ღმერთი, არა ანგელოზი, არა კაცი, არცა*
*მოციქული*[244], *არამედ თჳთ თავადი უფალი, რამეთუ მოვიდა ნანდჳლვე,*
*მოვიდა და მაცხოვნნა ჩუენ*[245]. *კურთხეულ არს მომავალი სახელითა* 15
*უფლისაჲთა ღმერთი უფალი და გამოგჳჩნდა ჩუენ*[246]. განვჰმზადოთ
დღესასწაული სიხარულისაჲ შობასა ღმრთისმშობელისასა! *იხარებდ*
*ანნა ბერწი, რომელი არა შობდ. ადიმაღლე ჴმაჲ შენი და ღაღად-ყავ,*
*რომელსა არა გელმოდა!*[247] განსცხრებოდე, იოაკიმ, რამეთუ ასულისაგან
შენისა „*იშვა ჩუენდა ყრმად ჩჩჳლად ძჱ და მოგუეცა ჩუენ და ჰრქჳან* 20
*მას დიდისა ზრახვისა მამისა ანგელოს და მაცხოვარ სოფლისა, ღმერთ*
*ძლიერ და ჴელმწიფე და მთავარ საუკუნეთა*"[248].

ჰრცხუენოდენ ნისტორს და დაიდევნ ჴელი პირსა თჳსსა, რამეთუ

---

**ზუსტად მისდევს ბერძნულ ტექსტს:** "დღეს მოჰბერეს ნიავთა, წინამაუწყებელთა ყოვლისა სოფლისა სიხარულისათა" (გოგუაძე 1986:117,38-39) (**იხ. შენიშვნ. №241).**

242 კოხლიოჲ იგი] koclo~ (PG 96 col. 665 D 4; Kotter 1988:172,6). **თეოფილემ უთარგმნელად გადმოიღო ბერძნული სიტყვა, რაც ნიშნავს "ლოკოკინას სპირალისებური ჯავშნით".**

243 **ეს. 7,14.**

244 არა ანგელოზი, არა კაცი, არცა მოციქული] Ouk anqrwpo~, ou presbu~ (PG 96 col. 668 A 11; Kotter 1988:173,16). **ეფთვიმეს თარგმანშია:** "არა კაცი, არცა მამშჳდებელი", **ხოლო ეფრემთან:** "არა კაცი, არცა მოციქული" (გოგუაძე 1986:118,8). **როგორც PG–ს Reg. 2-ში, ასევე კოტერის გამოცემის ნუსხებში, "კაცის" ნაცვლად არის "ანგელოზი": ἄνθρωπος [(PG 96 col. 668 A 11) ἄγγελός (Reg. 2: ἄγγελος), ἄνθρωπος (Kotter 1988:173,16)] ἄγγελος (Kotter 1988:173,16 EY) (იხ. შენიშვნ. №244).**

245 **ეს. 63,9.**

246 **ფს. 117,26.**

247 **ეს. 44,1.**

248 **ეს. 9,6.** ღმერთ ძლიერ და ჴელმწიფე და მთავარ საუკუნეთა] Qeo~ iscuro~ (PG 96 col. 668 B 4); Qeo~ iscuro~ om. G 1 (Kotter 1988:173,22). **ეფთვიმეს თარგმანშია:** "ღმერთი ძლიერი და ჴელმწიფე, მთავარი მშჳდობისაჲ, მამა მერმეთა საუკუნეთა". **ეფრემი ზუსტად თარგმნის ბერძნულ ტექსტს და ციტატას ესაია 9,6-დან ასრულებს სიტყვებით:** "ღმერთი ძლიერი" (გოგუაძე 1986: 118,14-15) (**იხ. შენიშვნ. №248).**

ყრმაჲ ღმერთ არს და ვითარ არა ღმრთისმშობელ არს დედაჲ მისი? "რომელიცა უკუე არა აღიარებს ღმრთისმშობელად წმიდასა მას ქალწულსა, გან-მცა-ყოფილ არს ღმრთეებისაგან!"[249]*არა ჩემი არს სიტყუაჲ, არამედ ჩემი არს სახე და საქმე და ესე მოძღურებაჲ მოვიღეთ ჩუენ პირველითგანვე: პირველად თჳთ თავადისა ღმრთისაგან, რომელი განკაცნა, მისგან, და მერმე – წმიდათა მოციქულთაგან, ხოლო უფროჲსდა დიდისა მისგან ღმრთისმეტყველისა, იოანე მახარებელისა, რომელმან-იგი ღმრთივშუენიერად გამოთქუა გამოუთქუმელი იგი ღმრთეებაჲ სიტყჳსაჲ და აღგვიწერა ჩუენ რჩეულად პირველობაჲ იგი[250] ძისაჲ და თანასწორებაჲ[251] მამისა და სულისაჲ, და შემდგომად მისა - წმიდათა მამათა მიერ და მღდელთმთავართა და ნეტარისა გრიგოლის მიერ ღმრთისმეტყველისა ღმრთისმეტყველებით სწავლულ ვიქმნენით*[252].

5. ȣ ნეტარი იგი მეუღლებაჲ იოაკიმ და ანნაჲსა, და ჭეშმარიტად წმიდაჲ და უბიწოჲ, რომელი-ესე საცნაურ-იქმნა ნაყოფისა**[H3r]**გან მუცლისა მათისა, ვითარცა თქუა უფალმან, ვითარმედ „*ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი*"[253], რამეთუ ვინაჲთგან სათნოდ ღმრთისა იქცეოდეთ, მართალნო, და ღირსად თქუენგან შობილისა მის ჰმოქალაქობდით და სიწმიდე და ღმრთისმსახურებაჲ შეიტკბეთ, ამისთჳსცა გამოიღეთ ყუავილი იგი ქალწულებისაჲ, - ქალწული იგი პირველ შობისა და ქალწული შობასა და ქალწული შემდგომად შობისა, **[A173v]** მხოლოჲ იგი ქალწული და მარადის ქალწული, ნანდჳლვე იგი მხოლოჲ ქალწული სულითა, გონებითა და ჴორცითა, რამეთუ ჯერ-იყო სიწმიდისაგან აღმოცენებად ქალწულებისა და მხოლოჲსა მისგან მხოლოდშობილსა მას ნათელსა წარმოჩინებად ჴორციელად ნებითა უჴორცოჲსა მის მშობელისა უშობელისაჲთა, ხოლო მარადის მშობელისაჲთა, რომლისა თჳთებაჲ გუამოვნებათა ესეოდენ არს მშობელობაჲ, შობილობაჲ და გამოსლვაჲ მისვე თავადისა მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲ, ერთისა მის და განუყოფელისა ღმრთეებისაჲ[254].

---

249 **გრიგოლ ღვთისმეტყველის I ეპისტოლე კლიდონის მიმართ.**

250 იგი A] – H.

251 თანასწორებაჲ A] თანასწორობაჲ H.

252 **ეს მონაკვეთი:** *არა ჩემი არს სიტყუაჲ... სწავლულ ვიქმნენით* - **ბერძნულ დედანში** (PG 96 col. 668 B 8-10; Kotter 1988:173,25-26) **შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:** "Ouk emo~ o logo~, ei kai emo~ o logo~. Klhron gar touton ek qeologou patro~ Grhgoriou qeologikwtaton dedegmai. **არც ეფრემისა (გოგუაძე 1986:118,19) და ეფთვიმეს თარგმანები მიყვებიან ბერძნულ ტექსტს (იხ. შენიშვნ. №252).**

253 **მთ. 7,16.**

254 **თეოფილეს თარგმანის ეს მონაკვეთი:** "რომლისა თჳთებაჲ გუამოვნებათა ესეოდენ არს მშობელობაჲ, შობილობაჲ და გამოსლვაჲ მისვე თავადისა მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲ, ერთისა მის და განუყოფელისა ღმრთეებისაჲ" **ბერძნულ ტექსტში** (PG 96 col. 668 C 8-9; Kotter 1988: 174,10-11) **წარმოდგენილია შემდეგნაირად:** "to mh gennwn, aei de gennwmenon ou to gennasqai upostatikon monon idiwma. **ეფრემი**

ჰ რაოდენთაღა კეთილთა შესაკრებელ იქმნა ასული იგი კურთხეული
და ვითართაღა და რაბამთა საკჳრველებათა და სასწაულთა სავანედ
გამოჩნდა ნეტარი იგი, რამეთუ შობისა წილ ბერწობისა შვა ქალწულებით
შეზავებაჲ იგი ღმრთეებისა და კაცებისაჲ, ვნებულისა და უვნებელისაჲ,
მოკუდავისა და უკუდავისაჲ[255], ცხორებისა და სიკუდილისაჲსა, რაჲთა
ყოველსა შინა იძლიოს უდარესი უაღრესისაგან და ესე ყოველი ჩემისა
ცხორებისათჳს.

ჰ მეუფეო, რამეთუ ესრეთ შემიყუარე მე, ვიდრეღა არა ანგელოზისა
მიერ ჰქმენ ესე, არცა სხჳსა რაჲსა მიერ დაბადებულისა, არამედ
ვითარცა პირველი იგი დაბადებაჲ, ესრეთვე მეორე ესე განახლებაჲ
თავადმან შეჰმზადე.

*ამისთჳსცა მხიარულ ვარ და განვსცხრები და განვაწყობ მწყობრსა
მას მგალობელთასა და აღვსძრავ სურვილით ქნარსა მას სულისასა
და სამძალსა ძლევისასა და განვკჳრდები და შევასხამ და ვადიდებ
ძალისაებრ მრავალვრცელთა მათ წყობათა შენთა და კუალად
წყაროჲსა მის მიმართ სასწაულთაჲსა მივიქცევი და ნეკტარსა მას შინა
სიხარულისასა და ცუაროვნებასა მადლისასა აღმოვალტობ ორღანოსა
მას ათძალსა სულისასა და ძალთა მათ მისთა მოურთავ ძლიერად
სიმჭნითა მით ახოვნებისაჲთა და ესრეთ წარჰმართებ ებანსა მას
ენისასა და ვადიდებ წმიდასა მას შობასა ღმრთისმშობელისასა.*[256]

6. ჰ პატიოსანნო გურიტნო სიტყჳერნო, იოაკიმ და ანნა, რომელთა
დაიმარხეთ შჯული იგი ბუნებისაჲ სიწმიდით, ამისთჳსცა უზეშთაესსა
მას ბუნებათასა ღირს-იქმნენით შობად, რამეთუ უშევთ სოფელსა
დედაჲ ღმრთისაჲ უქორწინებელი. თქუენ, სანატრელნო, ღირსად და
ღმრთისმსახურებით ჰმოქალაქობდით ბუნებასა მას შინა კაცებისასა.
ამისთჳსცა უაღრესი ანგელოზთაჲ ჰშევთ აწ და ასული მეუფისა მის
ანგელოზთაჲსა.

ჰ ასული შუენიერებისაჲ და სიტკბოებისაჲ! ჰ შროშანი სულნელებისაჲ,
აღმომაცენებელი ძირთაგან სამთავროთა და სამეუფოთა დავითებრთა,
რამეთუ შენ მიერ გამდიდრდა მეფობაჲ მღდელობითა! ჰ ასულო
სიწმიდისაო! შენ [**H3v**] მიერ იქმნა ცვალებაჲ შჯულისაჲ და გამოცხადებაჲ

---

**(გოგუაძე 1986:118,32) მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "რომელი არა შობილ არს, არამედ მარადის მშობელ, რომლისა-იგი შობაჲ თჳთებაჲ ხოლო არს გუამოვნებისაჲ". **ეფთვიმესთან ეს მონაკვეთი შემდეგნაირად არის გადმოღებული:** "რომელი არაოდეს იშვა და მარადის მშობელ არს, რომლისა გუამსა აქუს მარადის მშობლობაჲ საკუთრად მას მხოლოსა" (**იხ. შენიშვნ. №254).**

255 მოკუდავისა და უკუდავისაჲ]_ PG 96 col. 668 C13; Kotter 1988: 174,14. **ეს სიტყვები არ არის არც ეფთვიმეს და არც ეფრემის თარგმანში (1986:188,34).**

256 *ამისთჳსცა... ღმრთისმშობელისასა*] **ეს მონაკვეთი ძალიან არის გავრცობილი თეოფილეს თარგმანში. რაც შეეხება ეფთვიმესა და ეფრემის (გოგუაძე 1986:118,41-119,2) თარგმანებს, ისინი უცვლელად თარგმნიან ბერძნულ ტექსტს** (PG 96 col. 668 D 4-col. 669 A 2; Kotter 1988: 174,19-22). (**იხ. შენიშვნ. №256).**

წერილისაჲ სულისა მიერ! შენ მიერ შეკრბეს ერთად ორნი იგი ტომნი სამღდელონი და სამეუფონი და პატივსა **[A174r]** მას ლევიტელებრსა აღეზავა დიდებულებაჲ დავითებრი![257] ჰ ვარდო საწადელო, ეკლოვნებისა მისგან ჰურიათაჲსა აღმოცენებულო და სულნელებითა აღმავსებელო
5 სოფლისაო!

ჰ ასულო ადამისო და დედაო ღმრთისაო! ნეტარ არს ძირი იგი, რომელმან დაგნერგა შენ და საშოჲ, რომელმან გამოგიღო შენ! ნეტარ არიან მკლავნი იგი, რომელთა გიტჯრთეს შენ და სანატრელ ბაგენი იგი, რომელნი შეეხნეს მშობლებრ ამბორის-ყოფითა წმიდათა მათ ბაგეთა
10 შენთა, რომელი-ეგე შენ ოდენ ხარ მხოლოჲ დადგრომილ მარადის ქალწულებასა შინა.

დღეს ცხორებაჲ არს სოფლისაჲ! უგალობდით უფალსა ყოველი ქუეყანაჲ, უგალობდით და იხარებდით და აქებდით! აღიმაღლეთ ჴმაჲ თქუენი, აღიმაღლეთ და ნუ გეშინინ, რამეთუ იშვა დღეს დედაჲ ღმრთისაჲ
15 წმიდასა შინა პროვატიკესა, რომლისაგან ჯერ-იჩინა შობად კრავმან მან ღმრთისამან, რომელმან აიხუნა ცოდვანი სოფლისანი.

განსცხრებოდეთ უკუე მთანი, სიტყჳერი იგი ბუნებაჲ, და სიმაღლედ სულიერისა მის ხილვისა აღიწიენით, რამეთუ იშვების მთაჲ უფლისაჲ წარჩინებული, რომელი აღვიდა ზეშთა ყოველთავე მთათა და ბორცუთა
20 და ყოველსავე საზღვარსა კაცთა და ანგელოზთასა უმაღლეს იქმნა, რომლისაგან თჳნიერ ჭელთა ჭორციელად გამოკუეთაჲ სათნო-იყო ლოდმან თავკიდურმან ქრისტემან და ერთმან მან გუამოვნებამან განყოფილნი იგი შეაერთნა - ღმრთეებაჲ და კაცებაჲ, ანგელოზნი და კაცნი, წარმართთაგანნი იგი და ჭორციელი ისრაჱლი ერთად - კეთილად
25 სულიერად ისრაჱლად.

მთაჲ ღმრთისაჲ, მთაჲ წმიდაჲ და მთაჲ პოხილი, მთაჲ, რომელი სთნდა ღმერთსა დამკჳდრებად მას ზედა და საღმრთოჲ იგი ეტლი ბევრწილ არს და საღმრთოჲსა მადლისა მიერ წარმართებულ. წარმატებულსა მას ვიტყჳ ქერობინთა და სერაბინთასა და უწმიდესსა
30 მას სინაჲსასა, რომელსა არა კუამლი და ნისლი, არცა ალმური და ცეცხლი დაჰფარავს, არამედ განმანათლებელი იგი ბრწყინვალებაჲ ყოვლადწმიდისა სულისაჲ შეიცავს, რამეთუ მუნ სიტყუანი ღმრთისანი ფიცართა ზედა ქვისათა შჯულად აღიწერნეს, ვითარცა თითითა

257 შენ მიერ შეკრბეს ერთად ორნი იგი ტომნი სამღდელონი და სამეუფონი და პატივსა მას ლევიტელებრსა აღეზავა დიდებულებაჲ დავითებრი!] metateqento~ ek th~ Leuitikh~ fulh~ epi thn Dabitikhn tou ieratikou axiwmato~ (PG 96 col. 669 B 1-3; Kotter 1988: 174, (6)10-11). **ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანები მისდევენ ბერძნულ ტექსტს:** "მიიცვალება ჭეშმარიტება მღდელობისაჲ ლევის ნათესავისაგან დავითის ნათესავისა (ეფთ.), "მიიცვალა რაჲ პატივი მღდელობისაჲ ლევიტელებრისა ნათესავისაგან დავითებრისა ნათესავისა მიმართ" (გოგუაძე 1986: 119, 12-14) (**იხ. შენიშვნ. №257**).

სულისაჲთა, ხოლო აქა - ამის მიერ სულისაგან წმიდისა და სისხლთაგან
მისთა თჳთ თავადი იგი სიტყუაჲ განკაცნა და თავი თჳსი მოსცა
ბუნებასა ჩუენსა წამლად საცხორებელად უძლიერესად: მუნ მანანაჲ
და აქა - მანანაჲსა მის სიტკბოებასა მიმცემელი. მოსდერკინ უკუე და
დამდაბლდინ კარავიცა იგი მრავალსასყიდლისაჲ, მოსეს მიერ უდაბნოს 5
შემზადებული და მრავალფერთაგან და მრავალსახეთა ნივთთა
შექმნული, და მას თანა კარავიცა იგი მამისა ჩუენისა აბრაჰამისი,
სულიერისა მისთჳს და სიტყჳერისა კარვისა ღმრთისა, რამეთუ ესე
ა**[H4r]**რა საქმეთა ღმრთისათა იქმნა შემწყნარებელ, არამედ ბუნებითსა
მას გუამოვნებასა ძისა ღმრთისასა. უწყოდენ უკუე კიდობანმან მანცა, 10
ყოვლად ოქროგანრჩუნვილმან, ამის **[A174v]** თანა შეუმსგავსებლობაჲ
თჳსი და დაფარულებაჲ იგი მისი ოქროჲთა სრულად დაიფარენ. ეგრეთვე
ტაკუკმან ოქროჲსამან, მტჳრთველმან მანანაჲსამან, და სასანთლემან
მან და ტრაპეზმან და ყოველმანვე სახემან ძუელმან ისწავენ დუმილი,
რამეთუ იგი ყოველივე ამისითა სახეობითა პატივცემულ იყო, ვითარცა 15
სახე ხატისაგან და აჩრდილი ჭეშმარიტებისაგან.

7. *დღეს შეჰმზადა ქარტაჲ ახალი ყოვლისა შემოქმედმან, ღმრთისა სიტყუამან, რომელი-იგი აღმოთქუა მამამან გულისაგან, რაჲთა ენისა მიერ საღმრთოჲსა, ვითარცა კალმითა სულისაჲთა, მას ზედა აღიწეროს*[258], რომელი მიეცა კაცსა, უმეცარსა წერილისასა, და არა წარიკითხა, 20
რამეთუ არა იცოდა მარიამ იოსებ და არცაღა ძალი საიდუმლოჲსაჲ მის.

ჰ ყოვლადწმიდაჲ იგი ასული იოვაკიმ და ანნაჲსი, რომელი დაეფარა
მთავრობათა და ჭელმწიფებათა და ისართა მათ განჭურვებულთა
უკეთურისათა და განსასუენებელთა მათ შინა სულისათა[259] მოქა-
ლაქობითა დაცვულ იქმნა უბიწოდ სძლად ღმრთისა და დედად ბუნებით 25
ძისა ღმრთისა!

ჰ ასულო ყოვლადსაღმრთოო და ჰასაკითა მით სიჩჩოებისაჲთა ტჳრ-
თულო მკლავთა ზედა მშობელისათა, ხოლო ძალითა მით ზეგარდამოჲთა
საშინელო ძალთა მათ ზედა წინააღმდგომთა!

ჰ ასულო შუენიერო და წმიდაო, მწოვნელო სძესა კაცებისასა და 30
აღმავსებელო ანგელოზთაო საღმრთოჲთა მით სიტკბოებითა!

ჰ ასულო ღმრთივსასურველო, დიდებაო ყოველთაო! შენ, უბიწოო
მარიამ, განმანათლებელო! ნათესავნი ნათესავთანი გნატრიან, ვითარცა
თჳთ იტყოდე, რამეთუ ნანდჳლვე სრულ-იქმნა და ჭეშმარიტ შენ მიერ
თქუმული იგი![260] 35

---

258 **ფს. 44, 2-3.**

259 განსასუენებელთა მათ შინა სულისათა] to en qalamw tou Pneumato~ (PG 96 col. 672 B 3; Kotter 1988:176,6-7). (o Qqalamo~= 1) მოსასვენებელი ოთახი; საქორწინო მოსასვენებელი). **ეფთვიმესა და ეფრემის (გოგუაძე 1986:120,20) თარგმანებში არის** "სასძლოსა მას შინა სულისასა" (**იხ. შენიშვნ.. № 259).**

260 რამეთუ ნანდჳლვე სრულ-იქმნა და ჭეშმარიტ შენ მიერ თქუმული იგი!] w~

ჰ ასულო კურთხეულო, ღირსო ღმრთისაო სიკეთითა და შემამკობელო
კაცთა ბუნებისაო და პირველისა მის დედისა ევაჲს აღმართებაო,
რამეთუ შობისა მიერ შენისა აღდგა დაცემული იგი, სიხარულო
დედათაო, და რამეთუ დაღაცათუ ევა გარდამავალ იქმნა მცნებისა და
5 მის მიერ შემოჴდა სიკუდილი სოფლად, მსახურ იქმნა რაჲ იგი გუელსა
პირველისა მის მიმართ მამისა, არამედ მარიამ, მსახურებითა ნებასა მას
და ზრახვასა საღმრთოსა, განიოტა სიკუდილი და მაცთური იგი გუელი
მოაცთუნა და მოიყვანა სოფლად მაცხოვარებაჲ და უხრწნელებაჲ.

ჰ ასულო საწადელო, მარადის ქალწულებითა პატივცემულო და
10 მიდგომისათჳს არა მოქენეო ქმრისაო, რამეთუ აქუს მამაჲ საუკუნოჲ და
სამარადისოჲ შენ მიერ მუცელქუმულსა[261] მას!

ჰ ასულო, ქუეყანით შობილო და ღმრთისმშობლებრთა მკლავთა
ზედა შემოქმედისა მტჳრთველო, *რამეთუ შობისა მიერ შენისა იქადიან
დღენი იგი საუკუნენი, არამედ იძლევის სიტყუაჲ წესისაგან და დღენი
15 ესე ნათლისანი ჰმძლავრობენ დღეთა მათ სა**[H4v]**ხისათა და მიგებაჲ
იგი საუკუნ**[A175r]**ეთა მათ ფრიად უაღრეს არს*[262], რამეთუ წინაჲსწარ
განსაზღვრებული იგი განზრახვაჲ საიდუმლოჲსაჲ მოქმედმან მან
საუკუნეთამან ღმერთმან შენ მიერ საცნაურ-გჳყო, რომლისა მიერ
ვიქმნენით უკუანაჲსკნელნი ესე პირველ, რამეთუ განვიყავთ დიდე-
20 ბულებაჲ იგი მადლისა მის შობისა შენისაჲ. ნანდჳლვე, ნანდჳლვე
ჭეშმარიტად უაღრეს იქმენ და უპატიოსნეს ყოველთავე დაბადებულთა,
რამეთუ შენგან ოდენ მხოლოჲსა მიიღო დამბადებელმან ნაწილი თბისა
მისგან ბუნებისა[263] ჩუენისა და ივასხნა ჴორცნი ჴორცთაგან შენთა
და სისხლნი[264] სისხლთაგან შენთა და წმიდათა მათგან ძუძუთა შენთა
25 მწოვნელ იქმნა სძისა ღმერთი, და შეაერთნეს ბაგეთა შენთა ბაგენი იგი
ღმრთისანი.

ჰ მიუწდომელობაჲდა ესე და გამოუთქუმელობაჲ საქმეთაჲ, რამეთუ
წინაჲწარ გიცნა შენ ღმერთმან ყოველთამან ღირსად თჳსად და
შეგიყუარა შენ, და შეგიყუარა რაჲ, განგიკუთნა და განგისაზღვრა და
30 უკუანაჲსკნელთა ჟამთა არსად მოგიყვანა შენ და ღმრთისმშობელად და

---

efh~ epalhqeuousa (PG 96 col. 672 B 10-11; Kotter 1988:176,12-13). **ეფთვიმე და ეფრემი (გოგუაძე 1986: 120,26) ზუსტად თარგმნიან ბერძნულ ტექსტს:** "ვითარცა სოქუ ჭეშმარიტად" (ეფთ.), "ვითარ-იგი სოქუ ჭეშმარიტად ქმნილმან" (ეფრ.) (**იხ. შენიშვნ. №260).**

261 მუცელქუმულსა A] მუცელქმნულსა H.

262 *რამეთუ შობისა მიერ შენისა... უაღრეს არს*] "poio~ ti~ egkaucesetai th sh gennhsei (PG 96, col. 672 C 9; Kotter 1988:177,23)**. ბერძნულ ტექსტს მიყვებიან ეფთვიმესა ("ვითარ არა იქადოდიან შობითა შენითა?") და ეფრემის ("თუ რომელი უფროჲს მოქადულ იქმნეს შობასა შენსა ზედა?") (გოგუაძე 1986:120,38) თარგმანები (იხ. შენიშვნ. №262).**

263 ბუნებისა A] - H.

264 სისხლნი A] - H.

დედად და მზრდელად ძისა და სიტყჳსა თჳსისა განგაჩინა შენ.

8. *იტყჳან უკუე ვიეთნიმე, ვითარმედ წინააღმდგომი ჰკურნებს წინააღმდგომსა, არამედ არა წინააღმდგომისაგან წინააღმდგომი, გარნა წინააღმდგომებისაგან წინააღმდგომი განიკურნების და ესრეთ გამოჩინებითა მადლისაჲთა შეითხზვის სიმდიდრე იგი დაბადებისა 5 შენისაჲ, რამეთუ ვითარცა იგი უქმობითა კეთილისაჲთა შემოჴდა სიკუდილი და გარდაერია ცოდვაჲ იგი მცოდველთაჲ მათ მიზეზითა ცოდვისაჲთა, ესრეთვე უკუე მიზეზისა მის მიერ კეთილთაჲსა იხილვა წინააღმდგომებაჲ საქმისაჲ და წინააღმდგომი შემემთხჳა ჩუენ*[265]. და *„სადა-იგი განმრავლდა ცოდვაჲ, მუნ უფროჲსღა გარდაემატა მადლი”*[266], 10 რამეთუ უკუეთუმცა დაგუემარხა ჩუენ პირველი იგი ზიარებაჲ ღმრთისა თანა, არა ვიდრემცა ღირსქმნულ ვიყვენით უაღრესსა ამას უდიდებულესსა, ხოლო აწ, ვინაჲთგან ცოდვისა მიერ უღირს-ვიქმნენით ღმრთისა მისგან ზიარებისა, რამეთუ არა დავიმარხეთ, რაჲ-იგი მივიღეთ, შეწყალებულ ვიქმნენით მრავალთა მათ მიერ წყალობათა ღმრთისათა 15 და შეწყნარებულ, ხოლო რაჲთა იქმნეს მტკიცედ დაცვულ ზიარებაჲ ესე ჩუენი, რამეთუ შემძლებელ არს მიმღებელი იგი ჩუენი მიღებულსა მას კუალად დაცვად და ერთობასა მას განუბძარველად დამარხვად.

ვინაჲთგან უკუე სიძვით ისიძვა ყოველმან ქუეყანამან და ერი იგი უფლისაჲ სულითა მით სიძვისაჲთა ცთომილ იქმნა უფლისაგან 20 ღმრთისა, შემოქმედისა თჳსისა, და რამეთუ არა განჭრა იგინი ოდესვე და მარადის მოღუაწემან ცხორებისა ჩუენისამან[267], არამედ ჴელითა მტკიცითა და მკლავითა მაღლითა იჴსნნა იგინი და გამოიყვანნა იგინი სასწაულ**[A175v]**ებითა და ნიშებითა სახლისაგან და მონებისა ფარაოჲსა და *წიაღ-ყვნნა იგინი ზღუასა მას მეწამულსა და უძღოდა მათ დღისით* 25 *ღრუბლითა და ღამე ყოველ ნათლითა [H5r] ცეცხლისაჲთა განანათებდა მათ, გარნა კუალად-მოიქცეს გულნი მათნი ეგჳპტედვე*[268]*და იქმნა ერი იგი უფლისაჲ, ვითარცა არა ერი მისი*[269] და შეწყალებული იგი, - ვითარცა არა შეწყალებული და საყუარელი იგი[270], ვითარცა არა შეყუარებული.

---

265 **ბერძნულ ტექსტთან (PG 96 col. 673 A 1-7; Kotter 1988:177,1-5) ყველაზე ახლოს დგას თეოფილეს თარგმანი (“იტყჳან უკუე... შემემთხჳა მე”). აზრობრივად ეფ-რემის თარგმანიც (გოგუაძე 1986:121,5-15) მიყვება ბერძნულს, მასში მხოლოდ გადაადგილებულია ბიბლიური ციტატა. ეფთვიმესთან ტექსტის ეს მონაკვეთი ნაკლულია.**

266 რომ. 5,20.

267 და რამეთუ არა **განჭრა** (ტექსტშია “**განჭნა**”) იგინი ოდესვე და მარადის მოღუაწემან ცხორებისა ჩუენისამან] - PG 96, col 673 B 2; Kotter 1988:177,14), **ეს ფრაზა არ არის არც ეფთვიმესთან და არც ეფრემთან (გოგუაძე 1986:121,24) (იხ. შენიშვნ. №267).**

268 **ფს. 77,13-14.**

269 **რომ. მიმ. 9,6-7.**

270 იგი A] – H.

ამისთჳსცა იშვების აწ ქალწული პირველთა მათ მშობელთა სიძვისა
დამაცხრობელად. დაეწინდების ესე ღმერთსა და შობს წყალობასა
ღმრთისასა და ერი იგი ღმრთისაჲ, პირველ არა ერი, ერ იქმნების, და
უყუარებელი იგი შეყუარებულ იქმნების[271], რამეთუ მისგან იშვების ძე
5 ღმრთისაჲ საყუარელი, რომელი მამამან სათნო-იყო.

9. ვენაჴი რქაშუენიერი გამოჴდა დღეს ანნაჲსაგან, რომელმან
გამოიღო ტევანი იგი სიტკბოებისაჲ და განაზრქო და საღმრთოჲ იგი
ნეკტარი ქუეყანისა ნაშობთა აღმოუცენა ცხორებად საუკუნოდ[272],
რამეთუ უთესეს სიმართლე იოაკიმ და ანნა თავთა თჳსთა და მიერ
10 მოიმკეს ნაყოფი ცხორებისაჲ[273].

მხიარულ იყავნ ქუეყანაჲ და განსცხრებოდენ შვილნი სიონისანი
და უგალობდინ უფალსა ღმერთსა, მეუფესა თჳსსა ამისთჳს, რამეთუ
ნაყოფიერ იქმნა უდაბნოჲ და ბერწმან გამოიღო ნაყოფი თჳსი. იოაკიმ
და ანნა, მთათა მათ გონიერთა[274], სიტკბოებაჲ გარდამოადინეს[275].

15 იხარებდ, ანნა, სანატრელო, რამეთუ ჰშევ ქალი ქალწული და ესე
ქალწული იპოვოს დედად ღმრთისად, ბჭედ ნათლისად და გზად[276]

---

271 პირველ არაერი, ერ იქმნების, და უყუარებელი იგი შეყუარებულ იქმნების] o prin ou lao~ kaqistatai kai o ouk hlehmeno~, hlehtai kai o ouk hgaphmeno~ hgaphtai (PG 96 col. 673 B 14-15; Kotter 1988:178,22-23**). კოტერის გამოცემის სქოლიოში – გვ. 178, №23 – წარმოდგენილია ასეთი წაკითხვები:** ”ouk hlehmeno~ hgaphtai” [=**არაშეწყალებული – შეიყუარების**] Q, ”ouk hlehmeno~ hlehtai hgaphtai” [=**არაშეწყალებული – შეიწყალების, შეიყვარების**] E (თარგმანი ჩვენია ნ.მ.**). ეფთვიმესა და ეფრემთან არის თეოფილეს მიერ გამოტოვებული:** “და არაშეწყალებული იგი იქმნა შეწყალებულ, და არასაყუარელი იგი შეიყუარა” (ეფთ.**).** “არაშეწყალებული – შეიწყალების და არაშეყუარებული შეიყუარების” (გოგუაძე 1986:121, 33-34**). იხ. შენ. №271.**

272 სადმრთოჲ იგი ნეკტარი... აღმოუცენა ცხორებად საუკუნოდ] poma nektar toi~ ghgenesi phgazonta ei~ zwhn (PG 96 col. 673 C 4-5; Kotter 1988:178,2**). ეფთვიმესთან არის:** “აღმოუდინა ღჳნოჲ ახალი... ცხორებად საუკუნოდ”, **ხოლო ეფრემი ტოვებს ძირითადი ბერძნული ტექსტის νέκταρ τοῖς ζῃγενέσι-ს და ასე თარგმნის:** “ნაკადული ცხორებისაჲ წყარო ექმნა, ნაშობთა ქუეყანისათა მიმყვანებელ ცხორებად საუკუნოდ”(გოგუაძე 1986:121:37-38) **(იხ. შენიშვნ. №272).**

273 ცხორებისაჲ] + Efwtisan eautoi~ fw~ gnwsew~, kai Kurion exezhthsan, kai hlqen autoi~ gennhma dikaiosunh~ (PG 96 col. 673 C 7-9; Kotter 1988:178,4-5**). ეფთვიმემ თარგმნა ეს მონაკვეთი:** “და განაბრწყინვნეს თავნი თჳსნი ნათლითა მეცნიერებისაჲთა და ითხოვეს ღმრთისაგან და მოეცა მათ ნაყოფი სიმართლისაჲ”. **ნათარგმნი აქვს ეფრემსაც:** “განუნათლეს თავთა თჳსთა ნათელი მეცნიერებისაჲ და გამოიძიეს უფალი და მოუჴდა მათ იფქლი სიმართლისაჲ” (გოგუაძე 1986:121,40-41**).** თეოფილეს მიერ დაკლებული მონაკვეთი არის პარაფრაზირებული ციტატა ბიბლიიდან, კერძოდ: **ეს. 61,11 (იხ. შენიშვნ. №273).**

274 ბერძნული “w~ orh noητὰ” (PG 96, col. 673 C 12; Kotter 1988:178,7) **თეოფილემ გადმოიღო როგორც “მთათა მათ გონიერთა”, ეფთჳმემ – როგორც “მთათა მაღალთა”, ხოლო ეფრემმა - “მთანი საცნაურნი”** (გოგუაძე 1986 : 122,3) **(იხ. შენიშვნ. №274).**

275 გარდამოადინეს A] გამოადინეს H.

276 **თეოფილემ ბერძნული ῥῃᾳῃ ζωῆς (PG 96 Col. 673 C 14) და კოტერისეული ῥύλῃ] ῥῃᾳῃ EY (Kotter 1988:178,9) თარგმნა როგორც “გზა ცხორებისაჲ”, ხოლო ეფთჳმემ თარგმნა როგორც “ბჭᲔ ცხორებისაჲ”. ე.ი., თეოფილემ და ეფთვიმემ გაითვალისწინეს**

ცხორებისად და დამჴსნელ ვნებასა მას და ბრალსა დედათასა. *ამის ქალწულისა პირსა მდიდარნი ერისანი ლიტანიობდენ*[277], ამას ქალწულსა თაყუანის-სცემდენ[278] მეფენი წარმართთანი და *ძღუენსა შესწირვიდენ*[279]. *ესე ქალწული შეწირულ იქმნას ღმრთისა, ყოველთა მეუფისა, ვითარცა მარგალიტოვნებითა მით ოქროჲსათა შემოსილი* 5 *შუენიერებითა მით სათნოებათაჲთა*[280] და შემკული და განრჩუნვილი მადლითა მით სულისაჲთა, რომლისა დიდებაჲ შინაგან არს, რამეთუ დიდებაჲ ყოვლისა დედაკაცისაჲ მამაკაცი არს, და არს იგი გარეშე, ხოლო დიდებაჲ ღმრთისმშობელისაჲ - შინაგან, ნაყოფი იგი მუცლისა მისისაჲ. 10

ჱ ქალწულო სასურველო, სამგზის სანატრელო! კურთხეულ ხარ შენ შორის დედათა და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაჲ. ჱ ქალწულო, ასულო მეუფისაო და დედაო, ასულო დავით მეფისაო და დედაო ყოველთა მეუფისა ღმრთისაო! ჱ ძეგლო საღმრთოო სულიერო, რომელსა ზედა განიხარა დამბადებელმან ღმერთმან, რომელსა 15 გაქუნდა გონებაჲ ღმრთივძღომილი და წარმართებული და მხოლოჲსა ოდენ ღმრთისადა შემსგავსებული. გულისთქუმაჲ შენი ყოველი იყო დამარხვისათჳს მცნებათაჲსა და შეყუარებისა საყუარელისა მის, ხოლო გულისწყრომაჲ ვნებათა მიმართ ოდენ გაქუნდა[281]. ამისთჳსცა ჰშევ ცხორებაჲ, უზეშთაესი ბუნებათაჲ, და ცხოველ ხარ შენ ოდესვე, 20 არამედ არა **[A176r]**თავისა შენისა, რამეთუ არათუ თავისა შენისათჳს იშევ, არამედ რაჲთა ცხოველ იყო ღმრთისა, რომლისათჳს და რომლისა მიერ სოფლად შემოხუედ, რაჲთა ჰმსახურო ცხორებასა მას ყოვლისა სოფლისასა და რაჲთა პირველითგანი იგი განზრახვაჲ ღმრთისაჲ განკაცებისათჳს სიტყჳსა და განღმრთობისათჳს ჩუენისა სრულ-იქმნეს. 25 ხოლო იზარდებოდე შენ სიტკბოებასა მას **[H5v]**შინა საღმრთოთა სიტყუათასა და მათ მიერ განპოხნებოდე, ვითარცა ზეთისხილი მსხმოჲ სახლსა ღმრთისასა, ვითარცა *„ხß, დანერგული თანაწარსადინელსა მას სულისა წყალთაჲსა”*[282], ვითარცა ხß ცხორებისაჲ, რომელმან გამოსცა

---

**PG-სა და კოტერის გამოცემების ძირითადი ტექსტის ჩვენება, კერძოდ, ῥώλῃ და არა - ῥῃᾳῇ. ეფრემის თარგმანს ეს მონაკვეთი აკლია (გოგუაძე 1986:122,4).**

277 **ფს. 44,13.**

278 ამას ქალწულსა თაყუანის-სცემდენ A] – H.

279 **ფს. 67,30.**

280 **ფს. 44,14.**

281 ხოლო გულისწყრომაჲ ვნებათა მიმართ ოდენ გაქუნდა] ton qumon kata monh~ th~ amartia~, **καὶ τοῦ ταύτῃ κυήσαντος** (PG 96 col. 676 A 12; Kotter 1988:179,23)**. ეფთვიმე და ეფრემი** (გოგუაძე 1986 : 122, 19) **თარგმნიან თეოფილეს მიერ გამოტოვებულ ნაწილსაც:** “ხოლო გულისწყრომაჲ მისი იყო ცოდვისა ხოლო მიმართ **და რომლისაგან იშვებიან ვნებანი**” (ეფთ.); “ხოლო გულისწყრომაჲ მხოლოდ ცოდვისა მიმართ **და ცოდვის მშობელისა**” (ეფრ.).

282 **ფს. 1,3.**

ნაყოფი თჳსი ჟამსა მას, პირველვე განსაზღვრებულსა ღმრთისა მიერ, რომელ არს ღმერთი განკაცებული, საუკუნოჲ და ყოველთა მაცხოვარებაჲ.

კუალად უკუე მოზარდეობაჲ გულისსიტყუათა მათ მოძრავთაჲ არიან ყოლადვე სარგებელად სულისა მოკრძალულ, ხოლო ნამეტნავსა 5 მას და სულისა მავნებელსა პირველ გემოჲსხილვადმდე განიოტებდა. თუალნი შენნი იყვნეს მარადის აღპყრობილ უფლისა მიმართ ხედვად ნათელსა მას თუალშეუდგამსა, დაუსრულებელსა მას და სამარადისოდ მცენარესა; ყურნი შენნი იყვნეს ოდესვე მსმენელ სიტყუათა საღმრთოთა და მათ შინა მშუებვარე, ანუთუ მღელვარე ორღნითა მით 10 სულისაჲთა, რომლისათჳსცა მოვიდა სიტყუაჲ განკაცებადი, ხოლო საყნოსელნი იშუებდეს ყნოსითა მით მიჰრონსა მას სიძისასა, რომელ არს ნელსაცხებელი საღმრთოჲ, ნებსით თჳსით წარმოცარიელებული, რომელმან[283] სცხო თავსა თჳსსა კაცებითა, ვითარცა იტყჳს საღმრთოჲ წერილი, ვითარმედ: *„ნელსაცხებელ წარმოცარიელებულ არს სახელი* 15 *შენი*”[284]; ბაგენი შენნი წმიდანი მაქებელ იყვნეს უფლისა დაუცხრომელად და შემსჭუალულ ბაგეთა მისთა, ხოლო ენაჲ და ჴორცი - განმრჩეველ სიტყუათა ღმრთისათა და აღმომდინარე საღმრთოსა მას სიტკბოებასა; კუალად გული წმიდა და უბიწო და მხედველ და მოსურნე ღმრთისა უხილავისა; და საშოჲ, დამტევნელ დაუტევნელისა მის, ხოლო ძუძუნი 20 აღსავსე სძითა, რომელთაგან იზარდა ღმერთი, ყრმად ჩჩჳლად ხილული იესუ, შენ მიერ ბჭისა ღმრთისა მარადის ქალწულისა; ჴელნიღა და მკლავნი წმიდანი, მტჳრთველნი და მპყრობელნი ღმრთისანი, ხოლო მუჴლნი უაღრესნი და უმაღლესნი ქერობინთაჲსა, რამეთუ საყდრად განწესებულნი მეუფისათჳს, რომლისა მიერ განძლიერდეს ჴელნი 25 უძლურნი და მუჴლნი დაჴსნილნი განემტკიცნეს, ეგრეთვე ფერჴნი მისნი მძღუარ ექმნნეს შჯულსა ღმრთისასა და შემდგომად მისა მიუდრეკელად რბიოდეს, ვიდრემდის სურვილითა სასურველი იგი მოიზიდოს. ესრეთ უკუე ყოვლითურთ იქმნა სძალ ღმრთისა, ყოვლითურთ სავანე სულისა, ყოვლითურთ ქალაქ ღმრთისა ცხოველისა, რომელსაცა ახარებენ სლვანი 30 იგი მდინარეთანი, ღელვანი იგი მადლთა სულისათანი, რომლისათჳს ითქუა დიდი იგი დიდებულებაჲ[285] და რომელი იპოვა ყოვლითურთ შუენიერება და ყოვლადმახლობელ ღმრთისა, **[A176v]** რამეთუ ზეშთა აღვიდა იგი და ამაღლდა სიმაღლესა მას ქერობინთა და სერაბინთასა *და წარვლო და წარჰჴდა ყოველსავე დაბადებულებასა დაბადებულთასა 35 და მახლობელ იქმნა მხოლოჲსა ღმრთისა.*[286]

283 რომელმან A] რამეთუ H.

284 **ქებ. 1,3 (2).**

285 რომლისათჳს ითქუა დიდი იგი დიდებულებაჲ] – PG 96 col. 676 D 4; Kotter 1988:180,50. **არ არის ეს ფრაზა არც ეფთვიმესთან და არც ეფრემთან (გოგუაძე 1986:123,10).**

286 მონაკვეთი: “და წარვლო და წარჰჴდა ყოველსავე დაბადებულებასა დაბა-

10. *ჶ საკჳრველდა საკჳრველთაჲ და სასწაული ცნობათა უაღრესი
და უპირატესი **[H6r]** ყოველთა სასწაულთაჲ*[287], რამეთუ დედაკაცი
უზეშთაეს იქმნა სერაბინთაჲსა ამისთჳს, რამეთუ *გამოჩნდა უზეშთაესი
იგი ბუნებათაჲ და მცირედ რაჲმე ანგელოზთა*[288] *დამაკლებელი ბუნებისა
ჩუენისაჲ*[289]. *დუმენინ უკუე სოლომონ ბრძენი და ნუ იტყჳნ, ვითარმედ:* 5
*არარაჲ არს უცხოჲ მზესა ქუეშე, ანუთუ ახალი*[290].

ჶ ქალწულო ღმრთივმიმადლებულო, ტაძარო ღმრთისაო წმიდაო,
რომელი დიდმან მან სოლომონ ძუელმან დღეთამან, შეგმზადა შენ
და მთავარმან მან მშჳდობისამან დამკჳდრებად შენ შორის ჯერ-იჩინა,
რომელმან არა შეგამკო შენ ოქროჲსა მიერ და ქვათა უსულოთა, 10
არამედ ოქროჲსა წილ განგაბრწყინვა შენ ნათლითა მით სულისაჲთა
და ქვათა წილ პატიოსანთა განგაშუენა შენ მარგალიტისა მის მიერ
მრავალსასყიდლისა, რომელ არს თჳთ თავადი ქრისტე, *ნაკუერცხალი
იგი ღმრთეებისაჲ, რომლისა შეხებად ეუედრე ბაგეთა ჩუენთა,
ღმრთივსანატრელო, რაჲთა განწმდენ*[291] რაჲ იგი, მამისა თანა და 15
სულისა უგალობდეთ და ვდაღადებდეთ: წმიდა არს, წმიდა არს უფალი
საბაოთ, ერთი ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ სამთა შინა გუამოვნებათა. წმიდა
არს ღმერთი მამაჲ, რომელმან ჯერ-იჩინა შენ შორის და შენ მიერ
აღსრულებად საიდუმლოსა მას, პირველ საუკუნეთა განსაზღვრებულსა.
წმიდა არს ძლიერი ძჱ ღმრთისაჲ და ღმერთი მხოლოდშობილი, რომელმან 20
საშოჲსაგან ბერწისა პირმშოდ დედად მოგიყვანა შენ დღეს, რაჲთა
მხოლოდშობილი იგი მამისაგან და პირმშოჲ ყოველთა დაბადებულთაჲ,
მხოლოდშობილად იშვას[292] შენგან, ქალწულისაგან დედისა და კუალად
ქალწულისა, და რაჲთა იქმნეს პირმშო მრავალთა ძმათა, მახლობელად
ჩუენსა შენგან მიღებითა მით ჴორცთა და სისხლთაჲთა, არამედ 25

---

დებულთასა] - PG 96 col. 676 D 6; Kotter 1988:180,52, **არც ეფთვიმესა და ეფრემის (გოგუაძე 1986:123, 13-14) თარგმანებშია (იხ. შენიშვნ. №286).**

287 *ჶ საკჳრველდა საკჳრველთაჲ და სასწაული ცნობათა უაღრესი და უპირატესი ყოველთა სასწაულთაჲ*] W qauma pantwn qaumatwn uperteron (PG 96 col. 677 A 1; Kotter 1988:180,(10)**1. ეფთვიმესა და ეფრემის (გოგუაძე 1986:123,15) თარგმანებში ბერძნული ტექსტი ზუსტად არის გადმოღებული:** “ ჶ საკჳრველსა მას, უზეშთაეს საკჳრველებათასა“! (ეფთ.) **(იხ. შენიშვნ. №287).**

288 ანგელოზთა A] ანგელოზად H.

289 **ებრ. 2,9.** რამეთუ გამოჩნდა **უზეშთაესი იგი ბუნებათაჲ** და მცირედ რაჲმე ანგელოზთა დამაკლებელი **ბუნებისა ჩუენისაჲ]** oti qeo~ wfqh bracu ti par aggelou~ hlattwmeno~ (PG 96 col. 677 A 2-3; Kotter 1988:180,2**). ეფთვიმესა და ეფრემის (გოგუაძე 1986:123,16-17) თარგმანები მისდევენ ბერძნულ ტექსტს:** “რამეთუ ძე ღმრთისაჲ იშვა მისგან, დაკლებული მცირედ რაჲმე ანგელოზთა”. **ეს არის ციტატა წმიდა წერილიდან, რომელიც თეოფილემ გაავრცო, ხოლო ეფთვიმემ და ეფრემმა ზუსტად გადმოიღეს (იხ. შენ. №289).**

290 **ეკლ. 1,10.**

291 **ეს. 6,6-7.**

292 იშვას A] იშვა H.

არა მოგიყვანა შენ მხოლოდ მამისაგან, ანუთუ მხოლოდშობილად
დედისაგან, რაჲთა მხოლოდშობილი დამარხულ იქმნე ყოვლითურთ
მხოლოდშობილისა მიერ, რამეთუ იგი ოდენ მხოლოჲ თავადი არს
მხოლოჲ მხოლოჲსაგან მამისა მხოლოდშობილი და კუალად მხოლოჲ
5 მხოლოჲსაგან დედისა. წმიდა არს უკუდავი იგი და ყოვლადწმიდაჲ სული,
რომელმან ცუარითა მით თჳსისა ღმრთეებისაჲთა ცეცხლისა მისგან
ღმრთეებისა დაგიცვა შენ შეუწუველად, რამეთუ ამას გამოსახვიდა
წინაჲსწარვე მაყუალი იგი მოსესი.

11. იხარებდ, პროვატიკეო, დედისა ღმრთისა ყოვლადწმიდაო სად-
10 გურო[293]! გიხაროდენ, *პროვატიკეო, ოდესმე საბანელო იოვაკიმის*
*ცხოვართაო, ხოლო აწ ცხოვართა მათ სიტყჳერთა, ქრისტეს სამწყსოთა*
**(იბ. 10,16)** ცათა მიმსგავსებულო ეკლესიაო, *რომელი ოდესმე ერთგზის*
*შეიწყნარებდ მოქცევასა შინა [A177r] წელიწდისასა ანგელოზსა*
*ღმრთისასა, აღმრღუეველსა მას წყლისასა, და ერთსა განჰკურნებდ*
15 *სნეულსა, შეპყრობილსა უძლურებითა* **(იბ. 5,4)**.

ხოლო აწ გაქუს სიმრავლე იგი ზეცისა ძალთაჲ ჩუენ თანა
მგალობელად დედისა ღმრთისა უფსკრულისა მისთჳს სასწაულთაჲსა,
წყაროჲსა მისთჳს კურნებათაჲსა. ხოლო კურნებასა მას ვიტყჳ ყოვლისა
სოფლისასა, რომელმან შეიწყნარა არა ანგელოზი, მსახური ღმრთისაჲ,
20 არამედ თჳთ თავადი ი**[H 6v]**გი დიდისა ზრახვისა მამისა ანგელოზი,
ვითარცა საწმისსა ზედა წჳმაჲ სახიერებისაჲ გარდამოსრული და
ყოველივე ბუნებაჲ სნეული და სრულიადისა[294] მის მიმართ განხრწნისა
მიდრეკილი, სრულიადისა მის მიმართ სიმრთელისა და ცხორებისა
მიმართ უკუდავისა აღიყვანა და შენ შორის მწოლარე იგი განრღუეული,
25 ვითარცა ირემი, მხლდოლვარედ[295] გამოაჩინა.

გიხაროდენ, პროვატიკე პატიოსანო, რამეთუ აღორძნდა მადლი შენი!
უფროჲსდა იხარებდ, მარიამ, სანატრელო ასულო ტკბილო ღირსისა
ანნაჲსო, რამეთუ შენდა მიმართ აღმძრავს მე სიმრავლე მადლთა

---

293 სადგურო] + "გიხაროდენ, პროპატიკეო, საყოფელო დედოფლისა ჩუენისა მშობელთაო" (ეფთ.); "გიხაროდენ, პროვატიკეო, პირველთა მშობელთაგან მამულად ხუედრებულო საყოფელო დედოფლისაო" (ეფრ., გოგუაძე 1986:123,42-124,1); Cairoi~, probatikh, th~ basilido~ to progonikon katagwgion PG 96 col. 677 C 1-2; Kotter 1988:181,2). **თეოფილეს თარგმანი მისდევს კოტერის გამოცემის ნუსხას, რომელსაც აკლია ძირითადი ბერძნული ტექსტის იგივე მონაკვეთი (Kotter 1988:181, სქოლიო 2-3,EE) (იხ. შენიშვნ. №293).**

294 ყოველივე ბუნებაჲ **სნეული** და **სრულიადისა** (**სამარადისოსაH**) მის მიმართ განხრწნისა მიდრეკილი A] πασαν τὴν φύσιν νοσήσασαν, καὶ πρὸς φθορὰν αποκλίνασαν (PG 96 col. 677 C 14-15; Kotter 1988:181,10-11). **ეფთვიმე ზუსტად თარგმნის ბერძნულ ტექსტს:** "ყოველი ბუნება, დამხობილი და ხრწნილებად მიდრეკილი". **ეფრემი ამ ფრაზის თავისუფალ თარგმანს აკეთებს (გოგუაძე 1986: 124,10-11).**

295 მხლდოლვარედ A] მლხლდოლვარედ H.

შენთაჲ[296] და გარდამატებულებაჲ სურვილისაჲ შენდა მიმიზიდავს, მარადის კურთხეულო! ვითარ-მე უკუე გამოვსახო შუენიერებაჲ ხატისა შენისაჲ, ანუთუ წესიერებაჲ სლვისა შენისაჲ? ვითარ სამოსელი, ანუთუ მადლიერებაჲ პირისაჲ აღვწერო, რომელსა გაქუნდა სიბრძნე მოხუცებული სიჭაბუკესა შინა ჴორცთასა, რომელსა გემოსა სამკაულად 5 სიწმიდე და სიმართლე[297], ხოლო ყოვლისაგანვე ჴორცთა განსუენებისა და ჩჩულითა მოსილობისა[298] სრულიად ივლტოდე? სლვაჲ შენი არნ მშუდ და წრფელ და მზაკუარებისაგან თავისუფალ[299], წესიერებაჲ შენი იყო და შენდა მხიარულებითა აღზავებულ[300], მამათაგან უხილავ და თვალთშეუდგამ. და მოწამე არს ამას შიში იგი, რომელი შეგემთხუა 10 მოკითხვასა მას[301] ანგელოზისასა. მშობელთა იყავ საყუარელ და კეთილად მორჩილ, სულითა მდაბალ და გონებითა აღუზუავებელ, ხოლო ხედვათა შინა საღმრთოთა მაღალ და ფრიადცა მაღალ, სიტყუთა ტკბილ და სახიერ და ურისხველისაგან სულისა მეტყუელ. და რასა მრავალსა ვიტყოდი, რამეთუ ნანდულვე ჭეშმარიტად ღირს-იყავ შენ 15 სამკუდრებელად ღმრთისა.

შენ ყოველნი ნათესავნი გნატრიან ღირსად და სამართლად, ვითარცა გამორჩეულსა დიდებასა კაცთასა, რამეთუ შენ ხარ დედაჲ ღმრთისა წმიდაჲ. შენ ხარ სიქადული მღდელთაჲ, სიმტკიცე მეფეთაჲ, სასოჲ ქრისტეანეთაჲ, დამნერგველი ქალწულებისაჲ, რამეთუ შენ მიერ 20 განვრცელდა და განშუენდა სიკეთე იგი ქალწულებისაჲ. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაჲ. აღმსარებელნი შენნი ღმრთისმშობელად კურთხეულ იყვნენ და უარისმყოფელნი შენნი წყეულ იყვნენ!

12. ჲ საღმრთოო ნერგო იოაკიმ და ანნაჲსო! მიიღე აწ ჩემ მიერ 25 სიტყუაჲ ესე შობისათუს შენისა, წმიდისა მაგის და ყოვლადუბიწოჲსა!

---

296 სიმრავლე მადლთა შენთაჲ] - PG 96 col. 677 D 4; Kotter 1988:181,15. **არც ეფთვიმესა და ეფრემის (გოგუაძე 1986:124,16) თარგმანებში არის ეს ფრაზა (იხ. შენიშვნ. №296).**

297 რომელსა გემოსა სამკაულად სიწმიდე და სიმართლე] - PG 96 col. 677 D 9; Kotter 1988:181,17. **არც ეფთვიმესა და ეფრემის (გოგუაძე 1986:124,18) თარგმანებში არის ეს ფრაზა.**

298 ჩჩულითა მოსილობისა A] – H.

299 სლვაჲ შენი არნ მშუდ და წრფელ და მზაკუარებისაგან თავისუფალ] **ეს ფრაზა A–ს ტექსტში ჩამატებულია ტექსტისავე ხელით. ეფთვიმეს თარგმანშია:** "სლვაჲ დაწყნარებული, უშფოთველად მავალი". **ყველაზე ახლოს ბერძნულ ტექსტთან** (Bhma semnon, kai ataracon, kai pash~ blakeia~ eleuqeron PG 96 col. 677 D 8-9; Kotter 1988:181,18) **არის ეფრემის თარგმანი:** "კუალნი კრძალულნი და უშფოთველნი, ცუნდრუკებისაგან თავისუფალნი" (გოგუაძე 1986:124,19-20**).**

300 "წესიერებაჲ შენი იყო და შენდა მხიარულებითა აღზავებულ". **ბერძნულ ტექსტშია:** Hqo~ estummenon kai ilarothti summikton (PG 96 col. 677 D 11- 680 A 1; Kotter 1988:181,18-19**). ეფრემი ასე თარგმნის ამ ადგილს:** "ქცევაჲ განზავებული მჭმუნვარებითა და მხიარულებითა" (გოგუაძე 1986:124,20-21**).**

301 მას A] - H.

**[A177v]** ჲ ასულო შუენიერო[302] იოაკიმ და ანნაჲსო და დედოფალო ყოველთა დაბადებულთაო, მიიხუენ მონისა მიერ ცოდვილისა მოძღუანებულნი ესე სიტყუანი მადლობისანი, არათუ შემსგავსებულნი დიდებისა შენისანი, რამეთუ ესე შეუძლებელ არს ძალთაგანცა ანგელოზთაჲსა[303], არამედ გულისა მიერ მჭურვალისა სურვილით აღწერილნი, **[H7r]**რომელი გესავს შენ ყოვლითა სულითა და გონებითა[304] და შენ ოდენ მხოლოჲ მოუგიე სასოებად ცხორებისა და მიზეზად სიხარულისა.

მექმენ მე, ყოვლადწმიდაო, მცველ და მფარველ სოფელსა ამას შინა და წინამძღუარ და განმგე ცხორებისა ჩემისა და ოხითა და ვედრებითა შენითა დამაგემე[305] ძესა შენსა და ღმერთსა, განხეთქე, უბიწოო, ჭელითწერილი ბრალთა ჩემთაჲ[306] და განაბნიე ტჳრთი მრავალთა მათ ცოდვათა ჩემთაჲ, დამაბნელებელი იგი გონებისა ჩემისაჲ, ღრუბელი ზრქელი ვნებათაჲ აღმძარღუე მე და განაქარვე და ნათლითა მით მადლთა შენთაჲთა განმანათლე, სახარულევანო!

დააცხრვე, ღმრთივსანატრელო, ზედააღდგომაჲ ესე განსაცდელთაჲ და წარჰმართენ სლვანი სულისა ჩემისანი საღმრთოთაებრ მცნებათა და მიმიძღუ მე აღსლვად ზემოსა მას ნეტარებასა *და მოჰმადლე სოფელსა მშჳდობაჲ და ყოველსავე ამას ქალაქსა და მას შინა მყოფთა მათ პატიოსანთა და ღირსთა მონაზონთა, ყოველსავე თანა სიმრავლესა ერისასა მოეც კურთხევაჲ და წყალობაჲ, სიხარული და მხიარულებაჲ და ცხორებაჲ საუკუნოჲ, რომელნიცა გადიდებენ შენ ლიტანიითა და გალობითა, დაიცვენ და შეზღუდენ და ყოველივე სავსებაჲ ეკლესიისაჲ[307] დაიფარე*[308], რომელნი სამარადისოდ ღაღადებენ და ყოვლადპატიოსანსა

---

302 შუენიერო] – PG 96 col. 680 B 1.

303 არათუ შემსგავსებულნი დიდებისა შენისანი, რამეთუ ესე შეუძლებელ არს ძალთაგანცა ანგელოზთაჲსა] – PG 96 col. 680 B 4; Kotter 1988:182,3. **არ არის ეს ფრაზა არც ეფთვიმესა და ეფრემთან (გოგუაძე 1986:124,38) (იხ.შენიშვნ. №303).**

304 მონაკვეთი: „რომელი გესავს შენ ყოვლითა სულითა და გონებითა" **არ არის ბერძნულ ტექსტში** (PG 96, col. 680 B 4; Kotter 1988:182,4) **(იხ.შენ. №304).**

305 დამაგემე] διαλλάκτιν (PG 96, col. 681 B 4; Kotter 1988:182,5) **ბერძნულ ტექსტსა და ორ ქართულ თარგმანში (თეოფილესა და ეფრემთან) საუბარია უფლის ძესთან შერიგებაზე** (διαλλακτής = შემრიგებელი; დაგება=შერიგება). **ეფთვიმე ამ ადგილას იყენებს ზმნას: "მოგება" (=შეძენა) და რამდენადმე აზრს უცვლის წინადადებას: საუბრობს უფლის ძესთან დაახლოებაზე, ანუ მასზე, როგორც იმედზე.**

306 განხეთქე, უბიწოო, ჭელითწერილი ბრალთა ჩემთაჲ] – PG 96 col. 680 B 5; Kotter 1988:182,5. **არ არის ეს ფრაზა არც ეფთვიმესა და ეფრემთან (გოგუაძე 1986:124,40).**

307 ეკლესიისაჲ დაიფარე A] – H (**იხ. შენიშვნ. №306).**

308 **თეოფილეს თარგმანის მონაკვეთი: „*და მოჰმადლე... დაიფარე"* მიყვება ბერძნულ ტექსტს** (PG 96 col. 680 B 10-16; Kotter 1988:182,7-12); **რაც შეეხება ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანებს, იქ ეს მოზრდილი მონაკვეთი ძალიან შეკვეცილია და ასეა წარმოდგენილი:** " და ცხორებასა მას საუკუნესა ერი შენი აღიყვანე და ლოცვითა მშობელთა შენთაჲთა და მეოხებითა ყოველთა სათნოთა და ღირსთა, იყავნ!"

ხატსა შენსა სურვილით ამბორს-უყოფენ და მოწიწებით შეეხებიან და
ჴმითა სასმენელითა გალობენ და იტყჳან[309]: გიხაროდენ, მიმადლებულო,
უფალი შენ თანა! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ
არს ნაყოფი მუცლისა შენისაჲ, იესუ ქრისტე, ძჱ ღმრთისაჲ, რომელსა
შუენის ყოველივე დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ თანა მამით და 5
ყოვლადწმიდით სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით წმიდითურთ,
აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

(ეფთ.). "და ჴელპყრობით ზრუნვად ზენაჲსა მის მიმართ ნეტარებისა ლიტანიობითა მშობელთა შენთაჲთა და ყოვლისავე საეკლესიოჲსა სავსებისაჲთა, იყავნ, იყავნ!" (გოგუაძე 1985:125,1-3). **იხ. შენიშვნ. №308.**

309 მონაკვეთი: "რომელნი სამარადისოდ...და იტყჳან" **არ არის არც ბერძნულ ტექსტში** (PG 96 680 col. B 16; Kotter 1988:182,12) **და არც ორ სხვა ქართულ თარგმანში.**

## წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე დამასკელისაჲ, საკითხავი შობისათჳს ყოვლადწმიდისა ღმერთისმშობელისა და მახადისქალწულისა მარიამისა[1-2-3]

Ath. 20 (178r-184r; 1081წ.; A); H 1760 (311r-321v; XV ს.; H)

**(ღვთისმშობლის შობის მეორე ჰომილიის თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანი)**

**[A 178r; H 311r] 1)** ბრწყინვალედ დღესასწაულობენ დღეს დაბადებულნი და ახლად ცად ქალწულსა მიიღებენ. ქალწული იშვა დღეს ქუეყანასა ზედა, მეუფისა მის ცათაჲსა სასუენებელი სულიერი! ქალწული ნათლად გამოვიდა, ნათელსა მას მზისასა ბრწყინვალებითა დამფარველი! ჩჩჳლი
5 ბერწთაგან აღმოსცენდა, ტაძარი წმიდაჲ ქალწულებისაჲ!

ვინ არა ადიდებდეს კრებასა ამას? ვინ არა დღესასწაულობდეს დღესასწაულსა ამას? ვინ არა მიეგებვოდის დღესა ამას ძღუენითა პატიოსნითა საყუარელითა ქალწულისაჲთა? **[H311v]** ძღუენი[4] რჩეული არს ქალწულთა უხრწნელებაჲ, ქორწინებულთა სიწმიდე, მდიდართა
10 მიცემაჲ, გლახაკთა მადლობაჲ, მთავართა სიმშჳდე, მეფეთა სიმართლე, მღდელთა ღირსებაჲ და ყოვლად ყოველთა შჯულკეთილობაჲ, რომელ არს მართალი სარწმუნოებაჲ.

ვინაჲთგან უკუე ესევითარი არს ძღუენი ჩუენი და ესრეთ ბრწყინვალებითა შემოსილი, მოვედით უკუე, ვადიდებდეთ მადლობით
15 და განვსცხრებოდით[5] სიხარულით და დავითის თანა უგალობდეთ და უღაღადებდეთ ღმერთსა, მაცხოვარსა ჩუენსა, ჴმითა ქებისა და აღსაარებისათა, რამეთუ დამბადებელსა მას[6] ყოველთასა ტაძარი შემწყნარებელი აღეშენების, რამეთუ შემოქმედსა მას სიტყუასა სადგური უცხოებისაჲ განემზადების, რამეთუ მზესა მას სიმართლისასა
20 ღრუბელი ნათლისაჲ განეფინების, რამეთუ უკუდავსა მას სიძესა სასძლოჲ ღმრთივშუენიერი შეემზადების, რამეთუ შემმოსელსა მას ცათა

1 მარიამისა] + გუაკურთხენ, მამაო! A.

2 სეკდენბერსა ⲓ̅ⲃ̅, საკითხავი შობისათჳს ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისაჲ იოანე დამასკელისაჲ, გუაკურთხენ, მამაო! H.

3 ღვთისმშობლის შობის ჰომილიის ეს რედაქცია მხოლოდ თეოფილისეული თარგმანით შევიდა წინამდებარე გამოცემაში. მისი ბერძნულთან და გიორგი მთაწმიდელისეულო თარგმანის ზოგიერთ განსხვავებულ ადგილთან შედარების შედეგები ვარიანტებში წარმოვადგინეთ.

4 ძღუენი A] ძღუნი H.

5 განვსცხრებოდით A] განვსცხრებოდეთ H.

6 მას] - H.

ღრუბლითა ღმრთივდაქუსული ზეწარი სამოსლად მოექსოების, რამეთუ შემზავებელსა მას ჟამთა და წელთასა სავანე ღირსი აღემართების!

2) განეწყვენით უკუე, ქალნო ქალწულნო, რამეთუ ქალწულებრივი არს შობაჲ! განსცხრებოდეთ, დედანო, რამეთუ დედობრივი არს შობაჲ ქალწულებისაჲ! ბერწნო, ნუ უსასო[7] იქმნებით ოდესმე ბერწთათჳს პირველ, ხოლო აწ მშობელთა შვილსა მას საყუარელსა ღმრთისასა! ნუცამცა ქალნი დააკლდებიედ მწყობრისა მისგან შემასხმელთაჲსა, არამედ იგინიცა სურვილით დღესასწაულობდინ[8] მხოლოჲსა მისთჳს ქალისა ქალწულისა ერთბამად და დედოფლისა ყოველთა დაბადებულთაჲსა!

*"დაჰბერეთ ნესტუსა ახალსა სიონს შინა და ბორცუთა ზედა"*[9] და, მადნარნო, მალიად და მაღლად გამოეცით ჴმაჲ თქუენი და უქადაგეთ **[H312r]** იერუსალჱმსა გამოჴსნაჲ თჳსი და მიეცინ აწ აქა ჟამი მბრძანებელსა მას! დავით, მამაჲ ღმრთისაჲ, იხარებდინ, და ესაია, სიმტკიცე წინაწარმეტყველთაჲ, შეიმკვებოდენ! ერთი იგი, რამეთუ წელთაგან მისთა[10] გამოვიდა მეუფე, რომლისათჳს აღუთქუა ღმერთმან *„ნაყოფისაგან მუცლისა მისისა დასუმად საყდართა მისთა"*,[11] ხოლო მეორე იგი, **[A178v]** რამეთუ წინაწარმეტყველებაჲ მისი, ესერა, აღესრულა დიდებულად, ვითარმედ *"გამოვიდეს კუერთხი ძირისაგან იესესა"*.[12] საცნაურ არს უკუე, რამეთუ კუერთხად იტყჳს ქალწულსა, რომლისაგან უქორწინებელად აღმოსცენდა დაუჭნობელი იგი ყუავილოვნებაჲ ყუავილთაჲ ქრისტე.

არამედ რაჲსა ვაწუევ მე სიხარულსა მას ვისმე, და მას ვისმე, და[13] არა აღვიმაღლებ ჴმასა ჩემსა მაღლად და გამოვსახავ მე სასწაულსა მას სიხარულისასა? *"იხარებდით უკუე ცანი ზეგარდამო და ღრუბელთა აცურიეთ ცუარი სიმართლისაჲ, აღმოაცენენ ქუეყანამან წყალობაჲ, აღმოაცენენ და სიმართლე მის თანა აღმოაცენენ"*.[14] რად ანუ რაჲსათჳს - ამისთჳს, რამეთუ განცხადნა სადგური ღმრთისა, იაკობისი, რამეთუ გამოჩნდა ადგილი წმიდაჲ ყოვლადწმიდისა სიტყჳსა შემწყნარებელი: *"ვითარ საშინელ არს ადგილი ესე"*, ღაღადებდინ იაკობ მამათმთავარი[15], *"არა არს ესე სიტყუაჲ, გარნა სახლი ღმრთისაჲ და ესე არს ნანდჳლვე*

7 უსასო A] უსასოო H.

8 დღესასწაულობდინ A] დღესასწაულობდენ H.

9 **ოსე 5,8.**

10 წელთაგან მისთა A] წყვილთა მისთაგან H.

11 **ფს. 131,11.**

12 იესესა A] იესესისა H. **ესაია 11,1.**

13 და A] + მე H. არამედ რაჲსა ვაწუევ მე სიხარულსა მას ვისმე, და მას ვისმე] Alla ti moi tw deini, kai tw deini to cairein perigrafein PG 96 col. 681 B 9-10.

14 **ეს. 45,8.**

15 მამათმთავარი A] მამადმთავარი H.

*ბჭე იგი ზეცისაჲ"*[16]. ჰ გამოუთქუმელიდა სასმენელი! ჰ დიდებულიდა აღსასრული! რაჲ არს უცხოჲ ესე მისათხრობელი? რაჲ არს ახალი ესე საიდუმლოჲ? რაჲ არს იგავი ესე, უცხოჲ და შეუზავებელი?

უკუეთუ ცანი და ცანი ცათანი ვერ კმა არიან შენდა სიტყჳსაებრ ჭეშმარიტისა, და რომელი ადგილი იპოვოს ბუნებით და[**H312v**] მტევნელ შენდა? *„ანუ არა ცათა და ქუეყანისა მე ვარ აღმავსებელ?"*[17] - იტყჳს უფალი, და სადა იყოს ესე და ესევითარი, რომელი ზეშთა აღვალს ყოველსავე სახესა მიწდომისასა, რამეთუ არათუ რაბამობასა შინა, ანუთუ ვითარებასა, გინა ესეოდენობასა[18] ეპოების ადგილი მიწთომილი დაუსაბამოსა მას და უსაზღვროსა[19], ვითარცა იტყჳს თჳთ თავადი იგი: *"ცაჲ - საყდარი ჩემი და ქუეყანაჲ - კუარცხლბეკი ფერჴთა ჩემთაჲ. ვითარი სახლი მიშენოთ მე, თქუა უფალმან, ანუ ვინაჲ იპოვოს ადგილი განსუენებისა ჩემისაჲ?"*[20] გარნა ყოველსავე ზედა იპოვა, იპოვა და გამოცხადნა, ვითარ ანუ რომლითა სახითა, რამეთუ ახლოს არს საძიებელი. მცირედ მელოდე[21], საყუარელო, და მიიღო განმარტებაჲ სასურველისა მის შენისაჲ.

4) რამეთუ ეგულებოდა რაჲ კაცსა მოსლვად არარაჲსაგან არსად გამოუთქუმელთა მათთჳს სახიერებათა ღმრთისათა, პირველად ცაჲ გარდაერთხა და ქუეყანაჲ დაემყარა, ზღუაჲ შემოისაზღვრა და შორის მათსა აგებულებამან მან[22] ნივთთამან ყოველმანვე მიიღო თჳთოეულად სამკაული თჳსი და შემკულებაჲ და ესრეთღა კაცი უკუანაჲსკნელ მეუფებრ სოფლად შემოვიდა და მოქმედად სათნ[**A179r**] ოებათა სამოთხეს დაიდგინა; და უკუეთუმცა არა შთავრდომილ იყო გარდასლვასა, არამცა ხისა მისგან ცხორებისა დაკლებულ იყო, და უკუეთუმცა არა წინააღმდგომ ქმნილ იყო საღმრთოჲსა მას ბრძანებასა, არამცა ცვალებულ იყო ცვალებითა მით ვნებულითა და არცამცა მსახურებისა წილ ცხოველისა ღმრთისა ერთარსებისა შთავრდომილ იყო მსახურებად სიმრავლესა [**H313r**] ღმერთთასა, უფროჲსღა არაწმიდათა და ბოროტთა ეშმაკთასა, რომელიცა-იგი, იხილა რაჲ მდიდარმან მან წყალობითა მოცვულად ბევრეულთა მიერ სახეთა წარწყმედისათა[23], ჯერ-იჩინა მრავლითა მით სახიერებითა თჳსითა გამოჴსნაჲ მისი და ინება განახლებისათჳს ქმნულისა მის ჴელთა მისთაჲსა დაბადებად ახალსა ცასა და შემზადებად ახალსა ქუეყანასა ზღუასა თანა და

16 **დაბ. 28,17.**
17 **იერ. 23,24**
18 ესეოდენობასა H] ესოდენობასა A.
19 უსაზღვროჲსა H] უსაზღვროსა A
20 **ეს. 66,1.**
21 მელოდე A] - H.
22 მან A] - H.
23 წარწყმედისათა A] წარმწყმედელთა H.

ყოველსავე მას სამკაულსა მათსა, რომელსაცა შინა სათნო-იყო
დატევნად დაუტევნელმან მან განახლებისათჳს ნათესავისა კაცთაჲსა,
ესე იგი არს სანატრელი და მრავალსაგალობელი ქალწული.

ᲐᲗ სასწაულიდა საკჳრველთაჲ, რამეთუ ვითარცა ცისაგან ქალ-
წულებისა, ესრეთ აღმოჰᲫდა დაუვალი იგი მᲬᲗ[24] სიმართლისაჲ, და 5
ვითარცა ქუეყანისა უხრწნელთა მათგან წიაღთა მისთა აღმოსცენდა
Ძუვილი იგი ცხორებისაჲ, ეგრეთვე კუალად მუცლისაგან, ვითარცა
ზღჳსა უფსკრულთა, აღმობრწყინდა საცნაური იგი მარგალიტი.
ამისთჳს წარმოიჩინა ახალი ესე დაბადებული დამტევნელად
დაუტევნელისა მის და აჰა ესერა, განემზადების სავანე სულიერი 10
მეუფისა მის ყოველთასა. აჰა ესერა, განემზადების სადგური სიტყჳერი
მიუწუთომელსა[25] მას! ვითარ შუენიერ არს სოფელი ესე! ვითარ
საკჳრველ დაბადებაჲ მისი! ვითარ ყუავილოვან არს ნერგთა მათ მიერ
სათნოებათასა[26] და ბრწყინავს ესე ხედვათა მიერ მაღალთა და ყნოსითა
მით სულნელთაჲთა[27] მარადის არეობს და ყოველთავე მიერ კეთილთა 15
ერთბამად შემკობილ არს და რაჲთურთით არარას ყოლადვე ვისაცა[28]
მოქენე არს [**H313v],** რომლისათჳსცა ღირს არს თქუმული ესე ღმრთისა
კაცთა თანამკჳდრობისა[29].

კეთილ იყო პირველიცა ესე სოფელი, კეთილ და ფრიადცა საკჳრველ,
რომლისათჳს იტყჳს, ვითარმედ: *„ოდეს იქმნეს ვარსკულავნი, მაქებდეს* 20
*მე ᲬᲛითა მაღლითა ყოველნი ანგელოᲗნი ჩემნი”*[30] და[31] მადიდებდეს მე,
გარნა ესრეთ დიდებულ და ესრეთ ღმრთივშუენიერ ვითარმცა იყო, ვითარ
სანატრელი ესე და ყოვლადსაკჳრველი ქალწული! და რამეთუ Ჭეშმარიტ
არს თქუმული ესე, ისმინე იობ მართლისა, მრავალგანცდილისაჲ,
იტყოდის რაჲ, ვითარმედ: *„ცანიცა არავე წმიდა არიანო წინაშე შენსა,* 25
*არცა ვარსკულავნი - უბრალო”*[32].

**[A179v]** ხოლო ამის სანატრელისა რაჲმცა იყო უწმიდეს და რაჲმცა

---

24 მᲬᲗ A] მᲬე H.

25 მიუწუთომელსა A] მიუწდომელსა H.

26 სათნოებათასა H] სათნოებათაჲსა A.

27 სულნელთაჲთა A] სურნელთაჲთა H.

28 ვისაცა A] ვისსაცა H.

29 და რაჲთურთით არარას... თანამკჳდრობისა] pasin alloi~ amfilafesin agaqoi~ anendew~ ecousa, axia, to dh legomenon, tou qeou pro~ anqrwpou~ enoikhsew~ (PG 96, col. 684 B 9-13). **გიორგი მთაწმიდელისეულ თარგმანში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი:** “და მხოლოდ ამის უმეტესობისა ნიჭთაჲ ღირსი, რაჲთა ექმნეს შუამდგომელ ღმრთისა კაცთა მომართ საკუთრებისა და მიზეზ კაცთა მიერ ღმრთისა შეერთებისა“ (გოგუაძე 1986:104,28-30).

30 **იობ. 38,7.**

31 და A] –H.

32 **იობ.** 25,5.

იყო უუბიწოეს, რომელი-ესე ესოდენ[33] სთნდა ღმერთსა, ნათელსა მას პირველსა და წმიდამყოფელსა წმიდათასა, ვიდრეცა მოსლვითა სულისა წმიდისაჲთა ჯერ-იჩინა ამისგან განკაცებად[34]და თჳნიერ ცვალებისა ბუნებასა მას ღმრთეებისასა, მიიღო კაცებაჲ სრულებით თჳნიერ
5 ცოდვისა.

ეჰა, სასწაულიღა უაღრესი ცნობათაჲ, რამეთუ მჭეველისა თჳსისა დედად წოდებად არა სირცხჳლ-იჩინა კაცთმოყუარემან! ეჰა, მიუწუდომელობაჲღა[35] სიმდაბლისაჲ, რამეთუ დაბადებულისა თჳსისა ნაშობ წოდებად არა უღირს-იჩინა სახიერმან მან, არამედ სთნდა უშუენიერესი
10 იგი ყოველთა დაბადებულთაჲ, არამედ შეიწყნარა უპატიოსნესი იგი ძალთა მათ ზეცისათაჲ, რომლისათჳს წინაჲსწარვე იტყოდა საკჳრველი ზაქარია: *„იხარებდ და იშუებდ, ასულო სიონისაო! რაჲსათჳს? ამისთჳს, რამეთუ მოვიდე მე და დავემკჳდრო შენ შორის”*,[36] იტყჳს უფალი.

კეთილად იტყოდა ამისთჳს იოილ სანატრელი და ღაღადებდა: *„იხარებდ,* [**H314r**] *ქუეყანაო, იშუებდ და მხიარულ იყავ, რამეთუ განავრცო უფალმან წყალობაჲ შენ თანა”*,[37] რომელსაცა ზედა შესძინა მოსეცა ქუეყანად წოდებად, რამეთუ *ებრძანა მას წარჭდად სანდალთა*[38] და აჩრდილის სახესა მას შჯულისა[39] ჭეშმარიტებად მადლისად აწუევდა შეცვალებად. ქუეყანაჲ არს უკუე იგი, რომელი დააფუძნა სიმტკიცესა
20 ზედა თჳსსა, ქუეყანაჲ არს აღმომაცენებელი თჳნიერ თესლისა და გამომღებელი ნაყოფად მზრდელსა მას სოფლისასა, ქუეყანაჲ არს ესე, არა აღმომაცენებელი ეკალსა მას ცოდვისასა, უფროჲსღა ნაშობისა მიერ თჳსისა ძირითურთ აღმომფხურელი მისი, ქუეყანაჲ არს უკუე ესე, გარნა არა პირველი იგი წყევისაჲ, რომლისა ნაყოფ არს ეკალი
25 და კუროჲსთავი, არამედ *“რომელსა ზედა გარდამოჴდა კურთხევაჲ უფლისაჲ და რომლისა კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა მისისაჲ სიტყჳსაებრ საღმრთოჲსა”*.[40]

5) არამედ მოვედით და ვიხილოთ, თუ ვინაჲ აღმოსცენდა მარადის მორჩი იგი ნერგი ქალწულებისაჲ, ვინ არს, რომელმან გამოიღო,
30 და თუ ვინ არს, რომელმან შვა იგი? იოაკიმ და ანნა, ღირსთა მათ და წმიდათა შვილთა შჯულისათა, უაღრესთა მათ და უზეშთაესთა ყოვლისავე მეუღლებისათა, რამეთუ რომელთა რტოჲ ჰმატს ყოველთავე

33 ესოდენ A] ესეოდენ H.

34 განკაცებად A] განკაცებაჲ H.

35 მიუწუდომელობაჲღა A] მიუწდომელობაჲღა H.

36 **ზაქ. 2,10.**

37 **იოველ. 2,21.**

38 **გამ. 3,5.**

39 აჩრდილის სახესა მას შჯულისა A] აჩრდილთა მათ შჯულთა H.

40 **ლკ. 1,28.**

და უდიდებულეს არს, ძირთათჳს რაჲცა სათქუმელ არს?

გარნა დაღაცათუ მდიდარ იყო ბორობანობაჲ ხეთაჲ მათ და რტოგარდატევებულ ფრიად, არამედ ჟამისად უნაყოფოებითა შეპყრობილ იყო, წმიდა იყო წყაროჲ და განწმედილ, გარნა წყალი არა აქუნდა და ძნელ იყო განსაცდელი იგი და სალმობიერ მჭმუნვარებაჲ უშვილოებისაჲ. 5 რაჲ უკუე? შემდგომად ამისა ჴმა-ყვეს მართალთა უფლისა მიმართ და *უფალმან ისმინა მათი* **[H314v]** *და ყოველთა ჭირთა მათთაგან იჴსნნა იგინი.*[41] ამას დავით წინაჲსწარვე მოასწავებდა სულისა მიერ და თქუა: ჴმა-ყვეს მართალთა, ვითარცა ყოვლისავეჲსთჳს **[A180r]** კაცთა ბუნებისა[42], რამეთუ იხილეს რაჲ ნათესავი კაცთაჲ უცხოდ ღმრთისმეცნიერებისაგან 10 და დაქურივებულად კეთილთაგან სოფელი ესე და ურწმუნოებისა მიერ შეშთობილად, და რამეთუ *ყოველთავე მიაქციეს ერთბამად და*[43] *უჴმარ-იქმნნეს, სიტყჳსაებრ მგალობელისა*[44], საგლოველ იყო ვერმიმთხუევაჲ, საძნაურ იყო უშვილოებაჲ.

ამისთჳსცა ჴმობდეს მართალნი, ხოლო ვინაჲ, ანუ სადა, საცნაურ 15 არს, რამეთუ თჳსსა[45] შინა სამოთხესა. და რაჲსათჳს? ამისთჳს, რამეთუ სამოთხით გამოვიდა ცოდვაჲ იგი სალმობიერი, რამეთუ მას შინა ჰრქუა ღმერთმან ყოველთამან პირველსა მას დედასა: „*განმრავლებით განვამრავლნე მწუხარებანი შენნი და სულთქუმანი შენნი და კუნესით და სალმობით შვნე შვილნი შენნი და ქმრისავე მიმართ შენისა იყოს* 20 *მიქცევაჲ შენი*".[46] ხოლო რაჲ ღაღად-ყვეს, გინათუ ჴმა-ყვეს ნაყოფი მუცლისაჲ, ესე იგი არს, ვითარმედ ითხოვდეს კეთილსა მას ნაყოფსა ღმრთისმეცნიერებისასა და ლმობიერად ესრეთ ილოცვიდეს: ადონაო, ელოე საბაოთ, ღმერთო ისრაჱლისაო! უწყი უშვილოებისა ყუედრებაჲ, უწყი უნაყოფოებისა ურვებაჲ. უკუეთუ მოხედვით მოიხილო სიმდაბლესა 25 ზედა ჩუენსა და მოსცე მონათა შენთა თესლი შვილიერებისაჲ, შევწიროთ იგი წინაშე შენსა, მომნიჭებელისა ღმრთისა.

და ესმა ვედრებაჲ მათი[47] უფალსა, მსწრაფლსა მას წყალობისათჳს და გჳანსა რისხვისათჳს, და მისცა მათ სახელმოდგამი იგი საუფლოსა

---

41 **ფს. 23,8.**

42 ჴმა-ყვეს მართალთა, ვითარცა ყოვლისავე თჳს კაცთა ბუნებისა] Ekekraxan, fhsin, oi dikaioi. Th~ olh~ anqrwpothto~ proswpon eisferein moi h dua~ auth teqewrhtai (PG 96 col. 685 B 8-10). **გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი:** "რამეთუ დაღაცათუ ორნი ესე მეუღლენი იტყოდეს, არამედ ყოვლისა კაცობრივისა პირისა ბუნებისასა შორის შემოიღებდეს" (გოგუაძე 1986:106,3-5).

43 და H] – A.

44 **ფს. 43,3.**

45 თჳსსა A] თჳსა H.

46 **დაბ.** 3,16.

47 ვედრებაჲ მათი A] - H.

მას სახელსა მარიამ, ღმრთივგამორჩეული, რტოდ შუენიერად და ნერგად ღმრთივაღყუავებულად. **[H315r]** და ესრეთ დიდებულად აღესრულა წინაუკუმოებაჲ საქმეთაჲ, რამეთუ ნაცვალად ევაჲსა, ასულმან კურნებად დედისა შვა ძე ახალი, თბე იგი საღმრთოჲსა მის[48] 5 განახლებისაჲ, ყოვლადწმიდაჲ იგი, მთავარი ნათესავთაჲ,[49] ძირი იგი ღმრთივაღმოცენებულისა მის რტოჲსაჲ[50], სიხარული იგი პირველისა მის მამისაჲ!

ᲐᲐ ქველისმოქმედებაჲღა ესე! ᲐᲐ ნიჭმრავლობაჲღა ესე![51] არა უკუე თჳთ თავადიცა იგი მზე უმცხინვარესად განუტევებს-ა შანთთა მათ 10 ელვარებისა თჳსისათა, უზომოჲსა მიერ სიხარულისა გრძნობილი და ძღომილი? არა უკუე ყოველივე დაბადებული განშუენდების-ა სასოებითა მით ხრწნილებისაგან ჴსნისაჲთა შობისათჳს მშობელსა მას უხრწნელებისასა, სოფლისა მაცხოვარსა?

განიცადეღა შემდგომებაჲცა და იყავ, საყუარელო, მოყუარე სმენისა 15 და ნუ გცონის კითხვად, ნუცა დასცხრები ძიებისაგან, რამეთუ იტყჳს: "*მოწუელე სძჱ*[52] *და იყავნ იგი*[53] *ერბო*".[54] ვინაჲცა თჳთოეული იყო ადგილი მართალთა მათ ლოცვისაჲ, რამეთუ ილოცვიდეს იგინი სამოთხესა შინა, ამისთჳსცა შვეს სამოთხე, ფრიად პირველისა მის უსანატრელესი, რამეთუ მუნ გუელმან მლიქნელმან აცთუნა ევა[55], ხოლო აქა **[A180v]** გაბრიელ, 20 მთავარი ანგელოზთაჲ, ზრახვიდა ქალწულსა მარიამს, და დაღაცათუ სიმაღლემან სიხარულისამან შეაძრწუნა, არამედ არა მოაცთუნა[56] მუნ მორჩილებამან გუელისამან, რაჲ-იგი არა ჯერ-იყო. სიკუდილი მოატყუა მას, ხოლო აქა ამან მორჩილებითა ანგელოზისაჲთა ცხორებაჲ იგი კაცთაჲ სამარადისოჲ სოფლად შემოიყვანა. მუნ განჩინებისა[57] მიერ და 25 ურჩებისა იშვა სალმობაჲ, ხოლო აქა, მოსლვითა სულისა წმიდისაჲთა, - მხიარულებაჲ იგი და **[H 315v]** მაოტებელი ლმობათა მათ შობისათა.

ᲐᲐ ცვალებაჲღა ესე საქმეთაჲ! ᲐᲐ სიახლეღა ესე აღსრულებათაჲ, რომლისათჳსცა თქუათ აქა ჯერისებრ, ვითარმედ "*პირველი იგი წარჴდა, აჰა ესერა, იქმნა ყოველივე ახალ*".[58] ამისთჳსცა, მთავრად სახლისა 30 სიმაღლედ ხედვათა და პირველისა კაცთა თანამოსლვისა სასწაულად,

48 მის A] - H.
49 ნათესავთაჲ A] ნათესავთა H.
50 რტოჲსაჲ A] რტოჲსა H.
51 ᲐᲐ ნიჭმრავლობაჲღა ესე A] – H.
52 სძჱ A] სძე H.
53 იგი A] - H.
54 **იგავ. 30,33.**
55 ევა A] ევაჲ H.
56 მოაცთუნა A] მოცთუნვა H.
57 განჩინებისა A] განჩენებისა H.
58 **II კორ. 5,17.**

კრებაჲ ესე კრებათაჲ განბრწყინდების დღეს.

6) გაქუს, ჱ საყუარელო, საძიებლისა მის განმარტებაჲ, მიგიღებიეს სესხი იგი ადთქუმისაჲ და სიტყჳსა თანამდები? მოვედ უკუე აწ შენცა და თქუ ესაიაჲს თანა ესაჲაჲსი[59] იგი: *„უფალო ღმერთო, გადიდო შენ და ვაქო სახლი შენი უკუნისამდე, რამეთუ ჰქმნენ საქმენი საკჳრველნი, ზრახვაჲ პირველი და ჭეშმარიტი"*[60].

ხოლო შემდგომად მცირედისა იხილო სანატრელი მარიამ წმიდასა მას წმიდათასა შემავალად და, ვითარცა ძღუენი რჩეული, ღმრთისა ყოველთაჲსა შეწირულად და მერმე მიდგომილად და მტჳრთველად[61] მუცლითა მიუწდომელსა მას. ჱ საკჳრველიღა საკჳრველთაჲ, რამეთუ მცირესა შინა სიზრქესა ჴორცთასა დატევნულ იქმნა, რომელსა ბრჭალითა უპყრიან ყოველნივე დაბადებულნი.

ვითარ უკუე არა გარეშემოწერილი არს იგი, ჱ მბრძოლნო ქრისტესნო, რაჲთა მცირედ[62] მოვიხილო თქუენდა მომართ, არამედ უზეშთაესო ჩუენსა[63]. და რაჲ არს ესე, რამეთუ არათუ ხატითა კაცებისაჲთა, არამედ ბუნებითა[64] ღმრთეებისაჲთა არს განწვალებაჲ და ცვალებაჲ ვითარცა სახედ, რამეთუ სწოვდა ძუძუთა დედისათა კაცობრივ, არამედ მიანიჭებდა დედასა სიცოცხლესა ღმრთივშუენიერად; იტყოდა ჴმითა ზრქელითა ჩუენებრ, არამედ აქუნდა ჴელმწიფებაჲ ღმრთეებრი უზეშთაეს ჩუენსა ქმნად[65] სასწაულთა, ვიდოდა **[H316r]** ფერჴთა მიერ ქუეყანიერთა ჩუენებრ, არამედ ვიდოდა კეთილად ბჭეთა[66] ზედა ზღჳსათა უზეშთაეს ჩუენსა. ჯუარს-ეცუმოდა ჴორცითა ჩუენთჳს ჩუენებრ, არამედ იოტებდა ჯუარსა ზედა ძალთა მათ წინააღმდგომთა უზეშთაეს ჩუენსა, რამეთუ რომელიცა-რაჲ არს შემოწერილისა ბუნებისაჲ,[67] ჩუენი არს და ჩუენებრ, ხოლო რაოდენი-რაჲ შეუწერელ არს, ჩუენთჳს არს და უზეშთაეს ჩუენსა.

და არა განჰრყუნის ერთიერთსა ბუნებით, არცა ავნებს ბუნებითსა მას გუამოვნებასა, არამედ თჳთოეული მდგომარე არს თჳსსა **[A181r]** შინა საზღვარსა, ხოლო შენ ივლტი შემოწერილისაგან, ანუთუ გამოსახვისა, და ამას ორსავე იქმ, რამეთუ შეჰრევ ბუნებათა უთაოთა მათ თანა და განგებულებასა უვარ-ჰყოფ მანიქეველთა თანა. უმჯობეს იყო შენდა,

59 ესაიაჲს თანა ესაჲაჲსი A] ესაიაჲსა თანა ესაჲაჲ H.

60 **ეს. 25,1.**

61 და მტჳრთველად A] – H.

62 მცირედ A] მცირე H.

63 არამედ უზეშთაესო ჩუენსა] Oti, ei kai kaq hma~ , fhsin, all uper hma~ (PG 96, col. 688 C 2). **გიორგი მთაწმიდელისეულ თარგმანში ასეა:** „მომიგებს და მეტყჳს, ვითარმედ: დაღაცათუ ჩუენებრ, არამედ უზეშთაეს ჩუენსა" (გოგუაძე 1986:107,26-27).

64 ბუნებითა A] გუნებითა H.

65 ქმნად A] ქმნა H.

66 ბჭეთა H] ბეჭთა A.

67 ბუნებისაჲ A] ბუნებისა H.

სიტყჳსაებრ უგუნურებისა, რაჲთა ჭეშმარიტი ვთქუა წინადაცუეთილებაჲ
და ჰურიაებაჲ, ვიდრედა ქრისტეანე წოდებაჲ და ქრისტეს მბრძოლობაჲ[68],
რამეთუ რომელი-იგი არა აღიარებს ღმერთსა განკაცებულსა, არცა
გამოჰსახავს[69], შემსგავსებულსა იქმს თავისა თჳსისასა[70]. ხოლო შენ
5 მოუჴდები და არა გამოჰსახავ[71] და შეუმსგავსებელსა ჰყოფ თავისა
შენისასა. ჯერ-იყო შენდა ბასრობაჲ და ჰურიაობაჲ, რაჲთა არღარა
ვთქუა საგინებელი იგი.

არამედ მათდა მიმართ ესეოდენ იყავნ სიტყჳსგებაჲ, რამეთუ არა
რჩულებისაჲ არს ჟამი ესე, არამედ დღესასწაულობისაჲ არს კრებაჲ ესე.
10 ხოლო ჩუენ შევძინოთ ამას ზედა მცირედ რაჲმე თქუმად ქალწულისა
მიმართ და ესე, რაჲ იგი წოდებულ არს წერილთა შინა საღმრთოთა,
მიერ აღმოვივსოთ და წიაღ-ვლოთ ჩუენ სარბიელსა თანა სიტყჳსასა,
დაღაცათუ უღირს არს სიტყუაჲ ჩუენი.

7) გიხაროდენ, მარიამ, ღმრთივსანატრელო, რომლისათჳს ბევრეული
15 თუ ვინ თქუას სიტყუაჲ შესხმისაჲ, ვერ მისწუთეს ღირსებით ქებად
შენდა **[H 316v].**

გიხაროდენ, მარიამ, დედოფალო დაბადებულთაო, რომელმან სა-
ხელი ესე საუფლოჲ დედობითა ღმრთისაჲთა მოუგე თავსა შენსა[72],
რომლისათჳს უკუეთუ ვინ თქუას ყოველივე მონად შენდა, არა სცთეს
20 ჭეშმარიტებისაგან.

გიხაროდენ, ზმირნო[73] ზღჳსაო, დამატკბობელო მარილოვნებასა მას
სოფლისასა და მიმოტაცებასა მას გუამთა, მკუდართა ცოდვისა მიერ,
ცხოველსმყოფელო სულისა მიერ, *ვითარცა იტყჳს ქებასა შინა ქებათასა*
*- "მოწილეს მიჰრონი ჩემი სულნელთა თანა ჩემთა".*[74]

25 გიხაროდენ, მაყუალო ცეცხლთხზულო საკჳრველებათაო[75] და
ყოვლადუვალო ცოდვისა მიერ, ვინაჲთგან და *"ნერგიცა იგი მიუხებელ*
*არს",*[76] და ქუეყანისათა ამათ ცად აღმყვანებელო ღმრთისმეცნიერებითა
შენითა.

გიხაროდენ, *"კიდობანო ღმრთივაღშენებულო"*[77], ახლადდაბადებულო
30 საუნჯეო ყოვლისა[78] სოფლისაო, რომლისაგან გამოვიდა ქრისტე,

68 მბრძოლობაჲ A] მბრძოლებაჲ H.
69 გამოჰსახავს A] გამოსახავს H.
70 თჳსისასა A] თჳსისა H.
71 გამოჰსახავ A] გამოსახავ H.
72 შენსა H] თჳსსა A.
73 ზმირნო A] ზმჳრნო H.
74 ქებ. 5,1.
75 საკჳრველებათაო H] საკჳრველებაო A.
76 **გამ. 3,2.**
77 **გამ. 5,10.**
78 ყოვლისა H] – A.

*“ახალი ნოე, აღმავსებელად ზემოსა*[79] *მას სოფელსა უხრწნელებითა”.*[80]

*გიხაროდენ, კუერთხო ღმრთივდანერგულო, რომელი მხოლოდ გამოჩნდი მშობელად ყოველთა შორის ქალწულთა”*[81] და თჳნიერ თესლისა აღმოაცენე ყუავილი იგი კეთილთაჲ და ღმერთი ყოველთაჲ და მღდელთმთავარი.

*გიხაროდენ, “ტაკუკო ოქროთხზულო, ჭურჭელო, რომელი წარჰჴედ ყოველსავე რჩეულებასა ჭურჭელთასა, რომლისა მიერ მიიღებს ყოველივე სოფელი*[82] *მანანასა*[83] *მას სიტკბოებისასა”*[84] **[A181v]** და[85] რომლისა შორის შეიცხო ცეცხლითა მით ღმრთეებისაჲ პური იგი ცხორებისაჲ.

*გიხაროდენ, “კარავო*[86] *ღმრთივშემზადებულო”*[87] და ბჭეო ნათლისაო, კამარათა მათ ცათასა[88] ფრიად უაღრესო, რომლისა მიერ პირისპირ[89] ეზრახა ღმრთეებაჲ კაცებასა და რომლისა მიერ შემოვიდა სოფლად ლხინებაჲ საუკუნოჲ.

*გიხაროდენ, “სასაკუმევლეო ოქროჲსაო,* **[H317r]** *ჭურჭელო ყოვლად-პატიოსანო”,*[90] *რომელმან იტჳრთე თავსა შორის თჳსსა ნაკუერცხალი* იგი ღმრთეებისაჲ და რომლისა მიერ კუმეულ იქმნა სულნელებაჲ იგი სულისაჲ და სულმყრალობაჲ იგი ცოდვისაჲ სოფლით ლტოლვილ იქმნა.

*გიხაროდენ, ტრაპეზო ღმრთივდაგებულო, რომელი შემკობილ ხარ სიმრავლითა მით სათნოებათაჲთა, ვითარცა იტყჳს ქებასა შინა ქებათასა, ვითარმედ “საწდეველნი შენნი უნაკლულო არიან და სასუმელნი შენნი სულნელთაგან შემზადებულ”.*[91]

*გიხაროდენ, წმიდაო ტაძარო*[92] *ღმრთისაო, რომლისათჳს იტყჳს დავით: “წმიდა არს ტაძარი შენი, საკჳრველ არს სიმართლითა”,*[93] *რომლისაგან* იშენნა ქრისტემან ჴორცნი თჳსნი და გამოგაჩინა შენ კაცთა შორის ტაძრად ღმრთისა ცხოველისა.

*გიხაროდენ, შროშანო წმიდაო, ღმრთივაღმოცენებულო, რომელი* აღსავსე ხარ ყოვლითა სიწმიდითა, *“რომლისაგან გამოვიდა წმიდაჲ იგი*

---

79 ზემოსა A] ზემოჲსა H.
80 **დაბ. 6,9.**
81 **ეს. 11,1.**
82 ყოველივე სოფელი A] სოფელი ყოველივე H.
83 მანანასა A] მანანაჲსა H.
84 **გამ. 16,33.**
85 და A] - H.
86 კარავო] კარაო A, კარო H.
87 **გამ. 26,1.**
88 ცათასა A] ცისათა H.
89 პირისპირ A] - H.
90 **გამ. 25,9.**
91 **ქებ. 7,2.**
92 წმიდაო ტაძარო A] ტაძარო წმიდაო H.
93 **ფს. 64,5.**

*წმიდათაჲ"*[94] განწმედად სოფლისა არაწმიდებისაგან.

გიხაროდენ, ადგილო წმიდაო ღმრთისაო და ღმრთივდაფუძნებულო ქუეყანაო, რომელმან ქუეყანაჲ იგი, განშორებული ღმრთისაგან, ჰქმენ ადგილ კეთილ განკაცებისა, რომლისაგან მარტივი იგი ორკეც იქმნა და
5 სამარადისოჲ - ჟამეულ და შეუცავი იგი შეცვულ იქმნა.

გიხაროდენ, *"სახლო ღმრთისაო, ელვარეო საღმრთოჲთა მით ელვარებითა, რომლისა აღუღებელ არს ბჭე იგი და ეზოჲ სიწმიდისაჲ და რომელი აღსავსე ხარ დიდებითა ღმრთისაჲთა და უბრწყინვალეს ხარ სულითა ცეცხლისფერთა მათ სერაბინთა".*[95]

10 გიხაროდენ, *"ბჭეო წმიდაო, აღმოსავალით მხედველო, რომლისაგან ცხორებისა იგი აღმოსავალი განეღო კაცთა, რომელი-ეგე უვალ იქმენ სიკუდილისაგან და განსაზღვრებულ იქმენ გზად სავალად ღმრთისა და კლიტედ წმიდად ქალწულებისა"*[96].

გიხაროდენ, ცაო სიტყჳერო, შემკობილებასა მას შინა მწყობრთასა[97] **[H 317v]** უპატიოსნესად განმტკიცებულ ხარ ნათლითა მით სათნოებათაჲთა
15 და რომლისაგან აღმობრწყინდა მზე იგი სიმართლისაჲ, დღედ დაუღამებელად და მაცხოვარებისა კაცთაჲსა დამბადებელად.

გიხაროდენ, საყდარო სიწმიდისაო, ზეშთა სიმაღლედ დიდებით აღმაღლებულო და სავანეო სულიერო, რომელსა ზედა განისუენა
20 ღმერთმან უზეშთაეს ქერობინთაჲსა და თავსა თჳსსა გამოწერად შენ შორის სათნო იყო.

გიხაროდენ, ქერობინებრო გონებაო ცეცხლისაო, რომელი სახედ მრავალთა თუალთა შემკობილ ხარ ზრახვათა მათ მიერ საღმრთოთა და გულისჴმის-ყოფისა სრულითა[98], რომელი შანთთა [A182r] მათ მადლისათა
25 მრავალმნათობიერად განუტევებ და ღმერთსა ქუეყანად მოიყვანებ და რომლისა მიერ მოენიჭების კაცთა ნათელი იგი დაუღამებელი.

გიხაროდენ, დედაო უქორწინებელო, რომელი მხოლოჲ ჰქალწულებ დედობასა შინა და რომელსა გაქუს შობაჲ ქალწულებით, ყოველთა შორის საკჳრველთა უახლესი სახილავი.

30 გიხაროდენ, ქალწულებით მშობელო, რომელი მხოლოჲ დედაჲ იქმენ ქალწულებით და ქალწულებაჲ მშობელ ჰყავ შვილისა, სასწაულთა ყოველთა უსაშინელესი სასმენელი.

გიხაროდენ, ბეჭედო საუფლოო, რომელმან[99] შენგან ჴორცშემოსილი

---

94 **გამ. 25,8.**

95 **ეს. 6, 2-4.**

96 **ეზეკ. 44,2.**

97 მწყობრთასა A] მწყობრთაჲსა H.

98 გულისჴმის-ყოფისა სრულისა] AH; nohmata plhqousa PG 96 col. 692 A 9. **გიორგი მთაწმიდელის თარგმანში:** საღმრთოთა გულისჴმის-ყოფათა სიმრავლითა (გოგუაძე 1986:110,11-12.

99 რომელმან A] რამეთუ H.

იგი მეუფე გამოჰსახე დედისა მსგავსითა ჴორცითა, ვითარ იყავ, და ესრეთ შობილი იგი იმსგავსე თავსა თჳსსა.

გიხაროდენ, *"წიგნო დაბეჭდულო"*,[100] ყოვლისაგანვე ზრახვისა განმხრწნელისა უცხოო, რომლისაგან ღმრთივდაწერილი იგი შჯული უფალმან მხოლომან შენდა მომართ მხოლოდსა ქალწულებით წარიკითხა. 5

გიხაროდენ, *"ახალო ქარტაო საიდუმლოო"*, ყოვლისაგანვე ბიწისა ყოვლითურთ მიუახლებე**[H318r]**ლო, *"რომელსა ზედა გამოუსახველი იგი სიტყუაჲ კალმითა კაცობრივისა სახისაჲთა გამოიხატა"*,[101] ანუთუ განჴორციელდა, რომელი-იგი ყოვლითურთ მსგავს ჩუენდა იქმნა თჳნიერ ცოდვისა. 10

გიხაროდენ, *"წყაროო დაბეჭდულო"*,[102] აღმომაცენებელო უხრწნელებისაო, რომელმან მდინარე იგი ცხორებისაჲ, ქრისტე, გამოადინე და სასწაულსა მას ქალწულებისასა ყოლადვე არა ავნე, რომლისა სუმითა განვძლიერდებით და კუალად წარვემართებით ჩუენ სრბად დაუძუელებელისა მის მიმართ სამოთხისა. 15

გიხაროდენ, მტილო დაკრძალულო და თჳნიერ განღებისა ქალწულებისა ნაყოფიერქმნულო, რომლისა ყნოსაჲ ყუავილთა მისთაჲ სავსე არს სულნელებითა, რომელი აკურთხა შენგან გამოსრულმან უფალმან.

გიხაროდენ, ვარდო დაუჭნობელო, რომელი-ეგე ჰფშჳ სულად სურნელებისა, რომელი იყნოსა უფალმან და განისუენა და რომლისაგან 20 თავადი აღყუავილნა და ცოდვანი სოფლისანი დააჭნვნა.

გიხაროდენ, ვაშლო სულნელთაო[103] და საწადელო, ბერწთაგან აღმოცენებულო ნაყოფო ღმრთივშუენიერო, რომლისათჳს იტყჳს ქებაჲ ქებათაჲ, ვითარმედ: *"ვაშლოვანსა ზედა მზა-მყავთ მე, რამეთუ მოწყლულ ვარ მე სიყუარულითა"*,[104] რომელი სთნდა ქრისტესა და გისერა შენ და 25 სულნელებაჲ უხრწნელებისაჲ უყნოსა სოფელსა.

გიხაროდენ, *"შროშანო შუენიერო"*,[105] რომლისა ყუავილ არს იესუ, შემმოსელი იგი შროშანთა მათ ველისათაჲ სიკეთითა და მჯდომარე წიაღთა მათ[106] მამულთა, რომელი შენგან უკუანაჲსკნელ განკაცნა და აღორძნდა ქრისტე შენგან უთესლოდ და შეიმოსა მან ჴორცთა იგი 30 სამოსელი, რომლითა დაფარა ძოწეული იგი სოლომონისი.

**[A182v]** გიხაროდენ, ყუავილო საწადელო, ყოველსავე ყუავილო**[H318v]** ვნებასა უაღრესო და უმჯობესო, მრავალფერობითა მით სათნოებათაჲთა განშუენებულო, რომელმან გამოიღე ყუავილოვნებაჲ იგი კეთილთაჲ,

100 **ეს. 29,11.**
101 **ესაია 8,1.**
102 **ქებ. 4,12.**
103 სულნელთაო A] სურნელო H.
104 **ქებ. 2,5.**
105 **ქებ. 2,1.**
106 მათ A] - H.

მსგავსმან მსგავსი დედობრივი, *“რომელსა ზედა განისუენებენ შჳდნი იგი სულნი ღმრთისანი”.*[107]

გიხაროდენ, *“ნარდო ნარდოვნებისაო”,*[108] რომელი იყნოს დაულევნელად სულნელებითა მით სიწმიდისაჲთა, რომლისა ყნოსაჲ მსგავს არს
5 თქუმულსა მას ქებასა შინა ქებათასა, ვითარმედ: *”ნელსაცხებელმან მცა მე სულნელებაჲ თჳსი”.*[109]

გიხაროდენ, შტახსო რჩეულო, ქალწულებისა მისგან ნელსაცხებელ მოქმედებისა მწთოლვარეო ქრისტესა, ვითარცა შტახსისაგან სიწმიდისა სძესა მას სიტკბოებისასა, მგალობელისა მისებრ ქებასა შინა ქებათასა,
10 ვითარმედ: *„ნაწუეთმან მან შტახსისა დისწულისა ჩემისამან შორის ძუძუთა ჩემთა განისუენოს”.*[110]

გიხაროდენ, კინამომე, საცნაურისა მისგან სამოთხისა უხრწნელებისა აღმომაცენებელო[111] სულნელო, რომლისა ყნოსაჲ მსგავს არს თქუმულსა მას ქებასა შინა ქებათასა, ვითარმედ: *„მოციქულნი შენნი ანუთუ*
15 *წარგზავნილნი*[112] *მსგავს არიან სამოთხესა, რომელი შემკულ არიან თჳთოსახეობითა მით ნერგთაჲთა კალამსა*[113] *თანა და კილამონსა და ყოველთავე მათ ხეთა ლიბანისათა”.*[114]

გიხაროდენ, ასულო, ყოვლადშემკობილო ქალწულო, ბჭეო ზეცათაო და უხრწნელებითა პატივცემულო, რომლისა შობაჲ საკჳრველ და
20 დიდებულ, მეტყუელისა მისებრ ქებასა შინა ქებათასა, ვითარმედ: *“ვითარ შუენიერ იქმნნეს სლვანი შენნი და ფერჴნი შენნი შემოსილ, ასულო ამინადაბისო, და მუცელი შენი მსგავს არს ზჳნსა იფქლისასა, მოსხმულსა შროშნებითა სულნელთაჲთა”.*[115]

გიხაროდენ, დაო, კეთილისა მის დისწულისა **[H319r]** მოსაგრეო და
25 მოსახელეო და ყოვლად ყოვლითურთ საყუარელო, რომლისა ჴმაჲ ღაღადებს სიტყჳსაებრ ქებათასა: *“მოწყლულ არს გული ჩემი, დაო ჩემო, სძალო ჩემო, მოწყლულ არს”.*[116]

გიხაროდენ, სძალო რჩეულო, რომლისა წინამძღუარ სასძლოჲსა არს სული წმიდაჲ, ხოლო სიძე – თჳთ თავადი უფალი, რომელი იტყჳს
30 ქებასა შინა ქებათასა, ვითარმედ: *“ყოვლითურთ შუენიერ ხარ, მოყუასო*

---

107 **ეს. 11,2.**

108 **ქებ. 4,13-14.**

109 **ქებ. 1,12.**

110 **ქებ. 1,13.** H 1760-ში (H) წერია „სიწმიდისა“, Ath. 20-ში არ იკითხება. ოშკის ბიბლიაში (256r) არის: შეკრული შტახში - „ძმისწულაკი ჩემი ჩემდა, შორის სასძეურთა ჩემთა განისუენოს“ (ოშკის ბიბლია; გვ. 256r).

111 აღმომაცენებელო H] აღმოცენებელო A.

112 წარგზავნილნი H] წარმგზავნელნი A.

113 კალამსა A] კალამასა H.

114 **ქებ. 4,13-14.**

115 **ქებ. 7,2-3.**

116 **ქებ. 5,8.**

*ჩემო, და ბიწი არა არს შენ თანა. მოვედ აწ ლიბანით, სძალო ჩემო”.*[117]

გიხაროდენ, მიჰრონო პატიოსანო და ყოველთავე სათნოებათა ბევრწილო შესაკრებელო, რომელი სურნელებ სურნელებასა მას ყოვლადწმიდისა მიჰრონისასა, რომლისაგან შენსახედ გამოვიდა შენგან უფალი, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *“ნელსაცხებელ წარმოცალიერებულ* 5 *არს სახელი შენი”*,[118] რომლითა ცხებულ იქმნა მეფობაჲ მდდელობითა.

გიხაროდენ, საკუმეველო სულნელო, **[A183r]** ყოველთა ღმრთისა წინაშე დაკუმეულო ყოვლისა სოფლისათჳს, აღსავსეო სურნელებითა მით სულისაჲთა და შეწირულო სავედრებელო, რომლისათჳს დაჲდადებს საკჳრველი ვინმე და იტყჳს, ვითარმედ: *“ვინ არს ესე,* 10 *აღმომავალი უდაბნოჲთ? და კუმეულ არს იგი საკუმეველითა მით სულნელთაჲთა”*.[119]

გიხაროდენ, ოქროო წმიდაო, ბრძმედსა მას შინა სოფლისასა გამოცდილო ცეცხლითა მით სულისაჲთა, რომელსა არცა ერთი რაჲ გიტჳრთავს ბიწივნებათაჲ, რომელსაცა სასანთლე იგი და ტაბლაჲ სხუათა მათ თანა სახეთა ძუელთაჲსა სახელისდებით წინაჲსწარ- 15 გამოგსახვიდეს და პატივცემულ იქმნნეს იგინი სახეობისა მიერ შენისა.

გიხაროდენ, ძელო ულპოლველო და მატლსა მას ცოდვათა **[H319v]** ხრწნილებისასა არა გამომდებელო, რომლისაგან იშენა საცნაური იგი საკურთხეველი, არა ძელთაგან ულპოლველთა შემზადებული, არამედ უხრწნელთაგან სისხლთა შენთა ღმერთი განკაცებული. 20

გიხაროდენ, ძოწეულო სამეუფოო, სისხლთაგან ქალწულებისათა დამქუსუველო[120] პორფირსა მას შუენიერებისასა, ვითარცა იტყჳს ქებასა შინა ქებათასა, ვითარმედ: *“თხზულებაჲ თავისა შენისაჲ, ვითარცა პორფირი სამეუფოჲ, გარდამოტევებულ არს, რაოდენ განშუენდი და რაოდენ განსძლიერდი”*![121] 25

გიხაროდენ, ბისონო გრეხილო, რომელმან სიღრმე იგი განზრახვათა მათ საღმრთოთაჲ სთიე გონებასა შინა შენსა და მკჳრტისა მისგან წინააღმდგომისა უვალ-იქმენ, გინათუ უცხო-იყავ და თარგმნის სიტყუასა ამას წმიდა იგი სიტყუაჲ შენი: *“ვითარ-მე იყოსო ესე ჩემდა, ვინაჲთგან არა უწყი მე მამაკაცი,”*[122] რომლისაგანმცა მოიქსოვა პორფირი იგი 30 ოქროთხზული და მდდელთმთავარი ძალთა მათ ზეცისათა?

გიხაროდენ, იაკინთო ცეცხლისფერო და ქალწულებისა აბრეშუმო, რომლისაგან საიდუმლოდ[123] იქსოვა ღმერთმან სამოსელი იგი გან-

117 **ქებ. 4,7-8.**
118 **ქებ. 1,3(2).**
119 **ქებ. 3,6.**
120 დამქუსუველო A] დამქუსველო H.
121 **ქებ. 7,6-7.**
122 **ლკ. 1,34.**
123 საიდუმლოდ] საჲდუმლოდ AH.

კაცებისაჲ[124].

*გიხაროდენ, ღრუბელო სულმცირეო* და ქუეყანიერისა მისგან ნივთისა არა დამძიმებულო, არამედ სიწმიდისა მიერ და უხრწნელებისა ზეშთა სიმაღლედ აღმაღლებულო[125] და პურსა მას ცხორებისასა, ვითარცა
5 საკურთხეველსა შინა, დამფარველო, ანუთუ დამცველო, *"რომელსაცა შინა მჯდომარეობაჲ უფლისაჲ ესაია წინაჲსწარ-მოასწავა, გინათუ გამოსახა".*[126]

გიხაროდენ, ყოვლადუხრწნელო და უბიწოო ძეგლო ქალწულებისაო, რომელმან ჰშვე სიტყუაჲ **[H320r]** ყოვლადუხრწნელი და გამოაბრწყინვე
10 ქალწულებაჲ, განმკუეთელი სოფლისაგან.

გიხაროდენ, მხოლოო უბიწოო, რომელსა გაქუნდა ჭეშმარიტად გული ყოვლადწმიდაჲ და იქმენ ნანდჳლვე მთა **[A183v]** ღმრთისა შემწყნარებელ, რომელსა ზედა განწმიდნების ახალი იგი ისრაჱლი და უმეტეს დამშჳდნების და მრავალჟამეულ იქმნების.

15 გიხაროდენ, ორნატო დაუთესველო, რომელმან ქორწინებაჲ მიუმძლავრე ქალწულებასა და მზრდელ იქმენ სძითა ჩჩჳლსა მას, მზრდელსა ყოვლისა სოფლისასა.

გიხაროდენ, უხრწნელო და ყოვლისაგანვე ბიწისა თავისუფალო, რომლისაგან იშვა ქრისტე, უბრალოებაჲ იგი ყოველთაჲ და მაოტებელი
20 სოფლით მწიკულსა მას ცოდვისასა.

გიხაროდენ, მხოლოო ღირსო ღმრთისაო, რომელი მხოლოჲ იპოვე სამკჳდრებელად ღმრთისა, რომელსა შობითგან გაქუნდა პატივი ღმრთისა მიერ, რომელსაცა თაყუანის-სცემდ შენ და შენ თანა ყოველნივე ძალნი ზეცათანი.

25 გიხაროდენ, *"გედეონის საწმისო, სახეო ძლევისაო",*[127] რომელსა ზე- და გარდამოჴდა წჳმაჲ იგი უკუდავებისაჲ, მთქუმელი იგი საქმესა მას ძლევისასა, ვითარმედ: *"ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფლისა".*[128]

გიხაროდენ, ადგილო წმიდაო ღმრთისაო, რომელმან დაუტევნელი იგი ყოველთაჲ საშოსა დაიტიე და რომელსა უპყრიან ჴელითა ყოველნივე
30 დაბადებულნი, ესე შენ იტჳრთე მკლავთა ზედა, რომელი-იგი ზეშთა არს ყოვლისა მიწდომისა[129] და ჟამთა და გონებათა.

გიხაროდენ, დედაო ღმრთისაო, რომელ მხოლოჲ ხარ დედა და მჴევალ ძისა თჳსისა, რომლისაგან პატივცემულ იქმნა ქალწულებაჲ ერთბამად და შობაჲ, რომლისა მიერ წარვემართენით ჩუენ სამოთხედ

---

124 განკაცებისაჲ A] განკაცებისა H.
125 აღმაღლებულო A] ამაღლებულო H.
126 **ეს. 19,1.**
127 **მსაჯ. 6,39.**
128 **ინ. 16,33.**
129 მიწდომისა A] მიწთომისა H.

და აღვედით კუალად პირველსავე ნეტარებასა.

გიხაროდენ, სავანეო ღმრთისა და შემწყნარებელო საღმრთოჲსა მის ბუნებისაო, რომელმან მარტივი იგი ორკეც ჰყავ და შემცველი **[H 320v]** იგი ცის კიდეთაჲ შეიცევ წმიდასა მას შინა საშოსა შენსა.

გიხაროდენ, ღმრთისმშობელო ქალწულო, რომელსა განთჳსებულად სახელად და თავად შესხმათა ესეოდენ გაქუს, რომელ არს ღმრთისმშობელობაჲ[130] და რომელი-ეგე მხოლოჲ იქმენ შესაკრებელ საშინელთა მათ სასწაულთა ღმრთისა კაცთა თანა ზეცისათა და ქუეყანისათა ანგელოზთა და კაცთა, უფროჲსდა[131] შემაერთებელ ღმრთეებასა და კაცებასა.

გიხაროდენ, სასძლოო შუენიერო, სიკეთითა მით ქალწულებისაჲთა შემზადებულო, ვითარცა იტყჳს ქებათა შინა ქებათასა, ვითარმედ: *"შევიდა შორის მტილსა შენსა, დაო ჩემო, სძალო ჩემო"*,[132] რომელსა ამას არა შეერთებისათჳს ჴორციელისა ღაღადებს ჩუენდა მომართ: *"გამოვედით უკუე და იხილეთ მეფე სოლომონ გჳრგჳნითა მით, რომლითა გჳრგჳნოსან-ყო იგი დედამან მისმან დღესა მას სძლობისა მისისასა*[133] *და დღესა მას სიხარულსა გულისა მისისა"*.[134]

გიხაროდენ, ტარიგო უბეღლოო წესითა მით ქორწინებისაჲთა, რომელმან ჰშევ მიდგომილებისა მიერ საღმრთოჲსა და რომლისა მიერ *"მოვიდა სოფლად კრავი* ***[A 184r]*** *იგი ღმრთისაჲ, ამხუმელი ცოდვათა სოფლისათა"*.[135]

გიხაროდენ, *"ღრუბელო ნათლისაო, რომელი უდაბნოსა მას სოფლისასა სცავ და აგრილობ ახალსა*[136] *მას ისრაჱლსა"*,[137] ვინაჲ-იგი ესხურების ყოველთა ნიავწულილობაჲ მადლისაჲ და სადაჲთ-იგი გამობრწყინდა მზე იგი სიმართლისაჲ და შანთთა მათ მიერ ელვისათა განაბრწყინვა ყოველივე.

გიხაროდენ, *"სასანთლეო ოქროჲსაო"*,[138] ყოვლადპატიოსანო ჭურჭელო ქალწულებისაო, რამეთუ აღსავსე ხარ მადლთა მიერ სულისათა და ნელსაცხებელისა მის[139] მიერ უხრწნელებისა, რომელთაგან წმიდათა ჴორცთა შენთა მიიხუნა წმიდამან მან წმიდანი იგი ჴორცნი თჳსნი და გამობრწყინდა ქრისტე, ნათელი **[H 321r]** იგი დაუვალი მსხდომარეთათჳს

130 ღმრთისმშობელობაჲ A] ღმრთისმშობლობაჲ H.
131 უფროჲსდა A] უფროჲღა H.
132 **ქებ. 5,1.**
133 მისისასა A] მისასა H.
134 **ქებ. 3,11.**
135 **ინ. 1,29.**
136 ახალსა A] ახალ H.
137 **გამ. 13,21.**
138 ოქროჲსაო A] ოქოროჲსაო H; **გამ. 35,31.**
139 ნელსაცხებელისა მის A] ნელსაცხებლისა H.

ბნელსა მას და აჩრდილთა შინა[140] სიკუდილისათა, რომელთა ცხორებისათჳს აღანთნა წმიდანი იგი ჴორცნი თჳსნი.

გიხაროდენ, *"სახარულევანო და ყოვლისავე სახარულევანისა საქმისა და სახელისა უაღრესო და უმთავრესო, რომელმან მომცემელი იგი სიხარულისაჲ, ქრისტე, სოფელსა უშევ"*[141] დამჴსნელად მწუხარებასა მას ადამეანთასა.

გიხაროდენ, სამოთხეო ღმრთისაო, უსანატრელესო ედემსა, რომლისა ნერგ არს სიმრავლე ყოველთავე სათნოებათაჲ და რომლისაგან გამოცხადნა ხე იგი ცხორებისაჲ, რომლისა მიღებითა აღვისწრაფით ჩუენ პირველსავე მას სავანესა, ზურგქცეულებისა მისთჳს მახჳლისა მას იქცევისასა და ქერობინსა მას მოტყინარესა, ვითარცა წერილ არს.

გიხაროდენ, ქალაქო დიდისა მის მეუფისაო, სიტყჳსაებრ დავითისა შეცვულო[142], რომლისა მიერ განეღო სასუფეველი იგი ზეცათაჲ და ქუეყანისა ნაშობნი ესე მას შინა მოქალაქედ აღვიწერენით, რომლისა იგი ბრწყინვალებაჲ დიდ არს და საკჳრველ და მითხრობაჲ მისთჳს ზეშთა არს ყოველთაგანვე გონებათა და ენათა, რომელსაცა შინა მკჳდრ ხარ შენ და იშუებ წინაშე ნათელსა მას[143] ნათელთასა, თავადისა ქრისტეს მიერ იესუჲს, ღმრთისა[144] ჩუენისა, შენ მიერ მლხინებელისა მის[145] ჩემისა ბრალთაგან და თანანადებთა ჩემთა. ამისთჳსცა, რომელ-ესე ვიკადრე გლახაკმან და უგუნურმან და რაჲთურთით ყოვლად უსწავლელმან შესხმად დიდებისა შენისა, რომელსაცა ჯეროვნად სიტყუად არცათუ წმიდანი იგი ძალნი შეუძლებენ, გარნა გაქუს შენ მაქებელად შენდა და მადიდებელად, ყოვლადწმიდაო ქალწულო, მხოლოჲ იგი მხოლოდშობილი ძე ღმრთისაჲ, ძჱ[146] შენი, რომელსა შუენის[147] ყოველივე დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ თანადაუსაბამოჲთ მამით[148] და ყოვლადწმიდით, სახიერით და ცხოველსმყოფელით [H 321v] სულითურთ აწ და[149] მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ[150].

---

140 შინა A] - H.
141 **ლკ. 1,28.**
142 შეცვულო A] შეცვილო H.
143 ნათელსა მას A] ნათლისა H.
144 ღმრთისა A] უფლისა H.
145 მის A] - H.
146 ძჱ A] ძე H.
147 შუენის A] შუენი H.
148 მამით A] - H.
149 და A] – H
150 ტექსტის ბოლოს ხელნაწერებში არის შემდეგი მინაწერები: ლოცვა-ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, ცოდვილისა თეოფილჱსთჳს, რეცა თარგმანისა A; მადლითა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისათა ცოდვილსა გრიგოლს შეუნდვნეს ღმერთმან H.

## თქუმული ნეტარისა იოანე დამასკელისაჲ გარდაცვალებისათჳს წმიდისა ღმერთისმშობელისა

Ier. 2, 1r-8r (XI ს.; D); Ier. 148, 212-237 (XI-XII სს.; E)

**(ღვთისმშობლის დაძინების პირველი ჰომილიის ანონიმი მთარგმნელის წინაათონური თარგმანი)**

**[D 1r, E 212]** 1) *ჴსენებაჲ მართლისაჲ ქებით აღესრულების, ვითარცა თქუა სოლომონ ბრძენმან*[1], *და პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთაჲ, ვითარცა წინაჲსწარ-თქუა დავით*[2] *წინაჲსწარმეტყველმან*[3]. და აწ უკუე, ჴსენებაჲ ყოველთა მართალთაჲ ქებით აღესრულების უკუე მისთჳს, რომელ-იგი აღმომაცენებელი არს 5 სიმართლისაჲ და საუნჯჱ[4] სიწმიდისაჲ. ვინ-მე არა განემზადოს და წინა-უყოს მას ქებაჲ, არათუ რაჲთამცა იდიდა ქებული, არამედ რაჲთა იდიდოს მაქებელი დიდებითა მით დაუსრულებელითა, რამეთუ სამკჳდრებელი უფლისაჲ და ქალაქი ღმრთისაჲ უზეშთაეს არს ქებისა[5] და არა უჴმს მას დიდებაჲ, *რომლისათჳს „დიდებულებანი"*[6] *იგი ითქუნეს, ვითარცა* 10 *თქუა საღმრთომან დავით მისთჳს*[7].

„დიდებული" ითქუა შენთჳს, ეგერა, ქალაქო ღმრთისაო. და რომელი-მე ქალაქი გულისხმა-ვყოთ საღმრთოდ: რომელი-იგი უხილავ არს და არაჲ შეიცავს მას, არამედ იგი არს, რომელი შეიცავს ყოველსა და ნებასა შინა თჳსსა უპყრიეს ყოველი?[8] გარნა თუ იგი, რომელმან-იგი 15 დაიტია სიტყუაჲ ღმრთისაჲ, რომელი შეუწერელი არს და შეუზომელი, უზეშთაესი ყოველთა ბუნებათაჲ და ნივთთა და გონებათაჲ[9], რომლისათჳს

1 **იგ. 17,7.**

2 დავით] o qeopatwr... Dabid (PG 96 col. 700 A 8-9). **ეფრემის თარგმანშია:** "დავით, მამაჲ ღმრთისაჲ".

3 **ფს. 115,15.**

4 საუნჯჱ D] საუნჯე E.

5 ქებისა E] ქებასა D

6 დიდებულებანი] Dedoxasmena (PG 96 col. 700 B 1). **ეფრემის თარგმანშია:** "დიდებული".

7 **ფს. 86,3.**

8 არამედ იგი არს, რომელი შეიცავს ყოველსა და ნებასა შინა თჳსსა უპყრიეს ყოველი?] tou ta panta th idia draki perieconto~ (PG 96 col. 700 B 3-4). **ეფრემის თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "რომელსა ბრჭალითა თჳსითა უპყრიან ყოველნი?"

9 უზეშთაესი ყოველთა ბუნებათაჲ და ნივთთა და გონებათაჲ] uperfuw~, kai

*„დიდებულნი" იგი ითქუნეს, რამეთუ არარაჲ არს უფროჲსი დიდებაჲ მისი, ვითარცა-იგი, რომელმან შეიწყნარა ზრახვაჲ ღმრთისაჲ დაუსაბამოჲ ჭეშმარიტი[10].*

2) ამას არცა ენაჲ კაცობრივი და არცა გონებაჲ ანგელოზებრი, 5 რომელი უმაღლეს არს მკჳდრთა ქუეყანისათა, შემძლებელ არს ქებად მისა, ვითარ-იგი ღირს არს, რომლისა მიერ მოგუემადლა ხილვაჲ დიდებისა მის ღმრთისაჲ სიწმიდით. აწ უკუე, რაჲ დავდუმნეთ-ა, ვინაჲთგან ვერ შემძლებელ ვართ ქებად მისა, ვითარ-იგი ღირს არს, **[E213]** და დავყუდუნდეთ შიშითა? ნუ იყოფინ! და გან-უკუე-ვწუადოთ[11] ფერჴი ჩუენი 10 უფროჲს ზომისა მისისა, ვითარ-იგი თქუმულ არს, და თანა-წარვჰჴდეთ საზომსა და ურცხჳნოდ და კადნიერად მივეახლნეთ, რომლისაჲ არა ჯერ-არს მიახლებაჲ, და დავჰფრთხეთ აღჳრსა მოშიშებისასა?[12] არავე, ნუ იყოფინ, **[D1v]** არამედ შევზაოთ სურვილი შიშსა თანა და გჳრგჳნი ერთი შევითხზათ ორთავე მათგან და შიშითა უბიწოჲთა და სულითა 15 წადიერითა წინა-უყოთ პირველი ნაყოფი გონებისა ჩუენისა უძლურისაჲ, ვითარცა სესხი თანამდები დედისა მის მეუფისაჲ, რომელმან-იგი მოართუა კეთილი ყოველსა ბუნებასა.

რამეთუ სიტყუაჲ თქუმულ არს, ვითარმედ კაცნი ვინმე მჴნველნი ჴნვიდეს ქუეყანასა[13] და იხილეს მეფჱ ვინმე წარმომავალი, შემკული 20 სამოსლითა სამეუფოჲთა და ბრწყინვიდა მცხინვარებაჲ გჳრგჳნისა მისისაჲ, და იყვნეს მრავალნი აღჭურვილნი გარემოჲს მისა. და ვითარცა ვერაჲ პოვეს კაცთა მათ, რომლითამცა მეუფესა მას მიეგებნეს პატივად მისა[14], აღავსო ერთმან მათგანმან პევში თჳსი წყლითა სწრაფით წყაროჲსა მისგან, რომელი იყო მახლობელად მათსა და წინა-მოუპყრა 25 იგი მეუფესა მას[15], ვითარცა ძღუენი. და ჰრქუა მას მეუფემან მან: „რაჲ

---

uperousiw~ (PG 96 col. 700 B 5). **ეფრემის თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "ზეშთა ბუნებისა და ზეშთა არსებისა".

10 **ეს. 25,1.**

11 გან-უკუჱ-ვწუადოთ D] განვწუადოთ E.

12 უფროჲს ზომისა მისისა ... თანა-წარვჰჴდეთ საზომსა და ურცხჳნოდ...დავჰფრთხეთ აღჳრსა მოშიშებისასა? uperbaqmion ... kai tou~ oikeiou~ agnohswmen orou~ ... tw fobw ton calinon apoptusante~ (PG 96 col. 700 C 2-4). **ეფრემის თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "ზეშთა ხარისხისა ... დავიწყებითა თჳსთა საზღვართაჲთა ... ურცხჳნოებით წარყრითა შიშისა აღჳრთაჲთა".

13 ჴნვიდეს ქუეყანასა] toi~ arothrsi bousi th~ gh~ tou~ aulaka~ temnonta~ (PG 96 col. 701 A 5-6). **ეფრემის თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "ერქუნითა უღლეულთაჲთა განმაღებელთა ქუეყანისა ურნატთაჲსა".

14 რომლითამცა მეუფესა მას მიეგებნეს პატივად მისა] o tote tw medonti dwroforhswsin (PG 96 col. 701 A 10-11). **ეფრემის თარგმანშია:** "არა აქუნდა მისა-ძღუანებელი".

15 მეუფესა მას] tw autokratori (PG 96 col. 701 A 13). **ეფრემის თარგმანშია:** "თჳთმპყრობელსა".

არს ესე, რომელი ჰყავ, ჵ ყრმაო?” წინა-გიყავ შენ, ჵ მეფე[16], და ვიხილე, ვითარმედ უფროჲს არს ესე და უმჯობეს, რაჲთა არა დავფარო სწრაფაჲ სულისა ჩემისაჲ[17] მიზეზითა ნაკლულევანებისაჲთა, რამეთუ შენ, ჵ მეფეო, არარაჲ გიჴმს და არცა რას ეძიებ ჩუენგან, გარნა კეთილსა [**E214**] გულსმოდგინებასა, ხოლო ჩუენ თანა-გუაც პატივი შენი, რომლითაცა ეგებოდის, რამეთუ დიდებაჲ შეუდგს კეთილსა გულსმოდგინებასა.”

და მეუფესა მას დაუკჳრდა მისგან და აქო სიბრძნჱ მისი და კეთილად მიითუალა სწრაფაჲ გულსმოდგინებისა მისისაჲ და მიაგო მას და განამდიდრა იგი ნიჭითა დიდითა.

და უკუეთუ მეუფემან თავმოთნემან აღირჩია კეთილი გულსმოდგინებაჲ საფასესა მრავალსა, ვითარ არა უკუე უფროჲს დედოფალმან მან[18], ჭეშმარიტად ღმრთისმშობელმან და დედამან სახიერისამან, რომლისა სიმდაბლენი აურაცხელ არიან და რომელმან აღირჩინა ორნი იგი ფოლნი უფროჲს შესაწირავთა მრავალთა, შეიწიროს სარწმუნოებაჲ ჩუენი და არა დამსაჯნეს უძლურებასა ჩუენსა ზედა?! ჰჱ, ჭეშმარიტად შეიწიროს, ვითარცა სესხი, თანამდებთაგან შეწირული, და მიითუალოს, ვითარცა არარაჲ შესასწორებელი მას.

**[D2r]** და აწ, ოდეს სიტყუაჲ უნებლიაჲთ თანა-გუაც[19], მოვედით და მივაქციოთ სიტყუაჲ ჩუენი მისა და ვჰრქუათ ესრეთ:

3) ვითარ-მე სახელ-გდვათ, ჵ დედოფალო, და რომლითა სიტყჳთა პატივ-გცეთ და რომლითა ქებითა გჳრგჳნოსან-ვყოთ თავი შენი, დიდებული და უბიწოჲ, ჵ მომცემელო სიმდიდრისაო?! ჵ სიქადულო ყოვლისა დაბადებულისაო, რამეთუ შენ მიერ ჭეშმარიტად ნეტარებაჲ მიმეცა მე ამისთჳს, რამეთუ რომელსა სოფელი ვერ დაიტევდა პირველად, შენ მიერ დაიტია, და *რომელსა ვერ შემძლებელ იყო მიახლებად მისა დაუბურველითა პირითა, ვითარცა სარკითა, შენ მიერ იხილვა*[20].

აღაღე, ჵ სიტყუაო ღმრთისაო, ძნიადმეტყუელი პირი ჩემი და მძიმედმზრახვალი ენაჲ ჩემი[21], და მომეც მე ახუმითა ბაგეთა ჩემთაჲთა

16 მეფე E] მეფჱ D.

17 სწრაფაჲ სულისა ჩემისაჲ] thn proqumian (PG 96 col. 701 A 16). **ეფრემის თარგმანს ზუსტად გადმოაქვს ბერძნული სიტყვა:** “გულსმოდგინებაჲ”.

18 მან D] ამან E.

19 ოდეს სიტყუაჲ უნებლიაჲთ თანა-გუაც] Epei oun to legein ek panto~ anagkaion, wste to creo~ afosiwsasqai (PG 96 col. 701 B 15-C 1). **ეფრემის თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** “ვინაჲთგან უკუე ყოვლით კერძო თანანადებ და მაიძულებელ ჩუენდა არს სიტყუაჲ წინამდებარისა პირისათჳს წარმოთქუმად”.

20 **II კორ. 3,15-18.**

21 ძნიადმეტყუელი პირი ჩემი და მძიმედ მზრახვალი ენაჲ ჩემი] to braduglwsson stoma (PG 96 col. 701 C 11-12). **ეფრემის თარგმანშია:** “ენამძიმე ესე პირი ჩუენი” **(იხ.: შენიშვნ. I, სქ. № 21).**

**[E215]** სიტყუაჲ მიწევნული[22] და შთაჰბერე გონებასა ჩემსა მადლი
სულისა წმიდისაჲ, რომლითა იტყოდეს მონადირენი იგი[23], და რომელთა
არა იცოდეს წიგნი, ზრახვიდეს სიბრძნესა უზეშთაეს ძეთა კაცთასა,
რაჲთა ჩუენცა, ჴმაწულილნი, შემძლებელ ვიქმნეთ[24], დაღაცათუ
5 მცირედ ვიტყოდით დიდებულებათა მშობელისა შენისა უბიწოჲსათა,
რამეთუ ესე ნათესავთა მათგან პირველთა გამოირჩიე და ნებითა
მამისაჲთა, რომელ-იგი უჟამო არს, ულმობელად გშვა შენ, მჴსნელი
და მოწყალე და განმამართლებელი და განმათავისუფლებელი[25], შენ,
რომელი ხარ ცხორებაჲ ცხორებისაგან და ნათელი ნათლისაგან და
10 ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა.

აღსასრულსა ჟამთასა განჴორციელებული მისგან იშევ, რომლისა
ნაშობი უზეშთაეს არს დიდებისა და შობაჲ მისი უზეშთაეს არს
ბუნებისა და გონებისა[26], მაცხოვარი სოფლისაჲ, და გარდაცვალებაჲ მისი
ჭეშმარიტად სადიდებელ და უბიწო და ღირს არს ყოვლისა ქებისა. ესე
15 წინავე-უსწრო მამამან და გამოსახა, და წინაწარმეტყველნი ამას ზედა
სულითა წმიდითა წინაწარმეტყველებდეს და ძალი სულისა წმიდისაჲ
მას[27] ზედა გამობრწყინდა და განწმიდა იგი და განაშუენა და ვითარცა
ყანასა, უსწრო, მორწყო იგი და მაშინდა შენ, ჰ სიტყუაო ღმრთისაო
შეუზომელო, დაემკჳდრე მას შინა **[D2v]** და მოუწოდე ბუნებასა ჩუენსა
20 განძებულსა ღმრთეებისა შენისა დიდებულისა და მიუწდომელისა, და
სისხლთა მათგან წმიდისა ქალწულისათა შეიმოსე დაწყებაჲ ჩუენი,
ჴორცი მშუმინვარე სულითა მეტყველითა და გონიერითა, **[E216]** და
გუამსა შინა შენსა შეაერთე და იქმენ კაცი სრული და არა შეიცვალე,
რაჲთა გამოსჩნდე[28] ღმერთი სრული, სწორი მამისაჲ ბუნებითა, სრულად[29]
25 შეიმოსე უძლურებაჲ ჩუენი სიმრავლითა[30] წყალობისა შენისაჲთა და
ამის უბიწოჲსაგან გამოგჳჩნდი[31] ერთი ქრისტე, ღმერთი და კაცი, ღმერთი
სრული და კაცი სრული, ყოვლითურთ ღმერთი და ყოვლითურთ კაცი,
გუამი ერთი ორთა ბუნებათაგან სრულთა, შეერთებული ღმრთეებისაგან
და კაცებისა, არათუ ღმერთი შიშველი და არცა კაცი ლიტონი,
30 არამედ ერთი ძჱ განჴორციელებული[32], ღმერთი შეერთებული და კაცი,

22 სიტყუაჲ მიწევნული] cariestaton logon (PG 96 col. 701 C 12-13). **ეფრემის თარგმანშია:** "სიტყუაჲ სახარულევანი".
23 მონადირენი იგი] h~ aliei~ (PG 96 col. 701 D 1). **ეფრემის თარგმანშია:** "მეთევზურნი".
24 ვიქმნეთ D] ვიქმნეთ E.
25 განმათავისუფლებელი D] განმანთავისუფლებელი E.
26 გონებისა E] ბუნებათა D. ennoian (PG 96, col. 704 A 5).
27 მას D] ამას E.
28 გამოშჩნდე D] იქმნე E.
29 სრულად E] არამედ D.
30 სიმრავლითა E] სიმართლითა D.
31 გამოგჳჩნდი E] გამოშჩნდი D.
32 ძჱ განჴორციელებული D] ძე ღმრთისაჲ E.

რომელმან არა თავს-იდევ შერეულებაჲ და არცა განყოფილებაჲ[33], არამედ გამოჩნდებიან შენ შორის თჳთებანი[34] ბუნებათანი, რომელნი შენ შორის შეერთნეს განურყუნელად და განუყოფელად, - დაბადებული და დამბადებელი, მოკუდავი და უკუდავი, ხილული და უხილავი, შესაცავი და შეუცავი[35], ნებაჲ ღმრთეებრი და ნებაჲ კაცობრივი, საკჳრველებანი ღმრთეებრნი და ვნებანი კაცობრივნი, ესე იგი არს ვნებაჲ ბუნებითი და არათუ განგდებული იგი მოქმედებაჲ ღმრთეებრი და მოქმედებაჲ კაცობრივი, და ორნი ჴელმწიფებანი - ჴელმწიფებაჲ ღმრთეებრი და ჴელმწიფებაჲ კაცობრივი, რამეთუ შენ, უფალო, უფალო, ყოვლითურთ პირველი იგი ადამ, რომელი იყო უწინარეს ურჩებისა თავისუფალი ცოდვისაგან, შეიმოსე, წყალობითა შენითა, ჴორცი, სული და გონებაჲ და თჳთებანი ამათნი, რაჲთა მე ყოვლითურთ მომანიჭო გამოჴსნაჲ, რამეთუ ჭეშმარიტად ყოველი, რომელი არა მიიღე ჩუენგან, იგი უკურნებელი დაადგრა და ესრეთ იქმენ შუამდგომელ შორის ღმრთისა და კაცთა და დაჴჴსენ მტერობაჲ იგი და წარმოიყ**[E217]**ვანე განძებული და მიუძღუანე მამასა, და მოიძიე წარწყმედული და განანათლე[36] დაბნელებული და განაახლე შემუსრვილი და შესცვალე **[D3r]** ხრწნილი იგი უხრწნელად[37] და განათავისუფლენ დაბადებულნი[38] ცთომისაგან მრავალღმრთეებისა და ჰყვენ კაცნი ნაშობ ღმრთის, და განგდებულნი იგი ჰყვენ ზიარ დიდებისა შენისა, და დაშჯილნი[39] იგი და დამკჳდრებულნი ქუესკნელთა თანა ქუეყანისათა, უაღრეს[40] ყოველთა მთავრობათა და ჴელმწიფებათა აღიყვანენ და საყდართა ზედა სამეუფოთა დაშჯილი იგი მიაწიე, რაჲთა ნუუკუე მიიქცეს ქუეყანად და დაემკჳდროს ჯოჯოხეთს, შენ შორის დაჰსჳ იგი[41].

აწ უკუე, ვინ-მე არს ამათ ესევითართა[42] კეთილთა საუნჯე, ანუ არა მშობელი შენი ქალწული?

4) და რამეთუ ჰხედავთ[43], ჲ ღმრთისმოყუარენო, ნიჭთა ამის დღისათა და ჰხედავთ ამაღლებასა და პატივსა ამის ქებულისასა, არა საშინელ არს-ა საიდუმლოჲ ესე, არა-მე სავსე არს-ა საკჳრველებითა? ნეტარ

33 და არცა განყოფილებაჲ E] - D.
34 თჳთებანი D] თითოებანი E.
35 შესაცავი და შეუცავი E] შესაცველი და შეუცველი D.
36 განანათლე D] + გული E.
37 ხრწნილი იგი უხრწნელად D] ხრწნილებაჲ იგი უხრწნელებად E.
38 დაბადებულნი E] დამონებულნი D.
39 და დაშჯილნი E] დასაშჯელნი D.
40 უაღრეს E] უმაღლეს D.
41 **reg. Naz., epist. II, Ad Cled.**
42 ამათ ესევითართა D] ესევითართა ამათ E.
43 ჰხედავთ D] ხედავთ (ყოველთვის) E.

მათ, რომელნი-იგი[44] ხედვენ, ვითარ-იგი ჯერ-არს ხილვად! ნეტარ მათ, რომელთა მოიგეს ცნობაჲ გონიერი! ჱ, ვითარი მცხინვარებაჲ ნათლისაჲ შეამკობს ღამესა ამას! ჱ, ვითარი გუნდი ანგელოზთაჲ პატივ-სცემს დედასა ცხორებისასა! ჱ, ვითარნი თქუმულნი საღმრთონი მოციქულთა
5 მიერ მისცემენ ნეტარებასა გუამსა მას შესუენებულსა, რომელი-იგი[45] შეიწყნარა ღმერთმან! ვითარ სიტყუაჲ ღმრთისაჲ[46] დამდაბლდა და ჯერ-იჩინა მოწყალებითა თჳსითა, რაჲთა იქმნეს ძჱ[47] ამის ნეტარისა **[E218]** და შეიწყნარა სული მისი უბიწოჲ, ვითარცა დედისაჲ, ნებთა შინა საუფლოთა.

10 ჱ საკჳრველებაჲ, რამეთუ შჯულისმდებელმან მან სახიერმან, რომელი არა თანამდებ იყო შჯულსა, სათნო-იყო აღსრულებაჲ შჯულისაჲ, რომელი ამცნო, რამეთუ მან ბრძანა, რაჲთა ნაშობნი მშობელთა თჳსთა თანანადებსა პატივისასა მისცემდენ, რაჟამს-იგი თქუა: „*პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა*"[48].

15 და ესე ჭეშმარიტად საცნაურ არს მათთჳს, რომელნი საღმრთოთა წიგნთა გულისხმა-ჰყოფენ; და უკუეთუ ნანდჳლვე[49] წიგნნი საღმრთონი იტყჳან, ვითარმედ *სულნი მართალთანი ჴელთა შინა ღმრთისათა არიან*[50], არა-მე ამან უფროჲსდა[51] მისცეს სული თჳსი[52] ჴელთა ძისა და უფლისა თჳსისათა? სიტყუაჲ ჭეშმარიტ არს და ზეშთა არს ყოვლისა
20 წინააღმდგომისა. **[D3v]** არამედ ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა გამოვიძიოთ, ვითარ-იგი[53] შესაძლებელ არს, ამის უბიწოჲსათჳს, თუ ვინ არს, ანუ ვინაჲ და[54] ვითარ მოენიჭა სოფელსა ამას ნიჭი უზეშთაესი ყოველთა მათ ნიჭთა საღმრთოთაჲ და ვითარ იყო ქცევაჲ მისი სოფელსა ამას შინა და რომელთა საიდუმლოთა ღირს-იქმნა. და უკუეთუ იონნი პატივ-
25 სცემენ მათ, რომელნი ქებით აღესრულნეს პირველ და მოიღებენ ყოვლითა სწრაფითა შესატყუებელსა ქებისასა და არნ იგი ნეშტთა მათთჳს საშურებელ[55] და ნუგეშინისცემა სიბრძნისმოყუარეთა მათ და ესე მოქსოვიან და შეაერთიან ცუდთაგან და უნდოთა სიტყუათა, რამეთუ ვერ პოვიან ქებულთა მათთჳს სათნოებაჲ, გინა საქმჱ ღირსი
30 ქებისაჲ, ვითარ არა უკუე ჩუენ უფროჲსდა თანა-გუაც სიტყუაჲ, ღირსი

44 რომელნი-იგი E] რომელნი D.
45 რომელი-იგი E] რომელი D.
46 ღმრთისაჲ E] იგი D.
47 ძჱ E] ძე D.
48 **გამ. 20,12.**
49 ნანდჳლვე E] ნანდჳლ D.
50 **სიბრ. სოლ. 3,1.**
51 უფროჲსდა D] +ამან E.
52 თჳსი D] - E.
53 ვითარ-იგი D] + ჯერ-არს E.
54 და D] ანუ E.
55 საშურებელ D] საშუებელ E.

ქებისაჲ და მიზეზი ყოვლისა კურთხევისაჲ სასოჲსა მის ჩუენისათჳს, *და უკუეთუ ჩუენ დავფაროთ სიღრმესა შინა დადუმებისასა,* **[E219]** *არამე ვიქმნეთ-ა საცინელ და დავისაჯნეთ მის თანა,რომელმან-იგი დაჰფლა ნიჭი იგი უფლისა თჳსისაჲ?*[56]

და ამისთჳს ვიწყებ სიტყუასა შემოკლებულსა, რაჲთა არა იყოს 5
იგი მბრძოლ მსმენელთა, ვითარცა საჭმელი ნამეტავი გუამთათჳს მჭამელთაჲსა.

5) იოაკიმ და ანა, მშობელნი ამის წმიდისა და უბიწოჲსანი, ემსგავსებიან სახეთა[57]. იოაკიმ, ვითარცა მწყემსი საცხოვართაჲ[58], გულისსიტყუათა თჳსთა აძოებდა და მიასხმიდა, სადა ინება[59], ჴელმწიფედ და არათუ 10
დაკლებულად მწყემსისა მის ცხოვართაჲსა, ხოლო უფალი ღმერთი მისი ჰმწყსიდა მას, ვითარცა კრავსა და არარას დააკლებდა კეთილსა; და ნუვინ ჰგონებნ ჩემსა, ვითარმცა სახელ-ვსდებ კეთილად მათ, რომელნი-ეგე მრავალთა მიერ გულისსათქუმელ არიან და პირნი გონებათა მათ ნაყროვანთანი[60] მისა მიმართ განხუმულ არიან, რომელთა არა აქუს 15
მყოვრიად დადგრომაჲ, არამედ წარმავალ არიან და ვერ შემძლებელ არს მომგებელთა მისთა სათნოთა თანა შერაცხად. ესე არიან გემონი ამის სოფლისანი, რომელნი შეუძლებელ არიან ძალისა მის მტკიცისა მოპოვნებად და[61] მუნოქუესვე დაიჴსნებიან და განქარდებიან.

**[D4r]** ხოლო აწ, დაღაცათუ იოვაკიმ დაუკლებელ იყო მონაგებთა 20
შუენიერებასაცა, არამედ ნუ იყოფინ, ვითარმცა ესევითარი რაჲმე სათნო-იყო ჩუენდა, რამეთუ ესე ნაწილი არა ღმრთისმოყუარეთაჲ მათ არს, არამედ, ვიტყჳ, კეთილთა მათ ჭეშმარიტთა, რომელნი-იგი არიან გონიერთა მათთჳს საწადელ და საყუარელ და მიუკუნისამდე ჰგიეს ნერგი მათი და ჰნებავს იგი ღმერთსა და მომგებელთა მისთა ნაყოფი 25
თჳსი გამოუბრწყინდების ჟამსა თჳსსა, **[E220]** - ესე იგი არს სათნოებაჲ კეთილი, რომელ-იგი მოსცემს ნაყოფად ჟამისა მის ცხორებისა საუკუნოჲსა[62] დამაშურალთა მათ და რომელთა შრომაჲ თჳსი[63] წინა-უყვეს ღმერთსა აქა მსგავსად ძალისა თჳსისა[64], რამეთუ შრომაჲ დასაბამ ექმნის სათნოებასა და შეუდგნ[65] მას ნეტარებაჲ სამარადისოჲ. 30

ამათ სათნოებათა შინა აძოებდა იოაკიმ გულისსიტყუათა თჳსთა და

56 **მთ. 25,25.**
57 ემსგავსებიან სახეთა] oi tauth~ gennhtore~ (PG 96 col. 708 A 1).
58 საცხოვართაჲ D] საცხოართაჲ (ყოველთვის) E.
59 ინება D] ენება E.
60 მათ ნაყროვანთანი E] მათთანი D.
61 და D] არამედ E.
62 საუკუნოჲსა D] საუკუნესა E.
63 თჳსი D] მათი E.
64 თჳსისა D] მათისა E.
65 შეუდგნ D] შეუდგენ E.

*დაამკჳდრებდა ადგილსა მწუანვილოანსა სიტყჳერსა საღმრთოსა და წყალთა ზედა განსასუენებელთასა იშუებდა მადლითა ღმრთისაჲთა და უშუერთაგან გულისსიტყუათა*[66] *გარე-მიიქცევდა გონებასა თჳსსა და გზასა სიმართლისასა დააყუდებდა*[67]. ხოლო ანა მადლითა სულისაჲთა[68] 5 შეერთებულ იყო გონებითა იოაკიმს, ქმარსა თჳსსა, და არათუ დაკლებულ მისგან სათნოებითა, არამედ ნაყოფიერ იყო იგი ყოვლითა საქმითა კეთილითა. და იყო იგი შეპყრობილ სენისა მისგან ბერწთაჲსა[69] და რამეთუ მადლი ჭეშმარიტად იყოვე ბერწ სულსა შინა კაცთასა და ვერშემძლებელ იყო ნაყოფისა გამოღებად, *რამეთუ ყოველთავე მიაქციეს* 10 *ერთბამად და უჴმარ იქმნეს და არავინ იყო გულისხმისმყოფელ და გამომეძიებელ ღმრთისა.*

*ხოლო რაჟამს ენება ღმერთსა კეთილი და რაჲთა შეიწყალოს ქმნული ჴელთა თჳსთაჲ და განაახლნეს იგინი*[70], განჴსნა ბერწობაჲ მადლისაჲ, ესე იგი არს ნეტარი ანა, და შვა ყრმაჲ ქალი, რომელ ეგევითარი 15 არა ყოფილ იყო **[E221]** პირველ და არცაღა კუალად ყოფად არს. და განჴსნითა მით ანაჲს ბერწობისაჲთა მოესწავებოდა ჭეშმარიტად განჴსნაჲ ბერწობისაჲ, რომლითა შეპყრობილ იყო სოფელი კეთილთაგან, **[D4v]** და იწყო ნაყოფის გამოღებად ნერგმან მან ნეტარებისამან.

6) და ამის[71] გამო შვა აღთქუმული დედაჲ უფლისაჲ[72] და ანგელოზმან 20 მშობელთა ამისთა ახარა მიდგომილებაჲ, არათუ თანამდებ იყო, რაჲთა არა იყოს ესე წმიდაჲ, ხოლო სხუაჲ მეორე არავინ მიიწია საზომსა ამისსა, ვითარმცა ვინ შვა ღმერთი - განჴორციელებული სრული, დაუსაბამოჲ?

და ამისა[73] შემდგომად მიიყვანა ტაძრად უფლისა უბიწოჲ იგი და მუნ 25 იყოფოდა განშორებულად თჳსაგან და არა შერეულ კაცთა, მამათა გინა დედათა. და ვითარცა მოიწია უბიწოჲ ესე საზომსა დედათასა და ვერღარა ეგებოდა ყოფაჲ მისი სახლსა შინა ღმრთისასა, მიეცა იგი მღდელთა მიერ იოსებს, ვითარცა დაწინდებულსა, არამედ უფროჲსღა მცველსა

---

66 უშუერთაგან გულისსიტყუათა E] უშუერთაგან D. ex atopwn (PG 96 col. 708 B 10-11). **ეფრემის თარგმანშია:** "უადგილოთაგან".

67 **ფს. 22,1-3.**

68 მადლითა სულისაჲთა] Anna de, h Cari~ ermhneutai (PG 96 col 708 B 11-12). **ეფრემის თარგმანშია:** ანნა, „მადლად" გამოთარგმანებული.

69 შეპყრობილ სენისა მისგან ბერწთაჲსა ED] + mustikw de tini logw (PG 96, col. 708 B 13-14). **ეფრემის თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "საიდუმლოჲსა რაჲთამე სიტყჳთა ბერწ-ყოფისა მიერ სნეულებით სენმძიმე იყო" **(იხ.: შენიშვნ. I, სქ. № 69).**

70 **ფს. 13,1-3.**

71 ამის E] მის D.

72 აღთქუმული დედაჲ უფლისაჲ] h qeotoko~ ex epaggelia~ proercetai (PG 96 col. 708 D 1-2). ათონურ თარგმანშია: "ღმრთისმშობელი იშვა ხარებით".

73 ამისა E] მისა D.

ქალწულებისა მისისასა. ხოლო იოსებ მართალი იყო და დაემარხა შჯული უფროჲს სხუათასა ვიდრე სიბერედმდე. ამის მართლისა თანა იყო საყოფელი ამის წმიდისა და უბიწოჲსა ქალწულისაჲ და იყო იგი შეყენებულ სახლსა მას შინა და გარე სახლისა მისგან გამოუვალ იყო და უცნაურ. 5

7) *და ვითარცა მოიწია* **[E222]** *აღსასრული ჟამთაჲ, ვითარცა თქუა მოციქულმან*[74], მოავლინა ღმერთმან გაბრიელ ანგელოზი და ჰრქუა მას: *„გიხაროდენ, ჰ გჳრგჳნოსანო, ნიჭთაგან სამეუფოთა, უფალი შენ თანა”*[75]. ვითარღა შუენიერ არს მოკითხვაჲ ესე ანგელოზისაჲ მისა მიმართ, რომელ-იგი უზეშთაეს ანგელოზთასა არს[76], რამეთუ მოართუა მან 10 სიხარული ყოველსა სოფელსა! *ხოლო იგი შეძრწუნდა სიტყუასა მას ზედა მისსა*, რამეთუ უჩუეველ იყო იგი ზრახვასა მამათასა და მოსწრაფე იყო, რაჲთა დაიცვეს ქალწულებაჲ თჳსი. და განიზრახვიდა გულსა[77] შინა თჳსსა და თქუა: „ვითარ-მე არს მოკითხვაჲ ესე”?[78] და ჰრქუა მას ანგელოზმან მან[79]: „ნუ გეშინინ, ჰ მარიამ, რამეთუ ჰპოვე ჭეშმარიტად 15 მადლი ღმრთისაგან[80]; ჰ ღირსო მადლისაო, ჰპოვე მადლი და მოჰჴან შრომითა აგარაკი მადლისაჲ და მოიმკე ნაყოფი სიტკბოებისაჲ[81] და მარცუალი მადლისა მის მრავლისაჲ; ჰპოვე უფსკრული მადლისაჲ, რომელმან დაიცევ ნავი ქალწულებისა მის მრჩობლისაჲ დიდებით[82], რამეთუ დაიცევ ქალწულებაჲ სულისა თჳსისაჲ, არაჲ უნაკლულევანესი 20 ქალწულებასა მას გუამისასა. და ამისთჳს **[D5r]** დაგემარხა შენ ქალწულებაჲ გუამისაჲ, *რაჲთა ჰშვე ძჱ*[83] *და უწოდი მას სახელი იესუ*[84], *რომელი-იგი ითარგმანების „მჴსნელად”, რამეთუ მან იჴსნეს ერი თჳსი ცოდვათა მათთაგან”*[85].

---

74 **გლტ. 4,4.**

75 **ლკ. 1,28.**

76 ანგელოზთასა არს D] არს ანგელოზთასა E.

77 გულსა D] თავსა E.

78 **ლკ. 1,29.**

79 მას ანგელოზმან მან D] მან ანგელოზმან E.

80 **ლკ. 1,30.**

81 ჰპოვე მადლი და მოჰჴან შრომითა აგარაკი მადლისაჲ და მოიმკე ნაყოფი სიტკბოებისაჲ] Eure carin h tou~ ponou~ th~ carito~ gewrghsasa (PG 96 col. 709 B 5-6). **ეფრემის თარგმანშია:** “პოვა მადლი ღირსმან მადლისამან, პოვა მადლი მუშაკმან ტკივილთა მადლისათამან” (ეფრემის თარგმანის შემცველ C ნუსხაში არ არის ფრაზა: “პოვა მადლი მუშაკმან ტკივილთა მადლისათამან”). **(იხ.: შენიშვნ. I, სქ. № 81).**

82 დიდებით D] მშჳდობით E. დაიცევ ნავი ქალწულებისა მის მრჩობლისაჲ დიდებით] h swan thn olkada th~ diplh~ parqenia~ thrhsasa (PG 96 col. 709 B 9-10). **ეფრემის თარგმანშია:** “შეუხებელად მრჩობლ დამცველმან ქალწულებისა ტალანტისამან”.

83 ჰშვე ძჱ D] შვე ძე E.

84 **ლკ. 1,31.**

85 **მთ. 1,21.**

და რაჲ მიუგო ამისთჳს საუნჯემან ჭეშმარიტისა მის **[E223]** სიბრ-
ძნისამან, რომელი ევას, დედასა თჳსსა, ნაშობი ესე არა ემსგავსა,
არამედ განაგო კეთილად ურგებად მცველობაჲ იგი მისი[86] და წინა-უყო
და განჰმზადა[87] ბუნებაჲ შემწედ მისა და ესრეთ გონიერ იქმნა სიტყუასა
5 მას ზედა ანგელოზისასა და სიბრძნით ჰრქუა მას: *„ვითარ-მე იყოს
ესე ჩემდა, რამეთუ მამაკაცი მე არა[88] ვიცი?[89]* და სიტყუაჲ შენი ზეშთა
ბუნებისა არს, რომელი ვერ შესაძლებელ არს ყოფად, ანუ სიტყუამან
შენმან და-მე-ჰჴსნეს-ა[90] საზღვარი ბუნებისაჲ, რომელი დაამტკიცა
დამბადებელმან? და არა მნებავს, ვითარმცა ვიქმენ მეორე[91] ევა და
10 წინა-აღუდეგ ნებასა დამბადებელისა ჩემისასა. და უკუეთუ რომელსა-
ესე მეტყჳ, არა წინააღსადგომელ არს ღმრთისაჲ, უკუე მაუწყე მე ძალი
მიდგომილებისაჲ მის და განჰჴსენ სიფიცხლჱ[92] ჩემი"[93].

*მიუგო ანგელოზმან მან ჭეშმარიტებისამან და ჰრქუა მას[94]:
„სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისაჲ გფარვიდეს შენ.
15 ამისთჳსცა შობილსა მას წმიდა და ძჱ მაღლის ეწოდოს[95]* და არა
დაგამონოს შენ ყოფილმან მან შჯულსა ბუნებისასა, რამეთუ უფალი,
დამბადებელი ბუნებისაჲ[96], ჴელმწიფედ დაჰჴსნის ბუნებათა საზღვარსა[97]".

ვითარცა ესმა სახელი საყუარელი, პატივცემული მისგან, შიშით
და ძრწოლით, ურჩებისა პატიჟისაგან შეშინებულმან, *მიუგო სიტყუაჲ,
20 სავსჱ შეზავებული* **[E224]** *შიშითა და სიხარულითა და ჰრქუა მას: „აჰა
ესერა, მჴევალი უფლისაჲ! მეყავნ მე მსგავსად სიტყჳსა შენისა"[98].*

8) *ჰ საკჳრველებაჲ სიღრმესა მას სიმდიდრისა სიბრძნისა და მეც-
ნიერებისა ღმრთისასა! და მე ვიტყჳ ჟამსა ამას მოციქულისა თანა*

---

86 განაგო კეთილად ურგებად მცველობაჲ იგი მისი] epanorqoutai de mallon to tauth~ afulakton (PG 96 col. 709 C 2). **ეფრემის თარგმანშია:** "ვითარცა განმმართლებელმან მისისა უკრძალველობისამან ჯეროვნად კრძალულებითა თჳსითა".

87 განჰმზადა E] განმზადა D.

88 არა E] არაჲ D.

89 **ლკ. 1,34.**

90 და-მე-ჰჴსნეს-ა E] და-მე-ჴსნეს-ა D.

91 მეორე E] მეორჱ D.

92 სიფიცხლჱ D] სიფიცხლე **(E-ში ე-ზე დამთავრებული სახელები ყოველთვის ფუძის სახით არიან წარმოდგენილი D-საგან განსხვავებით, სადაც გვაქვს „ჱ" დაბოლოება)** E.

93 განჰჴსენ სიფიცხლჱ ჩემი] luson thn aporian (PG 96 col. 709 C 10). **ეფრემის თარგმანშია:** "დასაჴსნელად ჩემისა უდონოებისა".

94 მას D] – E.

95 **ლკ. 1,35.**

96 ბუნებისაჲ D] + და E.

97 საზღვარსა D] + და E.

98 **ლკ. 1,38.**

*ჭეშმარიტად, რამეთუ განკითხვანი მისნი გამოუძიებელ არიან და მიუწდომელ გზანი მისნი. ჰ სიღრმესა*[99] *სახიერებისა ღმრთისასა! ჰ სიმდიდრჱ მოწყალებათა მათ*[100] *მისთაჲ, რომელნი მიუწდომელ არიან*[101], რომელმან მოუწოდის **[D5v]** არა არსსა მას, ვითარცა არსსა, *რომელი აღავსებს ცათა*[102] *და ქუეყანასა*[103], *რამეთუ ცანი საყდარ მისა არიან და ქუეყანაჲ - კუარცხლბეკ*[104] *ფერჴთა მისთაჲ*[105]*!* ამან შეჰმზადა[106] მუცელი მჴევლისა თჳსისაჲ სადგურად თჳსა[107] ვრცელად და მას შინა ყო საიდუმლოჲ ახალი, რომელი უზეშთაეს არს ყოველთა საიდუმლოთა, რამეთუ ღმერთი არს და იქმნა კაც. და უფროჲს ბუნებისა ჟამსა შობისასა იშვა და განაღო საშოჲ და ბეჭედი ქალწულებისაჲ არა შეიცვალა[108] და მკლავთა ზედა ქუეყანისათა, ვითარცა ჩჩჳლი, იტჳრთა ნათელი იგი დიდებისაჲ და სახჱ გუამისა მისისაჲ და მტჳრთველი ყოვლისაჲ სიტყჳთა პირისა მისისაჲთა.

ჰ ჭეშმარიტად საკჳრველებათა ამათ! ჰ საიდუმლოთა ამათ, რომელნი ზეშთა არიან ბუნებისა! ჰ შუენიერებასა ქალწულებისასა, რომელი უაღრეს არს კაცთა ნათესავსა! რაჲ არს საიდუმლოჲ ესე, რომელი გარე-მოგადგს, ჰ დედოფალო უბიწოო და ქალწულო!? *კურთხეულ ხარ შენ შორის დედათა და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაჲ*[109]*!* სანატრელ ხარ შენ შორის ნათესავთა[110], ჰ ღირსო ნეტარებისაო! აჰა *ესერა,* **[E225]** *ამიერითგან გნატრიდენ შენ ყოველნი ნათესავნი, ვითარცა წინაჲსწარუწყებით სთქუ*[111]*! შენ გიხილეს ასულთა იერუსალემისათა, რომელ არს ეკლესიაჲ მორწმუნეთაჲ, და მიგცეს ნეტარებაჲ ნახჳეტთაჲ მათ, რომელ არიან სულნი მართალთანი და უკუნისამდე გადიდებენ*[112]*.* შენ ხარ საყდარი სამეუფოჲ, რომელსა ზედა ანგელოზნი დგომით იხილვენ უფალსა და შემოქმედსა მათსა[113], მჯდომარესა მას ზედა; შენ ხარ სამოთხჱ გონებითი, უზეშთაესი და უდიდებულესი პირველისაჲ მის, რამეთუ მას პირველსა ქუეყანისაჲ იგი ადამ დამკჳდრებულ

99 სიღრმესა D] სიმრავლესა E.
100 მათ D] - E.
101 **რომ. მიმ. 11,33-34.**
102 ცათა E] ცასა D.
103 **იერ. 23,24.**
104 კუარცხლბეკ E] კუარცხბეკი D.
105 მისთაჲ D] მისთა არს და E. **საქმ. 7,49; ეს. 66,1.**
106 შეჰმზადა E] შემზადა D.
107 თჳსა D] თჳსისა E.
108 შეიცვალა D] შეცვალა E.
109 **ლკ. 1,28; 42.**
110 შორის ნათესავთა E] ნათესავთა და ნათესავთა D. **იერ. 23,24.**
111 **ლკ. 1,58.**
112 **ქებ. 6,8.**
113 მათსა D] + და E.

იყო, ხოლო შენ შორის - უფალი იგი ზეცისაჲ; შენ კიდობანი იგი ნოესი[114] სახჱ გექმნა, რომელმან დაუმარხა თესლი სოფელსა მეორედ, რამეთუ შენ ჰშევ ქრისტე, მჴსნელი იგი სოფლისაჲ, რომელმან დაანთქა ცოდვაჲ და დააყუდნა ღელვანი მისნი; შენ მაყუალი იგი წინაჲსწარსახჱ
5 გექმნა; შენ ფიცარნი იგი, დაწერილნი ჴელითა ღმრთისაჲთა[115], ხატ გექმნნეს; შენ კიდობანი იგი შჯულისაჲ წინაჲსწარ **[D6r]** გაუწყებდა და ტაკუკი იგი ოქროჲსაჲ და სასანთლე და ტაბლაჲ და კუერთხი იგი აჰრონისი, რომელი ნაყოფიერ იქმნა, შენ ჭეშმარიტად მოგასწავეს, *რამეთუ შენ მიერ ცეცხლი იგი საღმრთოჲ შეასაზღვარა მამამან და*
10 *სიტყუაჲ ღმრთისაჲ – მანანაჲ იგი ზეცისაჲ - და სახელი, რომელი არა წოდებულ არს და უზეშთაეს არს ყოველთა სახელთა[116], და ნათელი იგი დაუსაბამოჲ, რომელი შეუხებელ არს, და პური იგი ცხორებისაჲ, ზე გარდამოსრული, და ნაყოფი იგი სიმართლისაჲ უშრომელად შენგან ჴორცითა აღმოსცენდა[117].*

15 ანუ არა საჴუმილი იგი **[E226]** ბაბილონისაჲ შენ სახჱ[118] გექმნა-ა, რამეთუ აჩუენა ცეცხლი იგი შემწუველი ცუარისა გამომღებელად და გამოხატა ცეცხლი იგი საღმრთოჲ, რომელი დაემკჳდრა შენ თანა[119] და დაგიცვა შეუწუველად? კარავი იგი აბრაჰამისი შენ მოგასწავებს ჭეშმარიტად, რამეთუ სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ, რაჟამს დაემკჳდრა მუცელსა
20 შენსა, სისხლთა შენთაგან უბიწოთა პური იგი ყურბეული დაწყებულ იქმნა ბუნებისა მის კაცობრივისა და გამოცხობილი ცეცხლითა მით საღმრთოჲთა, მოგჳძღუანა, შეერთებული გუამსა შინა თჳსსა, და მოიღო ჭეშმარიტად შემზადებაჲ ჴორცთაჲ საშუმინველითურთ, სულითა მეტ-ყველითა და გონიერითა.

25 *მცირედღა და კიბჱ იგი იაკობისი დაშთომად იყო ჩემდა[120]*, რომელ-იგი ყოველთა მიერ საცნაურ არს, ვითარმედ შენ სახჱ გექმნა, რამეთუ ვითარ-იგი იყო, ეგრეთ იხილა წუერითა მით კიბისაჲთა ცაჲ, ქუეყანასა შედგმული, და ანგელოზნი, აღმავალნი და გარდამომავალნი მას ზედა, და ძლიერი იგი ჭეშმარიტად და უძლეველი ერკინებოდა მამათმთავარსა
30 მას, ესრეთვე[121] შენ, ყოვლადწმიდაო, შუვამდგომელობითა[122] შენითა

114 ნოესი E] ნოვესი D.
115 დაწერილნი ჴელითა ღმრთისაჲთა D] ჴელითა ღმრთისაჲთა დაწერილნი E.
116 **ფლპ. მიმ. 2,9.**
117 **ინ. 6,48-51.**
118 საჴუმილი ბაბილონისაჲ შენ სახჱ D] საჴუმილი ბაბილოვნისაჲ შენ სახე E. **"ბაბილონი" არ არის არც ბერძნულ ტექსტში (PG 96 col. 712 C 12) და არც ეფრემის თარგმანში (იხ.: შენიშვნ. I, სქ. № 118).**
119 თანა D] შორის E.
120 **დაბ. 28,12 sqq.**
121 ესრეთვე D] ეგრეთვე E.
122 შოვამდგომელობითა D] შოამდგომელობითა E.

იქმენ კიბჱ გარდამოსრულისათჳს[123] ღმრთისა ჩუენდა, რომელმან თავს-
იდვა უძლურებაჲ ჩუენი და ადიდო ცომისაგან ჩუენისა და შეთხზა მით
და შეაერთა კაცებაჲ და გონებაჲ, მხედველი ღმრთისაჲ და შემკრებელი
განშორებულთაჲ მათ; და ამისთჳს ანგელოზნი გარდამოვიდოდეს
და სახესა მას უფლისასა ადიდებდეს და კაცთა იჴუმიეს ქცევაჲ 5
ანგელოზთაჲ და ზეცად აღიტაცნეს.

9) **[E227]** ხოლო ქადაგებაჲ იგი წინაწარმეტყუელთაჲ ვის-მე რაჲ ვაჩემოთ,
**[D6v]** ანუ არა შენ, უკუეთუ ვინებოთ გამოცხადებაჲ ჭეშმარიტებისა
მისისაჲ? რაჲ-მე რაჲ არს საწმისი იგი გედეონისი, რომლისა მიერ იქმნა
მეუფჱ და მეუფჱ იგი ყოველთაჲ, რომელ არს ძჱ ღმრთისაჲ[124], *ვითარცა* 10
*წჳმაჲ გარდამოჴდა შენ ზედა*[125] ჭეშმარიტად? და *ვინ-მე არს ქალწული*
*იგი, რომელი წინაწარმეტყუელებით მოასწავა ესაია და თქუა, ვითარმედ*
*- მუცლად-იღოს და შვეს ძჱ, ღმერთი ძლიერი, რომელი ჭეშმარიტად*
*იქმნა ჩუენ თანა*[126], ესე იგი არს, რამეთუ განკაცებასა[127] მისსა დაადგრა
იგი ღმრთად? და *რაჲ-მე რაჲ არს მთაჲ იგი დანიელისი, რომლისა მიერ* 15
*ქვაჲ იგი საკიდური გამოიკუეთა თჳნიერ კაცობრივისა ჴელისა*[128], ანუ
არა შენ, რომელმან ჰშევ[129] ქრისტე უთესლოდ და დაადგერ კუალად
ქალწულადვე? და *მოიღენ საღმრთომან ეზეკიელ და გჳჩუენენ ბჭჱ*
*იგი დაჴშული*[130], რომელი განვლო უფალმან და არა განაღო, ვითარ-
იგი წინაწარმეტყუელებამან მისმან ქადაგა და გამოგჳცხადენ ჩუენ 20
განსრულებაჲ წინაწარმეტყუელებისა მისისა, რამეთუ შენ ჭეშმარიტად
გაჩუენებს, რამეთუ შენ შორის განვლო ღმერთმან ყოველთამან და
შეიმოსა ჴორცი და ბჭჱ ქალწულებისაჲ არა განაღო, არამედ ჰგიეს
ბეჭედი იგი ჭეშმარიტად უკუნისამდე[131]; შენ წინაწარმეტყუელთა გქადაგეს
და ანგელოზნი გადიდებენ და მოციქულნი გმსახურებენ[132] – იოვანე[133], 25

---

123 გარდამოსრულისათჳს D] გარდამოსლვისათჳს E.

124 ღმრთისაჲ DE] + o sunarco~ kai sumbasileuwn tw oikeiw Gennhtori (PG 96, col. 713 B 1-2). **ეფრემის თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს.**

125 **ფს. 71,6.**

126 **ეს. 7,14.**

127 განკაცებასა D] + მას E.

128 **დან. 2,34.**

129 ჰშევ D] შევ E.

130 **ეზეკ. 44,1.**

131 უკუნისამდე ED] + Se toinun profhtai khruttousi, Soi diakonousin aggeloi (PG 96, col. 713 C 1).

132 შენ წინაწარმეტყუელთა გქადაგეს და ანგელოზნი გადიდებენ და მოციქულნი გმსახურებენ] Se toinun profhtai khruttousi, Soi diakonousin aggeloi, leitourgousin apostoloi (PG 96 col. 713 C 1-3). **ეფრემის თარგმანშია:** "წინაწარმეტყუელნი შენ გქადაგებენ, ანგელოზნი შენ გმსახურებენ და მოციქულნი შენ გმონებენ".

133 იოვანე] – PG 96 col. 713 C 3. **"იოვანე" არ არის არც ეფრემის თარგმანში (იხ.: შენიშვნ. I, სქ. № 133).**

ქალწული და ღმრთისმეტყველი, შენ, ქალწულსა და ღმრთისმშობელსა, გმსახურებდა.

შენ დღეს, რაჟამს მიიცვალებოდე, ძისა შენისა მიეწივნეს ანგელოზთა სულნი მართალთანი და **[E228]** მამათმთავართანი და წინაწარ-
5 მეტყველთანი[134], წინა-გიძღოდეს შენ[135], გარე-მოგადგეს მოციქულნი[136] და სიმრავლჱ ურიცხუ წმიდათა მამათაჲ კიდით ქუეყანისაჲთ, ბრძანებითა ძისა შენისაჲთა, ვითარცა ღრუბელთა ზედა, ამას წმიდასა იჱრუსალემსა შეკრებულნი[137], შენ, აღმომაცენებელსა ცხორებისასა[138], გალობითა საღმრთოჲთა გადიდებდეს და იტყოდეს:

10 10) „ჰ, ვითარ აღმომაცენებელი ცხორებისაჲ შემთხუევითა სიკუდილისაჲთა ცხორებად მიიცვალების! ჰ, ვითარ რომელმან-იგი შობასა თჳსსა დაჴსნა საზღვარი ბუნებისაჲ[139], აწ დაემორჩილა შჯულსა ბუნებისასა და მისცნა სიკუდილსა უხრწნელნი ჴორცნი თჳსნი, *რამეთუ ჯერ-იყო, რაჲთა განიძარცოს ხრწნილებაჲ და შეიმოსოს*
15 *უხრწნელებაჲ*[140]. **[D7r]** და ვითარ-იგი უფალი ბუნებისაჲ არა ურჩ-ექმნა სიკუდილსა, არამედ მოკუდა ჴორცითა და *სიკუდილითა სიკუდილი დაჴსნა და ხრწნილებასა უხრწნელებაჲ მიანიჭა და შექმნა სიკუდილი, აღმომაცენებელ აღდგომისა,*[141] ეგრეთვე ესე.

ჰ, ვითარ სული უბიწოჲ განეყო ჴორცთაგან, რომელთა შინა ღმერთი
20 დამკჳდრებულ იყო, და მან, დამბადებელმან ყოველთამან, მოიღო ჴელთა თჳსთა ზედა და პატივ-სცა, ვითარ-იგი შჯულსა შინა განაწესა პატივისცემაჲ მშობელთაჲ, რომელ-იგი ბუნებასა შინა თჳსსა იყო მჴევლად მისა[142], და კაცთმოყუარებითა თჳსითა და განგებითა მით მიუწდომელითა ყო უბიწოჲ იგი დედად თჳსა, რამეთუ ჴეშმარიტად
25 განჴორციელდა მისგან და არათუ საუცრად და იყო გუნდი ანგელოზთაჲ მდგომარე და ხედვიდეს მიცვალებასა მისსა; რამეთუ მიცვალებასა ამას დიდებულსა, რომელსა მიენიჭა მკჳდრობაჲ ღმრთისა თანა, და უკუეთუ

---

134 წინაწარმეტყველთანი E] წინაწარმეტყველნი D.

135 შენ D] + და E.

136 წმიდათა მამათაჲ DE] qeoforwn te Paterwn (PG 96, col. 713 C 7). **ეფრემის თარგმანშია:** "ღმერთშემოსილთა მამათა".

137 შეკრებულნი D] შემოკრებულნი E.

138 აღმომაცენებელსა ცხორებისასა DE] th phgh tou zwarcikou tou Kuriou swmato~ (PG 96, col. 713 C 10-11). **ეფრემის თარგმანი ზუსტად მიყვება ბერძნულ ტექსტს: "წყაროსა ცხორებისა დასაბამისა მის უფლისა გუამისასა".**

139 ბუნებისაჲ D] + და E.

140 **I კორ. 15,53.**

141 **I კორ. 15,54.**

142 რომელ-იგი ბუნებასა შინა თჳსსა იყო დედად მისა D] hn th fusei doulhn uparcousan (PG 96, col 716 A 3). Ier. 148-ში (E) არის "მჴევლად მისა". **ეფრემის თარგმანიც მისდევს ბერძნულ ტექსტს:** "რომელი-იგი ბუნებით მჴევალ იყო".

ყოველთა წმიდათა, რომელნი სათნო-ეყვ[**E229**]ნეს ღმერთსა, მონიჭებულ არს ესე მათა, და რამეთუ ჭეშმარიტად მინიჭებულ არს და გურწამს უკუე, რავდენ-მე-ღა არა უფროჲს მშობელსა თჳსსა, რამეთუ ფრიადი განყოფაჲ აქუს ორთა ამათ საქმეთა და არა აღირაცხებიან შესწორებით მონანი იგი დედასა თანა ღმრთისასა.

აწ უკუე, რაჲ-მე რაჲ სახელი უწოდით საიდუმლოსა ამას, რომელი შენ გარე-მოგადგს, სიკუდილი-ა? არამედ არა დაადგრეს სიკუდილსა შინა და არცა დაიჴსننეს ჴორცნი შენნი ხრწნილებითა, დაღაცათუ სული შენი უბიწოჲ განეშორა მათგან[143] და დაისხნეს საფლავსა, არამედ ვითარცა[144] შჯულითა ბუნებისაჲთა[145] დაადგრა ქალწულად, ესრეთვე მიცვალებასა მისსა სოფლისა ამისგან დამარხულ იყვნეს[146] ჴორცნი მისნი უხრწნელად[147] და უზეშთაესსა ცხორებასა მიიცვალნეს ამის ცხორებისაგან, რომელი სიკუდილითა არა დაესრულების, არამედ ჰგიეს იგი უკუნისამდე, რამეთუ ვითარცა მზჱ ესე, რომელი ჰნათობს მარადის ყოველსა ნათლითა მით დაუცადებელითა, და რაჟამს დაფარის იგი მცირედ ჩრდილმან მთოვარისა გუამისამან, საგონებელ არნ მისთჳს, ვითარმედ დაინთქა იგი, ანუ[148] დაფარა სიბნელემან **[D7v]** და შეცვალა მცხინვარებაჲ მისი ბნელმან, ხოლო იგი ჰგიედ წესსავე ზედა თჳსსა და არა განვიდის ნათლისაგან თჳსისა, არამედ მის შორის არნ წყაროჲ იგი, აღმომაცენებელი ნათლისაჲ მის და დაუკლებელად აღმოაცენებნ იგი ბრწ[**E230**]ყინვალებასა, ვითარცა დაებადა იგი შემოქმედისაგან თჳსისა; ესრეთვე შენცა, ჱ აღმომაცენებელო ნათლისა მის ჭეშმარიტისაო და საუნჯეო ცხორებისა, რომელი არასადა დაესრულების, შენ ხარ წყაროჲ კურთხევისაჲ და მიზეზი ყოვლისა კეთილისაჲ; დაღაცათუ მცირედჟამ დაიფარე სიკუდილითა მით ჴორციელითა, არამედ აღმოგჳცენებ ჩუენ ნათელსა მას სამარადისოსა და ცხორებასა უხრწნელსა და ნეტარებასა მას ჭეშმარიტებისასა და წყალთა მათ დიდებულთა დაუწყუედელთა და მდინარეთა მადლისათა დაულევნელთა და წყაროთა კურნებისათა და კურთხევათა სამარადისოთა. *შენ მიმსგავსებულ ხარ ნერგთა მათ*

143 არა დაადგრეს სიკუდილსა შინა და არცა დაიჴსننეს ჴორცნი შენნი ხრწნილებითა, დაღაცათუ სული შენი უბიწოჲ განეშორა მათგან] kai fusikw~ h paniero~ kai makaria sou yuch tou panolbiou kai akhratou sou cwrizetai swmato~ (PG 96 col. 716 A 14-15). **ეფრემის თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "წესითა ბუნებითითა განეშორების ყოვლადდიდებული და ყოვლადსანატრელი სული შენი ყოვლადსანატრელთა და უბიწოთა ჴორცთაგან შენთა" **(იხ.: შენიშვნ. I, სქ. № 143)**.

144 არამედ ვითარცა D] - E (D-ში ზემოდან არის ჩამატებული).

145 ბუნებისაჲთა D] + რამეთუ რომელი-იგი შობასა მისსა E.

146 იყვნეს D] იქმნეს E.

147 უხრწნელად D] *დაუჴსნელად* E.

148 ანუ D] ანუთუ E.

*სამოთხისათა*[149] *და ნაყოფი შენი ტკბილ არს სასასა შინა მორწმუნეთასა*[150]*. ამისთჳსცა არა სიკუდილად სახელ-ვსდებთ შენსა მაგას მიცვალებასა უბიწოსა, არამედ მძინარებად*[151] *და განსუენებად უფროჲსდა ჯერ-არს წოდებად, ვითარცა მარადის მოსრულსა და თანამყოფსა*[152]*, რამეთუ*[153] *მიიცვალე ჴორცთაგან და მიიწიე უდიდებულესსა მას*[154]*.*

11) შენ გიძღოდეს მთავარანგელოზნი ანგელოზთა თანა და აღსლვასა მას შენსა ზეცად შეძრწუნდეს სულნი უკეთურნი, რომელნი არიან ჰაერთა შინა, და განვლითა შენითა იკურთხნეს ჰაერნი და გან[**E231**]წმიდნეს, რომელნი-იგი არიან ჰაერთა ზედა. ცამან სიხარულით შეიწყნარა სული შენი და შენ მოგეგებვოდეს ძალნი ზეცათანი გალობითა დიდითა[155], პატივითა ბრწყინვალითა და იტყოდეს[156]: *„ვინ არს აღმომავალი ესე ბრწყინვალედ, განმანათლებელი, ვითარცა ცისკარი, და შუენიერი, ვითარცა მთოვარჱ, და გამორჩეული, ვითარცა მზჱ*[157]*?* რამეთუ განშუენებულ ხარ, ვითარცა ანთრაკი, და ტკბილად აჩუენებ, ვითარცა გოლი. *შენ ხარ ყუავილი მტილისაჲ მის და ვითარცა შროშანი შორის*[158] **[D8r]***ეკალთა*[159]*. ამისთჳსცა ქალწულთა შეგიყუარეს და სულნელთა ზედა საკუმეველთა შენთასა რბიოდეს*[160]; და მეუფემან მეუფეთამან შეგიყვანა საუნჯეთა თჳსთა; მუნ ჴელმწიფენი გარე-მოგადგენ შენ და მთავრობანი გაკურთხევდენ, საყდარნი გადიდებდენ და სერაბინნი განკჳრდენ, განმხიარულებულნი შენ მიერ, და ქერობინნი გიგალობდენ შენ, რომელი განგებულებით ჭეშმარიტად იქმენ დედად მეუფისა, არათუ ელიაჲსებრ, ვითარცა ზეცად აღმაღლდი და პავლესებრ მესამედ ცად

149 ნერგთა მათ სამოთხისათა] w~ mhlon en toi~ xuloi~ tou drumou (PG 96 col. 716 C 8-9). **ეფრემის თარგმანში:** "ვითარცა ვაშლი ხეთა შორის მაღნარისათა".

150 **ქებ. 2,3.**

151 მძინარებად E] მძინარედ D.

152 თანამყოფსა E] თანამყოფესა D.

153 რამეთუ E] რომელი D.

154 **II კორ. 5,8.**

155 გალობითა დიდითა D] + და E. ierwn umnwn (PG 96 col. 716 D 5). **ეფრემის თარგმანშია:** "სამღდელოჲთა გალობითა".

156 იტყოდეს] mononouci legousai (PG 96 col. 716 D 6-7). **ეფრემის თარგმანშია:** "მხოლოდ ესღა აკლს თქუმად".

157 **ქებ. 6,9.**

158 **ამ ადგილიდან D-ს ფოტოპირს აკლია ტექსტის გარკვეული მონაკვეთი, კერძოდ, პირველი ჰომილიის ბოლო ოთხი და მეორე ჰომილიის დასაწყისი ოთხი ფურცელი (არ ვიცით, თვით ნუსხაში, Ier. 2-ში, რა ვითარებაა). ტექსტს აღვადგენთ ამავე რედაქციის Ier. 148-ის მიხედვით (ლიტერი E), რომლის ფოტო ძალიან ძნელად იკითხება, ამდენად, აღდგენილი მონაკვეთი სრულად ვერ იქნება დაზღვეული არაზუსტი წაკითხვებისაგან.**

159 **ქებ. 2,1-2.**

160 **ქებ. 1,3.**

*მიიწიე, არამედ საყდრად სუფევისა ძისა შენისა აჰმაღლდი*[161] და პირისპირ სიხარულით ხედავ მას და მის წინაშე მდგომარე ხარ. სიხარული დიდი აქუს ანგელოზთა ზესკნელთა; მხიარულებაჲ სამარადისოდ **[E232]** მიმადლებულ არს მამადმთავართა მართალთა და წინაწარმეტყუელთა; სოფელი შენ მიერ იკურთხევის და ყოველნი შენ მიერ განწმიდნებიან; 5 შენ გუემულთა ხარ განმსუენი, შენ მწუხარეთა ხარ ნუგეშინისმცემელი, შენ სნეულთა ხარ მკურნალი, შენ დანთქმულთა ხარ ნავთსაყუდელი, შენ ცოდვილთა ხარ მომტევებელი, შენ შედგომად ყოველთა[162] ხარ შემწე, რომელნი სარწმუნოებით გევედრებიან!

12) ჰ საკჳრველებათა ამათ, რომელნი უზეშთაეს არიან გონებისა! 10 ჰ საქმეთა ამათ დიდებულთა, რომელნი სავსე არიან საშინელებითა! სიკუდილი იგი, რომელ პირველად საძნაურ იყო და საძულელ, დღეს იქმნების შუენიერ და ნეტარებაჲ მიეცემის; რომელი პირველად მიზეზი იყო გლოისაჲ და მწუხარებისა და ცრემლთა დინებისაჲ, აწ მიზეზ იქმნა დღესასწაულობად და მხიარულებად. ხოლო დაღაცათუ სიკუდილი 15 ყოველთა ღმრთისმოყუარეთა მისცემს ნეტარებასა, არამედ შემდგომად სათნოებათა მაღალთა აღსრულებისა არნ იგი მათა დასამტკიცებელ[163] და ამისთჳს მიეცის ნეტარებაჲ სულსა მათსა, რამეთუ მან მოღუაწებაჲ იგი მით აღისრულის და ნეტარებასა მიამთხჳნის და მიანიჭის მით დამტკიცებაჲ სათნოებათაჲ. 20

*ვითარცა იტყჳს წიგნი: „ნუ მისცემ კაცსა ნეტარებასა პირველ სიკუდილისა მისისა"*[164], ხოლო შენ ზედა არა ეს**[E233]**რეთ ითქუმის სიტყუაჲ, რამეთუ ნეტარებაჲ შენი არა სიკუდილისაგან მიგეცა და არცა მიცვალებისაგან, რამეთუ შენ ხარ დაწყებაჲ და განზოგებაჲ და დასასრული ყოვლისა კეთილისაჲ და სარწმუნოებამან შენმან 25 და სიმტკიცემან მოგმადლა შენ მუცლადღებაჲ იგი უთესლოდ და დამკჳდრებაჲ ღმრთეებისაჲ შენ შორის; და შობამან შენმან დაჰმარხა ქალწულებაჲ შენი, და ამისთჳს ჭეშმარიტად, ვითარ-იგი ვთქუ, არა სიკუდილისაგან მოგეცა ნეტარებაჲ, არამედ მიერ ჟამითგან, ვინაჲთგან მუცლად-იღე სიტყუაჲ ღმრთისაჲ, მიგცემენ ყოველნი ნათესავნი 30 ნეტარებასა და არათუ სიკუდილმან რაჲ განგიმზადა ნეტარებაჲ, არამედ შენ სიკუდილსა შეჰმოსე შუენიერებაჲ, რამეთუ დაჰჴსენ შეჭმუხებაჲ იგი

161 **II კორ. 12,2.**

162 ყოველთაჲ E.

163 არამედ შემდგომად სათნოებათა მაღალთა აღსრულებისა არნ იგი მათა დასამტკიცებელ] ek tou telou~ to asfale~ periginetai th~ pro~ qeon euaresthsew~ (PG 96 col. 717 B 11-13). **ეფრემის თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "სრულიადისა უშიშოებისა და უეჭველისა ღმრთისა მიმართ მისლვისათჳს არს ესე" **(იხ.: შენიშვნ. I, სქ. № 163).**

164 **ზირ. 11,28.**

მწუხარებისა მისისა და შესცვალე იგი სიხარულად.

ამისთჳსცა გუამი იგი უბიწოჲ და ყოვლადწმიდაჲ მიეცა დაფლვასა მრავალთა მათგან. და ანგელოზნი წინა-რბიოდეს და გარე-შეიცვოდეს და, უკუანაშედგომილ ცხედრისა მის ღმრთისშემწყნარებელისა გუამისა
5 შენისასა, პატივ-სცემდეს, ვითარ-იგი ჯერ-არს პატივისცემად დედისა მის მეუფისა; და მოციქულნი და ყოველი კრებული ეკლესიათაჲ გალობითა ღმრთისშუენიერითა გადიდებდეს და ჴმითა ტყუელვით სულიერად იტყოდეს: „*აღვივსენით ჩუენ კეთილითა სახლისა შენისაჲთა* **[E234]** *და საკჳრველებითა წმიდისა ტაძრისა შენისაჲთა სიმართლესა შინა*[165]“; და
10 *კუალად: “სამკჳდრებელითა მით ზესკნელითა სიწმიდისა მისისაჲთა*[166] *- მთაჲ ღმრთისაჲ, მთაჲ პოხილი, მთაჲ, რომელ სათნო-იყო უფალმან სამკჳდრებელად”*[167].

შენ[168] კრებულმან მოციქულთამან ბეჭთა ზედა თჳსთა გიტჳრთეს, ვითარ-იგი ოდესმე იტჳრთეს მღდელთა მათ ისრაჱლისათა კიდობანი იგი
15 შჯულისაჲ, რომელი იყო სახედ შენდა, და დაგდვეს შენ საფლავსა და მუნით, ვითარცა იორდანით, ქუეყანასა მას აღთქუმისა ჭეშმარიტსა მიიწიე, ესე იგი არს იჱრუსალემი იგი ზეცისაჲ, დედაჲ ყოველთა მორწმუნეთაჲ, რომლისა არს დამბადებელი და შემოქმედი მისი ღმერთი მხოლოჲ და *სული შენი არა დაშთა ქუესკნელსა მის ჯოჯოხეთისასა* და არცაღა
20 *ჴორცთა შენთა იხილეს განსახრწნელი*[169] და არცა დაადგრა გუამი შენი უბიწოჲ ქუეყანასა, არამედ ტალავართა მათ ზეცისა სამოთხისათა შენ, დედოფალო ღმრთისმშობელო, ჭეშმარიტად დაემკჳდრე.

13) ჱ, ვითარ შეიწყნარა ცამან უვრცელესი იგი ცათაჲ და ვითარ საფლავმან დაიტია სამკჳდრებელი უფლისაჲ? ჰე, შეიწყნარა და
25 დაიტია, რამეთუ არა ჴორცითა და სიდიდითა გუამისაჲთა იქმნა იგი სამკჳდრებელ ღმრთისა და უვრცელეს ცათა, რამეთუ ვერ შესაძლებელ არს გუამი, სამ წყრთად შეზომით, რომელ ყოველსა ჟამსა **[...]**[170] **[E235]** და ვითარმცა ესწორა იგი სივრცით და სიგრძითა ცათა, არამედ მადლითა ღმრთისაჲთა იქმნა იგი უმაღლეს ყოველთა სიმაღლეთა და უვრცელეს
30 ყოველთა სიდიდეთა.

---

165 **ფს. 64,5-6.**

166 **ფს. 45,5.**

167 **ფს. 67,16-17.**

168 შენ] + thn alhqh kibwton Kuriou tou qeou (PG 96 col. 717 D 10-11). **ეფრემის თარგმანშია:** “შენ, ჭეშმარიტი ეგე კიდობანი ღმრთისაჲ”.

169 **ფს. 15,10.**

170 E-ში ამ ადგილას ორი სიტყვის ამოკითხვა ვერ ხერხდება. შესაძლებელია, პირველი სიტყვა იყოს “დაწონებად”, მეორე კი სრულიად გაურკვეველია. **ბერძნულ ტექსტში ამ ადგილას არის:** “leptunomenon” (PG 96, col. 720 B 1) (=დანაწევრებული, გამოფიტული, დაწვრილებული, გათხიერებული). **ეფრემის თარგმანში ამ ადგილას არის** “დაწულილებადი”.

ჰ შენდა, საფლაო საკჳრველო და პატიოსანო და თაყუანისსაცემელო, რომელსა ანგელოზნი ვიდრე აქამომდე გარე-მოგადგან შენ და სიხარულით და შიშით განკრძალულ არიან ქებასა შენსა! და შენგან ძრწიან ეშმაკნი, ხოლო კაცნი სარწმუნოებით მოისწრაფიან პატივისცემად შენდა და თაყუანისცემით გემთხუევიან შენ თუალითა 5 და ბაგითა მათითა სურვილითა სულისაჲთა და მიიღებენ შენგან სიმდიდრესა დაულევნელსა! რამეთუ ვითარცა ვინ შთაიდვის დიდძალი ნივთი სურნელოჲ კიდობანსა, განრჩულვილსა სამოსლითა ზეზისათა, და [ვიდრე]მე შემდგომად მისა აღმოიღოს იგი, არამედ სურნელებაჲ იგი დაადგრის და ჰგიენ ადგილსავე მას, ესრეთვე აწ, რაჟამს დაიდვა 10 საფლავსა გუამი შენი უბიწოჲ და ღმერთშემოსილი და სავსე საკუმევლითა მათგან სურნელთა აღმომაცენებელი მადლთაჲ, და მერმე აღიტაცა იგი მიერ საფლავით ადგილსა მას დიდებულსა და შუენიერსა, ხოლო არავე დატევებულ იქმნა უპატიოდ საფლავი იგი შენი, არამედ მიეცა მას სურნელებაჲ სადმრთოთა მათ სასუმელთაჲ **[E236]** და მიენიჭა მას 15 მადლი კურნებათაჲ და აღმოცენებაჲ კეთილთა მათ დაუსრულებელთაჲ მათთჳს, რომელნი სურვილით მიისწრაფიან მისა მიმართ.

14) შენდა მომართ დღეს ჩუენცა მოსრულ ვართ, ჰ დედოფალო ღმრთისმშობელო და გამოუცდელო ქორწინებითა, და შეკრულ ვართ სასოებითა[171] შენდა მომართ, ვითარცა საკრველითა ძრიელითა და 20 განუხეთქელითა, და სულნი და ჴორცნი ჩუენნი შენდა შეგჳვედრებიან და ყოველი განგებაჲ ცხორებისა ჩუენისაჲ შენ იგულე! და გალობითა და შესხმითა სულიერითა გადიდებთ, მსგავსად ძალისა ჩუენისა, ხოლო შენ რომელსა ღირს ხარ, ჩუენ ვერ მივსწუთებით, და უკუეთუ ვითარ-იგი მასწავა ჩუენ სიტყუამან უბიწომან, ვითარმედ პატივისცემამან მონათა 25 ღმრთისათამან მოასწავის კეთილი ნებაჲ ჩუენი სათნო-ყოფად უფლისა ყოველთაჲსა, უკუე ვითარ-მე ვინ უდებ-ყოს პატივი შენი, ჰ დედოფალო და დედაო ღმრთისაო, ანუ ვითარ არა მოსწრაფე იქმნეს წადიერად და დაადგრეს ვედრებასა შენსა, რამეთუ ამით გამოჩნდების სიყუარული ჩუენი უფლისა მიმართ? არამედ კმა არს მათთჳს, რომელნი ჭეშმარიტად 30 შენთჳს დღესასწაულობენ, ნიჭი იგი მადლთაჲ მით მოჴსენებითა შენითა, რამეთუ იგი არს მიზეზი სიხარულისა მის განუქარვებელისაჲ; და ვითარ-მე ვინ არა აღივსოს ყოვლითა შუებითა, **[E237]** რომელმან ყოს გონებაჲ თჳსი საუნჯე ჴსენებისა შენისა წმიდისა? ესე შენდა დაწყებაჲ თქუმულთა ამათ ჩემთაჲ და ნაყოფი გონებისა ჩემისა გლახაკისაჲ, 35 რომელი აღიძრა სურვილითა შენითა და დაავიწყდა უძლურებაჲ თჳსი, არამედ ჯერ-გჳჩნდინ სწრაფაჲ ჩუენი და გულსმოდგინებაჲ, რამეთუ შენ უწყი, ვითარმედ ზეშთა არს ძალისა ჩუენისა და მოიხილე ჩუენდა, ჰ

171 სასუებითა E.

დედოფალო სახიერო და მშობელო სახიერისა მეუფისაო, და განაგენ
საქმენი ჩუენნი, ვითარცა გნებავს, და დააცხრვენ აღძრვანი ვნებათა
ჩუენთანი და დააყუდენ განცხრომანი უსახურთა მათ და უკეთურთა
[აღძრვათა] ჩუენთანი და [მიმიძღუ] ჩუენ ნავთსაყუდელსა მას ღმრთისა
5 სათნოსა, რაჲთა არა დაანთქ[ა] მას შევედრებულთა მათ და ღირს-
მყონ ჩუენ ნეტარებასა მას მომავალსა და ხილვად ბრწყინვალესა მას
პირსა ძისა შენისა და პირსა, რომელი შენგან ჴორციელ იქმნა. და ძისა
შენისა დიდებაჲ და პატივი მამისა თანა სულით წმიდითურთ აწ და
მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

## წმიდისა და ღმერთშემოსილისა[172] მამისა ჩუენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისაჲ სიტყუაჲ შესხმისაჲ დაძინებასა უმეტესად ჯერთხეულისა წმიდისა ქალწულისა და ყოვლადუბიწოჲსა ღმერთისმშობელისა მარიამისა[173]

**H 1347, 377r-385v (XI-XII სს.; A); Ier. 23, 392r-400r (XII-XIII სს.; B); Ier. 38, 380v-393v (XIII-XIV სს.; C)**

**(ღვთისმშობლის დაძინების**
**პირველი ჰომილიის ეფრემ მცირის თარგმანი)**

**[A377r; B392r; C380v]** *1) "ჴსენებაჲ მართლისაჲ[174] ქებით იქმნების, იტყჳს ბრძენი სოლომონ[175], და პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთაჲ, წინაწარმეტყველებს დავით[176]"*, მამაჲ ღმრთისაჲ. აწ უკუე, ჴსენებაჲ თუ[177] მართალთა კაცთაჲ ქებით იქმნების, წყაროსა სიმართლისასა და საუნჯესა ყოვლისა სიწმიდისასა რომელი ქებაჲ 5
შეესწოროს, არათუ სადიდებელად ქებულისა, არამედ საუკუნოდ მადიდებელად მაქებელთა, რამეთუ არა მოქენე არს ჩუენ[178] მიერ დიდებისა სამკჳდრებელი დიდებისა უფლისაჲ, ქალაქი ღმრთისაჲ, *რომლისათჳს „დიდებული" ითქუა,* **[C381r]** *ვითარცა ჴმობს მისსა მიმართ დავით[179]*, მამაჲ მისი[180]. „დიდებული" ითქუა[181], ეტყჳს, შენთჳს, 10
ქალაქო ღმრთისაო! რაჲ-მე ვჰგონოთ ჩუენ ქალაქად უხილავისა და გარეშეუწერელისა ღმრთისა – რომელსა ბრჭალითა თჳსითა უპყრიან ყოველნი? რაჲდა სხუაჲ, თჳნიერ ნამდჳლვე მხოლოჲ ზეშთაბუნებისა და ზეშთაარსებისა, გარეშეუწერელად დამტევნელი ღმრთისა, არსებათა უზეშთაესისაჲ, რომლისათჳს მისვე უფლისა მიერ[182] ითქუა „დიდებული", 15
*რამეთუ რაჲ უდიდებულეს არს შეწყნარებასა ღმრთისა საუკუნითგანისა*

---

172 წმიდისა და ღმერთშემოსილისა AC] წმიდათა შორის B.
173 მარიამისსა B] + მამაო, გუაკურთხენ A, გუაკურთხენ, მამაო C.
174 მართლისაჲ A] მართალთაჲ BC.
175 **იგ. 17,7.**
176 **ფს. 115,15.**
177 ჴსენებაჲ თუ A] უკუეთუ ჴსენებაჲ BC .
178 ჩუენ BC] ჩემ A.
179 **ფს. 86,3.**
180 დავით, მამაჲ მისი] o qeio~ Dabid (PG 96 col. 700 B 1). **წინაათონურ თარგმანშია:** "საღმრთომან დავით".
181 ვითარცა ჴმობს მისსა მიმართ დავით, მამაჲ მისი. „დიდებული" ითქუა BC] - A.
182 უფლისა მიერ BC] უფლისათჳს A. up autou tou Kuriou (PG 96 col. 700 B 7).

*განზრახვისა ჭეშმარიტისასა*[183]*?*

2) ამას, უზეშთაესსა ყოველთა სამკაულთასა და ზეშთასოფლისასა, ვერ შემძლებელ არს ღირსებით შესხმად ვერ ენაჲ კაცობრივი, ვერცა გონებაჲ ანგელოზებრივი[184], რომლისა მიერ მოგუენიჭების ჩუენ
5 დიდებასა ღმრთისასა[185] სიწმიდით ხედვაჲ[186]. არამედ რაჲ დავდუმნეთ-მე-ა ამისთჳს, შიშით[187] შეძრწუნებულნი, რამეთუ ვერ შემძლებელ ვართ ღირსებით ქებად? არა ესრეთ, არა! ანუ ზეშთა ხარისხისა[188] ფერჩი განვჰმართოთ-ა, სიტყჳსაებრ სხუათა თქუმულისა, დავიწყებითა თჳსთა **[B392v]** საზღვართაჲთა, და შეუხებელთა შევეხნეთ-ა[189],
10 ურცხჳნოებით წარყრითა შიშისა აღჳრთაჲთა? არცა ესრეთ ვყოთ ესე; არა ესრეთ, არამედ უფროჲსდა სიყუარულითა განვზაოთ[190] შიში[191] და ორთაგანვე ერთი შევთხზნათ[192] გჳრგჳნი, პატიოსნითა კეთილად კრძალულებითა, მძრწოლარითა ჭელითა და მოსურნითა სულითა, და უნდოჲ ესე, მწუერვალ სამთავროჲ გონებისა ჩუენისაჲ, **[A377v, C381v]**
15 გულსმოდგინედ, ვითარცა თანამდებთა, წინა-უყოთ დედოფალსა დედასა, ქველისმოქმედსა ყოვლისა ბუნებისასა.

ვინაჲთგან მოიღებვის სიტყუაჲ მუშაკთა ვიეთთჳსმე, ერქუნითა უღლეულთაჲთა განმაღებელთა ქუეყანისა ურნატთაჲსა[193], ვითარმედ იხილეს მეფე თანაწარმავალი, ბრწყინვალედ შემკობილი პორფირითა
20 და განშუენებული ჰაეროვნებითა გჳრგჳნისაჲთა[194] და გარეშეცვული

183 **ეს. 25,1.**

184 ამას, უზეშთაესსა ყოველთა სამკაულთასა და ზეშთა სოფლისასა, ვერ შემძლებელ არს ღირსებით შესხმად ვერ ენაჲ კაცობრივი, ვერცა გონებაჲ ანგელოზებრივი] Tauthn gar ouk anqrwpinh glwtta, ouk aggelwn nou~ uperkosmiwn, kat axian eufhmhsai dunatai (PG 96 col. 700 B 10-12). **წინაათონურ თარგმანშია:** "ამას არცა ენაჲ კაცობრივი და არცა გონებაჲ ანგელოზებრი, რომელი უმაღლეს არს მკჳდრთა ქუეყანისათა,შემძლებელ არს ქებად მისა, ვითარ-იგი ღირს არს" **(იხ.: შენიშვნ. I, სქ. № 184).**

185 ღმრთისასა AC] ღმრთეებისასა B.

186 ხედვაჲ A] ხედვად BC.

187 შიშით AC] - B.

188 ხარისხისა BC] ხარისხსა A.

189 შევეხნეთ-ა AB] შევეხნეთ C.

190 განვზაოთ AC] განვზავოთ B.

191 სიყუარულითა განვზაოთ შიში] Poqw de mallon ton fobon kerasante~ (PG 96 col. 700 C 4-5). **წინაათონურ თარგმანშია:** "შევზაოთ სურვილი შიშსა თანა".

192 შევთხზნათ A] შევთხზათ BC.

193 ურნატთაჲსა B] ორნატთაჲსა AC.

194 ჰაეროვნებითა გჳრგჳნისაჲთა AC] გჳრგჳნითა ჰაეროვნებისაჲთა B. th aiglh tou diadhmato~ (PG 96 col. 701 A 8). **წინაათონური თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "ბრწყინვიდა მცხინვარებაჲ გჳრგჳნისა მისისაჲ".

ურიცხუებითა წინამავალთა სიმრავლისაჲთა[195], გარნა მათ ვინაჲთგან
არა[196] აქუნდა მისაძღუანებელი[197] მძლავრისაჲ, მირბიოდა ერთი მათგანი
მდინარისა (მახლობელად მათსა უხუებით თანაწარმდინარისა),
რომლისა წყლითა მდიდრად აღივსნა პევშუნი[198] და მიუპყრა იგი
ძღუნად თჳთმპყრობელსა, რომლისა მიმართ თქუა მეფემან: „რაჲ არს 5
ესე, ყრმაო?" ხოლო მან კადნიერად მიუგო: „რომელი მეპოვა მე, მისგან
მომირთუამს, ჯეროვნად რაჲ განვბჭე[199] არა დაფარვად გულსმოდგინებაჲ
ჩემი მიზეზითა უქონოებისაჲთა, რამეთუ შენ ჩუენსა არარას მოქენე ხარ
და არარაჲ გიჴმს თჳნიერ ერთგულებისა, ხოლო ჩუენდა, თანამდებობასა
თანა, საქებელცა არს აღსრულებაჲ ამისი, რაჲთა ჩუეულებისაებრ[200] 10
დიდებაჲ შეუდგეს ერთგულებასა, ვითარ-იგი ქმნილ არს მრავალთა
ზედა".

ამისი ხილვაჲ დაუკჳრდა თჳთმპყრობელსა და აქო სიბრძნე კაცისაჲ
მის და წყალობით მიითუალა გულკეთილობაჲ მისი ძღუენითურთ[201]
მისით და ფრიადნი მისაცემელნი ნიჭთანი უხუებით **[C382r]** და 15
პატივისმოყუარებით მიაგნა[202] მას.

აწ უკუე, უკუეთუ ზეშთა ლაღმან მან მძლავრმან შეიწყნარა
სიმდიდრე ერთგულებისაჲ, უმეტესად რაჲ საჯა იგი უფროჲს ბევრეულთა
საფასეთაჲსა, არა უფროჲს ჩუენ შემწყნარნესა, მხოლოჲსა მის სახიერისა
მშობელმან ღმრთისამან[203], რომლისაჲ თანაშთამომავალობაჲ[204] ურიცხუ 20
არს, რომელმან ორნი იგი მწულილნი უფროჲს **[B393r]** მრავალთა მათ
ნაყოფთაჲსა შეჰრაცხნა, ანუ არა დედამან ამან სიტყჳსამან განიხილოს-ა
გულსმოდგინებაჲ და არა ძალისაებრ ჩუენისა, არამედ წადიერებისა
სათნო-იჩინოს-ა ესე?[205] **[A378r]** ჰᲩ, უწყი, ვითარმედ შემიწყნარნეს

195 წინამავალთა სიმრავლისაჲთა] plhqei twn doruforwn (PG 96 col. 701 A 9). **წინაათონელი მთარგმნელი სწორად თარგმნის ბერძნულ ტექსტს:** "მრავალნი აღჭურვილნი".

196 არა A] არაჲ BC.

197 მისაძღუანებელი BC] მისაძღუნებელი A.

198 პევშუნი A] პევშნი BC.

199 ჯეროვნად რაჲ განვბჭე] krina~ arista th endeia thn proqumian (PG 96 col. 701 A 15-16). **წინაათონურ თარგმანშია:** "და ვიხილე, ვითარმედ უფროჲს არს ესე და უმჯობეს".

200 ჩუეულებისაებრ A] ჩუეულებისაებრი BC.

201 ძღუენითურთ A] ძღუნითურთ BC.

202 მიაგნა AB] მიანიჭნა C.

203 მშობელმან ღმრთისამან A] ღმრთისა მშობელმან BC.

204 თანაშთამომავალობაჲ] sugkatabasi~ (PG 96, col. 701 B 10). **წინაათონურ თარგმანშია:** "სიმდაბლენი".

205 ანუ არა დედამან ამან სიტყჳსამან განიხილოს-ა გულსმოდგინებაჲ და არა ძალისაებრ ჩუენისა, არამედ წადიერებისა სათნო-იჩინოს-ა ესე?] ou mallon hmwn apodexetai thn proqesin, ou thn dunamin krinousa (PG 96 col. 701 B 12-13). წინაათონურ თარგმანშია: "შეიწიროს სარწმუნოებაჲ ჩუენი და არა დამსაჯნეს უძლურებასა

ვითარცა აღმასრულებელნი თანანადებისანი და მოგეზღოს სიმდიდრე
და სრულებაჲ მადლთა ურიცხუებისაჲ.

ვინაჲთგან უკუე ყოვლით კერძო თანანადებ და მაიძულებელ ჩუენდა
არს სიტყუაჲ წინამდებარისა პირისათჳს წარმოთქუმად, მოვედით აწ,
5 თჳთ მის სიტყუად დაწყებისა მიმართ მივისწრაფოთ და ვიტყოდით:

3) „რაჲ-მე გრქუათ შენ, დედოფალო, ანუ რომლითა სიტყჳთა გეზრახნეთ
შენ, რომლითა შესხმითა გჳრგჳნოსან-ვყოთ დიდად დაბადებული ეგე და
ჩუენდა[206] ყოველთა კეთილთა მომცემელი თავი შენი, მდიდარქმნილი[207]
ნიჭთა განმყოფელობითა, სამკაული ბუნებისა კაცთაჲსა[208], სიქადული
10 ყოველთა აგებულებათაჲ, რომლისა მიერ სამართლად ნეტარ[209] იქმნეს[210]
ყოველი სოფელი, რამეთუ რომლისა დატევნად ვერ შემძლებელ იყო
პირველ, ესე შენ მიერ დაიტია, და *რომლისა მიხედვად ვერ მკადრე იყო,*
*მის***[C382v]***სა დიდებასა შენ მიერ განიცდის პირითა განშიშულებულითა,*
*არღარა მოქენითა საბურველისაჲთა*[211].

15 აღმიღე ჩუენ ენამძიმე[212] ესე პირი ჩუენი, ჰ სიტყუაო ღმრთისაო, მოეც
აღებასა ბაგეთა ჩუენთასა სიტყუაჲ სახარულევანი, შთამბერე ჩუენ
სული მადლისაჲ, რომლისა მიერ მეთევზურნი რიტორობენ და უწიგნონი
მეტყუელებენ სიბრძნესა ზეშთა კაცთასა, რაჲთა ჩუენცა, ჴმაწულილნი,
კეთილადპოვნიერ ვიქმნნეთ ზოგს-რე მეტყუელებად დიდებულებათა
20 შენ მიერ ღირსებით შეყუარებულისა დედისა შენისათა, რამეთუ ესე,
დასაბამითგანთა ნათესავთაჲთგან გამორჩეული, პირველსაუკუნეთა
განსაზღვრებულისა და უწინარეს ჟამთა სათნო-ყოფისა შენისა
აღმასრულებელი, რაჲ-იგი უკუანაჲსკნელთა ჟამთა საქმრად განჩინებულ
იყო[213] შენისა მის, პირველსაუკუნეთა უჟამოდ და უვნებელად მშობელისა
25 მამისაგან, სალხინებელ და საცხორებელ ჩუენდა ყოფაჲ სიმართლე
და გამომჴსნელობაჲ შენი, რომელი ხარ ცხორებაჲ ცხორებისაგანი,
ნათელი ნათლისაგანი[214], ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა.

---

ჩუენსა ზედა" **(იხ.: შენიშვნ. I, სქ. № 205).**

206 ჩუენდა AB] ჩუენ C.

207 მდიდარქმნილი AB] მდიდარქმნული C.

208 კაცთაჲსა A] კაცთაჲსაჲ BC.

209 ნეტარ BC] ნეტარი A.

210 იქმნეს A] იქმნების BC.

211 **II კორ. 3,15-18.**

212 ენამძიმე AB] ენაჲმძიმე C.

213 "და უწინარეს ჟამთა სათნო-ყოფისა შენისა აღმასრულებელი, რაჲ-იგი უკუანა-ჲსკნელთა ჟამთა საქმრად განჩინებულ იყო" - **ეს მონაკვეთი არ არის არც ბერძნულ ტექსტში (PG 96, col. 701 D 5-6), არც წინაათონურ თარგმანში (იხ.: შენიშვნ. I, სქ. № 213).**

214 ნათელი ნათლისაგანი AB] - C.

მან, ყოვლადსანატრელმან, უკუანაჲსკნელთა ჟამთა ჴორცითა გშვა
შენ, რომლისა მუცლადღებაჲ - დიდებულ, და შობაჲ - ზეშთა-
ბუნებისა და ცნობისა[215], საცხორებელ სოფლისა, ხოლო და**[B393v]**
ძინებაჲ - ნანდჳლვე დიდ და ყოვლადქებულ და განსაკრთომელ. **[A378v]**
ესე მამამან წინა-განასაზღვრა, წინაწარმეტყველთა სულითა წმიდითა 5
წინა-მოასწავეს, წმიდამყოფელი იგი ძალი სულისაჲ მის ზედა მოვიდა,
განწმიდა და წმიდა-ყო. ცათა უვრცელესად რაჲ წინაგანმზადებულ-ყო[216]
და მაშინდა შენ, საზღვარი და სიტყუაჲ მა**[C383r]**მისაჲ, გარეშეუწერელად
მკჳდრ იქმენ მის შორის, რომელსა შინა აღმოუწოდე უკუანაჲსკნელსა
სიმდაბლესა ბუნებისა ჩუენისასა განუზომელად სიმაღლედ 10
მიუწდომელისა ღმრთეებისა შენისა, რომლისადა შეერთებულისა
კაცებისა დასაბამი ყოვლადწმიდათა მათგან და უხრწნელთა მიიღე
ყოვლადუბიწოთა სისხლთა ქალწულისა წმიდისათა[217], რომელთაგან
იშენენ ჴორცნი სულიერნი სულითურთ საცნაურით და სიტყჳერით
და თავსა შორის თჳსსა თავისა თჳსისად შეიერთენ იგინი და იქმენ 15
სრულ კაც, არა განჴუებული ღმერთ სრულყოფისაგან და მამისა
თანა ერთარსებისაგან, არამედ მიიღე უძლურებაჲ ჩუენი მოწყალებითა
ყოვლად გამოუთქუმელითა და გამოხუედ საშოჲსაგან ქალწულისა ერთი
ქრისტე, ერთი ძე ღმერთი და კაცი[218], იგივე ღმერთი სრული და კაცი
სრული, ყოვლად ღმერთი და ყოვლად კაცი, ერთი გუამი, შეზავებული 20
ორთა ბუნებათაგან სრულთა, - ღმრთეებისაგან და კაცებისაგან ორთა
შინა ბუნებათა სრულთა, - ღმრთეებისა და კაცებისათა; არა შიშველი
ღმერთი, არცა ლიტონი კაცი, არამედ ერთი ძე ღმრთისაჲ და ღმერთი
განჴორციელებული, თანად იგივე ღმერთი და კაცი; არა შეგემთხჳა
შერევნაჲ, არცა თავს-იდევ განკუეთაჲ, არამედ თავსა შორის თჳსსა გქონან 25
სხუაარსებანი ორთა ბუნებათანი, ერთსა შინა გუამსა შეერთებულნი,
თანად შეურევნელადცა და განუწვალებელადცა თჳთებითა ბუნებითთა
თჳთებათაჲთა[219], აგებული **[C383v]** და აუგებელი, მოკუდავი და უკუდავი,
ხილული და უხილავი, გარეშეწერილი და გარეშეუწერელი[220], საღმრთოჲ
ნებაჲ და კაცობრივი ნებაჲ, საღმრთოჲ მოქმედებაჲ არა მარტოდ, არამედ 30

---

215 ბუნებისა და ცნობისა A] ბუნებათა და ცნობათა BC.

216 ცათა უვრცელესად რაჲ წინაგანმზადებულ-ყო] kai oionei prohrdeuse (PG 96 col. 704 A 10-11). **წინაათონურ თარგმანშია:** "და ვითარცა ყანასა, უსწრო, მორწყო იგი" **(იხ.: შენიშვნ. I, სქ. № 216).**

217 ქალწულისა წმიდისათა B] ქალწულისათა A, წმიდისა ქალწულისათა C.

218 ერთი ქრისტე, ერთი ძე ღმერთი და კაცი] ei~ Cristo~, ei~ Kurio~, ei~ uio~ qeo~ kai anqrwpo~ (PG 96 col. 704 B 7). **წინაათონურ თარგმანშია ისე, როგორც erm. Et Colb-**ში: qeou kai anqrwpwn (PG 96 col. 704 სქ. №87) - "ერთი ქრისტე, ღმერთი და კაცი" **(იხ.: შენიშვნ. I, სქ. № 218).**

219 თჳთებათაჲთა A] თჳსებათაჲთა BC.

220 გარეშეწერილი და გარეშეუწერელი AB] გარეშეუწერელი და გარეშეწერილი C.

კაცობრივითურთ მოქმედებით, თჳთმფლობელობანი ორნი, ვითარ-იგი ღმრთისაჲ[221], ეგრეთვე - კაცობრივიცა[222], საღმრთონი სასწაულნი და კაცობრივნი ვნებანი; ვნებათა ვიტყჳ ბუნებითთა და თანაწარუვალთა, რამეთუ ყოვლადპირველი ადამ, პირველ გარდა**[A379r]**სლვისაჲ, 5 თავისუფალი ცოდვისაგან, ვითარი იყო პირველ ურჩებისა, ეგევითარი შეიმოსე, მეუფეო, **[B394r]** წყალობითა მოწყალებისა შენისაჲთა ჴორცნი და სული და გონებაჲ და ამათნი ბუნებითნი თჳსებანი, რაჲთა მე ყოვლითურთ ცხორებაჲ მომმადლო, რამეთუ ნანდჳლვე[223] მიუღებელი იგი უკურნებელცა არს და ეგრეთ[224], შუვამდგომელ[225] ღმრთისა 10 და კაცთა ქმნითა, დაჰჴსენ მტერობაჲ და მიჰგუარენ განდგომილნი მამასა შენსა, შეცთომილნი მოაქციენ, დაბნელებულნი განანათლენ, შემუსრვილნი განაახლენ, განხრწნილნი უხრწნელად შესცვალენ, საცთურისაგან მრავალღმრთეებისა დაბადებულნი განათავისუფლენ, შვილ ღმრთისა ჰყვენ კაცნი, ზიარ საღმრთოჲსა დიდებისა შენისა 15 გამოაჩინენ უპატიოქმნილნი[226], დასჯილნი[227] ქუესკნელთა ქუეყანისათა ზეშთა ყოვლისა მთავრობისა და ჴელმწიფებისა აღიყვანენ[228], დასჯილი იგი მიწად მიქცევად და ჯოჯოხეთს მკჳდრობად, შენ თანა დასჳ[229] საყდართა სამეუფოთა[230].

ვინ-მე უკუე იქმნა საქმარ აურაცხელთა ამათ[231] კეთილთა, ზეშთა 20 აღმატებ**[C384r]**ულთა ყოვლისა ცნობისა და მიწდომისათა[232], ანუ არა თჳთ ესე მშობელი შენი-ა[233], მარადის ქალწული?

4) ჰხედავთ-ა, ღმრთისმოყუარენო მამანო და ძმანო, მოწევნულისა ამის დღისა მადლსა[234], ანუ არა განსაკჳრვებელ არიან-ა საიდუმლონი ამისნი,

---

221 ღმრთისაჲ AB] საღმრთოჲ C.

222 თჳთმფლობელობანი ორნი, ვითარ-იგი ღმრთისაჲ, ეგრეთვე კაცობრივიცა] autexousia te duo, qeion wsautw~ kai anqrwpinon PG 96 col. 704 C 7-8. **წინაათონურ თარგმანშია:** "ორი ჴელმწიფებანი – ჴელმწიფებაჲ ღმრთეებრი და ჴელმწიფებაჲ კაცობრივი".

223 ნანდჳლვე A] ნამდჳლვე BC (ყოველთვის).

224 ეგრეთ A] ესრეთ BC.

225 შუვამდგომელ A] შუამდგომელ BC.

226 უპატიოქმნილნი AB] უპატიოქმნულნი C.

227 დასჯილნი AB] დასჯილი C.

228 აღიყვანენ A] აღიყვანე BC.

229 დასჳ AC] დაჰსჳ B.

230 **reg. Naz. Epist. II, Ad. Cled. (PG 96 col. 705 სქ. №53).**

231 ამათ AB] მათ C.

232 მიწდომისათა A] მიწთომისათა BC.

233 შენი-ა A] + და BC.

234 მადლსა] + orate, th~ nun eufhmoumenh~ to uyhlon kai sebasmion PG 96, col. 705 A 7-8. **წინაათონურ თარგმანში ბერძნული ტექსტის ამ ფრაზის აზრი გადმოცემულია:** "და ჰხედავთ ამადლებასა და პატივსა ამის ქებულისასა?" **ეფრემის თარგმანში ამ**

არა აღსავსე საკჳრველებითა? ნეტარ არიან, რომელნი ხედვენ ჯეროვნითა ხედვითა! ნეტარ არიან მომგებელნი საცნობელთა საცნაურთანი ცნობად, თუ ვითარნი ნათლისა ელვანი დამესა მას ჰაეროვან ჰყოფენ! რაოდენთა ანგელოზთა ძღუნისშემწირველობანი[235] ცხორებისა დასაბამისა დედისა
დაძინებასა ელვარე ჰყოფენ! რაბამნი მოციქულთა ღმრთისმეტყველებანი 5
ჰნატრიან დაფლვასა ღმრთისშემწყნარებელისა ამის გუამისასა[236]! ვითარ სიტყუაჲ ღმრთისაჲ და ძე ქალწულისაჲ, მოსლვითა თჳსითა, მოწყალებით სამეუფოთა მათ ნებთა[237] თჳსთა მიქუმითა, ვითარცა დედასა, ჰმსახურებს საკჳრველისა ამის და ყოვლადუბიწოჲსა სულისა
შეწყნარებასა. 10

ეჰა, კეთილისაღა სჯულისმდებელისა[238] საქმე: რომელსა არა ზედაც სჯული[239], თავისა **[A379v]** მიერ თჳსისა დადებულსა სჯულსა აღასრულებს, რამეთუ ამან განუწესა[240] მშობელთა შვილთამიერი მიცემაჲ თანანადებისაჲ. „*პატივ-ეც, ჰრქუა, მამასა შენსა და დედასა შენსა*"[241]. ამის სიტყჳსა ჭეშმარიტებაჲ ყოველსა ვის უცნობიეს, რაოდენცა ვინ 15
მცირესა ოდენ წურთილ არს სიტყუასა საღმრთოთა წერილთასა, რამეთუ უკუეთუ, **[B394v]** ვითარცა იტყჳს წმიდაჲ წერილი, *სულნი მართალთანი ჴელთა შინა ღმრთისათა*[242]", არა უფროჲსდა წმიდათა უწმიდესმან ამან ჴელთა ღმრთისა და ძისა **[C384v]** თჳსისათა შეჰვედროს-ა სული თჳსი? ჭეშმარიტ არს სიტყუაჲ ესე და ზეშთა ყოვლისა ცნობისა. 20

არამედ გნებავს თუ ცნობად, თუ ვინ არს ქალწული ესე, ანუ ვინაჲ, ანუ ვითარ მოენიჭა ცხორებასა ამას საწუთროსა[243] ნიჭი ესე ყოველთავე საუკუნითგანთა ნიჭთა ღმრთისათა თანად უდიდებულესი

---

**ფრაზის გამოტოვება შემთხვევითი არ უნდა იყოს (იხ. შენიშვნ. I, სქ. №236).**

235 ანგელოზთა ძღუნისშემწირველობანი] aggelwn doruforiai PG 96 col. 705 B 2. **წინაათონურ თარგმანშია:** "გუნდი ანგელოზთაჲ". **წინაათონელი მთარგმნელი სწორად თარგმნის ამ კონტექსტში ბერძნულ** "doruforia **"-ს, ხოლო ეფრემს, გრაფიკული აღრევის შედეგად, გადმოაქვს ბერძნული** "dwroforew".

236 ჰნატრიან დაფლვასა ღმრთისშემწყნარებელისა ამის გუამისასა] thn khdeian tou qeodocou swmato~ **PG 96 col. 705 B 4. წინაათონურ თარგმანშია:** "მისცემენ ნეტარებასა გუამსა მას შესუენებულსა, რომელი-იგი შეიწყნარა ღმერთმან" **(იხ.: შენიშვნ. I, სქ. № 236).**

237 ნებათა ABC. **ბერძნულ ტექსტში საუბარია "უფლის ხელებზე" და არა "უფლის ნებაზე":** despotikai~ palamai~ (PG 96 col. 705 B 6). ქართულ ტექსტში, როგორც ჩანს, გადამწერმა დაუშვა შეცდომა ("ნებათა" "ნებთა"-ს ნაცვლად); ამას ადასტურებს ცოტა ქვემოთ ფრაზა: "წმიდათა უწმიდესმან ამან ჴელთა ღმრთისადა ძისა თჳსისათა" **(წინაათონურში: "ნებთა შინა საუფლოთა").**

238 სჯულისმდებელისა A] შჯულისმდებელისა (ყოველთვის) BC.

239 სჯული A] შჯულ (ყოველთვის) BC.

240 განუწესა BC] განაწესა A.

241 **გამ. 20,12.**

242 **სიბრძ. სოლ. 3,1.**

243 საწუთროსა AC] საწუთოსა B.

და უსაყუარელესი, ანუ თუ ვითარ წარვლო აქაჲ ესე ცხორებაჲ და თუ ვითარ საღმრთოთა საიდუმლოთა შეწყნარებად ღირს-იქმნა, ესე ყოველი მცირეთა სიტყუათა მიერ განვიხილოთ, რაოდენ ჩუენგან დასატევნელ იყოს; რამეთუ უკუეთუ წარსრულთა მათ მათთა საფლავებისა ნეტარებაზედა წარმოთქუმით შემამკობელნი წარმართნი ყოველსავე, რაოდენი ეხილვოს ღუაწლი წარსრულთაჲ მათ, მოსწრაფებით შორის შემოიღებენ, რაჲთა წარსრულისა მისცა ქებაჲ ამით განზავებულ ყონ და მუნ მყოფთა მათცა საშურველ და საბაძველ სათნოებისა ყონ სიტყუაჲ მათი, ამისთჳს ზღაპრობისა და საოცრებისა[244] უზომოებითა ქსოვდიან ქსელთა თხრობისათა, რაჟამს არა აქუნდის თჳსი სამართალი შესხმისა ნივთი მათთა მათ საქებელთა, ვითარ არა უფროჲს ჩუენ, ფრიად არსითა და ჭეშმარიტითა ნივთითა თხრობათაჲთა აღსავსენი, უკუეთუ ვდუმნეთ და უფსკრულსა დავიწყებისასა მივსცნეთ საქმენი მზისა უბრწყინვალესნი და მომატყუებელნი ჩუენდა ყოვლისა კურთხევისა და ცხორებისანი, ანუ არა ფრიად საცინელ ვიქმნნეთ-ა[245] *მისვე ტალანტისა დამფლველისა პატიჟთა შთავრდომისათჳს*[246]? ვინაჲცა სიტყუად **[C385r]** ვიწყოთ, თანად სიმოკლესაცა სიტყჳსასა მზრუნველობითა, რაჲთა არა იგიცა მბრძოლ სასმენელთა იქმნას[247], ვითარცა გარდამატებაჲ[248] ჭამადისაჲ ჴორცთა.

**[A380r]** 5) იოვაკიმ და ანნა იყვნეს მშობელ ღმრთისმშობელისანი[249]. იოვაკიმს ვიტყჳ, რომელი-იგი არარაჲთ უდარეს ცხოვართაჲსა მწყსიდა თჳსთა გულისსიტყუათა, ჴელმწიფებით ყვანებად მათდა, ვინაჲ უნდის, რამეთუ უფროჲსდა უფლისა მიერ სახედ ცხოვრისა იმწყსებოდა იგი და არარაჲთ სიმდიდრეთაგან ჴუებულ იყო; ხოლო სიმდიდრეთა მეტყუელ ნუმცა ვის მათდა შეურაცხიე მე, რომელნი მრავალთა გულისსათქუმელ და რომელთა მიმართ მარადის შემ**[B395r]**სჭუალულ[250] არს გონებაჲ უძღებთაჲ, რომელნი-იგი არცა ვის თანამდგომ არიან მარადის[251], არცა[252] მომგებელისა მათისა უმჯობესად შემცვალებელ არიან შუებითა ამის საწუთროჲსაჲთა, რომლისაჲ ძალი ვერ სადა შეუძლებს მტკიცე-ყოფად, არამედ მასვე ჟამსა შემოკრბების და მყის კუალად დაიჴსნების, რომლისა მიერ არავის მაქებელ ექმნე.

244 საოცრებისა AB] საუცრებისა C.
245 ვიქმნნეთ-ა AB] ვიქმნეთ-ა C.
246 **მთ. 25,25.**
247 იქმნას A] იქმნეს BC.
248 გარდამატებაჲ A] გარდამატებულებაჲ BC.
249 ღმრთისმშობელისანი A] ღმრთისმშობელისა BC.
250 შემსჭუალულ A] შემშჭუალულ BC (ყოველთვის).
251 თანამდგომ არიან მარადის A] მარადის თანამდგომ არიან C, თანა მარადის მდგომ B.
252 არცა A] არცაღა BC.

არცა ესევითარისა რაჲსაგანმე საკჳრველ ვყო იოვაკიმ, დაღაცათუ ფრიად დიდ იყო იგი საწუთროჲთა ბედნიერობითა, რომლისაგან, წარვედ ამიერ, რომელი არად საკჳრველ არს ჩუენდა, არცა ესე არს[253] ნაწილი მოშიშთა უფლისათაჲ, არამედ სიმდიდრენი იგი არიან კეთილ და გულისსათქუმელ[254] გულისჴმისმყოფელთა, რომელნი საუკუნოდ ეგნენ, ღმერთსა ახარებდენ და მომგებელთა მათთა ჟამიერსა ნაყოფსა აღმოუცენებდენ: ვიტყჳ უკუე სათნოებათა, რომელთა-იგი **[C385v]** ჟამსა თჳსსა, რომელ არს ცხორებაჲ საუკუნოჲ, მოსცენ ნაყოფი, ღირსი ცხორებისა საუკუნოჲსაჲ, ღირსებით შრომისმოყუარეთა მათ და ტკივილთმოყუარებითა ძალისაებრითა მომგებელთა მისთა, რამეთუ სათნოებათა მოგებასა წინა-უძღჳს ტკივილი, ხოლო უკუანა-შეუდგს[255] ნეტარებაჲ საუკუნოჲ.

ამათ შინა ჩუეულებითა ჯეროვნად მწყსიდა იოვაკიმ თჳსთა გულისსიტყუათა, *რამეთუ დაივანებნ ადგილთა მწუანვილოვანთა საღმრთოთა წერილთა ხედვისათა*[256] *და იშუებდა წყალთა ზედა საღმრთოჲსა მადლისა მიერთა შუებათასა, გარე-მიაქცევნ უადგილოთაგან და უძღოდეს*[257] *მათ ალაგთა სიმართლისათა*[258]. ხოლო ანნა, „მადლად" გამოთარგმანებული, არა უდარეს ჴორცთა მეუღლებისა იყო ერთსახე მისსა სათნოებითა, რამეთუ ყოვლითა კეთილითა მდიდარი, საიდუმ**[A380v]** ლოჲსა რაჲთამე[259] სიტყჳსთა ბერწ-ყოფისა[260] მიერ სნეულებით სენმძიმე იყო, რამეთუ ნანდჳლვე ბერწობდა მადლი[261] სულსა შინა კაცთასა ვერშემძლებელობითა ნაყოფთა გამოღებისაჲთა, *ვინაჲთგან ყოველნივე მიდრკეს ერთბამად, უჴმარ-იქმნეს*[262], *არა იყო გულისჴმისმყოფელ, არცა გამომეძიებელ ღმრთისა, ვიდრემდის სახიერმან ღმერთმან მოხედნა და შეიწყალა ქმნილი*[263] *ჴელთა თჳსთაჲ*[264] და ენება რაჲ განახლებაჲ მისი, დაჰჴსნა ბერწობაჲ მადლისაჲ, ვიტყჳ უკუე ანნას, ღმრთივშუენიერსა, და შვა შვილი, რომლისა მსგავსი არა შობილ იყო პირველ მისსა, არცაღა

253 არს BC] – A.
254 გულისსათქუმელ A] საწადელ BC.
255 შეუდგს AB] შეუთქს C.
256 საღმრთოთა წერილთა ხედვისათა] twn ierwn logiwn th qewria PG 96 col. 708 B 8. **წინაათონურ თარგმანშია:** "სიტყჳერსა საღმრთოსა".
257 უძღოდეს A]უძღოდის BC.
258 **ფს. 22,1-3.**
259 რაჲთამე A] რაჲთმე BC.
260 ბერწ-ყოფისა A] ბერწობისა BC.
261 მადლი BC] მადლით A.
262 უჴმარ-იქმნეს AC] უჴმარ-იქმნეს B.
263 ქმნილი A] ქმნული C (ყოველთვის). B-ში დაქარაგმებულია.
264 **ფს. 13,1-3.**

იშვების[265] შემდგომად მისსა. ხოლო დაჴსნაჲ **[B395v]** იგი ბერწობისაჲ განცხადებულად[266] მოასწავებდა განჴსნასა სოფლისასა **[C386r]** საკ-
რველთაგან[267] კეთილთა ბერწობისაჲსა და ვითარმედ გამოღებად უც
მას ტევანი მიუთხრობელთა ნეტარებათაჲ.

5 6) ამიერ უკუე ღმრთისმშობელი იშვა ხარებით, რამეთუ ანგელოზმან
წინა-აუწყა მშობელთა მისთა მუცლადღებაჲ მისი. და ჯერ ეგრეთვე
იყო, რაჲთა არცა[268] ამას ზედა მოაქუნდეს ვისგანმე დაკლებულ-ყოფაჲ,
ანუ შემდგომ და არა პირველ-ყოფაჲ მხოლოსა მას ნანდჳლვე სრულისა
ღმრთისა ჴორცითა შობისა მიერ დამტევნელ-ყოფადსა. ამისსა შემდგომად
10 ტაძრად მიიყვანა, ხოლო ტაძარი [იყო] სიტყჳსა ღმრთისაჲ, და მას
შინა აღზრდითა და ქცევითა უმეტესი ყოველთაჲ აჩუენა სიჩჩოჲთგანი
სიწმიდე მოქალაქობისაჲ, ვითარცა უცხოქმნილმან მახლობელობისაგან
და თანააღრევისა ზოგად მამათა და დედათაჲსა. არამედ მოიწია რაჲ
აღზრდაჲ ჰასაკისაჲ, დაიყენებოდა სჯულისა მიერ ყოფად სამეუფოთა
15 შინა სიწმიდეთა ტაძრისათა. ერწმუნა იგი დაცვად იოსებს, სახელით
დამწინდებელსა, ხოლო საქმით მღდელთა მიერ მცველად ქალწულებისა
მისისა დადგინებულსა, რომელი-იგი წესიერებასა სჯულისასა ვიდრე
აღსასრულადმდე[269] შეუცვალებელად დამცველ იქმნებოდა. ამას თანა
იქცეოდა დიდი ესე და ყოვლადუბიწოჲ ქალწული სახლისგანმგეობითა
20 და არარაჲთ გარეშე მისსა მხედველ, გინა განმავალ-ყოფითა.

7) *ხოლო ოდეს მოიწია აღსასრული* **[A381r]** *ჟამთაჲ, ვითარცა იტყჳს საღმრთოჲ მოციქული,*[270] მოივლინა ღმრთისა მიერ მთავარანგელოზი
გაბრიელ მხოლოჲსა მის[271] საღმრთოდ განკუთნვილისა და ჰრქუა მას:
*„გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა”*[272]. **[C386v]** ნამდჳლვე
25 კეთილ და ჯეროვან არიან სიტყუანი ესე ანგელოზისანი უზეშთაესისა
ამის მიმართ ანგელოზთაჲსა, რამეთუ სიხარულსა მომრთუმელ არს
ყოვლისა სოფლისასა. *ხოლო იგი შეძრწუნდა სიტყჳსა ამისთჳს,* რამეთუ
უჩუეველ იყო თანაზრახვასა მამაკაცისასა, ვითარცა კრძალულებით
წინააღმრჩეველი დაცვად თჳსისა ქალწულებისა. *ამისთჳს განიზრახვიდა*
30 *თავსა შორის თჳსსა, ვითარმედ: „რაჲ არს მოკითხვაჲ ესე”*[273]*? ვინაჲცა
კუალად ანგელოზმან მან მისსა მიმართ: „ნუ გეშინინ, ჰრქუა, მარიამ,*

265 იშვების A] იშვეს BC.
266 განცხადებულად AB] განახლებულად C.
267 საკრველთაგან A] კრულებისაგან BC.
268 არცა AC] არა B.
269 აღსასრულადმდე AC] აღსასრულამდე B.
270 **გალ. 4,4.**
271 მის A] ამის BC.
272 **ლუკ 1,28.**
273 **ლკ. 1,29.**

*რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა”*[274]. ნანდუალვე[275] პოვა მადლი ღირსმან მადლისამან, პოვა მადლი მუშაკმან ტკივილთა მადლისათამან[276] **[B396r]** და მრავალწილად მომსთულებელმან მადლთა ჴუვილისამან[277] *პოვა უფსკრული მადლისაჲ*, შეუხებელად[278] მრჩობლ დამცველმან ქალწულებისა ტალანტისამან, რომელმან სულიცა ქალწულადვე დაიცვა 5 არა უდარეს ჴორცთაჲსა. „*ამისთჳს*, ზედა-დაჰრთო ანგელოზმან, და *ჰშვე*[279] *ძე* და *უწოდო სახელი მისი იესუ”*[280], *ხოლო იესუ „მაცხოვრად”*[281] *გამოითარგმანების, რამეთუ მან აცხოვნოს ერი თჳსი ცოდვათა მათგან”*[282].

რაჲ-მე ამისსა მიმართ საუნჯემან ჭეშმარიტისა სიბრძნისამან? გარნა არა მსგავსებაჲ ევაჲს, პირველისა დედისაჲ, ვითარცა განმმართლებელმან 10 მისისა უკრძალველობისამან ჯეროვნად კრძალულებითა თჳსითა ამისთჳს თანამოსაჯულად[283] ბუნებასა იჴუმევდა, ესრეთ რაჲმე რიტორ-ყოფად წინააღმდგომად ანგელოზისა: „*ვითარ იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა* **[C387r]** *ვიცი*[284]*? შეუძლებელსა მეტყჳ, ნუუკუე სიტყუაჲ შენი განჰჴსნის-ა საზღვარსა ბუნებისასა, რომელი შეკრა მეუფემან? არა* 15 *თავს-ვიდებ მეორე ევა-ყოფასა და ამით დამბადებელისა ჩემისა ნებისაგან განყოფასა*[285], *ხოლო უკუეთუ არა წინააღმდგომსა იტყჳ ღმრთისასა, მარქუ სახე მუცლადღებისაჲ დასაჴსნელად ჩემისა უღონოებისა.”*

*რომლისა მიმართ ანგელოზი, ნანდუალვე ქადაგი ჭეშმარიტებისაჲ: -* 20 *„სული წმიდაჲ ჴმობს, ვითარმედ სული წმიდაჲ* **[A381v]** *მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისაჲ გაგრილობდეს შენ, ვინაჲცა შობადსა მას წინა-ეწოდოს ძე ღმრთის*[286]. არა ჰმონებს სჯულთა ბუნებისათა საქმე შენ ზედა აღსრულებული, რამეთუ დამბადებელი და მეუფე ბუნებათაჲ ჴელმწიფებით სცვლის საზღვარსა ბუნებისა[287]”.

ესმა რაჲ ქალწულსა სახელი იგი, სამარადისოდ მისსა სასურველი, 25 ჯეროვნითა კრძალულებითა შეეშინა[288] პატიჟთაგან ურჩებისათა.

---

274 **ლკ. 1,30.**
275 ეს სიტყვა A-ში ორივე ფორმით დასტურდება: „ნამდუალვე” და „ნანდუალვე”.
276 პოვა მადლი მუშაკმან ტკივილთა მადლისათამან AB] – C.
277 ჴუვილისამან AB] + პოვა მადლი მუშაკმან ტკივილთა მადლისათამან C.
278 შეუხებელად BC] შეუხებემან A („ლ” ჩავარდნილია).
279 ჰშვე B] შვე AC.
280 **ლკ. 1,31.**
281 მაცხოვრად AB] მაცხორვრად C.
282 მათგან AB] მათთაგან C. **მთ. 1,21.**
283 თანამოსაჯულად BC] თანამსაჯულად A.
284 **ლკ. 1,34.**
285 და ამით დამბადებელისა ჩემისა ნებისაგან განყოფასა AB] - C.
286 **ლკ. 1,35.**
287 ბუნებისა AB] ბუნებათასა C.
288 შეეშინა A] შეიშინა BC.

*ამისთჳს თქუა სიტყუაჲ, აღსავსე შიშითა და სიხარულითა: „აჰა, მჴევალი უფლისაჲ! მეყავნ მე სიტყჳსაებრ შენისა”[289]!*

8) *ჰ სიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისაჲ, რაჲთა მეცა ჟამიერად თანამეტყუელ ვიქმნე მოციქულისა! ვითარ* 5 *გამოუძიებელ არიან განკითხვანი მისნი და გამოუკულეველ გზანი მისნი! ჰ უზომოებასა ღმრთისა სახიერებათასა! ეჰა, გამოუძიებელობასა სიყუარულისა სიმდიდრეთასა[290], რომელი აღავსებს ცასა და ქუეყანასა[291], რომლისა ცაჲ – საყდარ, ხოლო ქუეყანაჲ – კუარცხლბეკ[292].* ვრცელ სამკჳდრებელ თჳსსა ჰყოფს მუცელსა მჴევლისა თჳსისა და მას შინა 10 აღასრულებს საიდუმლოსა **[B396v]** უზეშთაესსა[293] **[C387v]** ყოველთა ახალთასა, რამეთუ ღმერთ არს და კაც იქმნების და ზეშთა ბუნებისა ჟამიერითა წესითა შობისაჲთა იშვების: განაღებს საშოსა, ხოლო არა დაჰჴსნის კლიტეთა ქალწულებისათა; მკლავთა ზედა მიწისაგანისათა იტჳრთჳს, ვითარცა ჩჩჳლი, რომელ-იგი არს ბრწყინვალებაჲ დიდებისაჲ 15 და ხატი მამულისა გუამოვნებისაჲ, რომელსა მოაქუან[294] ყოველნი სიტყჳთა ძლიერებისა თჳსისაჲთა.

ეჰა, საღმრთოთა და რაბამ ჭეშმარიტთა საკჳრველებათა! ჰ საიდუმ-ლოთა ზეშთა ცნობისა და ბუნებისათა! ეჰა, სიქადულსა ქალწულებისასა, უმაღლესსა კაცთა ბუნებისასა! რაჲ არს ესე შენ ზედა საიდუმლოჲ, 20 ჰ დიდებაო დედათა და ქალწულთაო? *კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაჲ[295]!* ნეტარ ხარ ნათესავით ნათესავთაჲთგან, მხოლოჲ ღირსი ნეტარებისაჲ, *რამეთუ აჰა, ვითარ თჳთ სთქუ, გნატრიან შენ ყოველნი ნათესავნი[296]; შენ გიხილეს იერუსალემისა ასულთა[297], ეკლესიათა ვიტყჳ,* და *გნატრიან შენ* **[A382r]** 25 *დედოფალნი, რომელ არიან სულნი ქალწულთანი[298]*, საუკუნოდ მაქებელნი შენნი, რამეთუ შენ ხარ სამეუფოჲ ცხედარი, რომლისა წინაშე დგანან ანგელოზნი და ხედვენ მეუფესა და დამბადებელსა მათსა, მწოლარედ შენ ზედა, სახითა შენ შორის განსუენებისაჲთა; შენ იქმენ ედემ საცნაურ,

---

289 **ლკ. 1,38.**

290 სიმდიდრეთასა] + O kalwn ta mh onta w~ onta PG 96, col. 712 A 4. **რომ. მიმ. 11,33-34. წინაათონური თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს, მასში არის ეფრემის მიერ უთარგმნელად დატოვებული ფრაზა:** “რომელმან მოუწოდის არა არსსა მას, ვითარცა არსსა” **(იხ.: შენიშვნ. I, სქ. № 290)**.

291 **იერ. 23,24.**

292 კუარცხლბეკ AC] კუარცხბეკ B. **საქმ. 7,49. ეს. 66,1.**

293 უზეშთაესსა AB] + და უახლესსა C.

294 მოაქუან BC] მოჰქონან A.

295 **ლკ. 1,28; 42.**

296 **ლკ. 1,58.**

297 ასულთა C] - AB.

298 **ქებ. 6,8.**

უდიდებულეს და უსაღმრთოეს უფროის ძუელისა მის, რამეთუ მას შინა იქცეოდა ადამ მიწისაჲ, ხოლო შენ შორის დაემკჳდრა უფალი ზეცისაჲ; შენ წინა-გამოგსახა კიდობანმან, დამმარხველმან მეორისა სოფლისა თესლთამან, რამეთუ ჰშევ შენ მა[**C388r**]ცხოვარი სოფლისაჲ ქრისტე, დამჴსნელი იგი ცოდვისაჲ[299], დამაცხრობელი ღელვათა მისთაჲ; 5 შენ სახე გექმნა მაყუალი და წინასახედ[300] შენდა იქმნნეს ფიცარნი ღმრთივწერილნი კიდობნითურთ სჯულისაჲთ, ტაკუკით ოქროჲსაჲთ, სასანთლით და ტაბლით და კუერთხი აჰრონისი განედლებული, *რამეთუ შენ[301] შორის - ცეცხლი ღმრთეებისაჲ, საზღვარი და სიტყუაჲ მამისაჲ, ხოლო[302] ტკბილი იგი მანანაჲ ზეცისაჲ, სახელი უსახელოჲ,* 10 *ზეშთა ყოველთა სახელთაჲ[303], ნათელი დაუსაბამოჲ და შეუხებელი, პური ცხორებისაჲ[304] და ზეცისაჲ, უმუშაკოჲ იგი ნაყოფი ჴორციელად აღმოეცენა[305].*

ანუ არა შენვე წინასახე გექმნა-ა საჴუმილი, მუნვე ერთბამად მქონებელი ცეცხლისაჲ[306] შემწუველისა და შემაცურეველისაჲ, მომასწავებელად 15 ცეცხლსა ღმრთეებისასა, შენ შორის **[B397r]** დამკჳდრებულსა? ხოლო კარავი აბრაჰამისი შენვე წინა-გქადაგებდა განცხადებულად, რომელმან-ეგე ღმერთსა, საშოსა შინა შენსა დამკჳდრებულსა, მოარ[თ]უ ძღუნად ბუნებაჲ კაცობრივი, რომლისა-იგი საიდუმლოჲსა პურისა დასაბამი ყოვლადწმიდათა მათ სისხლთა შენთაგან შეიზილა შეცხობით ვითამე 20 და პურად შექმნით ცეცხლისა მიერ საღმრთოჲსა, რომელი შეიერთა საღმრთოსა მას გუამსა თჳსსა შინა[307] და ჭეშმარიტითა გუამოვნებითა ერთგუამ-ყო მის თანა და ეგრეთ გამოვიდა ღმერთი სრული[308] ჴორცითა სულიერითა, სულითა სიტყჳერითა და საცნაურითა.

*კნინღა და განმევლთა[309] მე კიბეჲ იაკობისი[310]*, რომლისა მიერ **[C388v]** 25 არა ყოვლითკერძო ცხად იყო-ა მოსწავებაჲ შენთა საიდუმლოთაჲ? რამეთუ ვითარ-იგი ჰხედვიდა მწუერვალთა მიერ კიბისათა ზეცათა ქუეყანისა შეერთებულად, **[A382v]** მას ზედა აღსავალ და გარდამოსავალ-

---

299 ცოდვისაჲ AC] + და B.
300 წინასახედ AC] წინასახე B.
301 შენ BC] - A.
302 მამისაჲ, ხოლო B] - A, მამისაჲ C.
303 სახელთაჲ C] სახელთა AB. **ფილიპ. მიმ. 2,9.**
304 ცხორებისაჲ AB] ცხორებისა C.
305 **ინ. 6,48-51.**
306 ცეცხლისაჲ A] ცეცხლისა BC.
307 თჳსსა შინა A] შინა თჳსსა BC.
308 ღმერთი სრული] - PG 96 col. 712 D 5-6. **წინაათონური თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს.**
309 განმევლთა AB] განმევლთო C **(იხ.: შენიშვნ. I, სქ. № 308)**.
310 **დაბ. 28,12 sqq.**

ყოფითა[311] ანგელოზთაჲთა, და ნანდჳლვე ძლიერსა მას და უძლეველსა
მბრძოლად მისსა მიმართ, ეგრეთვე შენ შუვამდგომელ[312] და კიბე იქმენ
ღმრთისა კაცთა მომართ გარდამოსლვისა, რომელმან-იგი მიიღო თბე
უძლურებისა ჩუენისაჲ და შეაყო რკინობით ყოვლადძლიერსა მას თავსა
5 თჳსსა და შეაერთა; და ესრეთ გონება, მხილველ ღმრთისა - ყოფითა
კაცთაჲთა, ხარ შენ, შემაერთებელ განყოფილთა, ვინაჲცა ანგელოზნი
შენგან შობილისა მსახურებად, ვითარცა მონანი ღმრთისა და მეუფისა
მიმართ, გარდამოჴდეს, ხოლო კაცნი, ქუეყანასა ზედა ანგელოზთა
მოქალაქობისა ჴუმევითა, ზეცად აღიტაცნეს.

10 9) სადა დავსხნეთ ჩუენ წინაწარმეტყუელთა ქადაგებულნი[313], ანუ
არა შენ ზედა სრულ-ქმნაჲ იგავთა მათთაჲ, ვითარ-იგი არსცა[314], ეგრეთ
ვთქუათ-ა ჭეშმარიტებით? რამეთუ რაჲ არს საწმისი დავითისმიერი[315],
რომელსა ზედა ყოველთა მეუფე, ძჱ[316] ღმრთისაჲ, თანადაუსაბამოჲ
და თანამეუფჱ თჳსისა მშობელისა მამისაჲ[317], *ვითარცა წჳმაჲ,*
15 *გარდამოჴდა*[318], ანუ არა შენ ზედა-ა განცხადებულად? *ანუ ვის ესაია*[319]
*ქალწულად ქადაგებს*[320], *მუცლით მიდგომილად და მშობელად ძისა,*
*ნანდჳლვე ჭეშმარიტად ჩუენ თანა ღმრთისა*[321], ესე იგი არს, ვითარმედ
შემდგომად განკაცებისა, უქცეველად ეგოს ღმრთეებისაგან? *რაჲდა*
*იყოს მთაჲ დანიელისი, რომლისაგან ლოდი თავსაკიდურთაჲ, ქრისტე,*
20 *გამოეკ*[C389r]*უეთა, თჳნიერ მოქმედებისა ჴელთა კაცობრივთაჲსა*[322], ანუ
არა შენ ხარ-ა იგი, უთესლოდ მშობელი ყრმისაჲ და[323] კუალად დამცველი
ქალწულებისაჲ? *მოვედინ ეზეკიელ* ***[B397v] საღმრთოჲ და გჳჩუენენ ბჭე***
***დაჴშობილი***[324]**,** განვლილი უფლისა მიერ და არა განღებული, ვითარ-
იგი მან წინა-ქადაგა წინაწარმეტყუელებით. ამისთჳს, გჳჩუენებდეს რაჲ

---

311 გარდამოსავალ-ყოფითა AC] გარდმოსავალ-ყოფითა B.

312 შუვამდგომელ A] შუამდგომელ BC.

313 ქადაგებულნი A] ქადაგებანი CB.

314 იგავთა მათთაჲ, ვითარ-იგი არსცა] eiper alhqh deiknunai tauta eqelhsaimen PG 96 col. 713 A 15. **წინაათონური თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "უკუეთუ ვინებოთ გამოცხადებაჲ ჭეშმარიტებისა მისისაჲ".

315 საწმისი დავითისმიერი] o Dauitikoj poko~ PG 96 col. 713 A 16. **წინაათონურ თარგმანშია:** "საწმისი იგი გედეონისი" **(იხ.: შენიშვნ. I, სქ. № 315).**

316 ძჱ B] ძე AC.

317 თანადაუსაბამოჲ და თანამეუფჱ თჳსისა მშობელისა მამისაჲ] o sunanarcoj kai sumbasileuwn tw oikeiw Gennhtori PG 96 col. 713 B 1-2. **წინაათონურ თარგმანში არ არის გადმოღებული ეს ფრაზა (იხ.: შენიშვნ. I, სქ. № 317).**

318 **ფს. 71,16.**

319 ესაია BC] ისაია A.

320 ქადაგებს A] წინაწარმეტყუელებს BC.

321 **ეს. 7,14.**

322 **დან. 2,34.**

323 და BC] ანუ არა A.

324 ეზეკ. 44.1.

საქმით სიტყუათა თჳსთა აღსასრულსა, უეჭველად შენ წინა-გყოფს, რომელი განვლო ღმერთმან ყოველთამან შენგან მიღებითა ჴორცთაჲთა და არა განღებითა ქალწულებისა ბჭისაჲთა, რამეთუ ბეჭედი მისი აღუტეხელად ჰგიეს საუკუნოდ. წინაწარმეტყველნი შენ გქადაგებენ, ანგელოზნი შენ გმსახურებენ და მოციქულნი შენ გმონებენ. ქალწული და ღმრთისმეტყველი ქალწულსა და ღმრთისმშობელსა შვილ გექმნების[325].

ხოლო დღეს, მიცვალებასა შენსა ძისა მიმართ შენისა, წინა-უძღჳან ანგელოზნი, სულნი მართალთანი, მამათმთავართა და წინაწარმეტყველთანი; გარე-მოგადგან მოციქულნი, ღმერთშემოსილთა მამათა მწყობრი ურიცხჳ **[A383r]** კიდით ქუეყანისაჲთ საღმრთოჲთა ბრძანებითა ძისა შენისაჲთა, ვითარცა ღრუბლითა აღტაცებულნი; დიდსა ამას შინა იერუსალემსა შემოკრბებიან და შენ, წყაროსა ცხორებისა დასაბამისა მის უფლისა გუამისასა, ქებათა სამღდელოთა საღმრთოჲთა გალობითა წარმოგითხრობენ:

10) „ეჰა, ვითარ წყაროჲ ცხორებისაჲ, შორის განვლითა სიკუდილი-საჲთა[326], ცხორებად მიიცვალების! ეჰა, ვითარ რომელი-იგი შობასა ზეშთა იქმნა საზღვართა ბუნებისათა, აწ მიცვალებასა მორჩილებით მოუდრკების მათ და სიკუდიდ მისცემს უხრწნელთა ჴორცთა, **[C389v]** *რამეთუ ჯერ-არს მისსა განძურცაჲ*[327] *ხრწნილებისაჲ და მის წილ შემოსაჲ უხრწნელებისაჲ*[328], ვინაჲთგან მეუფემანცა ბუნებათამან გამოცდილებაჲ სიკუდილისაჲ არა უღირს-იჩინა, არამედ მოკუდა ჴორცითა და *სიკუდილი დაჰჴსნა სიკუდილითა და ხრწნილებასა მიჰმადლა უხრწნელებაჲ და სიკუდილი ყო წყარო აღდგომისა*[329].

ეჰა, ვითარდა სულსა მას პატიოსანსა, ღმრთისშემწყნარებელსა განყოფილსა ჴორცთაგან, თჳსთა ჴელთა მიიქუამს შემოქმედი ყოველთაჲ, რამეთუ[330] სჯულიერად პატივ-სცემს, რამეთუ რომელი-იგი ბუნებით მჴევალ იყო, გამოუკულეველობითა კაცთმოყუარებისა უფსკრულთაჲთა განგებულებით დედად თჳსსა იჩინა, ჴეშმარიტებით რაჲ განჴორციელებითა მისგან არა აოცნა კაცებაჲ. ამისთჳს აწ აქა

325 ქალწული და ღმრთისმეტყველი ქალწულსა და ღმრთისმშობელსა] diako nousin...o parqeno~ kai qeologo~ th Aeiparqenw kai qeotokw PG 96 col. 713 C 3-4. **წინაათონურ თარგმანშია:** "იოვანე, ქალწული და ღმრთისმეტყველი, შენ, ქალწულსა და ღმრთისმშობელსა, გმსახურებდა". **(იხ.: შენიშვნ. I, სქ. №133).**

326 სიკუდილისაჲთა BC] სიკუდილისაჲ A.

327 განძურცაჲ A] განძრცუაჲ BC.

328 I **კორ.** 15,53.

329 **I კორ. 15,54.**

330 რამეთუ A] და BC.

იხილვებიან ანგელოზნი, მდგომარენი[331] ბანაკოვანად[332], რაჲთა მოელოდინ
განსლვასა მისსა ჴორცთაგან. ეჰა, კეთილსა ამას განსლვასა, რომელსა
მიჰმადლებს მისლვაჲ ღმრთისა მიმართ, რამეთუ დაღაცათუ ყოველთა
მათ ღმერთშემოსილთა მსახ**[B398r]**ურთა ღმრთისათა მიემადლების
5 ესე და გურწამს, ვითარმედ მიმადლებულ არს, არამედ ფრიად რაჲ-მე
უზომოჲთა უმეტესობითა მიჰმადლებს ამას ღმერთი დედასა თჳსსა[333] და
მჴევალსა თჳსსა.

რაჲ-მე უწოდოთ საიდუმლოსა ამას, შენ ზედა აღსრულებულსა?
10 სიკუდიდ სახელ-ვსდვათ-ა? არამედ დაღაცათუ[334] წესითა ბუნებითითა
განეშორების ყოვლადდიდებული და ყოვლადსანატრელი სული შენი
ყოვლადსანატრელთა და უბიწოთა ჴორც[**C390r**]თაგან შენთაგან და
გუამი შენი საფლავსა დაიდების, არამედ არავე სრულად დაადგრების
სიკუდილსა შინა, არცა განიხრწნების დაჴსნისა მიერ, რამეთუ
15 რომლისა შობამან არა შეამრღჳა ქალწულებაჲ მისი, ჴორცთაგან
განსლვაჲ შეუხებელ არს ხრწნილებისაგან ჴორცთაჲსა; **[A383v]**
რომელნი-იგი უზეშთაესსა მას და საღმრთოსა ცხორებასა მიიცვალნეს,
არა განკუეთილ[335] იქმნებიან სიკუდილისაგან, არამედ[336] საუკუნეობენ
დაუსრულებელთა საუკუნეთა, რამეთუ ვითარცა ყოვლადბრწყინვალე
20 ესე და მარადის მნათობი მზე მცირედჟამ დაიფარვის გუამისაგან
მთოვარისა და საგონებელ არს იგი ჟამსა მას მოკლებულად და
დაფარულად ბნელისა მიერ, გარნა არავე მოაკლდების იგი თჳსისა
ნათლისაგან, არამედ მარადის აქუს მის შორის[337] წყაროჲ ნათლისაჲ,
მოუკლებელად აღმომდინარე, უფროჲსღა თჳთ იგი არს წყარო
25 ნათლის[338] მოუკლებელ, ვითარცა განუგიეს მისთჳს დამბადებელსა მისსა
ღმერთსა, ეგრეთვე შენ – წყაროჲ ჭეშმარიტისა მის და სამარადისოჲსა
ნათლისაჲ[339], დაუწყუდელი, დაულევნელი საუნჯე თჳთ ცხორებისაჲ,
მდიდრად აღმომაცენებელი კურთხევისაჲ, მიზეზი და მომატყუებელი
ჩუენდა ყოველთა კეთილთაჲ. დაღაცათუ ჟამერთ დაიფარვი ჴორცითა
30 სიკუდილისა მიერ, არამედ უშურველადვე აღმოგჳცენებ ჩუენ ნათელთა

331 მდგომარენი A] მდგომარედ BC.
332 ბანაკოვანად AC] ბანაკოანად B.
333 თჳსსა AC] - B.
334 დაღაცათუ AC] დაღათუ B.
335 არა განკუეთილ AB] + არა განკუეთილ C.
336 არამედ BC] და A.
337 აქუს მის შორის A] მის შორის აქუს BC.
338 მოუკლებელად აღმომდინარე, უფროჲსღა თჳთ იგი არს წყარო ნათლის BC] - A.
339 ნათლისაჲ BC] ნათლისა A.

უხუებასა და საღმრთოჲსა ცხორებისა და ჭეშმარიტისა ნეტარებისა
მოუკლებელთა და დაუსრულებელთა ნაკადულთა მდინარეთა მად-
ლისათა, წყაროთა კურნებისათა კურთხევითურთ მოუკლებელით. *შენ
ხარ ვითარცა ვაშლი ხეთა* ***[C390v]*** *შორის*[340] *მაღნარისათა და ნაყოფი
შენი ტკბილ სასასა შინა მორწმუნეთასა*[341], *ვინაჲცა არა სიკუდიდ* 5
*უწოდთ წმიდასა მიცვალებასა შენსა, არამედ დაძინება, ანუ განსლვა,
ანუ შემოსლვაჲ თქუმად მისსა უსაკუთრეს არს, რამეთუ განსლვაჲ შენი
ჴორცთაგან შემოსლვა არს უზეშთაესთა მიმართ*[342].

11) **[B398v]** შენ წინა-გიძღჳან ანგელოზთა თანა მთავარანგელოზნი;
შენისა აღსლვისაგან ძრწიან არაწმიდანი სულნი ჰაერისანი; შენითა 10
განვლითა წმიდა იქმნების ჰაერი და იკურთხვის[343] ზედა კერძო მისსა
ეთერი; შენსა ყოვლადუბიწოსა სულსა მხიარულებით შეიწყნარებს ცაჲ;
შენ სამღდელოჲთა გალობითა და ბრწყინვალითა[344] დღესასწაულობითა
მიგეგებვიან ძალნი. მხოლოდ ესეღა აკლს თქუმად: *„ვინ არს ესე,
აღმომავალი განსპეტაკებული? ბრწყინვალე, ვითარ ცისკარი, შუენიერ,* 15
*ვითარ მთოვარე, რჩეულ, ვითარცა მზე”*[345]. ეჰა, ვითარღა განშუენდი, ვითარ
ძლიერ იქმენ შენ, *ყუავილ ველთა, ვითარცა შროშანი შორის*[346] *ეკალთა*[347]*!
ამისთჳსცა ქალწულთა შეგიყუარეს შენ, სულნელებასა სამოსელთა
შენთასა მივსდევდით*[348]. **[A384r]** შეგიყვანა შენ მეუფემან საუნჯესა
თჳსსა, სადა-იგი მთავრობანი შენდა ძღუენსა შესწირვენ, ჴელმწიფებანი 20
გაკურთხევენ, საყდარნი გაქებენ, ქერობინნი განცჳბრებულნი[349] იხარებენ
და სერაბინნი გადიდებენ, თჳსისა ბუნებით მეუფისა ჭეშმარიტად
განგებულებით დედაქმნილსა, რამეთუ არა ვითარცა ელია რეცა ზეცად
აღხუედ, *არცა პავლესებრ სამ ცადმდე*[350] **[C391r]***ოდენ მიიწია, არამედ
ვიდრე სამეუფოდმდე საყდრად ძისა შენისა*[351], *რომელსა თჳთ თუალით* 25
ხედავ, მხიარულებით ფრიადითა და გამოუთქუმელითა კადნიერებითა
წარდგომილი წინაშე მისსა, მიუთხრობელად მხიარულებად ანგე-
ლოზთა და ყოველთა ზეშთასოფლისა ძალთა, მოუკლებელო
მხიარულებაო მამათმთავართაო, გამოუთქუმელო სიხარულო მარ-

340 შორის A] მიერ BC.
341 **ქებ. 2,3.**
342 **II კორ. 5,8.**
343 იკურთხვის A] იკურთხევის BC.
344 ბრწყინვალითა AB] მბრწყინვალითა C.
345 **ქებ. 6,9.**
346 **ამ ადგილიდან წინაათონური თარგმანის ტექსტი წყდება Jer. 2-ში (D).**
347 **ქებ. 2,1-2.**
348 **ქებ. 1,3.**
349 განცჳბრებულნი BC] განცჳბრებრებულნი A.
350 ცადმდე BC] ცამდე A.
351 **II კორ. 12,2.**

თალთაო, წინაწარმეტყველთა შუებაო, დაულევნელო სოფლისა მა-
კურთხეველო და ზოგად ყოველთა წმიდამყოფელო; მაშურალთა
განსუენებაო, მგლოვარეთა ნუგეშინისმცემელო[352], სნეულთა მკურნალო,
ღელვაგუემულთა ნავთსაყუდელო, ცოდვილთა მომტევებელო, შეწუხე-
5 ბულთა წყალობით ნუგეშინისმცემელო და განმზადებულო შეწევნაო
ყოველთაო, რომელნიცა გხადოდიან შენ!

12) ეჰა, საკჳრველი, ნანდჳლვე ზეშთა ყოვლისა ცნობისაჲ! ეჰა, საქმენი,
აღმავსებელნი[353] განცჳბრებითა! ვითარ ძველსადმე საძულელი და
საძაგელი სიკუდილი აწ სანატრელ იქმნების და იმკვების[354] და რომელი-
10 იგი პირველ მომატყუებელ იყო გლოვისა და მწუხარებისა, ცრემლთა და
მჭმუნვარებისა, იგი აწ მიზეზ არს სიხარულისა და დღესასწაულობისა,
რამეთუ დაღაცათუ ყოველთა ღმრთისმსახურთაჲ, რომელთაჲ[355] სი**[B
399r]**კუდილი სანატრელ იქმნების, სრულიადისა უშიშოებისა და
უეჭველისა ღმრთისა მიმართ მისლვისათჳს არს ესე, რაჟამს ჴორცთაგან
15 განსრულისაჲ უეჭველ იყვის და უქცეველ კუალად ნებისა მიმართ
ჴორცთაჲსა მიქცევითა დაჴსნაჲ სათნოებისა მის და ნეტა**[C391v]**
რებისაჲ[356], რომელი ერთგზის ხუედრებულ არს[357] მისდა, *სიტყჳსა მისებრ
თქუმულისა, ვითარმედ: „ნუ ჰნატრი კაცსა პირველ აღსასრულისა
მისისა"*[358]. გარნა ესე სიტყუაჲ შენთჳს არა შემოიღებვის, რამეთუ[359] შენი
20 ნეტარებაჲ არა სიკუდილსა შეუდგს[360], არცა მიცვალებაჲ არს შენდა
მიზეზ[361] სრულებისა, არცა კუალად განსლვაჲ ამიერ მოგმადლებს შენ
უშიშოებასა, რამეთუ შენდა მი**[A384v]**ზეზ[362] ყოველთა მათ კეთილთა,
უზეშთაესთა ბუნებისათა, დასაბამ და განზოგება და დასასრულ, -
უთესლოჲ იგი არს მიდგომილებაჲ და უშიშოება და ჭეშმარიტება და
25 სიმტკიცე, ღმრთისა შენ შორის მკჳდრობაჲ და უხრწნელი იგი შობაჲ
მისი, ვინაჲცა, ჭეშმარიტებით იტყოდე, არა მიცვალებითგან, არამედ
მიერ მუცლადღებითგან ვითარმედ გნატრიან[363] შენ ყოველნი ნათესავნი.
ამისთჳსცა არათუ სიკუდილმან შენ სანატრელ-გყო, არამედ სიკუდილი
შენ ბრწყინვალე-ჰყავ, დამჴსნელ რაჲ იქმენ მისისა მჭმუნვარებისა და

352 ნუგეშინისმცემელო A] ნუგეშინისცემაო BC.
353 აღმავსებელნი BC] ამავსებელნი A.
354 იმკვების A] შეიმკვების BC.
355 რომელთაჲ AB] რომელთა C.
356 ნეტარებისაჲ BC] ნეტარებისა A.
357 არს AB] არნ C.
358 **ზირაქ. 11,28.**
359 რამეთუ BC] ხოლო A.
360 შეუდგს B] შეუთქს AC.
361 მიზეზ AB] - C.
362 მიზეზ BC] მიზეზთა A.
363 გნატრიან A] გნატრიდენ BC.

აჩუენე მხიარულებად შემაწუხებელი იგი ყოველთაჲ ჟამი სიკუდილისაჲ.

ამისთჳსცა ღირსსა საფლავსა დადებასა დიდებულისა და ყოვლად-უბიწოჲსა გუამისა შენისასა წინა-ურბიოდეს ანგელოზნი, გარე-მოადგებოდეს და თანა-ჰყვებოდეს. რასა არა იქმოდეს, რომელი შეჰგვანდა ჯეროვნებით მსახურ-ყოფასა შენ, დედისა მეუფისა მათისასა? ხოლო 5 მოციქულნი და ყოველი სავსებაჲ ეკლესიისაჲ ღმრთისმეტყველთა ქებათა ჴმობითა აღიტყუელებდეს სულითა. *„აღვივსენით, თქუეს, ვითარმედ აღვივსენით კეთილითა სახლისა* **[C392r]** *შენისაჲთა; წმიდა არს ტაძარი შენი, საკჳრველ სიმართლითა”*[364]*;* და კუალად: *“წმიდა-ყო საყოფელი თჳსი მაღალმან”*[365]*, - მთაჲ ღმრთისაჲ, მთაჲ პოხილი, მთაჲ, რომელსა* 10 *ზედა სათნო-იყო ღმერთმან დამკჳდრებაჲ მის შორის*[366]*.*

შენ, ჭეშმარიტი ეგე კიდობანი ღმრთისაჲ, კრებულმან მოციქულთამან მჴართა ზედა აღგიღეს, ვითარ-იგი ძველ სადმე მღდელთა სახე იგი შენი, კიდობანი, და ესრეთ საფლავსა დაგდვეს, რაჲთა მიერ, ვითარცა იორდანით რაჲთმე წარმგზავნელ გექმნენ ჭეშმარიტსა მას აღთქუმისა 15 ქუეყანასა. ვიტყჳ უკუე იერუსალემსა ზეცისასა, დედასა ყოველთა მორწმუნეთასა, რომლისა ჴელოვან და დამბადებელ ღმერთი არს, *რამეთუ არა შთავიდა სული შენი ჯოჯოხეთად, არცაღა ჴორცთა შენთა იხილეს* **[B 399v]** *განსახრწნელი*[367], არა დაშთა ქუეყანასა შინა შენი უხრწნელი და ყოვლადუბიწოჲ გუამი, არამედ სავანეთა ზეცისა სასუფეველისათა 20 მიიცვალა დედაჲ დედოფალი, სამეუფოჲ უფალი, დედაჲ ღმრთისაჲ და ჭეშმარიტად ღმრთისმშობელი.

13) ეჰა, ვითარ ცამან შეიწყნარა ცათა უვრცელეს გამოჩინებული, ვითარ დაიტია საფლავმან საუნჯე, ღმრთის შემწყნარებელი?! ჰე[368], შეიწყნარა, ჰე[369], დაიტია, რამეთუ არა **[A385r]** ჴორცთა სიზრქითა 25 იყო ცათა უვრცელესობაჲ იგი მისი, რამეთუ ვითარ შეესწოროს ცათა სივრცესა გუამი სამწყრთეული და მარადის სიგრძედ და სივრცედ დაწულილებადი? არამედ მადლით უფროჲს და უზეშთაეს იქმნა ყოველსა სიმაღლესა და სივრცესა და საზომთა ესევითართა.

ეჰა, პატიოსანსა და საკჳრველსა სამსახურებელსა და თაყუანის-30 საცემელსა საფლავსა, რომელი აწცა გარე-შეუ**[C392v]**ცავს ანგელოზთა, შიშითა და ძრწოლითა მრავლითა გარემოდგომილთა! და მისგან ძრწიან

364 **ფს. 64,5-6.**
365 **ფს. 45,5.**
366 **ფს. 67, 16-17.**
367 **ფს. 15,10.**
368 ჰე A] ჰ BC.
369 ჰე A] ჰ BC.

ეშმაკნი, ხოლო[370] კაცნი სარწმუნოებით მოუჴდებიან, პატივ-სცემენ, თაყუანის-სცემენ, თუალითა და ბაგითა და სურვილითა სულისაჲთა ამბორს-უყოფენ[371] და უხუებასა კეთილთასა მიერ აღმოივსებენ, რამეთუ ვითარცა უკუეთუ ვინმე შთადვის ნელსაცხებელი მრავალსასყიდლისაჲ ადგილსა რომელსამე, ანუ სამოსელსა შინა, დაღათუ კუალად აღიღის მიერ, არამედ მოუკლებელვე[372] იყვის მათგან ნაწილი სულნელებისაჲ შემდგომად მიერ წარღებისა მიჰრონისა მის, ეგრეთვე აწ დიდი ესე და საკჳრველი საფლავი, ერთგზის დადებითა მის შორის სამეუფოჲსა მის და ყოვლადუბიწოჲსა გუამისაჲთა, მარადის აღსავსე არს საღმრთოჲთა სულნელებითა უშურველთა მათგან მადლთა, მის შორის დადებულისა, და კუალად მისგან მიცვალებულისათა ადგიდ უზეშთაესად და უმაღლესად, რამეთუ არა დაუტევა საფლავი თჳსი უდიდებელად ღმრთისშემწყნარებელმან მან გუამმან, არამედ ყო მიმცემელ საღმრთოთა მადლთა სულნელებისა და დაუტევა იგი წყაროდ კურნებათა და ყოველთა კეთილთა მათთჳს, რომელნი სარწმუნოებით მოუჴდებოდინ მას.

14) შენდა აწ ჩუენცა გარემოდგომილ ვართ[373] დღეს, ჶ დედოფალო ღმრთისმშობელო, ყოვლადგამოუცდელო ქორწინებისაო! შენისა სასოებისადა შეგჳმსჭუალვიან[374] სულნი ჩუენნი, ვითარცა ძლიერისადა[375] და დაუკუეთებელისა საჭეთმპყრობელისა და მმართებელისა და გონებაჲ და სული და ჴორცნი ყოვლად შენდა შეგჳვედრებიან; ფსალმუნითა **[B400r, C393r]** და ქებითა და გალობითა სულიერითა შეგამკობთ შენ, რაოდენ ჩუენგან მისაწდომელ[376] არს, ვინაჲთგან შემსგავსებული შენი ღირსებით სიტყუაჲ ყოვლადმიუწდომელ არს; რამეთუ უკუეთუ **[A 385v]** ვითარ-იგი სამღდელოჲ სიტყუაჲ მასწავებს ჩუენ, თანამონათა პატივსა გამოჩინებაჲ აქუს ზოგადისა ყოველთა მეუფისა მიმართ ერთგულებისაჲ; ვითარ ვინ უგულებელს-ყოს ამისი მოსწრაფებაჲ შენდა მომართ, მშობელო ყოველთა მეუფისაო, რომლისათჳსცა შესხმაჲ შენი უპირატეს უსაჭიროეს არს თჳთ საჭიროდ საჴმრისაცა ამის ჩუენდა მშჳნვისა და უმეტეს უფროჲს ყოვლისა[377] ცხორებისა ჩუენისა, რაჲთა ესრეთ გამოვაჩინოთ საკუთარი ერთგულებაჲ მეუფისა მიმართ ჩუენ ყოველთაჲსა. და რაჲსაღა ვიტყჳ მეუფისა მიმართსა, რამეთუ კმა არს

370 ხოლო BC] და A.
371 ამბორს-უყოფენ BC] ამბორს-ყოფენ A.
372 მოუკლებელვე A] მოუკლებელ BC.
373 ვართ BC] + ჩუენ A.
374 შეგჳმსჭუალვიან A] შეგჳმშჭუალვან BC.
375 ძლიერისადა A] ძლიერისა BC.
376 მისაწდომელ A] მისაწთომელ BC.
377 ყოვლისა AC] – B.

ნანდჳლვე კრძალულებით მომჴსენებელთათჳს შენთა ბრწყინვალე ნიჭი ჴსენებისა შენისაჲ, ვითარცა მიზეზი სიხარულისა მოუკლებელისაჲ, რამეთუ რომლითა საშუებელითა არა აღივსების, რომელმან საუნჯე ყოვლადწმიდისა ჴსენებისა შენისა ყოს გონებაჲ თჳსი?

ესე შენ ჩუენ მიერ სამადლობელ, დასაბამ სიტყუათა ჩუენთა 5
მწუერვალ სამთავროჲთ გლახაკისა გონებისა ჩუენისაჲთ, რომელი
სურვილისა შენისა მიერ აღძრვითა დამვიწყებელ იქმნა თჳსისა
უძლურებისა, არამედ მოწყალებით მიითუალე, ვითარცა მეცნიერმან
ჩემისა ამის სურვილისა, ზეშთა ძალისა აღმატებულისამან. ხოლო შენ
მოიხილევდ ჩუენ ზედა, დედოფალო სახიერო, სახიერისა ღმრთისა 10
მშობელო, უძღოდე და ჰმართებდ ჩუენთა საქმეთა, **[C393v]** ვიდრეცა
შენ გენებოს, და აყენებდ კრთომათა[378] ბილწთა ვნებათა ჩუენთასა,
დააცხრობდ ღელვასა გულისსიტყუათასა და[379] წარგჳძღუ უღელვოსა
მას ნავთსაყუდელსა ღმრთისა ნებისასა და ღირს-გუყვენ ყოფადსა
მას ნეტარებასა და გამობრწყინვებასა ტკბილისა მის პირისა შენგან 15
ჴორცშესხმულისა ღმრთისასა, რომლისა თანა მამასა დიდებაჲ და პატივი
და დიდადშუენიერებაჲ თანა ყოვლადწმიდით და ცხოველსმყოფელით
სულითურთ აწ და დაუსრულებელთა მათ[380] საუკუნეთა უკუნისამდე,
ამინ.

378 კრთომათა B] კრთომასა AC.
379 და BC] – A.
380 მათ AC] – B.

## მეოხე, თქუმულივე გახდაცვაღებისათჳს წმიდისა ღმერთისმშობელისა

Ier. 2, 8r-18v [XI ს.; D]; Ier. 148, 237-277 [XI-XII სს; E]

**(ღვთისმშობლის დაძინების მეორე ჰომილიის ანონიმი მთარგმნელის წინაათონური თარგმანი)**

**[E237]** 1) ვინ-მე უკუე კაცთაგანმან შესძლოს ქებად გარდაცვალებაჲ ქალწულისა ღმრთისმშობლისაჲ, ვითარ-იგი ღირს არს, **[E238]** და-ღაცათუ აქუნდინ მას ბევრნი ენანი და მეტყუელებდეს ბევრითა პირითა? და არცაღა კუალად ყოველნი თუ ენანი შეკრბენ, პირად-
5 პირადად მზრახვალნი, ვერ შემძლებელ არიან ღირსსა ქებისასა; ხოლო დაღაცათუ შეძლებაჲ კაცთაჲ ვერ მიიწევის, არამედ არავე ჯერ-არს დუმილი მისთჳს, რომელი-იგი არს სათნო წინაშე უფლისა და საყუარელ ძისა მისისა, არამედ სურვილითა და შურითა კეთილითა და სარწმუნოებითა მჴურვალითა თანა-გუაც დიდებაჲ და ქებაჲ წმიდისა
10 ღმრთისმშობელისაჲ.

მოვედით უკუე აწ და ვიწყოთ ქებად მისა ბრძანებისა და წუევისა თქუენისა მინდობითა, ჰ სამწყსონო რჩეულნო და სათნონო და ღმრთისმოყუარენო, და წადიერითა გონებითა მივენდვნეთ შეწევნასა მისსა, რომელი-იგი მისგან განჴორციელდა და აღავსებს ყოველსა პირსა,
15 აღებულსა მისა მიმართ სულითა[1]; და რაჲთა უწყოდით, ვითარმედ ოდეს ვიწყოთ ქებად მ[ისა], თანანადები იგი ხარკისა მისისა გარდაგჴდეს და ოდეს თანანადები იგი გარდავიჴადოთ, ვიწყოთ კუალად მითვე და რამეთუ თანანადები ყოლადვე გარდასაჴდელ არს და დაწყებული. არამედ წყალობა ყავნ ჩუენ ზედა ქებულმან მან ჩუენ მიერ, რომელი
20 უაღრეს არს ყოველთა დაბადებულთა და დედოფალ არს ყოველთა შექმნულთა, ვითარცა დედაჲ ღმრთისაჲ**[E239]** და დამბადებელისა და შემოქმედისაჲ და ყოველთა უფლისაჲ; ხოლო თქუენ, შემოკრებულნო სმენისმოყუარენო, სიტყჳთა ღმრთისათა შენდობა გუეცით და შეიწყნარეთ კეთილი სარწმუნოებაჲ ჩუენი და აქეთ სწრაფაჲ ჩუენი, რამეთუ
25 მეუფესა, რომელსა ერწმუნის ღმრთისა მიერ განგებაჲ ნათესავთაჲ, რომლისა ტაბლაჲ სავსე არნ ყოვლითა კეთილითა და სიმდიდრით, ფერად-ფერადითა საჭმლითა და სანოაგეთა სიმრავლითა და სახლი

---

1 სულითა] + o~ auth mono~ kosmo~, kai paneuklee~ egkwmion pefuken PG 96 col. 721 C 12-14. **ეფრემის თარგმანში არის ეს ფრაზა:** "ჩუენ,რომელთა-ესე მხოლოდ კმა-გუეყოს სამკაულად და შესხმად ყოვლად ღირსებით სიქადულად" **(იხ.: შენიშვნ. II, სქ. №1)**.

იგი სამეუფოჲსა მისისაჲ ფშჳნ სურნელებითა, არამედ უკუეთუმცა ვინმე
მოართუა მას უწინარეს ნაყოფთა დამწიფებისა ყუავილი ნარდისაჲ,
რომელი მსგავს არნ სამეუფოსა მას სამოსელსა, გინათუ ვარდი ერთი
სურნელ, რომელი ეკალთაგან აღმოსცენდის[2], ანუთუ ნაყოფი ტკბილი
ხილთაჲ, ნუუკუე შეურაცხმცა ყოს მცირე იგი მოძღუანებულისა მის 5
ნაყოფნი, არამედ შეწყნარებად იქმნების და უწინარეს ჟამისა მოართუა
მას ძღუენი იგი და მომძღუნებელი[3] იგი განამდიდრა უხუებით.

ესრეთვე ჩუენცა, ჟამსა ზამთრისასა ოდეს წინა-უყოთ დედოფალსა
ყუავილი თქუმულთაჲ და შევწიროთ მისა, რომელ [ყვიან] ქებისა
აღჭურვითა მო**[E240]**ღუაწებისაჲთა ჟამსა დაბერებისასა და შევაცუთ 10
შეერთებითა სურვილი გონებასა, ვითარცა ქვაჲ - რკინასა, რომლისაგან
გამოვიდის ნაბერწყალი მცირე, ანუ ვითარცა ტევანი ერთი უწინარეს
სთჳლებისა მოღებული[4], უკუეთუ ჩუენ იგი გამოვწუროთ[5] და სასუმლად
სამეუფოდ[6] შევჰმზადოთ, ესე იგი არს გონებაჲ, მშობელი სიტყუისაჲ, და
თქუენ [გიჩუენოთ], სმენისმოყუარენო[7], და მისა შევწიროთ, ვითარცა 15
ნაბერწყალი მცირე, ანუ ვითარცა სასუმელი ერთი ტკბილი, ანუ ვითარცა
კუფხალი ერთი კნინი ჟამსა ნეფხვისასა [პ]ოვნილი, არა-მე უფროჲსდა
და უზეშთაეს შეიწიროს-ა ჩუენგან, ქალწულო სიქადულო და დედაო[8],
სახიერმან, რამეთუ არარაჲ სხუაჲ ჯერ-არს შეწირვად მისა, რომელ-
იგი არს დედაჲ სიტყჳსაჲ, გარნა სიტყუაჲ, რამეთუ ყოველივე მხიარულ 20
იქმნის მსგავსი [მსგავსისა] და მისა მიმართ წადიერ არს. ამისთჳს
უკუე, მოვედით და განვუღოთ საუნჯე [სიტყჳსაჲ] და მიუტეოთ ენაჲ
შესხმითა, ვითარცა ცხენი სარბიელსა, რომელსა სწადინ მორბედებაჲ.

ხოლო შენ, სიტყუაო ღმრთისაო, იყავ შემწე ჩემდა და მოეც
მეტყუელებაჲ გონებასა ჩემსა უნაყოფოსა და განუმარჯუე თქუმული 25
ამათ გზაჲ სიტყჳსაჲ, [და ვითარცა მო]რბედებაჲ ჩუენი ნებისა **[E241]**
[შენისა] მიმართ, სურვიელ არს ყოველი გონებაჲ ბრძენთა და მეცნიერთა.

2) დღეს წმიდაჲ იგი და უბიწოჲ, რომელი-იგი მხოლოჲ იხილვა
ქალწულად შემდგომად შობისა, ამაღლდა ქუეყანით ტაძარსა მას

---

2 აღმოსცენდის]+cloerou~ men kekthmenon tou~ kaluka~, kak toutwn proion didumocroon, kai pro~ wraion probadhn fqanon eruqhmaPG 96 col. 724 A5-7. **ეს ფრაზა არის ეფრემის თარგმანში:** "რომლისანი მწუანოოდიან ბუდენი და შუენიერ იყვნიან მათგან გამომავალნი მარჩბივ ფერნი მეწამულობანი" **(იხ.: შენიშვნ. II, სქ. №2)**.

3 მომძღუნებელ E.

4 მოღებული] + thn muqotokon dianoian PG 96 col. 724 A 16-B 1. **ეფრემის თარგმანშია:** "ზღაპართმშობელისაგან ცნობისა".

5 გამოვწოროთ E.

6 სამეუფუდ E.

7 სმენისმოყუარენო] toi~ filologoi~ umin kai filakroamosi PG 96 col. 724 B 2. **ეფრემის თარგმანში:** "სიტყჳსმოყუარეთა და სმენისმოსწრაფეთა".

8 ქალწულო სიქადულო და დედაო] th mhtri tou Logou PG 96 col. 724 B 3-4. **ეფრემის თარგმანშია:** "დედასა სიტყჳსასა".

ზეცისასა და სასძლოსა მას ზესკნელისასა, რომელმან-იგი ესრეთ
შეიყუარა ქალწულებაჲ თჳსი, ვიდრემდის იქმნა იგი გამოჴურვებულ,
ვითარცა ცეცხლი ბრძმედსა შინა[9], რამეთუ ყოველი ქალწული ჟამსა
შობისასა წარსწყმედს ქალწულებასა თჳსსა, ხოლო ესე, უწინარეს
5 შობისა მისისა და ჟამსა შობისასა და შემდგომად შობისა, დაადგრა
ქალწულად.

დღეს კიდობანი იგი ღმრთისა ცხოელისაჲ, სულიერი იგი და
უბიწოჲ, რომელმან იტჳრთა მუცლითა დამბადებელი თჳსი[10], ჴელითა
[გამოუკუეთელსა] განსასუენებელთა უფლისათა განისუენებს; და
10 მხიარულ არს დავით, [პირველი] იგი მამაჲ მისი, რომელი მამადცა
უფლისა იწოდა; და განსცხრებიან ანგელოსნი და იხარებენ
მთავარანგელოსნი და გალობენ ძალნი და ადიდებენ მთავრობანი და
აკურთხევენ ჴელმწიფებანი და იშუებენ უფლებანი და ჰმსახურებენ
საყდარსა და აღამაღლებენ სერაბინნი და უგალობენ ქერობინნი და
15 იგინი ჭეშმარიტად უფროჲს მისა იდიდებიან, რაჟამს აღასრულონ მათ
პატივი მადიდებელთა დედისაჲ. დღეს ტრედი იგი უმანკოჲ და მარტივი
სულითა და უბიწოჲ ჴორცითა, **[E242]** სულისა წმიდისა მიერ განიწმიდა,
აღფრინდა ჴორცთაგან, რომელთა შეიწყნარეს ცხორებაჲ, დაიტიეს
უფალი ყოველთაჲ და [ძალიცა] განსასუენებელი ფერჴთა თჳსთაჲ.
20 და ამაღლდა იგი სოფელსა მას გონიერსა და დაემკჳდრა ქუეყანასა
წმიდასა და სასძლოსა ზესკნელისა.

დღეს სამოთხემან ახლისა ადამისმან სამოთხე იგი პირმეტყველი
შეიწყნარა, რომლისა მიერ დაიჴსნა დასჯილებაჲ, რომლისა მიერ
დაენერგა ხე იგი ცხორებისაჲ, რომლისა მიერ დაიფარა სიშიშულე ჩუენი
25 და ამიერითგან არღარა ვართ ჩუენ შიშველ და არცა შეუმოსელ მის
მიერ ხატი[საგან] ღმრთისაჲ და არცა განძარცულ მადლისაგან სულისა
წმიდისა. ამიერითგან არღარა [ვეტყებდით] ძველსა მას სიშიშულესა
ჩუენსა და ვიტყჳთ: "[განვიძარცუე] სამოსელი ჩემი, ვითარ შევიმოსო"[11]?
რამეთუ სამოთხესა [ამას] არა აქუნდა გუელსა მას შესავალი იგი [ ] და
30 გულისთქუმითა [მით] [განღმრთო]ბისაჲთა მტყუარმან მან მიგვამსგავსნა
ჩუენ პირუტყუთა[12], [ ], რამეთუ ძე ღმრთისაჲ მხოლოდშობილი, სწორი
მამისაჲ გონებითა, წმიდისა ამის ქალწულ[ისაგან] და [ურნატი]სა
მისისაგან დაჰბადა კაცებაჲ იგი მისი, ხოლო მე, კაცი, ღმერთ ვიქმენ და
მოკუდავი - უკუდავ და განვიჴადე ჩემგან სა**[E243]**მოსელი იგი ტყავისაჲ

9 იქმნა იგი გამოჴურვებულ, ვითარცა ცეცხლი ბრძმედსა შინა] w~ up auth~ oia tino~ kaqarwtatou poiwqhnai puro~ PG 96 col. 724 C 3-4. **ეფრემის თარგმანშია:** "შეცხობილ იქმნა,ვითარცა პური წმიდაჲ ცეცხლისა მიერ ყოვლადწმიდისა".

10 დამბადებელი თჳსი] h ton eauth~ tecnithn PG 96 col. 724 C 8. **ეფრემის თარგმანშია:** "ხუროთმოძღურისაჲ და შემოქმედისაჲ".

11 **ქებ. 5,3.**

12 **ფს. 48,13.**

და მის თანა განვიძარცუე ხრწნილებაჲ და შევიმოსე უხრწნელებაჲ
შემოსითა ღმრთეებისაჲთა.

დღეს ქალწული წმიდაჲ, რომელმან-იგი სოფლისა [ო]ცნებათა
ზრახვაჲ არა ინება, არამედ შეიმკო იგი სიბრძნითა და ზრახვითა
ზეცისაჲთა, არდარა ქუეყანად მოიქცა, არამედ ვითარცა არს [იგი] 5
ჭეშმარიტად ცაჲ სულიერი, საგრილთა ზეცი[სა]თა დაემკჳდრა; და
რომელმან უწოდოს მ[ა]ს [ცად] და ჰგონებდეს მას ნაწილად სიტყჳსა
მის[13], და არა უფროჲსდა ჭეშმარიტად ჰგონა იგი უზეშთაეს ცათა და
უმაღლეს სამყაროთა მიუწდომელად, მან უფრო[ჲს]და ნაცილ თქუას,
რამეთუ შემოქმედი ცათა და დამბადებელი [ზღუათაჲ] [ ... ]14. 10

დღეს საუნჯე ცხორებისაჲ და [სიღრმე] მადლისაჲ, არა უწყი,
რომლითა ბაგითა **[E244]** კადნიერითა [ვთქუა], ვითარმედ დაფარა იგი
სიკუდილმან [D8r] მომცემელი[15] ცხორებისაჲ, ანუ ვითარ მიიწია ამისა
უშიშად, რომელმან-იგი შვა დამჴსნელი სიკუდილისაჲ, უკუეთუ ჯერ-
არს ჩუენდა წოდებაჲ სიკუდილად განსლვაჲ ამის უბიწოჲსაჲ სოფლით, 15
რომელ-იგი მიზეზი არს ცხორებისაჲ ყოველთა შვილთა ადამისთაჲ;
და რომელმან-იგი აღმოუცენა ყოველთა ცხორებაჲ, ვითარ-მე იქმნების
იგი ჭელთა ქუეშე სიკუდილისათა? არამედ დაემორჩილა იგი შჯულსა
ძისა თჳსისასა და ვითარცა ასულმან ადამის ძუელისამან, თავს-იდვა
პატიჟი მამათაჲ, ვითარ-იგი ძემან მისმან, რომელი-იგი ცხორებაჲ არს, 20
და არა ურჩ-ექმნა სიკუდილსა, და ესე წმიდაჲ, ვითარცა არს იგი დედაჲ
ცხოველისაჲ მისა, ღირსებით ამაღლდა; და უკუეთუ ღმერთმან ჰრქუა
ადამისთჳს, პირველდაბადებულისა, რაჟამს-იგი გარდაჰჴდა მცნებასა:
„ნუუკუე აწ მიყოს ჭელი მისი და მოიღოს ცისა მისგან ცხორებისაჲსა,
ჭამოს და ცხონდეს იგი უკუე”[16], რავდენ-მე უკუე იგი, რომელმან 25
შეიწყნარა, რომელსა-იგი არცა დასაბამი აქუს და არცა აღსასრული,
არა-მე უკუნითი უკუნისამდე ცხონდეს-ა?

3) და რამეთუ დასაბამსა დაბადებისასა, რაჟამს-იგი აღივსნეს
გესლითა ურჩებისაჲთა პირველნი იგი კაცთა ნათესავისა დაწყებანი
და მიერულა თუალთა გონებათა მათთასა სიმთრვალითა ურჩებისაჲთა 30
**[E245]** და დამძიმდეს გონებანი მათნი რორინებითა და მოგებითა
ცოდვათაჲთა და დაიძინეს თუალითა მათითა ძილი სიკუდილისაჲ,
გამოასხნა იგინი უფალმან ღმერთმან და გამოიყვანნა სამოთხით. ხოლო
ესე, რომელმან განყარა ყოველი ვნებაჲ სალმობისაჲ და მოართუა
ნერგი[17] მორჩილებისაჲ პირველსა მამასა და ექმნა დასაბამ ცხორებისა 35

---

13 ჰგონებდეს მას ნაწილად სიტყჳსა მის] **ეს ფრაზა არ არის ბერძნულ ტექსტში (PG 96 col. 725 B 8) (იხ.: შენიშვნ. II, სქ. №13).**

14 **Ier 148-ის ( E) ფოტოში არ იკითხება 13 სტრიქონი.**

15 **ამ ადგილიდან გრძელდება ტექსტი Ier. 2-ში (D).**

16 **დაბ. 3,22.**

17 ნერგი D] მორჩი E.

ყოველსა ნათესავსა კაცთასა, არა-მე სასუფეველსა[18] შეიწყნაროს-ა? და ცამან შიშით განახუნეს[19] ბჭენი თჳსნი, ჰბ[20], ჭეშმარიტად, თჳნიერ ყოვლისა იჭჳსა, რამეთუ ევა, რაჟამს-იგი განახუნა სასმენელნი თჳსნი ზრახვასა გუელისასა და შეიწყნარა მტერისაგან ერთგულებაჲ მისი
5 და შესცთა გემოჲთა ტყუვილისაჲთა, მიიღო მან პატიჟად მწუხარებაჲ და სალმობით შობაჲ და განისწავლა ადამის თანავე სიკუდილითა და დაემკჳდრა სიღრმესა ჯოჯოხეთისასა, **[D8v]** ხოლო ესე, რომელი ჭეშმარიტად ღირს არს ნეტარებასა, რომელმან-იგი განახუნა სასმენელნი თჳსნი ღმრთისა სიტყჳსათჳს და აღივსო მადლითა სულისა წმიდისაჲთა
10 და ხარებითა მთავარანგელოზისაჲთა, მუცლად-იღო ნებითა მამისაჲთა[21] და არა გემოჲთა და არცა შეხებითა[22] მამაკაცისაჲთა და იტჳრთა გუამი ძისა ღმრთისაჲ, რომელ-იგი აღავსებს ყოველსა, და ულმობელად შვა შეერთებული ღმერთი ყოვლითურთ თბესა მას მისსა.

ვითარ-მე უკუე სიკუდილმან შთანთქას იგი, ანუ ვითარ-მე შეიწყნაროს
15 ჯოჯოხეთმან, ანუ **[E246]** ხრწნილებამან ვითარ-მე უძლოს[23] მიახლებად ჴორცთა მისთა, რომელმან აღმოაცენა ცხორებაჲ? ფრიად ჰშორვან ესევითარნი ესე და ყოლადვე უცხო სულისა მისისაგან და ჴორცთა, რომელთა შინა დაემკჳდრა ღმერთი. და ამისთჳს, რაჟამს[24] იხილა იგი სიკუდილმან, შეძრწუნდა, რამეთუ ოდეს მივიდა ძისა მისისა, უწყოდა,
20 რაჲ-იგი შეემთხჳა მას და რაჟამს გამოცადა და ცნა, შეშინდა და დაეყენა ამას შესავალნი იგი ჯოჯოხეთისანი; ბნელნი და წყუდიადნი არა ექმნეს[25] გზა, არამედ ზეცისა იგი აღსავალნი ექმნეს გზა ვრცელ და ადვილად მიმყვანებელ[26]. და უკუეთუ თქუა ქრისტემან, ჭეშმარიტმან ცხორებამან, ვითარმედ: „სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახური ჩემი იყოს"[27],
25 რავდენ-მე უფროჲს ჯერ-არს დამკჳდრებაჲ მშობელისა მისისაჲ მის თანა? და ვითარცა-იგი უწინარეს სალმობისა მის შობადისა შვა, ეგრეთვე ულმობელად იყო განსლვაჲ მისი ამიერ სოფლით. სიკუდილი ცოდვილთაჲ ბოროტ არს[28], ვითარცა თქუა დავით, ხოლო რომლისა მიერ საწერტელი

---

18 სასუფეველსა D] სასუფეველმან E.

19 განახუნეს D] განუხუნეს E.

20 ჰბ D] ჰე E.

21 Thn patrikhn eudokian (PG 96,col. 728 B 9-10).

22 შეხებითა] შეკრებითა DE. "h sunafeia"-ს (PG 96, col. 728 B 10) (="შეხება"-ს ნაცვლად თარგმნილია h sunafh = "შეკრება").

23 უძლოს D] იკადროს E.

24 რაჟამს D] რამეთუ E.

25 ექმნეს D] ექმნეს E (D-ში მეორე „ნ" ზემოდან არის ჩამატებული).

26 არამედ ზეცისა იგი აღსავალნი ექმნეს გზა ვრცელ და ადვილად მიმყვანებელ E] ვრცელ და ადვილად შემწყნარებელ D. **იბ. 14,6.**

27 **იბ. 12,26.**

28 **ფს. 33,22.**

სიკუდილისაჲ დაითრგუნა და ცოდვილისა ძლიერებაჲ[29] მოკუდა, რასა-
მე უკუე იტყჳ მისთჳს, ანუ არა-მე[30] ცხორებასა მას სამარადისოსა[31]
მიიცვალოს-ა? პატიოსან არს **[E247]** ჭეშმარიტად სიკუდილი წმიდათაჲ
წინაშე უფლისა ღმრთისა ძალთაჲსა და უზეშთაეს ყოვლისა პატივისა
არს მიცვალებაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ.

ამიერითგან იხარებნ ცანი და მხიარულ არიან ანგელოზნი! ამიერითგან
იშუებს ქუეყანაჲ[32] და განსცხრებიან ძენი კაცთანი! ამიერითგან ჰაერი
სიხარულისაჲ[33] მოსცემს ჴმასა **[D9r]** გალობისასა და ღამჱ[34] იგი
ბნელი განიძარცუავს სამოსელსა ბნელისა[35] და წყუდიადისასა და
მიემსგავსების ბრწყინვალებასა დღისასა[36] აღნთებითა ლამპრისაჲთა
და ცეცხლისა მცხინვარებითა ამისთჳს, რამეთუ ქალაქი უფლისა[37]
ძალთაჲსაჲ ამაღლდების სიმაღლესა ზეცისასა[38] შესაწირავად; პატიოსნად
შესწირვენ, რომელნი ქრისტეს მიერ ყოველსა სოფელსა იქმნეს მთავარ;
მოციქულთასა ვიტყჳ, რამეთუ შეწირეს დედაჲ ღმრთისაჲ ქალწული[39].

4) და არა ვჰგონებ, თუ უშუერება არს, უკუეთუ ჩუენ სიტყჳთა
გამოვხატოთ, მსგავსად ძალისა, და გამოვსახოთ და მივამსგავსოთ სახჱ
ამის უბიწოჲსაჲ და რაჲ-იგი უყვეს მას ჟამსა[40] მიცვალებისა მისისასა[41]
და რაჲ-იგი სასწაული ჟამსა მას შინა გამოჩნდა[42], რომელნი ჩუენდა
მოიწინეს მრავლისაგან მცირედი, ვითარ-იგი თქუმულ არს, მამათაგან
შვილთა ეუწყის, **[E248]** და მე ვჰგონებ, ვითარმედ რომელი-ესე წმიდათა

29 ცოდვილისა ძლიერებაჲ E] ცოდვაჲ და ძლიერებაჲ D.

30 არა-მე D] არა E.

31 სამარადისოსა E] საუკუნესა D.

32 **ფს. 95,11; 96,1.**

33 სიხარულისაჲ D] სიხარულით E.

34 ღამჱ D] ღამე E (E-ში სახელობით ბრუნვაში, როგორც წესი, გვაქვს „ე" დაბოლოება).

35 ბნელისა D] ბნელისასა E.

36 დღისასა E] D.

37 ქალაქი უფლისა D] ქალაქნი უფლისა ღმრთისა E.

38 ზეცისასა D] + და მეუფენი მღდელობისანი ტაძრისაგან უფლისა სიონით ბრწყინვალე ზეცისა იქმნა აზნაურსა მშობელსა თჳსსა E.

39 პატიოსნად... ქალწული] kai basilei~ apo naou Kuriou th~ peribleptou Siwn epi thn anw Ierousalhm thn eleuqeran thn eautwn mhtera dwron prosagousi timal festaton, oi pro~ Cristou pash~ th~ gh~ katastante~ arconte~ tou~ apostolou~ fhmi, thn tou qeou mhtera thn Aeiparqenon (PG 96, col. 728 D 7- 729 A 3). **ეს ადგილი წინაათონურ თარგმანში შემოკლებულია, ეფრემის თარგმანი კი მისდევს ბერძნულ ტექსტს:** "და მეფენი ტაძრით უფლისაჲთ, საჩინოჲთ სიონით, აზნაურსა მას დედასა მათსა იერუსალემსა ძღუნად პატიოსნად მიუპყრობენ მას. „მეფედ ვიტყჳ ქრისტეს მიერ მთავრად ყოვლისა სოფლისა დადგინებულთა წმიდათა მოციქულთა, ხოლო ძღუნად - დედასა ღმრთისასა, მარადისქალწულსა".

40 მას ჟამსა D] ჟამსა მას E.

41 რაჲ-იგი უყვეს მას ჟამსა მიცვალებისა მისისასა] - PG 96, col. 729 A 5-6.

42 გამოჩნდა D] გამოჩნდეს E.

უწმიდეს არს და მართალთა უმართლეს არს[43], ტაკუკი მანანაჲსა მის ტკბილისაჲ, და[44] უფროჲსღა ჯერ-არს, რაჲთა უწოდი მას თუალი ცხორებისაჲ, იყო მიწოლით ცხედარსა ზედა, ქალაქსა შინა[45] დავითისასა, განთქუმულსა მას და საღმრთოსა, ესე იგი არს წმიდაჲ და დიდებული
5 სიონი, რომელსა შინა აღესრულა შჯული და დაიწერა შჯული სულისაჲ, რომელსა შინა აღასრულა პასექი სახისაჲ[46], მომცემელმან შჯულისამან ქრისტემან და ჭეშმარიტმან აღვსებამან პასექისამან და ღმერთმან ძუელისა და ახლისა შჯულისამან, რომელსა შინა იზიარნა მოწაფენი სერსა მას საიდუმლოჲსასა კრავმან ღმრთისამან, რომელმან
10 აიხუნა ცოდვანი სოფლისანი[47] და დაუკლა მათ თავი თჳსი, ვითარცა ზუარაკი ჭამებული,[48] და დაუწნიხა მათ ტევანი ვენაჯისა მის თჳსისა ჭეშმარიტისაჲ, რომელსა შინა ქრისტე მოწაფეთა თჳსთა გამოეცხადა, აღ-რაჲ-დგა მკუდრეთით, და დაარწმუნა თომას და მის მიერ ყოველსა სოფელსა, ვითარმედ[49] ღმერთი არს იგი[50] და უფალი ორთა ბუნებათაჲ
15 შემდგომადცა აღდგომისა და ჰქონან მას[51] ორნი საქმენი და ორნი ჴელმწიფებანი და ორნი ნებანი უკუნისამდე დაუსრულებელად.

[D9v] ესე სიონი[52] - გოდოლი ეკლესიათაჲ და საყოფელი მოწაფეთაჲ; ამას შინა გამობრწყინდა მადლი სულისა წმიდისაჲ და ენანი განუყვნა[53], მსგავსნი [E249] ცეცხლისანი, და სიტყუათა მრავალფერთა მეტყველებაჲ
20 ასწავა მდიდრად[54] მოციქულთა[55]; ამას შინა იოვანე ღმრთისმეტყველმან დაამკჳდრა ღმრთისმშობელი და იყო ზედამდგომელ და მსახურ მისა[56], ვითარცა შვილი[57]; ესე სიონი, დედაჲ ყოველთა ეკლესიათაჲ, აქუნდა

---

43 წმიდათა უწმიდეს არს და მართალთა უმართლეს არს] thn agiwn agiwteran, kai ierwn ierwteran, kai osiwn osiwteran PG 96, col. 729 A 9-10.

44 და D] არამედ E.

45 შინა E] – D.

46 პასექი სახისაჲ] to Pasca to tupikon PG 96, col. 730 B 1.

47 **ინ. 1,29.**

48 **ლკ. 15,23.**

49 ვითარმედ E] ვითარცა D.

50 **ინ. 20,28.**

51 მას D] მათ E.

52 "სიონი"-ს შესატყვისად ეფრემის თარგმანში არის "ეკლესია" (twn Ekklhsiwn PG 96 col. 729 B 13).

53 განუყვნა D] განუყუნა E.

54 ekkecutai PG 96 col. 729 C 1 (შდრ. "აღავსო ყოველი იგი სახლი" საქმ. 2,2). **ამ ადგილას ეფრემის თარგმანში არის:** "მრავალსახედ მათდა მიფენილისა".

55 **საქმ. 2,2-3.**

56 მისა E] – D.

57 eleitourgei ta deonta PG 96 col. 729 C 2-3. **ეფრემის თარგმანში ზუსტად არის გადმოღებული ეს ფრაზა:** "ჰმსახურებდა მას წესისაებრ მისდა რწმუნებულისა". რაც შეეხება წინამდებარე წინაათონურ თარგმანს, აქ, ფაქტობრივად, ამ ბერძნული ფრაზის კომენტირებაა "შვილი" სიტყვის გამოყენებით **(იხ.: შენიშვნ. II, სქ. №57).**

საყოფელად[58] წმიდასა ღმრთისმშობელსა შემდგომად აღდგომისა ძისა მისისა მკუდრეთით და ამაღლებისა[59]; ამას შინა ქალწული წმიდაჲ იყო ცხედარსა ზედა მიწოლილ.

5) არამედ ვითარცა მოვიწიე ადგილსა ამას სიტყჳსასა, რაჲთა აღგიარო[60] უძლურებაჲ ჩემი და ტკივილი, უცალო ვიქმენ მე[61] უცალოებითა 5
მძაფრითა[62] და შემედვა მე ძრწოლაჲ და ვიძლიე მე ცრემლთა დინებითა, რომელნი შეზავებულ იყვნეს და სავსჱ მხიარულებითა, და მეგონა, ვითარმედ მოხუეულ ვარ ცხედარსა მას სანატრელსა და საწადელსა, სავსესა საკჳრველებითა, რომელმან იტჳრთა გუამი მისი, რომელ-იგი[63] დასაბამი იყო ცხორებისა ჩუენისაჲ, და შეხებითა მისითა ამას ღირს- 10
იქმნა ცხედარი იგი სიწმიდისაჲ; და მეგონა, ვითარმედ მკლავნი ჩემნი გარე-მომისხმან გუამსა მას[64] წმიდასა და უბიწოსა და რეცა დამისხმან თუალნი ჩემნი და ბაგენი ჩემნი და შუბლი და ყელი ჩემი და ღაწუნი მის ზედა და ყოველნი **[E250]** ასონი ჩემნი მას მივაყრდნენ და რეცა თუ შევახებ ყოველთა ასოთა მისთა ჴელითა ჩემითა, ვითარცა გუამსა 15
წინამდებარესა[65], და ვითარცა აღვიხილენ თუალნი ჩემნი, რაჲთამცა ვიხილე საწადელი იგი, არა ვპოვე და ვითარ-მე-მცა ეგებოდა პოვნაჲ მისი, რამეთუ იგი[66] ტალავართა მათ ზეცისთა აღიტაცა[67] და არს იგი მუნ მაღალთა შინა.

6) და ესევითარი ესე იყო ჟამსა ამას, ხოლო რომელი-იგი მას ჟამსა 20
შინა იყო, მან იხილა[68] დიდებაჲ ძისა მიერ თჳსისაჲ[69], რომელმან-იგი ბრძანა შჯულსა შინა პატივისცემაჲ მშობელისაჲ[70] ნაშობთა მიერ. რაჲ-მე რაჲ იყოს ამისა? მოწაფენი იგი, რომელნი განბნეულ იყვნეს ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა მონადირებად კაცთა **[D10r]** მრავალფერითა მით

58 საყოფელად D] საყოფლად E.

59 Thn tou uiou ek nekrwn anafoithsin PG 96 col. 729 C 5-6. **ეფრემის თარგმანში არის** მხოლოდ "მკუდრეთით აღდგომა". რაც შეეხება წინამდებარე წინაათონურ თარგმანს, მთარგმნელმა გამოიყენა ბერძნული პოლისემიური სიტყვის: "anaferw"-ს ორივე მნიშვნელობა და ტექსტს მეტი სრულყოფილება შესძინა.

60 აღგიარო E] აგიარო D.

61 მე D] – E.

62 უცალო ვიქმენ მე უცალოებითა მძაფრითა] qermotata kai zeonti pursw tou poqou kaiomeno~ PG 96 col. 729 C 9-10. **ამ ადგილს ეფრემი ზუსტად თარგმნის:** "მჭურვალითა და მოტყინარითა ცეცხლითა სიყუარულისაჲთა აღგზებულ ვიქმენ" **(იხ.: შენიშვნ. სქ. №62).**

63 რომელ-იგი D] რომელი-იგი E.

64 მას E] – D.

65 ვითარცა გუამსა წინამდებარესა D] - E.

66 რამეთუ იგი D] რომელი-იგი E.

67 აღიტაცა E] მიიტაცა D.

68 იყო,მან იხილა D] ეყო მას პატივი და E.

69 თჳსისაჲ D] თჳსისა E.

70 მშობელისაჲ D] მშობელთაჲ E.

ენითა, სულისა წმიდისა მიერ მოცემულითა, რომელთა ბადწ იგი სიტყჳსაჲ
მოედვა და მით აცხოვნებდეს კაცთა სიღრმისაგან ცთომისაჲსა და
აღიყვანებდეს ტაძარსა მას ზეცისასა[71] და სერსა მას საიდუმლოჲსასა
და ინაჴით ჯდომასა განუმზადებდეს ქორწილსა მას შინა სულიერსა,
5 რომელი-იგი[72] განჰმზადა მამამან მაღალმან ზეცისა სიძისათჳს, რაჲთა
პატივ-სცეს ჩინებულთა ქორწილსა ძისა თჳსისასა[73], რომელი სწორი
არს მისა ბუნებითა და ძალითა. ბრძანებითა მისითა საღმრთოჲთა,
ღრუბელმან, ვითარცა ბადემან, იცრუსალემად შემოკრიბნა კიდით
ქუეყანისაჲთ, ვითარცა ორბნი წუევითა მათითა[74], რამეთუ[75] ვითარცა-იგი
10 თქუა ჭეშმარიტებამან, სადაცა არნ ჴორცი, მუნცა შეკრბის ორბები[76];
ხოლო დაღათუ თქუმულ არს **[E251]** ესე მოსლვისა მისისათჳს მეორედ
ზეცით[77], არამედ არავე უშუერება არს მოღებად ესე აქა, ვითარცა
სულნელი ჰამოჲ სიტყუათა კუმევასა.

ამისთჳსცა წარმოდგეს და მოიწინეს მსახურნი იგი სიტყჳსანი
15 და თუალითმხილველნი, რაჲთა ჰმსახურონ[78] წმიდასა მას დედასა
მისსა, ვითარცა ღირსსა და თანამდებსა მსახურებისასა, და ვითარცა
საფასესა პატიოსანსა[79] განაღებდეს, რაჲთამცა აღმოსცენდეს[80] მუნით
კურთხევაჲ განმამდიდრებელი[81]. და მოსლვასა მას[82] მათსა თანა-

71 epouranion trapezan PG 96 col. 732 A 7.

72 რომელი-იგი D] რომელი E.

73 რაჲთა პატივ-სცეს ჩინებულთა ქორწილსა ძისა თჳსისასა] tw isosqenei kai omofuei Uiw lamprw~ estia PG 96 col. 732 A10. **ეფრემმა ეს ფრაზა ზუსტად თარგმნა:** ”ბრწყინვალე და ფრიად სამეუფო სანოვაგე-ყვნა”.

74 ვითარცა ორბნი წუევითა მათითა] oia tina~ aetou~ sunwqousa kai sunaqroizousa PG 96 col. 732 A 13-14. **ეფრემის თარგმანში ეს ფრაზა ზუსტად არის გადმოღებული:**” ვითარცა არწივნი მალემსრბოლნი, შემოკრებულნი და შეერთებულნი” **(იხ.: შენიშვნ. II, სქ. № 74).**

75 რამეთუ E] – D.

76 **მთ. 24,28.**

77 მოსლვისა მისისათჳს მეორედ ზეცით] deutera~ megalh~ kai epifanou~ parousia~ kai ouranoqen katafoithsew~PG 96 col.732 B 2-3. **ეფრემმა ეს ფრაზა ზუსტად გადმოიღო:** “დიდისა მისთჳს და დიდებულისა მეორედ ზეცით გამოჩინებისა თჳსისა” **(იხ.: შენიშვნ. II, სქ. №77)**.

78 ჰმსახურონ D] მსახურონ E.

79 ვითარცა ღირსსა და თანამდებსა მსახურებისასა და ვითარცა საფასესა პატიოსანსა] wsper tina polutelh kai upertimon PG 96 col. 732 B 7. **ეფრემის თარგმანში** ეს ლექსიკური ერთეულები, ბერძნული წყაროს მსგავსად, კომპოზიტებით არის გადმოტანილი: “ვითარცა სამკჳდრებელი მრავალსასყიდლისა და ზესთასაფასისაჲ”.

80 აღმოსცენდეს D] აღმოივსეს E.

81 კურთხევაჲ განმამდიდრებელი] Tini gar estin h gnwmh amfibolo~, w~ auth th~ eulogia~ phgh PG 96 col. 732 B 8-9. **ეფრემმა ეს გრძელი ფრაზა,** რომელიც წინააღმოონელმა მთარგმნელმა, ფაქტობრივად, არ თარგმნა, **ზუსტად გადმოიღო:** “რამეთუ ამას ზედა ვისი ცნობაჲ იჭუეულ იყოს, ვითარმედ თჳთ ესე არს წყაროჲ კურთხევისაჲ, აღმომაცენებელი ყოველთა კეთილთაჲ” **(იხ.: შენიშვნ. II, სქ. №81).**

82 მას E] – D.

დახუდეს შემდგომნიცა მათნი, რომელ[83] იგინიცა მი-ვე-ემთხჳნეს[84] მსახურებასა მისსა და კურთხევასა, რამეთუ რომელნი-იგი შრომითა[85] ზიარ-იყვნეს, ნაყოფიცა სწორი ჯერ-იყო მიღებად მათა და იყვნეს მათ თანა მდგომარე ყოველნი, რომელნი მკჳდრ იყვნეს იჩრუსალემს წმიდათაგანნი და რამეთუ ჭეშმარიტად ჯერ-იყო მუნ დახუდომაჲ 5 პირველთა მათ მართალთაჲ[86] და წინაწარმეტყველთაჲ[87], რომელნი-იგი წინაჲსწარ-უთხრობდეს გამოჩინებით შობასა და განჴორციელებასა ძისა ღმრთისასა წმიდისა მისგან ცხორებისა ჩუენისათჳს, და აღივსნეს ხილვითა მით საკჳრველითა[88]; და მათ თანავე გუნდი ანგელოზთაჲ განწყობილ იყო, რამეთუ ყოველნი, რომელნი იყვნეს მორჩილებასა[89] 10 მეუფისასა, ღირს-იყვნეს[90] დგომად წინაშე დალიჭსა მისსა[91]; ჯერ-იყო მათა, რაჲთამცა პატივ-სცეს[92] ღირსსა და სანატრელსა დედასა მისსა ჴორციელად[93], რომელი უზეშთაეს იყო ყოველთა ნათესავთა და უდიდებულეს ყოველთა დაბადებულთა. **[D10v]** დგეს ყოველნი იგი[94] ამის წინაშეცა და იგი ბრწყინვიდა ნათლითა მით სულისა წმიდისაჲთა **[E252]** 15 და განანათლებდა გონებასა მათ ყოველთასა, რომელნი მოწიწებით და შიშით და სურვილითა ჰხედვიდეს[95] მას და შეეკრნეს[96] თუალნი გონებათა მათთანი მისა მიმართ.[97]

---

83 რაჲთა E] რომელ D.

84 მი-ვე-ემთხჳნეს D] მიემთხჳნენ E.

85 შრომითა E] შურითა D.

86 პირველთა მათ მართალთაჲ E ] პირველთაჲ მათ მართალთა D.

87 წინაწარმეტყველთაჲ] profhtwn tou~ akremona~ sumparomartein, tauth~ th~ iera~ doruforia~ PG 96 col. 732 C 1. წინაათონური თარგმანის უთარგმნელი ფრაზა **სრულად არის წარმოდგენილი ეფრემის თარგმანში:** "წინაწარმეტყველთა მწყობრისაჲ შეერთებულ-ყოფაჲ ზიარებასა საღმრთოჲსა ამის ძღუნისშემწირველობისასა".

88 ეს ფრაზა**:** "წმიდისა მისგან ცხორებისა ჩუენისათჳს,და აღივსნეს ხილვითა მით საკჳრველითა [საკჳრველებითა E] DE - **არ არის არც ბერძნულ ტექსტში (PG 96 col. 732 C 4) და არც ეფრემის თარგმანში (იხ.: შენიშვნ. II, სქ. №88)**.

89 მორჩილებასა E] მორჩილობასა D.

90 ღირს-იყვნეს დგომად E] იყვნეს მდგომად D.

91 ღირს-იყვნეს დგომად წინაშე დალიჭსა მისსა] th~ autou timal fou~ parastasew~ axion edei PG 96 col. 732 C 6-7. წინაათონური თარგმანი გარკვეულად ცვლის ტექსტს. ეფრემი ზუსტად თარგმნის: "მის ძლით ღირს ბრწყინვალედ მის წინაშე დგომასა".

92 ჯერ-იყო მათა, რაჲთამცა პატივ-სცეს] th~ autou timal fou~ parastasew~ axion edei doruforein PG 96 col. 732 C 6-7. ეფრემის თარგმანშია: "უჴმდა წინამძღუანველ-ყოფაჲ ჴორციელად მშობელისაცა მისისაჲ".

93 ჴორციელად E] ჴორციითა D.

94 ყოველნი იგი D] იგი ყოველნი E.

95 ჰხედვიდეს D] ხედვიდეს E.

96 შეეკრნეს D] შეეკერტნეს E (D-შიც თავიდან იყო „შეეკერტნეს" და გადასწორებულია „შეეკრნეს" ფორმაზე).

97 **ამ ადგილიდან წინაათონურ თარგმანს აკლია ბერძნული ტექსტის მოზრდილი მონაკვეთი (PG 96 col. 732 C 13-D 3), რომელიც არის ეფრემის თარგმანში (სქ. 403)**.

7) მას ჟამსა შინა სიტყუანი და ზრახვანი საღმრთონი იყოფოდეს[98] და
გალობანი ღმრთივსულიერნი და ჴმანი ნესტჳსანი ისმოდეს, რამეთუ ჯერ-
იყო დიდებად გარდამატებული იგი[99] სახიერებაჲ ღმრთისაჲ და ამას თანა
– სიდიდე[100] ძლიერებისა მისისაჲ, რომელი აურაცხელ არს, და სიმდაბლე
5 მიუწდომელი, რომელი უფროჲს არს ყოველთა სიმაღლეთა, და სიმდიდრჱ
სახიერებისა მისისაჲ, რომელი უაღრეს არს ყოველთა სიმდიდრეთა, და
სიღრმჱ სიყუარულისა მისისაჲ, რომელი აღუთუალველ არს, რამეთუ
საყდართაგან განუშორებელ იყო და სიმაღლეთაგან შეუცვალებელ და
გარდამოჴდა პატივად მდაბლისა მის და სიმაღლედ მიმყვანებელისა
10 ნებითა მამისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა და განანათლებდა გონებასა
მათ ყოველთასა, რომელნი მოწიწებით და შიშით და სიყუარულით
აქებდეს და ადიდებდეს[101], რამეთუ[102] რომელი უზეშთაეს არს ყოვლისა
ბუნებისა, საშოჲსაგან დედაკაცისა, გამოუთქუმელად უფროჲსბუნებისა,
იქმნა კაც, რამეთუ ღმერთი არს ჭეშმარიტად და იქმნა კაც, და დაადგრა,
15 რომელი იყო, რომლითაცა იქმნა ერთ ძჱ, რამეთუ არა გამოვიდა იგი
ბუნებისაგან მამულისა[103] და არსებისაგან ღმრთეებისა და სწორებით
გუეზიარა ჩუენ ჴორცითა და სისხლითა[104], რამეთუ რომელი აღავსებს
ყოველსა და მპყრობელ არს ყოვლისაჲ სიტყჳთა, საყოფელსა იწროსა
დაემკჳდრა, რამეთუ გუამმან ამის წმიდისამან, რომელი იყო ყუავილებრ
20 დაცჳვნებადი **[E 253]** და თივისაებრ უნდოჲსა უსუსური[105], ცეცხლი იგი
ღმრთეებისაჲ განმლეველი შეიწყნარა და ვითარცა ოქროჲ რჩეული,
დაადგრა უვნებელად, არა დაწუნა და არცა დაადვნნა[106].

და ესე იყო ნებითა ღმრთისაჲთა, რამეთუ ოდეს ინების ღმერთმან,
ყოველივე შესაძლებელ არნ, და ოდეს არა ინების, ყოველივე ღონისძიებაჲ
25 დაჴსნდის[107]. **[D11r]** ხოლო მას ჟამსა შინა აღიძრა ბაძვაჲ თქუმასა შინა,
არათუმცა რაჲთა[108] მჯობ იქმნა მოყუასი მოყუასსა, რამეთუ ესე სახჱ
დიდებისმოყუარეთაჲ მათ არს ცუდთაჲ, არამედ რაჲთა არა დააკლდეს

98 იყოფოდეს D] იყოფებოდეს E.

99 იგი E] – D.

100 სიდიდე D] სიმდიდრე E.

101 რომელნი მოწიწებით და შიშით და სიყუარულით აქებდეს და ადიდებდეს DE (ეს ფრაზა არის წინაათონელი მთარგმნელის დამატება. არ არის არც ბერძნულ ტექსტში [PG 96 col. 733 A 7],არც ეფრემის თარგმანში **(იხ.: შენიშვნ. II, სქ. №101).**

102 და განანათლებდა... რამეთუ D] – E.

103 ბუნებისაგან მამულისა D] მამულისაგან ბუნებისა E.

104 **ებრ. მიმ. 2,14.**

105 რომელი იყო ყუავილებრ დაცჳვნებადი და თივისაებრ უნდოჲსა უსუსური] opw~ to ulikon kai cortwde~ PG 96 col. 733 A 14. **ეს ფრაზა ზუსტად არის გადმოღებული ეფრემის თარგმანში**: "ნივთიერმან და თივის მსგავსმან".

106 დაწუნა და არცა დაადვნნა D] დაიწუა და არცა დადნა E.

107 დაჴსნდის D] დაჴსნდის E.

108 არათუმცა რაჲთა D] არაოუ რაჲთამცა E.

თითოეული გულსმოდგინებითა გალობასა ღმრთისასა და პატივისცემასა დედისა მისისასა.

8) მაშინ ადამ და ევა, ნათესავთა მშობელნი, ბაგითა მხიარულითა აღდგეს და იტყოდეს: „ჰ ასულო, შენ ნეტარებასა ღირს ხარ, რამეთუ დაჰჴსენ პატიჟი ურჩებისა ღმრთისაჲ[109]; შენ მიიღე ჩუენგან გუამი[110] 5
განხრწნადი და შეჰმოსე მას უხრწნელებაჲ და ჩუენ მოგუატყუ სამოსელი უხრწნელებისაჲ[111]; შენ მიიღე გონებისა ჩუენისაგან არსებაჲ[112] და ჩუენ მოგუაგე[113] კეთილისა[114] არსებისა პოვნაჲ; შენ განაქარვე სალმობაჲ იგი შობადისაჲ და საკრველნი სიკუდილისანი განხეთქენ; შენ სამკჳდრებელი იგი ჩუენი უკუ-მოგუართუ[115]; სამოთხჱ იგი, რომელი ჩუენ[116] დავჰკაშთ, 10
და შენ ბჭენი იგი განახუენ გზისა მის ცხორებისნი[117]; ჩუენგან წმიდათა მწუხარებაჲ შეემთ**[E 254]**ხჳა და შენ მიერ მწუხარეთა სიხარული მოეტყუა და ვითარ-მე იხილავ გემოსა სიკუდილისასა, შენ, უბიწოო?! არამედ სიკუდილი გექმნა შენ ჴიდ ცხორებისა მიმართ და კიბედ ზეცას აღსლვისა და განსავალ[118] და მიმყვანებელ უხრწნელებისა. ეჰა, შენდა, 15
ჭეშმარიტად და ნეტარ ხარ შენ[119], ღირსო ყოვლისა ნეტარებისაო![120]"

ყოველი კრებული წმიდათაჲ და წინაწარმეტყუელთაჲ, შესხმით განმხიარულებულნი, იტყოდეს: „ეჰა, შენდა ჭეშმარიტად! ეჰა, ყოვლადწმიდაო! რამეთუ აღესრულა ჭეშმარიტებაჲ[121] ჩუენი, შენ მოგუართჳ ჩუენ სიხარული იგი, რომელსა მოველოდეთ[122], რამეთუ შენ 20
მიერ საკრველთაგან სიკუდილისათა ვიჴსნენით! მოვედ ჩუენდა, ჰ ჭურო

---

109 ღმრთისაჲ D] ჩუენისაჲ E.

110 ჩუენგან გუამი E] გუამი ჩუენგან D.

111 შეჰმოსე მას უხრწნელებაჲ და ჩუენ მოგუატყუ სამოსელი უხრწნელებისაჲ] afqarsia~ hmin ekuoforhsa~ enduma PG 96 col. 733 C 1-2. **ეფრემმა ეს ფრაზა ზუსტად გადმოიღო:** "გჳშევ ჩუენ უხრწნელებისა სამოსელი".

112 შენ მიიღე გონებისა ჩუენისაგან არსებაჲ] Su to einai ex hmetera~ osfuo~ arpasasa PG 96 col. 733 C 2. **ეს ფრაზა ეფრემის თარგმანში სიტყვასიტყვით არის გადმოღებული**: "შენ ყოფაჲ წელთა ჩუენთა განმიღე".

113 ჩუენ მოგუაგე D] მოგუაგე ჩუენ E.

114 კეთილისა E] კეთილთა D.

115 უკუ-მოგუართუ D] + ჩუენ E.

116 რომელი ჩუენ D] - E.

117 გზისა მის ცხორებისნი] th~ zwh~ xulou PG 96 col 733 C 6. **ეფრემი ზუსტად თარგმნის:** "გზაჲ ხისა ცხორებისაჲ".

118 და განსავალ D] - PG 96 col 734 C 11; **არ არის არც ეფრემის თარგმანში.**

119 შენ D] - E.

120 ნეტარებისაო] + Ti~ gar, ei mhtige o Logo~ h, prosenhktai touto pascwn, o prattein upeilhptai PG 96 col. 733 C 12-14. **ეს ფრაზა არის ეფრემის თარგმანში:** "რამეთუ რაადა სხუაჲ შეგემოხუევის, თჳნიერ მასვე თავს-იდებ, რომელი კაცოათჳს თავს-იდვა სიტყუამან, შენგან ჴორცშესხმულმან" **(იხ.: შენიშვნ. II, სქ. №120).**

121 ჭეშმარიტებაჲ D] წინაწარმეტყუელებაჲ E. **ასევეა ეფრემის თარგმანში და ბერძნულ ტექსტში:** ta~ prorrhsei~ PG 96 col. 733 C 15.

122 მოველოდეთ D] მოველოდენით E.

რჩეულო ღმრთისაო და სამკჳდრებელო ცხორებისაო!” და ეგრეთვე
კეთილად მოჰხადოდეს წმიდანი იგი, გარემოჲს[123] მდგომარენი, არა
უნაკლულეს მათსა სიტყჳთა[124] და იტყოდეს: „დაადგერ ჩუენ თანა, ჰ
დიდებულო, ქუეყანასა ზედა და ნუ დამიტევებ ჩუენ ობლად, ჰ დედაო
5 სახიერისა ღმრთისაო, რამეთუ ჩუენ, რომელნი-ესე ძისა შენისათჳს
განსაცდელთა დავითმენთ, იყავ შენ ჩუენდა განმსუენე და შესავედრებელ
შრომათაგან და ჭირთა ჩუენთა. **[D11v]** შენ უკუეთუ აღდგომაჲ
ინებო, შეძლებაჲ ამისი წინაშე შენსა[125] მდგომარე არს, და უკუეთუ
მიცვალებაჲ ჯერ-გიჩნდეს, არავინ არს შემძლებელ წინადადგომად
10 შენდა; უკუეთუ მიიცვალო, **[E255]** ჰ კარავო[126] ღმრთისაო, ჩუენცა შენ
თანავე მივიცვალნეთ, რომელნი-ესე ქმნულ ვართ ერად შენდა ძისა
შენისა მიერ. შენ ხოლო მარტოჲ დარჩომილ[127] ხარ ქუეყანასა ზედა
ნუგეშინისმცემელად ჩუენდა; შენ თანა, რაჟამს ცხოველ იყავ, ცხორებაჲ
ტკბილი ვიხილეთ და სიკუდილი[128], რაჟამს მოჰკუედ, და რასა-მე ვიტყჳ
15 სიკუდილსა, რომელი უკუდავება არს? სიკუდილი ჩუენდა ცხორება
არს შენ თანა და ცხორებაჲ უფროჲს ამის ცხორებისა აურაცხელად
განმზადებულ არს. ხოლო ჩუენ, უკუეთუ დავშთეთ შემდგომად შენსა,
ვითარ-მე იყოს ცხორებაჲ ჩუენი ქუეყანასა ზედა, რაჟამს არა გპოოთ
შენ, ნუგეშინისმცემელი ჩუენი?

20 9) ამას ესევითარსა სიტყუასა მრავალსა, ვჰგონებ, ვითარმედ
მოციქულნი ყოვლით კრებულითურთ ნეტარსა მას ქალწულსა
ეტყოდეს, არამედ ვითარცა ეტყოდეს და იხილეს იგი წადიერად და
მოსურნედ განსლვასა ამიერ სოფლით, შეცვალეს სიტყუაჲ იგი მათი
გალობად მიცვალებისა და შესხმით ნიჭთა მათ სულისა წმიდისათა
25 იტყოდეს, რომელნი-იგი მას მოშურნე[129] იყვნეს და სწადოდა ჴორცთაგან
განსლვაჲ და მიცვალებაჲ მიცვალებასა თანა ღმრთისმშობელისასა,
არამედ უკუეთუმცა შესაძლებელ იყო, ენება მათ სიხარულით, რაჲთა
წარუსწრონ მას. და ვითარცა აღასრულეს თანანადები იგი ჯერისაჲ მის
და შეთხზეს სურვილითა გჳრგჳნი გალობისაჲ მრავალფერითა [E256]
30 ყუავილითა, მაშინდა შეიწყნარეს კურთხევაჲ იგი, ვითარცა საფასჱ,
ღმრთისა მიერ მოცემული, და მოისმინეს უკუანაჲსკნელი იგი სიტყუათა

123 გარემოჲს D] გარემოს მისა E.

124 გარემოჲს მდგომარენი, არა უნაკლულეს მათსა სიტყჳთა] twn en swmati periestwtwn agiwn plhqu~ Meinon meq hmwn, h hmetera paraklhsi~ legousa PG 96 col. 733 D 5-7. **ეფრემის თარგმანში ბერძნული ტექსტი ზუსტად არის გადმოღებული:** “ჯერეთ ჴორცთა შინა მყოფნი წმიდანი, რომელთა სიმრავლე წარსრულთა მათ სიმრავლისა სათხოველსა თჳსად განიკუთნვიდა”.

125 წინაშე შენსა D] შენ წინა E.

126 კარავო D] კაცო E.

127 დარჩომილ D] დაშთომილ E.

128 სიკუდილი E] – D.

129 მოშურნე D] მოსურნე E.

მისთა დაცადებაჲ; და იყო იგი, ვითარ გონებაჲ აგონებს, სიტყუაჲ
მცნებისაჲ სოფლისა ამის შეურაცხებისათჳს, რომელი ვითარცა
აჩრდილი განქარდების და მძაფრიად სწრაფასა შინა განქარდების
და[130] წარმავალ არს იგი[131]; *და ახარებდა[132] კეთილთა მათ მომავალთა
და გამოუთარგმანებდა მათ საიდუმლოთა მათ დაფარულთა და 5
ესევითართა სიტყუათა შინა[133] დააცადა თქუმაჲ თჳსი*[134].

**[D12r]** 10) და მას ჟამსა, ვითარ ვჰგონებ[135], მოიწია მეუფჱ იგი დედისა
თჳსისა და შეიწყნარა იგი უბიწოჲ სული მისი[136] ჭელთა მათ შინა
თჳსთა საღმრთოთა[137]. და მან[138], ვითარ ვჰგონებ, ჰრქუა მას: „ჭელთა
შენთა, ჱ ძეო ჩემო, შევჰვედრებ სულსა ჩემსა; შეიწყნარე სული ჩემი 10
შენდა მიმართ მოყუარე, რომელი დავჰმარხე უბრალოდ; მიმიყვანე მე
შენ თანა, რაჲთა სადაცა შენ იყო, ნაშობი საშოჲსა ჩემისაჲ, ვიყო მეცა[139]
მუნ დამკჳდრებულ[140]. შენ გევედრები, რომელი მამისაგან განუყოფელად
ჩემდა გარდამოჰჴედ, რაჲთა დიდებულ-ჰყვნე შვილნი ჩემნი საყუარელნი,
რომელთაჲ სათნო-იყავ ძმად წოდებაჲ მათი შენდა; შესძინე კურთხევაჲ[141] 15
კურთხევასა ზედადასხმითა ჭელთა ჩემთაჲთა მათ ზედა”.

მას ჟამსა შინა აღიპყრნა ჭელნი **[E257]** თჳსნი და აკურთხნა[142] მუნ
მდგომარენი შემდგომად მცნებისა და ანდერძისა მის[143], ვითარ-იგი

---

130 განქარდების და D] - E.

131 იგი D] - E.

132 ახარებდა D] + მათ E.

133 სიტყუათა შინა D] შინა სიტყუათა E.

134 *და ახარებდა კეთილთა მათ ... დააცადა თქუმაჲ თჳსი*] kai twn mellontwn agaqwn ta kekrummena musthria ei~ toumfane~ agonta PG 96 col 736 col. B 11-12. **ეფრემის თარგმანში ზუსტად არის გადმოღებული ბერძნული ტექსტი:** “და განცხადებულად წარმოჩინებანი ყოფადთა მათ კეთილთა დაფარულისა საიდუმლოჲსანი”.

135 და მას ჟამსა] Eita toutoi~ sunwda kai akolouqa tina dokei pepracqai to thnikade, w~ moi dokei PG 96 col 736 B 14. ეფრემთან ეს ფრაზა, რომელიც აკლია წინაათონურ თარგმანს, თარგმნილია: “ამისსა შემდგომად რაჲდა გგონიეს უკუანაშედგომად პირველთქუმულთა ამათ თანამიყოლილად” **(იხ.: შენიშვნ. II, სქ. №135).**

136 უბიწოჲ სული მისი] thn ieran tauth~ yuchn, kai eilikrinh te kai amwmon PG 96 col. 736 C 2-3. **ეფრემის თარგმანშია:** “ყოვლადდიდებული და უბიწოჲ და მხიარული სული მშობელისა თჳსისაჲ” **(იხ.: შენიშვნ. II, სქ. № 136).**

137 საღმრთოთა] + kai akhratoi~ PG 96 col. 736 C 2.

138 მან D] - E.

139 მეცა E] მე D.

140 მიმიყვანე მე ... მუნ დამკჳდრებულ] Soi to emon swma, kai ou th gh paradidwmi. Yulaxon swon, o katoikhsai hudokhsa~, kai gennhqei~ Parqenon ethrhsa~, Pro~ eme metasthson PG 96 col. 736 C 6-9. ეფრემმა ბერძნული ტექსტი ზუსტად გადმოიღო: “და ჭორცთაცა ჩემთა არა მიწასა შევჰვედრებ, არამედ შენვე დაიცვენ იგი ცხოველად, რომელმან სათნო-იყავ დამკჳდრებაჲ მათ შორის და შემდგომად შობისა შენისა კუალად ქალწულადვე დაიცვენ; ესენი შენვე შენდა მიმართ მიცვალენ”.

141 კურთხევაჲ D] მათ სხუაჲ E.

142 აკურთხნა D] + ყოველნი E.

143 შემდგომად მცნებისა და ანდერძისა მის] toiauta prosomilhsasa ta rhmata

პირველ ვოქუთ[144]. და მაშინ ესმა მას ჴმაჲ: "მოვედ, ჰ დედაო ჩემო
კურთხეულო, განსასუენებელად შენდა; აღდეგ და მოვედ ჩემდა[145], ჰ
საუნჯეო ჩემო, გამორჩეულო დედათაგან, რამეთუ ზამთარი წარჴდა
და მოიწია ჟამი პატივისცემისაჲ[146]; შუენიერ ხარ შენ, ჰ სამკჳდრებელო
ჩემო[147], და არა არს შენ თანა ბიწი[148]. სულნელებაჲ საკუმეველთა შენთაჲ
5 უზესთაეს არს ყოველთა ნელსაცხებელთა"[149]. და ვითარცა ესმა ესე
წმიდასა მას, მისცა სული თჳსი ჴელთა ძისა თჳსისათა.

11) და რაჲ-მე რაჲ იყო მას ჟამსა შინა, ვითარ ვჰგონებ, რამეთუ[150]
შეიძრნეს ნივთნი[151] იგი სტჳქისთანი და იცვალნეს ჴმისა მისგან,
რომელი ისმოდა, რამეთუ გალობდეს ანგელოზნი ძლიერად[152], წინა-
10 უძღოდეს და რომელნიმე უკუანა-შეუდგეს და რომელნიმე გარე-მოადგეს
სულსა მას წმიდასა უბიწოსა წმიდისა ქალწულისასა[153]. და ჰყვებოდეს
და წარჰგზავნიდეს, ვიდრემდის მიაწიეს დედაჲ უფლისაჲ[154] საყდართა
მეუფისათა, ხოლო რომელნიმე გარე-მოადგეს გუამსა მას წმიდასა და
უბიწოსა და ადიდებდეს, ვითარცა დედასა ღმრთისასა გალობითა მით
15 ანგელოზებრითა, ვითარ ჯერ-იყო მათა დიდებაჲ. ხოლო რომელნი-იგი
მუნ დგეს წმიდანი და მოეცვა გუამი იგი უბიწოჲ, შიშით და სურვილით
და ცრემლთა **[E258]** დინებით დასთხინეს თავნი მათნი ცხედარსა
მას ზედა და ამბორს-უყოფდეს **[D12v]** ასოთა მისთა[155] და ემთხუეოდეს
და თჳსთა მათ ასოთა ამთხუევდეს[156] გუამსა მას წმიდასა და სავსენი
20 კურთხევითა და განათლებულნი მადლითა, უკუ-მოვიდოდეს.

მას ჟამსა შინა სალმობათა სენნი ივლტოდეს და გუნდი ეშმაკთაჲ
განისხმოდა და ჯოჯოხეთად[157] მიითრეოდეს; ჰაერნი და სამყარონი და
ცანი აღსლვითა სულისა მისისაჲთა განწმიდნებოდეს და დაფლვითა

---

PG 96 col. 736 D 2-3. **ეფრემთან არის ბერძნული ტექსტის შესატყვისი თარგმანი:** "სიტყჳთა ჟამისა შემსგავსებულითა ეზრახა მათ".

144 ვოქუთ D] ვოქუ E.

145 ჩემდა D] - E.

146 **ქებ. 2,10-11.** პატივისცემისაჲ] th~ tomh~ PG 96 col. 736 D 6. **ეფრემის თარგმანშია:** "სოულებისაჲ".

147 სამკჳდრებელო ჩემო] h plhsion mou PG 96 col. 736 D 4-5. **ეფრემის თარგმანშია:** "მახლობელო ჩემო".

148 **ქებ. 4,7.**

149 **ქებ. 4,10.**

150 რამეთუ E] – D.

151 ნივთნი E] ნესტუნი D.

152 ძლიერად] epaxioi PG 96 col. 737 A 3. **ეფრემის თარგმანშია:** "ღირსებით".

153 გარე-მოადგეს სულსა მას წმიდასა უბიწოსა წმიდისა ქალწულისასა] twn men th amwmhtw kai panagia yuch thn doruforian plerountwn PG 96 col. 737 A 4-5. **ეფრემის თარგმანშია:** "ძღუნისშემწირველობაჲ ყოვლადწმიდისა მის სულისაჲ აღასრულეს".

154 დედაჲ უფლისაჲ D] დედოფალი იგი E.

155 ასოთა მისთა D] მას E.

156 და თჳსთა მათ ასოთა ამთხუევდეს D] – E.

157 ჯოჯოხეთად E] ჯოჯოხეთა D.

ჭორცთა მისთაჲთა ქუეყანაჲ იკურთხეოდა; არამედ წყალთა ბუნებანიცა არავე დაშთეს უმადლოდ, რამეთუ მათ შინა განბანეს გუამი იგი დიდებული და არათუ მათ იგი განწმიდნეს, არამედ მათ განწმედაჲ მიანიჭა. მას ჟამსა შინა სასმენელნი ყრუთანი განეხუმოდეს და სრბაჲ მკელობელთაჲ განემართებოდა და თუალნი ბრმათანი აღეხუმოდეს და ცოდვილნი მრავალნი სარწმუნოებით მოვიდოდეს და ჭელითწერილი ბრალთა მათთაჲ განიხეთქებოდა. და შემდგომად ამისა, საგრაგნელითა წმიდითა[158] წმიდაჲ იგი გუამი მისი შეხჳეს და ნელსაცხებლითა და საკუმეველითა შემურეს და ცხედარსავე მას ზედა დადვეს და ლამპრითა და გალობითა წინა-უძღოდეს და ანგელოზნი კეთილად ადიდებდეს ენითა მით ანგელოზებრითა, ხოლო მოციქულნი და წმიდანი სცემდეს ნესტუსა მხიარულად და აქებდეს ღმერთსა **[E259]** პირად-პირადითა გალობითა, ვითარცა სულისა მიერ წმიდისა განბრძნობილნი.

12) მაშინ აღიღეს მოციქულთა მჭართა თჳსთა ზედა კიდობანი იგი უფლისაჲ და მთით სიონით მოაქუნდა, ხოლო იგი, დადებითა საფლავისაჲთა ზეცისა სასძლოსა მას, ამაღლდა; არამედ პირველად, ვითარცა სძალი შუენიერი, შემკული ნათლითა სულისა წმიდისაჲთა, შორის ქალაქსა მიაქუნდა და ესრეთ მიიღეს საფლავსა მას წმიდასა გესამანიასა[159] და ანგელოზნი, რომელნი წინა-უძღოდეს და რომელნი უკუანა-შეუდგეს, ეკლესიისა წესთა თანა ფრთითა მათითა გუამსა მას ჰფარვიდეს და ადიდებდეს[160]. და ვითარ-იგი სოლომონ, რაჟამს იგი ენება, ვითარმცა მიიღო კიდობანი იგი შჯულისაჲ ტაძრად უფლისა, რომელი-იგი[161] მან აღაშენა, და[162] შეკრიბნა მოხუცებულნი იცრუსალემისნი[163] სიონს შინა, **[D13r]** რაჲთამცა აღიღეს კიდობანი იგი მცნებისა უფლისაჲ ქალაქით დავითისით, ესე იგი არს სიონი[164], რამეთუ აღიღეს მღდელთა მათ კიდობანი იგი და კარავი საწამებელი და მიიღეს მღდელთა მათ და ლევიტელთა[165]. მეფჱ სოლომონ და ყოველი ერი ისრაჱლისაჲ წინაშე კიდობანსა მას ურიცხუსა საცხოვარსა და ზროხასა დაჰკლვიდეს, ხოლო მღდელთა შეიღეს კიდობანი იგი უფლისაჲ ადგილსა მას შინაგანსა ტაძარსა[166] მას წმიდასა წმიდათასა და დადგეს იგი ფრთეთა ქუეშე

158 წმიდითა D] – E.

159 გესამანიასა D] გესმანიას E.

160 ეკლესიისა წესთა თანა ფრთითა მათითა გუამსა მას ჰფარვიდეს და ადიდებდეს] sugkaluptontwn tai~ pteruxi, kai panto~ tou th~ Ekklhsia~ plhrwmato~ PG 96 col. 737 C 8-9. **ეფრემის თარგმანშია:** "რომელნი ფრთებითა ჰფარვიდეს და უპირობდეს მას ყოველსავე თანა სავსებასა ეკლესიისასა".

161 რომელი-იგი E ] რომელი D.

162 და D] რამეთუ E.

163 Israhl PG 96 col. 738 C 12.

164 **III მეფ. 8,1; II ნეშტ. 5,2.**

165 **III მეფ. 8,3-4; II ნეშტ. 5,4.**

166 ადგილსა მას შინაგანსა ტაძარსა] to dabir tou oikou PG 96 col. 737 D 7. **ეფრემის**

ქერუბინთასა[167].

**[E260]** ესრეთვე მას ჟამსა შინა, რაჟამს დასდგმიდეს კიდობანსა მას გონიერსა და არათუ კიდობანსა მას მცნებისა უფლისასა, არამედ კიდობანსა მას, რომელსა შინა დაემკჳდრა გუამი ძისა ღმრთისაჲ[168], და იგი
5 არს ახალი სოლომონ, მთავარი მშჳდობისაჲ და დამბადებელი ყოვლისაჲ, დღეს შეკრიბა მან გუნდი იგი დასთა ზეცისათაჲ, რომელნი უზეშთაეს იყვნეს სოფლისა, და მთავარნი იგი ახლისა მცნებისანი[169], მოციქულთასა ვიტყჳ, და მათ თანა ყოველნი დამკჳდრებულნი იერუსალჱმისნი; და რამეთუ სული იგი წმიდისაჲ მის, ანგელოზთა თანაყოფითა, წმიდასა
10 მას წმიდათასა დაამკჳდრა, პირველად გამოსახულსა მას, სადა-იგი ოთხხატედნი ოთხ-ოთხ პირედნი ფრთითა მათითა ცხოველსა მას ადამაღლებდეს, მუნ განუსუენა საყდართა თანა ცხოველთასა შინაგან კრეტსაბმელსა მას, სადა-იგი ქრისტე, განკაცებული, შევიდა. ხოლო გუამი მისი, აღმომაცენებელი ცხორებისაჲ, მოციქულთა, მჴართა თჳსთა ზედა
15 ტჳრთული, მიაქუნდა, დაბურვილი ნათლითა ღმრთეებისაჲთა, რომელი-იგი არს მეუფჱ მეუფეთაჲ და უფალი უხილავთაჲ. და იყო ყოველი კრებული წმიდათაჲ, რომელნი წინა-უძღოდეს, მხიარულნი და ჴმათა საკჳრველთა იტყოდეს და მსხუერპლსა და შესაწირავთა გალობითა უსისხლოდ დაჰკლვიდეს[170], ვიდრემდის დადვეს იგი საფლავსა შინა,
20 ვითარცა სასძლოსა შინა, და მიერ აღმაღლდა და სასუფეველსა დაუსრულებელსა ტალავართა ზეცისათა დაემკჳდრა.

13) და იყო, ვითარ ვჰგონებ, მათ ჟამთა კრებული ჰურიათაჲ მოწევნულ **[E261]** ადგილსა მას, რომელნი იყვნეს[171] არაგარდარეულად უგუნურ, და არა უშუერება არს, უკუეთუ შევზავოთ, ვითარცა საჭმელი სულნელითა,
25 თხრობაჲ ესე **[D13v]** ჩუენი და ვთქუათ, რომელი მრავალთაგან თქუმულ არს: იტყჳან, ვითარმედ რაჟამს მოიწინეს, რომელთა მოაქუნდა გუამი იგი წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ და უნდა მათ შთასლვაჲ ჴევსა მას გესამანიაჲსასა[172], მოიწია ჰურიაჲ ვინმე, მონაჲ ცოდვისაჲ და მეგობარი ცთომილებისაჲ, და მიემსგავსა მსახურსა მას კაიაფაჲსსა, რომელმან-

---

**თარგმანშია:** "დაბირსა სახლისასა".

167 **III მეფ. 8,5-6; II ნეშტ. 5,7.**

168 გუამი ძისა ღმრთისაჲ] th~ tou qeou Logou upostasew~ PG 96 col. 740 A 2. **ეფრემის თარგმანშია:** "სიტყჳსა ღმრთისა გუამისასა".

169 ახლისა მცნებისანი] th~ Nea~ Diaqhkh~ PG 96 col. 740 A 5. **ეფრემთან:** "ახლისა აღთქუმისათა".

170 შესაწირავთა გალობითა უსისხლოდ დაჰკლვიდეს] kai quontwn qusian ainesew~ PG 96 col. 740 B 1. **ეფრემის თარგმანშია:** "შესწირვიდესვე ღმრთისა მსხუერპლსა ქებისასა".

171 იყვნეს D] იყუნეს E.

172 გესამანიაჲსასა D] გესმანიისასა E. ეს ფრაზა: "უნდა მათ შთასლვაჲ ჴევსა მას გესამანიაჲსასა", **არ არის არც ბერძნულ ტექსტში** (PG 96 col. 740 B 8), **არც ეფრემის თარგმანში (იხ.: შენიშვნ. II, სქ. №172).**

იგი სცა პირსა მაცხოვარსა და უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა. ესე
იქმნა ჭურჭელ ეშმაკისა და უგუნურებით წარმოდგა და მოეახლა
გუამსა მას ღმრთისშემწყნარებელსა, რომელსა ძრწოლით მიეახლნიან[173]
ანგელოზნი, და მძლავრ ენება[174] ცხედრისაგან გარდამოგდებაჲ მისი[175];
არამედ მსწრაფლ მიეწიფა ნაყოფი საქმეთა მისთაჲ[176] და მოისთლო მან 5
ტევანი სიმწარისაჲ ბოროტად განზრახვითა; და ვითარ მთხრობელთაგან
მოიწია ჩუენდა[177], ვითარმედ მოეკუეთნეს ჭელნი მისნი მკლავითურთ
და იხილვებოდა წამსა ერთსა კადნიერი იგი ბოროტად მოქმედებითა
მისითა დაკლებულ ჭელთა ძლიერებასა, ვიდრემდე შეცვალა განზრახვაჲ
თჳსი სარწმუნოებად და შეინანა, რომელი-იგი ყო. და მუნთქუესვე, 10
რომელთა-იგი[178] მიაქუნდა ცხედარი იგი, დადგეს და **[E262]** მოვიდა
უგულისხმოჲ იგი და დაასხნა ჭელნი თჳსნი გუამსა ზედა ამის წმიდისა
დედოფლისასა, რომელი მშობელი არს საკჳრველებათა და დასაბამი
ცხორებისაჲ, და იქმნა კუალად ჭელმოჭრილი იგი განცოცხლებულ,
რამეთუ განსაცდელმან მრავალგზის ასწავის შობაჲ სიბრძნისაჲ 15
და გამოჴსნისაჲ. არამედ მოვიქცეთ სიტყჳთა ადგილთა[179], სადა-იგი
მიწევნულ[180] ვიყვენით.

14) და ამით ადგილით შთაიღეს გესამანიას[181] წმიდაჲ იგი და კეთილად
იყო მოხუევაჲ ამბორის-ყოფით და მშჳდობისა დატევებაჲ გუამისაჲ მის
მათ ყოველთა მიერ და კეთილად გალობით შესხმაჲ; და ცრემლთა 20
დინებაჲ[182] იქმნებოდა და ნაკადულნი ოფლთანი გარდამოდიოდეს
მწუხარებისა მისგან და სურვილისა, ვიდრემდის იხილვებოდა ცრემლთა
და ოფლთა დინებაჲ, ვითარცა წჳმისაჲ[183]. და ესრეთ გუამი იგი
სანატრელი დადვეს საფლავსა მას დიდებულსა[184] და მუნით მესამესა

173 მიეახლნიან D] მიეახლებიან E.

174 მძლავრ ენება] kai amfoin tou krabbatou tain ceroin manikw~ PG 96 col. 740 B 15-16. **ბერძნული ტექსტის ეს ფრაზა არის ეფრემის თარგმანში:** "და ორთავე ჭელთა შთამოზიდვითა მოსწრაფე იყო".

175 მისი] + fqonou tou arcekakou kai touto ormhma PG 96 col. 740 C 1-2. **ეფრემის თარგმანშია:** "შურითა და ადბორგებითა ბოროტთა დასაბამითა".

176 საქმეთა მისთაჲ D] საქმისა მისისაჲ E.

177 და ვითარ მთხრობელთაგან მოიწია ჩუენდა] **ეს ფრაზა არ არის არც ბერძნულ ტექსტში (PG 96 col. 740 C 3) და არც ეფრემის თარგმანში (იხ.: შენიშვნ. II, სქ. №177).**

178 რომელთა-იგი D] რომელთა E.

179 ადგილთა D] ადგილსა მას E.

180 მიწევნულ E] მიწეულ D.

181 გესამანიას D] გესმანიად E.

182 დინებაჲ D] + მათ ყოველთაჲ E.

183 წჳმისაჲ D] წჳმაჲ E. ვითარცა წჳმისაჲ] kai dakrua toi~ ceumasin amillwmena PG 96 col. 740 D 2-3. **ეფრემის თარგმანშია:** "შესწორებულ ნაკადულთა წყლისა მდინარისათა".

184 საფლავსა მას დიდებულსა] tw paneukleei kai uperfuei epitiqetai mnhmati PG 96 col. 740 D 4-5. **ეფრემის თარგმანშია:** "დაიდვა ყოვლადსაქადულსა მას შინა საფლავსა მრავალგანოქუმულსა".

დღესა ამაღლდა საყოფელთა ზეცისათა, [D14r] რამეთუ ჯერ-იყო ამის
სამკჳდრებელისა საღმრთოჲსაჲ და წყაროჲსა მის წყლისა ცხოველისა
აღმოუკუეთელად აღმომაცენებელისაჲ და ყანისა მის უჴნავად ნაყოფის
გამომღებელისაჲ, რომელმან მოგუცა ჩუენ პური იგი ზეცისაჲ[185] და
5 ვენა**[E263]**ჴისა მის უქმარისაჲ, რომელმან ურწყავად მოგუცა ჩუენ
ტევანი იგი[186] ცხორებისაჲ და მსხმოჲსა მის ზეთისხილისა[187], რომელი
უშრომელად მარადის აღმოაცენებს ნაყოფსა და ზეთსა სიპოხისასა,
რაჲთა არა დაადგრეს იგი ქუესკნელთა თანა ქუეყანისათა, არამედ
ვითარცა გუამი იგი დიდებული მაცხოვარისაჲ[188], რომელი ამისგან
10 შეიერთა, მესამესა დღესა აღდგა[189] საფლავით; ესრეთვე ამისა ჯერ-იყო,
რაჲთა აღტაცებულ იქმნას საფლავისაგან და დაემკჳდროს ძისა თჳსისა
თანა.

და ვითარ-იგი თავადი ამისდა[190] გარდამოჴდა ესრეთვე, რაჲთა ესე
აღმაღლდეს[191] მის წინაშე კარავსა მას დიდებულსა[192] ზეცისასა, და
15 რამეთუ ჯერ-იყო მისა, რომელმან-იგი დაამკჳდრა მუცელსა შინა[193] მისსა
სიტყუაჲ ღმრთისაჲ[194], რაჲთა ესე დაამკჳდროს საგრილსა ქუეშე ძისა
მისისასა საღმრთოჲსა, და ვითარ-იგი თქუა უფალმან, ვითარმედ "მამისა
ჩემისა თანა ჯერ-არს ჩემი ყოფაჲ"[195], ესრეთვე ჯერ-იყო დედისა მისისაჲ,
ჴორცითა რაჲთა დაემკჳდროს იგი საყოფელთა შინა სუფევისა ძისა
20 მისისათა სახლსა შინა უფლისასა და სახლსა ღმრთისა ჩუენისასა[196].
და უკუეთუ სამკჳდრებელი ნებისმყოფელთა[197] მისთაჲ მუნ არს[198],
სადა-უკუე-მე იყოს სამკჳდრებელი ამის დიდებულისაჲ, რომელმან
ყოვლითურთ ნებაჲ ღმრთისაჲ აღასრულა? და რამეთუ ჭეშმარიტად
ჯერ-იყო ამისი, რომელმან **[E264]** შობასა თჳსსა დაიცვა ქალწულებაჲ

185 ყანისა მის უჴნავად ნაყოფის გამომღებელისაჲ, რომელმან მოგუცა ჩუენ პური იგი ზეცისაჲ] thn anhroton arouran tou ouraniou artou PG 96 col 740 D 8 – 741 A 1. **ეფრემის თარგმანში არის ბერძნულის მიმყოლი ტექსტი:** "უშრომელსა მას ურნატსა ზეცისა პურისასა".

186 იგი E] – D.

187 ზეთისხილისა E] ზეთისხილისაჲ D.

188 გუამი იგი დიდებული მაცხოვარისაჲ] tw qew Logw enupostan swma to agion PG 96 col. 741 A 5. **ეფრემმა ზუსტად გადმოიღო ბერძნული ტექსტი:** "მისგან მიხუმულნი იგი ჴორცნი წმიდანი სიტყჳსა ღმრთისანი".

189 აღდგა D] ადგა E.

190 ამისდა D] ამისა E.

191 აღმაღლდეს D] ამაღლდეს E.

192 დიდებულსა] thn meizona kaitelewteran PG 96 col. 741 A 10-11. **ეფრემის თარგმანშია:** "უფროჲს მას და უსრულესსა".

193 შინა E] – D.

194 ღმრთისაჲ E] მისი D.

195 **ლკ. 2,49.**

196 **ფს. 131,3.**

197 ნებისმყოფელთა] twn eufrainomenwn PG 96 col. 741 B 2. **ეფრემთან:** "მხიარულთა".

198 **ფს. 86,3.**

თჳსი უვნებელად[199], და შემდგომადცა სიკუდილისა რაჲთა დაიცვეს
გუამი თჳსი უხრწნელად და რომელმან-იგი დამბადებელი იტჳრთა,
ვითარცა ჩჩჳლი წიაღთა თჳსთა, რაჲთა დაემკჳდროს იგი სამკჳდრებელსა
საღმრთოსა, რამეთუ ღირს იყო სძალი იგი, რომელი მამამან მიითხოვა
ძისა თჳსისათჳს, რაჲთა აღივსოს იგი შუებითა საუნჯეთა მათ შინა 5
ზეცისათა[200]; და რომელმან-იგი იხილა ძჱ თჳსი ჯუარსა ზედა და
შეიწყნარა გულსა თჳსსა მახჳლი იგი შობადისაჲ, რომლისაგან შობასა
მისსა დაშთომილ იყო უვნებელად, რაჲთა იხილოს იგი მჯდომარჱ
დიდებით მამისა თანა. **[D14v]** და რამეთუ ღირს იყო დედაჲ იგი ღმრთისაჲ,
რაჲთა კეთილთა მათ შინა ძისა თჳსისათა იხარებდეს და ყოვლისა 10
დაბადებულისაგან, ვითარცა მჴევალი და დედაჲ ღმრთისაჲ, თაყუანის-
იცემებოდის უკუნისამდე. ხოლო უწყით სამე, რამეთუ მონაგები მამათაჲ
მარადის შვილთათჳს გარდაჴდის, არამედ აწ, ვითარ-იგი თქუა ბრძენმან
მან, ზჱ აღვიდა წყაროჲ იგი მდინარეთა მათ უბიწოთაჲ, რამეთუ ძემან
მშობელსა თჳსსა დაამორჩილა და დაამონა ყოველი დაბადებული. 15

15) და ამისთჳს მოვედით აწ და ჩუენცა ვდღესასწაულობდეთ
დღესასწაულსა ამას, რომელსა შინა დედაჲ ღმრთისაჲ მიიცვალების
სასუფეველსა ცათასა, არა ძნობითა და სახიობითა და სტჳრითა და ებნითა
და **[E265]** სიმღერითა, ვითარ-იგი ჰყოფენ წარმართნი და საიდუმლონი
მათნი, რამეთუ პატივ-სცემენ ესევითარითა ამით[201] დედასა ღმერთთა 20
მათთასა, მცბიერთა და მტყუართასა და მრავალთა ნაშობთასა[202],
ვითარცა-იგი შექმნიან უგუნურთა მათ უგულისხმოდ, რამეთუ არაოდეს
მშობელ არიან იგინი, არამედ ეშმაკნი უცნებით ეჩუენნიან და ცთომაჲ
იგი უგუნურებამან მათმან შეიწყნარის; და ვითარ-მე ეგების შობაჲ
უჴორცოჲსაჲ მის შეკრებით, ანუ ვითარ-მე შეკრბენ უსახურნი იგი და 25
უსისხლონი და ვითარ-მე იპოვნენ არსად სულიერად არა ყოფილნი
იგი? და ამას ყოველნი მეცნიერ ხართ, ვითარმედ ნათესავი ეშმაკთაჲ
უჴორცო არს და რომელთა[203] თუალნი გონებათა მათთანი დაბრმეს, მათ
ეოცების და დაამტკიცებს ამას სიტყუაჲ იგი ომერონის[204] თქუმულისაჲ,

199 თჳსი უვნებელად E] – D.

200 რაჲთა აღივსოს იგი შუებითა საუნჯეთა მათ შინა ზეცისათა] toi~ ouranioi~ endiaitasqai qalamoi~ PG 741 col. B 8-9. **ეფრემთან:** "რაჲთა სასძლოთა ზეცისათა დაემკჳდროს" **(იხ.: შენიშვნ. II, სქ. № 200).**

201 ესევითარითა ამით D] ამით ესევითარითა E.

202 რამეთუ პატივ-სცემენ ესევითარითა ამით დედასა ღმერთთა მათთასა, მცბიერთა და მტყუართასა და მრავალთა ნაშობთასა] hn poluteknon muqoplastousin oi afrone~ PG 96 col. 741 C 8. **ეფრემის თარგმანში ბერძნული ტექსტი ზუსტად არის გადმოღებული:** "შვილმრავლად ზღაპართ-მოქმედებენ უგუნურნი" **(იხ.: შენიშვნ. II, სქ. № 202).**

203 რომელთა D ] რომელთანი E.

204 ომერონის D] ომირონისგან E.

რაჟამს იგი[205] უთხრობს ქცევასა ღმერთთა თჳსთასა, ვითარ არა ჭამენ
იგინი იფქლსა, არცა სუმენ ღჳნოსა და ამისთჳს არა აქუს მათ სისხლი
და უკუდავ არიან. კეთილად სამე თქუა, ვითარმედ უკუდავ სახელ-
ედების, რამეთუ სიკუდილითა ცოდვისაჲთა წინავე მომკუდარ არიან,
5 ანუ ვითარ-მე მოკუდეს, რომელი არა ცხოველ იყოს? ᲐᲑ მათა, რამეთუ
იტყჳან, რომელ-იგი არა არს უგულისხმოდ[206].

**[E266]** ხოლო ჩუენ, რომელნი-ესე ვᲰმონებთ ღმერთსა ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲡᲐ[207],
არათუ არა ყოფილსა და მერმე ქმნულსა, არამედ რომელი-იგი უწინარეს
**[D15r]** და უზეშთაეს არს ყოველთა საუკუნეთა და არსთა და უზეშთაეს
10 არს ყოველთა მოგონებათა და სიტყუათა და ჟამთა და ბუნებათა, და
წმიდასა ღმრთისმშობელსა თაყუანის-ვსცემთ[208] და ვადიდებთ, არათუ
ჩუენ შემძლებელ ვართ და ღირს ნეტარებასა მისსა და დიდებასა,
რამეთუ რომელი მამისაგან უწინარეს ყოველთა საუკუნეთა ღმრთეებით
იშვა, სიტყუაჲ იგი დაუსაბამოჲ, ამისგან გამოგჳჩნდა და ამისთჳს
15 გურწამს მეორედ შობაჲ იგი მისი და განკაცებაჲ და უწყით მიზეზი
იგი და ვიტყჳთ: განᲭორციელდა უᲭორცოჲ იგი და დაუსაბამოჲ ჩუენისა
Ჭსნისათჳს, რაჲთა იᲭსნეს მსგავსი თჳსი მსგავსებითა თჳსითა; და რაჟამს
განᲭორციელდა ამის ქალწულისა უბიწოჲსაგან, უქორწინებელად იშვა
და დაადგრა იგი ყოვლითურთ ღმერთი[209] Ჭორცთა თჳსთა თანა და
20 ყოვლითურთ არს იგი კაც ღმრთეებასა თჳსსა თანა.

და ესრეთ ვიტყჳთ, ვითარმედ ამან ქალწულმან ღმერთი შვა და
ვდღესასწაულობთ დღეს გარდაცვალებასა მისსა და არა სახელ-ვსდებთ
მას ღმრთად. ნუ იყოფინ, ვითარ-იგი იონნი უგუნურნი უცნებით იტყჳან,
არამედ მიუთხრობთ სიკუდილსა მისსა და უწყით, ვითარმედ დედაჲ არს
25 იგი ღმრთისა განმაცხოველებელისაჲ[210].

**[E267]** 16) ამას გალობითა საკჳრველითა ვადიდებთ დღეს, რომელნი-
ესე ღირს-ვიქმნენით წოდებად ერად ქრისტესა. ამას ღამე ყოველ
მღჳძარებითა და განკრძალულად დგომითა პატივ-ვსცემდეთ[211]; ამას
უბიწოჲთა სულითა და განწმედილითა Ჭორცითა ვაქებდეთ, რომელ-
30 იგი ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ წმიდაჲ არს, შემდგომად ღმრთისა უფროჲს ყოველთა
დაბადებულთა, რამეთუ ყოველივე ᲰᲧᲣᲐᲠᲝᲑᲡ[212] მსგავსსა თჳსსა და

205 იგი E] – D.

206 **ᲐᲑ** მათა,რამეთუ იტყჳან,რომელ-იგი არა არს უგულისხმოდ] **ეს ფრაზა არ არის არც ბერძნულ ტექსტში (PG 96 col. 744 A 5), არც ეფრემის თარგმანში (იხ.: შენიშვნ. II, სქ. № 206).**

207 ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲡᲐ D] + ღმერთსა E.

208 თაყუანის-ვსცემთ D] პატივ-ვსცემთ E.

209 ღმერთი D] + და ყოვლითურთ იქმნა კაც და არს იგი ყოვლითურთ ღმერთი E.

210 განმაცხოველებელისაჲ D] განკაცებულისაჲ E.

211 ამას ღამე ყოველ მღჳძარებითა და განკრძალულად დგომითა პატივ-ვსცემდეთ] Tauthn pannucoi~ timhswmen stasesi PG 96 col. 744 B 13.

212 ᲰᲧᲣᲐᲠᲝᲑᲡ E] ᲰᲧᲣᲐᲠᲝᲑᲜ D.

ჰნებავს[213] იგი; ამას წყალობითა და ქველისსაქმითა გლახაკთაჲთა განუსუენოთ და[214] უკუეთუ უფალი არარაჲთ განისუენებს, გარნა მოწყალებითა, და ვითარ-მე ვინ ჩუენ ამას გუაცილობს[215] და თქუას, ვითარმედ მშობელი მისი არა ეგრეთ არს, რამეთუ ამან გამოაჩინა სიღრმჱ ღმრთისა სიყუარულისაჲ ჩუენდა მომართ,[216] რომელი აურაცხელ 5 არს.

ამით დაიჴსნა ბრძოლაჲ იგი პირველი[217], რომელი იყო დამბადებლისა თანა, ამით იქმნა **[D15v]** დაგებაჲ ჩუენი მის თანა[218] და მშჳდობაჲ მოგუეცა და მადლი მოგუენიჭა და ამისთჳს კაცნი ანგელოზთა თანა მხიარულ არიან და ჩუენ, რომელნი-ესე ვიყვენით განგდებულ და შეურაცხ[219], 10 ნაშობ ღმრთის ვიქმნენით. ამით ტევანი იგი ცხორებისაჲ მოვისთულეთ, ამით ნაყოფი იგი უხრწნელებისაჲ მოვიმკეთ. ესე არს მიზეზი[220] ყოვლისა კეთილისაჲ ჩუენდა. ამას შინა ღმერთი იქმნა კაც და კაცი – ღმერთ და რაჲ-მე რაჲ არს უსაკჳრველეს ამისა და უსანატრელეს?

რამეთუ მეშინის მე თქუმად სიტყუაჲ ესე, მოვედით მარიამის თანა 15 წინაწარმეტყუელისა სულნი ეგე ჭაბუკთანი და ბობღნითა სულიერითა ვიხარებდეთ და განვსცხრებოდეთ[221] და მოვაკუდინნეთ ასონი ჩუენნი ქუეყანისანი, რამეთუ ესე არს საიდუმლოჲ ებნისა მის ბუნებისაჲ[222]. მოვედით, ძლევისა გალობითა შევასხმიდეთ კიდობანსა მას, ესე იგი არს სულისა წმიდისასა ღმრთისმშობელისა[223] და დავსცნეთ ზღუდენი იერიქოჲსანი[224], 20 რომელ არიან მტერთა და წინააღმდგომთა ძალნი[225]. მოვედით და დავითის

213 ჰნებავს E] ჰნებავნ D. elew PG 96 col. 744 C 3. **ეფრემის თარგმანშია:** "მოიმადლების".

214 და E] - D.

215 გუაცილობს D] გუაცილობდეს E.

216 **აქ Ier. 148-ის (E-ს) ფოტოპირს აკლია ტექსტის გარკვეული მონაკვეთი (გვ. 268-ის ნახევარი).**

217 ბრძოლაჲ იგი პირველი] polucronio~... polemo~ PG 96 col. 744 C 7-8. **ეფრემთან:** "მრავალჟამეული იგი ბრძოლაჲ".

218 ამით იქმნა დაგებაჲ ჩუენი მის თანა] Dia tauth~ hmin ai pro~ auton katallagai ekrothqhsan PG 96 col. 744 C 8-9. **ეფრემის თარგმანშია:** "ამის მიერ შემოკრბეს მისსა მიმართნი დასამშჳდებელნი ჩუენნი".

219 განგდებულ და შეურაცხ] oi prin htimwmenoi katesthmen PG 96 col. 744 C 11. ეფრემის თარგმანშია: "ყოვლად უპატივოქმნულნი".

220 მიზეზი] promnhstria PG 96 col. 744 C 14. **ეფრემის თარგმანშია:** "წინამწინდებელ".

221 **გამ. 15,20-21.** "ბობღნითა სულიერითა ვიხარებდეთ და განვსცხრებოდეთ] meta tumpanwn coreuswmen PG 96 col. 744 D 4. **ეფრემის თარგმანშია:** "ვიშუებდეთ ებნითა".

222 **კოლ. მიმ. 3,15-16.**

223 მოვედით, ძლევისა გალობითა შევასხმიდეთ კიდობანსა მას, ესე იგი არს სულისა წმიდისასა ღმრთისმშობელისა] alalaxwmen epi th~ kibwtou tou Kuriou tou Qeou yucwn alalagmasi PG 96 col. 744 D 6-7. **ეფრემის თარგმანში ბერძნული ტექსტი ზუსტად არის გადმოღებული:** "ღაღად-ვყოთ წინაშე კიდობნისა უფლისა ღმრთისა ღაღადებითა სულისაჲთა".

224 **ისუ ნავე 6,20.**

225 მტერთა და წინააღმდგომთა ძალნი] twn enantiwn legw dunamewn ta dusmenh ocurwmata PG 96 col. 744 D 8. **ეფრემის თარგმანში ეს ფრაზა ასე არის გადმოღებული:**

თანა სულითა ვიხარებდეთ, რამეთუ კიდობანი იგი ღმრთისაჲ დღეს მიიცვალების[226]. მოვედით და გაბრიელ მთავარანგელოზისა თანა ესრეთ ვიტყოდით: „გუაკურთხენ, ჰ გჳრგჳნოსანო, ნიჭთაგან საღმრთოთა, [E268] რომელი[227] ვერ აღმოიხმის[228]!" გუაკურთხენ, ჰ ქალწულო, რამეთუ შენ
5 მხოლომან აღჰჴოცენ მწუხარებანი ჩუენნი! გუაკურთხენ, სიხარულო[229] ყოველთა გულთაო[230], გუაკურთხენ, რამეთუ შენ მიერ სიკუდილი დაეცა და ცხორებაჲ სუფევს უკუნისამდე!

17) ხოლო შენ, ჰ საფლავო საკჳრველო და პატიოსანო[231] უფროჲს ყოველთა საფლავთა, შემდგომად საფლავისა მის უფლისა, რომელი
10 იქმნა წყარო აღდგომისა, რამეთუ[232] ვითარცა სულიერსა, გეტყჳ შენ: სადა არს ოქროჲ იგი რჩეული, რომელი დაიდვა შენ შორის ჴელითა მოციქულთაჲთა? სადა არს სიმდიდრჱ იგი დაულევნელი? სადა არს ჭური იგი პატიოსანი, შემწყნარებელი ღმრთისაჲ? სადა არს ტაბლაჲ იგი სულიერი და ცხოველი?[233] **[E 269]** სადა არს ქარტაჲ იგი ახალი,
15 რომელსა შინა უჴელოდ დაიწერა სიტყუაჲ ღმრთისაჲ? სადა არს სიღრმჱ მადლისაჲ? სადა არს ზღუდჱ იგი ლხინებისაჲ? სადა არს წყაროჲ იგი, რომელმან გჳშვა ჩუენ ცხორებაჲ და[234] დედაჲ ღმრთისაჲ, სიტყჳსა მის განჴორციელებულისაჲ[235]?

**[D16r]** და რაჲ-მე რაჲ მოგჳგო ჩუენ საფლავმან, არამედ ესე: რაჲსა-მე
20 უკუე ეძიებთ საფლავსა შინა მას, რომელი-იგი ამაღლდა ტალავართა ზეცისათა? რაჲსა-მე[236] თანამდებად ბრალისა მყოფთ მე ამაღლებისა მისისათჳს? არა მაქუს ძალი ბრძანებასა ღმრთისასა წინააღმდგომი[237].

---

"წინააღმდგომთა ძალთასა ვიტყჳ, ბილწებით შენებულებსა"**(იხ.: შენიშვნ. II, სქ. № 225).**

226 **II მეფ. 6,14-15.**

227 **აქედან Ier. 148-ში ტექსტი გრძელდება.**

228 **ლკ. 1,28.**

229 სიხარულო D] ჰ,მკურნალო E.

230 გუაკურთხენ,სიხარულო ყოველთა გულთაო] Cairoi~, pash~ kardia~ akeswdunon farmakon PG 96 col. 745 A 3-4). **ეფრემის თარგმანშია:** "გიხაროდენ, გიხაროდენ, ყოველთა გულთა წამალო საკურნებელო და ყოვლად არამატკივნებელო"!

231 საკჳრველო და პატიოსანო] ierwn ierwtate PG 96 col. 745 A 6.

232 რამეთუ E] - D.

233 ტაბლაჲ იგი სულიერი და ცხოველი] o kaino~ tomo~ PG 96 col. 745 A 12.

234 და E] – D.

235 სადა არს წყაროჲ იგი,რომელმან გჳშვა ჩუენ ცხორებაჲ და დედაჲ ღმრთისაჲ, სიტყჳსა მის განჴორციელებულისაჲ] pou to polupoqhton swma th~ qeotokou kai polueraston PG 96 col. 745 A 15-16. **ეფრემის თარმანში ბერძნული ტექსტი ზუსტად არის გადმოღებული:** "სადა არს მრავალსასურველი და მრავალსაწადელი გუამი ღმრთისმშობელისაჲ?"

236 რაჲსა-მე D] რად-მე E.

237 წინააღმდგომი D] წინააღდგომად E.

აჰა ესერა, დაუტევა გუამმან მან უბიწომან საგრაგნელი თჳსი[238] და მომცა
მე სიწმიდისა მისისაგან და აღმავსო მე სულნელებითა საკუმეველთა
მისთაჲთა და მყო მე ტაძარ სამეუფო და წარვიდა, დაცვული გუნდთაგან
ანგელოზთა და მთავარანგელოზთა[239] და ყოველთა მიერ ძალთა
ზეცისათა. ამიერითგან ანგელოზნი გარე მომადგან[240] მე, ამიერითგან 5
მადლნი ნიჭთა ღმრთისათანი შორის ჩემსა ეგნენ. მე ვარ სახლი
სამკურნალოჲ უძლურთა კურნებისაჲ, მე ვარ წყароჲ ლხინებისაჲ,
რომელი არა მოვაკლდები, მე განვასხამ სულთა უკეთურთა და ქმნულ
ვარ ქალაქ და შესავედრებელ მათა, რომელნი **[E270]** მოივლტოდიან[241]
ჩემდა. მოვედით, ჰ საყუარელნო, სარწმუნოებით და აღმოივსეთ ვითარცა 10
მდინარეთაგან[242] მადლი ნიჭთაჲ! მოვედით სარწმუნოებით და ნუ
ორგულებით! ესაია ბრძანებს და იტყჳს: რომელთა გწყურის, წარვედით
წყლად და რომელთა არა გაქუს ვეცხლი, წარვედით და იყიდეთ თჳნიერ
ფასისა,[243] რამეთუ[244] *სიტყჳსაებრ წმიდისა სახარებისა ვღაღადებ*[245]*:*
*ყოველნი წყურიელნი და მაშურალნი მოვედით უფლისა და მიიღეთ* 15
*წყароჲ ცხორებისაჲ*[246]*, და უძლურთა მოისწრაფეთ მკურნალისა მის*
*სულთა და ჴორცთაჲსა და მიიღეთ ტკივილთა თქუენთა სიხარული*[247]
*და ცოდვათა თქუენთა ლხინებაჲ*[248] და ყოველთა განსაცდელთაგან
გამოჴსნაჲ; და რომელთა გწადის განსუენებაჲ სასუფეველსა ცათასა,
მოვედით მისა სარწმუნოებით და აღმოივსეთ წყალი იგი ნიჭთა 20
მისთაჲ, რომელი დაუსრულებელად აღმოდის და ყოველთა წყურიელთა
განაძღებს და საუნჯჱ ცხორების ექმნების[249].

---

238 თჳსი E] – D.

239 წარვიდა, დაცვული გუნდთაგან ანგელოზთა და მთავარანგელოზთა] anarpaston oicetai, doruforountwn aggelwn, kai arcaggelwn PG 96 col. 745 B 6-7. **ეფრემის თარგმანშია:** "აღიტაცა თჳნიერ წარტაცებისა,წინაძღომითა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა".

240 გარე-მომადგან D] გარე-მომადგენ E.

241 მოივლტოდიან D] მოილტიან E.

242 მდინარეთაგან D] მდინარისაგან E.

243 ესაია 55,1. ფასისა] ვეცხლისა (DE) timh~ (PG 96 col. 745 C 2).

244 რამეთუ D] ხოლო E.

245 სიტყჳსაებრ წმიდისა სახარებისა ვღაღადებ] euaggelikw~ PG 96 col. 745 C 2-3. **ეფრემის თარგმანშია:** "მახარებლებრ უღაღადებ".

246 ყოველნი წყურიელნი და მაშურალნი მოვედით უფლისა და მიიღეთ წყароჲ ცხორებისაჲ] O diywn noshmatwn iasin PG 96 col. 745 C 3. **ეფრემის თარგმანშია:** "წყურიელნი – სენთა კურნებისათჳს" **(იხ.: შენიშვნ. II, სქ. № 246).**

247 სიხარული D] ლხინებაჲ E.

248 ლხინებაჲ D] მოტევებაჲ E. **მთ. 5,6; ინ. 4,14; 7,37.**

249 და აღმოივსეთ წყალი იგი ნიჭთა მისთაჲ,რომელი დაუსრულებელად აღმოდის და ყოველთა წყურიელთა განაძღებს და საუნჯჱ ცხორების ექმნების] kai aruesqw reiqron th~ carito~ poludunamon kai polucrhston PG 96 col. 745 C 6-8. **ეფრემი ზუსტ თარგმანს გვაწვდის:** "და აღმოივსებდით ნაკადულსა მადლთასა, მრავალძალსა და მრავალსაჴმარსა".

და ვითარ-იგი მოქმედებაჲ წყლისაჲ[250] მარტივ არს და ერთი, ეგრეთვე ქუეყანისაჲ და ჰაერისა და მზისაჲ, რომელი ჰნათობს ყოველთა, არამედ ყოველსა შინა, მსგავსად ბუნებისა **[D16v]** მისისა, თითოფერად შეიცვალების და იქმნის ვენაჯსა შინა ღჳნო და ზეთისხილსა შინა – ზეთ. ეგრეთვე **[E271]** მადლი იგი მარტივ არს და ერთ[251], არამედ განიყოფვის[252] და განიზოგების მსგავსად საჴმარებისა მისისა[253] თითოეულთათჳს და მოსრულნი იგი სარწმუნოებით, მიიღებენ კეთილთა მათ[254] და სარგებელთა უხუებით[255].

ხოლო საფლავი იტყჳს: „მე არათუ ბუნებით მაქუს მადლი ნიჭთაჲ[256], რამეთუ ყოველი საფლავი სავსე არნ[257] მყრალობითა და მიზეზ არნ იგი შეჭმუხვისა და მწუხარებისა და წინააღმდგომ მხიარულებისა[258], ხოლო მე მომიღებიეს სულნელებაჲ და ნელსაცხებელი მრავალსასყიდლისაჲ და აღვსებულ ვარ მე საკუმეველითა და მომავალთა ჩემდა აღვავსებ სულნელებითა, რამეთუ ნიჭნი ღმრთისანი შეუზომელ არიან და დაუსრულებელ. ვისტუმრე მე, წყაროჲ სიხარულისაჲ, და აღმოვივსე[259] მისგან სიღრმჱ მადლთა მათ დაულევნელთაჲ[260].

18) ჰხედავთ სამე, ჱ საყუარელნო, რაჲ-ესე წარმოთქუა საფლავმან ამან დიდებულმან?[261] და ჭეშმარიტებაჲ მისი ამით დაემტკიცების, რამეთუ გჳპოვნიეს წერილი, რომელი ესრეთ აუწყებს თხრობათა შინა, რომელი წმიდისა ეფთჳმისთჳს დაიწერა, თქუმულსა მას მესამესა და თავსა მეორმეოცესა. თქუმულ არს ზემო კერძო, ვითარმედ ეკლესიანი[262] მრავალნი აღაშენნა კო**[E272]**სტანტინეპოლის შინა ნეტარმან პრობერია[263]

250 მოქმედებაჲ წყლისაჲ D] – E.

251 და ერთ E] - D.

252 განიყოფვის D] განიყოფის E.

253 მისისა D] მათისა E.

254 მათ E] მათთა D.

255 და მოსრულნი იგი სარწმუნოებით, მიიღებენ კეთილთა მათ და სარგებელთა უხუებით] **ეს ფრაზა არ არის არც ბერძნულ ტექსტში (PG 96 col. 745 C 15) და არც ეფრემის თარგმანში (იხ.: შენიშვნ. II, სქ. №255).**

256 ხოლო საფლავი იტყჳს: „მე არათუ ბუნებით მაქუს მადლი ნიჭთაჲ] Ouk ex oikeia~ thn carin kekthmai fusew~ PG 96 col. 745 C 15-16. **ამ შემთხვევაში წინაათონური თარგმანი უფრო ზუსტად თარგმნის. ეფრემთან არის:** "არამედ არა თავით თჳსით მომიგია ძალი ესე".

257 არნ E] არს D.

258 მხიარულებისა D] სიხარულთასა E.

259 აღმოვივსე E] აღმოვივსჱ D.

260 **რომ. მიმ. 11,29.**

261 საფლავმან ამან დიდებულმან] o paneukleh~ apoteinetai tafo~ PG 96 col. 748 A 2. **ეფრემის თარგმანში ზუსტად არის გადმოღებული:** "ყოვლადკეთილად მოქადული საფლავი".

262 ეკლესიანი] tw Cristw ekklhsia~ PG 96 col. 748 A 6. **ეფრემის თარგმანშია:** "ეკლესიანი ქრისტესნი".

263 პრობერია] Poulceria PG 96 col. 748 A 7.

დედოფალმან და ერთი მათგანი, რომელსა ერქუმის ლაქერნაჲ, ესე აღაშენა წმიდისა ღმრთისმშობელისათჳს დაწყებასა ოდენ მარკიანეს მეფობისასა[264] და შეამკო იგი ყოვლითა სამკაულითა და ეძიებდეს გუამსა მას წმიდასა ღმრთისშემწყნარებელსა, რაჲთამცა დადვეს იგი მას შინა. და მოუწოდეს იობენალე პატრეაქსა იჱრუსალემელსა და მრავალთა ეპისკოპოსთა[265] პალესტინისათა, რაჟამს იყვნეს იგინი ქალაქსა მას შინა სამეუფოსა შეკრებილ[266] კრებისა მისთჳს, რომელი იყო მათ ჟამთა ქალაქსა შინა ქალკიდონისასა.

და ჰრქუეს მათ: "გუასმიეს, ვითარმედ იჱრუსალემს შინა არს ეკლესიაჲ, პირველად აღშენებული[267] წმიდისა ღმრთისმშობელისა **[D17r]** მარიამისთჳს საკუთრად სოფელსა, რომელსა ჰრქჳან გესამანიაჲ[268], რომელსა შინა დაეფლა გუამი იგი, რომელმან იტჳრთა ცხორებაჲ[269]; და გუნებავს, რაჲთა წარმოვიღოთ იგი აქა, რაჲთა იყოს დაცვულ ქალაქი ესე სამეუფოჲ".

და მიუგო მათ იობენალი პატრიაქმან[270] და ჰრქუა: "წიგნთა შინა საღმრთოთა არა ჴსენებულ არს გარდაცვალებაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ, არამედ გუასმიეს ჭეშმარიტთაგან მთხრობელთა[271], ვითარმედ ჟამსა გარდაცვალებისა მისისასა იყვნეს განბნეულ მოციქულნი ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა ცხორებისათჳს წარმართთაჲსა და, წამსა შინა ერთსა აღტაცებულნი, შემოკრბეს იერუსალჱმს; და ვითარცა მოიწინეს წმიდისა მის დედოფლისა, **[E 273]** ეჩუენა მათ სიმრავლჱ ანგელოზთაჲ და ესმოდა მათ გალობაჲ ძალთა ზეცისათაჲ; და ესრეთ მისცა სული თჳსი ჴელთა ღმრთისათა გალობითა საღმრთოჲთა[272], ხოლო გუამი მისი ღმრთისშემწყნარებელი ანგელოზთა მიერ და მოციქულთა დაიდვა საფლავსა გესმანიასა[273] შინა ქებითა და დიდებითა

264 დაწყებასა ოდენ მარკიანეს მეფობისასა] en arch th~ basileia~ tou th~ qeia~ lhxew~ Markianou, Outoi toigaroun ekeise sebasmion oikon PG 96 col. 748 A 8-10. **ეფრემის თარგმანშია:** "დასაბამსა მეფობისა საკჳრველთა სავანეთა შინა განსუენებულისა მარკიანესსა. ამათ უკუე აღაშენეს მუნ ყოვლად სამსახურებელი ტაძარი".

265 ეპისკოპოსთა D] ებისკოპოსთა E.

266 შეკრებილ D (ქარაგმაშია)] შეკრებულ E.

267 პირველად აღშენებული] thn prwthn kai exaireton PG 96 col. 748 B 2-3. **ეფრემის თარგმანშია:** "ეკლესიაჲ პირველი და უპირატესი".

268 გესამანიაჲ D] გესმანია E.

269 რომელმან იტჳრთა ცხორებაჲ] to zwhforon PG 96 col. 748 B 5. **ეფრემის თარგმანშია:** "ცხორებაშემოსილი".

270 პატრიაქმან E] პატრეაქმან D.

271 მოხრობელთა] + paradosew~ pareilhfamen PG 96 col. 748 B 11-12. **ეფრემის თარგმანშია:** "და ძუელითგან უტყუველისა".

272 გალობითა საღმრთოჲთა] arrhtw tini logw PG 96 col. 749 A 6. **ეფრემის თარგმანშია:** "სიტყჳთა რაჲთმე გამოუთქუმელითა" **(იხ.: შენიშვნ. II, სქ. № 272).**

273 გესმანიასა E] - D. Geqshmanh PG 96 col. 749 A 9.

და მას ადგილსა სამ დღე[274] დაუცადებელად ანგელოზნი გალობასა[275] შესწირვიდეს; და შემდგომად მისა დასცხრა გალობაჲ იგი და იყვნეს მოწაფენი იგი ყოველნი მუნ მდგომარე[276] თჳნიერ ერთისა მათგანისა[277].

და შემდგომად სამისა დღისა მოიწია და უნდა, რაჲთამცა იკურთხა ჴორცთა მათგან წმიდათა[278]. და ვითარ განაღეს საფლავი იგი, არა პოვეს გუამი იგი დიდებული, თჳნიერ საგრაგნელნი იგი[279] ხოლო მდებარენი, და აღივსნეს იგინი სულნელებითა მიუწდომელითა და დაჰჴშეს კარი საფლავისაჲ მის და იყვნეს იგინი განკჳრვებულ[280] საკჳრველებისა მისგან მის[281] საიდუმლოჲსა; და განიზრახვიდეს თავთა შინა თჳსთა, ვითარმედ რომელმან-იგი სათნო-იყო განკაცებაჲ მისგან და ჴორცთა შესხმაჲ სიტყუამან ღმრთისამან მხოლოდშობილმან[282], და რაჲთა ერთი ქრისტე გამოუჩნდეს სოფელსა მაცხოვრად[283], და მან, რომელმან დაჰმარხა ქალწულებაჲ მისი უვნებელად შემდგომად შობისა, მანვე სათნო-იყო, რაჲთა შემდგომად განსლვისა მისისა ამიერ სოფლით პატივ-სცეს ჴორცთა მისთა **[E274]** უბიწოთა უხრწნელებით[284] და რაჲთა აღიხუნენ იგინი მისა უწინარეს ყოველთა[285].

და იყვნეს[286] მას ჟამსა მოციქულთა თანა მოწევნულ[287] ებისკოპოსნი[288] **[D17v]** ეფესოჲსაჲ, წმიდაჲ ტიმოთჱ[289] და დიონოსიოს[290] არიოპაგელი, ვითარ-იგი თჳთ დიდი დიონოსიოს მოწამე არს და იტყჳს თქუმულთა

274 დღე E] დღჱ D.

275 გალობასა D] ქებასა E.

276 მდგომარე E] მდგომარჱ D.

277 ერთი მათგანი] + Qwma PG 96 col. 749 A 12.

278 რაჲთამცა იკურთხა ჴორცთა მათგან წმიდათა] to qeodocon swma proskunhsai boulhqento~ PG 96 col. 749 A 14-15. **ეფრემის თარგმანში ზუსტად არის გადმოღებული ბერძნული ტექსტი:** "ინება თაყუანისცემაჲ ღმრთისშემწყნარებელისაჲ მის გუამისაჲ".

279 იგი E] - D.

280 განკჳრვებულ D] განკრთომილ E.

281 მის D] E.

282 მხოლოდშობილმან] + kai Kurio~ th~ doxh~ PG 96 col. 749 B 7. **ეფრემის თარგმანშია:** "და უფალმან დიდებისამან" (C).

283 და რაჲთა ერთი ქრისტე გამოუჩნდეს სოფელსა მაცხოვრად] **ეს ფრაზა არ არის არც ბერძნულ ტექსტში (PG 96 col. 749 B 7) და არც ეფრემის თარგმანში (იხ.: შენიშვნ. II, სქ. № 283).**

284 უბიწოთა უხრწნელებით E] – D.

285 რაჲთა აღიხუნენ იგინი მისა უწინარეს ყოველთა] kai metaqesei pro th~ koinh~ kai kaqolikh~ anastasew~ PG 96 col. 749 B 11-12. **ეფრემის თარგმანში ეს ფრაზა ზუსტად არის გადმოღებული:** "ამიერ მიცვალებითა პირველ საყოველთაოჲსა მის ზოგადისა აღდგომისა".

286 იყვნეს D] იყუნეს E.

287 მოწევნულ E] მოწეულ D.

288 ებისკოპოსნი E] ეპისკოპოსი D.

289 წმიდაჲ ტიმოთჱ D] წმიდაჲ ტიმოთე E. o te timiwtato~ Timoqeo~ PG 96 col. 749 B 13.

290 დიონოსიოს] Dionusio~ PG 96 col. 749 B 14.

მათ შინა თჳსთა, რომელი თქუა ნეტარისა იეროთეოსისათჳს[291], და
იგიცა კუალად მათ თანავე მოსრულ იყო. და მიუწერა ტიმოთეს ესრეთ:
*“რამეთუ მთავარნი იგი მღდელობისა საღმრთოჲსანი[292] ჟამსა მას,
რომელსა ჩუენცა მიწევნულ ვიყვენით, ვითარ-იგი თჳთ უწყით, და ძმათა
ჩუენთაგანნიცა[293], მღდელნი, შემოკრებულ იყვნეს ჩუენ თანა, რაჲთამცა 5
ვიხილეთ გუამი იგი, რომელსა შინა დამკჳდრებულ იყო ღმერთი,
ცხორების მომცემელი, და მუნ იყო იაკობ, ძმაჲ უფლისაჲ, და პეტრჱ[294],
წინამძღუარი და მოხუცებული და თავი ღმრთისმეტყუელთაჲ. მას ჟამსა,
შემდგომად ხილვისა, მთავართა მათ მღდელობისათა შეწირეს დიდებაჲ
თითოეულმან მსგავსად ძალისა თჳსისა და აქებდეს სახიერებასა 10
ღმრთისასა მიუწუდომელსა. და იყო შემდგომად ღმრთისმეტყუელთა მათ
წინამძღუარ[295] გალობასა შინა, ვითარ-იგი შენ უწყი, და ყოველსა შინა,
რომელი ისმოდა და რომელი არა ისმოდა, და რომელი იხილვებოდა
და რომელი ვერ იხილვებოდა[296], და რომელი საცნაურ იყო და რომელი
ვერ საცნაურ იყო[297], ყოველი კრებული მღდელთაჲ, და საიდუმლოჲსა 15
მისგან მიცვალებისა იყვნეს განკჳრვებულ და თანა-ეზიარებოდეს **[E275]**
გალობითა ღმრთისმეტყუელთა მათ ზეცისა ძალთა[298].

და რაჲ-მე-ღა მიჴმს მოჴსენებად შენდა, რომელ-იგი[299] მუნ ითქუა
საღმრთოჲ იგი დიდებაჲ? და უკუეთუ მე თავი ჩემი[300] არა დამავიწყდეს[301],
შენთჳსცა მეცნიერ ვარ მრავალგზის, სმენისა მისგან გალობისა ოხრიედ 20

---

291 იეროთეოსისათჳს D] იერეთეოჲსთჳს E; Ieroqeou PG 96 col. 749 C 1.

292 რამეთუ მთავარნი იგი მღდელობისა საღმრთოჲსანი] toi~ qeolhptoi~ hmwn ierarcai~ PG 96 col. 749 C 4. **ეფრემის თარგმანშია:** “ღმრთისმხილველთა მღდელთმთავართა ჩუენთა შორის”.

293 ძმათა ჩუენთაგანნიცა E] ძმათაგანთაგანნიცა D.

294 პეტრჱ D] პეტრე E.

295 წინამძღუარ] + twn allwn ieromustwn, olo~ ekdhmwn, olo~ existameno~ eautou, kai thn pro~ ta umnoumena koinwnian pascwn PG 96 col. 752 A 3-5. **ეფრემის თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** “სხუათა მათ მღდელმესაიდუმლოეთა ყოვლადაღმატებით, ყოვლადგანსლვით თავისა თჳსისაგან,რამეთუ საქებელთა მათ მიმართ ზიარებისათჳს მრავალსა რას შეიმოხუევდა” **(იხ.: შენიშვნ. II, სქ. № 295).**

296 რომელი ისმოდა და რომელი არა ისმოდა და რომელი იხილვებოდა და რომელი ვერ იხილვებოდა] wn hkoueto, kai ewrato, kai eginwsketo PG96 col. 752 A 5-6. **ეფრემის თარგმანი ზუსტად მისდევს ბერძნულ ტექსტს:** “რომლითა ისმინებოდა და იხილვებოდა და საცნაურ-იყო”.

297 და რომელი ვერ საცნაურ იყო E] – D; kai ouk eginwske PG 96 col. 752 A 6.

298 ყოველი კრებული მღდელთაჲ და საიდუმლოჲსა მისგან მიცვალებისა იყვნეს განკჳრვებულ და თანა-ეზიარებოდეს გალობითა ღმრთისმეტყუელთა მათ ზეცისა ძალთა] Qeolhpto~ einai kai Qeio~ umnologo~ krinomeno~ PG 96 col. 752 A 7. **ეფრემის თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** “ღმრთისმხილველ-ყოფად და საღმრთო მგალობელ-ყოფად სამართლად სახელ-იდებოდა.”

299 რომელ-იგი D] რომელი-იგი E.

300 თავი ჩემი D] ჩემი თავი E.

301 დამავიწყდეს D] დამვიწყდეს E.

სასმენელნი ჩემნი"*[302].

და ვითარცა ესმა ესე მეფეთა, ევედრნეს იობენალი პატრეაქსა[303], რაჲთა მოსცეს მათ არნაკი იგი[304] ლუსკუმისაჲ მის, რომელი იყო საფლავსა შინა, რომელსა შინა იდვა გუამი იგი წმიდისა დედოფლისაჲ
5 საგრაგნელითურთ, რომელი ჴორცთა მათ დიდებულთა ეგრაგნა. და ესე ყოველი წარიღეს დაბეჭდული და ვითარცა მიიწია მათდა[305] არნაკი იგი, დადგეს ეკლესიასა შინა, რომელი აღაშენეს ლაქერნას წმიდისა ღმრთისმშობელისათჳს[306]. და ესე ესრეთ იყო.

**[D18r]** 19) ხოლო ჩუენ რაჲ-მე რაჲ სიტყუაჲ მიუგოთ საფლავსა,
10 რამეთუ მადლნი შენნი დაუკლებელ არიან და მარადის აღმოაცენებენ ნიჭთა შენთა, რომელნი უზეშთაეს გონებისა არიან[307], ხოლო ძალი ღმრთისაჲ შეუზომელ არს და შეუპყრობელ და არათუ დადგრომილ ერთსა ადგილსა, რამეთუ კეთილნი წმიდისა ღმრთისმშობელისანი და მადლი არა საფლავსა შინა ხოლო დადგრომილ არს, და უკუეთუმცა
15 საფლავი ამას შეიცვიდა, მცირედნიცა მიემთხუეოდეს ნიჭთა მისთა, არამედ აწ ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა მადლი ნიჭთა მისთაჲ **[E276]** განფენილ არს. ამისთჳს უკუე, ძმანო, მოვედით და ვყოთ ჴსენებაჲ ჩუენი - საუნჯჱ[308] წმიდისა ღმრთისმშობელისა და ვითარ-მე იყოს ესე, არათუ ესრე, რამეთუ იგი ქალწული არს და უყუარს მას ქალწულებაჲ; იგი
20 უბიწოჲ არს და უყუარს მას უბიწოებაჲ, და უკუეთუ ჩუენ განვიწმიდნეთ გულისზრახვანი ჩუენნი ჴორცთა საქმეთაგან, უეჭველად უკუე ნიჭნი მისნი მოგუემადლნენ ჩუენ უხუებით, რამეთუ მარადის მეოტ არს იგი ყოვლისაგან მწჯრისა ცოდვათაჲსა და გარე-მიაქცევს ვნებათა. მწჯრი არს იგი ყოვლისა ცოდვისაჲ და სულისა მისგან სიძვისაჲსა
25 და გულისსიტყუათაგან ბოროტთა ივლტის, ვითარცა შვილთაგან იქედნისათა[309], სძაგს მას ცუდად დიდებაჲ და სიმდიდრჱ ამის სოფლისაჲ,

---

302 *"რამეთუ მთავარნი იგი მღდელობისა...სასმენელნი ჩემნი*] **ამ ადგილის შესახებ იხ.: სალადაია 2009:182-183.**

303 პატრეაქსა D] პატრიაქსა E.

304 იგი E] – D.

305 მათდა E] მათა D.

306 **ეკლესიასა შინა** რომელი აღაშენეს ლაქერნას წმიდისა ღმრთისმშობელისათჳს] oikw th~ agia~ qeotokou PG 96 col. 752 A 16-17. **ეფრემის თარგმანშია: წმიდასა სახლსა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისასა.**

307 დაუკლებელ არიან და მარადის აღმოაცენებენ ნიჭთა შენთა,რომელნი უზეშთაეს გონებისა არიან] cari~ anelliph~ kai aennao~ PG 96 col. 752 B 2. **ეფრემის თარგმანი ზუსტად მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "მოუკლებელ არს და დაუწყუედელ" **(იხ.: შენიშვნები, სქ. № 307).**

308 საუნჯჱ D] საუნჯე E

309 სძაგს მას ცუდად დიდებაჲ და სიმდიდრჱ ამის სოფლისაჲ] logou~ aiscrou~ te kai eutrapelou~ apwqeitai kai asmata mura pornika aposeietai misei qumou ta oidhmata PG 752 col. B 16 - C 2. **ეფრემის თარგმანშია:** "სიტყუათა უშუერთა და საძაგელებით კადნიერთა ყოვლად განაგდებს თანად სიმღერისა ჴმებითურთ, ნელსაცხებელთა

საძულელ არს მის წინაშე გულისწყრომაჲ და უწყალოებაჲ არა იშუებს
მის წინაშე მახლობელად მისა[310], წარიოტებს იგი შურსა და ჴდომასა
და მტერად შეუდგს ამპარტავნებასა და სულსა ზუაობისასა, საძაგელ
არს მის წინაშე ძჳრისჴსენებაჲ და წინააღმდგომთა დაამჴობს და
ყოველსა ბოროტსა, ვითარცა გესლსა მაკუდინებელსა, განაგდებს. და
მხიარულ არს იგი ყოველსა ზედა კეთილსა და უყუარს მას ამათ
ვნებათა წინააღდგომაჲ[311]. სათნო არს მის წინაშე მარხვაჲ და ვედრებაჲ[312]
და მეგობარი არს იგი სიწმიდისა და ქალწულებისაჲ და იგინიცა
ჰნებვან და მშჳდობასა მისცემს, ხოლო სიმდაბლესა და სიყუარულსა
და მყუდროებასა, ვითარცა შვილთა, მკლავთა თჳსთა ზედა აღიღებს
**[E277]** და შემოკლებულად-რე ვთქუათ, რამეთუ ყოველსა ბოროტსა
განაგდებს[313] და ყოველთა სათნოებათა შეიტკბობს. **[D18v]** და უკუეთუ
ჩუენ პირველთა მათ განვეშორნეთ და სათნოებაჲ შევიყუაროთ ყოვლითა
სწრაფითა და ვიქმნნეთ მისა მოსურნე და თანამზრახვალ, მოვიდოდის
ჩუენდა დედოფალი იგი, ვითარცა მსახურთა თანა[314] ყოველსა ჟამსა და
მოგუართუას ჩუენ ყოველი კეთილი და ყოს ქრისტე, ძჱ თჳსი, უფალი
იგი და მეუფჱ ყოველთაჲ, მოყუარე ჩუენდა[315] და მკჳდრ გულთა შინა
ჩუენთა. მას მხოლოსა, რომელსა აქუს უკუდავებაჲ და მისა შუენის
დიდებაჲ[316] და პატივი და ძალი და დიდებაჲ მამისა თანა დაუსაბამოჲსა
და სულისა წმიდისა ცხოველსმყოფელისა, აწ და მარადის და უკუნითი
უკუნისამდე, ამინ.

---

მეძვურთა მართლუკუნ-აქცევს.”

310 მისა E] – D.

311 და მხიარულ არს იგი ყოველსა ზედა კეთილსა და უყუარს მას ამათ ვნებათა წინააღდგომაჲ] toutwn de cairei toi~ enantioi~. Ta gar enantia twn enantiwn iamata PG 96 col. 752 C 6-8. **ეფრემის თარგმანში ზუსტად არის გადმოღებული ბერძნული ტექსტი:** “ხოლო იხარებს იგი წინააღმდგომთა მათთა ზედა,რამეთუ წინააღმდგომნი არიან საკურნებელ წინააღმდგომთა”.

312 ვედრებაჲ] kai egkrateia, kai yalmikoi~ PG 96 col. 752 C 8. **ეფრემის თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** “და კრძალულებაჲ ფსალმუნებითურთ”.

313 განაგდებს] kathfeia duscerainousa PG 96 col. 752 col. C 15. **ეფრემი ზუსტად თარგმნის:** “მჭმუნვარე არს განმწარებული”.

314 მსახურთა თანა] oiketa~ PG 96 col. 752 D 4. **ეფრემის თარგმანშია:** “მონათა მიმართ”.

315 მოყუარე ჩუენდა] sumparalhyetai PG 96 col. 752 D 8. **ეფრემის თარგმანშია:** “თანამკჳდრად”.

316 დიდებაჲ D] ქებაჲ E.

## წმიდისა და ღმითივგანბრძნობილისა[317] მამისა ჩუენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისაჲ სიტყუაჲ შესხმისაჲ დაძინებასა წმიდათა უზეშთაესისა დედოფლისა ჩუენისა ღმითისმშობელისა და მარიამისა[318]

H 1347, 385v-398r [XI-XII სს.; A]; Ier. 23, 400r-406v [XII-XIII სს.; B]; Ier. 38, 393v- 411v [XIII-XIV სს.; C]

**(ღვთისმშობლის დაძინების მეორე ჰომილიის ეფრემ მცირის თარგმანი)**

**[C393v]** 1) არს უკუე კაცთაგანი არცა ერთი, რომელმანცა ღირსებით შემკობად უძლო დიდებულსა **[A386r]** მიცვალებასა **[B400v]** დედისა ღმრთისასა, არცა-ღა-თუ ბევრეულნი ენანი შემოკრბენ და ესოდენვე რიცხჳთა პირნი მათნი იყვნენ; არცაღა ყოველნი ენანი მრავალთესლთა
5 წარმართთანი[319], ზოგად ერთჴმაქმნილნი, კმა არიან ყოვლით მეტყუელებითურთ კაცთაჲთ მიწდომად[320] ჯერისაებრსა შესხმასა მისსა, რომელი-იგი ზესთა[321] არს ყოველსა წესსა შესხმათასა[322]; არამედ ვინაჲთგან საყუარელ ღმრთისა არს ყოველივე ძალისაებრი, სურვილით და საღმრთოდ მოშურნეობით კეთილითა გონებითა მორთუმული[323]
10 მისსა, და ეგრეთვე, დე**[C394r]**დასა ღმრთისასა უყუარს ყოველივე საყუარელი და სათნოჲ ძისა მისისაჲ, მოვედით, კუალად შევეხნეთ სიტყუასა შესხმათასა რწმუნებითა ბრძანებისა თქუენისაჲთა, ჰ მწყემსნო რჩეულნო და ღმრთისმოყუარენო, და ძალმწედ სიტყჳსა ჩუენისა მოუწოდოთ სიტყუასა, მისგან ჴორცშესხმულსა, აღმავსებელსა ყოვლისა
15 პირისა[324], მისსა მიმართ აღებულისასა. ჩუენ, რომელთა-ესე მხოლოდ კმა-გუეყოს სამკაულად და შესხმად ყოვლად ღირსებით საქადულად, მეცნიერ რაჲ ვიყვნეთ, ვითარმედ რაჟამს შესხმად ვიწყოთ, თანანადებსა

317 წმიდისა და ღმრთივგანბრძნობილისა AC] წმიდათა შორის B.

318 მარიამისა B] მარიამის. თავი ბ. მამაო, გუაკურთხენ A, მარიამისსა, გუაკურთხენ, მამაო C.

319 ყოველნი ენანი მრავალთესლთა წარმართთანი] ei pasai twn polusporwn ai glwssai (PG 96, col. 721 C 2). **ეფრემის თარგმანში დამატებულია** "წარმართთანი". **წინაათონურ თარგმანშია:** "და არცაღა კუალად ყოველნი თუ ენანი შეკრბენ"**(იხ.: შენიშვნ. II, სქ. № 319).**

320 მიწდომად AB] მიწთომად C (ყოველთვის).

321 ზესთა A] ზეშთა BC (ყოველთვის).

322 შესხმათასა A] შემასხმელთასა BC.

323 მორთუმული AC] მორთმული B.

324 პირისა AB] პირისასა C.

განვავრცობთ, და კუალად, ესე რაჲ ვყოთ, უფროჲს თანამდებ-ყოფად ვიწყებთ, რომლითა ჰგიეს თანამდებობაჲ ჩუენი მარადის დაწყებად და არაოდეს თანამდებობისაგან განთავისუფლებულად.

ხოლო შემნდობელ ჩემდა იყავნ კადნიერებასა ამის ჴელ-ყოფისასა საგალობელი ესე ჩუენი, ზესთა აღმატებული ყოველთა აგებულებათაჲ 5 და დედოფალი ყოველთა დაბადებულთაჲ, ვითარცა დედაჲ ღმრთისაჲ შემოქმედისა და დამბადებელისა და ყოველთა მეუფისაჲ[325]; შემინდვეთ და თქუენცა, ჰ საღმრთოთა სიტყუათა სმენისმოყუარენო კრებულნო, მიითუალეთ ერთგულებაჲ და ტყუელევდით მოსურნეობისათჳს, რამეთუ ვითარცა-იგი უკუეთუ ვინმე თჳთმპყრობელსა, ღმრთისა 10 მიერ მიმდებელსა თანამონათესვეთა თჳსთა საჭეთმპყრობელობისასა, რომელსა მარადის შემოუკრებინ სიმრავლე სერობათაჲ, გარდაცემული სიმრავლითა ყოველთა სანოვაგეთაჲთა და ნელსაცხებელითა[326] მრავალ-სასყიდლისაჲთა, **[C394v]** თითოფერთა კუმოლვათა თანა აღსავსე იყვნიან ეზონი პალატისა მისისანი, მოართჳს **[A386v]** ვინმე ზესთა 15 ჟამისაჲ[327] იაჲ, თანა ერთფერი პორფირისა მისისაჲ, ანუთუ ვარდი უსულნელესი[328], ნაშობთა ეკალთაჲსაჲ, რომლისანი მწუანოოდიან ბუდენი და **[B401r]** შუენიერ იყვნიან მათგან გამომავალნი მარჩხიკ ფერნი მეწამულობანი, გინათუ სხუაჲ რაიმე იყვის ძღუენი იგი ხილთაგან, თაფლისა უტკბილესთაჲ, ესევითარისა მის არა ძღუნისა უნდოებასა, 20 არამედ უცხოობასა და ჟამისა გარეშეობასა მიმთუალველ იქმნის მეფე და ღირს საკჳრველებისა საჯის, ვითარცა მეცნიერმან ჟამისა მის უჟამოებისამან და მცირისა მის წილ დიდთა ნიჭთა უშურველობაჲ მიაგის ქუეყანისმოქმედსა მას.

ეგრეთვე ჩუენ ზამთარსა შინა გამომეტყუელებათასა მომრთუმელ 25 ყუავილისა ვექმნებით დედოფალსა ყოველთასა და სიბერესა სიტყუათასა[329] აღვსჭურავთ[330] ღუაწლისა მიმართ შესხმათაჲსა და ვითარცა საღრტილსა კუესითა, ესრეთ ვსცემთ გონებასა სურვილითა, ანუთუ ტევანსა უჟამოსა მოვისთულებთ ზღაპართმშობელისაგან ცნობისა, რაჲთა მცირე რაჲმე ნაბერწყალი და საკუფხლველი[331] სიტყჳსაჲ მოგანიჭო თქუენ, 30 სიტყჳსმოყუარეთა და სმენისმოსწრაფეთა, რომლისათჳს უფროჲს და უფროჲს შეწყნარებულ ვიქმნებით, რამეთუ რაჲღა სხუაჲ მიუძღუანოთ დედასა სიტყჳსასა, თჳნიერ სიტყუაჲვე, ვინაჲთგან საყუარელცა არს

325 მეუფისაჲ BC] მეუფისა A.
326 ნელსაცხებელითა A] ნელსაცხებლითა BC.
327 ჟამისაჲ A] ჟამისა BC.
328 უსულნელესი AB] უსურნელეს C.
329 სიტყუათასა A] სიტყჳსასა BC.
330 აღვსჭურავთ AB] აღვშჭურავთ C.
331 საკუფხლველი A] საკუფხველი BC.

მსგავსისა მსგ**[C395r]**ავსი. აწ უკუე ვინაჲთგან განგჳქმნიეს[332] მცირე კუალი სიტყუათაჲ[333] და კნინოდენ მიგჳტევებიან შთობანი ჭიმისანი, ვითარცა ცხენი რაჲმე, ეგრეთ სრბით[334] წარეჰმართოთ სიტყუაჲ სლვად.

არამედ, ჰ სიტყუაო ღმრთისაო, შენ იქმენ ჩემდა[335] ძალ და
5 უშვილოებაჲ გონებისა ჩემისაჲ სიტყჳერ-ყავ შვილიერებითა კეთილად მეტყუელებისაჲთა და ფრიად გზავრცელ-ყავ ალაგი სიტყჳსაჲ მოსწრაფებასა თანა მალიად მორბედებისასა სათნო-ყოფისა მიმართ შენისა, რომლისა მომართ აღიძრვის ყოველი სიტყუაჲ და გონებაჲ ბრძენთა მეტყუელებისაჲ.

10 2) დღეს წმიდაჲ და მხოლოჲ ქალწული მშობელთა შორის ზეშთასოფლისასა მას და ზეცისასა[336] კა**[A387r]**რავსა შეიყვანების, რომელსა-იგი ესოდენ სურვილით შეეტკბო ქალწულებაჲ, ვიდრემდის მის მიერ[337] შეყოფილ და შეუხებელად შეცხობილ იქმნა, ვითარცა პური წმიდაჲ ცეცხლისა მიერ ყოვლადწმიდისა, რამეთუ ყოველი ქალწული
15 შობითა წარიწყმედს ქალწულებასა, ხოლო ესე, ვითარცა პირველშობისა ქალწულ, ეგრეთვე შემდგომად შობისა ჰგიეს ქალწულად.

დღეს დიდი და სულიერი კიდობანი ღმრთისა ცხოველისაჲ, დამტევნელი თჳსისა ხუროთმოძღურისა და შემოქმედისაჲ საშოსა შინა, ჴელით გამოუკუეთელსა შინა ტაძარსა ღმრთისასა განისუენებს; და
20 ჰკრთების დავით, ამისი პირველი მამაჲ და ღმრთისა მამაჲ; მის თანა იხარებნ **[B401v]** ანგელოზნი, ტყუელვენ მთავარანგელოზნი, ადიდებენ ძალნი, იშუებენ მთავრობანი, განსცხრებიან ჴელმწიფებანი, მხიარულ არიან უფლებანი, დღესასწაულობენ საყდარნი, ქერობინნი[338] უგალობენ, სე**[C395v]**რაბინნი[339] დიდების-მეტყუელებენ, რამეთუ არარაჲთ უდარეს
25 მისსა იდიდებიან, რაჟამს დედასა დიდებისასა დიდებისშემწირველ ექმნებოდინ.

დღეს განწმედილი იგი ტრედი უმანკოჲ და უბიწოჲ სული და გონება, საღმრთოდ განკუთნვილი, აღფრინვებულ იქმნა კიდობნით, ღმრთის-შემწყნარებელით, ვიტყჳ, და ცხორების[340] დასაბამით გუამით. და პოვა
30 განსუენებაჲ ფერჴთა თჳსთაჲ, აღიხუნა რაჲ იგი საცნაურისა მიმართ სოფლისა და დაამკჳდრნა ქუეყანასა უბიწოსა ზენაჲსა მკჳდრობისასა.

დღეს ედემი ახლისა ადამისი სიტყჳერსა სამოთხესა შეიწყნარებს,

---

332 განგჳქმნიეს B] განგჳქნიეს AC.
333 სიტყუათაჲ A] სიტყჳსაჲ BC.
334 სრბით A] - BC.
335 ჩემდა AB] ჩუენდა C.
336 ზეცისასა AB] ზეცისა C.
337 მიერ BC] + და A.
338 ქერობინნი BC] ქეროვიმნი A.
339 სერაბინნი BC] სერაფიმნი A.
340 ცხორების A] ცხორებისა BC.

რომელსა შინა დასჯილებაჲ დაიჴსნა და რომლისა შორის ხე ცხორებისაჲ დაენერგა და რომლითა შეიმოსა სიშიშულე ჩუენი, რამეთუ არღარა ვართ ჩუენ შიშუელ და სატუხელ და არღა[341] მქონებელ ბრწყინვალებასა საღმრთოჲსა მის ხატისასა და განჴუებულ უშურველისა მისგან სულისა წმიდისა და[342] მადლისა. არღარა ვეტყებთ ძუელსა მას 5 სიშიშულესა ჩუენსა ესრეთ თქუმითა: „განვიძარცუე სამოსელი ჩემი, ვითარღა შევიმოსო იგი”[343]? ამას სიტყჳერსა სამოთხესა შორის ვერ პოვა გუელმან ადგილი შესავალი, არცაღა ჩუენ ვემსგავსებით პიროუტყუთა უგუნურთა[344] გულისთქუმითა მტყუვარისა განღმრთობისაჲთა, რამეთუ თჳთ მხოლოდშობილი ძე ღმრთისაჲ ღმერთი იყო და თანაარსი 10 მამისაჲ **[A387v]** და ყოვლადწმიდისა ამის ქალწულისა ურნატისაგან[345] დაჰბადა თავი თჳსი კაცად. ვინაჲცა განღმრთობილ ვარ კაცი და მოკუდავი უკუდავქმნილ ვარ, განმიძარცუვან სამოსელნი **[C396r]** ტყავისანი განძარცჳთა[346] ხრწნილებისაჲთა და მის წილ შემოსითა უხრწნელებისაჲთა ღმერთი შემიმოსიეს მე[347]. 15

ღღეს ქალწული უხრწნელი და არაოდეს ზრახული ქუეყნიერთა ვნებათა, არამედ ზეცისათა მიერ აღზრდილი გულისჴმის-ყოფითა[348], არა ქუეყანად შთავალს, არამედ ვითარცა ნამდჳლვე სულიერად ცად გამოჩინებული, საუკუნეთა სავანეთა ზეცისათა დაემკჳდრების, რამეთუ ვინ ცად მწოდებელთა მისთაგანი ჴუებულ იქმნეს ჭეშმარიტისაგან, გარნა თუ 20 ვინმე იტყოდის კეთილად მეცნიერებით, ვითარმედ ცათაცა უზეშთაეს არს იგი შეუსწო**[B402r]**რებელითა უზეშთაესობითა, რამეთუ დამბადებელმან და მპყრობელმან ცათამან *[და ყოვლისავე მსოფლიოჲსა[349] და ზეშთა-მსოფლიოჲსა[350], ხილულისა და უხილავისა დაბადებისა ჴელოვანმან, რომლისა ადგილ დასატევნელ არა არს მათ ყოველთა შორის, დაღაცათუ 25 რაჲმე განისაზღვრებოდის გარეშემოწერილთაგანი ადგიდ მისსა, ამის შორის უთესლოდ და[351] ჩჩჳლებრნი[352] ჴორცნი თავისა თჳსისათჳს

341 არღა A] არღარა BC.
342 და AB] - C.
343 **ქებ. 5,3.**
344 **ფს. 48,13.**
345 ურნატისაგან B] ორნატისაგან AC (და ყოვლადწმიდისა ამის ქალწულისა ურნატისაგან: ek tauth~ th~ Parqenou kai kaqara~ aroura~ PG 96 col. 725 A 14). **ამ ადგილის მიხედვით აღვადგინეთ დაზიანებული მონაკვეთი წინაათონური თარგმანის E ნუსხაში.**
346 განძარცჳთა AC] განძურციოთა B.
347 მე AC] -B.
348 გულისჴმის-ყოფითა AB] გულისჴმის-ყოფათა C.
349 მსოფლიოჲსა A] სოფლიოჲსა BC.
350 ზეშთამსოფლიოჲსა A] ზეშთასოფლიოჲსა BC.
351 და AB] - C.
352 ჩჩჳლებრნი BC] ჩჩჳლებრ A.

დაჰბადნა და გამოაჩინა ესე ვრცელ საუნჯე, ყოვლისავე აღმავსებელისა
მის და მხოლოდ გარეშეუწერელისა ღმრთეებისა თჳსისა, რაჟამს
ყოვლად უვნებელად მის შორის შემოკრბა, ყოვლად დამცველობითა
თჳსისა გარეშეუწერელობისაჲთა და ყოვლად მქონებელობითა მის
5 შორის ადგილისა ვრცელისა და[353] განსასუენებელისაჲთა]*[354].

დღეს საუნჯე ცხორებისა, უფსკრული მადლისა, არა უწყი, თუ ვითარ
ვიტყოდი კადნიერითა და შეუძრწუნებელითა ბაგითა, სიკუდილითა
ცხორებაშემოსი**[C396v]**ლითა დაიფარვის და შეუძრწუნებელად
შეემთხუევის მას, ვითარცა მშობელი დამჴსნელისა მისისა, უკუეთუ
10 ოდენ ჯერ-არს სიკუდიდ წოდებაჲ ყოვლადდიდებულსა ამას და
ცხოველსმყოფელსა მიცვალებასა მისსა, რამეთუ რომელმან-იგი[355]
ყოველთა ჭეშმარიტი იგი ცხორებაჲ აღმოუცენა, ვითარ თჳთ იქმნეს
შესაპყრობელ სიკუდილისა? არამედ ნებსით[356] მორჩილ ექმნების[357]
საზღვრისდადებათა თჳსისა **[A388r]** შობილისათა და ვითარცა ასული
15 ადამ პირველისა, გარდაიჴდის მამულთა თანანადებთა[358], ვინაჲთგან
ამისმანცა ძემან, თჳთცხორებამან[359], არა გარე-მიაქცია სიკუდილისაგან,
ხოლო ვითარცა დედაჲ ღმრთისა ჭეშმარიტისაჲ, ღირსებით აღყვანებულ
იქმნების მისსა, რამეთუ უკუეთუ პირველქმნილისა[360] ადამისთჳს იტყჳს
ღმერთი - „ნუუკუე მიყოს ჴელი და მოიღოს ცისა მისგან ცხორებისა[361]
20 და ჭამოს და ცხონდეს უკუე”[362], ვითარ თჳთ რომელმან-იგი შვა
ცხორებაჲ დაუსაბამოჲ და დაუსრულებელი, რომელი არაოდეს ჰმონებს
საზღვართა დასაბამისა და დასასრულისათა, არა საუკუნოდ ცხონდეს
დაუსრულებელთა საუკუნეთა?

3) ძუელსადმე უფალმან ღმერთმან დასაბამნი კაცთა ნათესავისანი,
25 აღვსებულნი დაუპყრობელობითა ურჩებისაჲთა და მთრვალობისა მიერ
გარდასლვისა, მირულებულნი თუალითა გულისაჲთა, რომელთანი
სახედველნი გონებისანი დამძიმებულ იქმნნეს ლირწებითა
შეცოდებისაჲთა და დაიძინეს სიკუდიდ ძილითა მაკუდინებელითა,

---

353 და BC] - A.

354 კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული მონაკვეთი *[და ყოვლისავე... განსასუენებელისაჲთა]* აკლია წინაათონურ თარგმანს ნუსხის დაზიანების გამო.

355 რომელმან-იგი A] რომელმან BC. **აქედან გრძელდება ტექსტი წინაათონურ რედაქციაში (D-ში), ე. ი. D-ს აკლია პირველი ჰომილიის დასასრულის მოზრდილი მონაკვეთი – ხელნაწერის 4 გვერდი და მეორე ჰომილიის დასაწყისი აგრეთვე 4 გვერდი, კერძოდ, 384r-387v.**

356 ნებსით A] ნეფსით BC.

357 ექმნების AB] იქმნების C.

358 თანანადებთა AC] თანამდებთა B.

359 h autozwh (PG 96 col. 725 C15-D1).

360 პირველქმნილისა A] პირველქმნულისა BC.

361 მისგან ცხორებისა და BC] მისგანი ცხორებისაჲ A.

362 **დაბ. 3,22.**

ექსორია-ყვნა გამოვლინებითა ედემისაგან სამოთხისა; ხოლო აწ ვნებაჲ
იგი **[B402v, C397r]** ურჩებისა მათისაჲ განგუყარა ჩუენგან, რაჟამს
ნაყოფი ღმრთისა მამისა მორჩილებისაჲ აღმოაცენა ჩუენგან; ვინაჲცა
დამწყებელი ესე ცხორებისა ყოველთა ნათესავთაჲსაჲ ვითარ არა
სამოთხემან შეიწყნაროს, ვითარ არა მხიარულებით განეხუნენ ბჭენი 5
ზეცათანი ყოვლადსამართლად და ჯეროვნად? რამეთუ ევა სასმენელნი
შემსჭუალნა თხრობასა გუელისასა და ისმინა სწავლაჲ ბოროტისაჲ,
რაჟამს მტყუვარისა და მაცთურისა გულისთქუმისა გემოჲთა შუებულ-
ყვნა სასმენელნი თჳსნი და ესრეთ მოისთულო[363] მიზეზი ურვისა და
მწუხარებისაჲ, თავსდებაჲ ლმობათა შობისათაჲ და ადამის თანა დაისაჯა 10
სიკუდიდ დამკჳდრებად ქუესკნელთა შინა ქუეყანისათა, ხოლო ამან,
ჭეშმარიტებით ყოვლადსანატრელმან, სიტყუასა ღმრთისასა განუხუნა
საცნობელნი[364] თჳსნი და აღივსო შეწევნითა სულისა წმიდისაჲთა და
ჴმითა მთავარანგელოზისაჲთა მუცლად-იღო სათნო-ყოფაჲ მამული[365]
და თჳნიერ გემოვნებისა და მამაკაცისა ცნობისა, დაიტია ყოველთა 15
აღმავსებელი[366] გუამი **[A388v]** სიტყჳსა ღმრთისაჲ[367]. და შვა თჳნიერ
ლმობათა უჭირველად ვინაჲცა, ვითარ შთანთქას სიკუდილმან
ესრეთ ყოვლითურთ შეერთებული ღმრთისა, ვითარ მიითუალოს
ჯოჯოხეთმან, ანუ რად მკადრე ექმნას[368] განსახრწნელი გუამსა ამას,
ცხორების შემწყნარებელსა[369]? 20

ნამდჳლვე შორიელ და უცხო არს ყოველი ესევითარი
ღმერთშემოსილისა მის სულისაგან და ჴორცთა, რომლისა ხილვითა[370]
ძრწოდა სიკუდილი, რამეთუ ვინაჲ**[C397v]**თგან ძესა მისსა ეკუეთა,
განისწავლა მისგან შემთხუევითა მით და განბრძნდა გამოცდილებით
სწავლულებითა. ამის ყოვლადდიდებულისა მიერ უვალ მისსა იქმნეს[371] 25
ბნელსავალნი იგი ჯოჯოხეთისანი და ფრიად რაჲმე წრფელ და
ყოვლადბრწყინვალე სავალ ექმნეს მისთჳს განმზადებულნი იგი
აღსავალნი ზეცათანი[372], რამეთუ „უკუეთუ სადამე ვიყოო[373], მუნცა
მსახური ჩემი იყოს"[374] - იტყჳს ქრისტე, ცხორებაჲ და ჭეშმარიტებაჲ.

363 მოისთულო A] + მიერ BC.

364 საცნობელნი A] სასმენელნი BC.

365 სათნო-ყოფაჲ მამული] thn patrikhn eudokian PG 96 col. 728 B 9-10 (h patrikh= მამისეული,მამა ღმერთის კუთვნილი).

366 აღმავსებელი BC] აღმავსებელთა A.

367 სიტყჳსაჲ A]სიტყჳსა ღმრთისაჲ BC.

368 ექმნას A] ექმნეს BC.

369 ცხორების შემწყნარებელსა BC] ღმრთისშემწყნარებელსა A. tou zwodocou PG 96, col. 728 B 14.

370 ხილვითა A] ხილვისაგან BC.

371 იქმნეს A] იქმნნეს BC.

372 ზეცათანი AC] ზეცისანი B. **იბ.14,6.**

373 ვიყოო A] ვიყო BC.

374 **იბ. 12,26.**

ვითარ არა უფროჲს დედაჲ მისი იქცეოდის მის თანა, რამეთუ რომელმან
პირველ სალმობათა შვა, ამისი სიკუდილიცა უზესთაეს ყოველთა
სალმობათა თანა-წარჰვალს[375]. სიკუდილი ცოდვილთაჲ ბოროტ არს[376],
ხოლო სადა საწერტელი სიკუდილისაჲ, ცოდვაჲ, მკუდარ იყოს, რასა
5 ვიტყოდით მისთჳს, თჳნიერ - რაჲთა დაუსრულებელისა ცხორებისა
დასაბამ სახელ-ვსდვათ დაძინებასა მისსა? ჭეშმარიტად პატიოსან არს
სიკუდილი წმიდათა უფლისა ღმრთისა ძალთაჲსათა, ხოლო **[B403r]**
ზესთა პატივისა არს მიცვალებაჲ დედისა ღმრთისა.

იხარებედ აწ ცანი და აღიტყუელედ ანგელოზთა! აწ იშუებდინ
10 ქუეყანაჲ[377] და ჰკრთებოდედ კაცნი! აწ ჰაერი მხიარული მი-მო-დაჰფენდინ
ჴმათა გალობისათა და ღამემან უნათლომან მოიძარცუენ ბნელისა
უშუერებაჲ მჭმუნვარებითურთ და ელვათაგან ცეცხლისათა მიემსგავსენ
იგი ჰაეროვნებასა დღისასა, რამეთუ ცხოველი იგი ქალაქი უფლისა
ღმრთისა ძალთაჲსაჲ სიმაღლედ აღიყვანების და მეფენი ტაძრით
15 უფლისაჲთ, საჩინოჲთ სიონით, აზნაურსა მას დედასა მათსა ზეცისა
იერუსალემსა, ძღუნად პატიოსნად მი**[C398r]**უპყრობენ მას. მეფედ ვიტყჳ
ქრისტეს მიერ მთავრად ყოვლისა სოფლისა დადგინებულთა წმიდათა
მოციქულთა, ხოლო ძღუნად – დედასა ღმრთისასა, მარადის ქალწულსა.

4) გარნა არავე უჯერო მგონიეს მე სიტყჳთ გამო**[A389r]**წერად, რაოდენ
20 ძალ-მედვას, და მსგავსებით გამოსახვად დიდებულისა ამის ღმრთისა
დედისა ზედა აღსრულებულთა სახილველთა, რომელთაჲ ზომით და
ფრიად შემოკლებით, ვითარ-იგი ითქუმის, ძესა მამისაგან ზემოჲთგანვე
თხრობით მოგჳღიეს სწავლაჲ მათი, რამეთუ ვითარ ჩემდა საგონებელ
არს, ესე წმიდათა უწმიდესი და უბიწოთა უუბიწოესი, ტაკუკი, გინათუ
25 უფროჲს უჭეშმარიტესად ვთქუა, წყაროჲ, აღმომაცენებელი ტკბილისა მის
მანანაჲსაჲ, მიწოლილ იყო ცხედარსა რასმე ზედა სახელგანთქუმულსა
მას შინა ქალაქსა დავითისასა, ვიტყჳ უკუე, საჩინოსა და საქადულსა[378]
სიონსა, რომელსა შინა აღესრულა სჯული წიგნისაჲ და იქადაგა
სჯული სულისაჲ, სადა-იგი სრულ-ყო სჯულიერი პასქაჲ, მომცემელმან
30 სჯულისამან ქრისტემან, და ჭეშმარიტი პასექი მოგუცა ძუელისა და
ახლისა სჯულისმდებელმან ღმერთმან, რომელსა შინა სერობასა
საიდუმლოჲსასა თჳსნი მოწაფენი იზიარნა კრავმან მან ღმრთისამან,
ამხუმელმან სოფლისა ცოდვათამან,[379] და დაუკლა მათ თავი თჳსი,
ვითარცა ზუარაკი ჭამებული[380] და დაწნიხა ღჳნოდ ტევანი ვენაჭისა

375 ყოველთა სალმობათა თანა-წარჰვალს A] თანა-წარჰვალს ზეშთა ყოველთა სალმობათა BC.

376 **ფს. 33,22.**

377 **ფს. 95,11; 96,1.**

378 საქადულსა A] სიქადულსა BC.

379 **ინ. 1,29.**

380 **ლკ. 15,23.**

ჭეშმარიტისა, სადა-იგი ქრისტე, მკუდრეთით აღდგომილი, მოციქულთა[381] ეჩუენა და, თომაჲს რწმუნებითა, მის მიერ არწმუნა ყოველთა კიდეთა სოფლისათა, ვითარმედ ღმერთ არს და უფალ[382] და შემდგომად აღდ[C398v]გომისაცა მის შორის ჰქონან თჳთებანი ორთა ბუნებათანი თითოეულითურთ მოქმედებით, თითოეულისაჲთ ჴელმწიფებით ნებით 5 მათითურთ, დაუსრულებელთა საუკუნეთა საუკუნეობად.

ამასვე შინა მწუერვალ ქალაქსა ყოველთა ეკლესიათასა იყო სამკჳდრებელი მოციქულთა; ამას შინა **[B 403v]** იქმნა მოციქულთა ზედა მოფენაჲ მრავალჴმისა და მრავალენისა და მრავალსახედ[383] მათდა მიფენილისა ყოვლადწმიდისა სულისაჲ[384]; ამას შინა მიიყვანა 10 ღმრთისმეტყველმან ღმრთისმშობელი და ჰმსახურებდა მას წესისაებრ მისდა რწმუნებულისა. ესე დედაჲ ყოვლისა სოფლისა ეკლესიათაჲ იყო სახლ, სავანე ღმრთისა დედისა[385] შემდგომად დიდებულისა მის ძისა მისისა მკუდრეთით აღდგომისა; ამას შინა ყოვლადსანატრელი ქალწული სამგზის სანატრელსა ცხედარსა ზედა მწოლარე იყო. 15

5) არამედ აქა რაჲ მოიწია სიტყუაჲ, რაჲთა აღგიარო თქუენ ლმობაჲ **[A 389v]**გულისა ჩემისაჲ, მჴურვალითა და მოტყინარითა ცეცხლითა სიყუარულისაჲთა[386] აღგზებულ ვიქმენ და საზარელითა რაჲთმე და სახარულევანითა ცრემლითა შევირევი, ვითარ-თუმცა თჳთ მას ცხედარსა[387] გარე-მოვეხუეოდე, საწადელსა და ღირსსა სურვილისასა, 20 აღსავსესა საკჳრველებითა, რომელმან ცხორების[388] დასაბამისა მის გუამისა მას ზედა დადებითა მიჰრონი მადლთა სიწმიდისაჲ მდიდრად დაიუნჯა[389], ვინაჲცა მე აწ ესრეთ მიხარის, ვითარცა ღირსქმნულსა ჴელით შეხებად და თუალით და პირით, შუბლით და ბაგით შემტკბობ**[C399r]** ლსა ყოვლადდიდებით დაბადებულისა მის და ღირსებით სახილველისა 25 გუამისასა. ქედსა მოუდრეკ და ღაწუთა შევახებ ასოთა მისთა და შესახებელსა ვიგრძნობ, ვითარცა აწვე მახლობელი და მქონებელი ღმრთისშემწყნარებელთა მათ ჴორცთაჲ[390]. და გულისჴმა-ვყო რაჲ,

---

381 მოციქულთა A] მოწაფეთა BC.

382 **ინ. 20,28.**

383 მრავალჴმისა და მრავალენისა] Purimorfo~ PG 96 col. 729 B 15. **წინაათონურ თარგმანში ეს სიტყვა სწორად არის გადმოღებული:** “მსგავსნი ცეცხლისანი”. აქ, ვფიქრობთ,არის არა მთარგმნელის შეცდომა (ანუ მან ერთმანეთში აურია “puri” და “polu”),არამედ ეს სიტყვა უთარგმნელად დატოვა,ხოლო “მრავალსახედ” მიემართება ამავე ფრაზის სხვა სიტყვას,კერძოდ: “ekkecutai”-ს.

384 **საქმ. 2,2-3.**

385 დედისა AB] დედისაჲ C.

386 სიყუარულისაჲთა A] სურვილისაჲთა BC.

387 ცხედარსა AC] + ზედა B.

388 ცხორების B] ცხორებისა AC.

389 მდიდრად დაიუნჯა BC] – A.

390 Sunistamenh~ tou swmato~ PG 96 col. 729 D 4. **წინაათონურ თარგმანში უფრო**

ვერ შეუძლებ თუალითა განცდად სასურველსა მას, რამეთუ ვითარ
მისწუთენ სახედველნი ზეცისა სავანეთა მიმართ აღტაცებულსა მას?!
და ესე უკუე აწ იქმნების ჩემ შორის ჟამსა ამას.

6) ხოლო რაჲ-მე იყვნეს მაშინ ჟამსა მას? - პატივნი იგი, მის ზედა
5 აღსრულებულნი პატივისცემად მშობელთა სჯულისმდებელისა მიერ,
რამეთუ ყოვლითკერძო კაცთა მესათხევლე-ყოფად ყოველსა ქუეყანასა
მი-მო-განთესულნი მოციქულნი მრავალშეწყობილებითა მით და
თითოფერითა ენებითა სულისაჲთა, რაჲთა სიტყჳსა ბადესა შეაწყუდინენ
კაცნი, უფსკრულთაგან საცთურისათა აღმოყვანებულნი სულიერისა
10 მიმართ[391] ტაბლისა ზეცათაჲსა სერობისა საიდუმლოჲსა სამღდელოჲსა
მისსა ინაჴისა[392] სულიერისა ქორწილისა ზეცისა სიძისაჲსა, რომელნი-
იგი მამამან ბრწყინვალე და ფრიად სამეფო სანოვაგე-ყვნა
ერთძალისა და ერთბუნებისა მის თანასწორისა ძისა თჳსისა. ესენი
საღმრთოჲთა ბრძანებითა, ვითარცა ბადითა, ღრუბელთა მიერ კიდით
15 ქუეყანისაჲთ შემოკრბეს წმიდად ქალაქად იერუსალემად, ვითარცა
არწივნი მალემსრბოლნი, შემოკრებულნი და შეერთებულნი, **[B404r]**
რამეთუ სადაცა მძორიო, ჭეშმარიტებაჲ იტყჳს, მუნცა შეკრბ**[C399v]**
ების[393] ორბები[394], რომელ არს არწივები. ესე სიტყუაჲ, დაღაცათუ მან
თავადმან[395] წინაწარ-თქუა[396] დიდისა მისთჳს და დიდებულისა მეორედ
20 ზეცით გამოჩინებისა თჳსისა, არამედ არავე უჯერო არს, ვითარცა
შესანელებელსა რასმე სიტყჳსასა, აქაცა მოღებაჲ მის[397].

მოიწინეს უკუე თუალითმხილველნი **[A390r]** და ჭელითმსახურნი
სიტყჳსანი[398], რაჲთა ვითარცა თანამდებთა, ჰმსახურონ დედასაცა
სიტყჳსასა და ვითარცა სამკჳდრებელი მრავალსასყიდლისა და
25 ზესთასაფასისაჲ, დაიმკჳდრონ კურთხევაჲ მისი, რამეთუ ამას ზედა ვისი
ცნობაჲ იჭუეულ იყოს, ვითარმედ თჳთ ესე არს წყაროჲ კურთხევისაჲ,
აღმომაცენებელი ყოველთა კეთილთაჲ. ამათ თანა იყვნეს მოყუასნიცა
და მონაცვალენი მსახურებისა მათისანი, რაჲთა ვითარ-იგი მსახურებასა,
ეგრეთვე კურთხევასაცა ზიარ იქმნენ[399], რამეთუ რომელთაჲ ზოგადი
30 არს შრომაჲ მათი, სწორნაყოფიცა შრომისაჲ წარმოდგომილ იყვნეს
იერუსალემითცა, რაოდენნი იყვნეს კრებულ ღმრთივგამორჩეულ;

---

**ზუსტად არის გადმოცემული აზრი:** "ვითარცა გუამსა წინამდებარესა".

391 მიმართ A] მომართ BC.
392 ინაჴისა BC] ენაჴისა A.
393 შეკრბების A] შეკრბის BC.
394 **მთ. 24,28.**
395 მან თავადმან BC] თავად მან A.
396 წინაწარ-თქუა AB] წინაჲსწარ-თქუა C.
397 მოღებაჲ მის A] შემოღებაჲ მისი BC.
398 Tou logou qeraponte~ PG 96 col. 732 B 5.
399 იქმნენ AC] იქმნნენ B.

ხოლო საჴმარ-იყო ძუელთაცა მართალთაჲ და წინაწარმეტყუელთა
მწყობრისაჲ შეერთებულ-ყოფაჲ ზიარებასა საღმრთოჲსა ამის
ძღუნისშემწირველობისასა[400], ვითარცა წინამომთხრობელთაჲ მისგან
ჩუენთჳს კაცთმოყუარებით შობასა ღმრთისა სიტყჳსასა. არამედ არცა
ბანაკი ანგელოზთაჲ უნაწილო იქმნა, რამეთუ რაოდენნი მორჩილ 5
იყვნეს ნებასა მეუფისასა და მის ძლით ღირს ბრწყინვალედ მის წინაშე
დგომასა, უჴმდა წინამძღუანველ-ყოფაჲ ჴორციელად მშობელისაცა
მისისაჲ, **[C400r]** ყოვლადნეტარისა და სამგზის სანატრელისა[401],
უზესთაესისა უფროჲს[402] ყოველთა ნათესავთა და ყოვლისა აგებულებისა.
ამას გარე-მოადგეს ყოველნი, ელვითა სულისაჲთა განბრწყინვებულნი 10
და ბრწყინვალენი; შარავანდედთაგან კრძალულებისა და შიშისა და
მიუდრეკელისა სურვილისათა მისდა შემსჭუალულ იყვნეს თუალითა
საცნაურითა[403], რამეთუ არცა ერთი იყო არსთაგანი, რომელსა-ესე არა
აქუნდა, ანუ თუ ვითარცა ყოვლად ერთნება ქმნილთა პატივისათჳს
მისისა, რამეთუ არცა რაჲ არს დაბადებულთაგანი უზესთაეს მისსა, 15
რომელიმცა არა მყის თჳნიერ ორგულებისა მოუდრკა მას და მოუდრკეს
რაჲ, მყის მითუალულ იქმნების სიმდაბლისათჳს გონებისა, ვითარცა
ყოვლისავე მოქმედი, ეგრეთვე ვერცა ერთისა რაჲს მოქმედი.

7) აქა იხილებოდეს[404] სიტყუანი ღმრთივსულიერნი და ღმრთივ-
აღმოთქუმულნი, აქავე გალობანი რაჲმე ღმრთივშუენიერნი და 20
განსლვისანი, რამეთუ ამის მიერ თანა-ედვა ქებად ღმრთისა
ზესთა**[A390v]**უზომოსა სახიერებასა და **[B404v]** ზესთასიდიდისა[405]
დიდებულებასა და ძალგანუზომელსა ძლიერებასა და ყოვლისავე
სიმაღლისა და დიდებულისა მიერ კერძოსა ჩუენდა მომართ მისსა
დამდაბლებასა, ზესთასიმდიდრისა სიმდიდრესა და მიუწდომელსა 25
სიტკბოებასა, განუძღომელსა უფსკრულსა სიყუარულისასა; ვითარ არა
განეჴუა თჳსისა დიდებულებისაგან, შთა-მო-რაჲ-ვიდა დაცარიელებისა
მიმართ აღმამაღლებელისა, თანასათნო-ყოფითა მამისა და სულისაჲთა;
**[C400v]** ვითარ უზესთაესი არსებისაჲ, საშოსა შინა დედაკაცისასა
არს იქმნა ზესთაბუნებისა; ვითარ ღმერთი არს და კაც იქმნა, და 30

---

400 საღმრთოჲსა ამის ძღუნისშემწირველობისასა] th~ iera~ doruforia~ PG 96 col. 732 C 1. **წინაათონურ თარგმანშია:** "მათ თანავე გუნდი ანგელოზთაჲ განწყობილ იყო" (**წინაათონელი მთარგმნელი სწორად თარგმნის ბერძნული კონტექსტის** "doruforew"**-ს, ხოლო ეფრემს გადმოაქვს ბერძნული** "dwroforew"**=ძღვენის შეწირვა, რაც ბერძნულ კონტექსტს, აგრეთვე, შეესაბამება)**.

401 სანატრელისა A] სანატრელისაჲ BC.

402 უფროჲს ABC] + უფროს A.

403 **ამ ადგილიდან მე-7 ქვეთავამდე (უზესთაესისა...რაჲს მოქმედი) ბერძნული ტექსტი არ არის გადმოღებული წინაათონურ თარგმანში.**

404 იხილებოდეს A] იხილვებოდეს BC.

405 ზესთასიდიდისა C, ზეშთასიდიდისა B] ზესთასიდიდესა A.

ჰგიეს უქცეველად ქონებით თავსა შორის თჳსსა თჳთებასა ორთა[406] მათსა[407], ვითარ არცა ღმრთეებისა არსებაჲ აღმატებულ ყო და მსგავსადვე ჩუენსა ეზიარა ჴორცთა და სისხლთა[408]; ვითარ ყოვლისავე აღმავსებელი და ზესთა ყოვლისაჲ, რომელსა მოაქუს ყოველი, სიტყჳთა
5 ძლიერებისა თჳსისაჲთა იწროსა შინა საყოფელსა დაემკჳდრა; ვითარ ნივთიერმან და თივის[409] მსგავსმან გუამმან ქალწულისა, მარადის მოჴსენებულისამან, განმლეველი იგი შეიწყნარა ცეცხლი ღმრთეებისაჲ და ვითარცა ოქროჲ წმიდაჲ, განულევნელად ეგო. ესე ყოველი იქმნა ნებებითა ღმრთისაჲთა, რამეთუ შესაძლებელ ყოველივე იგი იქმნების,
10 რაჲცა ინებოს ღმერთმან, ვითარ-იგი შეუძლებელცა იგი ოდენ არს, რომელი მის მიერ არა ნებებული[410] იქმნეს; ვინაჲთგან უკუე სიმრავლესა მის შორის მუნ შემოკრებულთა[411] ერთასა აღძრულ იქმნა შესწორებაჲ სიტყჳსაჲ, არათუ რაჲთა უჴდებოდინ ზესთა ქმნად ურთიერთას[412], რომელი-ესე ცუდადმზუაობრისაჲ არს ცნობისაჲ, რომელი უცხო იყოს
15 სათნო-ყოფისაგან ღმრთისა, არამედ რაჲთა არცა ერთმან ვინ დააკლოს გულსმოდგინებისა და ძალისაებრი რაჲმე, რამეთუ ღმერთსა აქებდეს და დედასა მისსა შეასხმიდეს.

8) მაშინ უკუე, მაშინ ადამ და ევა, პირველნი მამანი ნათესავთანი, მოხარულითა ბაგითა ბრწყინვალედ ღაღადებდეს: „შენ, ნეტარო ასულო,
20 დამჴსნელ იქმენ პატიჟსა გარდასლვისა ჩუენისასა; **[C401r]** შენ ჩუენ მიერ ხრწნილნი ჴორცნი დაიმკჳდრენ და გჳშევ ჩუენ უხრწნელებისა სამოსელი; შენ ყოფაჲ წელთა ჩუენთა განმიღე და ჩუენ მის წილ კეთილ-ყოფაჲ[413] უკ-მოგჳზღე[414]; ლმობანი დაჰჴსნენ, სახუეველნი სიკუდილისანი განჰჴსნენ[415] და დასაბამისაჲვე იგი დამი**[A391r]**მკჳდრე ჩუენ საყოფელი;
25 ჩუენ დავჰჴაშთ[416] სამოთხე, ხოლო შენ განაღე გზაჲ ხისა ცხორებისაჲ; ჩუენ მიერ იქმნა მხიარულებათა მწუხარებად გარდაქცევაჲ, ხოლო

406 ორთა A] ორთავე BC.

407 ჰგიეს უქცეველად ქონებით თავსა შორის თჳსსა თჳთებასა ორთა მათსა] kai menei kata tauton uparcwn amfotera PG 96 col. 733 A 9-10. **ეს ფრაზა შემდეგნაირად არის გადმოღებული წინაათონურ თარგმანში:** "და დაადგრა, რომელი იყო, რომლითაცა იქმნა ერთ ძᲂ, რამეთუ არა გამოვიდა იგი ბუნებისაგან მამულისა და არსებისაგან ღმრთეებისა".

408 **ებრ. მიმ. 2,14.**

409 თივის AB] ნივთის C.

410 ნებებული A] ნებებულ BC.

411 შემოკრებულთა A] შეკრებულთა BC.

412 ურთიერთას AB] ურთიერთარს C.

413 კეთილ-ყოფაჲ A] კეთილად ყოფაჲ B.

414 უკ-მოგჳზღე A] უკუ მოგჳზღე B; და ჩუენ... უკ-მოგჳზღე AB] - C.

415 სახუეველნი სიკუდილისანი განჰჴსნენ AB] - C.

416 დავჰჴაშთ AC] დავჴაშთ B.

შენ მიერ – მწუხარებათა ჩუენთა[417] სიხარულად შეცვალებაჲ **[B405r]** და ვითარ სიკუდილისა გემოსა იხილავ, ჰ უხრწნელო! შენ ხარ წიაღ სავალი ცხორებისაჲ, კიბე ზეცათაჲ. ამისთჳსცა სიკუდილი გექმნების ჴიდ, წიაღმყვანებელ უკუდავებისა მიმართ. ნამდჳლვე ნეტარ ხარ შენ, ყოვლადნეტარო, რამეთუ რაჲდა სხუაჲ შეგემთხუევის, თჳნიერ 5 მასვე თავს-იდებ, რომელი კაცთათჳს თავს-იდვა[418] სიტყუამან, შენგან ჴორცშესხმულმან".

ამათ თანა ჴმა-ყვეს ყოველმან[419] მწყობრმან წმიდათამან წმიდათა უწმიდესისა მიმართ: „შენ ხარ სრულმყოფელი წინაწარმეტყუელებათა ჩუენთა![420] შენ ხარ აღმასრულებელი შუებათა, ჩუენ მიერ მოლოდებადთაჲ, 10 რამეთუ შენ მიერ განვიჴსნენით საკრველთაგან სიკუდილისათა! მოვედ ჩუენდა, ჰ საღმრთოო და ცხორებაშემოსილო ფასისა საცავო[421]! მოიწიე მოსურნეთა მომართ, სრულმყოფელო კეთილსურვილთა[422] ჩუენთაო! ამათ ჴმათა თჳსად მიიზიდვიდეს ჯერეთ[423] ჴორცთა შინა მყოფნი წმიდანი, რომელთა სიმრავლე წარსრულთა მათ სიმრავლისა სათხოველსა თჳსად 15 განიკუთნვიდა, ერთბამად რაჲ ჰრქუეს წმიდასა დედოფალსა: „ეგე ჩუენ თანა, ეგე, იყავ და ნუ დამიტევებ ჩუენ, დიდო ნუგეშინისცემაო და მხოლოო მხიარულებაო ქუეყანისა მკჳდრთაო, ნუ დამიტევებ ობლად მოწაფეთა, პირველ ობოლქმნილთა[424] ძისა შენისა**[C401v]**გან, ჰ დედაო, თანალმობილო და მწყალობელო ჭირთა ჩუენთაო, რამეთუ შენ გუაქუ 20 ჭირთა განმსუენებელად და მლხინებელად ოფლთა შრომათა ჩუენთასა. შენ დადგრომაჲ[425] თუ ინებო, ძალ-გიც ესრეთ ყოფად, და ჴელ-გეწიფების წარსლვაჲ[426], თუ გულს-იდგინო; უკუეთუ აღიმაღლებ, კარავი ეგე ღმრთისაჲ, და ჩუენცა[427] თანა-აღგჳყვანენ ერი შენი, მოგებული ძისა შენისა მიერ. შენ მხოლოჲ ქუეყანისათა მოგჳგიე ღონედ გზისა 25 მის ცხორებისა წარმმართებელად; შენდა ცხორებაჲცა ცხორებაჲ[428] არს და სიკუდილიცა – ნეტარებით თანასიკუდილ ყოველთა ცხორებისა ძისა შენისა; და რად ვიტყჳთ სიკუდილსა, რამეთუ შენდა სიკუდილი

---

417 ჩუენთა A] ჩუენთაჲ BC.
418 თავს-იდვა A] დაითმინა BC.
419 ყოველმან BC] ყოველნი A.
420 შენ ხარ სრულმყოფელი წინაწარმეტყუელებათა ჩუენთა] - C.
421 ფასისა საცავო A] ფასის საცაო BC.
422 კეთილსურვილთა A] სურვილთა BC.
423 ჯერეთ BC] ჯერთ A.
424 ობოლქმნილთა] prokinduneuonta~ PG 96 col. 733 D 9 (prokinduneuw = ვიღაცის გამო განსაცდელში ჩავარდნა). **ეფრემმა ხატოვანი თარგმანი გააკეთა, ხოლო წინაათონურმა ზუსტად გადმოიღო ბერძნული ტექსტი:** "განსაცდელთა".
425 დადგრომაჲ BC] დადგომაჲ A.
426 წარსლვაჲ AC] წარსლვად B.
427 ჩუენცა AC] ჩუენ B.
428 ცხორებაჲ AC] ცხორება B.

ცხორება არს უზეშთაეს[429] ყოველთა ცხორებათა და საწუთოჲსა[430] ამის ცხორებისასა ყოვლადუზეშთაეს[431] შეუსწორებელითა თანაშეტყუებითა. ხოლო ჩუენდა ვითარ საცხორებელ იყოს საწუთოჲ ესე, რაჟამს არა გუაქუნდე შენ თანამოზიარედ ამის ცხორებისა?”

9) ესევითართა **[A391v]** სიტყუათა მეტყუელ მგონიან მე მოციქულნი ყოველსა თანა სავსებასა ეკლესიისასა ნეტარისა მიმართ ქალწულისა ღმრთისმშობელისა, არამედ ვინაჲთგან ხედვიდეს მას მოსწრაფედ ჴორცთაგან განსლვისა მიმართ, რამეთუ სურვიელ იყო დედაჲ ღმრთისაჲ მისლვად ძისა და მეუფისა თჳსისა[432], ამისთჳს მიისწრაფეს გალობათა მიმართ განსლვისათა, აღვსებულთა მადლითა საღმრთოჲთა; **[B405v]** პირნი აღივსნეს[433] სულითა, ყოვლადგანსრულთა ჴორცთაგან, და სურვიელთა თანაწარყოლად ღმრთისა მიმართ აღმავალისა დედისა ღმრთისა. ამისთჳს[434], რაოდენ ეძლო, წინა-უსწრობდეს განსლვასა[435] მისსა, მოსწრაფედ სრბით[436] **[C402r]** კეთილისა ნებისაჲთა; ხოლო ვინაჲთგან ზოგად ყოველთა აღივსეს სურვილი და თანამდებობაჲ, და თითოფერთა[437] მიერ ყუავილთა გალობისათა მრავალსახედ შეუთხზეს[438] მას გჳრგჳნი დიდებული, რაჲთა მის წილ მოისთულონ კურთხევაჲ მისი, ვითარცა საუნჯე რაჲმე ღმრთივმონიჭებული მიძღუანებითა მისდა სიტყუათა გალობისა განსლვად წარსაგზავნელისათა, რომელნი-იგი იყვნეს, ვითარ მე მივსწუთები, გამომეტყუელებანი საწუთოჲსა ამის ცხორებისა მდინარეობისა და წარმავალობისანი და განცხადებულად წარმოჩინებანი ყოფადთა მათ კეთილთა დაფარულისა საიდუმლოჲსანი.

10) ამისსა შემდგომად რაჲღა გგონიეს უკუანაშედგომად პირველთქუმულთა ამათ თანამიყოლილად საქმედ მაშინდელსა მას ჟამსა, თჳნიერ რაჲსა ესე მე ვჰგონებ, – მეუფისა ყოველთაჲსა მოსლვასა მშობელისა მიმართ თჳსისა? და ვითარმედ ჴელთა შინა[439] საღმრთოთა და უხრწნელთა შეიწყნარა ყოვლადდიდებული და უბიწოჲ და მხიარული სული მშობელისა თჳსისაჲ, რომელი-იგი ესრეთ ეტყოდა ძესა თჳსსა:

429 უზეშთაეს BC] უზესთაე A.
430 საწუთოჲსა AB] საწუთროჲსა C (ყოველთვის).
431 უზეშთაეს BC] უზესთაე A.
432 რამეთუ სურვიელ იყო დედაჲ ღმრთისაჲ მისლვად ძისა და მეუფისა თჳსისა] kakeinh~ efiermenhn ewrwn thn qeomhtora PG 96 col. 736 A 15-16. **წინაათონურ თარგმანშია:** “შეცვალეს სიტყუაჲ იგი მათი”.
433 აღივსნეს BC] აღივნეს A.
434 ამისთჳს A] - BC.
435 განსლვასა AB] განსვასა A.
436 სრბით AC] სლვითა B.
437 თითოფერთა BC] + ყო A.
438 შეუთხზეს A] შეუთხზნეს BC.
439 შინა A] – BC.

„ჯერისაებრ ჴელთა შენთასა[440], ძეო ჩემო, შევჰვედრებ სულსა ჩემსა; მიითუალე უკუე შენ მიერ შეყუარებული ესე სული, რომელი შენ უბიწოდ დაჰმარხე ვიდრე მოაქამდე და ჴორცთაცა ჩემთა არა მიწასა შევჰვედრებ, არამედ შენვე დაიცვენ იგი ცხოველად, რომელმან სათნო-
ყავ დამკჳდრებაჲ მათ შორის და შემდგომად შობისა შენისა კუალად 5
ქალწულადვე დაიცვენ; ესენი შენვე შენდა მიმართ მიცვალენ, რაჲთა სადაცა შენ იყო, ნაყოფი მუცლისა ჩემისაჲ, მუნ ვიყო მეცა თანამოკარვე შენდა, რამეთუ შენდა მომართ **[C402v]** მოვალ, რომელი ჩუენდა[441] მოხუედ განუშორებელად; შენვე განსლვისა ჩემისათჳს ნუგეშინის-ეც
საყუარელთა შვილთა ჩემთა, რომელთა ძმად წოდებაჲ[442] სათნო-იყავ; **[A**
**392r]**[443] შესძინე კურთხევაჲ კურთხევასა მათსა ზედადასხმითა ჴელთა ჩემთაჲთა მათ ზედა”.

ამისსა შემდგომად, ვითარცა ჯერ-იყო მისსა, აღიპყრნა ჴელნი და აკურთხნა მუნ შემოკრებულნი და სიტყჳთა ჟამისა შემსგავსებულითა ეზრახა მათ. და მყის ესმა ჴმაჲ მწოდებელი: „აღდეგ, მოვედ, მახლობელო
ჩემო, შუენიერო შორის დედათა, რამეთუ აჰა, ზამთარი წარჴდა[444], ჟამი სთულებისაჲ მოიწია[445]. შუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო, და ბიწი არა არს შენ თანა[446], სული ნელსაცხებელთა შენთაჲ უფროჲს ყოველთა საკუმეველთა სულნელებისა არს”[447]. ესე რაჲ ესმა ყოვლადწმიდასა ქალწულსა, ჴელ**[B406r]**თა ძისა თჳსისათა შეჰვედრა სული თჳსი.

11) და რაჲდა იქმნა სხუაჲ თჳნიერ? ვითარ მე ვჰგონებ, – შეძრვაჲ და შეცვალებაჲ ნივთთაჲ, ჴმობაჲ და ტყუელვაჲ და ღირსებით გალობაჲ ანგელოზთაჲ, თანად წინამავალთა და უკუანამავალთაჲ, რამეთუ რომელთამე ძღუნისშემწირველობაჲ[448] ყოვლადწმიდისა
მის სულისაჲ აღასრულეს თანააღყოლითა ზეცად აღსლვასა მისსა, 25
ვიდრემდის წარადგინეს დედოფალი წინაშე საყდართა სამეუფოთა, ხოლო რომელნიმე საკჳრველსა მას და[449] დიდებულსა გარე-მოადგეს გუამსა მისსა წმიდასა და მით გალობითა აქებდეს დედასა ღმრთისასა,

440 შენთასა A] შენთა BC.

441 ჩუენდა A] ჩემდა BC.

442 წოდებაჲ A] წოდებად BC.

443 **392r-ს ბოლოში აქვს მინაწერი: „მომიჴსენე მე, უფალო! ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, მეოხ-მექმენ მე, შენს მონას, უღირს მდდელ-მონაზონს, გიორგის, დარჩიას”.**

444 წარჴდა AC] წარჰჴდა B.

445 **ქებ. 2,10-11.**

446 **ქებ. 4,7.**

447 **ქებ. 4,10.**

448 ძღუნისშემწირველობაჲ ყოვლადწმიდისა მის სულისაჲ აღასრულეს] twn men th amwmhtw kai panagia yuch thn doruforian plhrountwn PG 96 col. 737 A 4-5. **წინაათონურ თარგმანშია:** “გარე-მოადგეს სულსა მას წმიდასა უბიწოსა წმიდისა ქალწულისასა” (იხ. სქ. №400).

449 და A] - BC.

რომელი შუენის და შეჰგავს ანგელოზთა. მაშინ მუნ მდგომარენი
იგი ბანაკნი წმიდათა მოციქულთანი და რაოდენნი იყვნეს მათ თანა
მორწმუნენი ქრისტესნი[450], გუამსა[451] მას, ყოვლადდიდებულსა და
უბიწოსა[452], **[C403r]** სურვილით და შიშით, სიხარულით და ცრემლით
5 გარე-მოეხუეოდეს, ყოვლადსანატრელსა მას შეიტკბობდეს და ამბორს-
უყოფდეს, ყოველთავე ასოთა მისთა თჳსად-თჳსად მოუჴდებოდეს და
შეხებითა მათითა სიწმიდესა და კურთხევასა მიერ აღმოივსებდეს.

მაშინ სენნი განიჴადებოდეს, ეშმაკთა გუნდნი ყოვლითკერძო
განივლტოდეს და მხოლოდ ქუესკნელთა მიმართ წარიდევნებოდეს,
10 ხოლო ჰაერი ეთერითურთ და ცით ზოგად წმიდა იქმნებოდეს
აღსლვითა სულისა მისისაჲთა და ქუეყანაჲცა მათ თანა, მის შორის
დადებითა წმიდისა მის გუამისაჲთა; არცაღა წყალთა ბუნებაჲ
უნაწილო იქმნა მის მიერ კურთხევისაგან, რაჟამს მათ მიერ განიბანნეს
ღმრთისშემწყნარებელნი იგი ჴორცნი არა მისდა განსაბანელად, არამედ
15 უფროჲსდა თავისა **[A392v]** თჳსისა განსაწმედელად. მუნ განეხუმოდეს
ყურნი ყრუთანი, ხოლო მკელობელნი მიიღებდეს სიმკჳრცხლესა
ფერჴთა სლვათასა, ბრმანი განახლდებოდეს სახედველითა, ხოლო[453]
ცოდვილნი, სარწმუნოებით მოსრულნი[454], მიიღებდეს ჴელითწერილთა
მათთა განხეთქასა და ბრალთაგან თავისუფლებასა. ამისსა შემდგომად
20 სიდონითა წმიდითა წარიგრაგნა წმიდაჲ იგი გუამი და კუალად ცხედარსა
ზედა დაიდვა დედოფალი დაბადებულთაჲ. ამათ შეუდგეს ლამპარნი
ნელსაცხებელნი და გალობანი წარგზავნისანი, ანგელოზნი თჳსითა
ენითა აქებდეს, ხოლო მოციქულნი და მამანი ღმრთივშემოსილნი[455]
უგალობდეს გალობითა ღმრთივშუენიერითა და იხარებდეს სულითა.

25 12) მაშინ უკუე, მაშინ კიდობანი უფლისაჲ აღიღო მთით სიონით,
მოციქ**[C403v]**ულთა მიერ ცხედრითა ტჳრთული მჴართა ზედა, და
ზეცისა სავანეთა წარგზავნა, **[B406v]** შუაგანვლითა საფლავისაჲთა; და
უწინარეს ამისსა დიდებით განვლო შორის ქალაქისა, ვითარცა სძალმან
შუენიერმან, უსწრო მან სიკეთითა ბრწყინვალებისა მისგან სულისა და
30 ესრეთ წარიყვანა დიდებულსა დაბასა გეთსიმანიისა[456] წინაძღომითა და
უკუანაშედგომითა ანგელოზთაჲთა, რომელნი ფრთებითა ჰფარვიდეს და
უპირობდეს მას ყოველსავე თანა სავსებასა ეკლესიისასა. და ვითარცა
მეფემან სოლომონ, განსუენებასა მას კიდობნისა უფლისასა ტაძარსა

450 მორწმუნენი ქრისტესნი A] + გარემოჲს BC. oi pares twte~ PG 96 col. 737 A 10.
451 გუამსა BC] გაუამსა A.
452 ყოვლადდიდებულსა და უბიწოსა] tw panagiw kai ierwtatw PG 96 col. 737 A 10.
453 ხოლო A] – BC.
454 მოსრულნი A] მოსულნი BC.
455 ღმრთივშემოსილნი A] ღმერთშემოსილნი BC.
456 გეთსიმანიისა B] გეთსიმანისასა AC.

მას შინა უფლისასა, მის მიერ აღშენებულსა,[457] შემოკრიბნა ყოველნი
მოხუცებულნი ისრაელისანი სიონს შინა, რაჲთა აღიყვანონ კიდობანი
აღთქუმისა უფლისაჲ ქალაქით დავითისით, რომელ არს სიონ[458], და
აღიღეს მღდელთა კიდობანი და კარავი საწამებელი თანაშემწეობითა[459]
ლევიტელთაჲთა[460] და მეფე და ყოველი ერი წინაშე კიდობნისა 5
დასწყუედდეს ზროხათა და ცხოვართა ურიცხუთა და შეიყვანეს
მღდელთა კიდობანი აღთქუმისა უფლისაჲ დაბირსა სახლისასა, რომელ
არს წმიდაჲ-წმიდათაჲ ადგილი ჩუენებათა და უწყებათაჲ ქუეშეკერძო
ფრთეთა ქერობინთასა[461], ეგრეთვე აწ, განსუენებასა ამის საცნაურისაცა
ამის კიდობნისა არა აღთქუმისა უფლისასა, არამედ თჳთ სიტყჳსა 10
ღმრთისა გუამისასა, თჳთ ახალი სოლომონ, მთავარი მშჳდობისაჲ და
ყოველთავე საცნაურთა ზეცისა ძალთა ჭელოვნებით მოქმედი **[A393r]**
წესთა მათ ზესთასოფლისათა[462] და სოფლიოთაცა ამათ წინამძღუართა
ახლისა აღთქუმისათა, **[C404r]** ვიტყჳ[463] უკუე წმიდათა მოციქულთა,
რომელთა თანამყოფით ერითურთ იერუსალემისა წმიდათაჲთ ზოგად 15
შესაკრებელმყოფელ მათდა იქმნა თავისა თჳსისა თანა, და ესრეთ
წმიდაჲ იგი სული მისი ანგელოზთა მიერ შეიყვანა პირმშოსა მას სახესა
დასაბამისასა, რომელ არს ჭეშმარიტი იგი ზეცისაჲ წმიდაჲ წმიდათაჲ,
ქუეშეკერძო ფრთეთა ოთხხატედთა მათ ცხოველთასა, და წინაშე
საყდრისა თჳსისა წარადგინა უშინაგანესსა მას კრეტსაბმელსა შინაგან, 20
სადა-იგი წინამორბედად თჳთ თავადი ქრისტე ჴორციელად შევიდა.
ხოლო ჴორცნი იგი, ღმრთისშემწყნარებელნი, ჭელითა მოციქულთაჲთა
წარიგრაგნნეს და საფლავად წარიყვანნეს, რომელთა აბრალობდა მეუფე
მეუფეთაჲ ბრწყინვალებითა უხილავისა მის ღმრთეებისა თჳსისაჲთა,
და წინაძღომითა ყოველთა წმიდათა კრებულისაჲთა, რომელნი თანა- 25
უვიდოდეს და გალობდეს გალობასა წმიდასა და შესწირვიდეს ღმრთისა
მსხუერპლსა ქებისასა, ვიდრემდის დაიდვა სასძლოსა სამარისასა და
მიერ მიიწია ედემად ზეცისა საშუებელთა.

13) ხოლო იყვნეს მუნ ჰურიათაგანნიცა ვინმე, რაოდენნი ოდენ[464]

---

457 მის მიერ აღშენებულსა BC] – A.

458 **III მეფ. 8,1; II ნეშტ. 5,2.**

459 **ამ ადგილიდან C–ში არ იკითხება ხელნაწერის ნახევარი გვერდი.**

460 **III მეფ. 8,3-4; II ნეშტ. 5,4.** oi ierei~ kai oi Leuitai PG 96 col. 737 D 3-4. **წინა-ათონურში:** "მღდელთა და ლევიტელთაჲ".

461 **III მეფ. 8,5-6; II ნეშტ. 5,7.**

462 ზესთასოფლისათა] ზესათასოფლისათა **A,** ზეშთასოფლისათა B.

463 **ამ ადგილიდან აღდგა C-ს მიხედვით ვარიანტული სხვაობების ჩვენება.**

464 **აქ მთავრდება ტექსტი B-ს ფოტოპირში. როგორც ჩანს, ხელნაწერი (Ier. 23) ბოლონაკლულია.**

**[C404r]**[465] არა იყვნეს ფრიად უმადლო და უგულისჴმო[466], რომელთა ნათესავისათჳს თქუმული სიტყუაჲ არა უჯერო არს, რაჲთა ვითარცა შესანელებელი საჭმელსა, ეგრეთ შევზავოთ თხრობასა ამას ჩუენსა.

იტყჳან, ვითარმედ რაჟამს შთასავალსა მათისასა მიიწინეს
5 მტჳრთველნი იგი სანატრელისა მის დედისა ღმრთისა გუამისანი, მაშინ ჰურიაჲ ვინმე, მონაჲ ცოდვისაჲ და ტყუექმნული საცთურისაჲ, ემსგავსა მონასა მას კაიაფაჲსსა, რომელმან სცა სამეუფოსა მას და საღმრთოსა ყურიმალსა ქრისტესსა, და ესეცა იქ**[C404v]**მნა ორღანო ეშმაკისა სიმძაფრითა სილაღისა და პირუტყულისა კრთომისაჲთა: მირბიოდა
10 კუეთებად და მიერ ცხედრით გარდმოგდებად წმიდისა მის გუამისა დაბადებულთა დედოფლისასა, რომლისა შეხებაჲ ანგელოზთადაცა შიშ და ძრწოლა იყო, და ორთავე ჴელთა შთამოზიდვითა მოსწრაფე იყო დაკუეთებად მისსა მიწასა ზედა, შურითა და აღბორგებითა ბოროტთა დასაბამისაჲთა; არამედ წინა-უსწრო ნაყოფმან შრომათა
15 მისთამან და მოისთულო ტევანი მწარე და ღირსი სივერაგისა თჳსისაჲ, **[A393v]** რამეთუ მოსწყდეს ორნივე ჴელნი მისნი და იხილებოდა უჯეროებით და სილაღით ჴელმყოფელი იგი ურცხჳნოებისაჲ მეყსა შინა უჴელოქმნილად[467], ვიდრემდის სარწმუნოებად და სინანულად ცვალა ცნობაჲ თჳსი, რომლისათჳს საკჳრველებით დადგეს მყვანებელნი
20 იგი წმიდისა მის ცხედრისანი, ვიდრემდის მოწლედ ვედრებითა მის საწყალობელისაჲთა კუალად-ეგნეს მოკუეთილნი იგი ჴელნი გუამსავე უჴელოქმნილისასა გუამისაგან ცხორებისა დასაბამისა და საკჳრველისა მშობელისა, და იქმნა უჴელობისა წილ ჴელკეთილ, შეიცვალა რაჲ კეთილითა შეცვალებითა[468], ვითარცა არს მრავალგზის ჩუეულებაჲ
25 განსაცდელთა შემთხუევისა მიერ ლმობილთა შორის - შიშით მიდგომაჲ და სიბრძნით შობაჲ განზრახვასა საცხორებელსა. არამედ ჩუენ კუალადცა წინამდებარისა მიმართ პირისა[469] აღვესწრაფოთ.

14) ამიერ უკუე გეთსიმანიად წარიყვანა გუამი იგი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისაჲ, სადა-იგი კუალადცა ამბორისყოფანი და
30 შეტკბობანი, კუალად გალობანი **[C405r]** და შესხმანი, ქებანი სამღდელონნი, მიწვენანი და ცრემლნი შიშისაგან და სურვილისა, გარდამოდინებანი უფლისა ცუართანი, რამეთუ სახილველ იყო ოფლი ცრემლითურთ, შესწორებულ ნაკადულთა წყლისა მდინარისათა;

---

465 **ამ ადგილიდან A-ს ტექსტს ვუდარებთ მხოლოდ XII ს-ის ნუსხაში, Ier. 38-ში (ლიტერი C), არსებულ ტექსტს.**

466 არა იყვნეს ფრიად უმადლო და უგულისჴმო] osoi mh lian agnwmone~ PG 96 col. 740 B 3-4. **წინაათონურ თარგმანში ეს ფრაზა უფრო ზუსტად არის გადმოღებული:** "რომელნი იყვნეს არაგარდარეულად უგუნურ"**(იხ.: შენიშვნ. II, სქ. № 466).**

467 უჴელოქმნილად A] უჴელოქმნულად C (ყოველთვის).

468 კეთილითა შეცვალებითა A] შეცვალებითა კეთილითა C.

469 მიმართ პირისა A] პირისა მიმართ C.

და ესრეთ ყოვლადწმიდაჲ იგი დაიდვა ყოვლადსაქადულსა მას
შინა საფლავსა მრავალგანთქუმულსა, სადაჲთ-იგი მესამესა დღესა
ზეცისა საყოფელთა მიმართ მიიცვალა, რამეთუ შუენოდა ესევითარი
ღმრთივშუენიერი საყოფელი აღმოუთხრელსა მას წყაროსა მოტევებისა
წყლისასა, უშრომელსა მას ურნატსა[470] ზეცისა პურისასა, მოურწყველსა 5
ვენაჴსა ტევნისა მის უკუდავმყოფელისასა, მარადის აღყუავებულსა და
ნაყოფშუენიერსა ზეთისხილსა მამულისა მოწყალებისასა, რაჲთა არა
შეიწყუდიოს მიწასა შინა უქმსა და დაშთეს ქუეყანასა უნაყოფოსა,
არამედ ვითარცა მისგან მიხუმულნი იგი ჴორცნი წმიდანი სიტყჳსა
ღმრთისანი, მესამესა დღესა აღდგეს საფლავისაგან, ეგრეთვე გუამი 10
მშობელისა მათისაჲ აღიტაცოს საფლავით და მიიცვალოს ძისა მიმართ
დედაჲ, ყოფად მის თანა.

და ვითარცა-იგი თავადი მოწყალებით გარდამოჴდა მისსა, ეგრეთვე
ესე სიყუარულით აღვიდეს მისსა, უფროჲსსა მას და უსრულესსა კარავსა
ზეცისასა. **[A394r]** ჯერ-იყო მისსა, რომელმან-იგი სიტყუასა ღმრთისასა 15
ავასხა საშოჲ სავანედ განსასუენებელად, რაჲთა საღმრთოთა მათ შინა
სავანეთა ძისა თჳსისათა დაემკჳდროს და ვითარ-იგი უფალმან თქუა
თჳსი მამისა მიმართ წარსლვაჲ[471], ეგრეთვე დედასა უფლისასა შეჰგვანდა
ძისა მიმართ თჳსისა მისლვაჲ, რაჲთა იქცეოდის სამე[C405v]უფოთა
შინა მისთა სახლსა უფლისასა, ეზოთა სახლისა ღმრთისა ჩუენისათა[472], 20
რამეთუ უკუეთუ ყოველთა მხიარულთა მკჳდრობაჲ მის თანა არს[473],
სადაღა იყოს სხუაგან მიზეზი ყოვლისა მხიარულებისაჲ? ჯერ-იყო
მისსა, რაჲთა ვითარ-იგი შობასა ქალწულებაჲ, ეგრეთვე მიცვალებასა
ჴორცნი თჳსნი განუხრწნელად დაიცვნეს შემდგომად სიკუდილისა; ჯერ-
იყო ჩჩჳლებრ მტჳრთველისა მისთჳს დამბადებელისა, რაჲთა მარადის 25
ტჳრთულ იქმნეს საღმრთოთა მიერ საყოფელთა; ჯერ-იყო სძლისაჲ,
რომელი მიითხოვა[474] მამამან, რაჲთა სასძლოთა ზეცისათა დაემკჳდროს;
ჯერ-იყო, რომელმან ჯუარცუმასა იხილა ძე თჳსი და სალმობანი,
რომელნი თანა-წარჰჴდეს შობასა, მათმან მახჳლმან განვლო გული
მისი ჯუარცუმასა, რაჲთა იხილოს იგი თანამოსაყდრედ მამისა; ჯერ- 30
იყო დედისა ღმრთისა, რაჲთა მოიგნეს თჳსად სამწყსონი ძისა თჳსისანი
და ყოვლისავე დაბადებულისაგან[475] თაყუანის-იცემოს, ვითარცა დედაჲ
და მჴევალი ღმრთისაჲ. რამეთუ მარადის შვილთა მომართ მშობელთა
მიერ იქმნების დატევებაჲ სამკჳდრებელისაჲ, ხოლო აწ, ვითარ-იგი
თქუა ვინმე ბრძენთაგანმან, ზენათა მათ დიდთა მდინარეთა დაიტევენ 35

470 ურნატსა A] ორნატსა C.
471 **ლკ. 2,49.**
472 **ფს. 131,3.**
473 **ფს. 86,7.**
474 მიითხოვა A] მიითხოა C.
475 ყოვლისავე დაბადებულისაგან A] ყოვლისაგან დაბადებულისა C.

წყარონი, რამეთუ დედასა ძე დაუმონებს ყოველთა დაბადებულთა.

15) მოვედით[476] უკუე და ჩუენცა დღეს დღესასწაული განსლვისაჲ უდღესასწაულოთ დედასა ღმრთისასა, არა ავლთა რაჲთმე და კორჴვანტთა შორის შემოყვანებითა დედასა სახელმტყუვართა მათ ღმერთთაჲსა, ვითარ იგინი იტყჳან, - საკჳრველ-ჴჰყოფდეთ კრთომათა, რომელსა შვილმრავლად ზდაპართ-მოქმედებენ უგუნურნი, ხოლო ჭეშმარიტი სიტყუაჲ უშვილოდ წარმოადგინებს[477] მას, რამეთუ ეშმაკ არიან შვილსაგო**[C406r]**ნებელნი იგი მისნი და აჩრდილებრ, სიზმარ და ოცნება[478], რომელნი, რაჲ-იგი თჳთ არა არიან ჯეროვნად, ეგრეთ ყოფასა იჩემებენ და შეცთომილთა მათ უგუნურებასა თანაშესაწევნელ თჳსსა ჰყოფენ, რამეთუ შობს ვითა-მე-ა თანაყოფითა უჴორცოთაჲთა და ვითარ სახედ შეეყოფვის მათ **[A 394v]** და ვითარ ღმერთ არს და არაარსობისაგან არსად მოვალს შობითა? რამეთუ ვითარმედ უჴორცო არს ნათესავ ეშმაკთაჲ, ესე ყოვლით კერძო ცხად არს და თჳთ მათდაცა, რომელთანი დაბრმობილ არიან საცნაურნი იგი თუალნი, რამეთუ იტყჳს სადამე სიტყუათა შინა თჳსთა ომიროს, ღირსებით წარმომთხრობელი ღმერთთა მათ თჳსთა წესიერებათაჲ, ვითარმედ არა მოქენე არიან იფქლისა, არცა მსუმელ ცეცხლსა ღჳნოსა[479], ვინაჲთ უსისხლო არიან და უკუდავ სახელ-იდებიან; რამეთუ ძალი სიტყუათაჲ ამათ ესე არს, რომელ იტყჳს, ვითარმედ: არა ჭამენ საზრდელსა, არცა სუმენ ღჳნოსა[480] განმაჴურვებელსა; ამისთჳსცა უსისხლო არიან, რამეთუ სისხლი არა უთქს, და უკუდავად სახელ-იდებიან. ხოლო არა ეგრეთ არიან, ვითარ-იგი სახელ-იდებიან, რამეთუ დაღაცათუ არა ისხენ ჴორცნი მოკუდავნი, არამედ მომკუდარ არიან საცნაურთა მით სიკუდილითა სიბრხეთა თჳსთაჲთა.

ხოლო ჩუენ, რომელთა მიერ იმსახურების ღმერთი ჭეშმარიტი, ღმერთი, არათუ არა არსებისაგან მოსრული არსად, არამედ მარადის არსი მარადის არსისაგან, ზესთა მიზეზისა და სიტყჳსა, მოგონებისა და ცნობისა, ჟამთა და ბუნებისა, ჩუენ ჭეშმარიტად ღმრთისა დედასა პატივ-ვსცემთ[481] და ჴჰმსახურებთ, არა ღმრთეებასა მისისა პირველსაუკუნეთა უჟამოდ შობასა ამას მი**[C406v]**ვაჩემებთ, რამეთუ სიტყჳსა ღმრთისა შობაჲ უჟამო არს და თანადაუსაბამოჲ მამისაჲ, არამედ მეორედ შობასა მისსა ამისგან ჩუენთჳს ჴორცითა ნებსით[482] ვქადაგებთ, რამეთუ ამისი

476 მოვედით C] მოდით A.
477 წარმოადგინებს C] წარმოადგენს A.
478 ოცნება C] უცნება A.
479 ღჳნოსა C] ღჳნუსა A.
480 სუმენ ღჳნოსა C] სჳმენ ღჳნუსა A.
481 პატივ-ვსცემთ AC] პატივ-სცემთ AC.
482 ნებსით A] ნეფსით C.

მიზეზი ვიცით[483] და ვიტყჳთ, ვითარმედ იგი, რომელი იყო დაუსაბამო
და უჴორცო, ქრისტემან ჩუენთჳს და ჩუენისა ცხორებისათჳს ჴორცნი
შეისხნა, რაჲთა მსგავსითა მსგავსი აცხოვნოს, ხოლო ჴორცთა შესხმაჲ
მისი იქმნა შემდგომად წმიდისა ამისგან ქალწულისა, თჳნიერ ცნობისა
მამაკაცისა, რამეთუ უთესლოდ იშვა და ეგო ყოვლადღმერთ და იქმნა 5
ყოვლადკაც. იგივე არს ყოვლად ღმერთ ჴორცთა მისთა თანა და იგივე
- ყოვლად კაც ზესთა ღმერთთაჲსა მის თანა ღმრთეებისა მისისა.

ესრეთ უწყით ჩუენ დედად ღმრთისა ყოვლადწმიდაჲ ქალწული,
ესრეთ ვდღესასწაულობთ დაძინებასა მისსა, არა სახელ-ვსდებთ მას
ღმრთად. წარვედ ამიერ, რამეთუ წამართული სიჩქუარე არს ზღაპრობაჲ 10
ესე ღმერთათჳს დედალთა და მამალთა, ხოლო ჩუენ არა უწოდთ
ამას ღმრთად[484], რამეთუ სიკუდილსაცა მისსა მიუთხრობთ, არამედ
სახელ-ვსდებთ დედად ღმრთისა განკაცებულისა და ღმრთისმშობლად
აღვიარებთ.

**[A395r]** 16) ამას სამღდელოჲთა გალობითა ვაქებდეთ დღეს, 15
განმდიდრებულნი ესე ერ ღმრთისა ყოფითა და წოდებითა; ამას პატივ-
ვსცემდეთ[485] ღამე ყოველ მღჳძარებით დგომითა; ამას ვჰმსახურებდეთ
სიწმიდითა სულისა და ჴორცთაჲთა, ვითარცა ნამდჳლვე შემდგომად
ღმრთისა უწმიდესსა ყოველთასა, რამეთუ უხარის ვითამე მსგავსსა
მსგავსისა ზედა; ამას მოწყალე ვჰყოფდეთ წყალობითა და თანალმობითა 20
გლახაკთაჲთა, რამეთუ უკუეთუ არარაჲთ ესრეთ მოიმადლების ღმერთი,
ვითარ წყალობითა, ვინდა **[C407r]** წინა-აღგჳდგეს, ვითარმედ ესრეთვე
სწორად მისსა უხარის ამას ზედა დედასაცა მისსა?! ამან განგჳცხადა
მიუთხრობელი უფსკრული ღმრთისა ჩუენდა მომართთა სახიერებათა
სიყუარულისაჲ; ამის მიერ დაიჴსნა მრავალჟამეული იგი ბრძოლაჲ 25
ჩუენი დამბადებელისა მიმართ; ამის მიერ შემოკრბეს[486] მისსა მიმართნი
დასამშჳდებელნი ჩუენნი, რამეთუ მოგუენიჭა მადლი და მშჳდობაჲ,
რომლისათჳს ანგელოზნი იხარებენ კაცთა თანა და კაცნი მხიარულ
არიან ანგელოზთა თანა[487], რამეთუ შვილ ღმრთისა განვეწესენით
ყოვლად უპატივოქმნულნი[488] პირველად. ამის მიერ მოვისთულეთ 30

483 რამეთუ ამისი მიზეზი ვიცით C] - A.

484 წარვედ ამიერ, რამეთუ წამართული სიჩქუარე არს ზღაპრობაჲ ესე ღმერთათჳს დედალთა და მამალთა, ხოლო ჩუენ არა უწოდთ ამას ღმრთად] apage, th~ Ellhnikh~ terqreia~ ta toiauta muqeumata PG 96 col. 744 B 8-9. **ამ შემთხვევაში წინაათონური თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "ნუ იყოფინ, ვითარ-იგი იონნი უგუნურნი უცნებით იტყჳან"**(იხ.: შენიშვნ. II, სქ. № 484).**

485 პატივ-ვსცემდეთ C] პატივ-ვსცემდით A.

486 შემოკრბეს C] შემოკრებეს A.

487 ანგელოზნი იხარებენ კაცთა თანა და კაცნი მხიარულ არიან ანგელოზთა თანა] kai aggeloi~ sugcoreuousin anqrwpoi PG 96 col. 744 C 10. წინაათონურ თარგმანშია: "ამისთჳს კაცნი ანგელოზთა თანა მხიარულ არიან".

488 უპატივოქმნულნი A] უპატიოქმნილნი C.

ტევანი ცხორებისაჲ, ამის მიერ მოვიღეთ მორჩი უხრწნელებისაჲ. ესე წინამწინდებელ ჩუენდა იქმნა ყოველთა კეთილთა სიმრავლესა. ამის შორის იქმნა ღმერთი კაც და კაცი – ღმერთ. ამისსა რაჲღა უსაკჳრველეს არს, ამისსა რაჲღა უსანატრელეს არს?

5 აღვივსები ძრწოლითა და მეშინის კადნიერ-ყოფად მეტყუელებითა. მარიამის თანა წინაწარმეტყუელისა გიწოდ, ჰ ქალწულნო სულითა, რაჲთა ვიშუებდეთ ებნითა[489], მოვაკუდინნეთ რაჲ ასონი ჴორცთანი, რამეთუ[490] ამას გამოჰსახავს[491] ებანი ხედვითა საიდუმლოჲთა[492]. ღაღადვყოთ წინაშე კიდობნისა უფლისა ღმრთისა ღაღადებითა სულისაჲთა

10 და ზღუდენი დაეცნენ[493] იერიქოჲსანი[494], წინააღმდგომთა ძალთასა ვიტყჳ, ბილწებით შენებულებსა[495]. დავითის თანა ვჰკრთებოდით სულითა[496], რამეთუ დღეს განისუენა კიდობანმან უფლისა ღმრთისამან[497]. გაბრიელის თანა ვჴმობდეთ, წინამძღურისა ანგელოზ**[C407v]**თაჲსა: "გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა"[498]! გიხაროდენ, უფსკრულო

15 სიხარულისა დაულევნელისაო! გიხაროდენ, მხოლოო[499] აღმჴოცელო[500] მწუხარებისაო! გიხაროდენ, **[A395v]** გიხაროდენ[501], ყოველთა გულთა წამალო საკურნებელო და ყოვლად არამატკივნებელო! გიხაროდენ, რომლისა მიერ სიკუდილი განიჴადა და ცხორებაჲ შემოიყვანა.

17) ხოლო შენ, ჰ საფლავო წმიდათა უწმიდესო მეორეო[502],

20 შემდგომო ცხორებისაო[503] დასაბამისა საფლავისაო და აღდგომისა წყაროჲსაო, რამეთუ ვითარცა სულიერსა გეზრახები შენ: სადა არს ოქროჲ იგი უმანკოჲ, რომელი-იგი ჴელითა მოციქულთაჲთა შენ შორის დაიბალანტა? სადა არს სიმდიდრე დაულევნელი? სადა არს საუნჯე იგი, ღმრთისშემწყნარებელი? სადა არს ტრაპეზი სულიერი?

25 სადა არს ახალი იგი ქარტაჲ, რომელსა ზედა გამოუთარგმანებელად დაიწერა სიტყუაჲ ღმრთისაჲ თუნიერ ჴელისა? სადა არს უფსკრული

---

489 **გამ. 15,20-21.**

490 რამეთუ C] – A.

491 გამოჰსახავს A] გამოსახავს C.

492 **კოლ. მიმ. 3,15-16.**

493 დაეცნენ C] დაეცნე A.

494 **ისო ნავე 6,20.**

495 შენებულებსა A] შენებულებასა C.

496 ვჰკრთებოდით სულითა] skirthswmen Pneumati (PG 96 col. 744 D 9). **წინაათონურ თარგმანში უფრო ზუსტად არის გადმოღებული:** "სულითა ვიხარებდეთ".

497 **II მეფ. 6,14-15.**

498 **ლკ. 1,28.**

499 მხოლოო C] მხოლოვო A.

500 აღმჴოცელო A] ამჴოცელო C.

501 გიხაროდენ A] - C.

502 მეორეო A] მეურეო C.

503 ცხორებისაო A] ცხორებისა C.

მადლისაჲ? სადა არს ზღუაჲ კურნებათაჲ? სადა არს წყაროჲ, მშობელი
ცხორებისაჲ? სადა არს მრავალსასურველი და მრავალსაწადელი გუამი
ღმრთისმშობელისაჲ?

რაჲსა საფლავსა შინა ეძიებთ ზეცად მიცვალებულსა[504] მას
გუამსა, მოგუგებს და გუეტყუს საფლავი; რაჲსა მიმჴდით მე პატიჟსა 5
საპყრობილისასა, რომელსა არა ძალ-მიც წინააღდგომაჲ ბრძანებასა
მეუფისასა?! სიდონნი დაუტევნა გუამმან მან წმიდამან და დიდებულმან
და მე მომცა სიწმიდე, რამეთუ აღსავსე-მყო მიჰრონითა სულნელებისაჲთა
და მყო ტაძარ საღმრთო და თჳთ აღიტაცა, თჳნიერ წარტაცებისა,
წინაძღომითა **[C408r]** ანგელოზთა და მთავარანგელოზთა და ყოველთა 10
ზეცისა ძალთაჲთა; ხოლო აწ მე გარე-მომადგან ანგელოზნი, აწ ჩემ
შორის მკჳდრ არს საღმრთოჲ მადლი. მე ქმნილ ვარ[505] სნეულთათჳს
წამალ საკურნებელ[506], მე – წყარო კურნებათა დაუწყუედელ, მე –
განმჴდელ ეშმაკთა. მე ვარ ქალაქი, მისალტოლველი დევნულთაჲ.
მოვედით, ერნო, სარწმუნოებით და მდინარის სახედ აღმოივსენით 15
მადლნი! მოვედით, მომგებელნო სარწმუნოებისა შეუორგულებელისანო!
რომელთა გწყურის, წარვედით წყლად, ესაია გიბრძანებს, და რომელთა
არა გაქუს ვეცხლი, მივედით და იყიდდით თჳნიერ ფასისა[507]. მე
*ყოველთა მახარებლებრ უღაღადებ: წყურიელნი – სენთა კურნებისათჳს,*
*სულიერთა სენთაგან[508] გამოჴსნისათჳს, ცოდვათა აღჴოცისათჳს,* 20
*ყოველთავე განსაცდელთა გან[A396r]თავისუფლებისათჳს[509] და ზეცისა*
*სასუფეველსა შინა განსუენებისათჳს სარწმუნოებით მორბიოდეთ*
ჩემდა[510] და აღმოივსებდით ნაკადულსა მადლთასა, მრავალძალსა და
მრავალსაჴმარსა, რამეთუ ვითარცა-იგი მოქმედებაჲ წყლისაჲ მარტივ
და ერთ არს, არამედ ქუეყანისაებრ ჰაერისა და მზისა მცხინვარებისა 25
თითოეულსა ნივთსა[511] შინა, შემსგავსებულად თითოეულისა ბუნებისა,
შეიცვალების და იქმნების ვენაჴსა შინა ღჳნო და ზეთისხილსა შინა
– ზეთი, ეგრეთვე ჩემ შორის მკჳდრი მადლი მარტივ არს და ერთ,
ხოლო თითოსახედ და შემსგავსებულად თითოეულისა საჴმარებისა
მოქმედებს მიმღებელთა მათ შორის. არამედ არა თავით თჳსით მომიგია 30
**[C408v]** ძალი ესე, რამეთუ ყოველი საფლავი სიმყრალითა აღსავსე არს,
მომატყუებელ მწუხარებისა და წინააღმდგომ მხიარულებისა, ხოლო

504 მიცვალებულსა] metewrisqeisan PG 96 col. 745 B 1. **წინაათონურ თარგმანში ეს სიტყვა ზუსტად არის გადმოღებული:** "ამაღლდა".
505 ვარ A] – C.
506 საკურნებელ A] განსაკურნებელ C.
507 **ესაია 55,1.**
508 სენთაგან A] სენთა C.
509 განთავისუფლებისათჳს A] განთავისუფლებისა C.
510 **მთ. 5-6-10; ინ. 4,14; 7,37.**
511 ნივთსა C] ნივთასა A.

მე მიჰრონი მრავალსასყიდლისაჲ მიმიღიეს და მიერ სულნელებაჲ[512] მომისთულიეს და მიჰრონსა ამას ჩემსა ესე მადლი განუკუთნავს[513], რაჲთა მცირედისა გულსმოდგინებისა წილ მიუკლებელად მისცემდეს დაულევნელობასა ნიჭთა თჳსთასა, რამეთუ შეუნანებელ არიან
5 მადლნი ღმრთისანი; წყაროჲ ცხორებისაჲ ვისტუმრე და მის მიერითა განვმდიდრდი ყოვლადმოუკლებელითა ჩემ შორის მადლითა აღმოცენებითა სამარადისოჲთა[514].

18) ხედავთ-ა, საყუარელნო მამანო და ძმანო, ვითარითა სიტყჳთა მეტყჳველებს ჩუენდა მომართ ყოვლადკეთილად მოქადული საფლავი?
10 და ვითარმედ ესე ესრეთ არს, ამას ცხად-ჰყოფს თხრობაჲ, *ვითარმედ ევთჳმის ვისმე, ჟამთა თხრობისა აღმწერელსა, აღუწერია წიგნი მოთხრობაჲ მათ ჟამთაჲ, რომელსა შინა ქალკიდონისა კრებაჲ იქმნა, და მისსა მას წიგნსა უწოდს წმიდაჲ ესე თხრობად ევთჳმიანად, რამეთუ ესე ევთჳმი იყო კაცი, აღმწერელი საქმეთა მის ჟამისათაჲ ჩუეულებისაებრ
15 ბერძულთა ხრონოღრაფთა[515], ესე იგი არს ჟამთა აღწერათაჲ*[516-517] ევთჳმიანი, მესამესა საკითხავსა შინა მეორმეოცესა თავსა მის მიერ აღწერილსა ესრეთ:

თქუმულ არს ზემო ჩუენ მიერ, ვითარმედ მრავალნი ეკლესიანი ქრისტესნი აღიშენნეს[518] კონსტანტინოპოლის წმიდათა თანა **[A396v]**
20 მოჴსენებულისა პულჰერიაჲსგან[519], რომელთაგანი ერთი არს ვლაჰჴრნას აღშენებული დასაბამსა მეფობისა საკჳრველთა სავანეთა შინა განსუენებულისა მარკიანესსა. ამათ უკუე აღაშენეს მუნ ყოვლადსამსახურებელი ტაძარი ყოვლადქებულისა და ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისი, რომელი-იგი
25 შეამკვეს ყოვლითა სამკაულითა და ძიება-ყვეს ყოვლადწმიდისათჳს და ღმრთისშემწყნარებელისა გუამისა მისისა. მიუწოდეს იობენ[C409r]ალის, მთავარეპისკოპოსსა იერუსალემისასა, სხუათა თანა ეპისკოპოსთა

---

512 სულნელებაჲ A] სურნელებაჲ C.

513 განუკუთნავს A] განმიკუთნავს C.

514 ბერძნულ ტექსტშია: "kai tauth~ aennaon eplouthsa thn anablusin PG 96 col. 745 D 6-7. **წინაათონური ტექსტის მთარგმნელმა გადმოიღო ბერძნული ტექსტი უცვლელად:** "აღმოვივსე მისგან სიღრმჱ მადლთა მათ დაულევნელთაჲ".

515 ხრონოღრაფთა D] ხრონოღრთფთა A; - C.

516 *ვითარმედ ევთჳმის ვისმე ... აღწერათაჲ*] **ეს მოზრდილი, 4-5 სტრიქონიანი, მონაკვეთი არ არის ეფრემისეული თარგმანის C ნუსხაში (Ier. 38-ში), რომელიც ბოლონაკლულია.** იყო თუ არა ეს მონაკვეთი Ier. 23-ში (B-ში), არ ვიცით, რადგან ამ ნუსხის ფოტოპირს ტექსტი, მე-13 ქვეთავიდან ჰომილიის ბოლომდე, აკლია.

517 *ვითარმედ ევთჳმის ვისმე...აღწერათაჲ*] **ეს მოზრდილი მონაკვეთი ეფრემის თარგმანისა არ არის არც ბერძნულ (PG 96 col. 748 A 3) და არც წინაათონურ ტექსტში (იხ.: შენიშვნ. II, სქ. № 517).**

518 აღიშენნეს C] აღიშენენეს A.

519 პულჰერიაჲსგან A] პოლჰერიაჲსგან C.

პალესტინისათა, რომელნი-იგი მაშინ მისრულ იყვნეს ქალაქად სამეუფოდ
კრებისა მისთჳს ქალკიდონისა; ეტყოდეს მათ და ჰრქუეს: „გუესმის
იერუსალემს ყოფად ეკლესიაჲ, პირველი და უპირატესი სხუათა ყოველთა
ეკლესიათაჲ, რაოდენნი აღშენებულ არიან ყოვლადწმიდისათჳს[520]
ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისსა დაბასა შინა, 5
გეთსიმანიად სახელდებულსა, სადა-იგი ცხორებაშემოსილი გუამი მისი
დაიდვა საფლავსა შინა; გუნებავს უკუე ნაწილსა მისსა მოყვანებად აქა,
მცველ-ყოფად სამეუფოჲსა ამის ქალაქისა.”

მიუგო იობენალ[521] და ჰრქუა: „არა ეგოდენ წერილი ღმრთივსულიერთა
წიგნთა შინა, რაოდენ თხრობისა მიერ ჭეშმარიტისა და ძუელითგან 10
უტყუველისა მოგჳღიეს სიტყუაჲ აღსრულებისათჳს წმიდისა
ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა[522] მარიამისსა, ვითარმედ
ჟამსა დიდებულისა[523] დაძინებისა მისისასა[524] ყოველი სიმრავლე წმიდათა
მოციქულთაჲ, საცხორებელად წარმართთა მიმოდაბნეულნი ყოველსა
სოფელსა, წამსა თუალისასა მაღლით მოყვანებულნი, შემოკრბეს 15
იერუსალემად; და ვითარცა მოიწინეს მისსა, იქმნა მათ ზედა ჩინებაჲ
ანგელოზთაჲ და ესმოდა მათ გალობაჲ საღმრთოჲ უზესთაესთა[525] მათ
ძალთაჲ და ესრეთ ყოვლადწმიდამან ქალწულმან საღმრთოჲთა დიდებითა
ზეცისაჲთა ჴელთა ღმრთისათა შეჰვედრა ყოვლადწმიდაჲ[526] სული თჳსი
სიტყჳთა რაჲთმე გამოუთქუმელითა, ხოლო ღმრთისშემწყნარებელი[527] 20
იგი გუამი მისი ანგელოზებრივითა და მოციქულებრივითა გალობითა
წარგრაგნა და წარიყვანა და დაიდვა საფლავსა გეთსი**[C409v]**მანისასა,
ადგილსა, რომელსა ზედა დადგრომილ იქმნა გალობაჲ და მწყობრთა
განწყობაჲ ანგელოზთაგან დაუცხრომელად დაუდუმებელი ვიდრე
სამ დღედმდე[528]. ხოლო შეკრებასა მას მოციქულთასა **[A397r]** ერთი 25
მათგანი[529], დაკლებული მათგან, შემდგომად სამისა დღისა მოიწია
და ინება თაყუანისცემაჲ ღმრთისშემწყნარებელისაჲ[530] მის გუამისაჲ.
ხოლო განაღეს რაჲ საფლავი იგი, ვერღარა პოვეს მუნ გუამი იგი
ყოვლადსაგალობელი, თჳნიერ ხოლო სახუეველნი მისნი მდებარე

520 ყოვლადწმიდისათჳს C] შემდგომად წმიდისათჳს A.
521 იობენალ A] იობენალი C.
522 და მარადის ქალწულისა C] – A.
523 დიდებულისა A] + მის C.
524 მისისასა C] მისსა A
525 უზესთაესთა A] უზეშთაესთა (ყოველთვის) C.
526 ყოვლადწმიდაჲ C] წმიდაჲ A.
527 ღმრთისშემწყნარებელი A] ღმრთივშემწყნარებელი C.
528 დღედმდე C] დღემდე A. + Meta de thn trithn hmeran th~ aggelikh~ umnwdia~ pausamenh~ PG 96 col. 749 A 11-12. **წინაათონურ თარგმანშია:** “და შემდგომად მისა დასცხრა გალობაჲ იგი”.
529 ერთი მათგანი] + Qwma PG 96 col. 749 A 12.
530 ღმრთისშემწყნარებელისაჲ A] ღმრთივშემწყნარებელისაჲ C.

იყვნეს მუნ, რომელთაგან აღივსნეს გამოუთქუმელითა სულნელებითა, და ესრეთ დაჰკრძალეს საფლავი იგი, განცუბრებულთა საკურველებისა მისგან საიდუმლოჲსა; მხოლოდ ამას გულისჴმა-ჰყოფდეს, ვითარმედ რომელმან სათნო-იყო განკაცებაჲ მისგან გუამოვნებით და ჴორცთა
5 შობაჲ, სიტყუამან ღმრთისამან და უფალმან დიდებისამან[531] და შემდგომად შობისა განუხრწნელად დაიცვა ქალწულებაჲ მისი, მანვე სათნო-იყო შემდგომად ამიერ მიცვალებისა მისისა უხრწნელისა მის და უბიწოჲსა გუამისა პატივცემულ-ყოფაჲ უხრწნელებითა და ამიერ მიცვალებითა პირველ საყოველთაოჲსა მის ზოგადისა აღდგომისა.

10 ხოლო იყვნეს მაშინ მოციქულთა თანა[532] წმიდაჲ ტიმოთე მოციქული, პირველი ეპისკოპოსი ეფესოჲსაჲ, და დიონოსი არიოპაგელი, ვითარცა თჳთ იგი დიდი დიონოსი წამებს ნეტარისა იეროთეოჲსთჳს თქუმულთა სიტყუათა შინა, რამეთუ იგიცა მაშინ მათ თანა იყო, რომლისათჳს მისწერს ტიმოთეს მიმართ და იტყჳს: *„ვინაჲთგან თჳთ მათ
15 ღმრთისმხილველთა მღდელთმთავართა ჩუენთა შორის, რაჟამს ჩუენცა, ვითარცა უწყი, განცადა მრავალნი დიდთა ძმათა ჩუენთაგანნი ხილვად ცხორებისდასაბამი**[C410r]**სა მის და ღმრთისშემწყნარებელისა გუამისა, შეკრებულ ვიყვენით; მუნ იყო იაკობცა, ძმაჲ უფლისაჲ, და პეტრე, თავი და უმოხუცებულესი ღმრთისმეტყუელთა პირველობისაჲ. ამისსა
20 შემდგომად ინებეს, შემდგომად ხილვისა მისისა, მღდელთმთავართა ყოველთა, ვითარცა თითოეულსა ძალ-ედვა, ქებად ძალგანუზომელსა მას სახიერებასა ღმერთმთავრობითისა ძლიერებისასა. მაშინ ყოველთა მძლე ექმნა, შემდგომად თავთა ღმრთისმეტყუელთაჲსა, სხუათა მათ მღდელმესაიდუმლოეთა ყოვლადაღმატებით, ყოვლადგანსლვით თავისა
25 თჳსისაგან, რამეთუ[533] საქებელთა მათ მიმართ ზიარებისათჳს მრავალსა რას შეიმთხუევდა და ყოვლისავე მიმართ, რომლითა ისმინებოდა და იხილვებოდა და საცნაურ-იყო და არა საცნაურ იყო[534], ღმრთისმხილველ-ყოფად და საღმრთო მგალობელ-ყოფად[535] სამართლად სახელ-იდებოდა. და რაჲღა გრქუა შენ მუნ ქმნილთა[536] მათთჳს ღმრთისმეტყუელებათა?
30 რამეთუ უკუეთუ არა თავიცა ჩემი და**[A397v]**მვიწყებიეს, მრავალგზის უწყი შენ მიერ და მასმიეს ნაწილიცა რაჲმე ღმრთისსაგალობელთა მათ გალობათა”*[537].

---

531 და უფალმან დიდებისამან C] ⌜A; kai Kurio~ th~ doxh~ PG 96 col. 749 B 7.

532 მაშინ მოციქულთა თანა A] მოციქულთა თანა მაშინ C.

533 რამეთუ C] – A.

534 და არა საცნაურ იყო C] - A (C-ში ეს ზემოდან არის მიწერილი წვრილი შრიფტით, იგივე ხელით). C მიყვება ბერძნულ ტექსტს: kai ouk eginwske PG 96 col. 752 A 6.

535 და საღმრთო მგალობელ-ყოფად C] - A.

536 ქმნილთა A] ქმნულთა C.

537 გალობათა A] გალობათაჲ C. *”ვინაჲთგან თჳთ ... მათ გალობათა”* (ამ მონაკვეთის შესახებ იხ. **შენიშვნ. II, სქ. №537)**.

ესე რაჲ ესმა მეფეთა, ითხოვეს მისვე მთავარეპისკოპოსისა
იობენალისგან წმიდაჲ იგი ნაწილი სოროჲსა მის საფლავისაჲ თჳთ
სახუეველთა მათ თანა დაფლვისათა[538], რომელნი იყვნეს დაშთომილ
საფლავსა შინა, რაჲთა ესენი, მტკიცედ დაბეჭდულნი, წარსცნეს
მათდა, რომელნი-იგი წარიგზავნნეს ამიერ და დაისხნეს ვლაჰერნას 5
აღშენებულსა მას პატიოსანსა და წმიდასა სახლსა ყოვლადწმიდისა
ღმრთისმშობელისასა და ესე აქამომდე იყავნ.

19) ხოლო ჩუენ რაჲ-მე მიუგოთ საფლავსა ჩუენდა მომართთა მათ წილ
ზემოთქუმულთა სიტყუათა, ვითარმედ შენი მადლი მო**[C410v]**უკლებელ
არს და დაუწყუედელ, არამედ არა ადგილთა შინა შეიწერების ძალი 10
საღმრთოჲ, არცა დედისა ღმრთისა ქველისმოქმედებანი საფლავისა
მიერ ოდენ შეიცვებიან, რამეთუ უკუეთუმცა სამარხოსა ოდენ შინა[539]
შეიწერებოდეს, მცირედთამცა მიმართ ოდენ მისწუთებოდა მადლი მისი,
ხოლო აწ ყოველთა სოფლისკიდეთა უშურველად გარდაფენილ არს.
ამისთჳსცა ჩუენ საჴსენებელად სამარხოდ და ჭეშმარიტად ჴსენებად 15
ღმრთისმშობელისა გულისა და გონებისა ჩუენისაჲ განუმზადოთ
ადგილი მოჴსენებისაჲ[540]; ხოლო ესე ვითარ იქმნას, ისმინე: ქალწულ არს
იგი და ქალწულთმოყუარე; უბიწო იყო და უბიწოებისმოყუარე. ვინაჲცა
ჩუენ, უკუეთუ ჴორცთავე თანა გონებისაჲცა განუმზადოთ მას ადგილი
მოჴსენებისაჲ ჩუენ შორის მკჳდრად[541], სამარადისოდ მოვიგოთ მადლი 20
მისი, *რაჟამს ჴორცთა სიწმიდესა თანა შევიკრძალოთ გონებისაჲცა,
რომელ-ესე არს[542], რაჲთა არა ხოლო ქმნასა, არამედ მოგონებასაცა და
მოჴსენებასა ვევლტოდით ბოროტისასა, რამეთუ ევლტის დედოფალი
დაბადებულთაჲ ყოველსა ნივთთმოყუარეობასა*[543] და მწჳრისაგან
ვნებულებისა გარე-მიიქცევის. საძაგელ არს მისსა ნაყროვნებაჲ, ემტერების 25
იგი ვნებათა სიძვისა ბილწებისათა და ნაშობთაგან მისთა ბილწთა
გულისსიტყუათა ევლტის, ვითარცა ნაშობთა იქედნისა გესლიანისათა,

538 წმიდაჲ იგი ნაწილი სოროჲსა მის საფლავისაჲ თჳთ სახუეველთა მათ თანა დაფლვისათა] thn agian ekeinhn soron meta twn en auth th~ endoxou PG 96 col. 752 A 13-14. **წინაათონურ თარგმანშია:** "რაჲთა მოსცეს მათ არნაკი იგი ლუსკუმისაჲ მის, რომელი იყო საფლავსა შინა, რომელსა შინა იდვა გუამი წმიდისა დედოფლისაჲ საგრაგნელითურთ".

539 ოდენ შინა A] შინა ოდენ C.

540 გულისა და გონებისა ჩუენისაჲ განუმზადოთ ადგილი მოჴსენებისაჲ] ბერძნულ ტექსტსა (PG 96 col. 752 B 8) და წინაათონურ თარგმანში არ არის ეს ფრაზა **(იხ.: შენიშვნ. II, სქ. № 540).**

541 გონებისაჲცა განუმზადოთ მას ადგილი მოჴსენებისაჲ ჩუენ შორის მკჳდრად] **ეფრემის თარგმანი იმეორებს ზემოთ დამატებულ ფრაზას, რომელიც, ასევე, არ არის ბერძნულ ტექსტსა (PG 96 col. 752 B 11) და წინაათონურ თარგმანში.**

542 რომელ-ესე არს A] რომელ არს ესე C.

543 *რაჟამს ჴორცთა სიწმიდესა ... ყოველსა ნივთთმოყუარეობასა*] **არც ეს გრძელი ფრაზა არის ბერძნულ ტექსტსა და წინაათონურ თარგმანში (იხ.: შენიშვნ. II, სქ. № 543).**

ხოლო სიტყუათა უშუერთა და საძაგელებით კადნიერთა ყოვლად
განაგდებს თანად სიმდერისა ჴმებითურთ; ნელსაცხებელთა **[A398r]**
მეძვურთა მართლუკუნ-აქცევს, სძულან მოგდებულნი გულისწყრომისანი,
არა მიითუალავს კაცთმოძულეობასა[544] და შურსა ჴდო**[C411r]**მითურთ,
5 გარე-მიიქცევის ამაოებისაგან[545] ცუდადმზუაობრობისა, მტერ ექმნების
სიმსივნესა ამპარტავანებისა, მოძულე მბრძოლ[546] ძჳრისჴსენებასა,
წინააღმდგომსა ცხორებისასა და ყოველივე ბოროტი გესლად სიკუდინედ
შეურაცხიეს.

ხოლო იხარებს იგი წინააღმდგომთა მათთა ზედა, რამეთუ
10 წინააღმდგომნი არიან საკურნებელ წინააღმდგომთა, რომელნი სათნო-
უჩნან მას. მარხვაჲ და კრძალულებაჲ ფსალმუნებითურთ არიან
საშუებელ მისსა თანად გალობასა თანა სულიერსა. ამათდა მიმართ
აქუს მას მშჳდობაჲ მოუკლებელი და სიყუარულით შეწყნარებითა
შეიტკბობს ეგევითართა სიყუარულსა და წყალობასა სიმდაბლითურთ;
15 ვითარცა თჳსთა აღზრდილთა, ესრეთ შეიწყნარებს წიაღთა თჳსთა.
უბიწოებაჲ და ქალწულებაჲ სიწმიდითურთ თჳსად განკუთნვილად
შეურაცხიან; მშჳდობაჲ და სიმშჳდე ცნობისაჲ ყოვლადსახარულევან
მისსა არიან და რაჲთა შემოკლებულად ვთქუა, - ყოველსა ზედა
სიბოროტესა მჭმუნვარე არს განმწარებული და ყოველსა სათნოებასა
20 ზედა მხიარულ არს, ვითარცა თჳსთა მადლთა ზედა განმხიარულებული.
აწ უკუე, ჩუენ უკუეთუ მსწრაფლ მივსდრკეთ ბოროტისაგან და
ყოვლითა მოსწრაფებითა შევიწყნარნეთ სათნოებანი და იგინი
მოვიგნეთ თანამოკარვედ, მხიარულებით მოვიდეს იგი თჳსთა მონათა
მიმართ და ყოველთავე კეთილთა მისთა თანაზიარ-მყვნეს ჩუენ და
25 თჳს თანა მოიყვანოს ქრისტე, ძე თჳსი, უფალი და მეუფე ყოველთაჲ,
თანამკჳდრად მისა[547] გულსა შინა ჩუენთა, **[C411v]** მჴსნელი ყოველთა
დაბადებულთაჲ[548], რომლისა არს პატივი და სიმტკიცე, დიდებულებაჲ
და დიდადშუენიერებაჲ, თანადაუსაბამოჲთ მამით და ყოვლადწმიდით
და ცხოველსმყოფელით სულითურთ აწ და მარადის და უკუნითი
30 უკუნისამდე, ამინ[549].

544 კაცთმოძულეობასა A] კაცთმოძულებასა C.
545 ამაოებისაგან C] ამაობისაგან A.
546 მბრძოლ C] მბრძულ A.
547 მისა A] მისსა C.
548 მჴსნელი ყოველთა დაბადებულთაჲ] **ეს ფრაზა ეფრემისეული თარგმანის დამატებაა (იხ.: PG 96 col. 752 D 8).**
549 უკუნითი უკუნისამდე,ამინ C] უკუნით A.

## მესამე, თქუმული მისივე[1], იოვანე დამასკელისაჲ, გახდასცვალებისათჳს ნმიდისა ღმერთისმშობელისა

Ier. 2, 18v-22v [XI ს.; D]; Ier. 148, 277-287 [XI-XII სს.; E]

**(ღვთისმშობლის დაძინების მესამე ჰომილიის ანონიმი მთარგმნელის წინაათონური თარგმანი)**

**[D18v] [E277]** 1) რამეთუ ჩუენულებაჲ ტრფიალთაჲ მათ ესე არს, რაჲთა მარადის საყუარელი იგი მათი იჴსენებოდის მათ წინაშე და ყოველსა ჟამსა ენასა მათსა[2] აქუნ ზრახვად იგი, არამედ გონებასაცა ეოცებინ ხატი მისი დღჱ და ღამჱ. და აწ ნუვინ მაბრალობნ მე, რამეთუ შევჰმზადე[3] ქებაჲ ესე მესამე, უპირატესთა მათ ყოფილთაჲ[4], ვითარცა შესაწირავი და მსხუერპლი შემურვისაჲ[5] დედისათჳს ღმრთისა. ხოლო 5 არათუ ჩემითა ამით ქებითა მას უზეშთაეს დიდებისა მისთჳსისა ვჰყოფ[6], არამედ სულისა ჩემისა, და თქუენ, რომელნი-ეგე მოსრულ ხართ, კრებული საკჳრველი[7] საღმრთოჲ, რაჲთა წინა-გიყო თქუენ საზრ**[E278]** დელი სარგებელი სულისაჲ, ვითარცა[8] განმანათლებელი გონებისაჲ[9], რომელი შეეტყუების ღამესა ამას დიდებულსა, და მოგივაჭრო თქუენ 10 საფასჱ, განმამდიდრებელი თავთა თქუენთაჲ, რამეთუ ჰხედავთ, რასა ესე მიწევნულ ვართ დაკლებითა ამის საზრდელისაჲთა. ამისთჳს უკუე განვჰმზადებ სერსა *კნინსა ჟამისა მისებრ[10] მოწევნულისა, რომელი-იგი დახუდა სიგლახაკესა ჩუენსა; დაღაცათუ ვერ შეუძლეთ იგი უხუებით და სიმდიდრით, ვითარ-იგი ღირს არიან ჩინებულნი და მოწევნულნი ჩუენ 15 მიერ*[11], არამედ, მსგავსად ძალისა, ნუგეშინის-ვსცეთ მიწყუდეულობასა

1 მესამე თქუმული მისივე E] თქუმული გ D.

2 აქუნ] + სიტყუაჲ მათთჳს და გუამსა მათსა E.

3 შევჰმზადე E] შევჰმზადჱ D.

4 უპირატესთა მათ ყოფილთაჲ] **ეს ფრაზა არ არის არც ბერძნულ ტექსტში (PG 96 col. 753 A 4-5) და არც ეფრემის თარგმანში.**

5 ვითარცა შესაწირავი და მსხუერპლი შემურვისაჲ] wsper ti dwron exodion PG 96 col 753 A 5-6. **ეფრემის თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "ვითარცა ძღუენი რაჲმე განსლვისაჲ".

6 არათუ ჩემითა ამით ქებითა მას უზეშთაეს დიდებისა მისთჳსისა ვჰყოფ] ou gar auth carizomeno~ PG 96 col. 753 A 6. **ეფრემის თარგმანი ზუსტად მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "არა მას მივჰმადლე".

7 საკჳრველი] + და E.

8 ვითარცა E] და D.

9 ვითარცა განმანათლებელი გონებისაჲ] kai swthrion PG 96 col. 753 A 8. **ეფრემთან ზუსტი თარგმანია:** "და საცხორებელად".

10 მისებრ E] ამისთჳს D.

11 *კნინსა ჟამისა მისებრ მოწევნულისა, რომელი-იგი დახუდა სიგლახაკესა

შიმშილისა ჩუენისასა **[D19r]** და რამეთუ მას არა უჴმს ქებაჲ ჩუენი, არამედ ჩუენდა საჴმარ არს დიდებაჲ მისი; და დიდებული იგი ვითარ იდიდოს, ანუ მზესა ბრწყინვალებაჲ ვითარ ვინ მისცეს, გინათუ თუალი ნათლისაჲ ვითარ ვინ განანათლოს[12]? – არამედ ჩუენ თავთა ჩუენთათჳს
5 შევთხზათ გჳრგჳნი ყუავილითა ამით, რამეთუ უფალი იტყჳს: „ცხოველ ვარ მე, რამეთუ ვადიდნე მადიდებელნი ჩემნი”[13].

გემოვან არს, ჭეშმარიტად გემოვან არს[14] სუმაჲ ღჳნისაჲ და ნუყიერ ჭამაჲ პურისაჲ, რამეთუ ღჳნომან ახარის გულსა კაცისასა და პურმან განამტკიცის გული კაცისაჲ[15]; არამედ რაჲ-მე უგემოვნეს არს დედასა
10 ღმრთისასა, რომელსა-ესე მიუღებიეს გონებაჲ ჩემი წარტყუენვით და განუმარტავს ენაჲ ჩემი[16]? ესე მღჳძარესა და მძინარესა მეოცეების, ესე არს დედაჲ სიტყჳსაჲ და მან მოსცის სიტყუაჲ მეტყუელთა, ნაშობი არს ბერწისაჲ მის და სულთა მათ ბერწთა ნაყო**[E279]**ფიერ ჰყოფს.

ვდღესასწაულობდეთ დღეს დღესასწაულსა და[17] გარდაცვალებასა ამის
15 უბიწოჲსასა[18]. აწ უკუე მოვედით და აღვიდეთ მთასა მას საიდუმლოჲსასა და ზეშთა ვექმნეთ განზრახვასა ქუეყანისასა ჴორციელსა[19] და შევიდეთ შინა კერძო ნისლისა მის და მივიწინეთ ნათელსა მას საღმრთოსა მიუწდომელსა და ვადიდებდეთ ძალსა მას, რომელი უზეშთაეს[20] არს ყოველთა ძალთა, *რამეთუ საკჳრველად სათნო-იყო უაღრესმან ყოველთა
20 ბუნებათამან და უმაღლესმან ყოველთა სიმაღლეთამან შანთისაგან მამულისა*[21] განუყოფელად გარდამოსლვაჲ მუცელსა ქალწულისასა

---

ჩუენსა, დადაცათუ ვერ შეუძლეთ იგი უხუებით და სიმდიდრით, ვითარ-იგი ღირს არიან ჩინებულნი და მოწევნულნი ჩუენ მიერ*] mh polutelw~, mhde axiw~ th~ keklhkuia~ PG 96 col. 753 B 4-5. **ეფრემის თარგმანი ზუსტად მიყვება ბერძნულ ტექსტს:** “არა მრავალსასყიდლისასა და ღირსსა ჩინებულთასა” **(იხ.: შენიშვნ. III, სქ№11)**

12 ანუ მზესა ბრწყინვალებაჲ ვითარ ვინ მისცეს, გინათუ თუალი ნათლისაჲ ვითარ ვინ განანათლოს?] H phgh tou fwto~, pw~ fwtisqhsetai PG 96 col. 753 B 9. **ეფრემის თარგმანშია:** “ვითარ განბრწყინდეს მზე ანუ წყაროჲ ნათლისაჲ ვითარ მიმღებელ იქმნეს განათლებისა?”

13 **I მეფ. 2,30.**

14 გემოვან არს] – E.

15 **ფს. 103,15.** რამეთუ ღჳნომან ახარის გულსა კაცისასა და პურმან განამტკიცის გული კაცისაჲ] O men gar eufrainei, o de kardian anqrwpou sthrizei PG 96 col. 753 B 13-14. **ეფრემის თარგმანი ზუსტად მიყვება ბერძნულ ტექსტს:** “ხოლო ესე განმამტკიცებელ არიან გულთა ჴორციელთასა”.

16 განუმარტავს ენაჲ ჩემი] thn glwssan auth elhisato PG 96 col. 753 B 16. **ეფრემის თარგმანშია:** “ამას მიუყვანებიან თჳსად ენაჲ ჩემი”.

17 დღესასწაულსა და D] – E.

18 უბიწოჲსასა] thn ieran te kai qeian PG 96 col. 755 C 4. **ეფრემის თარგმანშია:** “საღმრთოსა და წმიდასა”.

19 განზრახვასა ქუეყანისასა ჴორციელსა] kai twn biwtikwn kai ulikwn emfasewn PG 96 col. 753 C 6-7. **ეფრემის თარგმანი მისდევს ბერძნულ ტექსტს:** “მიზეზთა ამათ სოფლისათა და ნივთიერთა”.

20 უზეშთაეს E] უფროჲს D.

21 რამეთუ საკჳრველად სათნო-იყო უაღრესმან ყოველთა ბუნებათამან და

და განჴორციელებაჲ მისგან; და ნებითა თჳსითა განვლო ვნებაჲ იგი სიკუდილისაჲ და ჴორცთა მათ თანა, რომელნი იყვნეს ქუეყანისანი, არსებაჲ თჳსი კუალად მამისავე აღიყვანა და შეცვალა[22] ხრწნილებაჲ იგი უხრწნელებად და აღიყვანა ჴორციელად დედაჲ თჳსი[23] მამისა თჳსისა დაუსაბამოჲსა – რომელი-იგი ექმნა მასცა ქუეყანისა, ქუეყანასა მას ზეცისასა აღიყვანა.

2) დღეს მშჳდობაჲ იგი სულიერი[24], რომლითა მაღალი იგი გარდამოჴდა და ქუეყანასა ზედა გამოჩნდა[25] **[D19v]** და კაცთა შორის იქცეოდა[26], ესე ქუეყანისაგან სიკუდილითა მით უცხოჲთა[27], ვითარცა მშჳდობაჲ, ზეცად აღვიდა; დღეს ტაბლაჲ იგი ქუეყანისაჲ, რომელმან იტჳრთა პური იგი ცხოველი ზეცისაჲ და ცეცხლი იგი ღმრთეებისაჲ, და ერთი ძჱ მხოლოჲ[28] გჳშვა, ესე ქუეყანით ზეცად ამაღლდა; დღეს, ბჭესა მას სადმრთოსა, რომელი **[E280]** აღმოსავალად ჰხედვიდა[29], ბჭენი ცათანი განეხუნეს; დღეს ქუეყანისა იჱრუსალემით ქალაქი იგი უფლისაჲ[30] სულიერი ზეცისა იჱრუსალემსა მიიცვალა და რომლისაგან იშვა პირმშოჲ იგი ყოველთა დაბადებულთაჲ, მხოლოდშობილი ძჱ მამისაჲ, ესე ეკლესიასა პირმშოთასა დაემკჳდრა; დღეს კიდობანი იგი უფლისაჲ, სულიერი და მეტყველი, მიიცვალა განსასუენებელსა ძისასა; დღეს ბჭენი ცათანი განეხუნეს და შეიწყნარეს აგარაკი იგი ღმრთისა შემწყნარებელი[31], რომლისაგან ცხორებაჲ იგი სამარადისოჲ[32] აღმოსცენდა და დაჰჴსნა ურჩებაჲ იგი ევაჲსი და განაქარვა სიკუდილი ადამისი ქრისტემან, ყოველთა ცხორებისა მომცემელმან; დღეს ქუაბმან გამოკუეთილმან[33]

---

უმაღლესმან ყოველთა სიმაღლეთამან შანთისაგან მამულისა] Pw~ o ek th~ periousiou perioph~ th~ aulou kai pantwn epepeina, th~ patrikh~ gastro~ PG 96 col. 753 C 10-11. **ეფრემის თარგმანი მისდევს ბერძნულ ტექსტს:** "ვითარ ზესთა არსისა მის წიაღისაგან უნივთოჲსა და ყოველთა დაბადებულთა მიერ კერძოჲსა საშოჲსაგან მამულისა".

22 შეცვალა E] მიცვალა D.

23 თჳსი D] + ზეცად E.

24 მშჳდობაჲ იგი სულიერი] h nohth klimax h emyuco~ PG 96 col. 753 D 5. **ეფრემის თარგმანი ზუსტად მისდევს ბერძნულ ტექსტს:** "საცნაური კიბე სულიერი".

25 გამოჩნდა D] - E.

26 **ბარუქი 3,38.**

27 სიკუდილითა მით უცხოჲთა E] სიკუდილისა მითხოვითა D. tw qanatw crhsamenh PG 96 col. 756 A 1. **ეფრემის თარგმანშია:** "სიკუდილისა კიბესა იჴუმევს" **(იხ.: შენიშვნ. II, სქ. №27).**

28 ერთი ძჱ მხოლოჲ] – PG 96 col. A 4.

29 ჰხედვიდა D] ხედვიდა E.

30 უფლისაჲ D] ზეცისაჲ E.

31 აგარაკი იგი ღმრთისა შემწყნარებელი] thn qeoforon upodecontai arouran PG 96 col. 756 A 14-15. **ეფრემის თარგმანშია:** "ღმერთშემოსილსა მას ორნატსა შეიწყნარებენ".

32 ცხორებაჲ იგი სამარადისოჲ] th~ aiwniou zwh~ xulon blasthsan PG 96 col. 756 A 15. **ეფრემის თარგმანშია:** "საუკუნოჲ რაჲ ხე ცხორებისაჲ აღმოსცენდა".

33 ქუაბმან გამოკვეთილმან] ქუაბმან გამოუკუეთელმან D; E-ში არ იკითხება. antron lelaxeumenon (PG 96, col. 756 B 2).

შეიწყნარა მთაჲ იგი გამოუკუეთელი, რომლისაგან გამოეკუეთა ქვაჲ
იგი საკიდური უჴელოდ და აღავსო ყოველი სოფელი; დღეს სასძლოჲ
იგი ღმრთისა განკაცებისაჲ დიდებულსა საფლავსა, ვითარცა სასძლოსა
შინა, განისუენებს და მუნით ზეცისა სასძლოსა დაემკჳდრების, რაჲთა
5 სუფევდეს ძისა და ღმრთისა თჳსისა თანა და ყო საფლავი სასძლო
ქუეყანისა მკჳდრთათჳს.

და ნუუკუე ვინ-მე თქუას, ვითარმედ საფლავსა სასძლოდ ვითარ
უწოდებს? ვჰრქუათ მას: არამედ უფროჲსღა შუენიერ არს იგი ყოველსა
სასძლოსა **[E281]** არათუ ბრწყინვალებითა ოქროჲსაჲთა და არცა სიკეთითა
10 ვეცხლისაჲთა და არცა ელვარებითა ქვათა მათ პატიოსანთაჲთა და
არცა სიმეწამულითა ზვეზისაჲთა და არცა განსპეტაკებითა სამოსლისა
მის ოქროქსოვილისაჲთა და არცა განშუენებითა სამეუფოჲსა მის
გჳრგჳნისაჲთა[34], არამედ ნათლითა და ბრწყინვალებითა **[D20r]** სულისა
წმიდისაჲთა. და არა არს იგი მიზეზი ჴორციელთა მათ ტრფიალთა
15 შეკრებისაჲ, არამედ მიზეზი არს სულთა შეკრებისაჲ, რომელნი სულითა
წმიდითა შეკრებულ არიან, რომელ-იგი უტკბილეს არს და უფროჲს
ყოვლისა არსისა. ესე საფლავი უბრწყინვალეს არს სამოთხისა მის
საშუებელისაჲსა, რამეთუ მას შინა განზრახვაჲ იგი მტერისაჲ[35] და შური
და ცთომილებაჲ და დაჴსნილობაჲ ევას ეუფლა და საჭმლითა მით
20 ტკბილითა და სიმწარითა შეზავებულითა[36] მიიპარა გონებაჲ იგი მისი
და მან შეაცთუნა ქმარი თჳსი და შეუდგა მათ ურჩებაჲ[37] და სიკუდილი.
და რაჲთა არა მოჴსენებითა ჩემითა ამათ ესევითართა საქმეთაჲთა იყო
დღესასწაული ესე მიზეზ მწუხარებისა, დავაცადო აწ სიტყუაჲ; ხოლო
ამან სამოთხემან ქუეყანით ზეცად აღიყვანა ჴორცი იგი, რომელი იყო
25 ხრწნილებასა ქუეშე და მან ზეცით ქუეყანად გარდამოიყვანა მთავარი
იგი [E282] ნათლისაჲ, ანუ არა ევაჲს გამო თქუმულ არს, ვითარმედ:
„მიწაჲ ხარ და მიწადვე მიიქცე"[38] და რომელ-იგი ხატად ღმრთისა
შექმნილ იყო, დაესაჯა მას სიკუდილი.

---

34 არცა განშუენებითა სამეუფოჲსა მის გჳრგჳნისაჲთა] alourgidi keklwsmenh PG 96 col. 756 B 12-13. **ეფრემის თარგმანშია:** "პორფირითა შემკულებითა".

35 რამეთუ მას შინა განზრახვაჲ იგი მტერისაჲ] kai ina mh legw thn en ekeinh tou dusmenou~ eunoian, thn crhsthn, in outw~ eipw, sumboulhn, ton fqonon, thn apathn PG 96 col. 756 C 3-5. **ეს ადგილი ეფრემის თარგმანში მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "რაჲთა არდარა ვიტყოდი მუნ ქმნილსა მას კეთილისსახედ ბოროტისა განზრახებასა ბოროტად ბორგნეულისა მტრისასა, არამედ ესრეთ თქუმითა თანაზრახვად უწოდდე შურსა მას ბოროტისასა არამედ ესრეთ თქუმითა - ცთუნებასა".

36 სიმწარითა შეზავებულითა] pikron delear PG 96 col. 756 C 6-7. **ეფრემის თარგმანშია:** "მწარესა ჴორცსა სამჭედურისასა". ორივე თარგმანი ხატოვანია (ბერძნულში: "მწარე ანკესი").

37 ურჩებაჲ] + thn exorian PG 96 col. 756 C 8. ეფრემთან: "ექსორიობასა".

38 **დაბ. 3,19.**

ესე საფლავი უპატიოსნეს არს კარავსა მას საწამებელსა[39], რამეთუ შეიწყნარა სასანთლჱ იგი სულიერი და მეტყუელი, რომელმან-იგი ნათელი ღმრთეებისაჲ გამოაბრწყინა და ტაბლაჲ იგი, მომცემელი ცხორებისაჲ, და არათუ ტაბლაჲ იგი შესაწირავთაჲ, არამედ ტაბლაჲ იგი ზეცისა პურისაჲ, და შემწყნარებელი არათუ ცეცხლისა მის ნივთიერისაჲ, 5 არამედ ცეცხლისა მის საღმრთოჲსაჲ. ესე საფლავი უდიდებულეს არს კიდობანსა მას მოსესსა, რამეთუ ღირს-იქმნა იგი არათუ გამოსახულთა მათ და აჩრდილთა, არამედ თჳთ ჭეშმარიტისა მის, რამეთუ შეიწყნარა კიდობანი იგი განრჩუნვილი ოქროჲთა მით რჩეულითა[40], რომელმან გამოიღო ნაყოფი უხრწნელი, მანანაჲ იგი ზეცისაჲ, და ფიცარნი 10 სულიერნი, რომელნი თითითა სულისა წმიდისაჲთა დაიწერნეს, რომელ არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ, განჭორციელებული მისგან გუამითა და ძლიერი და მძლჱ ყოვლისაჲ,[41] და სასაკუმევლჱ ოქროჲსაჲ ცეცხლისა მის საღმრთოჲსაჲ, რომელმან აღავსო ყოველი სოფელი სულნელებითა.

**[D20v]** 3) აწ უკუე შეძრწუნდენ ეშმაკნი და იგლოვდედ ნესტორეანნი 15 ვაებითა, ვითარცა მეგჳპტელნი იგი პირველად, და მთავარი იგი მათი და წინამძღუარი, ახალი ფარაო, მტერი იგი ძლეული მანინ[42], რამეთუ დანთქმულ არიან სიღრმესა გმობისა**[E283]**სა, ვითარცა უფსკრულსა[43]; ხოლო ჩუენ, რომელნი-ესე[44] განვერენით მკურცხლ და არა დავალტენით ფერჴნი ჩუენნი და განვლეთ ზღუაჲ იგი მწარჱ წვალებისაჲ[45], მოვედით 20 და ათძალითა მით საფსალმუნისაჲთა[46] უგალობდეთ ღმრთისმშობელსა გალობასა განსლვისასა; და აღიღენ, მარიამ, რომელ არს ეკლესიაჲ, ჴელთა თჳსთა ბობღანი და იწყენ შესხმად დღესასწაულსა ამას; და განვიდედ ჭაბუკნი სულიერისა იერუსალჱმისანი[47] ებნითა და სტჳრითა[48]

---

39 კარავსა მას საწამებელსა] th~ palai skhnh~ PG 96 col. 756 C 14. **ეფრემის თარგმანშია:** "ძუელისა მის კარვისასა".

40 შეიწყნარა კიდობანი იგი განრჩუნვილი ოქროჲთა მით რჩეულითა] Edeixato gar thn akibdhlon kai crusoeidh stamnon PG 96 col. 756 D 6. **ეფრემის თარგმანშია:** "შეიწყნარა ტაკუკი იგი უმანკოჲსა ოქროჲსსახე".

41 ძლიერი და მძლჱ ყოვლისაჲ] – PG 96 col. 756 D 9, **არ არის ეს სიტყვები არც ეფრემის თარგმანში (იხ.: შენიშვნ. III, სქ. №41).**

42 მტერი იგი ძლეული მანინ] o pikro~ alastwr kai turanno~ PG 96 col. 757 A 6-7. **ეფრემის თარგმანშია:** "მწარე იგი მძლავრი და მდევარი".

43 ვითარცა უფსკრულსა] – PG 96 col. 757 A 8. **ეს სიტყვები არც ეფრემის თარგმანშია (იხ.: შენიშვნ. III, სქ. №43).**

44 რომელნი-ესე E] – D.

45 ზღუაჲ იგი მწარჱ წვალებისაჲ] thn almuran th~ asebeia~ uperbante~ qalassan PG 96 col. 757 A 9-10. **ეფრემის თარგმანი მისდევს ბერძნულ ტექსტს:** "მარილიანსა მას ზღუასა უღმრთოებისასა".

46 ათძალითა მით საფსალმუნისაჲთა] – PG 96 col. 757 A 10. **ეს ფრაზა არ არის არც ეფრემის თარგმანში.**

47 იერუსალჱმისანი] Israhl PG 96 col. 757 A 13.

48 ებნითა და სტჳრითა] ai neanide~ meta tumpanwn kai carwn PG 96 col. 757 A 13.

და ჴმამაღლად ღაღადებდედ ძლევისა  და მეფენი ქუეყანისანი და
მსაჯულნი მთავართა თანა და ყრმანი და ქალწულნი და მოხუცებულნი
ჭაბუკთა თანა და ადიდებდედ[49] დედასა ღმრთისასა[50], პირად-პირადად
მეტყუელნი მადლითა სულისა წმიდისაჲთა. და ენანი მრავალფერნი
5 ერთად და ნათესავითნი შეკერბედ და გალობითა ახლითა უგალობდიდ[51];
და მოეცინ ჰაერმან ჴმაჲ საყჳრსა და ნესტუსა სულიერსა და
ბრწყინვალებამან ცეცხლისამან განაახლენ დღჱ[52] ესე შუენიერი[53].

იხარებდით ცანი და ღრუბელნი წთოდედ მხიარულებასა, განსცხრებოდეთ ვერძნი სამწყსოთა ღმრთისათანი და გამორჩეულნი
10 მოციქულნი იმღერდით, ვითარცა მთანი მაღალნი, ჩუენებათა  მიერ
ამაღლებულნი ზეშთა სიმაღლესა, და კრავნი ერისა ღმრთისანი, წმიდანი
ცხოვარნი ეკლესიისანი, ვითარცა ნერგნი, აღორძნდით სარწმუნოებითა,
სიმაღლესა მთათასა აღწეულნი[54]. „ეჰა, სასწაული[55], რამეთუ მოკუდა
თუალი[56] ცხორებისაჲ და დედაჲ უფლისა ჩემისაჲ, და რამეთუ ჯერ-იყო,
15 რაჲთა კეთილად იქცეს ქუეყანად, რომელი ქუეყანისაგან აგებულ იყო და
მერმე ცად მიიცვალოს[57] და მიიღოს ქუეყანისაგან ცხორებაჲ უხრწნელი,
რომელი მიანიჭა ქუეყანასა დადებითა ჴორცთა მათ საღმრთოთაჲთა მას
შინა; და ჯერ იყო, რაჲთა ვითარცა ოქროჲ, მიეცეს ბრძმედსა [D21r] და
გამოჴურვებითა სიკუდილისაჲთა და დადებითა საფლავისაჲთა სიზრქჱ
20 იგი ხრწნილებისაჲ და სიბნელე განეშოროს და გამოვიდეს უხრწნელად,
განათლებული ბრწყინვალებითა უკუდავებისაჲთა.

4) დღეს მიიღებს დაწყებასა მეორისა არსებისასა მისგან, რომელმანიგი მისცა მას არსებაჲ პირველისა მის დაწყებისაჲ და მან მისცა
დაწყებაჲ[58] ჴორცთა არსებისაჲ მას, რომელსა-იგი არა აქუნდა არსებასა

---

49 ადიდებდედ D] ადიდებდენ E.

50 ღმრთისასა D] ღმრთისსა E.

51 პირად-პირადად მეტყუელნი მადლითა სულისა წმიდისაჲთა. და ენანი მრავალფერნი ერთად და ნათესავითნი შეკერბედ და გალობითა ახლითა უგალობდიდ E (უგალობედ D], kai eqnwn kai lawn glwssa diaforoi, asma kainon melourgeitwsan PG 96 col. 757 B 3-4. **ეფრემის თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "წარმართთა და ერთა ენანი თითოსახენი გალობასა ახალსა მოქმედებდით".

52 დღჱ D] ღამე E.

53 დღჱ ესე შუენიერი] hmeran kainourgitw swthrion PG 96 col. 758 B 6-7. **ეფრემის თარგმანშია:** "დღე ცხორებისა და საუკუნოდ გამოჴსნისა ჩუენისაჲ" **(იხ.: შენიშვნ. III, სქ. №53).**

54 **ამ ადგილას E (Jer. 148) ნუსხის ფოტოპირს აკლია ერთი ფურცელი.** სიტყვს - "ნერგნი"-ს შესახებ **იხ.: შენიშვნ. III, სქ. №125.**

55 ეჰა, სასწაული] Babai! Babai! PG 96 col. 757 B 13. **ეფრემის თარგმანში ეს გაკვირვების გამომსახველი შორისდებული ასეა თარგმნილი:** "ეჰა! ეჰა!

56 თუალი] h pegh PG 96 col. 757 B 13. **ეფრემის თარგმანშია:** "წყარო".

57 ცად მიიცვალოს] metanasthsai pro~ ouranon PG 96 col. 757 C 1. ბერძნული სიტყვა "h metanastasi~", რაც "გადასახლებას" ნიშნავს, **ეფრემის თარგმანში გადმოღებულია შემდეგნაირად:** "აღტაცებაჲ".

58 დაწყებაჲ] + h dousa deutera~ archn, th~ swmatikh~ PG 97 col. 757 C 10. **ეფრემის**

მისსა პირველსა დაუსაბამოსა დაწყებაჲ ჟამთაჲ, დაღაცათუ მამაჲ არს
დაწყებაჲ მისი, ვითარცა მიზეზი საღმრთოჲსა არსებისაჲ.

გიხაროდენ, ჰ სიონ, მთაო წმიდაო საღმრთოო, რომელსა შინა
დაემკჳდრა მთაჲ იგი სულიერი ღმრთისაჲ![59] შენ მიმსგავსებულ ხარ
ზეთსა მას საცხებელსა, რომლითა ცხებულ იქმნა ხატი იგი[60], რომელ არს 5
ბუნებაჲ კაცობრივი, რომელი იცხო ღმრთისაგან და შენ მიერ სიმაღლესა
ცათასა ამაღლდა, ვითარცა მთით ზეთისხილთაჲთ, ძჱ იგი მისი, უფალი
ყოველთაჲ. განემზადენით ღრუბელნი ყოვლისა სოფლისანი და რომელნი
ხართ ზესკნელსა მას სოფელსა და ფრთენი ქართანი მოყვანებად
მოციქულთა კიდით ქუეყანისაჲთ სიონდ. ვინ არიან ესენი, რომელნი 10
ვითარცა ღრუბელნი[61] ფრინვენ და მიისწრაფიან მუნ, სადა გუამი იგი
დაცემულ არს[62], მიზეზი ყოველთა აღდგომისაჲ, რაჲთა ჰმსახურონ დედასა
ღმრთისასა? ვინ არს აღმავალი ესე, განმანათლებელი ყოვლისაჲ **[E284]**
და[63] ბრწყინვალჱ, ვითარცა მზისთუალი? და აწ აღიძრნედ გალობად
ებანნი იგი სულიერნი, რომელ არიან ენანი მოციქულთანი და ჴმამაღლად 15
ღაღადებდედ ძლევისა შესხმასა[64] ნესტუნი იგი ღმრთისმეტყველნი, ჴური
იგი რჩეული იეროთეოს, რომელი შეწირულ არს ყოვლითურთ სულისა
წმიდისა და შეერთებითა ღმრთისაჲთა განისწავლა საღმრთოთა მათ და
განეშორენ ყოველი ჴორცთაგან და მოგზაურ ექმენინ ყოველი დედასა
ღმრთისასა კეთილითა სარწმუნოებითა და შეერთებითა გალობისაჲთა. 20
და ყოველთა წარმართთა აღიტყუელენით ჴელნი თქუენნი და
ადიდებდით ღმრთისმშობელსა. ანგელოზნი ჴორცთა კაცობრივთა
ჰმსახურებდით, ასულნი იერუსალჱმისანი შეუდეგით დედოფალსა[65] და
ვითარცა ნათესავმოდგამნი **[D21v]** მისნი, ქალწულნი სულითა, მიჰყევით
და მიიყვანეთ სიძისა, რაჲთა დასდგეთ მარჯუენით მეუფისა. 25

---

**თარგმანში ეს ბერძნული ფრაზა ასე არის გადმოღებული:** "და ჯერ-იჩინა მისი სოფელსა შინა მეორედ დასაბამ-ყოფაჲ". **წინაათონური თარგმანი ამ ფრაზის დაკლებით არ ცვლის ბერძნულ ტექსტს.**

59 ღმრთისაჲ] + h nea Baiqhl PG 96 col. 757 C 15. **ეფრემის თარგმანი ზუსტად წარმოადგენს ბერძნულ ტექსტს:** "ახალო ბეთელო".

60 რომლითა ცხებულ იქმნა ხატი იგი] en sthlh hleiptai PG 96 col. 757 C 15-D 1. **ეფრემის თარგმანში "ხატის" ნაცვლად არის "ძეგლი".**

61 ღრუბელნი] + kai aetoi PG 96 col. 757 D 6. **ეფრემთან:** "ვითარცა არწივნი და ღრუბელნი და ვითარცა ორბნი" **(იხ.: შენიშვნ. III, სქ. №61).**

62 სადა გუამი იგი დაცემულ არს] pro~ to ptwma PG 96 col. 758 D 7. **ეფრემის თარგმანშია:** "მდებარისა მიმართ". ბერძნულ to ptwma-ს აქვს როგორც "დაცემულის", ასევე, "გვამის" მნიშვნელობა. **წინაათონელმა მთარგმნელმა გადმოიღო ამ სიტყვის ორივე მნიშვნელობა.**

63 **აქ განახლდა ტექსტი E (Jer. 148) ნუსხის ფოტოპირში.**

64 ძლევისა შესხმასა] – PG 96 col. 760 A 2. **ეს სიტყვები არ არის არც ეფრემის თარგმანში.**

65 **ფს. 44,15.**

გარდამოჴედ, უფალო, გარდამოჴედ, რაჲთა ღირსად პატივ-სცე[66] მას, რომელმან განგზარდა შენ ჴორციელად[67] და განჰმარტენ ჴელნი ეგე სადმრთონი და შეიწყნარე სული დედისა შენისაჲ შენ, რომელმან ჯუარსა ზედა მიეც სული შენი ჴელთა მამისა შენისათა. უჴმე მას ჴმითა ტკბილითა[68]: "მოვედ, ჰ შუენიერო დედაო ჩემო[69], ბრწყინვალეო უფროჲს მზისთუალისა შუენიერებითა ქალწულებისაჲთა! შენ მომეც მე, რომელი-ეგე[70] შენი იყო; მოვედ და აღივსე[71] ჩემითა ამით; მოვედ, ჰ დედაო ძისა შენისაო, და სუფევდ ჩემ თანა, რომელი შენგან და შენთჳს დაგბლახაკენი".

წარვედ, დედოფალო, წარვედ! არა ვითარცა მოსჩ, რომელი აჴდა და მოკუდა, არამედ უფროჲსღა ჯერ-არს თქუმად: მოკუედ და **[E285]** მერმე აღჴედ; მიეც სული შენი ჴელთა ძისა შენისათა და ქუეყანისა მიეც ქუეყანასა და იგიცა შენ თანავე[72] ამაღლებად არს. აღიხილენით თუალნი თქუენნი, ერნო ღმრთისანო, აღიხილენით! აჰა ესერა, სიონს შინა კიდობანი უფლისა ღმრთისა, რომელთაჲსა დადგრომილ არს[73] და მოციქულნი დგანან, რაჲთა შუენიერად შემოსნენ ჴორცნი წმიდისა ღმრთისმშობელისნი[74], და ანგელოზნი შიშით გარე-მოადგან დედასა უფლისა[75] მაღლისასა, ვითარცა მონანი; და უფალი მოსრულ არს, რომელ-იგი არს ყოველსა ადგილსა და აღავსებს ყოველსა და შეუცავს ყოველი და არა აქუს მას ადგილი, არამედ ყოველივე მის შორის დგას, ვითარცა ღმრთისა, დამბადებელისა ყოველთაჲსა და ყოვლისა მპყრობელისა.

აჰა ესერა, ქალწული, ასული ადამისი და დედაჲ მეუფისაჲ!

---

66 პატივ-სცე E] პატივ-სცჩ D.

67 გარდამოჴედ, რაჲთა ღირსად პატივ-სცე მას, რომელმან განგზარდა შენ ჴორციელად!] th Mhtri katacrew~ apotinnu~ ta ofeilomena qreptra PG 96 col. 760 A 13-14. **ეფრემის თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "გარდამოვედ გარდაჴდად მშობელისა მიმართ თანანადებსა აღზრდისასა".

68 უჴმე მას ჴმითა ტკბილითა] fwnhson pro~ authn hdu ti yiqurisma PG 96 col. 760 B 1. **ეფრემის თარგმანი ზუსტად მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "ჴმობდა მისსა მიმართ ტკბილითა რაჲთმე ჩურჩნით განძრვითა ბაგეთაჲთა".

69 დედაო ჩემო] h plhsion mou PG 96 col. 760 B 2. **ეფრემთან:** "მოყუასო ჩემო".

70 რომელი-ეგე D] რომელი-იგი E.

71 აღივსე E] აღივსჩ D.

72 თანავე E] თანა D.

73 რომელთაჲსა დადგრომილ არს] twn dunamewn PG 96 col. 760 B 12. **ეფრემის თარგმანშია:** "ძალთაჲსაჲ".

74 რაჲთა შუენიერად შემოსნენ ჴორცნი წმიდისა ღმრთისმშობელისნი] pareisthkeisan to zwarcikon kai qeodocon swma khdeuonte~. Aulw~ de kai aoratw~ periepousin PG 96 col. 760 B 13-14. **ეფრემის თარგმანი ზუსტად მისდევს ბერძნულ ტექსტს:** "და წარგზავნიან ცხორებისა დასაბამსა და ღმრთისშემწყნარებელსა გუამსა მისსა, ხოლო უნივთოდ და უხილავად".

75 უფლისა E] - D.

ადამისთჳს ჭორცთა თჳსთა ქუეყანასა მისცემს, ხოლო ძისა თჳსისათჳს, რომელ არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ, სულსა თჳსსა მისცემს ტალავართა ზეცისათა. და განწმიდნების ქუეყანაჲ[76] იგი სიწმიდითა და კურთხევითა სამარადისოჲთა იკურთხევის და ნაყოფიერ იქმნების განვლითა ჭორცთა მათ საღმრთოთაჲთა[77]. ხოლო ანგელოზთა მიისწრაფეთ და განჰმზადეთ 5 საფლავი და მან შეამკვენ იგი ბრწყინვალებითა სულისა წმიდისაჲთა და მზა-ყავთ სულნელი და შემურეთ გუამი იგი წმიდაჲ[78], **[D22r]** სავსე საკუმეველითა და ნელსაცხებლითა. მოუჴედით წყალსა მას წმიდასა და აღმოვივსოთ მისგან სასუმელი კურთხევისაჲ, ვითარცა წყაროჲსაგან დაუწყუედელისა და უხრწნელისა![79] 10

**[E286]** იხარებდინ ქუეყანაჲ დადებითა ჭორცთა მისთაჲთა მას შინა! მხიარულ იყავნ ჰაერი აღსლვითა სულისა მისისაჲთა და განბრწყინდით ბრწყინვალედ[80] სულნი ეგე[81] ნოტიანი[82], სავსენი ნიჭთაგან, და ყოველნი დაბადებულნი დღესასწაულობდედ[83] ამაღლებასა ღმრთისმშობელისასა! და კრებული ყრმათაჲ ღაღადებდით ძლევისა გალობასა[84]; ენანი, 15 შუენიერად მეტყუელნი, იტყოდედ ქებასა, და გულნი ბრძენთანი განბრძნდით ამით საკჳრველებითა, ხოლო მოხუცებულნი, რომელნი შემკულ ხართ მჭცეთა განსპეტაკებითა და დაყუდებითა, ნაყოფი გამოიღეთ ჩუენებით ხილვისაჲ! და შენ, დაბადებულმან, განმზადენ[85], რაჲ-იგი აქუს პატივად, რამეთუ ვერცაღა ესრეთ მიიწევის ნაწილსა 20 ერთსა ჩუენი ესე სწრაფაჲ, რასა-იგი ღირს არს დედოფალი ესე.

---

76 ქუეყანაჲ D] ქალაქი E.

77 და განწმიდნების ქუეყანაჲ იგი სიწმიდითა და კურთხევითა სამარადისოჲთა იკურთხევის და ნაყოფიერ იქმნების განვლითა ჭორცთა მათ საღმრთოთაჲთა] Agiazesqw to astu to agion, kai ep eulogiai~ karpousqw eulogian aiwnion. Th diabasei tou qeiou skhnwmato~ PG 96 col. 760 C 7-9. **ეფრემის თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "წმიდა იქმნებოდენ ურაკპარაკნი წმიდისა ქალწულისანი და მოისთულებედ კურთხევასა და საუკუნესა მათ შორის განვლითა ღმრთისა სამკჳდრებელისაჲთა".

78 გუამი იგი წმიდაჲ] tw panamwmw kai paneuwdei... swma ti PG 96 col. 760 C 12-13. **ეფრემის თარგმანი მისდევს ბერძნულ ტექსტს:** "ყოვლადუბიწოჲ და ყოვლადშეუხებელი იგი გუამი" **(იხ.: შენიშვნ. III, სქ. №78).**

79 წყაროჲსაგან დაუწყუედელისა და უხრწნელისა] th~ eulogia~ phgh~ PG 96 col. 760 C 14. **ეფრემის თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "წყაროჲსა მისგან ყოვლისა კურთხევისა".

80 ბრწყინვალედ D] მცხინვარედ E.

81 ეგე D] იგი E.

82 განბრწყინდით ბრწყინვალედ სულნი ეგე ნოტიანი] Pneitwsan aurai drosoeidei~ PG 96 col. 760 D 2. **ეფრემის თარგმანი ზუსტად მისდევს ბერძნულ ტექსტს:** "მოჰბერეთ ნიავთა ცუაროვანთა".

83 დღესასწაულობდედ D] დღესასწაულობდით E.

84 ძლევისა გალობასა] – PG 96 col. 760 D 4. **არც ეფრემის თარგმანშია ეს სიტყვები.**

85 განჰმზადენ E] განმზადენ D.

5) მოვედით[86] უკუჱ აᲩ ყოველნი და გონებითა მივიცვალნეთ მის თანა შთასლვასა მას მისსა საფლავად! მოვედით ყოველნი და გარე-მოვადგეთ ცხედარსა მისსა უბიწოსა და გალობითა უბიწოჲთა ესრეთ ვადიდებდეთ და ვიტყოდით:

„Გუაკურთხენ, ჱ გჳრგჳნოსანო, ნიჭთაგან უფლისა შენისათა[87]! Გუაკურთხენ, რომელი-ეგე უწინარეს არსთა განიკუთნე დედად ღმრთისა! Გუაკურთხენ, ჱ გამორჩეულო ზრახვისათჳს ღმრთისა[88], დასამკჳდრებელო საღმრთოჲსა მის ცეცხლისაო და ხატო უბიწოო სულისა წმიდისაო[89], წყაროო წყლისა ცხოველისაო, სამოთხეო ხისა მის ცხორებისაო, ვენაჯო სულიერო ტევნისა მის საღმრთოჲსაო, **[E287]** ღჳნოო ღმრთისაო, რომელი აღმოაცენებ უხრწნელებასა[90], მდინარეო, სავსეო სულნელებითა სულისა წმიდისაჲთა, ყანაო შუენიერო საღ-მრთოჲსა მის მარცულისაო, ყუავილო ბრწყინვალეო ქალწულებისა, რომელი ჰფშჳ და აღმოაცენებ სულსა მადლისასა, შროშანო, შემკულო სამეუფოდ, საუნჯეო მიუწდომელო, რომელმან ჰშევ კრავი ღმრთისაჲ, რომელმან აიხუნა ცოდვანი სოფლისანი, სამკჳდრებელო ცხორებისო, რომელი უზეშთაეს ხარ ძალთა მათ ანგელოზებრთა, დედაო ღმრთისო და მჭევალო!

**[D22v]** მოვედით, საყუარელნო, და გარე-მოვადგეთ საფლავსა, რომელი არა განჰხრწნის და აღმოვივსოთ მიერ მადლი ნიჭთა მათ საღმრთოთა! მოვედით და მკლავთა ზედა სულიერთა აღვიღოთ გუამი ესე საქალწულოჲ და შევიდეთ მის თანა შინაგან საფლავსა და მოვაკუდინნეთ მის თანა ვნებანი ჴორციელნი, რაჲთა მის თანა ვცხონდეთ ცხორებითა მით, რომელსა შინა  არა არს სალმობაჲ და არცა ხრწნილებაჲ, და ვისმინოთ გალობაჲ პირთაგან ანგელოზთაჲსა, რომელნი უსხეულო არიან, და შევიდეთ საფლავად და თაყუანის-ვსცეთ, რამეთუ საიდუმლოჲ საკჳრველი ამაღლებულ არს და ცად მიწევნულ არს და ძისა მიერ თჳსისა უფროჲს და უმაღლეს ყოველთა გუნდთა ანგელოზთაჲსა მდგომარე არს, რამეთუ შორის ძისა და დედისა არა არს კედელი განმყოფელი.

---

86 **ამ ადგილიდან ფურცელნახევარი ტექსტი აღარ იკითხება E-ში (Jer. 148); ფოტოს აკლია ჰომილიის ბოლო, ერთგვერდიანი ნაწილიც.**

87 **ლკ. 1,28.** Გუაკურთხენ, ჱ გჳრგჳნოსანო, ნიჭთაგან უფლისა შენისათა] Caire, kecaritwmenh, o Kurio~ meta sou PG 96 col.761 A 5-6. **ათონურ თარგმანშია:** "გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა!"

88 ღმრთისა] + gh~ qeiotaton blasthma PG 96 col. 761 A 8. **ეფრემის თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "მორჩო ქუეყანისა საღმრთოჲსაო" **(იხ.: შენიშვნ. III, სქ. №88)**.

89 ხატო უბიწოო სულისა წმიდისაო] Pneumato~ agiou ierwtaton agalma PG 96 col. 762 A 9. **ეფრემის თარგმანშია:** "დიდებულო ძეგლო სულისა წმიდისაო".

90 უხრწნელებასა] ambrosian phgazonto~ PG 96 col. 761 A 11. **ეფრემის თარგმანშია:** "ნაკადულსა უკუდავებისასა".

ესე შენდა, დედაო ღმრთისო, მესამჱ შესხმაჲ შემურვისაჲ, რომელი
გამოვიღე[91] შიშით საუნჯისაგან საგლახაკოჲსა[92], სიყუარულით
სამებისაჲთა, რომელსა შენ ჰმსახურე, რამეთუ ნებითა მამისაჲთა და
ძალისა სულისაჲთა შეიწყნარე სიტყუაჲ ღმრთისაჲ დაუსაბამოჲ და
მძლჱ ყოვლისა და სიბრძნჱ მისი და ძალი. მიითუალე სწრაფაჲ ესე ჩემი, 5
რომელი უფროჲს შეძლებისა არს და განგუმზადე ჩუენ გამოჴსნაჲ და
განშორებაჲ ვნებისაგან სულთაჲსა და მოგუმადლე კურნებაჲ სენთაგან
ჴორციელთა და განაქარვე ხრწნილებაჲ და მოგუეც ცხორებაჲ მყუდროჲ
ნათლითა სულისა წმიდისაჲთა და მეოხებითა შენითა არწმუნე ძესა
შენსა სიყუარული ჩუენი და მოგუმზადე ცხორებაჲ სათნოდ მისა, 10
რაჲთა ვიქმნეთ ღირს ნეტარებისა ჴმასა მიმთხუევად მას სოფელსა
და გიხილოთ შენ განბრწყინვებული დიდებითა ძისა შენისაჲთა და
ვგალობდეთ გალობასა უბიწოსა და ვიხარებდეთ უკუე ეკლესიასა შინა
დღესასწაულისა აღსრულებითა, მომადლებითა სულისა წმიდისაჲთა და
შეწევნითა მისითა, რამეთუ შენ მიერ განაგო ცხორებაჲ ჩუენი ძემან 15
ღმრთისამან და ღმერთმან, რომლისა შუენის დიდებაჲ მამისა თანა
სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

91 გამოვიღჱ D.

92 რომელი გამოვიღე შიშით საუნჯისაგან საგლახაკოჲსა] aidoi kai poqw PG 96 col. 761 C 1. **ეფრემის თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** “პატივითა და კრძალულებითა” **(იხ.: შენიშვნ. III, №88)**.

## წმიდისა და ღმითივგანბჰძნობილისა მამისა ჩუენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასჯელისაჲ სიტყუაჲ შესხმისაჲ დაძინებასა ყოვლადდიდებულისა, წმიდათა უზეშთაესისა დედოფლისა ჩუენისა ღმითისმშობელისა[93-94]

H 1347, 398r-402v (XI-XII სს.; A); Ier. 38, 411v-417v (XIII-XIV სს.; C)

**(ღვთისმშობლის დაძინების მესამე ჰომილიის ეფრემ მცირის თარგმანი)**

**[A398r] [C411v]** 1) ჩუეულებაჲ არს, ვისსამე მიმართ მქონებელთა ტრფიალებისათაჲ, რაჲთა მარადის ენასა ზედა მოაქუნდეს სასურველი იგი და გონებითა ღა[A398v]მე და დღე მას იოცნებდენ[95]. ამის მიზეზისათჳს ნუვინ მაბრალობნ[96] მე, უკუეთუ პირველწარმოთქუმულთა ორთა თანა მესამეცა ესე დავჰრთე სიტყუაჲ საქებელი დედისათჳს ღმრთისა ჩემისა, ვითარცა ძღუენი რაჲმე[97] განსლვისაჲ, რამეთუ არა მას მივჰმადლებ, არამედ თავსა ჩემსა და თქუენ, აქა შემოკრებულთა. ჰ, საღმრთოო და სამღდელოო კრებულო, რომელთა სერობად[98] სულიერად სარგებელად და საცხორებელად წინა-დაგიგებს[99] დიდებული ესე ღამე და მოქენე ხართ სანოვაგესა, შემსგავსებულსა მისსა და სულიერითა მხიარულებითა მოსთულებულსა; არამედ ჩუენდა ძნიად საპოვნელ არს, ვითარ - ესე თქუენცა ჰხედავთ[100], შემოღებაჲ რასმე[101] საჭმლად საწადელისაჲ. ამისთჳსცა კნინოდენ გამოვჰსახავ[102] საინახეთა და მოვიღონებ საზრდელსა, დაღაცათუ არა მრავალსასყიდლისასა და ღირსსა **[C412r]** ჩინებულთასა, გარნა ეგრეთცა შემძლებელსა საჭირო ნუგეშინისსაცემელ-ყოფად სიყმილისა. და არა თუ იგი მოქენე არს ჩუენ[103] მიერ შესხმისა, არამედ ჩუენ მოქენე ვართ მისმიერისა დიდებისა, რამეთუ ვითარ იდიდოს დიდებული, ვითარ განბრწყინდეს მზე ანუ წყაროჲ

93 **H 1347, 398r-ს ბოლოს არის ნუსხურით გაკეთებული შემდეგი მინაწერი: „წმიდაო იოანე, მიზიარე სურვილისა და სიყუარულისა და ნეტარებასა და სიმდიდრესა შენსა მე, ღმრთისმშობლის საკუთარი მონაწილხდომილის შვილი, მღდელმონაზონი გიორგი, ჯუმათელი დარჩია, ამინ!"**

94 ღმრთისმშობელისა C] ღმრთისმშობლისსა, თავი გ, მამაო, გუაკურთხენ A + თავი გ, გუაკურთხენ, მამაო C.

95 იოცნებდენ A] იოცნებდეს C.

96 მაბრალობნ C] მაბრალობებნ A.

97 რაჲმე C] რამე A.

98 სერობად C] სერბად A.

99 წინა-დაგიგებს C] წინა-დაგიგიეს A.

100 ჰხედავთ A] ხედავთ C.

101 რასმე C] რაჲსმე A.

102 გამოვჰსახავ C] გამოვსახავ A.

103 ჩუენ C] ჩემ A.

ნათლისაჲ, ვითარ მიმღებელ იქმნეს განათლებისა? არამედ რასა ესე ვჰყოფთ მისთჳს? ამიერ თავთა ჩუენთა შეუთხზავთ გჳრგჳნსა, რამეთუ „ცხოველ ვარ მე, იტყჳს უფალი, მე მადიდებელნი ჩემნი ვადიდნე"[104].

ნამდჳლვე ტკბილ არს ღჳნოჲ, ტკბილად სასუმელი, და საზრდელ კაცთათჳს პური იგი უკუე მახარებელ, ხოლო ესე განმამტკიცებელ 5 არიან გულთა ჴორციელთასა[105]; არამედ რაჲმცა იყო უტკბილეს დედისა ღმრთისა? ამას წარუტყუენავს გული ჩემი, ამას მიუყვანებიან თჳსად ენაჲ ჩემი გონებითურთ; ესე მეოცნების მძინარესა და მღჳძარესა[106], ესე დედაჲ არს სიტყჳსაჲ და მომანიჭებელი ყოველთა მეტყუელებისაჲ, ნაშობი ბერწისაჲ და ნაყოფიერმყოფელი სულთა ბერწობისაჲ. ამისსა 10 საღმრთოსა და წმიდასა მიცვალებასა ვდღესასწაულობთ დღეს. მოვედით უკუე და აღვიდეთ მთისა მიმართ საიდუმლოჲსა და ზესთა ვექმნნეთ მიზეზთა ამათ სოფლისათა და ნივთიერთა[107]; შევიდეთ შინაგან ნისლისა და, განათლებულნი საღმრთოჲთა ნათლითა, მაქებელ[108] ვექმნნეთ **[A399r]** საღმრთოსა მას და შეუხებელსა ძალგანუზომელსა ძლიერებასა, ვითარ 15 ზესთა არსისა მის წიაღისაგან უნივთოჲსა და ყოველთა დაბადებულთა მიერ კერძოჲსა საშოჲსაგან მამულისა განუშორებელად ქალწ**[C412v]** ულებრივად საშოდ გარდამოჴდა, მუცლადღებულ და ჴორცშესხმულ იქმნა და ვნებათა მიერ ნებსით მიისწრაფა სიკუდილისა მიმართ ჴორცითა მით მიწითმქონებელითა შობისაჲთა და ხრწნილებასა მოუგო 20 უხრწნელებაჲ და კუალად აღვიდა მამისა. მან თავადმან ჴორციელად მშობელსა თჳსსა მისსა მიმართ აღუწოდა, რაჲთა რომელი-იგი იქმნაცა ქუეყანისა, დღეს ქუეყანით ზეცად მიიცვალოს.

2) დღეს საცნაური კიბე სულიერი, რომლისა მიერ გარდამოჴდა მაღალი, ქუეყანასა ზედა რაჲ გამოჩნდა და კაცთა შორის იქცეოდა[109], სიკუდილისა 25 კიბესა იჴუმევს ქუეყანით ზეცად აღმყვანებელად; დღეს ქუეყანასა ზედა ტაბლაქმნილი პურისა მის ზეცისაჲ, პურისა ცხორებისაჲ, და თჳნიერ ქორწინებისა მტჳრთველი ღმრთეებისა ცეცხლისაჲ, ქუეყანით ზეცად აღამაღლებს და, აღმოსავალით მხედველსა, ბჭესა ღმრთისასა ბჭენი ზეცათანი განეხუმიან; დღეს სულიერი ქალაქი ღმრთისაჲ იერუსალემით 30 ქუეყანისაჲთ იერუსალემად ზეცისა მიიცვალების და რომლისაგან იშვა პირმშოჲ მხოლოდშობილი, ეკლესიასა პირმშოთასა დაემკჳდრების და კიდობანი უფლისაჲ, სიტყჳერი და სულიერი, განსუენებად ძისა თჳსისა მიიცვალების, ბჭენი სამოთხისანი განეხუმიან და ღმერთშემოსილსა მას

104 **I მეფ. 2,30.**
105 **ფს. 103,15.**
106 და მღჳძარესა C] – A.
107 ნივთიერთა A] ნივთთა C.
108 მაქებელ C] მაქებელე A.
109 **ბარუქი 3,38.**

ორნატსა შეიწყნარებენ, რომლისაგან საუკუნოჲ რაჲ ხე ცხორებისაჲ
აღმოსცენდა, მყის დაჰჴსნა ურჩებაჲ ევაჲსი და მოკუდავებაჲ ადამისი.
ესე თჳთ თავადი არს ქრისტე, მიზეზ ყოველთა ცხორებისა და დამჴსნელ
სიკუდილისა[110]; დღეს ქუაბი გამოკუეთილი მთასა გამოუკუეთელსა **[C413r]**
5 შეიწყნარებს, ვინაჲ-იგი თჳნიერ ჴელისა გამოკუეთილმან ლოდმან აღავსო
ყოველი სოფელი; დღეს სასძლოჲ სიტყჳსა ღმრთისა განჴორციელებისაჲ
ყოვლადმოქადულსა შინა საფლავსა, ვითარცა სასძლოსა შუენიერსა,
განსუენებულ იქმნა, ვინაჲ-იგი აღვიდა სასძლოჲსა მიმართ ზეცათაჲსა
განცხადებულად სუფევად ძისა და ღმრთისა თჳსისა თანა და საფლავი
10 თჳსი დაუტევა მკჳდრთა ქუეყანისათა სასძლოდ ყოვლადშუენიერად.

**[A399v]** სასძლო არს-ა საფლავი? ჰᲩ[111], სასძლო, უბრწყინვალეს
ყოვლისა სასძლოჲსა, არათუ ოქროჲსა ბრწყინვალებითა, არცა
ვეცხლისა საჩინოებითა და თუალთა პატიოსანთა ელვარებითა,
ღებილთა ქსოვილებითა ანუ სამოსელთა ოქროქსოვილებითა[112] და
15 პორფირითა[113] შემკულებითა, არამედ ღმრთიებრწყინვალითა ნათლითა
ყოვლადწმიდისა სულისაჲთა[114]. სასძლო არს არა ქუეყანისა ტრფიალთა
შემაერთებელ, არამედ საკრველითა სულისაჲთა შეჰკრავს ღმრთისა
მიმართ სულებსა, ღირსთა და წმიდათასა, უმჯობეს და უტკბილეს
ყოველთა მეუღლებათა ქუეყანისათა[115]. ესე საფლავი ედემსა უშუენიერეს
20 არს, რაჲთა არღარა ვიტყოდი მუნ ქმნილსა მას კეთილისსახედ ბოროტისა
განზრახებასა ბოროტად ბორგნეულისა მტრისასა, არამედ ესრეთ
თქუმითა თანაზრახვად უწოდდე შურსა მას ბოროტისასა[116], არამედ
ესრეთ თქუმითა - ცთუნებასა, ევაჲს უგულისჴმოებასა, რწმუნებასა,
ტკბილად მიპყრობილსა მას მწარესა ჴორცსა სამჴედურისასა, რომლისა
25 მიერ წარიპარა გონებითა და წარტყუენა მეუღლეცა თჳსი ურჩებასა
მას, ექსორიობ**[C413v]**ასა და სიკუდილსა. რაჲთა არა ამათ ყოველთა
წარმოთქუმაჲ ვყო ნივთმჴმუნვარებისა დღესასწაულისა ამისთჳს
ყოვლადსახარულევანისა, - ამან ქუეყანით ზეცად მიცვალა გუამი თჳსი
მოკუდავი, ხოლო მან სიმაღლით სიმდაბლედ ქუეყანისა გარდამოსთხინა
30 მთავარნი ნათესავთანი[117], რამეთუ უკუეთუმცა არა მუნ ასმიოდა – „მიწა

110 დამჴსნელ სიკუდილისა] – PG 96 col. 756 B 1-2. **არც ბერძნულ ტექსტში და არც წინაათონურ თარგმანში ეს ორი სიტყვა არ არის (იხ.: შენიშვნ. III, სქ. №110).**

111 ჰᲩ A] ჰე C.

112 ანუ სამოსელთა ოქროქსოვილებითა A] - C.

113 პორფირითა C] პორფირთა A.

114 სულისაჲთა C] სულისა A.

115 უმჯობეს და უტკბილეს ყოველთა მეუღლებათა ქუეყანისათა] glukuteran katastasin PG 96 col. 756 C 2. **წინაათონურ თარგმანშია:** "რომელ-იგი უტკბილეს არს და უფროჲს ყოვლისა არსისა".

116 ბოროტისასა AC] + არამედ ესრეთ თქუმითა A.

117 ქუეყანისა გარდამოსთხინა მთავარნი ნათესავთანი] ei~ ghn ton genarchn kathgagen PG 96 col. 756 C 11-12. **წინაათონურ თარგმანში:** "ქუეყანად გარდამოიყვანა

ხარ და მიწადცა მიიქცე”[118], არამცა დასჯილ იყო ხატებად ღმრთისა შექმნული.

ესე საფლავი ძუელისა მის კარვისასა უპატიოსნეს არს, ვითარცა შემწყნარებელი სიტყჳერისა და სულიერისა ღმრთივბრწყინვალისა სასანთლისაჲ და ცხორებაშემოსილისა მის ტაბლისა არა პურთა 5 წინადაგებისაჲ, არამედ თჳთ პურისა მის ზეცისაჲ, არცა ცეცხლისა ნივთიერისაჲ, არამედ შემწყნარებელი უნივთოსა მას ცეცხლსა ღმრთეებისასა. ესე საფლავი მოსეანისა მის კიდობნისასა უსანატრელეს არს, რამეთუ წილკეთილ ხუდა არა აჩრდილთა და სახეთაგანი რაჲმე, არამედ თჳთ თავადი ჭეშმარიტებაჲ, რამეთუ შეიწყნარა ტაკუკი იგი 10 უმანკოჲსა ოქროჲსსახე, **[A400r]** რომელმან ნაყოფად გამოიღო მანანაჲ იგი ზეცისაჲ და ფიცარნი სულიერნი სიტყჳსა ღმრთისანი, დაწერილნი ჴელითა[119] ყოვლადწმიდისა სულისაჲთა, რომელ არს სიტყუაჲ ერთგუამოვნებით განჴორციელებული, ოქროჲსა იგი სასაკუმევლე, მშობელი სადმრთოჲსა მის ნაკუერცხალისა, ყოვლისა სოფლისა 15 განმასურნებელისაჲ.

3) გოდებედ ნისტორიანნი[120], ვითარ-იგი პირველ ძუელსადმე მეგჳპტელნი და მათი იგი მთავარი, ახალი ფარაო, მწარე იგი მძლავრი და მდევარი, რამეთუ დაინთქნეს სი**[C414r]**ღრმესა გმობისასა; ხოლო ჩუენ, ცხოვნებულნი ფერჴითა დაულტოლველითა და განმვლელნი 20 მარილიანსა მას ზღუასა უღმრთოებისასა, უგალობდეთ დედასა ღმრთისასა გალობითა განსლვისაჲთა. აღიღედ, მარიამ, ეკლესიამან, ებანი ჴელთა თჳსთა და დამწყებელ იქმენინ გალობასა სადღესასწაულოსა გამოსლვასა სულიერისა ისრაელისასა; ღაღადებდედ ქალწულნი ებნითა[121] და მწყობრებითა; მეფენი ქუეყანისანი, მსაჯულნი მთავართა 25 თანა, ჭაბუკნი და ქალწულნი[122], მოხუცებულნი ყრმათა თანა, ერთბამად უგალობდით ღმრთისმშობელსა; მეტყუელნი და სიტყუანი ყოვლითკერძონი წარმართთა და ერთა ენანი თითოსახენი გალობასა ახალსა მოქმედებდით; ჴმა-ყავნ ჰაერმან სულიერითა წინწილებითა და საყჳრებითა და ცეცხლებრითა კრთომითა ელვისა ისართაჲთა 30 განახლდებოდედ დღე ესე, დღე ცხორებისა და საუკუნოდ გამოჴსნისა ჩუენისაჲ.

იხარებდით ცანი და ღრუბელნი წთოდეთ მხიარულებასა,

---

მთავარი იგი ნათლისაჲ”.

118 **დაბ. 3,19.**

119 ჴელითა C] – A.

120 გოდებედ ნისტორიანნი] Feugetwsan daimone~, ololuzetwsan trisaqlioi Nestwrioi PG 96 col. 757 A 4. **წინაათონურ თარგმანშია:** “შეძრწუნდნენ ეშმაკნი” **(იხ.: შენიშვნ. III, სქ. №120).**

121 ებნითა A] ებნებითა C.

122 ქალწულნი A] - C.

აღიმღერებდით ვერძნი რჩეულისა ღმრთისა სამწყსოჲსანი, წმიდანი
მოციქულნი და ქადაგნი[123] მეუფისანი, ვითარცა ამაღლებულნი[124] მთასა
ზედა მაღალსა და აღმატებულსა, და კრავნი ღმრთისანი, ერი წმიდაჲ
ეკლესიისა არვეთაჲ, ვითარცა ბორცუნი[125], ჰკრთებოდეთ და აღვიდოდეთ
5 მთათა მიმართ მაღალთა გონებისა კეთილისათა. ყოველნივე ზოგად
ერთჴმობით ღაღადებდით და იტყოდეთ[126]:

„ეჰა, ეჰა! მიიცვალა წყაროჲ ცხორებისაჲ, დედაჲ უფლისა ჩუენისაჲ,
რამეთუ ჯერ-იყო მიწით შექმნულისაჲ კუალად**[C414v]**გებაჲ მიწადვე
ერთგზის დადებითა მის შორის[127] და ეგრეთღა მიერ აღტაცებაჲ[128]
10 ზეცად, რაჲთა ქუეყანით მიიღოს მონიჭებული იგი ქუეყანისაჲ,
საფლავსა დადებული იგი საკჳრველი გუამი, ცხორებამან მან ყოვლად
დაუსრულებელმან. ჯე[A 400v]რ-იყო მისდა, ვითარცა ოქროჲსა, და
რაჲთა პირველად განიყაროს მისგან სიზრქე იგი მიწისაჲ და სიბნელე
მოკუდავებისაჲ ბრძმედსა შინა სიკუდილისასა და ესრეთღა აღიდგინნენ
15 სამარით ჴორცნი მისნი უხრწნელნი და წმიდანი და ბრწყინვალენი
ნათლითა უბიწოებისაჲთა.

4) დღეს დასაბამსა მიიღებს მეორედ კუალადგებისასა მიმცემელი
იგი ღმრთისა სიტყჳსა ჴორცთა დასაბამიერთაჲ მისგან, რომელმან-
იგი მოსცა მას პირველიცა იგი დასაბამი სოფლად შემოსლვისაჲ
20 და ჯერ-იჩინა მისი სოფელსა შინა მეორედ დასაბამ-ყოფაჲ ჴორცთა
ბუნებისა თჳსისაჲ; მას ვიტყჳ, რომელსა არა აქუს დასაბამი ჟამიერი[129]
პირველ საუკუნეთაჲსა მის უჟამოჲსა და დაუსაბამოჲსა მამისაგან
შობისა თჳსისაჲ, დაღაცათუ აქუს მას მამაჲ მიზეზ და მშობელ თჳსისა
გუამოვნებისა, რომელ-იგი არს ძე ღმრთის და ერთარს მამისა თანა[130].

25 გიხაროდენ, სიონ, მთაო საღმრთოო და წმიდაო, რომელსა შინა მკჳდრ
იყო მთაჲ იგი საღმრთოჲ და სულიერი! ახალო ბეთელო, რომელსა
შინა იცხო ძეგლი, ბუნებაჲ კაცობრივი, საცხებელითა ღმრთეებისაჲთა,

---

123 წმიდანი მოციქულნი და ქადაგნი] oi qeioi apostoloi PG 96 col. 757 B 9. **"ქადაგნი" არ არის არც წინაათონურ თარგმანში.**

124 ამაღლებულნი A] აღმაღლებულნი C.

125 ვითარცა ბორცუნი] wsper bounoi PG 96 col. 757 B 12. **წინაათონურშია:** "ვითარცა ნერგნი".

126 გონებისა კეთილისათა. ყოველნივე ზოგად ერთჴმობით ღაღადებდით და იტყოდეთ] – PG 96 col. 757 B 13. **ეს ფრაზა არ არის არც წინაათონურ თარგმანში.**

127 ჯერ-იყო მიწით შექმნულისაჲ კუალადგებაჲ ერთგზის დადებითა მის შორის] Edei gar to ek gh~ sunteqen palinosthsai pro~ ghn PG 96 col. 757 B 14-15. **ეფრემის თარგმანი ბერძნულ ტექსტს უმატებს სიტყვას "ერთგზის", რაც არ არის წინაათონურ თარგმანში.**

128 აღტაცებაჲ A] აღტაცებად C.

129 დასაბამი ჟამიერი A] ჟამიერი დასაბამი C.

130 რომელ-იგი არს ძე ღმრთის და ერთარს მამისა თანა] – PG 96 col. 757 C 13. **ეს ფრაზა არ არის არც წინაათონურ თარგმანში.**

რამეთუ შენგან აღვიდა ზეცისა სიმაღლედ დედოფალი დაბადებულთაჲ
და მშობელი სიტყჳსა ღმრთისაჲ[131], ვითარცა თჳთ თავადი ღმერთი და
ძე მისი მთით ზეთისხილთაჲთ[132].

განემზადენით ღრუბელნი **[C415r]** ყოვლისა სოფლისანი და
ზესთსოფლისანი[133] და ფრთენი ქართანი კიდეთაგან ქუეყანისათა 5
სიონად მომართ წიაღ-მოავლებდით[134] მოციქულთა. ვინ არიან ესენი,
რომელნი ფრინვენ ვითარცა არწივნი და ღრუბელნი და ვითარცა ორბნი
მდებარისა მიმართ ყოველთა აღდგომისა მიზეზისა[135], რაჲთა ჰმსახურონ
დედასა სიტყჳსა ღმრთისასა? ვინ არს ესე, აღმომავალი განსპეტაკებული,
ყოვლადშუენიერი და ბრწყინვალე, ვითარცა მზე? ამისთჳს გალობედ 10
ქნარნი[136] სულისანი, ენანი წმიდათა მოციქულთანი, ღაღადებედ
წინწილები ჴმატკბილები, რომელ არიან თავნი ღმრთისმეტყუელებისანი.
ამათგანი არს ჭური იგი რჩეული იეროთეოს, განწმედილი სულისა მიერ
წმიდისა, ტაძარ საღმრთო-ყოფად მსგავსად სახელისა მისისა[137], რომელმან
ღმრთისა შეერთებითა ისწავნა საღმრთონი საიდუმლონი და შეემთხჳა 15
ყოვლად განსრულ-ყოფაჲ ჴორცთაგან, *ყოვლად თანააღყოლითა
გონებისა, კეთილად ფრთოვან ქმნულისაჲთა, რომლითა აღიტყუელებდა
**[A401r]** ყოვლად განძლიერებითა თჳსთა საგალობელთაჲთა და შესხმათა
ყოვლად განსაკჳრვებელთაჲთა*[138].

ყოველთა წარმართათა აღიტყუელენით ჴელნი თქუენნი[139], ყოველნივე 20
უგალობდით ღმრთისმშობელსა. ანგელოზნი მსახურ იქმნენით გუამისა
მოკუდავისა; ასულნო[140] იერუსალემისანო, შეუდეგით დედოფალსა
და ვიდოდეთ შემდგომად მისსა[141] და ვითარცა მოყუასნი მისნი
ქალწულებითა, კეთილად განჭაბუკნებოდეთ სულითა, სასძლოდ მიმართ
თანა-წარჰყევით, ჰ ყოველნო, მარჯუენით მეუფისა დადგომადნო და 25

131 დედოფალი დაბადებულთაჲ და მშობელი სიტყჳსა ღმრთისაჲ] - PG 96 col. 757 D 2. **ეს ფრაზა არ არის არც წინაათონურ თარგმანში (იხ.: შენიშვნ. III, სქ. №131).**

132 ზეთისხილთაჲთ C] ზეთისხილთაჲ A.

133 და ზესთსოფლისანი] – C.

134 წიაღ-მოავლებდით C] მოავლებდით A.

135 მიზეზისა AC] + მიმართ A.

136 ამისთჳს გალობედ ქნარნი C] ამას თანა გალობენ ქარნი A.

137 ტაძარ საღმრთო-ყოფად მსგავსად სახელისა მისისა] – PG 96 col. 760 A 4. **ეს ფრაზა არ არის არც წინაათონურ თარგმანში (იხ.: შენიშვნ. III, სქ. №137, 138).**

138 *ყოვლად თანააღყოლითა გონებისა...ყოვლად განსაკჳრვებელთაჲთა*] ol-o~ sunekdhmeitw th proairesei, kai kroteitw toi~ efumnioi~ PG 96 col. 760 A 5-6. **წინაათონური თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს:** "და მოგზაურ ექმენინ ყოველი დედასა ღმრთისასა კეთილითა სარწმუნოებითა და შეერთებითა გალობისაჲთა" **(იხ.: შენიშვნ. III, სქ. №137, 138).**

139 თქუენნი A] - C.

140 ასულნო A] + ასულნო C.

141 **ფს. 44,15.**

წინაშე მისსა ღირსებით წარდგომადნო![142] **[C415v]** გარდამოვედ, მეუფეო, გარდამოვედ გარდაჴდად მშობელისა მიმართ თანანადებსა აღზრდისასა! განჰმარტენ ჴელნი საღმრთონი, შეიწყნარე სული მშობელისა შენისაჲ, რომელმან ჯუარსა ზედა ჴელთა მამისათა შეჰვედრე სული შენი[143].

5 ჴმობდა მისსა მიმართ ტკბილითა რაჲთმე ჩურჩნით განძრვითა ბაგეთაჲთა: „მოვედ, შუენიერო მოყუასო ჩემო, რომელმან შუენიერებაჲ ქალწულებისაჲ უფროს მზისა განაბრწყინვე! მომეც მე შენ შენი შენთაგან; მოვედ აწ, მიიღე ჩემი ჩემთაგან და ჩემ თანა; მოვედ, დედაო, ძისა მომართ; მოვედ, სუფევად შენგან შობილისა თანა, რომელი 10 ჟამ რაოდენმე ნებსით ვგლახაკობდ შენ თანა გლახაკობითა მით ჴორცთშესხმისა და სიკუდილისაჲთა”[144]!

წარვედ, დედოფალო, წარვედ! არა მოსეანად აღვედ და აღესრულე; უფროსდა აღესრულე და ეგრეთ აღვედ; სული შეჰვედრე ჴელთა ძისა შენისათა, ხოლო მიწისაჲ მიეც მიწასა, რამეთუ იგიცა შენ თანა აღტაცებად 15 არს. აღიხილენით სიმაღლედ[145] თუალნი თქუენნი, ერნო ღმრთისანო, აღიხილენით! აჰა ესერა, სიონს შინა კიდობანი უფლისა ღმრთისა ძალთაჲსაჲ და ამას უკუე[146] ჴორციელად[147] მოციქულნი წინა-უდგან და წარჰგზავნიან ცხორებისა[148] დასაბამსა და ღმრთისშემწყნარებელსა გუამსა მისსა, ხოლო უნივთოდ და უხილავად გარე-მოადგან ანგელოზნი 20 შიშით და მოწიწებით, ვითარცა მონანი დედასა მეუფისა მათისასა. არა ხოლო ესე, არამედ თჳთ თავადცა უფალი, ყოველგან მყოფი და ყოვლისა აღმავსებელი, მათ თანა არს და ყოველნივე წინაშე თჳსსა შემოუკრებიან მას თავადსა, რომლისა არცა **[C416r]** ერთი ადგილი კმა არს დატევნად მისსა და რომელსა თავსა შორის თჳსსა ჰქონან 25 ყოველნი, ვითარცა შემომკრებელსა და მიზეზსა, შემოქმედსა **[A401v]** და დამბადებელსა ყოველთასა[149].

---

142 და წინაშე მისსა ღირსებით წარდგომადნო] – PG 96 col. 760 A 12.

**ეს ფრაზა არ არის არც წინაათონურ თარგმანში (იხ.: შენიშვნ. III, სქ. №142)**.

143 რომელმან ჯუარსა ზედა ჴელთა მამისათა შეჰვედრე სული შენი C] - A.

144 რომელი ჟამ რაოდენმე ნებსით ვგლახაკობდ შენ თანა გლახაკობითა მით ჴორცთშესხმისა და სიკუდილისაჲთა] deuro sumbasileuson tw ek sou sun soi ptwceusanti PG 96 col. 760 B 5-6.

**ამ შემთხვევაში წინაათონური თარგმანი უფრო ზუსტად მიყვება ბერძნულ ტექსტს:** “და სუფევად ჩემ თანა, რომელი შენგან და შენთჳს დავგლახაკენი” **(იხ.: შენიშვნ. III, სქ. №144)**..

145 სიმაღლედ] – PG 96 col. 761 B 11. **ეს სიტყვა არ არის არც წინაათონურ თარგმანში.**

146 უკუე] – C.

147 ჴორციელად A] + ხოლო C.

148 ცხორებისა C] ცხორების A.

149 და მიზეზსა, შემოქმედსა და დამბადებელსა ყოველთასა] kai sunektikw aitiw PG 96 col. 760 C 4.

აჰა, ქალწული, ასული ადამისი და დედაჲ ღმრთისაჲ! ადამისათჳს ჴორცთა თჳსთა მიწად წარჰგზავნის[150], ხოლო სულსა მეორისა ადამისთჳს, ძისა და ღმრთისა თჳსისა, ზეცისა საყოფელთა ადიყვანებს მკჳდრობად მუნ. წმიდა იქმნებოდენ ურაკპარაკნი წმიდისა ქალწულისანი
და მოისთულებედ კურთხევასა და საუკუნესა მათ შორის განვლითა 5
ღმრთისა სამკჳდრებელისაჲთა! წინა-უვიდოდენ ანგელოზნი, საფლავსა განჰმზადებედ, შეიმკვებოდენ საფლავი ბრწყინვალებითა სულისაჲთა, განემზადებოდედ ნელსაცხებელი, რაჲთა შეიმუროს ყოვლადუბიწოჲ და ყოვლადშეუხებელი იგი გუამი, აღსავსე საღმრთოჲთა სულნელებითა. მოვედინ წყალი მხიარულებისაჲ და აღმოივსეთ[151] კურთხევაჲ 10
განბანისათჳს წყაროჲსა მისგან ყოვლისა კურთხევისა!

იხარებდინ ქუეყანაჲ დადებითა გუამისა მის ყოვლადწმიდისაჲთა! ჰკრთებოდედ ჰაერი აღსლვითა სულისა მისისაჲთა! მოჰბერეთ ნიავთა ცუაროვანთა, აღსავსეთა მადლითა! ყოველი დაბადებული
დღესასწაულობდით აღსლვასა ღმრთისა დედისასა[152]! მწყობრი ჭაბუკთაჲ 15
ღაღადებდინ, რიტორთა ენაჲ ქების-მეტყუელებდინ გალობასა და ქებასა მისსა შესხმითურთ[153], გულნი ბრძენთა ფილოსოფოსთანი საკჳრველებასა ამას სიბრძნის-მეტყუელებდინ[154], მოხუცებულნი, მიმცემელნი მჴ**[C416v]** ცეთა თჳსთა პატიოსნისა და ჟამიერისა კრძალულებისანი, ნაყოფსა ჯეროვნისა ხედვისასა[155] უშიშად მოისთულებდინ! ყოველმან 20
დაბადებულმან შემოგჳკრიბენ გალობაჲ ჴმათა შემსგავსებულთაჲ[156], რამეთუ რაოდენცა ვინ მრავლითკერძო შემოგჳკრიბოს, ვერცა ეგრეთ შეუძლოთ ჩუენ მიწთომად ღირსებითსა შესხმასა ნაწილისა[157] მისისასა[158].

---

150 წარჰგზავნის A] წარჰზავნის C.

151 აღმოივსეთ C] აღმოივსედ A.

152 აღსლვასა ღმრთისა დედისასა C] – A.

153 რიტორთა ენაჲ ქების-მეტყუელებდინ გალობასა და **ქებასა მისსა შესხმითურთ**] Ruhtwsan glwssai rhtorwn toi~ efumnioi~ PG 96 col. 760 D 4-5. **ეფრემის თარგმანმა უმნიშვნელოდ გაავრცო ბერძნული ტექსტი; რაც შეეხება წინაათონურ თარგმანს, ის ამ შემთხვევაში უფრო ახლოს დგას ბერძნულ ტექსტთან:** "ენანი, შუენიერად მეტყუელნი, იტყოდედ ქებასა".

154 გულნი ბრძენთა ფილოსოფოსთანი საკჳრველებასა ამას სიბრძნის-მეტ-ყუელებდინ] kardiai sofwn to qauma filosofeitwsan PG 96 col. 760 D 5-6. **ეფრემის თარგმანი ოდნავ გავრცობილია. წინაათონური თარგმანია:** "გულნი ბრძენთანი განბრძნდით ამით საკჳრველებითა".

155 ჯეროვნისა ხედვისასა] atrema ta~ qewria~ PG 96 col. 760 D 7. **წინაათონურშია:** "ჩუენებით ხილვისაჲ".

156 ყოველმან დაბადებულმან შემოგჳკრიბენ გალობაჲ ჴმათა შემსგავსებულთაჲ] Pasa h ktisi~ suneisenegkatw ton eranon PG 96 col. 760 D 7-8. **წინაათონურ თარგმანშია:** "შენ, დაბადებულმან, განმზადენ, რაჲ-იგი აქუს პატივად", **რაც უფრო ახლოს არის ბერძნულ ტექსტთან.**

157 შესხმასა ნაწილისა A] ნაწილსა შესხმისა C.

158 რამეთუ რაოდენცა ვინ მრავლითკერძო შემოგჳკრიბოს, ვერცა ეგრეთ

5) მოვედით ყოველნი, საცნაურად თანა-წარვჰყვეთ ამიერ აღმავალსა ამას! მოვედით ყოველნი, სურვილითა გულისაჲთა საფლავად შთასლვასა მისსა თანა-შთავჰყვეთ! მტჳრთველ ვიქმნნეთ დიდებულისა მის[159] ცხედრისა მისისა, გალობითა სამღდელოჲთა უგალობდეთ ესრეთ სახედ შეწყობილებითა ჴმათა და გონებათაჲთა: „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა![160] გიხაროდენ, წინაგანსაზღვრებულო დედაო ღმრთისაო! გიხაროდენ, წინაგამორჩეულო პირველ საუკუნეთაჲთა მით განზრა**[A402r]**ხვითა ღმრთისაჲთა, მორჩო ქუეყანისა საღმრთოჲსაო, სამკჳდრებელო ცეცხლისა საღმრთოჲსაო, დიდებულო ძეგლო სულისა წმიდისაო, წყაროო წყლისა ცხოველისაო[161], სამოთხეო ხისა მის ცხორებისაო, სულიერო ვაზო ტევნისა მის საღმრთოჲსაო[162], რომელი აღმოაცენებს ნაკადულსა უკუდავებისასა, მდინარეო, აღსავსეო სულნელითა მათ მიერ სანელებელთა სულისათა, ორნატო საღმრთოჲსა მის თავწარსხმულისაო, საჩინოო ვარდო სულიერისა[163] ქალწულებისაო, რომელი ჰფშჳ მადლთა სულნელებასა, შროშანო სამეუფოჲსა შესამოსლისაო, ტარიგო მშობელო კრავისა ღმრთისაო, რომელი აღიხუამს ცოდვათა სოფლისათა, ცხორებისა ჩუენისა საქმარო, უზესთაესო ანგელოზებრთა ზეცისა ძალ**[C417r]**თაო, დედაო და მჴევალო ღმრთისა შემოქმედისაო!

მოვედით უკუე და შთავიდეთ საფლავად ყოვლადსაკჳრველად[164] და მიერ აღმოვივსნეთ მადლნი საღმრთონი; მოვედით სოფლისა წიაღთა[165], ვიტჳრთოთ გუამი ყოვლადწმიდისა მარადის ქალწულისაჲ; შევიდეთ შინაგან სამარისა მის თანა და მის თანა მოვკუდეთ, ლტოლვილნი ჴორციელთა ვნებათაგან და ყოვლადუქმებითა მკუდარქმნილნი მათგან[166], ხოლო ცხოველნი ცხორებითა ვნებათაგან განყენებულითა და

---

შეუძლოთ ჩუენ მიწთომად ღირსებითსა შესხმასა ნაწილისა მისისასა] Oud outw gar an pollos tou merou~ th~ axia~ efikointo PG 96 col. 760 D 8-9. **წინაათონურ თარგმანშია:** "რამეთუ ვერცადა ესრეთ მიიწევის ნაწილსა ერთსა ჩუენი ესე სწრაფაჲ, რასა-იგი ღირს არს დედოფალი ესე".

159 მის C] - A.

160 **ლკ. 1,28.**

161 წყაროო წყლისა ცხოველისაო A] - C.

162 ტევნისა მის საღმრთოჲსაო A] საღმრთოჲსა მის ტევნისაო C.

163 სულიერისა A] - C.

164 ყოვლადსაკჳრველად] ton akhraton PG 96 col. 761 B 3. **წინაათონური უფრო ახლოს არის ბერძნულ ტექსტთან:** "რომელი არა განჰხრწნის" **(იხ.: შენიშვნ. III, სქ. №164).**

165 სოფლისა წიაღთა] yucikai~ agkalai~ PG 96 col. 761 B 4-5. **ეფრემის თარგმანმა, განსხვავებით წინაათონურისაგან, გადმოიღო ბერძნული** "yuciko~-**ის შემდეგი მნიშვნელობა: "ამქვეყნიური", ანუ "სოფლიური". წინაათონურ თარგმანში გადმოღებულია ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობა, კერძოდ: "სულიერი": "მკლავთა ზედა სულიერთა".**

166 ყოვლადუქმებითა მკუდარქმნილნი მათგან] – PG 96 col. 761 B 7. **ეს ფრაზა არ**

უვნებელობით მოქალაქობისა მიერ შემკობილითა.[167] ვისმინოთ საღმრთოჲ
გალობაჲ, უნივთოთაგან ბაგეთა ანგელოზთაჲსა გამომავალი, შევიდეთ,
თაყუანის-ვსცეთ და ვისწაოთ, უცხოჲ საკჳრველი ვითარ აღიტაცა,
ვითარ მიიცვალა, ვითარ ზეცადმი აღმაღლდა ვიდრე მიახლებამდე[168]
სიმაღლესა[169] ძისა თჳსისასა, უზეშთაესქმნითა ყოვლისავე ანგელოზთა 5
წესისა და მწყობრისაჲთა, რამეთუ ვერარაჲ ეგების შუაკედელ-ყოფად[170]
შორის ძისა და დედისა.

ესე მესამე სიტყუაჲ განსლვისა შენისათჳს შემიმზადებიეს, ჰ
დედაო ღმრთისაო, პატივითა და კრძალულებითა, სურვილითა
წმიდისა სამებისაჲთა, რომელსა შენ ჰმსახურე, რაჟამს სათნო-ყოფითა 10
მამისაჲთა და ძალითა სულისა წმიდისაჲთა დაუსაბამოჲ სიტყუაჲ
ყოვლისა[171] შემძლებელისა ღმრთისაჲ შეიწყნარე, სიბრძნე და ძალი
მისი; მიითუალე უკუე გულსმოდგინებაჲ ჩემი, უზესთაესი ძალისაჲ, და
მომეც მაცხოვარებაჲ, სულიერთა ვნებათაგან თავისუფლებით უცხო-
ყოფაჲ, სენთა ჴორციელთა აღსუბუქებაჲ, განსაცდელთა და**[A402v]** 15
ჴსნაჲ, საწუთოჲსა მყუდროებით დაწყნარებაჲ, განათლებაჲ სულისა
მიერ **[C417v]** წმიდისა აღტყინებად ჩემ შორის სურვილსა ძისა შენისასა,
სათნოდ ღმრთისა მამისა წარჰმართე ყოველი ცხორებაჲ[172] ჩუენი,
რაჲთა მერმესა მასცა მივემთხჳნეთ ცხორებასა და ნეტარებასა და
მუნ განბრწყინვებულ ვიქმნნეთ ხილვითა ძისა შენისა დიდებისაჲთა, 20
რაჲთა გალობათა საღმრთოთა შემწირველ ვიქმნნეთ, სიხარულით
მღაღადებელნი მოხარულთა მათ თანა ღირსებით საუკუნოჲსა
მკჳდრობისაჲთა[173] ეკლესიასა შინა ბრწყინვალედ, მედღესასწაულეთასა
შესაკრებელსა მას შინა, რომელნი ღირსად მადლისა მის სულისა წმიდისა
დღესასწაულობენ, რომელთა თანა ჩუენცა დიდებისმეტყუელებითა 25
ვაქებდეთ და ვადიდებდეთ მას, რომელმან შენგან ცხორებისათჳს
ჩუენისა განკაცებითა და ჴორცშესხმითა განაგო ცხორებაჲ ჩუენი

---

**არის არც წინაათონურ თარგმანში.**

167 ცხოველნი ცხორებითა ვნებათაგან განყენებულითა და უვნებელობით მოქალაქობისა მიერ შემკობილითა] suzwnte~ de zwhn apaqh kai akhraton PG 96 col. 761 B 8. **ბერძნულ ტექსტს მისდევს წინაათონური თარგმანი:** "ცხორებითა მით, რომელსა შინა არა არს სალმობაჲ და არცა ხრწნილებაჲ" **(იხ.: შენიშვნ. III, სქ. №167).**

168 მიახლებამდე A] მიახლებადმდე C.

169 ვითარ აღიტაცა, ვითარ მიიცვალა, ვითარ ზეცადმი აღმაღლდა ვიდრე მიახლებამდე სიმაღლესა] w~ hrtai, w~ memetewristai w~ pro~ ouranon eilhptai PG 96 col. 761 B 11-12. **წინაათონურ თარგმანშია:** "ამაღლებულ არს და ცად მიწევნულ არს".

170 შუაკედელ-ყოფად A] შუვაკედელ-ყოფად C.

171 ყოვლისა A] ყოვლისავე C.

172 ცხორებაჲ C] – A.

173 მკჳდრობისაჲთა C] მკჳდრებისათა A.

ქრისტემან, ძემან ღმრთისამან და ღმერთმან ჭეშმარიტმან, რომლისაჲ არს დიდებაჲ[174], პატივი და თაყუანისცემაჲ თანა დაუსაბამოჲთ მამით და ყოვლადწმიდით სულითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

174 დიდებაჲ A] + და C.

## ქებაჲ და შესხმაჲ წმიდისა ღმერთისმშობელისაჲ, თქუმული წმიდისა იოვანე დამასკელისაჲ[1]

A 135, 250r-254v (1035 წ.; F); A 1352, 97r-102r (XVIII ს.; G)

**[F250r] [G97r]** ყოვლადწმიდაო, დიდებულო[2], კურთხეულო, უხრწნელო
და ყოველთა ნათესავთაგან სანატრელო ღმრთისმშობელო! ვითარ
შეუძლოს ენამან კაცობრივმან გამოთქუმად დიდებულებათა შენთა,
რომელსა ღირს-იქმენ მიმთხუევად, რომელსა ყოველნი ძალნი ცათანი,
ქერაბინნი და სერაბინნი, ანგელოზნი და ჴელმწიფებანი და ყოველნი 5
ზეცისა განწყობილნი ვერ შემძლებელ არიან ღირსად გამოთქუმად
დიდებულებათა შენთა[3], რამეთუ იტჳრთე მუცლითა ცათა და ქუეყანისა
სიტყჳთ დამბადებელი, რომელსა ვერ იტჳრთვენ[4] ზესკნელნი, ქუესკნელნი
და გარესკნელნი[5], ცანი და ქუეყანაჲ, ზღუანი და ჴმელნი, რომლისა
მიხედვითა დადნებიან მთანი, ვითარცა ცჳლნი და[6], უნდეს თუ, განაჴმობს 10
ზღუათა სიტყჳთა მისითა[7] და წამის-ყოფაჲ თუალთა **[G97v]** მისთაჲ
შეჴმუსრავს ცათა[8] და ქუეყანასა?!

ესევითარი ძლიერი მეუფეჲ **[F250v]** დაიტია წმიდამან საშომან შენმან
და რაჲსათჳს ყოველთა ნათესავთა შორის გამოგირჩია შენ[9]? რამეთუ
პირველ საუკუნეთა[10] შესაქმედმდე განგმზადა სამკჳდრებელად თჳსად 15
და საყდრად სამეუფოდ განგაწესა, და სულმან წმიდამან სულით და
ჴორცით განგწმიდა და ყოლადვე, ვითარცა თქუა მართალმან იობ[11],
ვერ მოგჴედა შენ თუალმან ორბისამან[12] და ვერცა მოგეახლნეს ძენი

1 დამასკელისაჲ] + რომელი იკითხვის ყოველთა ოთხშაფათთა F; ლოცვაჲ ოთხშაბათსა სათქუმელი: სავედრებელი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა, თქუმული იოვანე დამასკელისა G.

2 დიდებულო F] – G.

3 დიდებულებათა შენთა F] დიდებისა შენისა G.

4 იტჳრთავენ F] იტჳრთენ G.

5 გარესკნელნი F] - G.

6 და F] - G.

7 მისითა F] თჳსითა G.

8 წამის-ყოფაჲ თუალთა მისთაჲ შეჴმუსრავს ცათა F] წამის-ყოფითა თჳსითა შემუსრავს ცასა G.

9 ყოველთა ნათესავთა შორის გამოგირჩია შენ F] გამოგარჩია ყოველთა ნათესავთა შორის G.

10 პირველ საუკუნეთა F] საუკუნესა G.

11 ვითარცა თქუა მართალმან იობ G] - F.

12 **გალობ. 2,10-11.**

ამპარტავანისანი[13], და მოიგენ ყოველნი საქმენი კეთილნი, რომელნი
სათნო არიან წინაშე ღმრთისა: სიწმიდე სწორად ანგელოზთა[14], სიმშჳდე,
სიმდაბლე, სიწრფოებაჲ და სიყუარული, რომლისადა[15] შჯული და
წინაწარმეტყველნი დამოკიდებულ არიან. ამისთჳს სათნო-იყო სიკეთე
5 შენი მაღალმან მან მეუფემან; არათუ შუენიერებაჲ ქმნულებისა შენისაჲ
შეიყუარა, არამედ ბრწყინვალებაჲ შინაგანისა[16] გონებისა შენისაჲ, რამეთუ
უკუეთუმცა არა უმეტეს ყოველთა დაბადებულთასა შემკობილ იყავ და
განწმედილი ყოვლითა კეთილითა, ვითარმცა შენ შორის დაიმკჳდრა,
რომლისა ჭელსა[17] შინა **[F251r]** არს ყოველი დაბადებული? გარნა
10 უზეშთაეს ყოველთა დაბადებულთა ზეცისა[18] **[G 98r]** და ქუეყანისათა
წმიდა იპოე. ამისთჳს ღირს-იქმენ ტჳრთვად მეუფისა მის, რომლისა
ჭელთა[19] შინა არიან ყოველნი მეფენი ქუეყანისანი და განიკითხავს
მათ, ვითარცა თჳთ ჰნებავს. ამას დიდებასა მიიწიე ყოველთა ადამიანთა
ცხორებისათჳს[20] სიკეთითა გონებისა შენისაჲთა, ბუნებაჲ ჩუენი
15 განხრწნილი თანაზიარ ღმრთეებისა ჰყავ, კაცნი შენ მიერ განღმრთდეს[21]
და მიწისაგანი[22] ბუნებაჲ ჩუენი[23] ნათესავმოდგამ ღმრთეებისა შენ მიერ[24]
იქმნა და დაიჭსნა მტერობაჲ ანგელოზთა და კაცთაჲ - ცანი და ქუეყანაჲ
შეერთნეს. და ვინ-მე[25] გამოთქუნეს სიმრავლენი ნიჭთანი, რომელნი შენ
მიერ მოეცნეს ნათესავსა კაცთასა[26]? ესე ყოველი შენ მიერ აღესრულა,
20 ვიდრე იყავ ქუეყანასა ზედა, ხოლო რაჟამს აღესრულნეს ჟამნი შენნი,
მოვიდა შენგან შობილი სიმრავლითა ანგელოზთაჲთა და წამისყოფამან
მისმან შემოკრიბნა წმიდანი მოციქულნი კიდით ქუეყანისაჲთ და
დიდებითა ბუნებათა[27] უაღრესითა მიგცვალა ქუეყანით ზეცად.

და აწ სულით და ჴორცით წინაშე ძისა შენისა სუფევ **[F251v]** და პატივ-
25 იცემები მისგან[28], ვითარცა **[G98v]** ჯერ-არს პატივი დედისაჲ ძისაგან,
რამეთუ მან ასწავა შვილთა პატივი მშობელთაჲ; ვითარმცა არა მან

13 ამპარტავანისანი F] ამპარტავანთანი G. **ფს. 100,5.**
14 სწორად ანგელოზთა G] - F.
15 რომლისადა F] რომელსა ყოველნი G.
16 შინაგანისა F] - G.
17 ჭელსა F] ჭელთა G.
18 ზეცისა F] ზეცისათა G.
19 რომლისა ჭელთა G] რომელსა ჭელსა F.
20 ყოველთა ადამიანთა ცხორებისათჳს G] - F.
21 განღმრთდეს G] განმართლდეს F.
22 მიწისაგანი F] მიწისაგან G.
23 ჩუენი F] - G.
24 შენ მიერ G] - F.
25 შეერთნეს. და ვინ-მე F] შეიერთნეს. და ვინმცა G.
26 ნათესავსა კაცთასა F] კაცთა ნათესავსა G.
27 ბუნებათა F] ბუნებითა G.
28 მისგან F] მის მიერ G.

ასწილად პატივ-გცა, რამეთუ არავინ არს შობილი მშობელთაჲ[29], ვითარ
ძე შენი, და არცა ვინ მშობელი, ვითარ შენ, ყოვლადუბიწოო, რამეთუ
ღმერთი ჰშევ ჴორცითა[30] და ქალწულებისაგან არა იცვალე! ხოლო ესე
ჩუენგან დიდად საქადულ არს, რამეთუ კაცი ბუნებისა ჩუენისაჲ წინაშე
სამებისა წმიდისა მდგომარე ხარ და წინდად ჩუენდა ღმრთაებასა 5
აქუ შენ და იცი უძლურებაჲ ჩუენი[31] და გეწყალის ბუნებაჲ ჩუენი,
რაჟამს იძლეოდის[32] მტერისაგან და ვედრებად არა დასცხრები[33] შენგან
შობილისა მიმართ ცხორებისათჳს ჩუენისა. და გიცნობთ შენ მორწმუნენი
შენნი მიზეზად ჴსნისა ჩუენისა, სიმტკიცედ ეკლესიათა და სამკაულად
მღდელთმოძღუართა, გჳრგჳნად მოწამეთა, დიდებად მეფეთა[34], ზღუდედ 10
ყოვლისა სოფლისა და მახჳლად ყოველთა მორწმუნეთა[35]. შენ მიერ
მიიღებენ მთავარანგელოზნი[36] ბრწყინვალებასა, ქერაბინნი[37] - სიწმიდესა
და სერაბინნი[38] - პატივსა[39]. შენ ხარ ნავთსაყუდელი ღელვაგუემულთაჲ,
განმამტკიცებელი შერყეულთა, აღმადგინებელი დაცემულთა და[40] **[G99r]**
ნუგეშინისმცემელი ჭირვეულთაჲ. ᲐᲛ[41], **[F252r]** ვისა-მე მივივლტოდით, ანუ 15
ვის ვხადოდით შემწედ ჩუენდა შენსა გარეშე, რომელნი-ესე[42] შენ მიერ
დავეგენით ღმერთსა, განდგომილნი ესე და საწყალობელნი? შენ მიერ[43]
ვიცანთ სამებაჲ წმიდაჲ, შენ მიერ ვიჴსნენით კერპთა მონებისაგან[44]
და არღარა თაყუანის-ვსცემთ ჴელითქმნილთა კერპთა[45], არამედ
ღმერთსა მხოლოსა[46], საუკუნეთა შემოქმედსა, და საცოდ[47] გუაქუს 20
ჯუარი ძისა შენისა იესუ[48] ქრისტესი, რომელი გჳპყრიეს საჭურველად[49]

29 შობილი მშობელთაჲ F] ნაშობი G.
30 ჴორცითა G] - F.
31 და იცი უძლურებაჲ ჩუენი G] - F.
32 იძლეოდის G] იძლიოდის F.
33 დასცხრები F] დავსცხრები („ვ" ჩამატებულია) G.
34 დიდებად მეფეთა G] - F.
35 და მახჳლად ყოველთა მორწმუნეთა G] - F.
36 შენ მიერ მიიღებენ მთავარანგელოზნი G] შენგან მიიღებენ ანგელოზნი F.
37 ქერაბინნი F] სერაბინნი G.
38 სერაბინნი F] ქერაბინნი G.
39 პატივსა F] + რამეთუ G.
40 აღმადგინებელი დაცემულთა და G] - F.
41 ᲐᲛ G] - F.
42 რომელნი-ესე G] - F.
43 საწყალობელნი? შენ მიერ ვიცანთ G] - F.
44 შენ მიერ ვიჴსნენით კერპთა მონებისაგან G] და ვიჴსნენით კერპთმსახურებისაგან F.
45 ჴელითქმნილთა კერპთა G] ღმერთთა უცხოთა F.
46 ღმერთსა მხოლოსა G] ქრისტესა ღმერთსა F.
47 საცოდ G] სასოდ F.
48 ძისა შენისა იესუ G] - F.
49 გჳპყრიეს საჭურველად G] გჳძღჳს F.

მტერთა წყობასა. შენ მიერ ვიქმნენით შვილ ღმრთისა და მეორედ ვიშუენით[50] ემბაზისა მიერ და მოვიღებთ სულსა წმიდასა და კუალად[51] განვწმდებით სისხლითა ძისა შენისაჲთა, ცათა მეუფისა მშობელო[52]. და რაოდენთა[53] ნიჭთა შენ მიერ ღირსქმნილ ვართ, ყოვლისავე[54] 5 გამოთქუმად ვინ შემძლებელ არს? ხოლო მე, უბადრუკმან ამან და საწყალობელმან, რაჲ-მე ვყო[55], რამეთუ განვაბნიე სიცრუვით[56] ყოველი კეთილი, რომელი შენ მიერ მომცა შენგან შობილმან[57] და ცალიერ ვიქმენ ყოველთა **[G99v]** მათგან ნიჭთა, რამეთუ[58] სამოსელი იგი, რომელი ნათლისღებისა მიერ შემემოსა, შევიბღალე იგი მწარითა[59] ცოდვათა 10 ჩემთაჲთა, და სული იგი, რომელი შთამბერა მე ჟამსა მას მეორედშობისა ჩემისასა, მე[60] უკეთურებითა ჩემითა განვიშორე და გუამი ჩემი ვყავ სადგურ სულთა უკეთურთა[61] **[F252v]** და აწ სული ჩემი შეგინებულ არს შეწყნარებითა ბოროტთა გულისსიტყუათაჲთა და ბაგენი ჩემნი მწინკულევან არიან ზრახვითა უჯეროთა და[62] უშუერთა სიტყუათაჲთა. 15 და მრავალსა ვიტყოდე თითოეულად მე, საწყალობელი ესე, უკეთურებათა და უბადრუკებათა ჩემთა, რომელი[63] ყოვლითურთ განშიშულებულ[64] ვარ მადლისაგან ღმრთისა და წყალობისა[65]. დამიშრეტიეს სანთელი სულისაჲ და ვეფეშუები ბნელსა[66] მტერისაგან, სულთა განმხრწნელისა, და ვიგუემები[67] უწყალოდ; არამედ შენდა მოვივლტი, კარავო წმიდაო, 20 ღმრთისა საყოფელო, დადაცათუ ღირსვე არავე ვარ სახელისდებად შენდა სიმრავლისაგან უსჯულოებათა ჩემთასა[68], არამედ ბრწყინვალებასა ნათლისა შენი**[G100r]**სასა მოვისწრაფი დაბნელებული ესე[69]. განანათლე

50 ვიშუენით G] ვიშვებით F.
51 კუალად (კლდ) F] ყოვლად G.
52 ცათა მეუფისა მშობელო G] - F.
53 რაოდენთა G] რავდენთა F..
54 ყოვლისავე G] - F.
55 ამან და საწყალობელმან, რაჲ-მე ვყო G] - F.
56 სიცრუვით G] - F.
57 მომცა შენგან შობილმან G] მოგუცა ძემან შენმან F.
58 რამეთუ G] რომელნი მომცნა ქრისტემან, და F.
59 შევიბღალე იგი მწარითა G] შევაფარილე იგი მუროჲთა F.
60 მე F] მტერისა მიერ G.
61 სადგურ სულთა უკეთურთა G] - F.
62 უჯეროთა და G] - F.
63 მრავალსა ვიტყოდე თითოეულად მე, საწყალობელი ესე, უკეთურებათა და უბადრუკებათა ჩემთა, რომელი G] რასაღა თითოეულსა ვიტყოდი საწყალობელი ესე, რამეთუ F.
64 განშიშულებულ G] განშორებულ F.
65 წყალობისა F] - G.
66 ვეფეშუები ბნელსა F] ვიყოფები ბნელსა შინა ცოდვისასა და G.
67 ვიგუემები F] + მე G.
68 შენდა სიმრავლისაგან უსჯულოებათა ჩემთასა G] უღირსითა ამით შიშითა F.
69 დაბნელებული ესე G] – F.

დაბნელებული ესე სული ჩემი მცხინვარებითა[70] მადლისა შენისაჲთა, შემიყვანე ნავთსაყუდელსა[71] მყუდროსა, რომელი ვიგუემები ღელვათაგან ცოდვათა ჩემთაჲსა; განაქარვენ ბოროტნი ზრახვანი გულისა ჩემისანი ნიავითა მაგით მადლისა შენისათა[72], გააგრილე გონებაჲ ჩემი, რომელი განჴურვებულ არს ეშმაკისაგან ტრფიალთა მიმართ და გამომიჴსენ **[F253r]** ჴორჴისა მისგან ვეშაპისა, რომელსა აღუღიეს პირი მისი შთანთქმად ჩემდა. მრცხუენის მე, ჰ წმიდაო[73] დედოფალო, სახელისდებად შენდა უღირსითა ბაგითა და მეშინის მე პატიჟთაგან კადნიერებისათა[74], რამეთუ მე, ფრიად[75] შეგინებული, შენ, შეუგინებელსა[76], შეგივრდები; არაწმიდითა ბაგითა, შენ, წმიდათა უწმიდესისაგან, ვითხოვ წყალობასა მე, სადგური ყოველთა[77] ვნებათა ბოროტთაჲ; შენ, სამკჳდრებელსა სულისა წმიდისასა, შეგივრდები; შენ უზეშთაეს[78] ხარ ყოველთა დაბადებულთა ზეცისა და ქუეყანისათა დიდებითა და პატივითა, ხოლო[79] მე ცოდვა**[G100v]**თა ჩემთა სიმრავლისაგან უფროჲს ყოველთა კაცთასა დამდაბლებულ ვარ. ვითარ არა მეშინოდის შენგან, ანუ ვითარ ვიკადრო სახელისდებად შენდა, რომელი უცხო ვარ ყოველთა სათნოებათაგან და ვაჲ ჩემდა, უბადრუკსა[80], რაჲ-მე ვყო ჟამსა მას, ოდეს მოვიდეს ძე შენი დიდებითა მით ზარის აღსაჴდელითა[81] და დაჯდეს განკითხვად ყოველთა დაბადებულთა[82] და წარმომადგინოს მე ცალიერი ყოველთა საქმეთაგან კეთილთა და განცხადნენ ყოველნი[83] საქმენი ჩემნი ბოროტნი და ვიგუემებოდი[84] მე შიშისა მისგან და სირცხჳლისა **[F253v]** მეუფისა მისგან საშინელისა, ძისა შენისა[85], და შენგან, დედოფალო[86], დედისა მისისა, და წმიდათა ანგელოზთაგან?! და უმეტეს ყოველთასა შენგან

70 დაბნელებული ესე სული ჩემი F] სული ჩემი G.
71 ნავთსაყუდელსა G] ნავთსადგურსა F.
72 განაქარვენ ბოროტნი ზრახვანი გულისა ჩემისანი ნიავითა მაგით მადლისა შენისათა G] - F.
73 წმიდაო G] - F.
74 კადნიერებისათა G] მეცნიერებისათა F.
75 ფრიად G] - F.
76 შეუგინებელსა G] შეუხებელსა F (F-ში თავდაპირველად, როგორც ჩანს, იყო „შეუგინებელსა", სამი ასო ამოფხეკილია და მათ ადგილზე ჩასმულია „ხ" განსხვავებული მელნით და ხელით).
77 ყოველთა F] - G.
78 უზეშთაეს G] უზეშთაჲს F.
79 ხოლო G] - F.
80 ვაი ჩემდა, უბადრუკსა G] - F.
81 მით ზარის აღსაჴდელითა F] საშინელითა და გამოუთქუმელითა G.
82 ყოველთა დაბადებულთა G] - F.
83 ყოველნი G] - F.
84 ვიგუემებოდი G] ვიგლოვდე F.
85 ძისა შენისა G] – F.
86 დედოფალო G] – F.

მეშინის, რამეთუ რომელსა-იგი მუცელი შენი ავასხე, შემდგომად მან ბუნებაჲ ჩუენი ღმრთეებასა თჳსსა[87] აზიარა და გზანი სინანულისანი გჳჩუენნა, კარნი სასუფეველისანი განგჳხუნა და ყოველთაჲ მიგჳწოდა შესლვად[88] მას შინა, ხოლო მე, საწყალობელმან ამან, რაჲ ვყო, რამეთუ[89]
5 ჴმისა მისისაჲ არა ვისმინე, არამედ ბოროტსა[90] ნებასა ჩემსა მივჰყევ და გულისთქუმამან ჩემმან შემაგინა. აზნა**[G101r]**ურებაჲ, რომელი შენ მიერ ყოველთა კაცთა მოგუეცა, მე[91] უკეთურებითა ჩემითა წარვაგე და განზრახვითა[92] ჩემითა მონა ვიქმენ ეშმაკისა[93].

აწ ვჰგონებ[94], რაჟამს იგი ძემან შენმან მოუწოდოს მართალთა და
10 მიანიჭოს სასუფეველი, მაშინ მეშინის შენგან, ნუუკუე[95] ჰრქუა შენ ძესა შენსა, ვითარმედ: "ამან უკუე[96], მონამან ბოროტმან, უგულებელს-ყვნა ყოველნი მცნებანი შენნი და არა ყო ძიებაჲ კეთილთაჲ მათ, რომელნი ჩემ მიერ მიანიჭენ ყოველთა კაცთა და უდებ იქმნა სულისა თჳსისათჳს[97], და ნეფსით თჳსით დაემონა ეშმაკსა. აწ განჴადეთ მონა ეგე უჴმარი[98]
15 ბნელსა მას გარესკნელისასა, სადა-იგი არს ტირილი თუალთაჲ[99] და ღრჭენაჲ კბილთაჲ"[100]. და შურისგებაჲ[101] იძიოს ჩემ **[F254r]** ზედა უკეთურებათა ჩემთათჳს, რამეთუ ჟამსა მას წყალობაჲ არღარა ყოფად არს[102] ცოდვილთათჳს.

მე ამას ყოველსა ღირს ვარ და ცოდვათა ჩემთაგან ფრიად უსასო
20 ვარ, გარნა სასოწარკუეთილებაჲ არა ჯერ-არს, დაღაცათუ ცოდვანი ჩემნი ფრიად არიან, არამედ მოწყალებაჲ[103] შენი უსაზღვრო არს, რამეთუ[104] დაღაცათუ მე გარდავერიე საქმედ უკეთურებისა, არამედ[105] მადლნი შენნი აუ**[G101v]**რაცხელ არიან; ყოვლადვე არა მიქმნიეს ნებაჲ

87 თჳსსა G] - F.
88 შესლვად G] სლვად F.
89 საწყალობელმან ამან, რაჲ ვყო, რამეთუ G] - F.
90 ბოროტსა G] - F.
91 ყოველთა კაცთა მოგუეცა, მე F] მომეცა G.
92 წარვაგე და განზრახვითა F] განვიძარცუე და ნებითა G.
93 ეშმაკისა G] - F.
94 აწ ვჰგონებ F] - G.
95 მეშინის შენგან, ნუუკუე G] - F.
96 ვითარმედ: "ამან უკუე G] თუ: „ამან F.
97 და უდებ იქმნა სულისა თჳსისათჳს G] - F.
98 მონა ეგე უჴმარი F] ეგე G.
99 **ფს. 55,14; 118,136.**
100 **ფს. 111,10.**
101 შურისგებაჲ F] შურისგებით შური G.
102 არღარა ყოფად არს F] არა ყოფად F.
103 მოწყალებაჲ G] წყალობაჲ F.
104 რამეთუ G] - F.
105 არამედ G] - F.

შენი, არამედ აწ შენდავე მოვივლტი, რამეთუ ეძიებ შეცთომილთა[106] და სიკუდილი ცოდვილისაჲ არა გნებავს. ვითხოვ შენგან, ყოვლადწმიდაო დედოფალო[107], რაჲთა მიმიზიდნე და სამწყსოთა შენთა თანა შემრთო; დაღაცათუ მე არა მნებავს მოქცევაჲ და სინანული, არამედ შენ იღუაწე ჩემთჳს და ნუ უფალ-მყავ ნებასა ჩემსა ზედა[108], გული ჩემი ლმობიერ ყავ და შიში ღმრთისაჲ დაჰნერგე გულსა ჩემსა, ცრემლთა ნაკადულნი მომმადლენ და სიყუარული ძისა შენისაჲ ჩემ შორის აღაორძინე, ნებაჲ შენი მასწავე და ნებაჲ ბოროტთაჲ განმაშორენ ჩემგან.

ᲐᲗ ცათა მეუფისა დედაო! რაჲსათჳს მთავრობს ჩემ ზედა მპყრობელი ბნელისაჲ, რომელი-ესე შვილ ნათ**[F254v]**ლისა ვიწოდე?! და არა აქუს მას ფლობაჲ[109] ჩემ ზედა, რამეთუ ქმნული ვარ ჴელთაგან ძისა შენისათა, ხატად მისა დაბადებული და მართლადმსარებელი სამებისა წმიდისა და თაყუანისმცემელი[110]; და სამწყსოჲსა მისისაგან წარუყვანებიე მე მჴეცსა მას, უწყალოდ სულთა განმხრწნელსა[111], უკუეთუ მწრაფლ წყალობაჲ[112] შენი არა მეწევის, მივეცემი განხრწნასა[113].

**[G102r]** არამედ მომხედენ[114] თუალითა მოწყალებისაჲთა და გამომიჴსენ შუათაგან მისთა და მასწავე მე ჯეროვანი სინანული და მადლობა, ყოვლადდიდებულო, რაჲთა[115] გესლი კბილთა მისთაჲ, განწონილი[116] გულსა ჩემსა, ცრემლითა სინანულისაჲთა აღვჰოცო და განწმედილი გაქებდე[117] შენ, კურთხეულო, და ძესა შენსა ვადიდებდე თანა მამით და სულით წმიდითურთ[118] აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ![119]

106 შეცომილთა F.

107 ყოვლადწმიდაო დედოფალო G] წმიდაო ღმრთისმშობელო F.

108 და ნუ უფალ-მყავ ნებასა ჩემსა ზედა G] - F.

109 მას ფლობაჲ F] მთავრობაჲ G.

110 აღმსარებელი სამებისა წმიდისა და თაყუანისმცემელი G] აღსარებით თაყუანისმცემელი სამებისა წმიდისაჲ F.

111 წარუყვანებიე მე მჴეცსა მას უწყალოდ სულთა განმხრწნელსა G] წარუტაცები ვარ მჴეცსა მას განმრყუნელსა და F.

112 მწრაფლ წყალობაჲ F] მსწრაფლ მოწყალებაჲ G.

113 განხრწნასა F] მე განრყუნასა G.

114 მომხედენ F] მოიხილე ჩემ ზედა G.

115 ჯეროვანი სინანული და მადლობა ყოვლადდიდებულო, რაჲთა G] სინანული შენ მიერი ყოვლადუბიწოო! F.

116 განწონილი G] განმაწონა F.

117 აღვჰოცო და განწმედილი გაქებდე G] აღმოჰფხუარ, რაჲთა გაკურთხევდე F.

118 წმიდითურთ F] წმიდით G.

119 აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ F] - G.

**A 135**-ში დაცულ ტექსტს ერთვის შემდეგი ანდერძი: „უფალო იესუ ქრისტე, მეოხებითა მშობელისა შენისაჲთა ადიდე სულითა დავით ჯიბისძე და ლოცვითა მისითა, უფალო, მეცა შემიწყალე, მშრომელი ივანე და რეცა თუ მწერალი” **(F 254v)**.

## შენიშვნები I

### ღვთისმშობლის შობის პირველი ჰომილიის სამი ქართული თარგმანის (ეფთვიმე ათონელის, თეოფილე ხუცესმონაზონისა და ეფრემ მცირის) ურთიერთმიმართებისა და ბერძნულ წყაროსთან მიმართების შესახებ

ქვემოთ მოტანილ **დანართ №I-სა და დანართ №II-ში** ცალ-ცალკე წარმოვადგენთ წმ. იოანე დამასკელის "ღვთისმშობლის შობის" პირველი ჰომილიის ორი ქართული თარგმანის – ეფთვიმე ათონელისა და თეოფილე ხუცესმოაზონის - ბერძნულ წყაროსთან შედარებისას გამოვლენილ განსხვავებებს, რომლებზე დაყრდნობითაც დაიწერა გამოკვლევის II თავი: "**ღვთისმშობლის შობის პირველი ჰომილიის ეფთვიმე ათონელისა და თეოფილე ხუცესმოაზონის თარგმანების ურთიერთმიმართება და მიმართება ბერძნულ წყაროსთან**". ეფრემ მცირისეულ თარგმანთან დაკავშირებულ მასალას ცალკე ქვეთავად არ გამოვყოფთ, რადგან ეს ტექსტი არ შედის ჩვენს გამოცემაში[1]. მისი წაკითხვები გათვალისწინებულია ეფთვიმესა და თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანების ბერძნულ წყაროსთან მიმართების ამსახველ შენიშვნებში.

**შედარებისას გამოვიყენეთ წმ. იოანე დამასკელის ჰომილიების ბერძნული ტექსტის შემდეგი გამოცემები:**

1) Patrologiae, Cursus Completus, Omnium SS. Patrum, Doctorum Scriptorumque Ecclesiasticorum, Sive Latinorum, Sive Graecorum, Accurante J. – P. Migne, Bibliothecae Cleri Universae, Patrologiae Graecae, Tomus 96,Brepols – Turnhout, 1976, S.Joannis Damasceni, Col. 661-681;

2) Die Schriften des Johannes von Damaskos, herausgegeben von Byzantinischen Institut der Abtei Scheiern, V, Opera Homiletica et Hagiographica, besorgt von P. Bonifatius Kotter O.S.B., Walter de Gruyter. Berlin, New York, 1988, s. 169-182.

როგორც აღვნიშნეთ გამოკვლევის II თავი დაიწერა ამ შენიშვნების საფუძველზე: მათ სისტემური სახე მივეცით და, შეძლებისდაგვარად, გამოვყავით ის კატეგორიები, რომლებშიც მოთავსდა შობის პირველი ჰომილიის ბერძნული წყაროდან ორივე ქართული თარგმანის გადახვევის

1 იხ.: გოგუაძე 1986.

შემთხვევები.

ორი ქართული თარგმანის ტექსტიდან (ეფთვიმე ათონელისეული და თეოფილე ხუცესმონაზონისეული) მოტანილ მაგალითებთან მი-თითებული გვაქვს გამოცემული ტექსტის ვარიანტებში წარმოდგენილი ქართული თარგმანების ბერძნული წყაროსაგან განსხვავებული წაკითხვების ამსახველი სქოლიოს ნომერი არაბული ციფრით. ამგვარად, ვრცელი კონტექსტის ნახვის სურვილის შემთხვევაში, მკითხველს შესაძლებლობა აქვს განსახილველი ადგილი მოძებნოს გამოცემული ტექსტის სქოლიოს ნომრის მიხედვით.

ღვთისმშობლის შობის ჰომილიის წმ. ეფთვიმე ათონელისა და თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანებში სქოლიოს ნუმერაცია გაბმულია (ერთიანია): №№ 1-207 (ეფთვიმე); №№ 208-309 (თეოფილე ხუცესმონაზონი).

## დანართი I

### ღვთისმშობლის შობის პირველი ჰომილიის ეფთვიმე ათონელის თარგმანის მიმართება ბერძნულ ტექსტთან

ეფთვიმე ათონელი განსახილველ ტექსტს მისთვის ჩვეული, თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით თარგმნის. გამოვყავით შემდეგი შემთხვევები: 1) ეფთვიმე ავრცობს სათარგმნ ტექსტს ორი მიზნით: ა) დამატებული მონაკვეთით ხდება ტექსტის კომენტირება; ბ) დამატებული მონაკვეთი რამდენადმე აზუსტებს ტექსტს. ამ ორი სახის ჩარევა ტექსტში ახლოს დგას ერთმანეთთან, მაგრამ მათ შორის ნიუანსური სხვაობა მაინც არის. 2) ეფთვიმე ამოკლებს ტექსტს, უფრო ლაკონურად გადმოსცემს აზრს.

**1) ეფთვიმე ავრცობს სათარგმნ ტექსტს**

**ა) დამატებული მონაკვეთით ხდება ტექსტის კომენტირება**

№17) უკუეთუ კაცი ... არს ... შეცვულ ხილვითა და უხილავითა **და განაგებს მას ზრახვითა თჳსითა, რავდენ არა უფროჲს განაგოს ცხორებაჲ ჩუენი მხოლომან მან?]** - PG 96 col. 661 C 12; Kotter 1988:169,18-170,19. ამ ხაზგასმულ ფრაზას ბერძნულ ტექსტს უმატებს მხოლოდ ეფთვიმე – არ არის არც თეოფილესთან და არც ეფრემთან. ეფთვიმე თავისი დამატებული ფრაზით ამბობს იმას, რომ თუ კაცს შეუძლია წარმართოს თავისი ცხოვრება, უფლის ძეს მით უფრო აქვს ამის ძალა.

№22) **"ვითარცა მოსეს ხისაგან"** არ არის ბერძნულ ტექსტში **(PG 96 col. 664, A 15; Kotter 1988:170,12),** არც ეფრემისა და თეოფილეს თარგმანებში. დამასკელის მიერ იმ ღვაწლზე საუბრისას, რომელიც მიუძღვით იოაკიმესა და ანას, ეფთვიმე ამატებს ამ სიტყვებს. ვფიქრობთ, მას იმის თქმა სურს, რომ ბუნება ისევე არის დავალებული ღვთისმშობლის მშობლებისაგან, როგორც **"მოსეს ხისაგან" (სქ. №22)**. ეს პარალელი მოსესა და ღვთისმშობლის მშობლებს შორის, შესაძლოა, ეფთვიმემ გაავლო იმ უმნიშვნელოვანესი მოვლენების გამო, რაც მოყვა, ერთი მხრივ, მოსეს მიერ ებრაელების ეგვიპტიდან გამოყვანას და, მეორე მხრივ, მაცხოვრის შობას იოაკიმესა და ანას ასულის, მარიამისაგან.

№36) შიში და სურვილი განყოფილ არიან ჩემ ზედა..., რამეთუ **სრულმან სიყუარულმან** გარე-განდევნის შიში] upocwreitw o fobo~ (**PG 96 col. 664 C 5; Kotter 1988:170,25-171,27).** ამ კონტექსტში, საუბარია რა ღვთისმშობლის დიდებულ შობაზე, სხვა გრძნობებთან ერთად ნახსენებია

ამ უჩვეულო მოვლენით გამოწვეული შიშიც. თეოფილე და ეფრემი მეტ-ნაკლები სიზუსტით თარგმნიან ბერძნულ ტექსტს და ამბობენ, რომ შიში დაიძლია: **"ივლტოდენ შიში ანუ თუ კნინ-ოდენ განეშორენ" (თეოფ.), "ადგილ-სცემდინ შიში" (ეფრ., გოგუაძე 1986:116,27),** ხოლო ეფთვიმე ამატებს ტექსტს რამდენიმე სიტყვას და განმარტავს, თუ რა გზით იქნა დაძლეული შიში, კერძოდ, შიში განდევნა ყოვლისმომცველმა ("სრულმა") სიყვარულმა (ივარაუდება – ღვთისმშობლისადმი ნ. მ.).

№44) **„მრავალგესლოვანნი იაკობნი"** არ არის არც ბერძნულ ტექსტში **(PG 96 col. 664 D 5; Kotter 1988:171,9),** არც თეოფილესა და ეფრემის თარგმანებში. კონტექსტში საუბარია იმ წარმართებზე, რომლებიც ამტკიცებენ ქრისტეს ერთბუნებოვნებას. ამ წარმართებს **"უთაონი" (=უგუნურნი)** ეწოდება ორივე თარგმანში **(ბერძნ.: Ἀκέφαλοι).** ეფთვიმე **"უთაონებ"-ს** ამატებს **"მრავალგესლოვანნი იაკობნი"-ს,** რათა განმარტოს, თუ ვინ იგულისხმება **"უთაონებში",** კერძოდ, ეგვიპტელი მონოფიზიტები, რომელთაც მოგვიანებით **"იაკობიტებადაც"** მოიხსენიებდნენ **(იხ. სალაღაია 2008:29-30).**

№101) **სიხარული მოუკლებელი,** რომელმან შვა ღმერთი უთესლოდ, **განმაცხოელებელი ყოვლისა სოფლისაჲ**] Qeou mhtera apeirandron (**PG 96 col. 669 A 7; Kotter 1988:174,3-4).** თეოფილე და ეფრემი მიყვებიან ბერძნულ ტექსტს: **"დედაჲ ღმრთისაჲ უქორწინებელი" (თეოფ.), "ქმრის გამოუცდელი დედაჲ ღმრთისაჲ" (გოგუაძე 1986:119,5).** ეფთვიმე დამატებული ფრაზით საუბრობს იმ შედეგებზე, რაც მოყვა ამ შობას: იოაკიმემ და ანამ უშვეს სოფელს **"სიხარული მოუკლებელი",** რომელმაც უთესლოდ შვა **"განმაცხოელებელი ყოვლისა სოფლისაჲ".**

№156) "ყრმაჲ იესუ.., **მზრდელი ყოვლისა სოფლისაჲ და მამაჲ მერმეთა მათ საუკუნეთაჲ"** – ხაზგასმული ფრაზა არ არის ბერძნულ ტექსტში **(PG 96 col. 676 C 9; Kotter 1988:180,43)** და არც თეოფილესა და ეფრემთან **(გოგუაძე 1986:123,4).** ეფთვიმე ავრცობს ტექსტს და მცირე კომენტარს უკეთებს მას.

№176) **და აჩუენებდ სასწაულსა მიუწუდომელსა**] – PG 96 col. 677 C 6; Kotter 1988:181,5. არც თეოფილესა და ეფრემთან **(გოგუაძე 1986:124,4)** არის ეს ფრაზა. ამ ადგილას ბერძნულ ტექსტში, სახარებაზე დაყრდნობით **(ინ. 10,16; ინ. 5,4),** საუბარია იმ სასწაულზე, რაც წელიწადში ერთხელ ხდებოდა იერუსალიმში, კერძოდ, **"ცხოვართა საბანელსა მას ტბაში" (პროვატიკე - ἡ προβατικὴ = "ცხვრის ბჭე იერუსალიმში");** ამ საბანელში წელიწადში ერთხელ **"გარდამოვიდოდა"** ხოლმე ანგელოზი, აამრღვევდა წყალს და ვინც პირველი შევიდოდა ამრღვეულ წყალში,

განიკურნებოდა სნეულებისაგან. სწორედ ამ კონტექსტში ამატებს ეფთვიმე ზემოთ წარმოდგენილ ფრაზას და ამით მცირე კომენტარს უკეთებს ამ სახარებისეულ პასაჟს – ღმრთის ანგელოზის მიერ სნეულის განკურნებას უწოდებს "მიუწუდომელ სასწაულს".

№182) **გული მხიარული და გუნებაჲ მჭმუნვარე**] – PG 96 col. 677 D 6; Kotter 1988:181,16. ეს ფრაზა არ არის არც თეოფილესთან და არც ეფრემთან **(გოგუაძე 1986:124,18)**. ამ მონაკვეთში ჰომილიის ავტორი, წმ. იოანე დამასკელი, აღავლენს ხოტბას ღვთისმშობლისადმი ისევე, როგორც ტექსტის ბევრ სხვა ადგილას. ეფთვიმე მთაწმიდელი, მისთვის ჩვეული მეთოდით, კიდევ უფრო ხატოვანს ხდის ამ ადგილს თავისი მიმატებული რამდენიმე სიტყვით და მარიამის თითქოს ერთმანეთის გამომრიცხავი თვისებებით ხაზს უსვამს მისი ბუნების სიღრმეს.

**ბ) დამატებული მონაკვეთი რამდენადმე აზუსტებს ტექსტს**

№41) **ბუნებისაგან ქალწულისა**] ἐκ τῆς χθιὰνῆς φύσεως (PG 96 col. 664 C 14; Kotter 1988:171,5). თეოფილეს თარგმანშია: **"ბუნებისაგან ქუეყნიერისა",** ხოლო ეფრემთან: **"მიწიერისაგან ბუნებისა" (გოგუაძე 1986:116,34)**. ტექსტში საუბარია იმაზე, რომ სოფლად ხორცით შემოვიდა უფლის ძე და **ქვეყნიური, მიწიური** ბუნებისაგან **(τῆς χθιὰνῆς φύσεως)** შეიქმნა **"ქუეყანისა ცაჲ"**. ეფთვიმემ დააზუსტა, თუ რა იგულისხმება "**ქვეყნიურ, მიწიურ"** ბუნებაში, კერძოდ - **"ქალწულის ბუნება",** ის, რომ მაცხოვარი ქალწულისაგან იშვა და ამით „მიწიურ ბუნებას" კიდევ ერთი დამატებითი შტრიხი შესძინა.

№50) „ქუეყანასა ზეცისასა აღიყვანა **სძალი იგი წარწყმედული**". **"სძალი წარწყმედულის"** ადგილას ბერძნულ ტექსტში, თეოფილესა და ეფრემის თარგმანებში არის **„შეცთომილი ცხოვარი" (გოგუაძე 1986:117,3-4; τὸ πλανώμενον πρόβατον (PG 96 col. 665 A 8; Kotter 1988:171,16).** ტექსტში საუბარია ღმერთის ძის განკაცებაზე, მის სიკვდილსა და ჯვარცმაზე, რის შედეგადაც ადამიანი გათავისუფლდა ცოდვისაგან და **"შეცთომილმა ცხოვარმა"** დაიმკვიდრა სასუფეველი. ეფთვიმეს ამ ჩანაცვლებამ რამდენადმე შეცვალა კონტექსტის აზრი: უფლის ძემ "შეკრა ძრიელი იგი და იავარ-ყო მონაგები მისი, რომელ არს ბუნებაჲ ჩუენი და ქუეყანასა ზეცისასა აღიყვანა **სძალი იგი წარწყმედული**" (ეფთ.).. "წარწყმედულის" ერთ-ერთი მნიშვნელობა არის **"ციური სხეული"** (იხ.: ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 2001, გვ. 271). სავარაუდოდ, "წარწყმედული" ამ კონტექსტში ეფთვიმემ გამოიყენა როგორც ღვთისმშობლის მეტაფორა და ისაუბრა არა ზოგადად ადამიანისთვის სასუფევლის დამკვიდრებაზე, არამედ ღვთისმშობლის ცად აღყვანებაზე.

№68) კეთილად მეორედ იშვა უვნებელად იგივე **მხოლოჲ ბუნებისა ჩუენისაგან] καὶ τὸ δεύτερον οἰκονομικῶς (PG 96 col. 665 C 5-6; Kotter 1988:172,37).** თეოფილეს თარგმანშია:**"ხოლო მეორე ესე განგებულებაჲ არს",** ხოლო ეფრემთან არის: **"ხოლო მეორე ესე – განგებულებითი" (=განზრახული) (გოგუაძე 1986:117,31)**. კონტექსტში საუბარია იმაზე, რომ მამა ღმერთმა, რომელიც **"უვნებელია", ასევე "უვნებლად"** შვა ძე საუკუნეთა უწინარესად ანუ **"უჟამოდ";** რაც შეეხება ღმერთის ძის მეორედ შობას, ბერძნული ტექსტისა და ორი ქართული თარგმანის (თეოფილესა და ეფრემის) მიხედვით, ეს არის **"განგებულებაჲ";** ეფთვიმე აზუსტებს, თუ რა იგულისხმება **"განგებულებაჲ"-ში (ანუ "განზრახვაში"):** ეს არის ღმერთის ძის ხორციელი შობა **"ბუნებისაგან ჩუენისა"**.

№129) ამისთჳს აწ **ქალწული შობს**] Dia touto nun Παρθένος τίκτεται **(PG 96 col. 673 B 11; Kotter 1988:178,20).** თეოფილესთან და ეფრემთან **(გოგუაძე 1986:121,31)** არის: "ამისთჳსცა **იშვების აწ ქალწული"**. ეფთვიმემ რამდენადმა შეცვალა ფრაზა, მაგრამ აზრი იგივე დარჩა: ქალწული იშვა თუ ქალწულმა შვა – ორსავე შემთხვევაში ეს მოხდა იმისათვის, რომ დამარცხებულიყო პირველცოდვა **(ამაზე იქვე, ტექსტში არის საუბარი)**.

## 2) ეფთვიმე ამოკლებს ტექსტს, უფრო ლაკონურად გადმოსცემს აზრს

№42) რომელმან პირველად **დაამყარა] κατεσκεύασεν ἐπὶ γῆς, ὁ πάλαι ποτὲ ἐξ ὑδάτων πήξας (PG 96 col. 664 C 15 D 1; Kotter 1988:171,6).** თეოფილეს თარგმანშია: "რომელმან ოდესმე **დაჰკიდა ქუეყანაჲ წყალთა ზედა",** ხოლო ეფრემის თარგმანი უფრო ზუსტია: "რომელმან-იგი ძუელ სადმე **ქუეყანაჲ მიწისაგან და წყლისა შეამტკიცა" (გოგუაძე 1986:116,34-35)**.

ტექსტში საუბარია იმაზე, რომ მან, ვინც ოდესღაც **ქვეყანა შექმნა მიწისა და წყლისაგან,** ღვთისმშობლის შობით ქვეყნიერების (ამქვეყნიური) ცა შეამზადა. ბერძნულ ტექსტს ზუსტად მისდევს ეფრემის თარგმანი; რაც შეეხება თეოფილეს, მან ხატოვანი თარგმანი გააკეთა – ქვეყნის დაკიდება წყალზე, მის მიხედვით, გულისხმობს **ქვეყნის შექმნას მიწისა და წყლისაგან,** ხოლო ეფთვიმემ მთელი პროცესის შედეგი ერთი სიტყვით – **"დამყარებით"** - გადმოსცა.

№152) **ნელსაცხებელი გარდათხეულ**] + **καὶ χρῖον τὴν ἑαυτοῦ ἀνθρωπότητα (PG 676 col. C 1-2; Kotter 1988:179,38).** ამ კონტექსტში საუბარია ღვთისმშობელზე, რომლისგანაც იშვა მაცხოვარი: "მოვიდა ძე ღმრთისაჲ განჴორციელებული" (ეფთ.), "მოვიდა სიტყუაჲ განკაცებადი". ამის შემდეგ ქართულ თარგმანებში, ბერძნული წყაროს ანალოგიურად, მოტანილია

ფრაზა "ქება ქებათადან": **"ნელსაცხებელ წარმოცალიერებულ – სახელი შენი" [1,3].** ეს ფრაზა ეფთვიმესთან გადმოღებულია როგორც "სურნელებაჲ გარდათხეული", ხოლო თეოფილესთან: "ნელსაცხებელ წარმოცალიერებული, **რომელმან სცხო თავსა თჳსსა კაცებითა".** ხაზგასმული ფრაზა არის ბერძნულში: "**καὶ χρῖον τὴν ἑαυτοῦ ἀνθρωπότητα᾽ (PG 676 col. C 1-2; Kotter 1988:179,38)",** თარგმნილია ეფრემის მიერაც: **"რომელი თავისა მიერ თჳსისა სცხებს კაცებასა" (გოგუაძე 1986:122,38-39)** და არ არის ეფთვიმესთან, ისევე როგორც არ არის წმიდა წერილში. როგორც ჩანს, ეფთვიმემ არ მოინდომა ბიბლიური ციტატის გავრცობა, საკმარისად მიიჩნია ის, რაც ეწერა ამ კონტექსტში "ქება ქებათაჲსა"-ში და არ მოინდომა ამ ბიბლიური ციტატის კომენტირება წმ. იოანე დამასკელის მიერ დამატებული ფრაზით.

№172) **"რაჲთა იყოს ყოველთა შინა მხოლოჲ, რამეთუ იგი მხოლოჲ მარტო არს მამისაგან მხოლოჲსა და მხოლოჲ დედისაგან მხოლოჲსა"** – ეფთვიმეს ეს ტექსტი არის შემოკლებული გადმოცემა ბერძნული ტექსტის მოზრდილი მონაკვეთისა: **᾽Αλλ᾽ οὐκ ἐκ πόνου σε Πατρὸς, ἢ ἐκ πόνῆς, Μητρὸς προῆγαγεν, ἵνα τῷ πόνῳ Μονογενεῖ φυλαχθῇ τὸ κατὰ πάντα μονογενές. Αὐτὸς γὰρ πόνος μονογενῆς ἐκ πόνου Πατρὸς, καὶ πόνος ἐκ πόνῆς Μητρός (PG 96, col. 677 B 6-10; Kotter 1988:180,18-181,20)**. თეოფილესა და ეფრემის თარგმანებში ზემოთ მოტანილი ბერძნული ტექსტი სრულად არის წარმოდგენილი: **"რაჲთა მხოლოდშობილი დამარხულ იქმნე ყოვლითურთ მხოლოდშობილისა მიერ, რამეთუ იგი ოდენ მხოლოჲ თავადი არს მხოლოჲ მხოლოჲსაგან მამისა მხოლოდშობილი და კუალად მხოლოჲ მხოლოჲსაგან დედისა" (თეოფილე); "რაჲთა მხოლოდ იგი მხოლოჲ დაიცვას მხოლოდ მხოლოჲსაგან მხოლოდშობილად, რამეთუ იგი მხოლოჲ არს მხოლოდ მამისაგან მხოლოდშობილი და მხოლოჲ მხოლოჲსა დედისაგან" (გოგუაძე 1986:123,35-37).** განსახილველ კონტექსტში, ამ ფრაზის წინ, საუბარია იმაზე, რომ ბერწი დედისაგან უფალმა ერთადერთი **("მხოლოჲ")** არსება, ღვთისმშობელი **"გამოიყვანა".** ასევე ერთადერთია **("მხოლოდშობილი")** თვითონ ღმერთის ძე უფლისათვის. ღმერთის ძე არსებობდა ყველა დაბადებულზე უწინარესად, მაგრამ ჩვენ, ადამიანებს მოგვევლინა მხოლოდ ღვთისმშობლისაგან ხორცისა და სისხლის მიღების შემდეგ. ამ ვრცელი შესავლის გაგრძელება ბერძნულ ტექსტსა და მის მიმყოლ თეოფილესა და ეფრემის თარგმანებში ისევ ვრცელი მონაკვეთია უკვე თქმულის შესაჯამებლად **(ზემოთ მოტანილი ტექსტი)**. სწორედ ეს ბოლო ვრცელი მონაკვეთი შეამოკლა ეფთვიმემ და, ვფიქრობთ, ნათქვამი უფრო გასაგებად გადმოსცა.

**3) ეფთვიმე აკეთებს ასოციაციურ თარგმანს**

№274) ბერძნული **“ὡς ὄρῃ ποητὰ” (PG 96, col. 673 C 12; Kotter 1988:178,7)** თეოფილემ გადმოიღო როგორც **“მთათა მათ გონიერთა”,** ეფთუმემ – როგორც **“მთათა მაღალთა”,** ხოლო ეფრემმა - **“მთანი საცნაურნი” (გოგუაძე 1986 : 122,3)**. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ეფთვიმემ გააკეთა ასოციაციური თარგმანი და **“მთას”** მიუსადაგა სიტყვა **“მაღალი”**. ეს მაგალითი კიდევ ერთხელ მიუთითებს ეფთვიმეს თავისუფალ მთარგმნელობით მეთოდზე.

## დანართი II

### ღვთისმშობლის შობის პირველი ჰომილიის თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანის მიმართება ბერძნულ ტექსტთან

თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანის ბერძნულ ტექსტთან შედარების შედეგები ჩამოყალიბდა შემდეგი ჯგუფების სახით: 1) **თეოფილესთან ჩანს კვალი ბიბლიის უძველესი თარგმანის გამოყენებისა; 2) თეოფილეს მცირე აზრობრივი ნიუანსი შეაქვს სათარგმნ ტექსტში;** 3) **თეოფილე ტექსტს თავისუფლად თარგმნის, ავრცობს და მეტ დამაჯერებლობასა და ხატოვანებას ანიჭებს სათქმელს; 4) თეოფილე ტექსტს ავრცობს და კომენტარს უკეთებს; 5) გამოიყო თეოფილეს თარგმანის სავარაუდო ბერძნული წყარო.**

#### 1) თეოფილესთან ჩანს კვალი ბიბლიის უძველესი თარგმანის გამოყენებისა

№238) **მზის აღმოსავალ] დიდ აღმოსავალ** AH. **Ἀνατολῆ (PG 96 col. 665 C 14; Kotter 1988:172,3).** ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანებში არის მხოლოდ **"აღმოსავალ"**. ეს არის **ზაქ. 6,12-დან** აღებული პარაფრაზირებული ციტატა. ერთ-ერთ ლექციონარში, ნაცვლად ბიბლიის ძირითადი ნუსხების **"აღმოსავალ"-ისა,** არის **"მზის-აღმოსავალ" (იხ.: ჭელიძე 2015:1593).** ვფიქრობთ, თეოფილეს თარგმანში თავიდან იქნებოდა **"მზის აღმოსავალ",** რაც გადამწერის მიერ უნდა იყოს შეცვლილი **"დიდ აღმოსავალ"-ად.** ამიტომ ტექსტში გავასწორეთ ეს სიტყვა. შესაძლოა, თეოფილემ ეს ცვლილება თავის თარგმანში შეიტანა არა ამ ტექსტის რომელიმე ვარიანტულად განსხვავებულ ბერძნულ ნუსხაზე ან რედაქციაზე დაყრდნობით, არამედ იმის გამო, რომ ბიბლიის უძველესი რედაქციიდან ახსოვდა ეს სიტყვა.

#### 2) თეოფილეს მცირე აზრობრივი ნიუანსი შეაქვს სათარგმნ ტექსტში

№216) **ჴმობდინ ჩუენ თანა] εὐωχείσθω (PG 96 col. 661 C 6); Συνευωχείσθω (Kotter 1988:169,13).** ეფთვიმეს თარგმანშია: **"მხიარულ იყავნ",** ხოლო ეფრემმა ზუსტად გადმოიღო ეს ბერძნული სიტყვა **(εὐωχέω = ნადიმი; გამასპინძლება, ნადიმობა): "ჩუენ თანა მეინაჴეობდინ" (გოგუაძე 1986:115,22).** სავარაუდოდ, თეოფილემ **ანგარიში გაუწია წინა ფრაზას და სიტყვა, რომელიც ამ კონტექსტში გულისხმობს ზოგადად ერთად ყოფნას, რაღაცის მიმართ ერთსულოვნებას, გადმოიტანა "ჴმობა" სიტყვით.** წინა ფრაზა კი ასეთია: **"რაჲ უკუე შევწიროთ ჩუენ დედისა მის მიმართ სიტყჳსა, არამედ სიტყუაჲ, შემსგავსებული ძალისაჲ".**

№259) **განსასუენებელთა მათ შინა სულისათა]** **τὸ ἐν θαλάμῳ** tou Pneumato~ (**PG 96 col. 672 B 3; Kotter 1988:176,6-7) (ὁ θαλάμος= 1) მოსასვენებელი ოთახი; 2) საქორწინო მოსასვენებელი)**. ეფთვიმესა და ეფრემის **(გოგუაძე 1986:120,20)** თარგმანებში არის **"სასძლოსა მას შინა სულისასა"**. ტექსტში საუბარია იმაზე, თუ როგორ იქნა დაცული ღვთისმშობელი მარიამი და როგორ შეინარჩუნა მან უბიწოება, რათა გამხდარიყო ღმერთის სძალი და ღმერთის ბუნებითი ძის დედა. **"სულის განსასუენებელი" და „სულის სასძლო"** – ამ ორგვარი თარგმანის გაკეთების საშუალებას იძლევა თვით ბერძნული სიტყვა **- ὁ θαλάμος,** რომელსაც აქვს ორივე ეს მნიშვნელობა.

№260) **რამეთუ ნანდჯლვე სრულ-იქმნა** და ჭეშმარიტ შენ მიერ თქუმული იგი] **ὡς ἔφης ἐταλήθευσα (PG 96 col. 672 B 10-11; Kotter 1988:176,12-13). ეფთვიმე და ეფრემი (გოგუაძე 1986:120,26)** ზუსტად თარგმნიან ბერძნულ ტექსტს: **"ვითარცა სთქუ ჭეშმარიტად" (ეფთ.), "ვითარ-იგი სთქუ ჭეშმარიტად ქმნილმან" (ეფრ.)**. თეოფილე თავისი გავრცობით დამატებით ნიუანსს სძენს ტექსტს.

№267) **და რამეთუ არა განჭრა იგინი ოდესვე და მარადის მოღუაწემან ცხორებისა ჩუენისამან]** -ეს ფრაზა არ არის არც ბერძნულ ტექსტში **(PG 96, col 673 B 2; Kotter 1988:177,14),** არც ეფთვიმესთან და არც ეფრემთან **(გოგუაძე 1986:121,24)**. გავრცობილი მონაკვეთით თეოფილე კომენტარს უკეთებს ტექსტს, სადაც საუბარია იმაზე, რომ უფალმა ცოდვაში ჩავარდნილი ერი გამოიყვანა ფარაონის მონობისაგან. დამატებული მონაკვეთით თეოფილე ამბობს, რომ უფალმა არ დაღუპა მონობაში ჩავარდნილი ებრაელი ერი და გამოიყვანა ისინი ეგვიპტიდან.

№102) თქუენ კეთილითა ცხორებითა სიმართლით სცხონდებოდეთ ბუნებასა შინა კაცობრივსა და ასული, უდიდებულესი ანგელოზთაჲ და დედაჲ **უფლისა ძალთა ზეცისათაჲ, აწ ჰშევთ] " Ὑμεῖς εὐσεβῶς καὶ ὁσίως ἐν ἀνθρωπίνῃ φύσει πολιτευσάμενοι, τὴν ὑπὲρ ἀγγέλους, καὶ τῶν ἀγγέλων δεσπόζουσαν οὖν θυγατέρα τετόκατεi (PG 96 col. 669 A 7-10; Kotter 1988:174,4-6)**. ეფრემის თარგმანშია: "თქუენ სიწმიდით და ღმრთისმსახურებით სცხოვნდებოდეთ ბუნებასა და მას შინა კაცობრივსა უფროჲს ანგელოზთასა. ამისთჳსცა ჰშევით ასული, **მშობელი ანგელოზთა მეუფისაჲ" (გოგუაძე 1986: 119,7-8)**. თეოფილეს თარგმანშია: "თქუენ, სანატრელნო, ღირსად და ღმრთისმსახურებით ჰმოქალაქობდით ბუნებასა მას შინა კაცებისასა. ამისთჳსცა უაღრესი ანგელოზთაჲ ჰშევთ აწ და **ასული მეუფისა მის ანგელოზთაჲსა"**. ორ ქართულ თარგმანში (ეფთვიმესა და ეფრემთან) ბერძნული ფრაზა " **Ὑμεῖς εὐσεβῶς καὶ**

**ὁσίως ἐν ἀνθρωπίνῃ φύσει πολιτευσάμενοι,τὴν ὑπὲρ ἀγγέλους, καὶ τῶν ἀγγέλων δεσπόζουσαν νῦν θυγατέρα τετόκατεῖ (PG 96 col. 669 A 7-10; Kotter 1988:174,4-6)** სწორად არის გადმოღებული, **ანუ იოაკიმემ და ანამ შვეს ზეციურ ძალთა უფლის დედა (ეფთვიმეს მიხედვით), ხოლო ეფრემის თარგმანის მიხედვით – იოაკიმემ და ანამ შვეს ასული, რომელიც გახდა ანგელოზთა მეუფის მშობელი, ე. ი. ორსავე შემთხვევაში საუბარია** მაცხოვარზე, უფლის ძეზე, რომლის მშობელიც არის ღვთისმშობელი. **განსხვავებულად არის გადმოღებული ეს ადგილი თეოფილესთან, ანუ მისი თარგმანიდან გამოდის, რომ ღვთისმშობელი არის ანგელოზთა მეუფის ასული.**

### 3) თეოფილე ტექსტს თავისუფალი მეთოდით თარგმნის, ავრცობს და მეტ დამაჯერებლობასა და ხატოვანებას ანიჭებს მას

№218) **ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲔᲑᲐᲡᲐ მას შენსა]** ᾽Ω ὀσφὺς **(PG 96 col. 664 B 1; Kotter 1988:170,13).** ეფთვიმეს თარგმანშია: **"ეჰა, ზურგსა შენსა",** ხოლო ეფრემთან - **"ეჰა, წელთაღა შენთა"**. თეოფილემ თავისუფალი თარგმანი გააკეთა და, ფაქტობრივად, ტექსტის კომენტირება მოახდინა, არ გაამახვილა ყურადღება ფიზიკურ მხარეზე და იგივე აზრი უფრო ხატოვნად, ამაღლებულად გადმოსცა, ანუ ხაზი გაუსვა იმას, რომ იოაკიმე იყო რჩეული, რადგან მისგან იშვა ღვთისმშობელი.

№241) "დღეს დაჰბერეს ნიავთა **და აცურიეს ღრუბელთა ცუარი სიხარულისაჲ,** ყოვლადშუენიერისა მის წინაჲსწარ მაუწყებელთა] Σήμερον ἔρευσαν αὔραι χαρᾶς παγκοσμίου προάγγελοι **(PG 96 col. 665 C15-D1; Kotter 1988:172,4-5).** ეფთვიმეს თარგმანშია: **"დღეს მოჰბერეს ნიავთა სიხარულისათა, მსწრობელთა ხარებისათა ყოვლისა სოფლისათა"**. ეფრემიც ზუსტად მისდევს ბერძნულ ტექსტს: **"დღეს მოჰბერეს ნიავთა, წინამაუწყებელთა ყოვლისა სოფლისა სიხარულისათა" (გოგუაძე 1986:117,38-39)**. თეოფილემ თავისი დამატებული მონაკვეთით აზრი არ შეცვალა, მაგრამ უფრო ხატოვანი გახადა.

№286) წინადადება: "**და წარვლო და წარჰᲫდა ყოველსავე დაბადებულებასა დაბადებულთასა**" თეოფილეს თარგმანში ბერძნულ ტექსტთან **(PG 96 col. 676 D 6; Kotter 1988:180,52),** ეფთვიმესა და ეფრემის **(გოგუაძე 1986:123, 13-14)** თარგმანებთან შედარებით მეტია. ამ დამატებული მონაკვეთის ხარჯზე აზრი გამძაფრებულია, კერძოდ, ნათქვამია ის, რომ ღვთისმშობელი ამაღლდა ყველა დაბადებულზე.

№287) **ᲐᲮᲙᲠᲕᲔᲚᲦᲐ საკჳრველთაჲ და სასწაული, ცნობათა უაღრესი და უპირატესი ყოველთა სასწაულთაჲ]** W qauma pantwn qaumatwn

uperteron (**PG 96 col. 677 A 1; Kotter 1988:180, (10) 1).** ეფთვიმესა და ეფრემის **(გოგუაძე 1986:123,15)** თარგმანებში ბერძნული ტექსტი ზუსტად არის გადმოღებული: **"ჰ საკჳრველსა მას, უზეშთაეს საკჳრველებათასა"! (ეფთ.)**. თეოფილეს მიერ ამ დამატებული მონაკვეთის ხარჯზე აზრი გამძაფრებულია.

№304) მონაკვეთი: **„რომელი გესავს შენ ყოვლითა სულითა და გონებითა" არ არის ბერძნულ** ტექსტში **(PG 96, col. 680 B 4; Kotter 1988:182,4),** არ არის არც ეფთვიმესა და ეფრემთან **(გოგუაძე 1986:124,38)**. ამ შემთხვევაშიც დამატებული მონაკვეთი ხაზს უსვამს იმას, თუ რა აღმატებული გრძნობით არის აღვლენილი ხოტბა ღვთისმშობლისადმი.

**4) თეოფილე ტექსტს ავრცობს და კომენტარს უკეთებს**

№262) მონაკვეთი - "**არამედ იძლევის სიტყუაჲ წესისაგან და დღენი ესე ნათლისანი ჰმძლავრობენ დღეთა მათ სახისათა და მიგებაჲ იგი საუკუნეთა მათ ფრიად უაღრეს არს**" - არის ბერძნული ტექსტის არცთუ დიდი ფრაზის – **"ποῖος τις ἐγκαυχέσεται τῇ σῇ γενικῇ (PG 96, col. 672 C 9; Kotter 1988:177,23) -** საკმაოდ ვრცელი ინტერპრეტაცია. ბერძნულ ტექსტს მიყვებიან ეფთვიმესა **("ვითარ არა იქადოდიან შობითა შენითა?") და ეფრემის - "თუ რომელი უფროჲს მოქადულ იქმნეს შობასა შენსა ზედა?" (გოგუაძე 1986:120,38)** თარგმანები. თეოფილესთანაც არის ბერძნულის შესატყვისი ტექსტი: **"რამეთუ შობისა მიერ შენისა იქადიან დღენი იგი საუკუნენი",** ხოლო გავრცობილი მონაკვეთით თეოფილე კომენტარს უკეთებს ძალიან მოკლედ და, ალბათ, მისი აზრით, არასაკმარისად ნათელ ნათქვამს.

№257) **შენ მიერ შეკრბეს ერთად ორნი იგი ტომნი სამღდელონი და სამეუფონი** და პატივსა მას ლევიტელებრსა **აღეზავა დიდებულებაჲ** დავითებრი!] **μετατεθέντος ἐκ τῆς Λευϊτικῆς φυλῆς ἐπὶ τὴν Δαβιτικὴν τοῦ ἱερατικοῦ ἀξιώματος (PG 96 col. 669 B 1-3; Kotter 1988: 174, (6)10-11).** ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანები მისდევენ ბერძნულ ტექსტს: **"მიიცვალება ჭეშმარიტება მღდელობისაჲ ლევის ნათესავისაგან დავითის ნათესავისა" (ეფთ.), "მიიცვალა რაჲ პატივი მღდელობისაჲ ლევიტელებრისა ნათესავისაგან დავითებრისა ნათესავისა მიმართ" (გოგუაძე 1986: 119, 12-14)**. თეოფილეს მიერ დამატებული მონაკვეთებით გაკეთდა ტექსტის მცირე კომენტირება და, გარდა ამისა, თარგმანი უფრო ხატოვანი გახდა, უფრო ხატოვნად წარმოჩნდა ეს პროცესი, კერძოდ, მღვდლობის გადაცემა ლევიტელთა ტომისაგან დავითის ტომზე.

№296) **სიმრავლე მადლთა შენთაჲ**] - **PG 96 col. 677 D 4; Kotter 1988:181,15;** არც ეფთვიმესა და ეფრემის **(გოგუაძე 1986:124,16)** თარგმანებში

არის ეს ფრაზა. ტექსტში საუბარია ჰომილიის ავტორის სწრაფვაზე ღვთისმშობლისაკენ და თეოფილეს დამატებული ფრაზა კომენტარს უკეთებს, განმარტავს ამის მიზეზს – ეს არის ღვთისმშობლის მადლთა სიმრავლე.

№303) **არათუ შემსგავსებულნი დიდებისა შენისანი, რამეთუ ესე შეუძლებელ არს ძალთაგანცა ანგელოზთაჲსა**] – **PG 96 col. 680 B 4; Kotter 1988:182,3;** ეს ფრაზა არ არის არც ეფთვიმესა და ეფრემთან **(გოგუაძე 1986:124,38).** დამატებული მონაკვეთით თეოფილე კომენტარს უკეთებს ტექსტს, ამბობს, რომ ღვთისმშობლისადმი აღვლენილი ხოტბა ვერ გამოხატავს მის დიდებულებას და ანგელოზებრივ ძალებსაც კი არ შეუძლიათ მისთვის ღირსეული ხოტბის შესხმა.

№118) ბერძნული ფრაზა **θυγάτριον ἀειπάρθενον (PG 96 col. 672 C 5; Kotter 1988:177,20)** თეოფილემ თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით გადმოიღო: **“ჶ ასულო საწადელო, მარადის ქალწულებითა პატივცემულო!”** მან გაავრცო თარგმანი და კომენტარის სახე მისცა, თავისი დამატებული ფრაზით განმარტა, რატომ იყო პატივცემული ღვთისმშობელი. ეფრემი ზუსტად თარგმნის: **“ჶ ასულო, მარადის ქალწულო”**. ეფთვიმეს თარგმანში, როგორც ჩანს, გადამწერმა დაუშვა შეცდომა ქარაგმის გახსნისას: **“ჶ** ასულსა მას **მის** ქალწულისა” S 3648 **(“მარადის”** ნაცვლად დაწერა **“მის.” ტექსტში გავასწორეთ).**

№254) თეოფილეს თარგმანის ეს მონაკვეთი: “რომლისა თჳთებაჲ გუამოვნებათა ესეოდენ არს მშობელობაჲ, შობილობაჲ **და გამოსლვაჲ მისვე თავადისა მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲ, ერთისა მის და განუყოფელისა ღმრთეებისაჲ”** - ბერძნულ ტექსტში **(PG 96 col. 668 C 8-9; Kotter 1988: 174,10-11)** წარმოდგენილია შემდეგნაირად: **„τὸ μὴ γεννῶν, ἀεὶ δὲ γεννώμενον οὗ τὸ γεννᾶσθαι ὑποστατικὸν μόνον ἰδίωμα“.** ეფრემი **(გოგუაძე 1986:118,32)** მიყვება ბერძნულ ტექსტს: **“რომელი არა შობილ არს, არამედ მარადის მშობელ, რომლისა-იგი შობაჲ თჳთებაჲ ხოლო არს გუამოვნებისაჲ”**. ეფთვიმესთან ეს მონაკვეთი შემდეგნაირად არის გადმოღებული: **“რომელი არაოდეს იშვა და მარადის მშობელ არს, რომლისა გუამსა აქუს მარადის მშობლობაჲ საკუთრად მას მხოლოსა.”** თეოფილემ იგივე აზრი გავრცობილად და უფრო გასაგებად თარგმნა: ხაზგასმული მონაკვეთი დაუმატა კონტექსტს, სადაც საუბარია იმაზე, რომ ქალწულმა ხორციელად შვა უფლის ძე უხორცო მამის ნებით; საჭირო იყო სიწმიდისა და ქალწულებისაგან მხოლოდშობილის აღმოცენება და მისი ხორციელად შემოყვანა ნათელში (ანუ ამქვეყნად ნ.მ.); ღმრთის ძე არის არა შობილი, არამედ მარად მშობელი და მისი შობა მხოლოდ მისი გვამოვანების **“თჳთებაა”** (ანუ შობა საჭირო იყო

მისი ფიზიკური სხეულით მოსვლისათვის ამქვეყნად). ამ მონაკვეთს თეოფილე კომენტარს უკეთებს დამატებული ფრაზით: ღმრთის ძის მარტოოდენ **"შობილობის"** აღნიშვნას არ მიიჩნევს ის საკმარისად მისი **"გუამოვანების"** თვისების საჩვენებლად და უმატებს **"მშობლობასა" და "გამოსლვას"** განუყოფელი ღმრთეებისაგან. აქ, ვფიქრობთ, თეოფილემ შესატყვისი კომენტარი გაუკეთა ტექსტს დამატებული მონაკვეთით და გააძლიერა ბერძნული ტექსტის განსახილველი ადგილი.

№289) რამეთუ გამოჩნდა **უზეშთაესი იგი ბუნებათაჲ** და მცირედ რაჲმე ანგელოზთა დამაკლებელი **ბუნებისა ჩუენისაჲ**] **ὅτι θεὸς ὤφθη βραχύ τι παρ' ἀγγέλους ἠλαττωμένος (PG 96 col. 677 A 2-3; Kotter 1988:180,2).** ეფთვიმესა და ეფრემის **(გოგუაძე 1986:123,16-17)** თარგმანები მისდევენ ბერძნულ ტექსტს: **"რამეთუ ძე ღმრთისაჲ იშვა მისგან, დაკლებული მცირედ რაჲმე ანგელოზთა"**. ეს არის ციტატა წმიდა წერილიდან (**ებრ. 2,9)**, რომელიც თეოფილემ გაავრცო და, ფაქტობრივად, მცირე კომენტარი გააკეთა, ხოლო ეფთვიმემ და ეფრემმა ზუსტად გადმოიღეს.

№306) **განხეთქე, უბიწოო, ჭელითწერილი ბრალთა ჩემთაჲ**] – **PG 96 col. 680 B 5; Kotter 1988:182,5;** არ არის ეს ფრაზა არც ეფთვიმესა და ეფრემთან **(გოგუაძე 1986:124,40)**. კონტექსტში საუბარია ჰომილიის ავტორის თხოვნაზე ღვთისმშობლისადმი, რომ დაეხმაროს მას, რათა შეენდოს ცოდვები. დამატებული ფრაზა კიდევ უფრო აძლიერებს ღვთისმშობლისადმი აღვლენილ თხოვნას.

### 5) თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანის ბერძნული წყარო

**(მასალა, რომლის საფუძველზეც შეიძლება ვივარაუდოთ თეოფილეს მიერ ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანებისაგან ვარიანტულ დონეზე განსხვავებული ბერძნული ტექსტის გამოყენება)**

№256) ბერძნული წყაროს - **Ἐντεῦθεν χορεύω καὶ κομπάζω καὶ γέγηθα καὶ πρὸς τὴν ῥηγὴν πάλιν τῶν θαυμάτων ἐράνειμι καὶ τοῦ τῆς εὐφροσύνης ἐμφορούμενος νάματος τὴν κιθάραν πάλιν κραδαίνω τοῦ πνεύματος καὶ θεῖον ὕμνον ᾄδω γενέσιον (PG 96 col. 668 D 4-col. 669 A 2; Kotter 1988: 174,19-22) -** ეს მონაკვეთი ძალიან არის გავრცობილი თეოფილეს თარგმანში: "ამისთჳსცა მხიარულ ვარ და განვსცხრები და განვაწყობ მწყობრსა მას მგალობელთასა და აღვსძრავ სურვილით ქნარსა მას სულისასა და სამძალსა ძლევისასა და განვკჳრდები და შევასხამ და ვადიდებ ძალისაებრ მრავალვრცელთა მათ წყობათა შენთა და კუალად წყაროჲსა მის მიმართ სასწაულთაჲსა მივიქცევი და ნეკტარსა მას შინა სიხარულისასა და ცუაროვნებასა მადლისასა აღმოვალტობ ორღანოსა

მას ათძალსა სულისასა და ძალთა მათ მისთა მოურთავ ძლიერად სიმჴნითა მით ახოვნებისაჲთა და ესრეთ წარვჰმართებ ებანსა მას ენისასა და ვადიდებ წმიდასა მას შობასა ღმრთისმშობელისასა". რაც შეეხება ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანებს, ისინი უცვლელად თარგმნიან ბერძნულ ტექსტს: "და აქა ვიხარებ და ვიქადი, ვიშუებ და განვსცხრები და აღმომაცენებელისა მის საკჳრველებათაჲსა მივისწრაფი და განვძღები წყლითა მით სიხარულისაჲთა და შევსძრავ კუალად ქნარსა მას სულისასა და შობასა მას სადმრთოსა გალობით ვადიდებ" **(ეფთ. S 3648, გვ. 15);** "ამიერ ვიხარებ და ვიშუებ და განვსცხრები და კუალად წყაროჲსა მიმართ საკჳრველებათაჲსა აღვიწევი და მხიარულებისა ნაკადულთა მიერ აღვივსები და კუალად აღვსძრავ ქნარსა სულისასა და სადმრთოსა ვგალობ გალობასა შობისასა" **(ეფრ., გოგუაძე 1986:118,41-119,2)**. **ან უნდა ვივარაუდოთ სხვა ბერძნული რედაქციის ან მსხვილი ვარიანტული განსხვავებების შემცველი ბერძნული ტექსტის არსებობა, ან ეს მონაკვეთი მივაწეროთ თეოფილეს სურვილს, უფრო დამაჯერებლად გადმოეცა ჰომილიის ავტორის სიხარული და მზადყოფნა ღვთისმშობლის შობისათვის ხოტბის შესხმისა.**

№252) ბერძნული წყაროს ამ მონაკვეთს: **"Οὐκ ἐμὸς ὁ λόγος, εἰ καὶ ἐμὸς ὁ λόγος. Κλῆρον γὰρ τοῦτον ἐκ θεολόγου πατρὸς Γρηγορίου θεολογικώτατον δέδεγμαι (PG 96 col. 668 B 8-10; Kotter 1988:173,25-26)** – მისდევს ორი ქართული თარგმანი - ეფთვიმესი და ეფრემისი: "არა ჩემი არს სიტყუაჲ ესე, არამედ არსვე ჩემი, რამეთუ მოვიღე ესე გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაგან და ვისწავენ მისგან სიტყუანი სადმრთონი" **(ეფთ., S 3648, გვ. 14);** "არა ჩემი არს სიტყუაჲ ესე, რამეთუ სადმრთისმეტყუელოდ მამულად წილ-მხუდა ესე ღმრთისმეტყუელისა მის მამისა გრიგოლისაგან" **(ეფრ., გოგუაძე 1986:118,19-20)**. ამ მონაკვეთში წმ. იოანე დამასკელი ამბობს, რომ ქვემოთ მოტანილი ტექსტი ეკუთვნის არა მას, არამედ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველს. **თეოფილე ხუცესმონაზონი ბერძნულ ტექსტთან შედარებით ამატებს ტექსტს თვით წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის პირველი ეპისტოლედან კლიდონის მიმართ (ამის შესახებ ინფორმაცია არის მინის გამოცემაში - იხ.: PG 96, col. 668, სქ. №69: "Greg. Epist. 1 Ad Cled."):** "არა ჩემი არს სიტყუაჲ, არამედ ჩემი არს სახე და საქმე და ესე მოძღურებაჲ მოვიღეთ ჩუენ პირველითგანვე: პირველად თჳთ თავადისა ღმრთისაგან, რომელი განკაცნა მისგან, და მერმე – წმიდათა მოციქულთაგან, ხოლო უფროჲსდა დიდისა მისგან ღმრთისმეტყუელისა, იოანე მახარებელისა, რომელმან-იგი ღმრთივშუენიერად გამოთქუა გამოუთქუმელი იგი ღმრთეებაჲ სიტყჳსაჲ და აღგვიწერა ჩუენ რჩეულად პირველობაჲ იგი ძისაჲ და თანასწორებაჲ მამისა და სულისაჲ, და შემდგომად მისა - წმიდათა მამათა მიერ და მღდელთმთავართა და ნეტარისა გრიგოლის მიერ ღმრთისმეტყუელისა

ღმრთისმეტყველებით სწავლულ ვიქმნენით” **(თეოფ., სქ. №252)**. ე. ი. ტექსტი, რომელიც ბერძნულ ნუსხაში და მის მიმყოლ ორ ქართულ თარგმანში მხოლოდ დასახელებულია როგორც წყარო, თეოფილემ პარაფრაზის სახით ჩართო თავის თარგმანში. შესაძლოა, რომელიმე ბერძნულ ნუსხაში იყო კიდეც ეს მონაკვეთი, შესაძლოა ისიც, რომ თვით თეოფილემ მოიძია ამ ეპისტოლეს ბერძნული ტექსტი და თარგმნა ის, ან გამოიყენა უკვე არსებული თარგმანი დავით ტბელის ძისა **(იხ.: S 1696 249v-250r: “საკჳრველ არს ღმერთი...”; თ. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., მეცნიერება, 1988, გვ. 40)**.

№271) “**პირველ არა ერი, ერ იქმნების, და უყუარებელი იგი შეყუარებულ იქმნების]** **ὁ πρῖν οὐ λαὸς καθίστατai καὶ ὁ οὐκ ἠλεημένος, ἠλέητai καὶ ὁ οὐκ ἠγαπημένος ἠγάπητai (PG 96 col. 673 B 14-15; Kotter 1988:178,22-23; კოტერის გამოცემის სქოლიოში – გვ. 178, №23** წარმოდგენილია ასეთი წაკითხვები: **”οὐκ ἠλεημένος ἠγάπητai”** Q [=**არაშეწყალებული – შეიყუარების**], **”οὐκ ἠλεημένος ἠλέητai ἠγάπητai”** E **[=არაშეწყალებული – შეიწყალების, შეიყვარების**]). ეფთვიმესა და ეფრემთან არის თეოფილეს მიერ გამოტოვებული ფრაზა: **“და არაშეწყალებული იგი იქმნა შეწყალებულ, და არასაყუარელი იგი შეიყუარა” (ეფთ.). “არაშეწყალებული – შეიწყალების და არაშეყუარებული შეიყუარების” (გოგუაძე 1986:121, 33-34)**. შესაძლოა, თეოფილე განსხვავებული ბერძნული ნუსხით სარგებლობს, რადგან როგორც კოტერის გამოცემიდან მოტანილი QE ნუსხათა ჩვენებები ცხადყოფს, ამ ადგილის სხვადასხვაგვარი წაკითხვა არსებობს ბერძნულ ნუსხებში.

№273) ცხორებისაჲ] + **Ἐφώτισαν ἑαυτοῖς φῶς γνώσεως, καὶ Κύριον ἐξεζήτησαν, καὶ ἦλθεν αὐτοῖς γέννημα δικαιοσύνης (PG 96 col. 673 C 7-9; Kotter 1988:178,4-5).** ეფთვიმემ თარგმნა ეს მონაკვეთი: **“და განაბრწყინვნეს თავნი თჳსნი ნათლითა მეცნიერებისაჲთა და ითხოვეს ღმრთისაგან და მოეცა მათ ნაყოფი სიმართლისაჲ”**. ნათარგმნი აქვს ეფრემსაც: **“განუნათლეს თავთა თჳსთა ნათელი მეცნიერებისაჲ და გამოიძიეს უფალი და მოუპოვა მათ იფქლი სიმართლისაჲ” (გოგუაძე 1986:121,40-41)**. თეოფილეს მიერ დაკლებული მონაკვეთი არის პარაფრაზირებული ციტატა ბიბლიიდან, კერძოდ: **ესაია 61,11: “**და ვითარცა ქუეყანაჲ, რომელმან აღაორძინის ყუავილი თჳსი, და ვითარცა მტილმან თესლი თჳსი აღმოაცენის, **ეგრეთ გამოაბრწყინვოს უფალმან სიმართლჱ წინაშე ყოველთა თესლთა”**. თეოფილეს თარგმანში ეს ბიბლიური ციტატა, რომელიც პარაფრაზირებულია ბერძნულ ტექსტში და მის მიმყოლ ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანებში, გამოტოვებულია.

№293) გიხაროდენ, პროვატიკეო, ოდესმე საბანელო იოვაკიმის ცხოვართაო] Cairoi~, probatikh, twn tou Iwakeim probatwn to palai skhno~ **(Kotter 1988:181, სქოლიო 2-3, E). თეოფილეს თარგმანი მისდევს კოტერის გამოცემის E ნუსხას, რომელსაც აკლია ძირითადი ბერძნული ტექსტის იგივე მონაკვეთი, რაც არ არის თეოფილესთან** (Cairoi~, probatike, th~ basilido~ to progonikon katagwgion **PG 96 col. 677 C 1-3; Kotter 1988:181,1-2).** ეს მონაკვეთი წარმოდგენილია როგორც ეფთვიმეს, ასევე ეფრემის თარგმანებში: **"გიხაროდენ, პროპატიკეო, საყოფელო დედოფლისა ჩუენისა მშობელთაო" (ეფთ.); "გიხაროდენ, პროვატიკეო, პირველთა მშობელთაგან მამულად ხუედრებულო საყოფელო დედოფლისაო" (ეფრ., გოგუაძე 1986:123,42-124,1).**

№244) **არა ანგელოზი, არა კაცი, არცა მოციქული] Οὐκ ἄνθρωπος, οὐ πρέσβυς (PG 96 col. 668 A 11; Kotter 1988:173,16).** ეფთვიმეს თარგმანშია: **"არა კაცი, არცა მამშჳდებელი",** ხოლო ეფრემთან: **"არა კაცი, არცა მოციქული" (გოგუაძე 1986:118,8). როგორც PG-ს Reg. 2-ში, ასევე კოტერის გამოცემის EY ნუსხებში "კაცის" ნაცვლად არის "ანგელოზი": ἄνθρωπος (PG 96 col. 668 A 11)] ἄγγελος (Reg. 2: ἄγγελος), ἄνθρωπος (Kotter 1988:173,16)] ἄγγελος (Kotter 1988:173,16 EY).** თეოფილემ წარმოადგინა EY ნუსხების ჩვენება, მაგრამ არ დაკარგა არც "კაცი", რომელიც ამ ბერძნულ ნუსხებში არ არის. ე. ი. თეოფილე კიდევ რომელიღაცა სხვა ბერძნულ ნუსხაში იხედებოდა.

№308) თეოფილეს თარგმანის შემდეგი მონაკვეთის - „**და მოჰმადლე სოფელსა მშჳდობაჲ და ყოველსავე ამას ქალაქსა და მას შინა მყოფთა მათ პატიოსანთა და ღირსთა მონაზონთა, ყოველსავე თანა სიმრავლესა ერისასა მოეც კურთხევაჲ და წყალობაჲ, სიხარული და მხიარულებაჲ და ცხორებაჲ საუკუნოჲ, რომელნიცა გადიდებენ შენ ლიტანიითა და გალობითა, დაიცვენ და შეზღუდენ და ყოველივე სავსებაჲ ეკლესიისაჲ დაიფარე" (იხ. სქ. № 308)** – შესატყვისი ბერძნული ტექსტის დასაწყისი ნაწილი: **καὶ τῷ κόσμῳ βραβεύσαις εἰρήνην καὶ πᾶσι τοῖς τῆσδε τῆς πόλεως ὀρθοδόξοις οἰκήτορσι παντελῆ εὐφροσύνην καὶ σωτηρίαν αἰώνιον" (იხ.: PG 96, col.680 B 10-16; Kotter 1988:182,9-11),** რომელიც აკლია **z** ნუსხას **(იხ.: Kotter 1988:182,9-11, სქ. 9, om.z)** და არის **DQ** ნუსხებში **(იხ.: Kotter 1988:182,9-11, სქ. 9, om.z),** არის თეოფილეს თარგმანშიც **("და მოჰმადლე სოფელსა მშჳდობაჲ და ყოველსავე ამას ქალაქსა და მას შინა მყოფთა მათ პატიოსანთა და ღირსთა მონაზონთა" იხ.: სქ. №308),** მაგრამ არ არის ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანებში, სადაც ეს ტექსტი გაცილებით მოკლედ არის წარმოდგენილი: **"და ცხორებასა მას საუკუნესა ერი შენი აღიყვანე და ლოცვითა მშობელთა შენთაჲთა და მეოხებითა ყოველთა სათნოთა და ღირსთა, იყავნ!" (ეფთ.). "და ჭელპყრობით ძღუანვად**

**ზენაჲსა მის მიმართ ნეტარებისა ლიტანიობითა მშობელთა შენთაჲთა და ყოვლისავე საეკლესიოჲსა სავსებისაჲთა, იყავნ, იყავნ!" (გოგუაძე 1985:125,1-3). ე. ი. ამ შემთხვევაში სამი ქართული თარგმანისათვის გამოიკვეთა სხვადასხვა ბერძნული წყარო - ერთი მხრივ, ეფთვიმესა და ეფრემისათვის ("z" ნუსხა), ხოლო მეორე მხრივ – თეოფილესათვის ("DQ" ნუსხები).**

**ბ) თეოფილესა და ეფთვიმეს თარგმანები გარკვეულ მსგავსებას ავლენენ ერთმანეთთან PG-ს ტექსტისა და მისი მიმყოლი ეფრემის თარგმანის ფონზე**

№7) თეოფილე ავრცობს ბერძნულ ტექსტს და, ფაქტობრივად, მის კომენტირებას აკეთებს.: "... ძალისაებრ თჳთოეულისა მათისა და ესეღა **ხენეშთათჳს და განხრწნილთა** ცხორებითა და **არაწმიდათა მოქალაქობითა**" **(τὸ κατὰ δύναμιν, καὶ τάυτα λυμαινομένων τὸν βίον PG 96 col. 661 B 12-13; Kotter 1988:169,6);** ეფრემი მისდევს ბერძნულ ტექსტს: **"... ძალისაებრსა და ამას ზედა წარაგებენ ყოველსა ცხორებასა მათსა" (გოგუაძე 1986:.115, 13-14),** ხოლო ეფთვიმეს თარგმანი ახლოს დგას თეოფილეს თარგმანთან: **"... მსგავსად ძალისა მათისა ნაკლულევანთა მათ და კნინცხორებულთა და სრულიად განქარვებადთა"**. არ არის გამორიცხული, რომ თეოფილე და ეფთვიმე ერთი და იმავე ბერძნული ტექსტის გარკვეულწილად თავისუფალ თარგმანს აკეთებენ.

№195) **შენ ხარ სიმტკიცე მეფეთა**] – **PG 96 col. 680 A 8.** კოტერის გამოცემის ძირითად ტექსტში არის ეს ხაზგასმული სიტყვები: **"βασιλέων στήριγμα" (Kotter 1988:181,24)** და ვარიანტულ წაკითხვებში გაკეთებული აქვს ასეთი შენიშვნა: **βασιλέων στήριγμα om., sed suppl. Sub aster. i. m. inf. L.** ეს ფრაზა არის ეფრემის **(გოგუაძე 1986:124,29)** და თეოფილეს თარგმანებშიც. როგორც ჩანს, ქართული თარგმანები იყენებენ კოტერის გამოცემის ძირითად ტექსტში გათვალისწინებულ ნუსხებს და არა L ნუსხას, რომელსაც ეს სიტყვები აკლია. ქ. სალადაია ამ ადგილზე დაყრდნობით მსჯელობს თავის წერილში: **"ეფთვიმე ათონელის თარგმანის კვალი გვიანდელ მთარგმნელებთან"** და თვლის, რომ ეფრემმა გამოიყენა ეფთვიმეს თარგმანი, როდესაც დაწერა PG-ს ტექსტისაგან განსხვავებული **"სიმტკიცე მეფეთაჲ": "ეს შესიტყვება "სიმტკიცე მეფეთაჲ" არ დასტურდება ბერძნული აკადემიური გამოცემის ვარიანტებში, რაც უდავოს ხდის მის ეფთვიმესეულ წარმომავლობას" (იხ. სალადაია 2009:51).** როგორც ჩანს, ქ. სალადაიას ხელი არ მიუწვდებოდა კოტერის გამოცემაზე. ამდენად, ეს მაგალითი ვერ დაადასტურებს ქ. სალადაიას მოსაზრებას ეფრემის მიერ ეფთვიმეს თარგმანის გამოყენების შესახებ. ვფიქრობთ, **არ გამოდგება**

**ეფთვიმეს, როგორც წყაროს, მოხმობა ამ წერილში მოტანილ მეორე მაგალითშიც** (სულ ორი მაგალითია), სადაც ესაია წინასწარმეტყველის ციტატა (9,6) არის სრულად ეფთვიმესთან, ნაწილობრივ ნაკლული - თეოფილესთან და ბოლომოკვეცილი – PG-სა და ეფრემთან: ეფრემი ამ ციტატს აკლებს შემდეგ მონაკვეთს: "ჴელმწიფე, მთავარი მშჳდობისაჲ, მამა მერმეთა მათ საუკუნეთაჲ" **(იხ. ტექსტის წინამდებარე გამოცემა, სქ. №87; სქ. №248)**. ვფიქრობთ, ვერ გამოვრიცხავთ ვარაუდს, რომ თეოფილემ ესაიას ეს ბიბლიური ციტატა, ისევე როგორც ეფთვიმემ, საკუთარი მოსაზრებითა და სურვილით დაასრულა (ეფთვიმესთან მიმართებით ამას არც ქ. სალადაია გამორიცხავს, მაგრამ თეოფილესთან დაკავშირებით რატომდაც იგივეს არარეალურად მიიჩნევს).

№198) **ასულისა თქუენისა ყოვლადწმიდისა**] – **PG 96 col. 680 B 2; Kotter 1988:182,2.** ეფთვიმესეული თარგმანის ეს ფრაზა არ არის ეფრემის თარგმანში **(გოგუაძე 1986:124,35)**. თეოფილეს თარგმანშია: **"წმიდისა მაგის და ყოვლადუბიწოჲსა"**. ამ შემთხვევაშიც ეფთვიმესა და თეოფილეს თარგმანებს ერთი და იგივე ბერძნული ნუსხა უჩანთ დედნად, ხოლო ეფრემს – განსხვავებული.

№248) **ღმერთ ძლიერ და ჴელმწიფე და მთავარ საუკუნეთა**] **Θεὸς ἰσχυρός (PG 96 col. 668 B 4); Θεὸς ἰσχυρός om. G 1 (Kotter 1988:173,22).** ეფთვიმეს თარგმანშია: **"ღმერთი ძლიერი და ჴელმწიფე, მთავარი მშჳდობისაჲ, მამა მერმეთა საუკუნეთა"**. ეფრემი ზუსტად თარგმნის ბერძნულ ტექსტს და ესაიას ციტატას ასრულებს სიტყვებით: **"ღმერთი ძლიერი"**, ანუ ბოლოში აკლებს ფრაზას **(გოგუაძე 1986: 118,14-15)**. ამ შემთხვევაშიც ეფთვიმე და თეოფილე ერთსა და იმავე ბერძნულ ნუსხას მისდევენ, ეფრემი – მათგან განსხვავებულს.

№272) **საღმრთოჲ იგი ნექტარი** ... აღმოუცენა ცხორებად საუკუნოდ] **πόμα νέκταρ τοῖς ζῃγενέσι πηγάζουτα εἰς ζωὴν (PG 96 col. 673 C 4-5; Kotter 1988:178,2).** ეფთვიმესთან არის: "აღმოუდინა **ღჳნოჲ ახალი** ... ცხორებად საუკუნოდ", ხოლო ეფრემი ტოვებს ბერძნული ტექსტის **νέκταρ τοῖς ζῃγενέσι-ს** და ასე თარგმნის: **"ნაკადული ცხორებისაჲ წყარო ექმნა" (გოგუაძე 1986:121,37)**. ამ შემთხვევაშიც ეფთვიმესა და თეოფილეს ერთი და იგივე ბერძნული ტექსტი უჩანთ გამოყენებული.

№276) თეოფილემ ბერძნული **πηγὴ ζωῆς (PG 96 Col. 673 C 14)** და კოტერისეული **πύλη πηγὴ EY (Kotter 1988:178,9)** თარგმნა როგორც **"გზა ცხორებისაჲ"**, ხოლო ეფთჳმემ თარგმნა როგორც **"ბჳ ცხორებისაჲ"**. ე.ი., თეოფილემ და ეფთვიმემ გაითვალისწინეს ერთი და იმავე ბერძნული ნუსხის ჩვენება, კერძოდ, იმ ნუსხისა, რომელშიც არის **πύλη** და არა - **πηγὴ**. ეფრემის თარგმანს ეს მონაკვეთი აკლია **(გოგუაძე 1986:122,4)**.

## შენიშვნები II

### ღვთისმშობლის დაძინების სამი ჰომილიის წინაათონური და ეფრემ მცირისეული თარგმანების ურთიერთმიმართებისა და ბერძნულ წყაროსთან მიმართების შესახებ

ქვემოთ მოტანილ **დანართ №1-სა და დანართ №1ა-ში** წარმოვადგენთ წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლის დაძინების სამი ჰომილიის ორი ქართული თარგმანის ექვსი ტექსტის (3 – წინაათონური და 3 – ეფრემ მცირისეული) ბერძნულ წყაროსთან შედარებისას გამოვლენილ განსხვავებებს, რომლებზე დაყრდნობითაც დაიწერა გამოკვლევის II თავი: **"წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლის დაძინების სამი ჰომილიის ორი ქართული თარგმანის ურთიერთმიმართება და მიმართება ბერძნულ წყაროსთან".**

შესადარებლად **გამოვიყენეთ** წმ. იოანე დამასკელის ჰომილიების ბერძნული ტექსტების შემდეგი გამოცემები:

1) Patrologiae, Cursus Completus, Omnium SS. Patrum, Doctorum Scriptorumque Ecclesiasticorum, Sive Latinorum, Sive Graecorum, Accurante J. –P. Migne, Bibliothecae Cleri Universae, Patrologiae Graecae, Tomus 96,Brepols – Turnhout, 1976, S.Joannis Damasceni, Col. 700-761.

2) Die Schriften des Johannes von Damaskos, herausgegeben von Byzantinischen Institut der Abtei Scheiern, V, Opera Homiletica et Hagiographica, besorgt von P. Bonifatius Kotter O.S.B., Walter de Gruyter. Berlin, New York, 1988, p. 483-555.

კოტერის გამოცემაში გათვალისწინებულია იოანე დამასკელის განსახილველი ჰომილიების დღევანდლამდე მოღწეული ბერძნული ტექსტების შემცველი 100-მდე ნუსხა.[1]

გამოკვლევაში უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ შევეცადეთ, სისტემური სახე მიგვეცა და, შეძლებისდაგვარად, გამოგვეყო ის კატეგორიები, რომლებშიც მოთავსდებოდა მიძინების ჰომილიის ბერძნული წყაროდან ორივე თარგმანის გადახვევის შემთხვევები. ქვემოთ მოტანილ **დანართში** სამივე ჰომილიის მასალას თითოეული თარგმანის ფარგლებში ერთად წარმოვადგენთ (წინაათონური და ეფრემის მცირის თარგმანების მასალას ერთმანეთისაგან გამოვყოფთ).

ორი ქართული თარგმანის ტექსტიდან (წინაათონური და ეფრემ მცირისეული) მოტანილ მაგალითებთან მითითებული გვაქვს ჰომილიის ნომერი რომაული ციფრით (I, II ან III) და გამოცემული ტექსტის

1 იხ.: Kotter 1988: 465-469; 474; 482.

ვარიანტებში წარმოდგენილი ქართული თარგმანის ბერძნული წყაროსაგან განსხვავებული წაკითხვების ამსახველი სქოლიოს ნომერი არაბული ციფრით. მაგ.: II, **სქ**. №319. ეს მითითება დანართში წინ უძღვის ყოველი შენიშვნის ტექსტსაც, რომელშიც გაანალიზებულია თარგმანის ესა თუ ის ადგილი ბერძნულ წყაროსთან მიმართებით. ამგვარად, ვრცელი კონტექსტის ნახვის სურვილის შემთხვევაში, მკითხველს შესაძლებლობა აქვს განსახილველი ადგილი მოძებნოს გამოცემული ტექსტის სქოლიოს ნომრის მიხედვით.

ღვთისმშობლის დაძინების თვითოეული ჰომილიის წინაათონურ და ეფრემ მცირისეულ თარგმანებში სქოლიოების ნუმერაცია გაბმულია (ერთიანია):

დაძინება I - №№ 1-171 (წინაათონური), №№172-380 (ეფრემი);

დაძინება II - №№ 1-316 (წინაათონური), №№ 317-549 (ეფრემი);

დაძინება III - №№ 1-92 (წინაათონური), №№ 93-174 (ეფრემი).

## დანართი I

### ღვთისმშობლის დაძინების სამი ჰომილიის წინაათონური ანონიმური ქართული თარგმანის მიმართება ბერძნულ ტექსტთან

ქვემოთ წარმოდგენილი მასალა ოთხი პუნქტის სახით დავაჯგუფეთ: **1) წინაათონელი მთარგმნელი ზუსტად არ მისდევს ბერძნულ წყაროს, არამედ ცვლის გარკვეულ სიტყვებსა და ფრაზებს თავისი შეხედულებისამებრ (ეს, ჩვენი ტექსტის ფარგლებში, ძირითადად ეხება გარკვეული მონაკვეთების გამოყოფას და აქცენტირებას); 2) წინაათონელი მთარგმნელი უმნიშვნელოდ ამატებს ტექსტს ან ცვლის, რათა სათქმელს ხაზი გაესვას და დაზუსტდეს, უფრო ხატოვანი გახდეს; 3) წინაათონელი მთარგმნელი უმნიშვნელოდ ამატებს ან ცვლის ტექსტს, რათა გამოიკვეთოს აღწერილი პროცესის მიზანი და შედეგი; 4) წინაათონელი მთარგმნელი აზრის შეუცვლელად ამოკლებს ან უმნიშვნელოდ ცვლის ტექსტის ფრაზეოლოგიას.**

#### 1. წინაათონელი მთარგმნელი ზუსტად არ მისდევს ბერძნულ წყაროს, არამედ ცვლის გარკვეულ სიტყვებსა და ფრაზებს თავისი შეხედულებისამებრ

**I, სქ. №69**

წინაათონელ მთარგმნელს, ღვთისმშობლის დედის ბერწობის შესახებ საუბრისას, ვფიქრობთ, **გაუგებრად მოეჩვენა ფრაზა, რომლითაც ავტორი თითქოს განმარტავდა ანას ბერწობის მიზეზს - "...μυστικῷ δέ τινι λόγῳ" (PG 96, col. 708 B 13-14; Kotter 1988:489,22) და არ თარგმნა ის,** არამედ უბრალოდ დაწერა: **"და იყო იგი შეპყრობილ სენისა მისგან ბერწთაჲსა"**. წინაათონელი მთარგმნელის მიერ გამოტოვებული ეს ფრაზა ეფრემმა ბერძნული ტექსტიდან უცვლელად გადმოიღო ხაზგასმული ფრაზით: **"საიდუმლოჲსა რაჲთამე სიტყჳთა** ბერწ-ყოფისა მიერ სნეულებით სენმძიმე იყო" **(I, სქ. №69)**. ბერძნულ ტექსტში, ცოტა ქვემოთ, ისევ ანას ბერწობის კონტექსტში, საუბარია საყოველთაო მცირედმორწმუნეობაზე, რაც ზუსტად არის თარგმნილი როგორც წინაათონელი მთარგმნელის, ასევე, ეფრემის მიერ: **"რამეთუ ყოველთავე მიაქციეს ერთბამად და უჴმარ იქმნნეს და არავინ იყო გულისხმისმყოფელ და გამომეძიებელ ღმრთისა"** (წინაათ.); "**ვინაჲთგან ყოველნივე მიდრკეს, ერთბამად უჴმარ-იქმნნეს, არა იყო გულისჴმისმყოფელ, არცა გამომეძიებელ ღმრთისა"** (ეფრ.). წინაათონელმა მთარგმნელმა, ვფიქრობთ, ანას ბერწობის საკმარის

მიზეზად მიიჩნია ადამიანების მცირედმორწმუნეობა და ამიტომ არ თარგმნა ბერძნული ტექსტის **mustikῷ δέ tini λόγῳ,** რაც თითქოს რაღაც დაფარულ მიზეზზე არის მიმანიშნებელი.

**I, სქ. №143**

ბერძნული ტექსტის ის ფრაზა, სადაც ღვთისმშობლის სული და ხორცი თანაბრად არის ქებაშესხმული – **"kaὶ φυσικῶς ἡ panίερος kaὶ makarία sou ψυχὴ τοῦ panολβίου kaὶ ἀκηράτου sou χωρίζεται sώmatos"** (**PG 96 col. 716 A 14-15; Kotter 1988:495,9-10)** - ეფრემმა ზუსტად თარგმნა: **"წესითა ბუნებითითა განეშორების ყოვლადდიდებული და ყოვლადსანატრელი სული შენი ყოვლადსანატრელთა და უბიწოთა ჴორცთაგან შენთა"**. რაც შეეხება წინაათონელ მთარგმნელს, მან, როგორც ჩანს, არ მოინდომა სულისა და ხორცის ერთ სიბრტყეზე დაყენება, **ხორცისადმი, ანუ სხეულისადმი, მიძღვნილი ეპითეტები არ გადმოიღო** ქართულ ტექსტში და ფრაზას ასეთი სახე მისცა: "არა დაადგრეს სიკუდილსა შინა და არცა დაიᲬსნნეს **ჴორცნი შენნი** ხრწნილებითა, დაღაცათუ **სული შენი უბიწოᲲ** განეშორა მათგან **(I, სქ. №143)**.

**I, სქ. №315**

წმიდა წერილის მიხედვით (მსაჯ. 8,24-27), **ევფუდი** პირველად დაამზადა იოასის ძემ, გედეონმა. ისრაიტელები მადლიერების ნიშნად სთავაზობდნენ გედეონს სამეფო ძალაუფლებას, - მიუტანეს ოქრო, რომლის ძაფებისგანაც გედეონმა გააკეთებინა წმიდა სამოსი. ვფიქრობთ, სწორედ ამ ფაქტზე დაყრდნობით და მისი ასოციაციით, ბერძნული ტექსტის **"ὁ Dauïtikὸs pόkos" (PG 96 col. 713 A 16; Kotter 1988:493,2)** წინაათონელმა მთარგმნელმა გადმოიტანა როგორც **"საწმისი იგი გედეონისი"**. რაც შეეხება ეფრემ მცირეს, მან ზუსტად თარგმნა ბერძნული ტექსტი: **"საწმისი დავითისმიერი" (I, სქ. №315)** ჰომილიის კონტექსტის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მასში სიტყვა **"საწმისი"** გაჩნდა 71-ე ფსალმუნის ანალოგიით, სადაც საუბარია სოლომონზე, დავითის ძეზე, და **"საწმისი"** ნახსენებია სოლომონის დიდების ხატოვნად აღსაწერად. ასე რომ, იქ **"საწმისს"** რაიმე განსაკუთრებული აზრობრივი დატვირთვა დავით მეფესთან მიმართებით არა აქვს. ვფიქრობთ, წინაათონელმა მთარგმნელმა მას სწორად მიუსადაგა გედეონის სახელი, რადგან ეს სიტყვა ("ევფუდი", აქ - იგივე "საწმისი") უკავშირდება გედეონს და არა დავითს **(I, სქ. №315)**.

**I,** სქ. №317

წინაათონელმა მთარგმნელმა, ვფიქრობთ, გამოიჩინა თავისი სუბიექტური დამოკიდებულება წყაროსადმი, როდესაც ღმერთის ძეს ჩამოაცილა ბერძნული ტექსტის ის ეპითეტები, რომლებითაც ის გათანაბრებულია მამა ღმერთთან, თარგმნა ფრაზის მხოლოდ ნაწილი და ამ გზით სცადა დაეცვა თანმიმდევრობა და მიმართება სამების წევრებს შორის: **"მეუფჱ იგი ყოველთაჲ, რომელ არს ძჱ ღმრთისაჲ".** ეფრემმა ზუსტად გადმოიღო ბერძნული ტექსტი (o tou basilew~ twn apantwn qeou uio~, **ὁ συνάναρχος καὶ συμβασιλεύων** tw oikeiw Gennhtori **PG 96 col. 713 B 1-2; Kotter 1988:493,3-4944**): "ყოველთა მეუფე ძჱ ღმრთისაჲ, **თანადაუსაბამოჲ და თანამეუფჱ** თჳსისა მშობელისა მამისაჲ" **(I, სქ. №317).**

**II,** სქ. **№77**

ღმერთის ძის მეორედ მოსვლას ჰომილიის ავტორმა უწოდა **"δευτέρας μεγάλης καὶ ἐπιφανοῦς παρουσίας καὶ οὐρανόθεν καταφοιτήσεως" (PG 96 col.732 B 2-3; Kotter, 1988:523,12-13)**. ეფრემის თარგმანში ეს ფრაზა ზუსტად არის გადმოღებული: "**დიდისა მისთჳს და დიდებულისა მეორედ ზეცით გამოჩინებისა თჳსისა".** რაც შეეხება წინაათონელ მთარგმნელს, მან გამოტოვა მეორედ მოსვლის შემამკობელი ეპითეტები: "**დიდი"** და "**დიდებული".** ვფიქრობთ, ეს ფაქტი ასე შეიძლება აიხსნას: წინაათონელმა მთარგმნელმა ჩათვალა, რომ ის, რაც უფლის ძემ თვითონ აღწერა როგორც თავისი მეორედ მოსვლა, სადაც დახატულია ძალიან შთამბეჭდავი სურათი (**"ვითარცა ელვაჲ რაჲ გამობრწყინდის მზისა-აღმოსავალით და ჩანნ ვიდრე დასავალადმდე, ეგრეთ იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ ... მზე დაბნელდეს და მთოვარემ არა გამოსცეს ნათელი თჳსი ... და ვარსკულავნი დამოცჳვენ ზეცით და ძალნი ცათანი შეიძრნენ" - მთ. 24, 27, 29),** უფრო შემაშინებელი და შემაძრწუნებელია, ვიდრე **"დიდი და დიდებული".** შესაძლოა, ამიტომაც გამოტოვა წინაათონელმა მთარგმნელმა ჰომილიის ავტორის შეფასება და მარტივად დაწერა: **"მოსლვისა მისისათჳს მეორედ ზეცით" (II, სქ. №77; შდრ.: I, სქ. №290).**

**II,** სქ. **№81**

ბერძნულ ტექსტში საუბარია იმაზე, რომ მორწმუნენი სწრაფად გამოეშურნენ ღვთისმშობლის ცხედრისათვის პატივის მისაგებად იმ მიზნით, რომ **"ვითარცა თანამდებთა ჰმსახურონ დედასა სიტყჳსასა"** და,

აგრეთვე, მისგან კურთხევის **“დასამკჳდრებლად” (II, სქ. №81)**. სწორედ აქ არის ფრაზა: **“Τίνι γὰρ ἔστιν ἡ γνώμη ἀμφίβολος, ὡς αὐτὴ τῆς εὐλογίας ῥηγῆ” (PG 96 col. 732 B 8-9; Kotter 1988:523,16-17),** რომელსაც ეფრემი ასე თარგმნის: **“რამეთუ ამას ზედა ვისი ცნობაჲ იჭუეულ იყოს, ვითარმედ თჳთ ესე არს წყაროჲ კურთხევისაჲ”**. წინაათონელი მთარგმნელი უთარგმნელად ტოვებს ამ ფრაზას, კერძოდ, იმას, რომ ღვთისმშობელი არის **“კურთხევის წყარო” და რომ არავის ეპარება ამაში ეჭვი**. როგორც ჩანს, წინაათონელმა მთარგმნელმა ზედმეტად მიიჩნია ამ ფრაზაში გადმოცემული აზრის ხაზგასმა, იმდენად ცხადი იყო ეს ჭეშმარიტება.

**II, სქ. №120**

წინაათონური თარგმანიდან კლების კიდევ ერთ შემთხვევას მოვიტანთ, რომელიც, ვფიქრობთ, საკმაოდ საინტერესოა. ბერძნულ ტექსტში **(Τίς γὰρ, εἰ μήτιγε ὁ Λόγος ἦ, προσευήκται τοῦτο πάσχων, ὃ πράττειν ὑπείληπται PG 96 col. 733 C 12-14; Kotter 1988:526,12-13)** და მის მიმყოლ ეფრემის თარგმანში ნათქვამია, რომ თუ საჭირო გახდებოდა, ღვთისმშობელი იგივეს გააკეთებდა, რაც გააკეთა მისმა ძემ, კერძოდ: **“რამეთუ რაჲდა სხუაჲ შეგემთხუევის, თჳნიერ მასვე თავს-იდებ, რომელი კაცთათჳს თავს-იდვა სიტყუამან, შენგან ჴორცშესხმულმან” (II, სქ. №120)**. შესაძლოა, ამ შემთხვევაშიც წინაათონელმა მთარგმნელმა გამოიჩინა თავისი სუბიექტური დამოკიდებულება ნათქვამისადმი, არ მოინდომა ამგვარი პარალელის გავლება ღვთისმშობელსა და მის ძეს შორის და ეს მონაკვეთი მთლიანად უთარგმნელი დატოვა.

**II, სქ. №295**

ბერძნულ ტექსტში საუბარია იმაზე, რომ მოციქულთა შორის, რომელთაც თავი მოიყარეს ღვთისმშობლის მიცვალების ჟამს, იყვნენ ეფესოს ეპისკოპოსები – წმიდა ტიმოთე და დიონისე არეოპაგელი, ასევე, ნეტარი იეროთეოსი. დიონისე არეოპაგელის ეპისტოლედან ტიმოთეს მიმართ ცნობილი ხდება, რომ ღვთისმშობლის აღსასრულისას შეკრებილ მოციქულთა შორის იყვნენ, აგრეთვე, იაკობი, უფლის ძმა, და პეტრე – **“წინამძღუარი და მოხუცებული და თავი ღმრთისმეტყუელთაჲ” (წინაათ.): “პეტრე, თავი და უმოხუცებულესი ღმრთისმეტყუელთა პირველობისაჲ” (ეფრ.)** შემდეგ, ბერძნულ წყაროსა (**“τῶν ἄλλων ἱεροπυστῶν, ὅλος ἐκδημῶν, ὅλος ἐξιστάμενος ἑαυτοῦ, καὶ τὴν πρὸς τὰ ὑπιούμενα κοινωνίαν πάσχων“ PG 96 col. 752 A 3-5; Kotter 1988:538,56-57)** და ეფრემის თარგმანში მოდის მოზრდილი მონაკვეთი პეტრე მოციქულის შესახებ, რომელიც

იყო **“სხუათა მათ მღდელმესაიდუმლოეთა ყოვლადაღმატებით, ყოვლადგანსლვით თავისა თუსისაგან, რამეთუ საქებელთა მათ მიმართ ზიარებისათუს მრავალსა რას შეიმთხუევდა” (II, სქ. №295)** და კიდევ, ცოტა ქვემოთ, კვლავ ეფრემის თარგმანში: **“ღმრთისმხილველ-ყოფად და საღმრთო მგალობელ-ყოფად სამართლად სახელ-იდებოდა”**. შესატყვისი ბერძნული ტექსტია: **“θεόληπτος εἶναι καὶ θεῖος ὑμνολόγος κρινόμενος“ (PG 96 col. 752 A 7; Kotter 1988:538,59).** ეფრემის თარგმანიდან მოტანილ ორივე კონტექსტში იგულისხმება პეტრე მოციქული. რაც შეეხება წინაათონურ თარგმანს, იქ ეს მოზრდილი მონაკვეთები არ არის და მოკლედ არის ნათქვამი: **“და იყო შემდგომად ღმრთისმეტყველთა მათ წინამძღუარ გალობასა შინა, ვითარ-იგი შენ უწყი..., ყოველი კრებული მღდელთაჲ”**. ე. ი. წინაათონელმა მთარგმნელმა მოზრდილი ფრაზა, რომელიც აუწყებს მსმენელს პეტრე მოციქულის გამორჩეულობას ღვთისმშობლისადმი ქების აღვლენაში, უთარგმნელი დატოვა და **“გალობის წინამძღუარად”** გამოაცხადა **“ყოველი კრებული მღდელთაჲ”**. ვფიქრობთ, შეიძლება დავუშვათ, რომ **წინაათონელმა მთარგმნელმა არ მოისურვა ერთი მოციქულის საგანგებოდ გამოყოფა ღვთისმშობლის შესხმისას და ამით სხვებისათვის ჩრდილის მიყენება.**

**II, სქ. №307**

წინაათონურ თარგმანში ძალიან ხშირად ტექსტი გავრცობილია იმის გამო, რომ **მთარგმნელს სურს, რაც შეიძლება სრულად შეასხას ხოტბა ღვთისმშობელს**. ამის მაგალითია ბერძნული ტექსტის - **Ἡ μὲν σὴ χάρις ἀνελλιπῆς καὶ ἀένναος (PG 96 col. 752 B 2; Kotter 1988:539,1-2)** - შემდეგნაირად გავრცობა ხაზგასმული მონაკვეთით: “მადლნი შენნი დაუკლებელ არიან **და მარადის აღმოაცენებენ ნიჭთა შენთა, რომელნი უზეშთაეს გონებისა არიან” (II, სქ. №307)**. რაც შეეხება ეფრემისეულ თარგმანს - **“შენი მადლი მოუკლებელ არს და დაუწყუედელ”** – ეს არის ბერძნული ტექსტის ზუსტი თარგმანი.

**II, სქ. №407**

უმნიშვნელო, მაგრამ საინტერესო ცვლილება აქვს გაკეთებული წინაათონელ მთარგმნელს იქ, სადაც ბერძნულ ტექსტში საუბარია ქრისტეს ერთ ჰიპოსტასში ორი ბუნების ურთიერთშეკავშირების შესახებ. ეფრემის თარგმანი ზუსტად მიყვება ბერძნულ ტექსტს: “ვითარ უზესთაესი არსებისაჲ საშოსა შინა დედაკაცისასა არს იქმნა ზესთაბუნებისა, ვითარ ღმერთი არს და კაც იქმნა, და ჰგიეს უქცეველად

ქონებით თავსა შორის თჳსსა თჳთებასა ორთა მათსა, **ვითარ არცა ღმრთეებისა არსებაჲ აღმატებულ-ყო,** და, მსგავსადვე ჩუენსა, ეზიარა ჴორცთა და სისხლთა" **(II, სქ. №407):** opw~ o uperousio~ ek gunaikeia~ nhduo~ uperousiw~ ousiwtai opw~ qeo~ te esti, kai anqrwpo~ gegone, kai menei kata tauton uparcwn amfotera opw~ **oὔte τῆς οὐσίας ἐκβέβηκε τῆς θεότητος,** kai paraplhsiw~ hmin kekuinwnhke sarko~ te kai aimato~ **(PG 96 col. 733 A 7-12; Kotter 1988:525, (7)8-12).** ეს ფრაზა ასეა გადმოღებული წინაათონურ თარგმანში: "რამეთუ რომელი უზეშთაეს არს ყოვლისა ბუნებისა, საშოჲსაგან დედაკაცისა, გამოუთქუმელად უფროჲს ბუნებისა, იქმნა კაც, რამეთუ ღმერთი არს ჭეშმარიტად და იქმნა კაც, და დაადგრა, რომელი იყო, რომლითაცა იქმნა ერთ ძჱ, **რამეთუ არა გამოვიდა იგი ბუნებისაგან მამულისა და არსებისაგან ღმრთეებისა** და სწორებით გუეზიარა ჩუენ ჴორცითა და სისხლითა". ბერძნულ ტექსტში და მის მიმყოლ ორივე ქართულ თარგმანში საუბარია იმაზე, რომ ქრისტე ბუნების კანონებზე მაღლა დადგა, როდესაც **"დედაკაცის საშოში კაც იქმნა",** - იყო ღმერთი და გახდა კაცი, მაგრამ აქვე, ტექსტში, განმარტებულია, რომ მან თავის ჰიპოსტასში შეაკავშირა საღვთო და ადამიანური ბუნება; ამას, ბერძნული ტექსტისა და მისი მიმყოლი ეფრემის თარგმანის მიხედვით, მიაღწია იმით, რომ **ღვთაებრივი ბუნება კაცობრივზე მაღლა არ დააყენა: "ვითარ არცა ღმრთეებისა არსებაჲ აღმატებულ-ყო".** ამ ნათქვამმა მკითხველსა და მსმენელში შეიძლება გააჩინოს ვარაუდი, რომ ქრისტეს შეეძლო ამის გაკეთება, ანუ საღვთო ბუნებისათვის უპირატესობა მიენიჭებინა კაცობრივთან შედარებით. რაც შეეხება წინაათონურ თარგმანს, ვფიქრობთ, მთარგმნელმა ამგვარი ვარაუდის გაჩენას თავი შეგნებულად აარიდა და დაწერა: **"რამეთუ არა გამოვიდა იგი ბუნებისაგან მამულისა და არსებისაგან ღმრთეებისა".** ეს ნათქვამი მკითხველს მიანიშნებს, რომ ორი ბუნება – საღმრთო და კაცობრივი - თანაბრად არის წარმოდგენილი ღმერთის ძეში: მართალია, ღმერთი განკაცდა, მაგრამ აღნიშნული მოვლენა არათუ საღმრთო ბუნების დამცრობაა, არამედ საღმრთო ჰიპოსტასში ორი არსების (საღვთო და ადამიანური ბუნების) ურთიერთდამტევნელობის გზით მოვლინებაა.

**2. წინაათონელი მთარგმნელი უმნიშვნელოდ ამატებს ტექსტს ან ცვლის, რათა სათქმელს ხაზი გაესვას და დაზუსტდეს, უფრო ხატოვანი გახდეს**

**I, სქ. №21**

ბერძნული ფრაზა: **τὸ βραδύγλωσσον στόμα (PG 96 col. 701 C 11-12; Kotter 1988:485,7)** ეფრემმა ზუსტად გადმოიღო: **"ენამძიმე ესე პირი**

**ჩუენი”,** ხოლო წინაათონელმა მთარგმნელმა იგივე აზრი გაავრცო, მეტი გამომსახველობითი ძალა მიანიჭა: **“ძნიადმეტყუელი პირი ჩემი და მძიმედ მზრახვალი ენაჲ ჩემი” (I, სქ. №21).**

**I, სქ. №118**

ბერძნულ ტექსტში მე-8 თავის მოზრდილი მონაკვეთი დათმობილი აქვს მეტაფორებს, რომლებშიც ღვთისმშობლის სახე იგულისხმება. ამ მეტაფორათა შორის არის ღვთისმშობლის სხეულის მომცველი **“საჴუმილი”,** რომელიც ერთდროულად **“შემწუველიცაა”** და **“ცუარისგამომღებელიც”**. “საღმრთო ცეცხლმა”, რომელიც დამკვიდრდა ღვთისმშობელში, ის არათუ დაწვა, არამედ მისგან იშვა ღმერთის ძე. ვფიქრობთ, სწორედ იმისათვის, რომ “**საღმრთო ცეცხლის”** მნიშვნელობისათვის გაესვა ხაზი, წინაათონელმა მთარგმნელმა ბერძნული ტექსტის **“ცეცხლი, რომელიც წვავს”**, წარმოადგინა როგორც **“საჴუმილი იგი ბაბილონისაჲ”**. **“ბაბილონი”** არ არის ბერძნულ ტექსტში, - არც მინის გამოცემაში (**PG 96 col. 712 C 12-13)** და არც კოტერთან **(Kotter 1988:493,33)**. მისი ერთ-ერთი სიმბოლური მნიშვნელობა ანტიქრისტეს მეუფეებაა: **“შემწუველ ცეცხლს**”, ანუ **“ბაბილონის საჴუმილს”**, ე. ი. ანტიქრისტეს, უპირისპირდება მისი გამანელებელი **“შემაცურეველი ცეცხლი”**. ეფრემმა ზუსტად თარგმნა ბერძნული წინადადება (“Ou se proemhnuse κάμινος, pur drosizon ama kai flogizon deiknuousa, kai tou qeiou puro~ antitupon tou en soi katoikhsanto~” **PG 96 col. 712 C 12-13):** “ანუ არა შენვე წინასახე გექმნა-ა **საჴუმილი,** მუნვე ერთბამად მქონებელი ცეცხლისაჲ შემწუველისა და შემაცურეველისაჲ, მომასწავებელად ცეცხლსა ღმრთეებისასა, შენ შორის დამკჳდრებულსა?” ხოლო წინაათონელმა მთარგმნელმა დაწერა: “ანუ არა **საჴუმილი ბაბილონისაჲ** შენ სახე გექმნა-ა, რამეთუ აჩუენა ცეცხლი იგი შემწუველი ცუარისა გამომღებელად და გამოხატა ცეცხლი იგი საღმრთოჲ, რომელი დაემკჳდრა შენ თანა და დაგიცვა შეუწუველად?” **(I, სქ. №118).**

**I, სქ. №133**

წინაათონელმა მთარგმნელმა დააზუსტა ბერძნული ტექსტის ის ფრაზა, სადაც იგულისხმება მოციქული იოვანე, მაგრამ მისი სახელი არ არის ბერძნულ ტექსტში (leitourgousin apostoloi, **ὁ παρθένος καὶ θεολόγος** th Aeiparqenw kai qeotokw **PG 96 col. 713 C 2-4; Kotter 1988:494,16-19)** და არც მის მიმყოლ ეფრემის თარგმანში: “და მოციქულნი შენ გმონებენ; **ქალწული და ღმრთისმეტყუელი** ქალწულსა

და ღმრთისმშობელსა შვილ გექმნების". წინაათონური თარგმანია: "და მოციქულნი გმსახურებენ; **იოვანე, ქალწული და ღმრთისმეტყველი,** შენ, ქალწულსა და ღმრთისმშობელსა, გმსახურებდა" **(I, სქ. №133).**

**I, სქ. №163**

ბერძნულ ტექსტში საუბარია იმაზე, რომ ღმერთის ძის განკაცების შემდეგ სიკვდილი ადარ არის შემაძრწუნებელი რამ, პირიქით, ის სასურველია, რადგან მოასწავებს მომავალ ნეტარებას – გარდაცვალება ნიშნავს უფალთან მიახლებას: **ἐκ τοῦ τέλους τὸ ἀσφαλὲς περιγίνεται τῆς πρὸς θεὸν εὐαρεστήσεως (PG 96 col. 717 B 11-13; Kotter 1988:497,6-7).** ეს ტექსტი უცვლელად არის გადმოღებული ეფრემის თარგმანში: **"სრულიადისა უშიშოებისა და უეჭველისა ღმრთისა მიმართ მისლვისათჳს არს ესე"**. წინაათონელმა მთარგმნელმა ეს ადგილი დააკონკრეტა და თქვა, რომ გარდაცვალების შემდეგ უფალთან მიახლების უეჭველი პირობა არის სათნოებით განვლილი ცხოვრება: **"არამედ შემდგომად სათნოებათა მადალთა აღსრულებისა არნ იგი მათა დასამტკიცებელ" (I, სქ. №163).**

**I, სქ. №216**

ბერძნულ ტექსტში საუბარია იმაზე, რომ ის, რაც საღვთო განგებულებით წინასწარ განისაზღვრა, კერძოდ, ღვთისმშობელისაგან ღმერთის ძის შობა, წინასწარმეტყველებმა იწინასწარმეტყველეს, სული წმიდა კი გადმოვიდა მასზე და მოამზადა ის (ღვთისმშობელი) მუცლად-ღებისათვის. სწორედ ეს უკანასკნელი ფრაზა ბერძნული ტექსტისა: **"καὶ οἱονεὶ προήρδευσε" (PG 96 col. 704 A 10-11; Kotter 1988:486,21),** რაც ნიშნავს: "რათა შესძლებოდა", ან "რათა საკუთარი ნებით გაეკეთებინა ეს" (**προαίρεσις**=თავისუფალი არჩევანი, განზრახვა, ანუ ღვთისმშობელი მომზადდა ამ საოცარი მოვლენისათვის) - ორ ქართულ თარგმანში ძალიან ხატოვნად, მაგრამ სხვადასხვაგვარად არის გადმოღებული. წინაათონურში არის: **"ვითარცა ყანასა, უსწრო, მორწყო იგი",** ხოლო ეფრემთან: **"ცათა უვრცელესად რაჲ წინაგანმზადებულ-ყო" (I, სქ. №216).** სავარაუდოდ, წინაათონელმა მთარგმნელმა **προήρδευσε-ს** ნაცვლად თარგმნა მასთან გრაფიკულად ახლოს მდგომი **"προηρόσιος"-ი,** რაც ნიშნავს **"მოხვნის წინა პერიოდს",** თუმცა ეს თარგმანი არ არის ამოვარდნილი კონტექსტიდან და გადმოსცემს იმ აზრს, რაც ჰომილიის ავტორმა ჩადო მასში; ამ თითქოსდა "შეცდომით" გადმოღებული მნიშვნელობით მთარგმნელმა თარგმანს მეტი ხატოვანება შესძინა. ასევე

იზრუნა ეფრემმაც თარგმანის ხატოვანებაზე და დაამატა ფრაზას **"ცათა უვრცელესად"** და ამ ფრაზაში ჩადო ის მნიშვნელობა, რომ ღმერთის ძის დატევნა შეეძლო მხოლოდ ცაზე უვრცელესს, ე. ი. ასეთად მიიჩნია ღვთისმშობელი, რომელიც სრულად იყო მზად ამ ტვირთისათვის.

**II, სქ. №13**

წინაათონურ თარგმანში ვკითხულობთ: "რომელმან უწოდოს მას ცად **და ჰგონებდეს მას ნაწილად სიტყჳსა მის,** და არა უფროჲსდა ჭეშმარიტად ჰგონა იგი უზეშთაეს ცათა და უმაღლეს სამყაროთა მიუწდომელად, მან უფროჲსდა ნაცილ თქუას..." **(II, სქ. №13).** ხაზგასმული ფრაზა არ არის ბერძნულ ტექსტსა ("Ti~ gar tauthn ouranon kalwn talhqou~, amarthsetai, ei mh pou ti~ fhseie kalw~ epistameno~, kai twn ouranwn authn asugkritoi~ uperocai~ uperairesqai" **PG 96 col. 725 B 7-10; Kotter 1988:519,34-36)** და ეფრემის თარგმანში ("რამეთუ ვინ ცად მწოდებელთა მისთაგანი ჴუებულ იქმნეს ჭეშმარიტისაგან, გარნა თუ ვინმე იტყოდის კეთილად მეცნიერებით, ვითარმედ ცათაცა უზეშთაეს არს იგი შეუსწორებელითა უზეშთაესობითა"). ბერძნულ ტექსტში საუბარია იმაზე, რომ ის, ვინც ღვთისმშობელს ცას უწოდებს, ცდება, რადგან ღვთისმშობელი ცაზე აღმატებულია: მან თავის თავში დაიტია ის, ვისი დატევნაც არ შეუძლია არაფერს, რადგან ეს **"დაუტევნელი" "გარეშეუწერელია"** (ეს სიტყვა არის გამოყენებული ღმერთის ძესთან მიმართებით ეფრემის თარგმანში ცოტა ქვემოთ). წინაათონურ თარგმანში დამატებული ფრაზა "**და ჰგონებდეს მას ნაწილად სიტყჳსა მის"** საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ამ თარგმანში, გარდა ზემოთქმულისა (**"ცათაცა უზეშთაეს არს იგი"**), ხაზი გაესვა იმას, რომ ღვთისმშობელი არა მარტო ცაზე უზეშთაესია, არამედ არ არის არც "**სიტყვის ნაწილი"**, ანუ, მთარგმნელი ამ კონკრეტული მონაკვეთის აზრს აძლიერებს: რადგან ღვთისმშობელმა ღმერთი დაბადა, ის ვერ იქნება უფლის, ანუ "სიტყვის" ნაწილი – ანუ ღვთისმშობელი ყველა იმ მოკვდავზე აღმატებულია, რომლებიც უფლის მიერ შექმნილი სამყაროს ნაწილები არიან.

**II, სქ. №57**

ბერძნულ წყაროში, იმ კონტექსტში, სადაც საუბარია, თუ როგორ ზრუნავდა იოანე მახარებელი ღვთისმშობელზე ქრისტეს ჯვარცმისა და აღდგომის შემდეგ, ასრულებდა რა უფლის ძის დანაბარებს, **წინაათონელი მთარგმნელი ფრაზას აკონკრეტებს** და ამ მზრუნველობას უტოლებს **შვილის მზრუნველობას,** ფაქტობრივად, ახდენს ამ ბერძნული

ფრაზის კომენტირებას: "იყო ზედამდგომელ და მსახურ მისა, **ვითარცა შვილი" (II, სქ. №57)**. რაც შეეხება ეფრემს, ის ზუსტად თარგმნის ბერძნული ტექსტის ამ ფრაზას: **"ჰმსახურებდა მას წესისაებრ მისდა რწმუნებულისა" (ἐλειτούργει τὰ θέοντα PG 96 col. 729 C 2-3; Kotter 1988:522,23).**

**II, სქ. №62**

ის, რომ წინაათონელი მთარგმნელი საკმაოდ თავისუფლად ექცევა სათარგმნ ტექსტს და ბევრი სხვადასხვა მიზეზით ახალი ნიუანსის შეტანით ერევა მასში, ჩანს შემდეგი მაგალითიდანაც: ბერძნული ტექსტის შემდეგი ფრაზა: **„ἵνα τὸ οἰκεῖον πάθος ἐξαγορεύσαιμι, θερμότατῳ καὶ ζέοντι πυρσῷ τοῦ πόθου καιόμενος" (PG 96 col. 729 C 8-10; Kotter 1988:522,1-2),** რომელსაც ეფრემისეული თარგმანი უცვლელად წარმოადგენს: „რადთა აღგიარო თქუენ **ლმობაჲ** გულისა ჩემისაჲ, **მჴურვალითა და მოტყინარითა ცეცხლითა სიყუარულისაჲთა აღგზებულ ვიქმენ",** შემდეგნაირად შეცვალა წინაათონელმა მთარგმნელმა: "...რაჲთა აღგიარო **უძლურებაჲ ჩემი და ტკივილი, უცალო ვიქმენ მე უცალოებითა მძაფრითა" (II, სქ. №62)**. როგორც ვხედავთ, ამ ორ თარგმანს შორის გარკვეული სხვაობა ნამდვილად არის, კერძოდ: იმ ადგილზე მისვლისას, საიდანაც ღვთისმშობელი ზეცად ამაღლდა, ჰომილიის ავტორს, ბერძნული ტექსტისა და ეფრემ მცირის თარგმანის მიხედვით, დაეუფლა **ტკივილი და** აივსო სიყვარულის ცეცხლით ღვთისმშობლისადმი. რაც შეეხება წინაათონელ მთარგმნელს, მან უფრო მძაფრად გამოხატა ეს გრძნობა და გვითხრა, რომ ტკივილთან ერთად გაჩნდა **უძლურების განცდა და სურვილი ამ მდგომარეობის მაქსიმალური სისრულით გადმოცემისა (უცალოება = "ზრუნვა, შრომა, გარჯა")**. ამის შემდეგ ორივე ქართული თარგმანი მიყვება ბერძნულ წყაროს: **"მეგონა, ვითარმედ მოხუეულ ვარ ცხედარსა მას სანატრელსა და საწადელსა, სავსესა საკჳრველებითა" (წინაათ.), "ვითარ-თუმცა თჳთ მას ცხედარსა გარე-მოვეხუეოდე, საწადელსა და ღირსსა სურვილისასა, აღსავსესა საკჳრველებითა" (ეფრ.).**

**II, სქ. №88**

წინაათონელი მთარგმნელი ბერძნულ ტექსტთან შედარებით - **"τοὺς προκαθηγελκότας θηλαθῆ τῆν ἐξ αὐτῆς τοῦ θεοῦ Λόγου δι᾽ ἡμᾶς ἔνσαρκόν τε καὶ φιλάνθρωπον γέννησιν (PG 96 col. 732 C 2-4; Kotter 1988:524,24-26)** - მთელ ფრაზას ამატებს, რათა ხაზი გაუსვას "იმ მართლებისა

და წინასწარმეტყველების" დამსახურებას, რომლებიც წინდაწინ წინასწარმეტყველებდნენ უფლის ძის განკაცებას: **"რომელნი-იგი წინაჲსწარ უთხრობდეს გამოჩინებით შობასა** და განჴორციელებასა ძისა ღმრთისასა **წმიდისა მისგან ცხორებისა ჩუენისათჳს, და აღივსნეს ხილვითა მით საკჳრველითა" (II, სქ. №88).** ტექსტი, ვფიქრობთ, ამ დამატებით **უფრო ხატოვანი და აზრობრივად სრულყოფილი** ხდება. ეფრემი ზუსტად თარგმნის ბერძნულ წყაროს: **"ვითარცა წინამომთხრობელთაჲ მისგან ჩუენთჳს კაცთმოყუარებით შობასა ღმრთისა სიტყჳსასა"**

**II, სქ. №177**

წინაათონელი მთარგმნელი ამატებს ფრაზას და მკითხველს უკონკრეტებს, რომ ტექსტში გადმოცემული ამბის (დამბლის დაცემა იმ ურჯულოსათვის, რომელსაც ღვთისმშობლის გვამის გადმოგდება სურდა მიწაზე) თვითმხილველი ავტორი არ არის, რომ ეს ამბავი მან გადმოცემით იცის: **"და მოისთლო მან ტევანი სიმწარისაჲ** ბოროტად განზრახვითა **და, ვითარ მთხრობელთაგან, მოიწია ჩუენდა, ..." (II, სქ. №177).** ეს ფრაზა არ არის არც ბერძნულ ტექსტში **(ἀλλ᾽ ὁ καρπὸς τῶν πόνων προέφθασε, καὶ βότρυν πικρὸν PG 96 col. 740 C 3; Kotter 1988:530,12)** და არც ეფრემის თარგმანში: **"და მოისთულო ტევანი მწარე და ღირსი სივერაგისა თჳსისაჲ".**

**II, სქ. №202**

**წინაათონელი მთარგმნელი ტექსტს ავრცობს იმ მიზნით, რომ სათქმელზე აქცენტი გააკეთოს,** უფრო ხატოვნად და სრულად გადმოსცეს ბერძნული ტექსტის აზრი. ჩვენ მიერ ქვემოთ მოტანილ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ის ძალიან ემსგავსება ათონელ მთარგმნელებს, რომლებიც წარმართობაზე საუბრისას ხშირად ტექსტის გავრცობით და მკვეთრი აქცენტების დასმით სათქმელს მეტ ძალას ანიჭებდნენ. მოვიტანთ ამ კონტექსტს: **"რამეთუ პატივ-სცემენ ესევითარითა ამით დედასა ღმერთთა მათთასა, მცბიერთა და მტყუართასა და მრავალთა ნაშობთასა" (II, სქ. №202).** ეფრემის თარგმანში ბერძნული ტექსტი **(ἢν πολύτεκνον μυθοπλαστοῦσιν οἱ ἄφρονες PG 741 col. C 8; Kotter 1988:532,4)**უცვლელად არის გადმოღებული: **"შვილმრავლად ზღაპართ-მოქმედებენ უგუნურნი".**

**II, სქ. №272**

წინაათონელმა მთარგმნელმა თავისი ჩარევით აზრი დააკონკრეტა: იქ,

სადაც საუბარია იმაზე, თუ რა ვითარებაში ხდებოდა ღვთისმშობლის სულის დავანება ზეცაში, წინაათონელი მთარგმნელი ავტორისეულ **ἀῤῥήτῳ τινὶ λόγῳ-ს (PG 96 col. 749 A 6; Kotter 1988:537,27),** რაც ეფრემის თარგმანში ზუსტად გადმოვიდა როგორც **"სიტყჳთა რაჲთმე გამოუთქუმელითა",** აკონკრეტებს შემდეგნაირად: **"გალობითა საღმრთოჲთა" (II, სქ. №272).** შესაძლებელია, წინაათონელმა მთარგმნელმა იმიტომაც მისცა თავს ამ ფრაზის შეცვლის უფლება, რომ ტექსტში ცოტა ზემოთ, იქ, სადაც საუბარია იერუსალიმში მოციქულების სასწაულებრივ შემოკრებაზე სწორედ მაშინ, როდესაც მიიცვალა ღვთისმშობელი, მათ შეესმათ ანგელოზთა გალობა.

**III, სქ. №11**

ჰომილიის დასაწყისში საუბარია იმაზე, რომ ღვთისმშობლის შესხმა, რომელსაც უკვე მესამედ აღავლენს ჰომილიის ავტორი, სჭირდება არა იმდენად ღვთისმშობელს, რამდენადაც იმ ადამიანებს, რომლებმაც უნდა გაიაზრონ ამ მოვლენის დიდებულება (ღვთისმშობლის მიძინება და ამაღლება). ამ ზოგად შესავალს მოსდევს ასეთი ტექსტი: **"Ὅρᾶνις γὰρ ἡμᾶς, ὡς ὁρᾶτε, κατειλῆφει τῶν ἐδωδίμων, Διὸ δὴ σχεδιάζῳ τὴν παιδαισίαν, εἰ καὶ μὴ πολυτελῶς, μήτε ἀξίως τῆς κεκλῆκυῖας, ἀλλά γε τὴν πεῖναν ἀναγκαίως δυναμένην παραμυθήσασθαι" (PG 96 col. 753 B 2-6; Kotter 1988:548,7-10),** რომელიც უცვლელად თარგმნა ეფრემ მცირემ: "არამედ ჩუენდა ძნიად საპოვნელ არს, ვითარ-ესე თქუენცა ჰხედავთ, შემოღებაჲ რასმე საჭმლად საწადელისაჲ. ამისთჳსცა კნინოდენ გამოვჰსახავ საინახეთა და მოვიღონებ საზრდელსა, დაღაცათუ არა მრავალსასყიდლისასა და ღირსსა ჩინებულთასა, გარნა ეგრეთცა შემძლებელსა საჭირო ნუგეშინისსაცემელ-ყოფად სიყმილისა". რაც შეეხება წინაათონელ მთარგმნელს, მან ბერძნულ ტექსტს დაუმატა ფრაზა: "**რომელი-იგი დახუდა სიგლახაკესა ჩუენსა**". მოვიტანთ ამ მონაკვეთს სრულად: "რამეთუ ჰხედავთ, რასა-ესე მიწევნულ ვართ დაკლებითა ამის საზრდელისაჲთა. ამისთჳს უკუე განვჰმზადებ სერსა, კნინსა ჟამისა მისებრ მოწევნულისა, **რომელი-იგი დახუდა სიგლახაკესა ჩუენსა,** დაღაცათუ ვერ შეუძლეთ იგი უხუებით და სიმდიდრით, ვითარ-იგი ღირს არიან ჩინებულნი და მოწევნულნი ჩუენ მიერ" **(III, სქ. №11)**. ამ დამატებით წინაათონელმა მთარგმნელმა მცირე **კომენტირება გაუკეთა ტექსტის ამ მონაკვეთს და დააკონკრეტა მიზეზი, თუ რატომ არის ძნელი ღირსეული შესხმის აღვლენა ღვთისმშობლისადმი,** კერძოდ, გვითხრა ის, რომ სულიერ საზრდელს მოკლებული ადამიანები **"სიგლახაკეში"** არიან ჩაცვენილები.

**III, სქ. №24, №27**

ბერძნულ ტექსტსა და ეფრემის თარგმანში საუბარია იმ **"სულიერ კიბეზე",** ანუ ღვთისმშობელზე, რომლის მეშვეობითაც დამყარდა კავშირი ზეცასა და ქვეყანას შორის და რომლითაც უფლის ძე ჩამოვიდა ამქვეყნად: "Shmeron ἡ ποῃτὴ klîmaξ h emyuco~ (**PG 96 col. 753 D 5; Kotter 1988:549,1)**; "დღეს **საცნაური კიბე სულიერი,** რომლისა მიერ გარდამოჴდა მაღალი, ქუეყანასა ზედა რაჲ გამოჩნდა"; ამავე კიბით, მაგრამ უკვე **"სიკვდილის კიბით"**, ავიდა ზეცაში ღვთისმშობლის სული: **τῷ θανάτῳ χρῃσαμένῃ klîmaki,** ghqen ei~ ouranou~ anefoithsen (**PG 96 col. 756 A 1-2; Kotter 1988:549,2-3); "სიკუდილისა კიბესა** იჴუმევს ქუეყანით ზეცად აღმყვანებელად"**(H1347, 399r)**. წინაათონურ თარგმანში შესატყვისი ტექსტი ასეთია: "დღეს **მშჯდობაჲ იგი სულიერი,** რომლითა მაღალი იგი გარდამოჴდა და ქუეყანასა ზედა გამოჩნდა..." **(III, სქ. №24)** და "ესე ქუეყანისაგან **სიკუდილითა მით უცხოჲთა, ვითარცა მშჯდობაჲ,** ზეცად აღვიდა" **(III, სქ. №27)**. როგორც ვხედავთ, ბერძნულ ტექსტსა და მის მიმყოლ ეფრემის თარგმანში მეტაფორა **"იაკობის კიბე",** რომელიც გამოყენებულია I ჰომილიაში **(H 1347, 382r; I, სქ. №310),** რაც გულისხმობდა იმას, რომ იაკობი ხედავდა შესაძლებლობას კიბის მეშვეობით ზეცისა და ქვეყნის შეერთებისა **(დაბ. 28,12),** ჩანაცვლებულია მეტაფორით **"სულიერი კიბე",** რომელშიც **"კიბე"** ღვთისმშობელს გულისხმობს, მაგრამ აზრი ამ ორ კონტექსტში გამოყენებული ორი განსხვავებული მეტაფორისა არ შეცვლილა: ამჯერად მარიამი გახდა **"შუამდგომელი და კიბე" ზეცასა და ქვეყანას შორის კავშირის დამყარებისა, ანუ "ძე ღმრთისას კაცთა მომართ გარდამოსლვისა"**. წინაათონელმა მთარგმნელმა თავისუფალი თარგმანი გააკეთა, - თარგმნა, როგორც ჩანს, ისე, როგორც წარმოედგინა ეს გზა, კერძოდ, - **"სულიერ მშვიდობად",** რომელიც ზეცას მიწასთან აკავშირებდა. **"მშვიდობა"** სიტყვაში მთარგმნელმა, ვფიქრობთ, განაზოგადა ის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მოყვა ღმერთის ძის განკაცებას ადამიანებისათვის, ხოლო ზეცაში ასვლასთან დაკავშირებით ისევ ამ სიტყვის გამოყენება, შესაძლოა, მთარგმნელისათვის გულისხმობდა იმ ატმოსფეროს, რომელიც სუფევდა ზეცაში მართალ სულებთან მიმართებით. ამგვარად, წინაათონელი მთარგმნელი ბერძნული მეტაფორული გამოთქმის თავისუფალ თარგმანს აკეთებს, მაგრამ სრულად ითვალისწინებს კონტექსტის აზრს და არ ცვლის მას, პირიქით, უფრო თვალნათელს ხდის იმას, რაც უფლის ძის ამქვეყნად ხორციელი სახით გარდამოსვლასა და კავშირს ზეცასა და ქვეყანას შორის უნდა მოეტანა ადამიანებისათვის. ეს შედეგი - **"სულიერი მშჯდობა"** - ხატოვანი სურათის სახით არის აღწერილი ჰომილიის სხვა ადგილას, კერძოდ: **"ანგელოზნი შენგან შობილისა მსახურებად, ვითარცა მონანი ღმრთისა და მეუფისა მიმართ, გარდამოჴდეს, ხოლო**

**კაცნი, ქუეყანასა ზედა ანგელოზთა მოქალაქობისა ჭუმევითა, ზეცად აღიტაცნეს" (H 1347, 382v).**

**III, სქ. №43**

თავისუფალი თარგმანი, ბევრ სხვა მომენტთან ერთად, გულისხმობს სწორედ სურვილს, რომ ტექსტი უფრო აქცენტირებულად ან უფრო ბუნებრივი ენით იქნას გადმოღებული, რაც მას, ამავე დროს, უფრო ხატოვანს გახდის. ასე არის ქვემოთ მოტანილ მაგალითშიც: წინაათონელმა მთარგმნელმა თავისი დამატებისას გამოიყენა შედარების მხატვრული ხერხი და ასეთი სურათი მივიღეთ: "დანთქმულ არიან სიღრმესა გმობისასა, **ვითარცა უფსკრულსა" (III, სქ. №43).** არც ბერძნულ ტექსტში **(Τῷ βυθῷ γὰρ τῆς βλασφημίας κατεχώσθησαν (PG 96 col. 757 A 7-8; Kotter 1988:551,3: γὰρ τῆς τῆς μιαρᾶς αὐτοῦ K)** და არც ეფრემის თარგმანში ხაზგასმული სიტყვები არ არის: **"რამეთუ დაინთქნეს სიღრმესა გმობისასა".**

**III, სქ. №82**

ბერძნული ტექსტის ფრაზას: Ahr skirtatw th anabasei tou Pneumato~ **Πνεύτωσαν αὖραι προσώδεις (PG 96 col. 760 D 1-2; Kotter 1988:553,50-51) -** ეფრემი ზუსტად თარგმნის: "ჰკრთებოდედ ჰაერი აღსლვითა სულისა მისისადთა, **მოჰბერეთ ნიავთა ცუაროვანთა,** აღსავსეთა მადლითა". რაც შეეხება წინაათონურ თარგმანს, იქ არის: "მხიარულ იყავნ ჰაერი აღსლვითა სულისა მისისადთა და **განბრწყინდით ბრწყინვალედ სულნი ეგე ნოტიანი,** სავსენი ნიჭთაგან" **(III, სქ. №82)**. როგორც ვხედავთ, წინაათონელმა მთარგმნელმა ბერძნული ტექსტის მოტანილი ფრაზის ნაწილი: **Πνεύτωσαν αὖραι προσώδεις,** რომელსაც ზუსტად თარგმნის ეფრემი (**"მოჰბერეთ ნიავთა ცუაროვანთა"**), ჩაანაცვლა ფრაზით: **„განბრწყინდით ბრწყინვალედ სულნი ეგე ნოტიანი"**. ამ ჩანაცვლებამ, ვფიქრობთ, რამდენადმე შეცვალა ფრაზის მნიშვნელობა. როგორც ჩანს, წინაათონელი მთარგმნელისათვის უფრო ბუნებრივია **"ნიჭთაგან სავსე"** იყოს **სული** და არა **ნიავი**.

**III, სქ. №92**

წინაათონელი მთარგმნელის თავისუფალი და გააზრებული მიდგომა ტექსტისადმი კიდევ ერთხელ გამოჩნდა, როდესაც მან ბერძნული

წყაროს **”αἰδοῖ καὶ τόθῳ” (PG 96 col. 761 C 1; Kotter 1988:554,24-25)** და მისი მიმყოლი ეფრემისეული თარგმანის - **“პატივი და კრძალულება”** - შეცვალა ასეთნაირად: **“რომელი გამოვიღე შიშით საუნჯისაგან საგლახაკოჲსა” (III, სქ. №92)**. ტექსტში საუბარია იმაზე, რომ დიდი გამბედაობა იყო საჭირო, რომ ვინმეს თავის თავზე აეღო ღირსეული შესხმის აღვლენა ღვთისმშობლისადმი. სწორედ ამ აზრის აქცენტირება გააკეთა წინაათონელმა მთარგმნელმა თავისი ჩარევით ბერძნული წყაროს ტექსტში – ის ხაზგასმით იმდაბლებს თავს და შიშს გამოთქვამს იმის გამო, რომ შეჰბედა ღვთისმშობელს და ხოტბა შეასხა მას.

**3. წინაათონელი მთარგმნელი უმნიშვნელოდ ამატებს ან ცვლის ტექსტს, რათა გამოიკვეთოს აღწერილი პროცესის მიზანი და შედეგი**

**II, სქ. №1**

ჰომილიის დასაწყისშივე წინაათონელმა მთარგმნელმა უთარგმნელად დატოვა ფრაზა - **“ὅς αὐτῇ πόνος κόσμος, καὶ πανευκλεές ἐγκώμιον τέθυκεν” (PG 96 col. 721 C 12-14; Kotter 1988:516,11-12),** რომელიც ეფრემის თარგმანში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: **“ჩუენ, რომელთა-ესე მხოლოდ კმა-გუეყოს სამკაულად და შესხმად ყოვლად ღირსებით საქადულად” (II, სქ. №1)**. კონტექსტში საუბარია იმაზე, რომ მათ, ვისაც ძალუძს ღირსეულად შეასხას ხოტბა ღვთისმშობელს, არ უნდა იფიქრონ, რომ საკმარისია მხოლოდ ლამაზი სიტყვების წარმოთქმა, უნდა ესმოდეთ, რომ ამ ხოტბის წარმოთქმა არის ვალის გადახდის მცდელობა, იმ ვალისა, რომლის ბოლომდე გადახდა ძალიან ძნელია: **“მეცნიერ რაჲ ვიყვნეთ, ვითარმედ რაჟამს შესხმად ვიწყოთ, თანანადებსა განვავრცობთ; და კუალად ესე რაჲ ვყოთ, უფროჲს თანამდებ-ყოფად ვიწყებთ, რომლითა ჰგიეს თანამდებობაჲ ჩუენი მარადის დაწყებად და არაოდეს თანამდებობისაგან განთავისუფლებულად” (ეფრ.)**. შესაძლოა, წინაათონელმა მთარგმნელმა იმიტომ გამოტოვა დასაწყისი ფრაზა, რომ **არ მოინდომა აქცენტის გაკეთება იმაზე**, რისი გაფიქრების საშუალებასაც იძლევა ბერძნული წყარო, კერძოდ: შესაძლოა, რომ **ვინმეს გააზრებული არ ჰქონდეს ხოტბის წარმოთქმის მიზანი.** ამის შემდეგ წინაათონელი მთარგმნელი ისევე მიყვება ბერძნულ წყაროს, როგორც ეფრემი და ამბობს, რომ ამ ხოტბის წარმოთქმა არის ღვთისმშობლისადმი ვალის გადახდის მცდელობა, იმ ვალისა, რომლის გადახდაც შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს: **“და რაჲთა უწყოდით, ვითარმედ ოდეს ვიწყოთ ქებად მ[ისა], თანანადები იგი ხარკისა მისისა გარდაგჯჰდეს, და ოდეს თანანადები იგი გარდავიჰადოთ, ვიწყოთ კუალად მითვე და რამეთუ თანანადები ყოლადვე გარდასაჰდელ არს და დაწყებული” (PG 96 col. 721 C 16) (შდრ. გვ. 237, სქ. № 184).**

**II, სქ. №101**

წინაათონელი მთარგმნელის მიერ დამატებული ფრაზით ხაზი აქვს გასმული იმ ადამიანთა შინაგან მდგომარეობას, რომლებმაც ირწმუნეს უფლის ძის განკაცება: "გარდამოჴდა პატივად მდაბლისა მის და სიმაღლედ მიმყვანებელისა ნებითა მამისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა **და განანათლებდა გონებასა მათ ყოველთასა, რომელნი მოწიწებით და შიშით და სიყუარულით აქებდეს და ადიდებდეს" (II, სქ. №101)**. ეს ხაზგასმული ფრაზა არ არის ბერძნულ ტექსტსა **(πρὸς τὴν ὑψοποιὸν καταβέβηκε κένωσιν, Πατρὸς συνευδοκοῦντος καὶ Πνεύματος PG 96 col. 733 A 5-7; Kotter 1988:524,7-525,1)** და ეფრემის თარგმანში: **"შთა-მო-რაჲ-ვიდა დაცარიელებისა მიმართ აღმამაღლებელისა, თანასათნო-ყოფითა მამისა და სულისაჲთა"**.

**II, სქ. №172**

წინაათონელი მთარგმნელი თავისი დამატებული ფრაზით აკონკრეტებს ბერძნულ ტექსტს, კერძოდ, იმ მიზანს, რომელიც ჰქონდათ ღვთისმშობლის სხეულის "მტვირთველებს": "რაჟამს მოიწინეს, რომელთა მოაქუნდა გუამი იგი წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ და **უნდა მათ შთასლვაჲ ჴევსა მას გესამანიაჲსასა..." (II, სქ. №172)**. ხაზგასმული ფრაზა არ არის არც ბერძნულ ტექსტში **(ὅτε πρὸς τῇ καταβάσει τοῦ ὄρους γεγόνασιν οἱ τὸ μακάριον σῶμα τῆς θεομήτορος αἴροντες PG 96 col. 740 B 6-8; Kotter 1988:530,3-4)** და არც მის მიმყოლ ეფრემის თარგმანში: **"რაჟამს შთასავალსა მათისასა მიიწინეს მტჳრთველნი იგი სანატრელისა მის დედისა ღმრთისა გუამისანი"**.

**II, სქ. №200**

წინაათონელი მთარგმნელი ტექსტის თავისუფალი გადმოღებით აზრს უფრო ხატოვნად გადმოგვცემს და გვიჩვენებს პროცესის შედეგს, კერძოდ, თუ რა მოყვება ღვთისმშობლის ზეცაში დავანებას: "რაჲთა **აღივსოს იგი შუებითა** საუნჯეთა მათ შინა ზეცისათა" **(II, სქ. №200)**. რაც შეეხება ეფრემს, ის მიყვება ბერძნულ ტექსტს, მასში მხოლოდ მიზანზეა საუბარი: **"რაჲთა სასძლოთა ზეცისათა დაემკჳდროს" (τοῖς οὐρανίοις ἐνδιαιτᾶσθαι θαλάμοις PG 96 col. 741 B 8-9; Kotter 1988:532,26-27).**

**II, სქ. №246**

წინაათონელი მთარგმნელი აკეთებს თავისუფალ თარგმანს და აზრს უფრო სრულყოფილად გადმოსცემს. ბერძნულ წყაროს – „ O diywn noshmatwn iasin, yucikwn paqwn apolutrwsin“ **(PG 96 col. 745 C 3-4; Kotter 1988:536,23-24)** ზუსტად მიყვება ეფრემის თარგმანი: “წყურიელნი - სენთა კურნებისათჳს, სულიერთა სენთაგან გამოჴსნისათჳს”. ამ ფრაზაში რამდენადმე გამეორება ხდება აზრისა, კერძოდ, **“სენთა კურნება” და “სენთა გამოჴსნა”** ერთსა და იმავეს გულისხმობს. წინაათონელმა მთარგმნელმა აზრი გაავრცო, გაამკვეთრა და თარგმანი უფრო ხატოვანი გახადა: **“ყოველნი წყურიელნი და მაშურალნი მოვედით უფლისა და მიიღეთ წყაროჲ ცხორებისაჲ და უძლურთა მოისწრაფეთ მკურნალისა მის სულთა და ჴორცთაჲსა და მიიღეთ ტკივილთა თქუენთა ლხინებაჲ” (II, სქ. №246).**

**II, სქ. №255**

წინაათონელი მთარგმნელი დამატებული ფრაზით აკონკრეტებს სათქმელს. მხედველობაში გვაქვს ტექსტის მონაკვეთი, სადაც საუბარია იმაზე, რომ ის, რაც თვითონ ერთია, მაგალითად, წყალი, მზე, ჰაერი - სულ სხვადასხვაგვარად გარდაიქმნება იმათში, ვინც მიიღებს ამ ერთს. მაგ.: ვენახი მოგვცემს ღვინოს, ზეთისხილი – ზეთს... ავტორი განაგრძობს მსჯელობას: ასევე, მადლიც ერთია და მარტივი, მაგრამ ისიც სულ სხვადასხვა სახეს იღებს იმის მიხედვით, თუ ვინ როგორ გამოიყენებს მას: **“οὕτως καὶ ἡ χάρις, ἁπλῆ καὶ μία τυγχάνουσα, ποικίλως καὶ ἀναλόγως πρὸς τὴν ἑκάστου χρείαν εὐεργετεῖ τοὺς μετέχοντας“ (PG 96 col. 745 C 13-15; Kotter 1988: 536,30-32); “ეგრეთვე ჩემ შორის მკჳდრი მადლი მარტივ არს და ერთ, ხოლო თითოსახედ და შემსგავსებულად თითოეულისა საჴმარებისა მოქმედებს მიმღებელთა მათ შორის” (ეფრ.).** სწორედ აქ ამატებს წინაათონელი მთარგმნელი იმ ფრაზას, რომელიც არ არის არც ბერძნულში **(PG 96 col. 745 C 15)** და არც ეფრემის თარგმანში: **“და მოსრულნი იგი სარწმუნოებით, მიიღებენ კეთილთა მათ და სარგებელთა უხუებით” (II, სქ. №255).** ამდენად, წინაათონელმა მთარგმნელმა დააკონკრეტა ის აუცილებელი პირობა, თუ რა მდგომარეობით უნდა მიეახლოს ადამიანი ღვთისმშობლის საფლავს, რომ მიიღოს მისგან მადლი **(ანალოგიური აზრი იხ. II, სქ. №540).**

**II, სქ. №283**

ტექსტის იმ ადგილას, სადაც საუბარია უფლის ძის განკაცებაზე, წინაათონელმა მთარგმნელმა ბერძნული ტექსტის ფრაზას: **ὑπόστασιν σαρκωθῆναι καὶ ἐνανθρωπῆσαι ἐξ αὐτῆς, καὶ γεννηθῆναι σαρκὶ θεὸς (PG 96 col, 749 B 5-6; Kotter 1988:538,38-39 )** და მის ზუსტ ეფრემისეულ თარგმანს: **"რომელმან-იგი სათნო-იყო განკაცებაჲ მისგან და ჴორცთა შესხმაჲ"** – დაუმატა ის, რაც სრულყოფილებას ანიჭებს ტექსტს და განკაცების მიზანსა და შედეგს ამცნობს მკითხველს: **"რაჲთა ერთი ქრისტე გამოუჩნდეს სოფელსა მაცხოვრად" (II, სქ. №283)**.

**III, სქ. №53**

წინაათონელი მთარგმნელი ბერძნული ტექსტის "**ἡμέραν καινουργείτω σωτήριον**" **(PG 96 col. 757 B 6-7; Kotter 1998:551,13)** შესატყვისად წერს: "**დღᲔ ესე შუენიერი" (III, სქ. №53)**. ეფრემის თარგმანში ეს სამსიტყვიანი ბერძნული ტექსტი ასე არის გადმოღებული: **"დღე ესე, დღე ცხორებისა და საუკუნოდ გამოჴსნისა ჩუენისაჲ"**. ზუსტი თარგმანი არც ერთმა მთარგმნელმა არ გააკეთა, მაგრამ ეფრემისა უფრო ახლოს დგას წყაროსთან, რადგან ბერძნულ ტექსტში სწორედ **"გამოჴსნაზე"** არის საუბარი (**σωτήριον**). წინაათონელმა მთარგმნელმა კი თავისი თარგმანით შეაფასა ბერძნული ტექსტის ამ მონაკვეთში ჩადებული აზრი, კერძოდ, **"გამოჴსნის დღეს"** უწოდა "**შუენიერი დღე**".

### 4. წინაათონელი მთარგმნელი აზრის შეუცვლელად ამოკლებს ან უმნიშვნელოდ ცვლის ტექსტის ფრაზეოლოგიას

**II, სქ. №2**

რამდენადმე გაურკვეველია წინაათონელი მთარგმნელის მიერ ბერძნული ტექსტის იმ ერთი მოზრდილი ფრაზის დაკლება, რომელიც ასახავს ძღვენს, რომელსაც **"უჟამოდ",** ანუ წელიწადის იმ დროისათვის ნაადრევს, მიართმევენ **"თუთმპყრობელს"** და სწორედ ამის გამო არის ეს ძღვენი განსაკუთრებით დასაფასებელი. საუბარია სურნელოვან ვარდზე, რომელიც **"ეკალთაგან აღმოსცენდება"**. წინაათონელი მთარგმნელი აქ ასრულებს ვარდზე საუბარს, ხოლო ბერძნულ ტექსტში **("χλοεροὺς μὲν κεκτημένου τοὺς κάλυκας, κἀκ τούτων προϊὸν διδυμόχροον, καὶ πρὸς ὡραῖον προβάδην φθάνον ἐρύθημα" PG 96 col. 724A5-7; Kotter 1988:517,25-26)** და მის მიმყოლ ეფრემის თარგმანში ვარდის თემა ასეა გაგრძელებული: **"რომლისანი მწუანოოდიან ბუდენი და შუენიერ იყვნიან მათგან**

**გამომავალნი მარჩბივ ფერნი მეწამულობანი” (II, სქ. №2).**

**II, სქ. №135**

წინაათონელმა მთარგმნელმა გამოტოვა ის რიტორიკული შეკითხვა, რომელიც ჰომილიის ავტორმა დაუსვა მსმენელთ: **“Εἶτα τούτοις συνῳδὰ καὶ ἀκόλουθα τίνα δοκεῖτε περπᾶχθαι τὸ τηνικάδε, ὅως μοι δοκεῖ. Ἡ τοῦ βασιλέως πρὸς τὴν οἰκείαν“ (PG 96 col. 736 B 13-15; Kotter 1988:527 1-2).** ეფრემის თარგმანი მისდევს ბერძნულ წყაროს: **“ამისსა შემდგომად რაჲდა გგონიეს უკუანაშედგომად პირველთქუმულთა ამათ თანამიყოლილად საქმედ** მაშინდელსა მას ჟამსა, თჳნიერ რაჲსა ესე მე ვჰგონებ, - მეუფისა ყოველთაჲსა მოსლვასა მშობელისა მიმართ თჳსისა?” **(II, სქ. №135).** წინაათონელმა მთარგმნელმა ჩამოაცილა ფრაზას პირველი ნაწილი და მტკიცებითი ფორმით თქვა სათქმელი, კერძოდ: **“და მას ჟამსა, ვითარ ვჰგონებ, მოიწია მეუფჱ იგი დედისა თჳსისა”.**

**II, სქ. №136**

წინაათონელმა მთარგმნელმა ბერძნული ტექსტი “upodexomenou thn ieran tauth~ yuchn, kai **εἰλικρινῆ τε καὶ ἄμωμον“ (PG 96 col. 736 C 2-3; Kotter 1988:527,3-4)** ასეთნაირად თარგმნა: “შეიწყნარა იგი **უბიწოჲ სული მისი” (II, სქ. №136).** აი, როგორ გამოიყურება ეს ადგილი ბერძნულის მიმდევარ ეფრემისეულ თარგმანში: **“შეიწყნარა ყოვლადდიდებული და უბიწოჲ და მხიარული სული მშობელისა თჳსისაჲ”.**

**II, სქ. №183**

ბერძნული ტექსტის ფრაზა: ”kai hn idein idrwta~ kai dakrua **τοῖς χείμασιν ἀμιλλώμενα” (PG 96 col. 740 D 2-3; Kotter 1988:531,4)** ეფრემთან უცვლელად არის გადმოღებული: “რამეთუ სახილველ იყო ოფლი ცრემლითურთ, **შესწორებულ ნაკადულთა წყლისა მდინარისათა”.** წინაათონელი მთარგმნელი ფრაზას ამოკლებს, სხვა შედარებას იყენებს, თხრობას უფრო ლაკონურს ხდის აზრის შეცვლის გარეშე: “ვიდრემდის იხილვებოდა ცრემლთა და ოფლთა დინებაჲ, **ვითარცა წჳმისაჲ” (II, სქ. №183).**

**III, სქ. №78**

ჩვეულებრივ, წინაათონელი მთარგმნელი ცდას არ აკლებს, რომ

ღვთისმშობლისადმი აღვლენილი შესხმა რაც შეიძლება აღმატებულად გადმოიტანოს თარგმანში და თუ არაფერს ამატებს, ყოველ შემთხვევაში, არაფერს აკლებს. ამიტომ რამდენადმე მოულოდნელია ფრაზა, რომლის გადმოღებისას წინაათონელმა მთარგმნელმა, ნაცვლად ბერძნული **τῷ παναμώμῳ καὶ πανευώδει-სა,** დაწერა მხოლოდ **"წმიდა"**: Etoimazesqw mura, kai **τῷ παναμώμῳ καὶ πανευώδει μυριζέσθωαν σώματι (PG 96 col. 760 C 11-13; Kotter 1988:553,47-48)**; "მზა-ყავთ სულნელი და შემურეთ **გუამი იგი წმიდაჲ" (Ш, სქ. №78)**. რაც შეეხება ეფრემს, მან ზუსტად გადმოიღო ბერძნული ტექსტი: "განემზადებოდედ ნელსაცხებელი, რაჲთა შეიმუროს **ყოვლადუბიწოჲ და ყოვლადშეუხებელი იგი გუამი"**.

**Ш, სქ. №88**

კიდევ ერთი მსგავსი მაგალითის მოტანა შეგვიძლია. ორივე ქართულ თარგმანში თითქმის უცვლელად არის გადმოღებული ეპითეტებით გაჯერებული ღვთისმშობლის შესხმის ძალიან ხატოვანი მოზრდილი მონაკვეთი **(PG 96 col. 761 A 5-B 2; Kotter 1988:554,4-14).** ამ მოზრდილი მონაკვეთის მანძილზე არის ერთი შემთხვევა, როდესაც წინაათონელი მთარგმნელის მიერ არ არის დასახელებული ღვთისმშობლის შემამკობელი ეპითეტი, კერძოდ, მან გამოტოვა **"γῆς θειότατον βλάστημα" (PG 96 col. 761 A 8; Kotter 1988:554,6).** ეფრემის თარგმანში ეს ეპითეტი თარგმნილია: **"მორჩო ქუეყანისაო" (Ш, სქ. №88)**.

## დანართი II

### ღვთისმშობლის დაძინების სამი ჰომილიის ეფრემ მცირისეული ქართული თარგმანის მიმართება ბერძნულ ტექსტთან

ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი ტექსტის მიმართება ბერძნულ წყაროსთან და, აქედან გამომდინარე, წინაათონურ თარგმანთან, შეიძლება ამგვარ ჯგუფებად ჩამოყალიბდეს: 1) **ეფრემი თავისუფალ თარგმანს აკეთებს იმისათვის, რომ ღვთისმშობელს უფრო აღმატებულად და სრულყოფილად შეასხას ხოტბა; 2) ეფრემის მიერ ტექსტის გავრცობა (თუნდაც უმნიშვნელო) ემსახურება გარკვეული მოვლენის მიზეზის გამოკვეთას და დაზუსტებას; 3) ეფრემი აკლებს ბერძნულ ტექსტს და გარკვეული ცვლილება შეაქვს მასში; 4) ეფრემ მცირე და წინაათონელი მთარგმნელი ბერძნული ტექსტის ვარიანტულ დონეზე განსხვავებულ ნუსხებს იყენებენ; 5) წინაათონელ მთარგმნელსა და ეფრემ მცირეს ბერძნული პოლისემიური სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობა გადმოაქვთ.**

#### 1. ეფრემი თავისუფალ თარგმანს აკეთებს იმისათვის, რომ ღვთისმშობელს უფრო აღმატებულად და სრულყოფილად შეასხას ხოტბა

**I, სქ. №184**

ბერძნულ ტექტში არის: “Tauthn gar ouk anqrwpinh glwtta, **οὐκ ἀγγέλων νοῦς ὑπερκόσμιος κατ᾽ ἀξίαν εὐφημῆσαι δύνατται (PG 96 col. 700 B 10-12; Kotter 1988:483,(2),1-2).**წინაათონელი მთარგმნელი მიყვება ბერძნულ ტექსტს: “ამას არცა ენაჲ კაცობრივი და არცა **გონებაჲ ანგელოზებრი, რომელი უმაღლეს არს მკჳდრთა ქუეყანისათა,** შემძლებელ არს ქებად მისა”, ხოლო ეფრემი ამატებს ხაზგასმულ მონაკვეთს: **“ამას, უზეშთაესსა ყოველთა სამკაულთასა** და ზეშთა სოფლისასა, ვერ შემძლებელ არს ღირსებით შესხმად ვერ ენაჲ კაცობრივი, ვერცა გონებაჲ ანგელოზებრივი” **(I, სქ. №184)**. ამასთან, ეფრემმა, წინაათონელ მთარგმნელთან შედარებით, გამოკვეთა ბერძნული ტექსტის აზრიც, რადგან ის შეფასება, რომელიც ბერძნულ წყაროში გაკეთებული აქვს ღვთისმშობელს, წინაათონური თარგმანის მიხედვით შეიძლება მივაკუთვნოთ **”ანგელოზებრივ გონებას” (შდრ.: გვ. 231, სქ. №1).**

**III, სქ. №61**

მოვიტანთ ეფრემის მიერ ტექსტის გავრცობის კიდევ ერთ შემთხვევას: ბერძნულ ტექსტში კითხვა არის დასმული, თუ ვინ არიან ისინი, რომლებიც მიისწრაფიან იმ ადგილისაკენ, სადაც არის ღვთისმშობლის ცხედარი, რათა ემსახურონ **"დედასა სიტყჳსა ღმრთისასა"**. ეს არსებები ჰომილიის ავტორს შედარებული ჰყავს ღრუბლებთან და არწივებთან. წინაათონურ თარგმანში გადმოსულია მხოლოდ **"ღრუბელნი"**: "ვინ არიან ესენი, რომელნი ვითარცა **ღრუბელნი** ფრინვენ და მიისწრაფიან მუნ, სადა გუამი იგი **დაცემულ არს,** მიზეზი ყოველთა **აღდგომისაჲ**? (**III, სქ. №61**), ხოლო ეფრემმა, პირიქით, ბერძნული ტექსტის **"nefélai kaì ἀetoi"-ს (PG 96 col. 757 D 6; Kotter 1998: 552,11)** დაუმატა კიდევ ერთი სიტყვა: **"ორბნი"**: "ვინ არიან ესენი, რომელნი ფრინვენ ვითარცა **არწივნი და ღრუბელნი და ვითარცა ორბნი მდებარისა** მიმართ, ყოველთა **აღდგომისა** მიზეზისა"? ვფიქრობთ, თარგმანში ამ სინონიმური წყვილის შემომტანი მოწადინებული იყო, რომ რაც შეიძლება მძაფრად წარმოეჩინა სურვილი ღვთისმშობლის ცხედართან მიახლებისა. ამ ფრაზაში კიდევ ერთი საინტერესო რამ ხდება: წინაათონელმა მთარგმნელმა გამოიყენა ბერძნული **"τὸ πτῶμα"-ს** ორივე მნიშვნელობა: **"გუამი" და "დაცემული",** ხოლო ეფრემმა ამ ბერძნულ სიტყვას ის შესატყვისი შეურჩია, რომელიც ამ კონტექსტს შეეფერება: **"მდებარისა მიმართ" ("მდებარე" და "აღმდგარი")** და ღვთისმშობლის ცხედარი **"გვამად"** არ მოიხსენია: **"πρὸς τὸ πτῶμα** to th~ pantwn anastasew~" **(PG 96 col. 757 D 7; Kotter 1998:552,11-12).**

**III, სქ. №164**

ეფრემის თხრობა უფრო ამაღლებული გახდა, როდესაც მან მარტივი, ფიზიკური მოვლენა ღირებულებითი ცნებით ჩაანაცვლა. ჰომილიის იმ მონაკვეთში, რომელშიც ავტორი მოუწოდებს ყველას, რომ ღვთისმშობელთან ერთად დაეფლან და ღვთისმშობელთან ერთად ამაღლდნენ ზეცად, ეფრემმა არ მოინდომა ღვთისმშობლის საფლავთან მიმართებით გამოეყენებინა "ხრწნა" ძირი, თუნდაც უარყოფის კონტექსტში, და ბერძნული ტექსტის (**"τὸν τάφον περιστοιχίσωμεν τὸν ἀκήρατον"** PG 96 col. 761 B 4; Kotter 1998:554,15: = **უხრწნელ საფლავს გარე-მოვადგეთ**) და მისი მიმყოლი წინაათონური თარგმანის ("**საფლავი, რომელი არა განჰხრწნის")** ფრაზა ჩაანაცვლა შემდეგნაირად: "შთავიდეთ **საფლავად, ყოვლად საკჳრველად" (III, სქ. №164).**

**III, სქ. №167**

ასევე საინტერესოა ეფრემის მიერ ბერძნული ფრაზისათვის - **“suzῶntes dὲ zwῆn ἀpaθῆ kaὶ ἀkήraton (PG 96 col. 761 B 8; Kotter 1998:554,18-19** – ზოგადი მნიშვნელობის მინიჭება: ”ცხოველნი ცხორებითა **ვნებათაგან განყენებულითა და უვნებელობით მოქალაქობისა მიერ შემკობილითა” (III, სქ№167)**. რაც შეეხება წინაათონურ თარგმანს, აქ ბერძნული ტექსტის ზუსტი თარგმანია გაკეთებული: **“**ცხორებითა მით, რომელსა შინა **არა არს სალმობაჲ და არცა ხრწნილებაჲ”**. გაცილებით ტევადია თავისი მნიშვნელობით ეფრემისეული **“ვნებათაგან განყენებული და უვნებელობით მოქალაქობა”,** ვიდრე ამ ვნებების დაკონკრეტება და მათი დაყვანა “**სალმობასა და ხრწნილებაზე**”.

**2. ეფრემის მიერ ტექსტის გავრცობა (თუნდაც უმნიშვნელო) ემსახურება გარკვეული მოვლენის მიზეზის გამოკვეთას და დაზუსტებას**

**I, სქ, №213**

ბერძნულ ტექსტში არის ასეთი ფრაზა: “**kaὶ eὐdokίą toû se ἀxρόnως, ἀρρeύstως te kaὶ ἀpaθῶs zeuήsantos θeoû kaὶ Hatρὸs, ἱlasmὸn kaὶ swthρίan dikaiusύnήn te kaὶ ἀpolύtρωsin” (PG 96 col. 701 D 6- col. 704 A 1; Kotter 1988:485,12-14).** წინაათონური თარგმანი მიყვება ბერძნულ წყაროს: **“და ნებითა მამისაჲთა, რომელი-იგი უჟამო არს, ულმობელად გშვა შენ, მჴსნელი და მოწყალე და განმამართლებელი და განმათავისუფლებელი”**. რაც შეეხება ეფრემის თარგმანს, იქ ტექსტი საკმაოდ გავრცობილია და აღნიშნულ ფრაზას წინ უძღვის შემდეგი მონაკვეთი: **“და უწინარეს ჟამთა სათნო-ყოფისა შენისა აღმასრულებელი, რაჲ-იგი უკუანაჲსკნელთა ჟამთა საქმრად განჩინებულ იყო“**. შემდეგ გრძელდება ისე, როგორც არის ბერძნულ ტექსტსა და წინაათონურ თარგმანში: **“შენისა მის პირველსაუკუნეთა უჟამოდ და უვნებელად მშობელისა მამისაგან, სალხინებელ და საცხორებელ ჩუენდა ყოფაჲ სიმართლე და გამომჴსნელობაჲ შენი“ (I, სქ, №213)**. ამ დამატებული ფრაზით მთარგმნელი კიდევ ერთ ახალ შტრიხს ამატებს ღვთისმშობლის შესხმას, გვეუბნება იმას, რომ ღვთისმშობელმა აღასრულა ის, რაც უფლის მიერ **“უწინარეს ჟამთა“** იყო ჩაფიქრებული.

**I, სქ. №308**

მოვიტანთ ეფრემის თარგმანში მცირე გავრცობის კიდევ ერთ

მაგალითს, რომელიც, ასევე, ტექსტის დაზუსტებას ემსახურება. ბერძნულ ტექსტში საუბარია იმაზე, თუ ღვთისმშობლის წიაღში როგორ მოხდა კაცობრივი და საღმრთო ბუნების შეერთება. ეფრემის თარგმანი ამ ადგილს ამატებს იმას, რომ ამ შეერთების შედეგად მივიღეთ **"ღმერთი სრული":** "ჭეშმარიტითა გუამოვნებითა ერთგუამ-ყო მის თანა **და ეგრეთ გამოვიდა ღმერთი სრული** ჴორცითა სულიერითა, სულითა სიტყჳერითა და საცნაურითა" **(I, სქ. №308)**. ბერძნულ ტექსტსა (kai ei~ alhqh uparxin ercomenhn swmato~ eyucwmenou yuch logikh te kai noera **(PG 96 col. 712 D 15-17; Kotter 1988:493, 39)** და მის მიმყოლ წინაათონურ თარგმანში არ არის ასეთი დაკონკრეტება: **"და მოიღო ჭეშმარიტად შემზადებაჲ ჴორცთაჲ საშუმინველითურთ, სულითა მეტყუელითა და გონიერითა".**

**II, სქ. №319**

რამდენადმე მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე, როდესაც ტექსტში, სადაც საუბარია იმაზე, რომ რაგინდ ბევრ ენაზე სცადონ ადამიანებმა, მაინც ვერ შეასხამენ ღირსეულ ხოტბას ღვთისმშობელს, ეფრემმა ბერძნული ტექსტის ფრაზას დაუმატა სიტყვა **"წარმართები"** და ამით ეს სიმრავლე შემოსაზღვრა: "ყოველნი ენანი მრავალთესლთა **წარმართთანი" (II, სქ. №319)**. წინაათონელი მთარგმნელი ბერძნულ ტექსტს "ei pasai **τῶν πολυστόρων αἱ γλῶσσαι (PG 96, col. 721 C 2)** ზუსტად თარგმნის: "და არცაღა კუალად **ყოველნი თუ ენანი** შეკრბენ".

**II, სქ. №484**

ეფრემ მცირე, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ტექსტს ზუსტად მიყვება, ზოგჯერ გარკვეული მოსაზრებით უარს ამბობს ამ სიზუსტეზე. მოვიტანთ ერთ-ერთ მაგალითს, რომელიც ძალიან ნიშანდობლივია ათონური სკოლისათვის, რომლის პრინციპებისაგანაც ეფრემი, თავისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის დასაწყისში, არცთუ შორს იდგა. ვგულისხმობთ ტექსტის შედარებით თავისუფალ თარგმნას და წარმართებთან დაკავშირებით ნათქვამის გამკვეთრების სურვილს. მან გაავრცო ბერძნული ტექსტი, რადგან სურდა ხაზი გაესვა იმ ადამიანთა უგუნურებისათვის, მათი სიშლეგისათვის ("სიჩქარესათვის"), რომლებიც, წარმართთა მსგავსად, ღვთისმშობელს ღმერთად აღიარებენ: **"წარვედ ამიერ, რამეთუ წამართული სიჩქარე არს ზღაპრობა ესე ღმერთათჳს დედალთა და მამალთა, ხოლო ჩუენ არა უწოდთ ამას ღმრთად,** რამეთუ სიკუდილსაცა მისსა მიუთხრობთ, არამედ სახელ-ვსდებთ დედად ღმრთისა განკაცებულისა და ღმრთისმშობლად აღვიარებთ" **(II, სქ. №484)**.

ბერძნულ ტექსტს (**ἄραγε, τῆς Ἑλληνικῆς τερθρείας τὰ τοιαῦτα μυθεύματα ἐρεῖ καὶ** qanaton auth~ kataggellomen alla sarkwqento~ qeou Mhtera ginwskonte~ (**PG 96 col. 744 B 8-9)** უცვლელად მიყვება წინაათონური თარგმანი: **"ნუ იყოფინ, ვითარ-იგი იონნი უგუნურნი უცნებით იტყჳან,** არამედ მიუთხრობთ სიკუდილსა მისსა და უწყით, ვითარმედ დედაჲ არს იგი ღმრთისა განმაცხოველებელისაჲ**".**

**II, სქ. №517**

მიძინების მეორე ჰომილიის ორივე ქართული თარგმანის მე-18 თავი იწყება ბერძნული ტექსტის ზუსტი გადმოღებით - ჰომილიის ავტორი კითხვით მიმართავს მსმენელთ და აჯამებს წინა, მე-17 თავის ტექსტს, სადაც საუბარია იმაზე, რომ ღვთისმშობლის საფლავი პასუხს სცემს კითხვას, თუ სად არის ღვთისმშობელი. საფლავის პასუხია, რომ უგუნურებაა ეძებო ღვთისმშობელი საფლავში და არა ზეცაში, ხოლო თვით საფლავი, რომელშიც ესვენა ღვთისმშობელი, იქცა სნეულთა კურნების წყაროდ. შემდეგი, მე-18 თავი, იწყება ავტორის მიერ დასმული შეკითხვით: **„ Ὁρᾶτε, φίλοι Πατέρες καὶ ἀδελφοί, οἷα πρὸς ἡμᾶς ὁ παυευκλεῆς ἀποτείνεται τάφος καὶ ὅτι ταῦτα οὕτως ἔχει, καὶ ἐν τῇ Εὐθυμιακῇ ἱστορίᾳ"... (PG 96 col. 748 A 1-3; Kotter 1988:536,1-3); "ᲰᲔᲓᲐᲕᲗ სამე, Ა საყუარელნო, რაჲ-ესე წარმოთქუა საფლავმან ამან დიდებულმან? და ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲲ მისი ამით დაემტკიცების, რამეთუ გუპოვნიეს წერილი, რომელი ესრეთ აუწყებს *თხრობათა შინა, რომელი წმიდისა ეფთუმისთჳს დაიწერა"* (წინაათ.).** ეფრემის თარგმანშიც არის ამ მონაკვეთის შესატყვისი ტექსტი: **"ᲰᲔᲓᲐᲕᲗ-Ა, საყუარელნო მამანო და ძმანო, ვითარითა სიტყჳთა მეტყუელებს ჩუენდა მომართ ყოვლადკეთილად მოქადული საფლავი? და ვითარმედ ესე ესრეთ არს, ამას ცხად-ᲰᲧᲝᲤᲡ თხრობაᲲ"...** ამის შემდეგ ეფრემის თარგმანში მოდის ის ტექსტი, რომელიც არ არის არც ბერძნულ წყაროში და არც წინაათონურ თარგმანში და რომელიც გვაწვდის ცნობას ევთვიმის შესახებ: "ვითარმედ ევთჳმის ვისმე, **ᲯᲐᲛᲗᲐ თხრობისა აღმწერელსა, აღუწერია წიგნი მოთხრობაᲲ მათ ᲯᲐᲛᲗᲐᲲ, რომელსა შინა ქალკიდონისა კრებაᲲ იქმნა და *მისსა მას წიგნსა უწოდს წმიდაᲲ ესე თხრობად ევთჳმიანად,* რამეთუ ესე ევთჳმი იყო კაცი, აღმწერელი საქმეთა მის ᲯᲐᲛᲘᲡᲐᲗᲐᲲ, ᲩᲣᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲔᲑᲠ ᲑᲔᲠᲫᲣᲚᲗᲐ ᲮᲠᲝᲜᲝᲦᲠᲐᲤᲗᲐ, ესე იგი არს ᲯᲐᲛᲗᲐ აღწერათაᲲ".** ბერძნულ წყაროში და წინაათონურ თარგმანში ეს მოზრდილი მონაკვეთი არასრულად, ძალიან შემოკლებულად, რამდენიმე სიტყვით არის გადმოღებული: "**τῇ Εὐθυμικῇ ἱστορίᾳ**"; "***თხრობათა შინა, რომელი წმიდისა ეფთჳმისთჳს დაიწერა"***. ქ. სალაღაია განიხილავს ეფრემის თარგმანის ამ დამატებულ მონაკვეთს და, ეყრდნობა რა ბიზანტიური ლიტერატურის მკვლევრებს, ცდილობს

დაადგინოს აქ ნახსენები **"ევთჳმი"**-ს ვინაობა. **ქართველი მკვლევრის აზრით,** გარკვეულ არგუმენტებზე დაყრდნობით, ევთვიმი შესაძლოა იყოს ქალკედონის კრების (451 წ-ის მახლობელი პერიოდი) დროინდელი ქრონოგრაფოსი, კერძოდ, ევთვიმი დიდი (376-473 წწ.), ცნობილი პალესტინელი ასკეტი, თოთხმეტ "მცირე მამათაგან" ერთ-ერთი. მაგრამ იმის გამო, რომ „ევთჳმი" და "ევთჳმიანი" ნახსენებნი არიან მიძინების ჰომილიის მე-18 თავში, რომელშიც არის ინტერპოლაცია ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებიდან "სადმრთოთა სახელთათჳს", რომელიც, მეცნიერთა აზრით, ყველაზე ადრე მე-5 ს-ის 60-იანი წლების შემდგომ შეიქმნა, მას ვერ გამოიყენებდა უფრო ადრე მოღვაწე ევთვიმი დიდი. არ არის გამორიცხული, რომ მოგვიანო პერიოდის მთხრობელი ამოეფარა ევთვიმი დიდი პალესტინელის სახელს და შექმნა "ფსევდო-ევთჳმის ისტორია". ქ. სალადაია თავის წერილში მსჯელობს იმის შესახებაც, თუ ვის შეიძლება ეკუთვნოდეს ეს მოკლე ჩანართი, რომელიც არის ეფრემის თარგმანის ერთ ნუსხაში, H 1347-ში. ფრაზის გამო: ***მისსა მას წიგნსა უწოდს წმიდაჲ ესე თხრობად ევთჳმიანად,*** ქ.სალადაიას სათუოდ მიაჩნია, რომ ის ეკუთვნის ჰომილიის ავტორს, იოანე დამასკელს და თვლის, რომ ეს ფრაზა შეეძლო ჩაერთო ან გადამწერს, ან მთარგმნელს **(სალადაია 2008 :107-112)**. ასე რომ, მკვლევარს დასაშვებად მიაჩნია, რომ ამ ცნობის ტექსტში ჩამრთველი იყოს ეფრემ მცირე.

**II, სქ. №540**

ბერძნულ ტექსტში საუბარია იმაზე, რომ ღვთისმშობლის საფლავი უდიდესი მადლის მატარებელია და ეს მადლი **"სოფლის კიდეთა უშურველად გარდაფენილ არს" (ეფრ.); "აწ ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა მადლი ნიჭთა მისთაჲ განფენილ არს" (წინაათ.)**. ამის შემდეგ არის მოწოდება, რომ აღავლინონ ღვთისმშობლის ხსენება: **Τὴν μνήμην τὴν ἡμετέραν τοίνυν ταφεῖον τῆς θεοτόκου κατασκευάσωμεν (PG 96 col. 752 B 6-8; Kotter 1988:539,6-7).** სწორედ ტექსტის ამ მონაკვეთში დაუმატა ეფრემმა ფრაზა, რომლითაც კიდევ უფრო გააძლიერა ნათქვამი, კერძოდ, ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ მადლის მიღება შეიძლება მხოლოდ ხორციელ ზრახვათაგან განწმედის შემთხვევაში: **"გულისა და გონებისა ჩუენისაჲ განუმზადოთ ადგილი მოჴსენებისაჲ"** (II, **სქ. №540)**. ეს ფრაზა ეხმიანება ჰომილიის იმ ადგილს, სადაც წინაათონელი მთარგმნელი ამატებს ბერძნულ ტექსტს ფრაზას და აკონკრეტებს, თუ რა მდგომარეობით უნდა მიეახლოს ადამიანი ღვთისმშობლის საფლავს, რათა მიიღოს მისგან მადლი: **"და მოსრულნი იგი სარწმუნოებით, მიიღებენ კეთილთა მათ და სარგებელთა უხუებით" (შდრ.: II, სქ. №255)**. ამგვარად, შინაარსობლივად მსგავსი ტექსტის ორი სხვადასხვა

ადგილის გადმოღებისას წინაათონელი მთარგმნელი და ეფრემ მცირე ერთმანეთის მსგავსად მოიქცნენ.

**II, სქ. №543**

ფაქტობრივად, ზემოთ მოტანილი დამატებული ფრაზის გაგრძელება და სიწმიდისაკენ მოწოდებაა ეფრემის თარგმანში კიდევ ერთი მოზრდილი მონაკვეთის დამატება: **რაჟამს ჭორცთა სიწმიდესა თანა შევიკრძალოთ გონებისაჲცა, რომელ-ესე არს, რაჲთა არა ხოლო ქმნასა, არამედ მოგონებასაცა და მოჴსენებასა ვევლტოდით ბოროტისასა, რამეთუ ევლტის დედოფალი დაბადებულთაჲ ყოველსა ნივთთმოყუარეობასა" (II, სქ. №543).** წინაათონური თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს და ამ მონაკვეთის შესატყვისად მასში გაცილებით მოკლედ არის ნათქვამი: **"რამეთუ მარადის მეოტ არს იგი ყოვლისაგან მწჯრისა ცოდვათაჲსა" (Φεύγει γὰρ ἰλὺν ἅπασαν PG 96 col. 752 B 12; Kotter 1988:539,9-10).**

**III, სქ. №110**

ეფრემ მცირის სურვილი, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვან კონტექსტებში სათქმელი ყოველთვის ბოლომდე იყოს თქმული, კიდევ ერთხელ გამოჩნდა მაშინ, როდესაც მან ქრისტეზე, როგორც**"ყოველთა ცხორებისა"** მიზეზზე, საუბრისას (**"Χριστὸς οὗτος, ὁ τῆς ζωῆς τῶν ἁπάντων αἴτιος" PG 96 col. 756 B 1-2; Kotter 1998:550,14-15),** დაუმატა ხაზგასმული ფრაზა: "თჳთ თავადი არს ქრისტე მიზეზ ყოველთა ცხორებისა **და დამჴსნელ სიკუდილისა"**. წინაათონელი მთარგმნელი ზუსტად თარგმნის ბერძნულ ტექსტს: **"ქრისტემან, ყოველთა ცხორებისა მომცემელმან"**.

**III, სქ. №131**

ერთფრაზიანი ან სულაც ერთსიტყვიანი დამატებები ეფრემის თარგმანში საკმაოდ ბევრია. მოვიტანთ კიდევ ერთ მაგალითს. ბერძნულ ტექსტში არის: **" Ἐκ σοῦ πρὸς οὐράνιον ὕψος μετεώρισται" (PG 96 col. D 1-2; Kotter 1998:552,8).** ეს ფრაზა ეფრემმა ზუსტად თარგმნა ბერძნულიდან: **"რამეთუ შენგან აღვიდა ზეცისა სიმაღლედ"** და დაუმატა მას ის, რაც არ არის არც ბერძნულ ტექსტში და არც მის მიმყოლ წინაათონურ თარგმანში: "**დედოფალი დაბადებულთაჲ და მშობელი სიტყჳსა ღმრთისაჲ**" (III, სქ. №131). ვფიქრობთ, ამ დამატების მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ის, რომ იქვე, ფრაზის გაგრძელებისას, საუბარია ასევე უფლის ძის ამაღლებაზე და ეფრემმა, სავარაუდოდ, მეტი გარკვეულობისათვის,

დაუმატა ეს ფრაზა: ხაზი გაუსვა, რომ ამ შემთხვევაში საუბარი იყო ღვთისმშობლის ცად ამაღლებაზე **(დამატებითი ინფორმაციისათვის ტექსტის ამ მონაკვეთზე იხ. III, სქ. №59)**.

**III, სქ. №137; III, სქ. №138**

ბერძნულ ტექსტში აღწერილია სურათი ღვთისმშობლის სულის ზეცად ამაღლებისა, რაც საერთო საზეიმო განწყობილების ფონზე ხდებოდა. სხვებს შორის გამოირჩეოდა იერეთეოსი, რომელიც, ჰომილიის ავტორის თქმით, იყო სულიწმიდის მიერ განწმედილი **"ჭური რჩეული"**, ზიარებული საღმრთო საიდუმლოებებს, და რომლის სულსაც შეეძლო **"ჭორცთაგან განსლვა"**. სწორედ იერეთეოსის სული გონებასთან ერთად, **"კეთილად ფრთოვან ქმნულისაჲთა"**, მიაცილებდა ღვთისმშობლის სულს გალობითა და საოცარი შესხმით: **"ყოვლად თანააღყოლითა გონებისა, კეთილად ფრთოვან ქმნულისაჲთა, რომლითა აღიტყუელებდა ყოვლად განძლიერებითა თჳსთა საგალობელთაჲთა და შესხმათა ყოვლად განსაკჳრვებელთაჲთა" (III, სქ. №138)**. ეს სურათი, ასე ხატოვნად აღწერილი ეფრემის მიერ, გაცილებით მარტივად არის წარმოდგენილი როგორც ბერძნულ ტექსტში, ასევე მის მიმყოლ წინაათონურ თარგმანში: "**ὅλος συνεκδημείτω τῇ προαιρέσει, καὶ κροτείτω τοῖς ἐφυμνίοις**" **(PG 96 col. 760 A 5-6; Kotter 1998:552,18-19): "და მოგზაურ ექმენინ ყოველი დედასა ღმრთისასა კეთილითა სარწმუნოებითა და შეერთებითა გალობისაჲთა"**.

ამ ფრაზაში კიდევ ერთი საინტერესო რამ არის: ეფრემი "იერეთეოსს" უმატებს ხაზგასმულ სიტყვებს: "არს ჭური იგი რჩეული იეროთეოს, განწმედილი სულისა მიერ წმიდისა, **ტაძარ საღმრთო-ყოფად მსგავსად სახელისა მისისა,** რომელმან ღმრთისა შეერთებითა ისწავნა საღმრთონი საიდუმლონი" **(III, სქ. №137)**. ეს ხაზგასმული ფრაზა არ არის არც ბერძნულ ტექსტში: **τὸ σκεῦος τῆς ἐκλογῆς Ἱερόθεος, ὁ τῷ θείῳ καθιερωμένος Πνεύματι, ὁ τῇ θείᾳ ἐνώσει τὰ θεῖα παθὼν καὶ παθὼν** **(PG 96 col. 760 A 4; Kotter 1998:552,16-17)** და არც წინაათონურ თარგმანში. ამ პიროვნების წარმოჩენა ეფრემისათვის, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი იყო.

**III, სქ. №142**

ბერძნულ ტექსტში არის მოწოდება, რომ იერუსალიმის ასულნი გაჰყვნენ ღვთისმშობელს, მიიყვანონ სიძესთან, რათა დადგნენ მეუფის მარჯვენით: **"ასულნო იერუსალემისანო, შეუდეგით დედოფალსა და ვიდოდეთ შემდგომად მისსა და ვითარცა მოყუასნი მისნი ქალწულებითა, კეთილად განჭაბუკნებოდეთ სულითა სასძლოდ მიმართ, თანა-წარჰყევით, ჰ ყოველნო, მარჯუენით მეუფისა დადგომადნო" (ეფრ.)**; წინაათონურ

თარგმანშია:**“ასულნი იერუსალიმისანი შეუდეგით დედოფალსა და ვითარცა ნათესავმოდგამნი მისნი, ქალწულნი სულითა, მიჰყევით და მიიყვანეთ სიძისა, რაჲთა დასდგეთ მარჯუენით მეუფისა”**. ასეა ბერძნულ ტექსტშიც **(...ἐκ δεξιῶν τοῦ Δεσπότου παρασταθῆναι PG 96 col. 760 A 12; Kotter 1998:552,23)**. ეფრემი, აზრის კიდევ უფრო მკვეთრად გამოსახატავად, ამატებს ფრაზას: **“და წინაშე მისსა ღირსებით წარდგომადნო” (III, სქ. №142).**

**III, სქ. №144**

საოცარი სურათი აქვს დახატული ჰომილიის ავტორს იმაზე საუბრისას, თუ რა სიტყვებით მიეგება ძე ღმერთი ღვთისმშობლის ზეცად ამაღლებულ სულს. სწორედ ამ კონტექსტში დააკონკრეტა ეფრემმა ბერძნული ტექსტის ფრაზა: **“δεῦρο, συμβασίλευσον τῷ ἐκ σοῦ σὺν σοὶ πτωχεύσαντι“ (PG 96 col. 760 B 5-6; Kotter 1998, 553,29-30)** შემდეგი ხაზგასმული სიტყვებით: “რომელი ჟამ რაოდენმე ნებსით ვგლახაკობდ შენ თანა **გლახაკობითა მით ჴორცთშესხმისა და სიკუდილისაჲთა” (III, სქ. №144)**. რაც შეეხება წინაათონურ თარგმანს, ის უცვლელად თარგმნის ბერძნულ ტექსტს: **“და სუფევედ ჩემ თანა, რომელი შენგან და შენთჳს დავგლახაკენი”**. როგორც ვხედავთ, ეფრემი აზუსტებს სათქმელს, აკონკრეტებს, თუ რა იგულისხმება **“გლახაკობაში”**. ვფიქრობთ, ეს დაზუსტება საკმაოდ მნიშვნელოვანია ეფრემისეული თარგმანის შეფასებისათვის, კერძოდ, მთარგმნელის სურვილის წარმოჩენისათვის, რომ ტექსტი გასაგები ყოფილიყო – ეს მაგალითიც ეფრემის მიერ ბერძნული ტექსტის კომენტირებად შეიძლება მივიჩნიოთ.

### 3. ეფრემ მცირე აკლებს ბერძნულ ტექსტს და გარკვეული ცვლილება შეაქვს მასში

**I სქ. №290**

ბერძნული ტექსტის ფრაზის - “w agaph~ ouk ecoush~ ereunan! Ὦ **καλῶν τὰ μὴ ὄντα ὡς ὄντα,** o plhrwn ton ouranon kai thn ghn” **(PG 96 col. 712 A 3-5; Kotter 1988: 491,(8),4-5)** თარგმნისას წინაათონური თარგმანი მიყვება ბერძნულ წყაროს: “Ო სიმდიდრჱ მოწყალებათა მათ მისთაჲ, რომელნი მიუწდომელ არიან, **რომელმან მოუწოდის არა არსსა მას, ვითარცა არსსა,** რომელი აღავსებს ცათა და ქუეყანასა” **(I სქ. №290)**. ეფრემის თარგმანში გამოტოვებულია ფრაზა: “**რომელმან**

**მოუწოდის არა არსსა მას, ვითარცა არსსა”:** “ეჰა, გამოუძიებელობასა სიყუარულისა სიმდიდრეთასა, რომელი აღავსებს ცასა და ქუეყანასა”. ბერძნული ტექსტის მოტანილი კონტექსტი ემყარება ორ ადგილს წმიდა წერილიდან **(რომ. მიმ. 11,33 და იერ. 23,24)**. ის სიტყვები, რომლებიც აკლია ეფრემის თარგმანს და არის როგორც ბერძნულ ტექსტში, ასევე წინაათონურ თარგმანში, ჩასმულია ამ ორ ბიბლიურ ციტატას შორის, ფაქტობრივად, არის იერემიადან მოტანილი ადგილის - “**...ანუ არა ცაჲ და ქუეყანაჲ მე აღმივსიეს?”** - ავტორისეული პარაფრაზი, რადგან ცისა და ქვეყნის ავსება, შესაძლოა, მის მიერ გაგებულია როგორც “**არა არსის, ვითარცა არსის მოწოდება**”. როგორც ჩანს, ეფრემმა არ მოინდომა ჩარევა წმიდა წერილის ტექსტში და იერემიას ეპისტოლედან მოტანილი ადგილის გავრცობა-პარაფრაზირება. რამდენადმე მსგავსი შემთხვევა არის წინაათონურ თარგმანში **(შდრ. II, სქ. №77),** სადაც წინაათონელმა მთარგმნელმა გამოტოვა ქრისტეს მეორედ მოსვლის ჰომილიის ავტორისეული შეფასება **(“დიდი და დიდებული”)**; შესაძლოა, მან ეს იმის გამო გააკეთა, რომ მისი შეფასება განსხვავდებოდა ჰომილიის ავტორისეული შეფასებისაგან. სრული პარალელის გავლება ამ ორ კონტექსტს შორის არ შეიძლება, მაგრამ ორივე მთარგმნელთან ჩანს მცდელობა წმიდა წერილის ტექსტის უცვლელად დაცვისა – პირველ შემთხვევაში **(II, სქ. №77)** – შინაარსობრივი კუთხით, მეორე შემთხვევაში **(I, სქ. №290)** – ფორმის თვალსაზრისით.

**III, სქ№120**

ეფრემმა ბერძნული ფრაზა: **“Φευγέτωσαν δαίμονες ὀλολυξέτωσαν τρισάθλιοι (τρισάθλιοι om. Kotter) Νεστώριοι (PG 96 col. 757 A 4-5; Kotter 1998:551,1)** თარგმნა მხოლოდ ნაწილობრივ: “გოდებედ ნისტორიანნი”, დააკლო პირველი ნაწილი: **“Φευγέτωσαν δαίμονες”,** რომელიც თარგმნილია წინაათონურში: **“შეძრწუნდნენ ეშმაკნი” (III, სქ. №120)**. შესაძლოა, ეფრემმა საკმარისად მიიჩნია ნესტორიანელების ხსენება ეგვიპტელებთან პარალელის გავლებისას.

**4. ეფრემ მცირე და წინაათონელი მთარგმნელი ბერძნული ტექსტის ვარიანტულად განსხვავებულ ნუსხებს იყენებენ**

**II, სქ. №517**

მიძინების ჰომილიის მე-18 თავში არის ერთი პატარა მონაკვეთი ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებიდან **“საღმრთოთა სახელთათჳს”:** “კმა

იყვნეს თითოეული ყოველთა მათ მღდელთმთავართაგანი გალობად ძალგანუზომელსა სახიერებასა **ღმერთმთავრობითისა უძლურებისასა”.** ეს ფრაზა ღვთისმშობლის მიძინების მეთვრამეტე ჰომილიის ეფრემისეულად მიჩნეულ თარგმანში ასეა წარმოდგენილი: “ამისსა შემდგომად ინებეს, შემდგომად ხილვისა მისისა, მღდელთმთავართა ყოველთა, ვითარცა თითოეულსა ძალ-ედვა, ქებად ძალგანუზომელსა მას სახიერებასა **ღმერთმთავრობითისა ძლიერებისასა”,** ხოლო წინაათონურ თარგმანში შემდეგნაირად არის თარგმნილი: “მას ჟამსა, შემდგომად ხილვისა, მთავართა მათ მღდელობისათა შეწირეს დიდებაᲲ თითოეულმან მსგავსად ძალისა თჳსისა და აქებდეს სახიერებასა ღმრთისასა **მიუწუდომელსა.”** ეფრემის თარგმანის ხაზგასმული სიტყვების ბერძნული შესატყვისი არის: **“τῆς θεαρχικῆς εὐσθενείας (PG 96 col. 752 A 1).** მკვლევარ ქ. სალაღაიასთვის მე-18 ჰომილიასა და ეფრემის მიერ თარგმნილ “საღმრთოთა სახელთათჳსა”-ში ამ ფრაზათა მსგავსება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ეს მისთვის ერთ-ერთ არგუმენტად იქცა ღვთისმშობლის მიძინების სამი ჰომილიის ანონიმური თარგმანის ეფრემის თარგმანად მისაჩნევად. რაც შეეხება იმ განსხვავებას, რომელიც არის მათ შორის, კერძოდ, - “**უძლურებისასა” (**“საღმრთოთა სახელთათჳსა”-ში) და **“ძლიერებისასა” (**ეფრემის თარგმანში) – ეს განსხვავება, მკვლევრის აზრით, გამოწვეულია იმით, რომ ეფრემმა “საღმრთოთა სახელთათჳს” და მიძინების ჰომილიის მე-18 თავის ამ მონაკვეთის თარგმნისას გამოიყენა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სხვადასხვა ბერძნული ტექსტი **(იხ. სალაღაია 2009:182-183).** ამ მოსაზრებას მხარს უჭერს კოტერის გამოცემის ძირითადი ტექსტის **”ἀσθενείας” (=უძლური)** და ვარიანტებში მითითებული “**εὐσθενείας**“ **(=ძლიერი)** H (H =Vatic. Gr.) **(Kotter 1988:538,55).**

**II, სქ. №537**

იგივე მოსაზრებას გვთავაზობს ქ. სალაღაია ტექსტის ზემოთ განხილულ მონაკვეთში არსებულ მეორე განსხვავებასთან დაკავშირევითაც: “**და ღმრთისშემწყნარებელისა გუამისა”** არის მხოლოდ მიძინების მეორე ჰომილიის ეფრემისეულ თარგმანში და არ არის არც წინაათონურში („**ღმერთი, ცხორების მომცემელი**“), არც **“საღმრთოთა სახელთათჳს”** ეფრემისეულ თარგმანში. აქაც, მკვლევრის ვარაუდით, ამ ორ თარგმანზე მუშაობისას ეფრემმა გამოიყენა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სხვადასხვა ბერძნული ტექსტი: **“τῆν θέαν τοῦ ζωαρχικοῦ“ (PG 96 col. 749 C 6); “καὶ θεοδόχου” (Kotter 1988:538,51; სქოლიოში: καὶ θεοδόχου om. W; θεοδ-] ζωοδόχου E) -** ზოგ რედაქციაში არის, ზოგში – არა (სალაღაია 2009 : 183).

**I, სქ. №218**

სხვადასხვა ბერძნული ტექსტის გამოყენების კვალი ჩანს წინაათონელი მთარგმნელისა და ეფრემ მცირის მიერ შემდეგ შემთხვევაშიც: მინის გამოცემაში არის: ei~ Cristo~, ei~ Kurio~, **εἷς υἱὸς θεὸς** kai anqrwpo~ (**PG 96 col. 704 B 6-7**); Kotter-ის გამოცემაში: ei~ Cristo~, **εἷς υἱὸς θεοῦ** kai anqrwpo~ **(Kotter1988:704,30).** ამგვარად, ორივე ბერძნულ ტექსტში ნათქვამია, რომ ქრისტე არის ღმერთის ძე (მინისეულ გამოცემაში დამატებით ნათქვამია, რომ ქრისტე არის ღმერთი). ეფრემ მცირის თარგმანი ზუსტად იმეორებს კოტერის გამოცემის ტექსტს: "ერთი ქრისტე, **ერთი ძე ღმერთი** და კაცი" **(I, სქ. №218)**. რაც შეეხება წინაათონურ თარგმანს, იქ არ არის დაზუსტებული, რომ **ქრისტე, იგივე ღმერთი** (ei~ Cristo~, ei~ Kurio~), არის ძე ღმრთისა (**εἷς υἱὸς θεὸς**): **"ერთი ქრისტე, ღმერთი და კაცი"**. იგივე ტექსტია ერთ-ერთ ბერძნულ ნუსხაში, კერძოდ, იმავე **Germ. Et Colb-ში:** ei~ Cristo~, **θεοῦ καὶ ἀνθρώπων (PG 96 col. 704 სქ. №87)**. ამგვარად, განსხვავების მიზეზი ორ თარგმანს შორის ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ვეძებოთ სხვადასხვა ბერძნული წყაროს გამოყენებაში. ეს წყარო კონკრეტდება წინაათონური თარგმანის შემთხვევაში – ეს არის **Germ. Et Colb.** ამ შენიშვნაში მოტანილი ორი შემთხვევის გარდა, სხვა ასეთი მაგალითი ვერ მოვიძიეთ ჩვენ მიერ გამოყენებული ბერძნული გამოცემების ფარგლებში, თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ზემოთ აღნიშნული მიზეზი გამოსარიცხია ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიც.

### 5. ეფრემ მცირესა და წინაათონელ მთარგმნელს ბერძნული პოლისემიური სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობა გადმოაქვთ

**I, სქ. №81**

ბერძნულ ტექსტში **(I, თავი მე-7)** საუბარია იმაზე, თუ როგორ გამოეცხადა გაბრიელ მთავარანგელოზი მარიამს და მოიკითხა ის, ხოლო მარიამის კითხვაზე, რას უნდა ნიშნავდეს ეს მოკითხვა, ქართულ თარგმანებში არის: "ჰპოვე მადლი ..., ღირსო მადლისაო, ჰპოვე მადლი და **მოჰკვან შრომითა** აგარაკი მადლისაჲ და მოიმკე **ნაყოფი სიტკბოებისაჲ" (წინაათ. I, სქ. №81);** "პოვა მადლი ღირსმან მადლისამან, პოვა მადლი მუშაკმან **ტკივილთა მადლისათამან" (ეფრ.)**. ბერძნულ წყაროში არის: **"Οὗτος εὗρε χάριν, ἡ ἀξία τῆς χάριτος. Εὗρε χάριν ἡ τοὺς πόνους τῆς χάριτος γεωργήσασα" (PG 96 col. 709 B 5-6; Kotter 1988:490,(7),10-11).** ტექსტში ხაზგასმული ფრაზები, ვფიქრობთ, არის ქართველ მთარგმნელთა მიერ ბერძნული პოლისემიური სიტყვის - **πόνους-ის** სხვადასხვაგვარი

გაგების შედეგი: ეს სიტყვა აღნიშნავს როგორც **"შრომას"**, ასევე - **"ტკივილს, ტანჯვას"**. წინაათონელმა მთარგმნელმა კონტექსტს, თავის მხრივ, დაუმატა "**ნაყოფი სიტკბოებისაჲ"**.

**I, სქ. №205**

ტექსტის (როგორც ბერძნული, ასევე ქართული თარგმანების) ქვემოთ მოტანილი მონაკვეთის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ღვთისმშობელი შეიწირავს მცირე ძღვენსაც (იგულისხმება მის მიმართ ჰომილიის ავტორის მიერ აღვლენილი შესხმა) და განმარტებულია, თუ რა არის ამის მიზეზი: **"οὐ μᾶλλον ἡμῶν (ἡμᾶς Kotter) ἀποδέξεται τὴν πρόθεσιν, οὐ τὴν δύναμιν κρίνουσα" (PG 96 col. 701 B 12-13; Kotter 1988:485,30-31).** ეს ადგილი რამდენადმე განსხვავებულად არის გადმოღებული ორ ქართულ თარგმანში. წინაათონურ თარგმანშია: "ვითარ არა უკუე ... დედამან სახიერისამან ... **შეიწიროს სარწმუნოებაჲ ჩუენი და არა დამსაჯნეს უძლურებასა ჩუენსა ზედა" (I, სქ. №205)**. რაც შეეხება ეფრემის თარგმანს, იქ ვკითხულობთ: "ანუ არა დედამან ამან სიტყჳსამან **განიხილოს-ა გულსმოდგინებაჲ და არა ძალისაებრ ჩუენისა, არამედ წადიერებისა სათნო-იჩინოს-ა ესე?** წინაათონელმა მთარგმნელმა გადმოიღო ბერძნული სიტყვის - **"κρίνουσα"-ს** - ერთი მნიშვნელობა: "**დასჯა**", ხოლო ათონელმა მთარგმნელა – სხვა: **"სათნო-ჩენა"**.

**I, სქ. №236**

ჰომილიის მე-4 თავში ეფრემის თარგმანში არის ასეთი ფრაზა: "რაბამნი მოციქულთა ღმრთისმეტყველებანი ჰნატრიან **დაფლვასა ღმრთისშემწყნარებელისა ამის გუამისასა"! (იხ.: I, სქ. №236)**. ამ ადგილის წინაათონური თარგმანია: "**ᲐᲮ**, ვითარნი თქუმულნი საღმრთონი მოციქულთა მიერ **მისცემენ ნეტარებასა** გუამსა მას შესუენებულსა, **რომელი-იგი შეიწყნარა ღმერთმან!"** შესატყვისი ბერძნული ტექსტია: **"οἷαι ἀποστόλων θεηγορίαι τὴν κηδείαν τοῦ θεοδόχου σώματος μακαρίζουσιν (PG 96 col.705 B 3-4; Kotter 1988:487,7-8**). სიტყვას **-"κηδεία"** - აქვს რამდენიმე მნიშვნელობა და ამ მნიშვნელობათა შორის არის ის ორიც, რომლებიც აისახა ეფრემისა და წინაათონურ თარგმანებში, კერძოდ: **κηδειος = 1) ძვირფასი, მზრუნველობის ღირსი; 2) დასაფლავი**. წინაათონურ თარგმანში სწორედ ადრინდელი მნიშვნელობა არის ასახული ("**მისცემენ ნეტარებასა"),** ხოლო გვიანდელი – ეფრემთან ("ჰნატრიან **დაფლვასა")**. ამ ადგილის სხვადასხვაგვარმა გაგებამ გამოიწვია კიდევ ერთი განსხვავება ორ ქართულ თარგმანს შორის:

წინაათონურ თარგმანში საუბარია ღვთისმშობლის, **“რომელი-იგი შეიწყნარა ღმერთმა”, ამაღლებაზე,** ხოლო ეფრემთან – ღვთისმშობლის **“ღმრთისშემწყნარებელი გვამის” დაფლვაზე**.

**II, სქ. № 225**

ბერძნულ ტექსტში არის ასეთი ფრაზა: “teich pesountai Iericountia, **τῶν ἐναντίων λέγω** dunamewn ta **δυσμενῆ** ocurwmata“ **(PG 96 col. 744 D 7-8; Kotter 1988:534,21-22).** ეფრემმა ეს წინადადება ასეთნაირად გადმოიღო: “ზღუდენი დაეცნენ იერიქოდსანი, **წინააღმდგომთა ძალთასა** ვიტყჳ, **ბილწებით** შენებულებსა”. რაც შეეხება წინაათონელ მთარგმნელს, მან ბერძნული ტექსტი სხვაგვარად თარგმნა: “დავსცნეთ ზღუდენი იერიქოდსანი, რომელ არიან **მტერთა და წინააღმდგომთა ძალნი” (II, სქ. № 225)**. ეს სხვაობა ამ ორ თარგმანს შორის გამოიწვია ბერძნული ლექსიკური ერთეულის **“ἐναντίων“-ის** ორივე მნიშვნელობის თარგმნამ ეფრემის მიერ: **ἐναντίος-ს** აქვს როგორც **“მოწინააღმდეგის”,** ასევე **“ბილწი”-ს** მნიშვნელობა. რაც შეეხება მეორე ბერძნულ სიტყვას – **“δυσμενῆς”**, ის აღნიშნავს როგორც **“მტრულს”,** ასევე - **“არაკეთილგანწყობილს”**. ვფიქრობთ, აქ უფრო მეტად ქართველი მთარგმნელების არჩევანზე უნდა ვისაუბროთ და არა შეცდომაზე: ეფრემმა დაამძიმა ტექსტი და “იერიქონის ზღუდეები” წარმოადგინა როგორც “**ბილწებით შენებული**”: გამოდის, რომ მან თარგმნა **ἐναντίος-ის** ორივე მნიშვნელობა, არ მოინდომა ამ ორი ბერძნული სიტყვის (**“ἐναντίων“** და **“δυσμενῆς”)** ერთი და იმავე მნიშვნელობის გამეორება (**წინააღმდგომნი ძალნი” და “მტრული”)**. რაც შეეხება წინაათონელ მთარგმნელს, მან, ფაქტობრივად, თარგმნა ამ ორი ბერძნული სიტყვის სინონიმური მნიშვნელობები: **“მოწინააღმდეგე”** და **“მტრული”**.

## წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ჰომილიების ძველი ქართული თარგმანები

### შესავალი

წმ. იოანე დამასკელის **"ღმრთისმშობლის შობის"** ჰომილიის ორი განსხვავებული ბერძნული ტექსტი არსებობს. პირველი ტექსტი გვაქვს სამი ქართული თარგმანით: წმ. ეფთვიმე ათონელის, ეფრემ მცირისა და თეოფილე ხუცესმონაზონის.

**"ღმრთისმშობლის შობის"** მეორე ბერძნული ტექსტის ორი ქართული თარგმანი მოგვეპოვება: წმ. გიორგი მთაწმიდელისა და თეოფილე ხუცესმონაზონის.

**"ღმრთისმშობლის დაძინებისადმი"**[1] მიძღვნილი სამი ბერძნული ჰომილიის ორი თარგმანი გაკეთდა ქართულ ენაზე (6 ტექსტი). ორივე თარგმანი (სამ-სამი ტექსტი) ანონიმურია.

იოანე დამასკელის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი კიდევ ერთი ჰომილიის აქამდე გამოუცემელი ქართული თარგმანი არსებობს: "**ქებაჲ და შესხმაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ, თქუმული წმიდისა იოვანე დამასკელისაჲ, რომელი იკითხვის ყოველთა ოთხშაფათთა**".

**წინამდებარე გამოცემაში შევიდა "ღმრთისმშობლის შობის" 3 ჰომილიის ტექსტი (ორი ბერძნული ტექსტის შესატყვისი ორი ქართული თარგმანი), "ღმრთისმშობლის მიძინების" 6 ჰომილიის ტექსტი (სამი ბერძნული ჰომილიის ორი ქართული თარგმანი) და "ღმრთისმშობლის შესხმის" 1 ტექსტი (ერთობლიობაში 10 ჰომილიის აქამდე გამოუცემელი ტექსტი).**

მიმოვიხილოთ ამ ჰომილიების ძველი ქართული თარგმანები მოღწეული ნუსხების საფუძველზე:

**„ღმრთისმშობლის შობის" პირველი ბერძნული ტექსტი (PG 96, col. 661-681; Kotter 1988:169-182) სამი ქართული თარგმანის სახით არსებობს[2]:**

**1) ეფთვიმე ათონელის თარგმანი,** რომელიც **გამოსაცემად მოვამზადეთ** XIX ს-ის ნუსხის, S 3648-ის (გვ. 1-38) მიხედვით. ეს ტექსტი რომელიღაცა ჩვენამდე ვერმოღწეული ხელნაწერიდან არის გადმოწერილი. ეფთვიმეს თარგმანი ამ ჰომილიის ქართულ თარგმანთა შორის უადრესია: ის

1 „ღმრთისმშობლის გარდაცვალების, ანუ დაძინების" ჰომილიის ძველ ქართულ თარგმანს გამოკვლევაში მოვიხსენიებთ როგორც **„ღვთისმშობლის დაძინების"** ჰომილიას.

2 იხ.: აღწერილობა 1986: 70, №25.

1002 წელს უკვე არსებობდა[3]. მისი სათაურია: "**ლოცვა-ყავთ გლახაკისა ეფთვიმესათჳს, რომელმან ესე საკითხავი ბერძულისაგან წიგნისა ქართულად ვთარგმნე სეკდენბერსა ⱑ. შობაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ. საკითხავი, თქმული ნეტარისა იოანე დამასკელისაჲ შობისათჳს წმიდისა ღმრთისმშობელისა მის ქალწულისა მარიამისა" (დასაწყ.: "მოვედით ყოველნი ნათესავნი და ტომნი და ყოველნი ენანი ძეთა კაცთანი და ყოველი ჰასაკი ყოველთა არსთაჲ")**. როგორც ვხედავთ, სათაურშივე არის ნათქვამია, რომ ეს ტექსტი თარგმნა ეფთვიმემ.

**2) ეფრემ მცირის თარგმანი:** ტექსტი გამოცემულია[4]. მისი სათაურია: **"წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა სიტყუაჲ შობისათჳს ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა" (დასაწყ.: "მოვედით ყოველნი წარმართნი, ყოველნი ნათესავნი კაცთანი, ყოველი ენაჲ და ყოველი ჰასაკი ყოვლისავესთჳს პატივისა...")**.

ამ ტექსტის მთარგმნელად ეფრემ მცირეს ასახელებს Ier. 38-ის ანდერძი: **"ლოცვა-ყავთ, ქრისტეს მოყუარენო, იესჳსთჳს, კჳრიელეჲსონ, ხუცისა, რომლისა ბრძანებითა და წარსაგებელითა ითარგმნა საკითხავი ესე ეფრემისგან ყოვლად მცირისა, ლოცვითა ბერთა ჩუენთაჲთა. [ ], ღმრთისმშობელო, სასოებაო ჴსნისა ჩემისაო, შესაწყალობელი ესე სულითა მიქაელ მჩხრეკალი"( Ier. 38, 16r)**.

ეს თარგმანი დაცულია 17 ხელნაწერში.[5] ნ. გოგუაძის გამოცემაში გამოყენებულია 4 ნუსხის ტექსტი: K 4, H 1347, A 182, Ier. 23.

**3) თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანი:** ეს თარგმანი გამოსაცემად მოვამზადეთ ორი ნუსხის მიხედვით: Ath. 20 (171r-177v, 1081 წ., ლიტ.

3 1002 წელს გადაწერილ Ath 10-ში არსებული იოანე მთაწმიდელის ანდერძი ამ ჰომილიას ასახელებს ეფთვიმეს მიერ თარგმნილ სხვა 30 თხზულებასთან ერთად (ი. ლოლაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, თბ., 1982, გვ. 65). აკად. კ. კეკელიძე ამ ტექსტის მთარგმნელად, აგრეთვე, ასახელებს ეფთვიმე მთაწმიდელს, მაგრამ იქვე მიუთითებს, რომ იგივე ტექსტი დაცულია ქუთ. 4-ში (ძვ. ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ.206; ეტიუდები ძვ. ქართ. ლიტ.-ის ისტ.-იდან, თბ., 1961, გვ. 149). კ. კეკელიძე, ამ ცნობის მოწოდებისას, ეყრდნობა ალ. ცაგარელს (А. Цагарели, Сведения, I, 57). 1986 წელს გამოსულ "ძველ ქართულ მეტაფრასულ კრებულებში" ქუთ. 4-ის მიხედვით გამოქვეყნებული ამ ჰომილიის ეფრემ მცირისეული თარგმანის გამომცემელი, ნ. გოგუაძე, სწორად აღნიშნავს, რომ ქუთ. 4-სა და S 3648-ში არსებული ტექსტი ერთი და იგივე არ არის: S 3648-ის ტექსტი ეფთვიმეს თარგმანია, ხოლო ქუთ. 4-ისა – არა. ქ. სალაღაიამ Ier. 38-ზე დართული ანდერძის მეშეობით დააზუსტა, რომ ქუთ. 4-ის ტექსტი, მართლაც, ეფრემ მცირის თარგმანია (სალაღაია 1998:22). ანდერძის ტექსტი ქვემოთ მოგვაქვს Ier. 38-ის მიხედვით.

4 გოგუაძე 1986 : 115-125.

5 იხ. სალაღაია 1998 : 22.

A) [თეოფილე ხუცესმონაზონის ავტოგრაფი][6] და H 1760 (1r-7r, XV ს., ლიტ. H). მისი სათაურია: **"თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ხუცესმონაზონისა ჩუენისა იოანე დამასკელისაჲ შობისათჳს ყოვლადწმიდისა უხრწნელისა, უფროჲსად კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. გუაკურთხენ!" (დასაწყ.: "მოვედით უკუე ყოველნი ტომნი, ყოველნი თესლნი და ყოველნი ნათესავნი კაცთანი, ყოველი ენაჲ და ყოველი ჰასაკი და ყოველივე პატივი და წესიერებაჲ, და სიხარულით ვდღესასწაულობდეთ სახარულევანსა მას შობასა ღმრთისმშობელისასა").**

**"ღმრთისმშობლის შობის" მეორე ჰომილიის ბერძნული ტექსტის (PG 96, col. 679-698) ორი ქართული თარგმანი მოიპოვება:**

**1) წმ. გიორგი მთაწმიდელის თარგმანი.** თარგმანი გამოცემულია[7]. მისი სათაურია: **"თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა თეოდორე აღმსარებელისა, სტუდიელთა წინამძღურისაჲ, შობისათჳს ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისა"[8] (დასაწყ.: "ბრწყინვალედ დღესასწაულობს დღეს დაბადებული, რომელსა მოუგიეს ახლად ცად ქალწული ყოვლადქებული, რამეთუ ჩჩჳლად იშვა ქუეყანასა ზედა...").**

ამ ჰომილიის ავტორად სათაურში დასახელებულია თეოდორე სტუდიელი, მაგრამ ქვემოთ წარმოდგენილ ამავე ჰომილიის თეოფილისეულ თარგმანს ავტორად მითითებული ყავს იოანე დამასკელი[9]. იოანე დამასკელის სახელით არის შეტანილი ეს ჰომილია მინისა და ლეკვიენის **(Lequien-Migne)** გამოცემაში[10]**.** რაც შეეხება "Clavis Patrum Graecorum"-ს (BHG), ის იქ დამასკელის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ჰომილიათა შორის არ არის დასახელებული[11], არამედ შეტანილია ფსევდოდამასკელისეულ ჰომილიათა რიცხვში, როგორც თეოდორიტე სტუდიელის ჰომილია[12]. არც კოტერია ბოლომდე დარწმუნებული, რომ შობის ეს ჰომილია დამასკელს ეკუთვნის. მას მოაქვს იოანე დამასკელის

6 ტექსტის ბოლოს არის ორი მინაწერი იხ.: აღწერილობა 1986:70.

7 გოგუაძე 1986 : 102-114.

8 ნ. გოგუაძის მიხედვით, ამ ჰომილიის "მთარგმნელი უცნობია" **(გოგუაძე 1986:505)**. ე. გაბიძაშვილი თავის ბიბლიოგრაფიულ ნაშრომში ჰომილიის მთარგმნელად ასახელებს წმ. გიორგი მთაწმიდელს **(გაბიძაშვილი 2009 : 447, №1642)**. A 182-ში, K 4-სა და Ier. 23-ში დაცულ ამ ჰომილიის მთარგმნელის ვინაობა არ არის დასახელებული ათონური კოლექციის 1986 წლის აღწერილობაში **(იხ.: გვ. 70, №26)**.

9 **"მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე დამასკელისაჲ საკითხავი შობისათჳს ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, გუაკურთხენ, მამაო".**

10 **PG 96, col. 679-698.**

11 **Clavis III, 1979:519.**

12 **Clavis III, 1979:532.**

ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი შობის ჰომილიის სხვადასხვა გამომცემლის არგუმენტები ამ ვერსიის სასარგებლოდ და, პირიქით, საწინააღმდეგოდ[13]. თავის გამოცემაში კოტერმა ეს ჰომილია არ შეიტანა.

**2) თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანი.** ეს თარგმანი გამოსაცემად მოვამზადეთ შემდეგი ნუსხების მიხედვით: **Ath. 20 (1081 წ. 178r-184r; ლიტ. A); H 1760 (XV ს. 311r-321v; ლიტ. H).** მისი სათაურია: **"მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე დამასკელისაჲ საკითხავი შობისათჳს ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა და მარადისქალწულისა მარიამისა, გუაკურთხენ, მამაო!" (დასაწყ.: "ბრწყინვალედ დღესასწაულობენ დღეს დაბადებულნი და ახლად ცად ქალწულსა მიიღებენ. ქალწული იშვა დღეს ქუეყანასა ზედა...")**, ხოლო ბოლოში ტექსტს მიწერილი აქვს მთარგმნელის ვინაობა: **"ლოცვა-ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, ცოდვილისა თეოფილ©სთჳს, რეცა თარგმანისა" (Ath. 20, 184r)**[14].

ათი გამოუცემელი ჰომილიიდან ექვსი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის **"ღმრთისმშობლის მიძინების"** სამი ბერძნული ტექსტის ორი ქართული თარგმანი. მკვლევარმა ქეთევან სალადაიამ თავის საკვალიფიკაციო ნაშრომში შეისწავლა ეს ჰომილიები მთარგმნელობითი მეთოდის თვალსაზრისით და დაასკვნა, რომ ერთი თარგმანი წინაათონურ პერიოდს განეკუთვნება და მისი მთარგმნელის ვინაობის დადგენა ვერ ხერხდება[15], ხოლო მეორე თარგმანის ანონიმი მთარგმნელი უნდა იყოს შავი მთის ცნობილი მოღვაწე, ეფრემ მცირე[16]. ვეთანხმებით მკვლევრის

13 **Kotter 1988:149-150.**

14 ქ. სალაღაია ღვთისმშობლის შობის ამ ჰომილიას საერთოდ არ ეხება თავის კვლევაში **(სალაღაია 1998 : 23).** Ath. 20-ის ტექტზე საუბრის დროს მას თეოფილესეული თარგმანის მიმოხილვისას მხედველობაში აქვს შობის ჰომილია დასაწყისით: **"მოვედით უკუე ყოველნი ტომნი, ყოველნი თესლნი და ყოველნი ნათესავნი კაცთანი, ყოველი ენაჲ და ყოველი ჰასაკი და ყოველივე პატივი და წესიერებაჲ, და სიხარულით ვდღესასწაულობდეთ სახარულევანსა მას შობასა ღმრთისმშობელისასა" (171r-177v)** და არა შობის ამ მეორე ჰომილიის თეოფილესეული თარგმანი დასაწყისით: **"ბრწყინვალედ დღესასწაულობენ დღეს დაბადებულნი და ახლად ცად ქალწულსა მიიღებენ. ქალწული იშვა დღეს ქუეყანასა ზედა..." (Ath. 20, 178r-184r).** ე. გაბიძაშვილს თავის ბიბლიოგრაფიაში ეს ჰომილია შეტანილი აქვს დამასკელის ავტორობით, თუმცა აღნიშნავს, რომ ზოგიერთ ხელნაწერში ავტორად თეოდორე სტუდიელი სახელდება **(გაბიძაშვილი 2009 : 449, №1649).**

15 ქ. სალაღაია ამ რედაქციის წინაათონურობას ასკვნის იმაზე დაყრდნობით, რომ მისი მეორე ჰომილიის ერთი ფრაგმენტი 57-ე საკითხავის სახით შესულია კლარჯულ მრავალთავში, იხ.: სალაღაია 2008:107-108; 2009:182.

16 ჰომილიის ამ რედაქციას ეფრემ მცირისეულ თარგმანად მიიჩნევს ქ. სალაღაია შემდეგ მოცემულობებზე დაყრდნობით: მეორე ჰომილიაში, მეთვრამეტე თავში, დამოწმებულია მოზრდილი მონაკვეთი, ე. წ. "თხრობაჲ ევთჳმიანი"-დან, ანუ ევთვიმის ისტორიიდან, კერძოდ, ამ თხზულების მესამე საკითხავის მე-40 თავი. თავის მხრივ, ამ ნაწყვეტში ჩართულია ვრცელი ამონარიდი ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებიდან "საღმრთოთა სახელთათჳს". ეს თხზულება ეფრემ მცირის თარგმანია და საერთო მონაკვეთი მეორე რედაქციის მეორე ჰომილიასა

დასკვნებს და ამ თარგმანებს ჩვენს გამოცემაში მოვიხსენიებთ როგორც "წინაათონურსა" და "ეფრემ მცირისეულს". წინაათონურ სამივე ჰომილიას ერთი და იგივე სათაური აქვს: "**გარდაცვალებისათჳს წმიდისა ღმრთისმშობელისა" (დასაწყ.: I – "ჴსენებაჲ მართლისაჲ ქებით აღესრულების, ვითარცა თქუა სოლომონ ბრძენმან..."; II – "ვინმე უკუე კაცთაგანმან შესძლოს ქებად გარდაცვალებაჲ ქალწულისა ღმრთისმშობლისაჲ, ვითარ-იგი ღირს არს..."; III – "რამეთუ ჩუეულებაჲ ტრფიალთაჲ მათ ესე არს, რაჲთა მარადის საყუარელი იგი მათი იჴსენებოდის მათ წინაშე...").**

ეფრემ მცირის მიერ თარმნილი ღვთისმშობლის დაძინების ჰომილიების სათაურებია:

**1) წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისაჲ სიტყუაჲ შესხმისაჲ დაძინებასა უმეტესად კურთხეულისა წმიდისა ქალწულისა და ყოვლადუბიწოჲსა ღმრთისმშობელისა მარიამისსა, მამაო, გუაკურთხენ! (დასაწ.: "ჴსენებაჲ მართლისაჲ ქებით იქმნების, იტყჳს ბრძენი სოლომონ...").**

**2) წმიდისა და ღმრთივგანბრძნობილისა მამისა ჩუენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისაჲ სიტყუაჲ შესხმისაჲ დაძინებასა წმიდათა უზეშთაესისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადისქალწულისა მარიამისა (დასაწ.: "არს უკუე კაცთაგანი არცა ერთი, რომელმანცა ღირსებით შემკობად უძლო დიდებულსა მიცვალებასა დედისა ღმრთისასა...").**

**3) წმიდისა და ღმრთივგანბრძნობილისა მამისა ჩუენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისაჲ, სიტყუაჲ შესხმისაჲ დაძინებასა ყოვლადდიდებულისა წმიდათა უზეშთაესისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა (დასაწ.: "ჩუეულებაჲ არს, ვისსამე მიმართ მქონებელთა ტრფიალებისათაჲ, რაჲთა მარადის ენასა ზედა მოაქუნდეს სასურველი იგი...")**

**წინაათონური თარგმანის სამივე ტექსტი გამოსაცემად მოვამზადეთ შემდეგი ორი ნუსხის მიხედვით: Ier. 2 (XI ს., 1r-22v, ლიტ. D); Ier. 148 (XI-XII სს, 212-287, ლიტ. E).**

ძირითად ტექსტად აღებული გვაქვს Ier. 2-ის ტექსტი. ტექსტი Ier.

---

და "საღმრთოთა სახელთათჳს"-აში არსებული ტექსტისა ემთხვევა ერთმანეთს უმნიშვნელო ვარიანტული სხვაობებით, რასაც ერთი და იმავე მთარგმნელის მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული თარგმანით ხსნის ქ. სალაღაია. გარდა ამისა, ქ. სალაღაიას აზრით, ამ რედაქციის ენობრივ-სტილისტური მახასიათებლებიც მიანიშნებს, რომ თარგმანი ეფრემ მცირეს ეკუთვნის (ვრცლად ამის შესახებ იხ.: სალაღაია 2009; მისივე 2006; მისივე 2007).

2-ში ნაკლულია: აკლია პირველი საკითხავის მე-11-14 და მეორე საკითხავის 1-2 თავები. ამ ნაკლულ მონაკვეთს აღვადგენთ Ier. 148-ის ტექსტით, რომელიც ძალიან ძნელად იკითხება უხარისხო ფოტოს გამო; ამიტომ აღდგენილ მონაკვეთში არის მცირე ხარვეზები. ეს ფოტო დაზიანებულიცაა – ტექსტის გარკვეული მონაკვეთები მასაც აკლია (მეორე ჰომილიის მე-2 თავში 13 სტრიქონი საერთოდ არ იკითხება; გარდა ამისა, ამ ნუსხას თითო ფურცელი აკლია მესამე ჰომილიის მე-3 და მე-5 თავებში).

**ეფრემისეული თარგმანის სამივე ტექსტი გამოსაცემად მოვამზადეთ შემდეგი ნუსხების მიხედვით: H 1347 (XI-XII სს, 377r-402v, ლიტ. A); Ier. 23 (XII-XIII სს., 392r-406v, ლიტ. B); Ier. 38 (XIII-XIV სს., 380v-417v, ლიტ. C).**

ხელნაწერი Ier. 23 ბოლონაკლულია - აკლია 404r-დან მეორე ჰომილიის ბოლო ნაწილი (მე-13-19 თავები) და მესამე ჰომილია მთლიანად.

ღვთისმშობლის დაძინების სამი ბერძნული ჰომილიის ტექსტის გამოსაცემად მომზადებისას ვისარგებლეთ შემდეგი ბერძნული გამოცემებით:

**I - PG, 96, col. 700-721; II - PG 96, col. 721-753; III - PG 96, col. 753-761.**

**I - Kotter 1988:483-500; II - Kotter 1988:516-540; III - Kotter 1988:548-555.**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს იოანე დამასკელის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი კიდევ ერთი ჰომილიის აქამდე გამოუცემელი ქართული თარგმანი: "**ქებაჲ და შესხმაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ, თქუმული წმიდისა იოვანე დამასკელისაჲ, რომელი იკითხვის ყოველთა ოთხშაფათთა"**[17] **(დასაწყ.: "ყოვლადწმიდაო, დიდებულო, კურთხეულო, უხრწნელო და ყოველთა ნათესავთაგან სანატრელო ღმრთისმშობელო!..")**. ამ ჰომილიის გამოსაცემად მომზადებისას ძირითად ტექსტად ავიღეთ XI ს-ის (1035 წ.) **A 135 (250 r-254 v).** აღმოჩნდა, რომ ამავე ჰომილიის XVIII ს-ის ნუსხის, **A 1352-ის** (97r-102r) წაკითხვები ხშირად უფრო სწორია, ვიდრე A 135-ისა (ასეთ შემთხვევებში A 1352-ის წაკითხვებს, ცხადია, ვათავსებთ ძირითად ტექსტში). როგორც ჩანს, A 135-ის გარდა, არსებობდა ამ ჰომილიის შემცველი რომელიღაცა ძველი ნუსხა, საიდანაც არის გადაწერილი XVIII ს-ის A 1352. ამ ხელნაწერის აღწერილობაში ეს საკითხავი **("ქებაჲ და შესხმაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ")** გამორჩენილია და ცალკე ერთეულად არ არის გატანილი[18].

არსებობს ამ ტექსტის შემცველი კიდევ ერთი, XIX-XX საუკუნეების

17 იხ.: გაბიძაშვილი 2009 : 444, №1626.

18 იხ. აღწერილობა 1954 : 439.

ნუსხა **(A 1640)**, რომელიც მოსე ჯანაშვილმა გადაწერა **ყოფილი საეკლესიო მუზეუმის კოლექციის ხელნაწერ №86-დან და A 135-დან**. ეს ნუსხა (A 1640) შეიცავს 88 ფურცელს (1r-88v) და მასში შედის №86-დან გადაწერილი ორი ტექსტი: "იაკობის წირვა" (1r-81v) და "შეწირულობის წიგნი" (82v-84r), ხოლო A 135-დან გადაწერილია მხოლოდ ერთი ტექსტი: "**ქებაჲ და შესხმაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ, თქუმული წმიდისა იოვანე დამასკელისაჲ**" (85r-88v)[19]. იოანე დამასკელის ამ ჰომილიის ჯანაშვილისეული გადმონაწერი ზუსტად მისდევს A 135-ის ტექსტს.

A 135-ს დართული აქვს ვრცელი ანდერძი (255r), რომელშიც ნუსხის მომგებელად დასახელებულია **დავით ჯიბისძე,** ერთ-ერთ გადამწერად – მისი ძმისშვილი - **ივანე ჯიბისძე**. ამ ანდერძის რამდენიმე ხაზი (მომგებელისა და ერთ-ერთი გადამწერის სახელებით) დართული აქვს A 1640-საც იმ ნაწილზე, სადაც მთავრდება ღვთისმშობლის შესხმის ტექსტი. ეს გარემოება, ტექსტოლოგიური კვლევით მიღებულ მასალასთან ერთად, კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის A 1640-ში არსებული ჰომილიის უშუალო მომდინარეობას A 135-დან.

1035 წლის A 135 შეიცავს ბასილი დიდის **"ფსალმუნთა თარგმანებას"** (1v-249v). ამ 255 ფურცლიან ნუსხაში, გარდა ფსალმუნთა თარგმანებისა, შეტანილია მხოლოდ ერთი საკითხავი – იოანე დამასკელის ჩვენთვის საინტერესო ჰომილია: **"ქებაჲ და შესხმაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ"** (250r-254v). ნუსხის მომგებლის ვრცელ ანდერძზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ მიზეზი იმისა, თუ რატომ შეიტანა მან "ფსალმუნთა თარგმანების" ხელნაწერში ძირითადი ნაწილისაგან ეს თემატურად განსხვავებული საკითხავი: დავით ჯიბისძეს სურდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ეს ნუსხა დაედოთ "შატბერდს, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა". ანდერძს დავით ჯიბისძე ასე ასრულებს: "ვინ ესე წიგნი ამას ეკლესიასა გამოაჭუას, წმიდაჲცა ღმრთისმშობელი არს მოსაჯული მის და არსმცა ცოდვათა ჩემთა მზღველი წინაშე ღმრთისა"[20].

ჩვენ ვერ მივაგენით ამ საკითხავის ბერძნულ დედანს იოანე დამასკელის PG-ს 96-ე ტომში გამოქვეყნებულ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ჰომილიათა შორის (col. 643-761). არც Clavis Patrum Graecorum-ის გამომცემელი ასახელებს იოანე დამასკელის თხზულებათა შორის ამგვარი ჰომილიის ბერძნულ ტექსტს[21].

არც ის ვიცით, თუ რომელი ხელნაწერიდან გადააწერინა დავით ჯიბისძემ იოანე დამასკელის ეს საკითხავი. ნაკლებად სავარაუდოა, რომ

19 იხ.: აღწერილობა 1955 : 140-141.

20 ანდერძი გამოქვეყნებულია. იხ.: მეტრეველი 1959 : 102-104. ანდერძი სრული სახით წარმოდგენილია, აგრეთვე: აღწერილობა 1976 : 157-158.

21 Clavis Patrum Graecorum, III, CVRA et Studio Mavritii Geerard, Brepols-Turnhout, 1979, p. 511-536, №№8040-8127.

მას შეიცავდა იგივე ნუსხა, საიდანაც გადაიწერეს A 135-ის დანარჩენი, ძირითადი ნაწილი, კერძოდ, ფსალმუნთა თარგმანება.

ნაკლებად სავარაუდოა ისიც, რომ შატბერდის მონასტერში მოღვაწე დავით ჯიბისძე, რომელიც ტაო-კლარჯეთის სამწიგნობრო ცენტრის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელია და რომელმაც XI ს-ის 50-იანი წლებიდან თავისი საქმიანობა შავ მთაზე გააგრძელა[22], რომელიმე უსათაურო საკითხავს თვითნებურად მიაწერდა იოანე დამასკელს, ხოლო მის თარგმანს – ეფთვიმე ათონელს. შესაძლოა, ამ საკითხავის ქართული თარგმანის ბერძნული დედანი დაკარგულია და ამ შემთხვევაშიც მეორდება ის, რაც არაერთხელ მომხდარა ქართული და ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში, კერძოდ, თარგმანმა შემოგვინახა დაკარგული ბერძნული ტექსტი. ამ ვარაუდს ისიც უჭერს მხარს, რომ XVIII ს-ის A 1352-შიც, რომლის დედნად ჩვენ არა A 135-ს, არამედ რომელიღაც სხვა ნუსხას ვვარაუდობთ, ჰომილიის ავტორად იოანე დამასკელი, ხოლო მთარგმნელად ეფთვიმე ათონელი არიან დასახელებულნი.

22 იხ.: მეტრეველი 1959:95.

## თავი I

## წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლის შობის პირველი ჰომილიის ორი ქართული თარგმანის ურთიერთმიმართება და მიმართება ბერძნულ წყაროსთან

წინამდებარე თავში აისახა ის სამუშაო, რომელიც ჩავატარეთ წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლის შობის პირველი ჰომილიის ორი ქართული თარგმანის (ეფთვიმე ათონელისეული და თეოფილე ხუცესმონაზონისეული) ბერძნულ წყაროსთან შედარების კუთხით. შედარების საფუძველზე გაჩნდა იმის შესაძლებლობაც, რომ ვისაუბროთ ღვთისმშობლის შობის პირველი ჰომილიის შემცველი ზემოთ დასახელებული ორი ქართული თარგმანის ურთიერთმიმართებასა და ორი მთარგმნელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ. ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდი საკმაოდ კარგად არის შესწავლილი და ჩვენ მიერ მოპოვებული მასალაც მხარს უჭერს ამ საკითხზე მომუშავე მკვლევართა დასკვნებს. რაც შეეხება თეოფილე ხუცესმონაზონს, მისი მთარგმნელობითი მეთოდი ნაკლებად არის მოქცეული მკვლევართა ყურადღების სფეროში და, ვფიქრობთ, ქვემოთ მოტანილი მასალა ნაწილობრივ მაინც შეავსებს ამ ხარვეზს.

შესაძლებლობა გვქონდა გამოგვეყენებინა იოანე დამასკელის შესასწავლი ჰომილიის ბერძნული ტექსტის შემდეგი გამოცემები:

1) Patrologiae, Cursus Completus, Omnium SS. Patrum, Doctorum Scriptorumque Ecclesiasticorum, Sive Latinorum, Sive Graecorum, Accurante J. –P. Migne, Bibliothecae Cleri Universae, Patrologiae Graecae, Tomus 96,Brepols – Turnhout, 1976, S. Joannis Damasceni **(PG 96, col. 661-681)[1].**

2) Die Schriften des Johannes von Damaskos, herausgegeben von Byzantinischen Institut der Abtei Scheiern, V, Opera Homiletica et Hagiographica, besorgt von P. Bonifatius Kotter O.S.B., Walter de Gruyter. Berlin, New York, 1988 **(Kotter 1988:169-182)[2].**

კოტერის გამოცემაში გათვალისწინებულია იოანე დამასკელის განსახილველი ჰომილიების დღევანდლამდე მოღწეული ბერძნული ტექსტის შემცველი 100-მდე ნუსხა.[3]

1 Iwannou tapeinou Damaskhnou monacou kai presbuterou, logo~ ei~ to geneqlion th~ uperagia~ Despoinh~ hmwn Qeotokou kai Aeiparqenou Maria~.

2 Iwannou, tapeinou monacou kai presbuterou Damaskhnou, logo~ ei~ to geneqlion th~ agia~ Qeotokou Maria~.

3 იხ.: Kotter 1988: 465-469; 474; 482.

შევეცადეთ, სისტემური სახე მიგვეცა ქართული მასალის ბერძნულ ტექსტთან შედარების შედეგებისათვის და, შეძლებისდაგვარად, გამოგვეყო ის კატეგორიები, რომლებშიც მოთავსდებოდა მიძინების ჰომილიის სათარგმნი წყაროსაგან ორივე თარგმანის გადახვევის შემთხვევები, ასევე, განსხვავებები ამ ორ ქართულ თარგმანს შორის. თითოეული თარგმანის ფარგლებში სამივე ჰომილიის მასალას ერთად წარმოვადგენთ.

## 1. ღვთისმშობლის შობის პირველი ჰომილიის წმ. ეფთვიმე ათონელისეული ქართული თარგმანის მიმოხილვა

როგორც ზემოთ მოტანილი მასალიდან ჩანს, ეფთვიმე ათონელი იმავე მეთოდით თარგმნის წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლის შობისადმი მიძღვნილ ჰომილიას, რაც მისთვის ზოგადად არის დამახასიათებელი – კერძოდ, თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით. ამ მეთოდის ფარგლებში იგულისხმება ტექსტის **გავრცობა-შემოკლება**[4]. თვით ეს გავრცობა-შემოკლება რა მიზანს ემსახურება, კარგად გამოჩნდა შედარების შედეგად მიღებული მასალის გაანალიზებისას. ეს მასალა შესაძლებლობას გვაძლევს წმ. ეფთვიმე ათონელი სხვადასხვა კუთხით დავინახოთ და შევაფასოთ. პირველ რიგში, ცხადია, უნდა ვისაუბროთ ღრმა მოაზროვნეზე, რომელიც სრულად ფლობს საეკლესიო-სა-ღვთისმეტყველო ცოდნას, იქნება ეს წმიდა წერილი თუ ეკლესიის ისტორია. მაგრამ მხოლოდ ცოდნის მადალი დონე არ ჩანს ეფთვიმესეულ ჩარევებში – ჩანს მისი დამოკიდებულებაც და შეფასებაც დედანში გადმოცემული ამბებისა, სურვილი, ტექსტის დაზუსტებისა და იმ შედეგზე საუბრისა, რომელიც შეიძლება მოყვეს აღწერილ მოვლენას. შევეცდებით, კონკრეტული მაგალითებით დავასაბუთოთ ეფთვიმე ათონელის შესასწავლი თარგმანის ჩვენეული შეფასება.

ძალიან საინტერესოდ დაუკავშირა ეფთვიმე ათონელმა ძველი აღთქმის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი, პატრიარქი მოსე წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ჰომილიის მთავარ თემას, კერძოდ, ღვთისმშობლის შობის მნიშვნელობას. იოანე დამასკელი ხოტბას ასხამს იოაკიმესა და ანას და ამბობს, რომ ბუნება ამ ორი ადამიანის მოვალეა, რადგან მათ შვეს მაცხოვრის დამბადებელი. ეფთვიმე ათონელმა ამ ადგილს დაუმატა ხაზგასმული ფრაზა, რომელიც არ არის არც ბერძნულ წყაროში **(PG 96 col. 664, A 15; Kotter 1988:170,12),** და არც დანარჩენ ორ ქართულ თარგმანში (ეფრემისა და თეოფილე ხუცესმონაზონის): "ბუნებაჲ თქუენგან თანამდებ

4 კეკელიძე 1980; 191-192, 253-254; კეკელიძე 1956 : 186; კეკელიძე 1945 : 265.

, **ვითარცა მოსეს ხისაგან" (სქ. № 22)**[5]. ეს პარალელი მოსესა და ღვთისმშობლის მშობლებს შორის ეფთვიმემ, სავარაუდოდ, გაავლო იმ უმნიშვნელოვანესი მოვლენის გამო, რაც იყო, ერთი მხრივ, მოსეს მიერ ებრაელების ეგვიპტიდან გამოყვანა და, მეორე მხრივ, მაცხოვრის შობა იოაკიმესა და ანას ასულის, მარიამისაგან.

ეფთვიმე ათონელი თავის თარგმანებში უკომენტაროდ არ ტოვებს ისეთ პასაჟებს, რომლებიც, შესაძლოა, გაუგებარი დარჩეს მკითხველისათვის. ამის ერთ-ერთი მაგალითი განსახილველი თარგმანიდან არის წმ. იოანე დამასკელის მიერ **"უთავონებ"-ზე** საუბარი **(ბერძნ.: Ἀκέφαλοὶ PG 96 col. 664 D 5; Kotter 1988:171,9).** ეფთვიმე წერს: "ბორგნეულ იქმნენ და განჩემებულ უთავონი იგი **და მრავალგესლოვანნი იაკობნი" (სქ. №44)**. თავისი დამატებული ხაზგასმული ფრაზით ეფთვიმემ ნათელი გახადა მკითხველისათვის, თუ ვინ იგულისხმება **"უთავონებში"**, კერძოდ, ეგვიპტელი მონოფიზიტები, რომელთაც მოგვიანებით **"იაკობიტებადაც"** მოიხსენიებდნენ **(იხ. სალაღაია 2008:29-30).**

ეფთვიმე ათონელი არა მხოლოდ წმიდა წერილსა და საეკლესიო ისტორიას იშველიებს. ის მკითხველს ემოციური ხასიათის წიაღსვლებსაც სთავაზობს და ამ გზით ამა თუ იმ მოვლენის მნიშვნელობას ზრდის ან მის მოსალოდნელ შედეგს აზუსტებს. ძალიან ლოგიკური დასკვნა გააკეთა ეფთვიმემ წმ. იოანე დამასკელის ნათქვამიდან, რომ **ადამიანს აქვს უნარი, წარმართოს თავისი ცხოვრება** - და ეს დასკვნა ბერძნულ ტექსტზე **(PG 96 col. 661 C 12; Kotter 1988:169,18-170,19)** დამატებული ფრაზით ასე გადმოსცა: "უკუეთუ კაცი ... არს ... შეცვულ ხილვითა და უხილავითა და განაგებს მას ზრახვითა თჳსითა, **რავდენ არა უფროჲს განაგოს ცხორებაჲ ჩუენი მხოლომან მან? (სქ. №17). ე. ი. ჩვენი ცხოვრების გეზის განსაზღვრა კიდევ უფრო მეტად ძალუძს უფლის ძეს**.

ღვთისმშობლის დიდებულ შობაზე საუბრისას, წმ. იოანე დამასკელი, სხვა გრძნობებთან ერთად, ახსენებს ამ უჩვეულო მოვლენით გამოწვეულ შიშსაც. თეოფილე და ეფრემი მეტ-ნაკლები სიზუსტით თარგმნიან ბერძნულ ტექსტს **(ὑποχωρείτω ὁ φόβος PG 96 col. 664 C 5; Kotter 1988:170,25-171,27)** და ამბობენ, რომ შიში დაიძლია: **"ივლტოდენ შიში, ანუთუ კნინ-ოდენ განეშორენ" (თეოფ.), "ადგილ-სცემდინ შიში" (ეფრ., გოგუაძე 1986:116,27),** ხოლო ეფთვიმე ამატებს ტექსტს რამდენიმე სიტყვას და განმარტავს, თუ რა გზით იქნა დაძლეული შიში, კერძოდ, შიში განდევნა ყოვლისმომცველმა ("სრულმა") სიყვარულმა: "შიში და

5 მოტანილი გვაქვს მაგალითები წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლის შობის პირველი ჰომილიის წმ. ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის ტექსტის ბერძნულ წყაროსთან შედარების შედეგად გაკეთებული შენიშვნებიდან (შენიშვნ. I, დანართი I): აქ და ქვემოთ ყოველ მაგალითთან ვუთითებთ გამოცემულ ტექსტზე დართული ჩვენეული სქოლიოს ნომერს არაბული ციფრით.

სურვილი განყოფილ არიან ჩემ ზედა..., რამეთუ **სრულმან სიყუარულმან** გარე განდევნის შიში" **(სქ. №36)**.

ბერძნულ ტექსტში **(PG 96 col. 677 C 2-3; Kotter 1988:181,5)**, სახარებაზე დაყრდნობით **(ინ. 10,16; ინ. 5,4),** საუბარია იმ სასწაულზე, რაც წელიწადში ერთხელ ხდებოდა იერუსალიმში, კერძოდ, **"ცხოვართა საბანელსა მას ტბაში"**[6]**;** ამ ტბაში წელიწადში ერთხელ **"გარდამოვიდოდა"** ანგელოზი, აამრღვევდა წყალს და ვინც პირველი შევიდოდა ამრღვეულ წყალში, განიკურნებოდა სნეულებისაგან. სწორედ ამ კონტექსტში ამატებს ეფთვიმე ფრაზას: "**და აჩუენებდ სასწაულსა მიუწუდომელსა" (სქ. №176)** და ამით მცირე კომენტარს უკეთებს ამ სახარებისეულ პასაჟს – ღმრთის ანგელოზის მიერ სნეულის განკურნებას უწოდებს **"მიუწუდომელ სასწაულს"**.

ერთგან, სადაც ჰომილიის ავტორი, წმ. იოანე დამასკელი, აღავლენს ხოტბას ღვთისმშობლისადმი **(PG 96 col. 677 D 6; Kotter 1988:181,16),** ეფთვიმე მთაწმიდელი, მისთვის ჩვეული მეთოდით, კიდევ უფრო ხატოვანს ხდის ამ ადგილს თავისი მიმატებული რამდენიმე სიტყვით და მარიამის თითქოს ერთმანეთის გამომრიცხავი თვისებებით ხაზს უსვამს მისი ბუნების სიღრმეს: "ვითარ მოვასწავო სიწმიდით და ღირსებით შემკული პირი შენი, **გული მხიარული და გუნებაჲ მჭმუნვარე" (სქ. №182)**.

ბერძნული ფრაზა **Θεοῦ μητέρα ἀπειράνδρου** (**PG 96 col. 669 A 7; Kotter 1988:174,3-4)** თეოფილე ხუცესმონაზონმა და ეფრემმა უცვლელად გადმოიღეს თავიანთ თარგმანებში: **"დედაჲ ღმრთისაჲ უქორწინებელი" (თეოფ.), "ქმრის გამოუცდელი დედაჲ ღმრთისაჲ" (ეფრ.; გოგუაძე 1986:119,5),** ეფთვიმე კი, დამატებული ფრაზებით, საუბრობს იმ შედეგებზე, რაც მოყვა ამ შობას, კერძოდ: იოაკიმემ და ანამ უშვეს სოფელს **"სიხარული მოუკლებელი",** რომელიც გახდა **"განმაცხოველებელი ყოვლისა სოფ-ლისაჲ":** "უშევით სოფელსა **სიხარული მოუკლებელი,** რომელმან შვა ღმერთი უთესლოდ, **განმაცხოველებელი ყოვლისა სოფლისაჲ (სქ. №101)**.

ძალიან ჰგავს წინა შემთხვევას კიდევ ერთი ადგილი ეფთვიმეს თარგმანში, კერძოდ: "ყრმაჲ იესუ, ... **მზრდელი ყოვლისა სოფლისაჲ და მამაჲ მერმეთა მათ საუკუნეთაჲ" (სქ. №156)**. ხაზგასმული ფრაზა არ არის ბერძნულ ტექსტში **(PG 96 col. 676C 9; Kotter 1988:180,43)** და არც

6 „გიხაროდენ, პროვატიკეო, ოდესმე საბანელო იოვაკიმის ცხოვართაო" (Ath. 20, 176v); „გიხაროდენ, პროპატიკეო, რომელ პირველ იყავ სადგურ ცხოვართა იოვაკიმისთა" (S 3648,33-34). Cairoi~, probatikh, twn tou Iwakeim probatwn (PG 96 col. 677 C 2-3; Kotter 1988:181,5).

თეოფილესა და ეფრემის თარგმანებში **(გოგუაძე 1986:123,4)**. ეფთვიმე ამ შემთხვევაშიც, ტექსტზე დამატებული მოზრდილი მონაკვეთით ძველი ადთქმიდან (ეს. 9,6), საუბრობს იმ შედეგზე, რაც მოყვა მარიამის მიერ იესოს შობას (შდრ. სქ. **№**87; სქ. **№248)**.

წმ. ეფთვიმე ათონელი, რომელიც ბიზანტიური მწერლობის ღრმა ცოდნის საფუძველზე ხშირად ვრცელი და ღრმა კომენტარებით ანებივრებს ქართველ მკითხველს, არც თითქოს უმნიშვნელო განმარტებებს, ერთი შეხედვით თუნდაც ძალიან მცირე დაზუსტებებს, უვლის გვერდს. ამის მაგალითია მის მიერ ბერძნული " **ἐκ τῆς ᾳἱυῆς φὐσεως"-ის (PG 96 col. 664 C 14; Kotter 1988:171,5) - "ბუნებისაგან ქუეყნიერისა" [თეოფ.], "მიწიერისაგან ბუნებისა" [ეფრ.; გოგუაძე 1986:116,34]** - ჩანაცვლება სიტყვებით: "**ბუნებისაგან ქალწულისა" (სქ. №41)**. ტექსტში საუბარია იმაზე, რომ სოფლად ხორცით შემოვიდა უფლის ძე და **ქვეყნიური, ნივთიერი** ბუნებისაგან **(τῆς ᾳἱυῆς φὐσεως)** შეიქმნა **"ქუეყანისა ცაჲ"**. როგორც ვხედავთ, ეფთვიმემ დააზუსტა, რომ **ქვეყნიურ, მიწიურ** ბუნებაში ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგულისხმება **"ქალწულის ბუნება",** რადგან მაცხოვარი ქალწულისაგან იშვა. ამით, ვფიქრობთ, ეფთვიმემ მეტი მნიშვნელობა, ფასი და კონკრეტიკა შესძინა **"ქუეყანის ცის"** შექმნას.

ეფთვიმემ თავის თარგმანში დააზუსტა, თუ რა შეიძლება გვეგულისხმა წმ. იოანე დამასკელის **οἰκονομικῶς-ში (PG 96 col. 665 C 5-6; Kotter 1988:172,37).** ეს სიტყვა თეოფილემ და ეფრემმა ბერძნულის ზუსტი შესატყვისით გადმოიღეს როგორც **„განგებულება"**: **"ხოლო მეორე ესე განგებულებაჲ არს..." (თეოფ.), "ხოლო მეორე ესე – განგებულებითი ..." (ეფრ.; გოგუაძე 1986:117,31)**. კონტექსტში საუბარია უფლის ძის მეორედ შობაზე და ის, რაც ბერძნულ ტექსტში და მის მიმყოლ ორ ქართულ თარგმანში ზოგადად სახელდებულია როგორც "განსაზღვრული", ანუ ისეთი რამ, რაც ადამიანის მიღმა გადაწყდა, ეფთვიმემ დააკონკრეტა და მკითხველს უთხრა, რომ მაცხოვრის მეორე შობა (ე. ი. ხორციელი შობა) უვნებლად აღესრულა "ჩვენი ბუნებისაგან": „კეთილად მეორედ იშვა უვნებელად იგივე **მხოლოჲ ბუნებისა ჩუენისაგან" (სქ. №68)**. ვვფიქრობთ, ეს არცთუ უმნიშვნელო ჩარევაა ბერძნულ წყაროში, რადგან მთარგმნელის მიერ კიდევ ერთხელ მოხდა იმის ხაზგასმა, რომ ქრისტეში არის ორი ბუნება – საღვთო და კაცობრივი.

ბერძნულ წყაროში საუბარია მაცხოვრის შობაზე: **"მოვიდა ძე ღმრთისაჲ განჴორციელებული" (ეფთ.), "მოვიდა სიტყუაჲ განკაცებადი"**. ამის შემდეგ ქართულ თარგმანებში, ბერძნული წყაროს ანალოგიურად,

მოტანილია ფრაზა "ქება ქებათადან": **"ნელსაცხებელ წარმოცალიერებულ – სახელი შენი" [1,3].** ეს ფრაზა ეფთვიმესთან გადმოღებულია როგორც **"ნელსაცხებელი გარდათხეული"** (არ არის ბოლო ორი სიტყვა), ხოლო თეოფილესთან: "ნელსაცხებელ წარმოცალიერებული, **რომელმან სცხო თავსა თჳსსა კაცებითა" (სქ. №152).** თეოფილესთან ხაზგასმული ფრაზა არის ბერძნულში: "**καὶ χρῖον τὴν ἑαυτοῦ ἀνθρωπότητα" PG 676 col. C 1-2; Kotter 1988:179,38)",** თარგმნილია ეფრემის მიერაც: **"რომელი თავისა მიერ თჳსისა სცხებს კაცებასა" (გოგუაძე 1986:122,38-39).** არ არის გამორიცხული, რომ ეფთვიმეს აზრით, დამატებული ფრაზით წმ. იოანე დამასკელის მიერ კომენტირება ხდებოდა ბიბლიური პასაჟისა (კერძოდ, ნელსაცხებლის წარმოცალიერებით ადამიანმა იკურთხა საკუთარი თავი) და არ ისურვა ამ კომენტარის თარგმნა და წმიდა წერილის ტექსტში ჩარევა[7].

ბერძნულ წყაროში არის ბიბლიური ალუზია **(ლკ. 15, 4)**: "**τὸ πλανώμενον πρόβατον**" **PG 96 col. 665 A 8; Kotter 1988:171,16).** თეოფილესა და ეფრემს ზუსტად გადმოაქვთ ტექსტი: **„შეცთომილი ცხოვარი" (გოგუაძე 1986:117,3-4).** ჰომილიის ამ ადგილას საუბარია უფლის ძის განკაცებაზე და მის სიკვდილზე, იმაზე, რომ თავისი ჯვარცმით უფლის ძემ "შეკრა ძრიელი იგი და იავარ-ყო მონაგები მისი, რომელ არს ბუნებაჲ ჩუენი". სწორედ ამ ადგილის შემდეგ მოდის ეფთვიმეს მიერ ტექსტში შეტანილი ცვლილება: "ქუეყანასა ზეცისასა აღიყვანა **სძალი იგი წარწყმედული**" **(სქ. №50).** საეჭვოა, რომ აქ გადამწერის შეცდომა იყოს – ეს იმდენად ცნობილი სახარებისეული სახეა, რომ თუ არა შეგნებული შეცვლა **"ცხოვარისა" "სძალზე",** სხვა ვარიანტის დაშვება გაჭირდება. ვფიქრობთ, ეფთვიმემ აქაც დააკონკრეტა სათქმელი და **"შეცთომილ ცხოვარში"** ნაგულისხმევი ნებისმიერი ცოდვილი ჩაანაცვლა **"სძალით",** - შესაძლოა, ეფთვიმეს იმის თქმა სურდა, რომ ღვთისმშობელმა მაცხოვრის შობით გამოისყიდა პირველმშობლის, ევას, შეცოდება და ქალს სასუფევლის გზა გაუხსნა.

ბერძნული **"w~ orh nohta" (PG 96, col. 673 C 12; Kotter 1988:178,7)** თეოფილემ გადმოიღო როგორც **"მთათა მათ გონიერთა",** ეფთვიმემ

7 მსგავსი შემთხვევა დავადასტურეთ ჩვენ წლების წინ წმ. გრიგოლ ნაზიანზელის 16 ლიტურგიკული სიტყვის ქართულ თარგმანებზე მუშაობისას: მე-16 სიტყვის ბერძნულ ტექსტში და მის მიმყოლ ეფრემ მცირისეულ თარგმანში პარაფრაზირებული სახით, წყაროს მითითების გარეშე, ციტირებული იყო 138-ე ფსალმუნის მე-7 მუხლი. ეფთვიმე ათონელმა ამ ადგილის თარგმნისას დაასახელა წყაროც, მოიტანა ნაზიანზელისეული პარაფრაზის თარგმანი, მაგრამ დაუმატა ფსალმუნის შესატყვისი მუხლის ზუსტი თარგმანიც (იხ.: მელიქიშვილი 1987 : 121-122). როგორც წმ. იოანე დამასკელის ზემოთ განხილულ ადგილთან, ასევე ნაზიანზელისეული სიტყვის თარგმანთან მიმართებით, კარგად ჩანს ეფთვიმეს უაღრესად მოწიწებული დამოკიდებულება ბიბლიური ტექსტის მიმართ.

– როგორც **“მთათა მაღალთა”,** ხოლო ეფრემმა - **“მთანი საცნაურნი” (გოგუაძე 1986:122,3)**. ჰომილიის ტექსტში, ცოტა ზემოთ, **“მთა”** გამოყენებულია როგორც ღვთისმშობლის მეტაფორა: „განსცხრებოდეთ უკუე მთანი, სიტყჳერი იგი ბუნებაჲ, და სიმაღლედ სულიერისა მის ხილვისა აღიწიენით, რამეთუ იშვების **მთაჲ უფლისაჲ წარჩინებული,** რომელი აღვიდა ზეშთა ყოველთავე მთათა და ბორცუთა და ყოველსავე საზღვარსა კაცთა და ანგელოზთასა უმაღლეს იქმნა, რომლისაგან თჳნიერ ჴელთა **ჴორციელად გამოკუეთაჲ სათნო-იყო ლოდმან თავკიდურმან ქრისტემან“ (თეოფ. Ath. 20, 174r; მსგავსი ტექსტია ეფთვიმესთანაც)**. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში **„მთანი“** უკვე იოაკიმესთან და ანასთან იღებს მეტაფორის მნიშვნელობას. ეფთვიმემ oro~ თარგმნა როგორც **“მთანი მაღალნი”,** რაც მიესადაგება ამ ბერძნული სიტყვის მნიშვნელობას **(= “მთა“ ან „ამაღლება“),** ხოლო მეორე სიტყვა - **”ποητὰ”** – არ თარგმნა **(სქ. №274)** – არჩია ეს მეტაფორა გაემდიდრებინა სიტყვით **“მაღალი”** და არა სიტყვით – **„საცნაური“ ან „გონიერი“,** რაც არის **”ποητὰ”** -ს პირდაპირი მნიშვნელობა: „აღმოუცენებიეს უდაბნოსა[8] ნერგი და გამოუღებიეს ბერწსა ნაყოფი თჳსი. **იოვაკიმ და ანა, ვითარცა მთათა მაღალთა,** სიტკბოებაჲ გონიერთა აცურიეს“ (**S 3648, 27**).

**“რაჲთა იყოს ყოველთა შინა მხოლოჲ, რამეთუ იგი მხოლოჲ მარტო არს მამისაგან მხოლოჲსა და მხოლოჲ დედისაგან მხოლოჲსა” (სქ. №172)** – ეფთვიმეს ეს ტექსტი არის შემოკლებული გადმოცემა ბერძნული ტექსტის მოზრდილი მონაკვეთისა: **Ἀλλ᾽ οὐκ ἐκ μόνου σε Πατρὸς, ἢ ἐκ μόνης, Μητρὸς προήγαγεν, ἵνα τῷ μόνῳ Μονογενεῖ φυλαχθῇ τὸ κατὰ πάντα μονογενές. Αὐτὸς γὰρ μόνος μονογενὴς ἐκ μόνου Πατρὸς, καὶ μόνος ἐκ μόνης Μητρός (PG 96, col. 677 B 6-10; Kotter 1988:180,18-181,20).** თეოფილესა და ეფრემის თარგმანებში ზემოთ მოტანილი ბერძნული ტექსტი სრულად არის წარმოდგენილი: **“რაჲთა მხოლოდშობილი დამარხულ იქმნე ყოვლითურთ მხოლოდშობილისა მიერ, რამეთუ იგი ოდენ მხოლოჲ თავადი არს მხოლოჲ მხოლოჲსაგან მამისა მხოლოდშობილი და კუალად მხოლოჲ მხოლოჲსაგან დედისა” (თეოფილე); “რაჲთა მხოლოდ იგი მხოლოჲ დაიცვას, მხოლოდ მხოლოჲსაგან მხოლოდშობილად, რამეთუ იგი მხოლოჲ არს მხოლოდ მამისაგან მხოლოდშობილი და მხოლოჲ მხოლოჲსა დედისაგან” (გოგუაძე 1986:123,35-37).** განსახილველ კონტექსტში, ამ ფრაზის ზემოთ, საუბარია იმაზე, რომ ბერწი დედისაგან უფალმა ერთადერთი **(“მხოლოჲ”)** არსება, ღვთისმშობელი **“გამოიყვანა”.** ასევე ერთადერთია **(“მხოლოდშობილი”)** ღმერთის ძე უფლისათვის. ღმერთის ძე არსებობდა ყველა დაბადებულზე უწინარესად, მაგრამ ჩვენ,

8 უდუაბნოსა S.

ადამიანებს მოგვევლინა მხოლოდ ღვთისმშობლისაგან ხორცისა და სისხლის მიღების შემდეგ. ამ ვრცელი შესავლის გაგრძელება ბერძნულ ტექსტსა და მის მიმყოლ თეოფილესა და ეფრემის თარგმანებში ისევ ვრცელი მონაკვეთია უკვე თქმულის შესაჯამებლად **(ზემოთ მოტანილი ტექსტი)**. სწორედ ეს ბოლო ვრცელი მონაკვეთი შეამოკლა ეფთვიმემ და, ვფიქრობთ, ნათქვამი უფრო გასაგებად გადმოსცა.

მაგალითების სრულად მოტანის საშუალება, რა თქმა უნდა, არა გვაქვს და არც ამის საჭიროება არსებობს. ის ცვლილებები, რაც ეფთვიმე ათონელმა შეიტანა წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლის შობისადმი მიძღვნილ ჰომილიაში, უმნიშვნელოდ გამოიყურება იმ ცვლილებათა ფონზე, რომლებიც დასტურდება წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის არაერთ თარგმანში[9].

დავაზუსტებთ ჩვენ მიერ ამ თავის დასაწყისში ზოგადად უკვე ნათქვამს: მოტანილ მასალაზე დაყრდნობით იკვეთება ეფთვიმე ათონელის სახე როგორც საეკლესიო მოღვაწის, მოაზროვნის, განსხვავებული მთარგმნელობითი მეთოდის შემომტანი ლიტერატურული მოღვაწის... კარგად ჩანს მისი სიღრმისეული ცოდნა წმიდა წერილისა და, ამავე დროს, უაღრესად მოწიწებული დამოკიდებულება ბიბლიური ტექსტის მიმართ; მისი ზრუნვა იმაზე, რომ მკითხველისათვის არაფერი დარჩეს გაუგებარი – კომენტარების დართვა ტექსტზე მოითხოვს ტექსტის სიღრმისეულ წვდომას სასულიერო მწერლობის ყველა დარგის ფარგლებში, რაც წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს ნამდვილად ხელ-ეწიფებოდა; ჩანს ეფთვიმეს აზროვნების სიღრმეც – მას შეუძლია იმსჯელოს იმ შედეგებზე, რაც ჰომილიაში აღწერილ მოვლენებს შეიძლება მოყვეს; ჩანს მთარგმნელის ემოციური დამოკიდებულება ტექსტისადმი, რაც აძლიერებს მკითხველსა თუ მსმენელზე ამ ჰომილიის ზემოქმედების ძალას. ეფთვიმე მთაწმიდელზე უსასრულოდ შეიძლება საუბარი და მისი ყოველი თარგმანის შესწავლა ზრდის ამ ტექსტების სრულყოფილების შთაბეჭდილებას.

9 ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ თუნდაც წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის 43-ე ჰომილიის ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი. იხ.: ქურციკიძე 1995 : 42-63.

## 2. ღვთისმშობლის შობის პირველი ჰომილიის თეოფილე ხუცესმონაზონისეული ქართული თარგმანის მიმოხილვა

თეოფილე ხუცესმონაზონის ჩარევა ბერძნულ ტექსტში კიდევ უფრო მრავალფეროვანი და ხშირია, ვიდრე ეფთვიმე ათონელისა. არ არის გამორიცხული, რომ გარკვეულ შემთხვევებში თეოფილესეული ზოგიერთი განსხვავება წმ. იოანე დამასკელის ამ ჰომილიის ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანებისაგან ვარიანტულად განსხვავებული ბერძნული წყაროს გამოყენებით აიხსნას.

**ა) არის მთელი რიგი ადგილებისა, რომლებიც თეოფილეს თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით აქვს გადმოღებული და ეს თავისუფლება, რაც ხშირად ტექსტის გავრცობაში გამოიხატება, მეტ დამაჯერებლობასა და ხატოვანებას ანიჭებს თარგმანს.** ამგვარი თავისუფალი და გავრცობილი თარგმანი, საბოლოოდ, ტექსტის კომენტირების სახეს იღებს. მოვიტანთ ტექსტის გავრცობის რამდენიმე შემთხვევას:

იმის ხაზგასასმელად, რომ იოაკიმე, ღვთისმშობლის მამა, გამორჩეული პიროვნება იყო, თეოფილემ, ბერძნულ ტექსტსა და მის მიმყოლ ორ ქართულ თარგმანში (ეფთვიმესა და ეფრემის) ფიზიკურ მხარეზე ყურადღების გამახვილების ნაცვლად (“ზურგი”, “წელი”), გამოიყენა ის სიტყვა, რომელიც განზოგადებულად უსვამს ხაზს იოაკიმეს პიროვნების აღმატებულებას: **“ჰ რჩეულებასა მას შენსა!” (სქ. №217)**[10].

ხატოვანება და სიღრმე მიანიჭა თეოფილემ თავის თარგმანს, როდესაც ღვთისმშობლის ზეცად ამაღლებაზე საუბრისას დაუმატა ტექსტს ერთი ფრაზა: “**და წარვლო და წარჰვდა ყოველსავე დაბადებულებასა დაბადებულთასა**” **(სქ. №286),** ანუ გვითხრა, რომ ღვთისმშობელი ამაღლდა ყველა დაბადებულზე – ცხადია, აქ ხაზგასმულია არა ფიზიკური ამაღლება.

“**ჰ** საკვრველღა საკვრველთაჲ **და სასწაული, ცნობათა უაღრესი და უპირატესი ყოველთა სასწაულთაჲ” (სქ. №287)** – ეს ხაზგასმული შთამბეჭდავი ფრაზა დაუმატა თეოფილემ მარტივად ნათქვამ ბერძნულ “ W qauma pantwn qaumatwn uperteron“-ს. ვფიქრობთ, მთარგმნელს ეს გავრცობა დასჭირდა იმისათვის, რომ დაესაბუთებინა ამის მიმყოლი ტექსტი, სადაც ნათქვამია, რომ ღვთისმშობელი სერაფიმებზე აღმატებული იყო. ამ ადგილს ეხმიანება კიდევ ერთი შემთხვევა თეოფილეს მიერ

10 მოტანილი გვაქვს მაგალითები წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლის შობის I ჰომილიის თეოფილე ხუცესმონაზონისეული თარგმანის ტექსტის ბერძნულ წყაროსთან შედარების შედეგად გაკეთებული შენიშვნებიდან (შენიშვნ. I, დანართი II): აქ და ქვემოთ ყოველ მაგალითთან ვუთითებთ გამოცემულ ტექსტზე დართული ჩვენეული სქოლიოს ნომერს არაბული ციფრით.

ტექსტის თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით გადმოღებისა, კერძოდ, ორ ქართულ თარგმანში (ეფთვიმესა და ეფრემთან) ბერძნული ფრაზა - " Umei~ eusebw~ kai osiw~ en anqrwpinh fusei politeusamenoi,thn uper aggelou~, kai twn aggelwn despozousan nun qugatera tetokate" **(PG 96 col. 669 A 7-10; Kotter 1988:174,4-6)** ზუსტად არის გადმოღებული, **ანუ იოაკიმემ და ანამ შვეს ზეციურ ძალთა უფლის დედა (ეფთვიმეს მიხედვით), ხოლო ეფრემის თარგმანის მიხედვით – იოაკიმემ და ანამ შვეს ასული, რომელიც გახდა ანგელოზთა მეუფის მშობელი, ე. ი. ორსავე შემთხვევაში საუბარია** მაცხოვარზე, ძე ღმერთზე, რომლის მშობელიც არის ღვთისმშობელი. განსხვავებულად არის გადმოღებული ეს ადგილი თეოფილესთან, ანუ მისი თარგმანიდან გამოდის, რომ ღვთისმშობელი არის ანგელოზთა მეუფის ასული: "ამისთჳსცა უაღრესი ანგელოზთაჲ ჰშევთ აწ და **ასული მეუფისა მის ანგელოზთაჲსა" (იხ.: სქ. №102)**. ამ შემთხვევაში ჩნდება კითხვა იმის შესახებ, არის ეს თეოფილეს მიერ ტექსტის შეგნებული შეცვლა და რა აზრი ჩადო მან ამ ცვლილებაში, თუ უნებლიედ დაშვებული შეცდომა.

ბერძნულ წყაროზე **(PG 96, col. 680 B 4; Kotter 1988:182,4)** დამატებული მონაკვეთით: **„რომელი გესავს შენ ყოვლითა სულითა და გონებითა" (სქ. №304)** თეოფილე ხაზს უსვამს იმას, თუ რა აღმატებული გრძნობით არის აღვლენილი ხოტბა ღვთისმშობლისადმი.

კონტექსტში, სადაც საუბარია ჰომილიის ავტორის თხოვნაზე ღვთისმშობლისადმი, რომ დაეხმაროს მას, რათა შეენდოს ცოდვები, დამატებული ფრაზა კიდევ უფრო აძლიერებს ღვთისმშობლისადმი აღვლენილ თხოვნას: "**განხეთქე, უბიწოო, ჴელითწერილი ბრალთა ჩემთაჲ" (სქ. №306)**.

**ბ)** არის ტექსტის გავრცობის ბევრი სხვა შემთხვევა, სადაც უფრო დაბეჯითებით შეიძლება ვისაუბროთ ტექსტის კომენტირებაზე – ასეთ შემთხვევებში **ტექსტის გავრცობა ემსახურება არა მეტი დამაჯერებლობისა და ხატოვანების მინიჭებას თხრობისათვის, არამედ რომელიმე კონკრეტული ადგილის განმარტებას**. ღვთისმშობლის შობაზე საუბრისას, ბერძნულ ტექსტსა და მის მიმყოლ ორ ქართულ თარგმანში მარტივად დასმულ კითხვას, **შესაძლებელია თუ არა, რომ არ ვიამაყოთ ამ შობით,** თეოფილე ამატებს დასაბუთებას, თუ რატომ არის ეს შობა ასეთი მნიშვნელოვანი: "**არამედ იძლევის სიტყუაჲ წესისაგან და დღენი ესე ნათლისანი ჰმძლავრობენ დღეთა მათ სახისათა და მიგებაჲ იგი საუკუნეთა მათ ფრიად უაღრეს არს**" **(სქ. №261)**.

კონტექსტს, სადაც საუბარია იმაზე, რომ ქალწულს, უხორცო მამის ნებით, ხორციელად უნდა ეშვა ღმერთის ძე და რომ ამ ნების

განსახორციელებლად საჭირო იყო სიწმიდისა და ქალწულებისაგან მხოლოდშობილის აღმოცენება და მისი ხორციელად შემოყვანა ნათელში (ანუ ამქვეყნად ნ.მ.) და რომ მისი შობა მხოლოდ მისი **"გვამოვანების თჳთებაა"** (ანუ შობა საჭირო იყო მისი ფიზიკური სხეულით მოსვლისათვის ამქვეყნად), თეოფილე კომენტარს უკეთებს დამატებული ფრაზით, რადგან, როგორც ჩანს, ღმერთის ძის მარტოოდენ **"შობილობის"** აღნიშვნას არ მიიჩნევს საკმარისად მისი **"გუამოვანებათა თჳთების"** საჩვენებლად - აზრს აკონკრეტებს და ავსებს ხაზგასმული ტექსტით: "რომლისა თჳთებაჲ გუამოვნებათა ესეოდენ არს მშობელობაჲ, შობილობაჲ **და გამოსლვაჲ მისვე თავადისა მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲ ერთისა მის და განუყოფელისა ღმრთეებისაჲ" (სქ. №254)**.

ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანებში ბერძნული წყაროს ("metateqento~ ek th~ Leuitikh~ fulh~ epi thn Dabitikhn (Dauitikhn **Kotter**) tou ieratikou axiwmato~" **(PG 96 col. 669 B 1-3; Kotter 1988: 174, (6)10-11**) მიმყოლ ტექსტს იმის შესახებ, რომ მღვდლობის სულიერი მისია ლევიტელთა შტოდან მისტიკურად გადავიდა დავითის ტომზე (**"მიიცვალება ჭეშმარიტება მღდელობისაჲ ლევის ნათესავისაგან დავითის ნათესავისა (ეფთ.); "მიიცვალა რაჲ პატივი მღდელობისაჲ ლევიტელებრისა ნათესავისაგან დავითებრისა ნათესავისა მიმართ" (გოგუაძე 1986: 119, 12-14)**, თეოფილე ავრცობს, გაცილებით ხატოვნად გადმოსცემს და, გარდა ამისა, გარკვეულწილად მცირე კომენტარსაც უკეთებს: „**შენ მიერ შეკრბეს ერთად ორნი იგი ტომნი სამღდელონი და სამეუფონი და პატივსა მას ლევიტელებრსა აღეზავა დიდებულებაჲ დავითებრი!" (სქ. №257)**.

ტექსტის გავრცობის მეშვეობით შედარებით მცირე კომენტირების ბევრი მაგალითი შეიძლება მოვიტანოთ თეოფილეს თარგმანიდან. სანიმუშოდ დავიმოწმებთ რამდენიმეს:

იქ, სადაც ტექსტში საუბარია ჰომილიის ავტორის „ლტოლვაზე"[11] ღვთისმშობლისადმი, თეოფილეს დამატებული ფრაზა - "**სიმრავლე მადლთა შენთაჲ" (იხ.: სქ. №296)** - განმარტავს ამის მიზეზს – ბერძნულ წყაროზე დამატებული მონაკვეთით: „**არათუ შემსგავსებულნი დიდებისა შენისანი, რამეთუ ესე შეუძლებელ არს ძალთაგანცა ანგელოზთაჲსა" (იხ. სქ. №303)** - თეოფილე კომენტარს უკეთებს ტექსტს, ამბობს, რომ ღვთისმშობლისადმი აღვლენილმა ხოტბამ, შეუძლებელია, გამოხატოს მისი დიდებულება; ანგელოზებრივ ძალებსაც კი არ ძალუძთ მისთვის ღირსეული ხოტბის შესხმა. ბერძნული ფრაზა: " quga trion aeiparqenon" **(PG 96 col. 672 C 5; Kotter 1988:177,20)** თეოფილემ თავისუფალი მთარგმნელობითი მათოდით გადმოიღო და გაავრცო: **"ჰ ასულო საწადელო, მარადის ქალწულებითა პატივცემულო!" (სქ.**

11 „შენდა მიმართ აღმძრავს მე სიმრავლე მადლთა შენთაჲ და გარდამატებულებაჲ სურვილისაჲ შენდა მიმიზიდავს" (Ath. 20, 177r; H 1760, 6v).

**№118);** ეს გავრცობა, ფაქტობრივად, არის კომენტარი, ხაზგასმა იმისა, რომ მარადისქალწულებაა ის ერთ-ერთი მოცემულობა, რის გამოც ღვთისმშობელი პატივცემულია. ციტატას წმიდა წერილიდან (**ებრ. 2,9)** თეოფილე ავრცობს და აქაც მცირე კომენტარს უკეთებს ტექსტის ამ მონაკვეთს: "რამეთუ გამოჩნდა **უზეშთაესი იგი ბუნებათაჲ** და მცირედ რაჲმე ანგელოზთა დამაკლებელი **ბუნებისა ჩუენისაჲ" (იხ. სქ. №289).**

**გ) თავისუფალი თარგმანი ხშირად გულისხმობს მცირე აზრობრივი ნიუანსის შეტანას სათარგმნ ტექსტში.** ეს, შესაძლოა, გაკეთდეს როგორც ტექსტზე დამატების, ასევე, - სათარგმნი მონაკვეთის ცვლილების ხარჯზე. ასე მაგალითად, ფრაზა: "**და რამეთუ არა განჭრა (განჭნა Ath. 20,175r) იგინი ოდესვე და მარადის მოღუაწემან ცხორებისა ჩუენისამან" (სქ. №266)** – არ არის არც ბერძნულ ტექსტში, არც ეფთვიმესთან და არც ეფრემთან. გავრცობილი მონაკვეთით თეოფილე კომენტარს უკეთებს ტექსტს, სადაც საუბარია იმაზე, რომ უფალმა ცოდვაში ჩავარდნილი ერი გამოიყვანა ფარაონის მონობისაგან. თეოფილეს მიერ დამატებული ფრაზა გვეუბნება, რომ **უფალმა „არა განჭრა" (არ დაღუპა, არ გაფანტა) თავისი ერი,** არამედ, ადამიანებზე მარადმზრუნველმა, ქმედითი დახმარება აღმოუჩინა მას.

ბერძნული წყაროს "euwceisqw" (**PG 96 col. 661 C 6),** "Suneuwceisqw" **(Kotter 1988:169,13)** ეფთვიმემ თარგმნა როგორც**"მხიარულ იყავნ",** ხოლო ეფრემმა ზუსტად გადმოიღო ტექსტი: **"ჩუენ თანა მეინაჴეობდინ" (გოგუაძე 1986:115,22).** ეს ბერძნული სიტყვა: euwcew - აღნიშნავს **"ნადიმს, გამასპინძლებას".** როგორც ჩანს, თეოფილემ ანგარიში გაუწია წინა ფრაზას (**"რაჲ უკუე შევწიროთ ჩუენ დედისა მის მიმართ სიტყჳსა, არამედ სიტყუაჲ, შემსგავსებული ძალისაჲ") და** "euwceisqw" გადმოიტანა **"ჴმობა"**სიტყვით: **"ჴმობდინ ჩუენ თანა" (სქ. №216).** ამით მან გვითხრა, რომ **"მეინაჴეობა"** ამ კონტექსტში **თავის თავში მოიცავდა "ჴმობასაც",** ანუ ისევ და ისევ ხოტბის აღვლენას ღვთისმშობლისადმი.

ბერძნულ წყაროში საუბარია იმაზე, რომ იოაკიმესა და ანას ასული დამკვიდრებული იყო იქ, სადაც მას ვერ შეეხებოდა ბოროტის **"განჴურვებული ისრები",** სადაც დაცული იქნებოდა მისი უბიწოება, ღირსი გახდებოდა "ღმრთის სძლობისა და ღმრთის ბუნებითი ძის დედობისა". ეს ადგილი იყო უფლის სახლი, ტაძარი, რომელიც ბერძნულ წყაროში ალეგორიულად სახელდებულია როგორც "qalamw tou Pneumato~" (**PG 96 col. 672 B 3; Kotter 1988:176,7).** სწორედ აქ მიიყვანეს მშობლებმა მარიამი აღსაზრდელად. ეფთვიმესა და ეფრემის **(გოგუაძე 1986:120,20)** თარგმანებში ეს სიტყვა თარგმნილია როგორც

**“სასძლოსა მას შინა სულისასა”,** ხოლო თეოფილეს თარგმანშია “**განსასუენებელთა მათ შინა სულისათა**”. ამ ორგვარი თარგმანის გაკეთების საშუალებას იძლევა თვით ბერძნული სიტყვა - o qalamo~, რომელსაც აქვს შემდეგი მნიშვნელობები: **1) მოსასვენებელი ადგილი; 2) საქორწინო მოსასვენებელი; 3) წმიდა ადგილი.** თეოფილემ, როგორც ვხედავთ, ეფთვიმესა და ეფრემისაგან განსხვავებით, ამ სიტყვის უფრო ზოგადი მნიშვნელობა აირჩია და ფრაზასაც უფრო ფართო გაგება მიანიჭა, როდესაც o qalamo~-ის შესატყვისად დაწერა **“განსასუენებელი”**. მოვიტანთ სრულ კონტექსტს თეოფილეს თარგმანიდან: “**ჰ** ყოვლადწმიდაჲ იგი ასული იოვაკიმ და ანნაჲსი, რომელი დაეფარა მთავრობათა და **ჴ**ელმწიფებათა და ისართა მათ განჴურვებულთა უკეთურისათა და **განსასუენებელთა მათ შინა სულისათა** მოქალაქობითა დაცვულ იქმნა უბიწოდ სძლად ღმრთისა და დედად ბუნებით ძისა ღმრთისა!” (სქ. №259).

### დ) თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანში სავარაუდოა ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანებისაგან ვარიანტულ დონეზე განსხვავებული ნუსხის გამოყენება

ბერძნული ტექსტის მონაკვეთი: Enteuqen coreuw kai kompazw kai geghqa kai pro~ thn phghn palin twn qaumatwn epaneimi kai tou th~ eufrosunh~ emforoumeno~ namato~ thn kiqaran palin kradainw tou pneumato~ kai qeion umnon adw genesion **(PG 96 col. 668 D 4-col. 669 A 2; Kotter 1988: 174,19-22),** რომელშიც სამ სტრიქონზეა ნათქვამი, რომ ჰომილიის ავტორი სიხარულით შეასხამს ხოტბას ღვთისმშობლის შობას, სამჯერ არის გაზრდილი თეოფილეს თარგმანში:

“ამისთ**ვ**სცა მხიარულ ვარ და განვსცხრები და განვაწყობ მწყობრსა მას მგალობელთასა და აღვსძრავ სურვილით ქნარსა მას სულისასა და სამძალსა ძლევისასა და განვკჳრდები და შევასხამ და ვადიდებ ძალისაებრ მრავალვრცელთა მათ წყობათა შენთა და კუალად წყაროჲსა მის მიმართ სასწაულთაჲსა მივიქცევი და ნეკტარსა მას შინა სიხარულისასა და ცუაროვნებასა მადლისასა აღმოვალტობ ორღანოსა მას ათძალსა სულისასა და ძალთა მათ მისთა მოურთავ ძლიერად სიმ**ჴ**ნითა მით ახოვნებისაჲთა და ესრეთ წარ**ვ**ჰმართებ ებანსა მას ენისასა და ვადიდებ წმიდასა მას შობასა ღმრთისმშობელისასა” **(სქ. №256)**. რაც შეეხება ეფთვიმესა და ეფრემის **(გოგუაძე 1986:118,41-119,2)** თარგმანებს, ისინი უცვლელად თარგმნიან ზემოთ მოტანილ ბერძნულ ტექსტს: “და აქა ვიხარებ და ვიქადი, ვიშუებ და განვსცხრები და აღმომაცენებელისა მის საკჳრველებათაჲსა მივისწრაფი და განვძღები წყლითა მით სიხარულისაჲთა და შევსძრავ კუალად ქნარსა მას სუ-

ლისასა და შობასა მას საღმრთოსა გალობით ვადიდებ" **(ეფთ.);** "ამიერ ვიხარებ და ვიშუებ და განვსცხრები და კუალად წყაროჲსა მიმართ საკჳრველებათაჲსა აღვიწევი და მხიარულებისა ნაკადულთა მიერ აღვივსები და კუალად აღვსძრავ ქნარსა სულისასა და საღმრთოსა ვგალობ გალობასა შობისასა" **(ეფრ., გოგუაძე 1986:118,41-119,2). შესაძლოა, ვივარაუდოთ სხვა ბერძნული რედაქციის ან ჩვენ ხელთ არსებული ბერძნული რედაქციისაგან მსხვილი ვარიანტული ცვლილებების შემცველი ტექსტის არსებობა. ისიც დასაშვებია, რომ თეოფილეს თარგმანის ეს ცვლილება მივაწეროთ მთარგმნელის სურვილს, უფრო დამაჯერებლად გადმოეცა ჰომილიის ავტორის სიხარული და მზადყოფნა ღვთისმშობლის შობისათვის ხოტბის შესხმისა.**

ბერძნული წყაროს ამ მონაკვეთს: **"**Ouk emo~ o logo~, ei kai emo~ o logo~. Klhron gar touton ek qeologou patro~ Grhgoriou qeologikwtaton dedegmai **(PG 96 col. 668 B 8-10; Kotter 1988:173,25-26) –** უცვლელად მისდევს ორი ქართული თარგმანი - ეფთვიმესი და ეფრემისი: **"არა ჩემი არს სიტყუაჲ ესე, არამედ არსვე ჩემი, რამეთუ მოვიღე ესე გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაგან და ვისწავენ მისგან სიტყუანი საღმრთონი" (ეფთ., S 3648, გვ. 14); "არა ჩემი არს სიტყუაჲ ესე, რამეთუ საღმრთისმეტყუელოდ მამულად წილ-მხუდა ესე ღმრთისმეტყუელისა მის მამისა გრიგოლისაგან" (ეფრ., გოგუაძე 1986:118,19-20).** როგორც მოტანილი ტექსტიდან ჩანს, წმ. იოანე დამასკელი ეყრდნობა წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ტექსტს. **თეოფილე ხუცესმონაზონი დამასკელის ტექსტს აზუსტებს ინფორმაციით იმის შესახებ, თუ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველამდე ვინ მოგვაწოდა ეს მოძღვრება, კერძოდ, ვინ „აღგვიწერა ჩუენ რჩეულად პირველობაჲ იგი ძისაჲ და თანასწორებაჲ მამისა და სულისაჲ".** აი, მისი დაზუსტებაც: "არა ჩემი არს სიტყუაჲ, არამედ ჩემი არს სახე და საქმე და ესე მოძღურებაჲ მოვიღეთ ჩუენ პირველითგანვე: **პირველად თჳთ თავადისა ღმრთისაგან, რომელი განკაცნა მისგან, და მერმე – წმიდათა მოციქულთაგან, ხოლო უფროჲსდა დიდისა მისგან ღმრთისმეტყუელისა, იოანე მახარებელისა, რომელმან-იგი ღმრთივშუენიერად გამოთქუა გამოუთქუმელი იგი ღმრთეებაჲ სიტყჳსაჲ და აღგვიწერა ჩუენ რჩეულად პირველობაჲ იგი ძისაჲ და თანასწორებაჲ მამისა და სულისაჲ, და შემდგომად მისა - წმიდათა მამათა მიერ და მღდელთმთავართა** და ნეტარისა გრიგოლის მიერ ღმრთისმეტყუელისა ღმრთისმეტყუელებით სწავლულ ვიქმნენით" **(თეოფ., სქ. №252). (ზუსტი მითითება წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის იმ წყაროზე, რომელსაც გულისხმობს წმ. იოანე დამასკელი თავის ჰომილიაში სათაურის დასახელების გარეშე, არის მინის გამოცემაში: PG 96, col. 668, სქ. №69: "Greg. Epist. 1 Ad Cled.")**[12]. ე.

12 "**კლიდონის მიმართ პირველი ეპისტოლე**"-ს **შესახებ იხ.: S 1696, 249v-250r:**

ი. თეოფილემ მკითხველს საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა იმის შესახებ, თუ რას ეყრდნობოდა თვით წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, რომელსაც წმ. იოანე დამასკელი მიუთითებს თავის წყაროდ. არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე ბერძნულ ნუსხაში, რომელმაც ვერ მოაღწია დღევანდლამდე, ან რომელიც ჩვენ ხელთ არა გვაქვს, **იყო ან არის კიდეც თეოფილესეული თარგმანის ეს მონაკვეთი, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ეს ფასეული ინფორმაცია თვით თეოფილეს მიერ არის დამატებული** და მის სიღრმისეულ საღვთისმეტყველო განათლებაზე მიუთითებს.

ბერძნული ფრაზა: o prin ou lao~ kaqistatai kai o ouk hlehpeno~ (hlehmeno~ Kotter), hlehtai kai o ouk hgaphmeno~ hgaphtai (**PG 96 col. 673 B 14-15;** Kotter 1988:178,22-23)“ – უცვლელად არის გადმოტანილი ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის თარგმანებში: **“და არაშეწყალებული იგი იქმნა შეწყალებულ, და არასაყუარელი იგი შეიყუარა” (ეფთ.); “არაშეწყალებული შეიწყალების და არაშეყუარებული შეიყუარების” (გოგუაძე 1986:121, 33-34)**. რაც შეეხება თეოფილე ხუცესმონაზონს, ის გარკვეული ვარიაციით წარმოადგენს კოტერისეული გამოცემის სქოლიოში მითითებული Q და E ნუსხების წაკითხვებს: **“პირველ არა ერი, ერ იქმნების, და უყუარებელი იგი შეყუარებულ იქმნების” (სქ. №271)**. მოვიტანთ Q და E ნუსხათა ჩვენებებს ცალ-ცალკე: ”ouk hlehmeno~ hgaphtai”Q [=**არაშეწყალებული შეიყუარების**]; ”ouk hlehmeno~ hlehtai” E **[=არაშეწყალებული შეიწყალების] (Kotter 1988:178, სქ№23**). ლოგიკურია, რომ ამ ადგილის საფუძველზე ვივარაუდოთ თეოფილეს მიერ ძირითადი ტექსტისაგან **განსხვავებული ბერძნული ნუსხით სარგებლობა**, რადგან, როგორც კოტერის გამოცემიდან მოტანილი QE ნუსხათა ჩვენებები ცხადყოფს, ბერძნულ ნუსხებში ამ ადგილის სხვადასხვაგვარი წაკითხვები არსებობს.

ბერძნულ ტექსტში საუბარია იმაზე, თუ როგორ იშვა ანასაგან ადამიანებისათვის საუკუნო ცხოვრების მიმნიჭებელი მაცხოვარი. მეტაფორებით გაჯერებული ხატოვანი ტექსტი საოცარი ოსტატობით არის თარგმნილი სამივე ქართველი მთარგმნელის მიერ **(იხ.: წინამდებარე გამოცემა, მე-9 თავის დასაწყისი)**. დამასკელისეული ეს პასაჟი (**PG 96 col. 673 C 3-7; Kotter 1988:178,1-4)** არის ალუზია ესაიას წინასწარმეტყველებიდან: **“და ვითარცა ქუეყანაჲ, რომელმან აღაორძინის ყუავილი თჳსი, და ვითარცა მტილმან თესლი თჳსი აღმოაცენის, ეგრეთ გამოაბრწყინვოს უფალმან სიმართლჱ წინაშე ყოველთა თესლთა” (ესაია 61,11)**. ამასთან, წმ. იოანე დამასკელმა თავის ჰომილიაში დააკონკრეტა ამ ადგილის

“საკჳრველ არს ღმერთი...” (ბრეგაძე 1988 : 40).

წყარო და დაასრულა ეს პასაჟი უშუალოდ ესაიას ტექსტის ციტირებით: Efwtisan eautoi~ fw~ gnwsew~, kai Kurion exezhthsan, kai hlqen autoi~ gennhma dikaiosunh~ (**PG 96 col. 673 C 7-9; Kotter 1988:178,4-5).** ეფთვიმემ და ეფრემმა თარგმნეს ბერძნული ტექსტიდან ბიბლიის შესატყვისი ადგილი: **"და განაბრწყინვნეს თავნი თჳსნი ნათლითა მეცნიერებისაჲთა და ითხოვეს ღმრთისაგან და მოეცა მათ ნაყოფი სიმართლისაჲ" (ეფთ.); "განუნათლეს თავთა თჳსთა ნათელი მეცნიერებისაჲ და გამოიძიეს უფალი და მოუჴდა მათ იფქლი სიმართლისაჲ" (გოგუაძე 1986:121,40-41).** რაც შეეხება თეოფილეს, მან არ თარგმნა ეს ბიბლიური ფრაზა **(იხ. სქ. №273)**. ვფიქრობთ, ვარაუდის დონეზე ეს შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას: **მთარგმნელმა ზედმეტად მიიჩნია ეს გამეორება, კერძოდ, დაკონკრეტება დამასკელის მიერ ამ ადგილის ფაქტობრივი წყაროსი და აღარ თარგმნა პარალელური ბიბლიური ტექსტი**.

თეოფილეს თარგმანს აკლია ბერძნული ძირითადი ტექსტის შემდეგი მონაკვეთი: Cairoi~, probatike, th~ basilido~ to progonikon katagwgion **(PG 96 col. 677 C 1-2; Kotter 1988:181,2).** ეს მონაკვეთი წარმოდგენილია როგორც ეფთვიმეს, ასევე ეფრემის თარგმანებში: **"გიხარობდენ, პრო-პატიკეო, საყოფელო დედოფლისა ჩუენისა მშობელთაო" (ეფთ.); "გი-ხარობდენ, პროვატიკეო, პირველთა მშობელთაგან მამულად ხუედ-რებულო საყოფელო დედოფლისაო" (ეფრ., გოგუაძე 1986:123,42-124,1); (იხ.: სქ. №293)**. თეოფილეს თარგმანი ამ შემთხვევაში იძლევა კოტერის გამოცემის E ნუსხის ჩვენებას, რომელშიც, აგრეთვე, არ არის წარმოდგენილი თეოფილეს თარგმანის ეს დაკლებული ფრაზა. ვფიქრობთ, **შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბერძნული წყაროს E ნუსხაში არ არის გამეორებული ის, რაც, ფაქტობრივად, უკვე იყო ტექსტში თქმული უშუალოდ ამ ფრაზის წინ,** კერძოდ: Cairoi~, probatike, th~ tou qeou mhtro~ to ierwtaton temeno~ **(PG 96 col. 677 B 14 - C 1-2; Kotter 1988:181,1-2) ("იხარებდ, პროვატიკეო, დედისა ღმრთისა ყოვლადწმიდაო სადგურო!" თეოფ. იხ.: სქ. №293).**

წმ. იოანე დამასკელი, უპირისპირდება რა ნესტორიანელებს, ამბობს: "oti meq hmwn o qeo~. Ouk anqrwpo~, ou presbu~, all auto~ o kurio~ hxei kai swsei hma~ **(PG 96 col. 668 A 10-11; Kotter 1988:173,15-16)**. ეს ხაზგასმული სიტყვები ასე თარგმნეს ეფთვიმემ და ეფრემმა: **...**"**არა კაცი, არცა მამშჳდებელი" (ეფთ.)**[13], "**... არა კაცი, არცა მოციქული" (ეფრ., გოგუაძე 1986:118,8).** რაც შეეხება თეოფილეს, მან თავის თარგმანში წარმოადგინა როგორც PG-ს Reg. 2-ის, ასევე, კოტერის გამოცემის EY

13 "მამშჳდებლობა" არის უფლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ეპითეტი (იხ.: Sardshveladse 2005 : 607).

ნუსხების წაკითხვა - **"ანგელოზი"** (aggelo~ **PG 96 col. 668 A 11 , Reg. 2; Kotter 1988:173,სქ. 16 EY)),** ოღონდ დატოვა **"კაციც":** "ჩუენ თანა არს ღმერთი, **არა ანგელოზი, არა კაცი, არცა მოციქული,** არამედ თავადი უფალი, რამეთუ მოვიდა ნანდჳლვე და მაცხოვნნა ჩუენ" **(სქ. №244)**. **"კაცი"** სიტყვის არსებობა თეოფილესთან **მიუთითებს ან კიდევ ერთი ვარიანტულად განსხვავებული ბერძნული ტექსტის არსებობაზე, ან უნდა ჩავთვალოთ, რომ მთარგმნელს ხელთ ჰქონდა "ანგელოზი" წაკითხვის მქონე რომელიღაცა ბერძნული ტექსტი (Reg. 2-ისა და EY ნუსხების მსგავსი) და, პარალელურად, იყენებდა ძირითადის მიმყოლ ტექსტსაც. ანდერძ-მინაწერებიდან ცნობილია, რომ თარგმნისას თეოფილე ზრუნავდა რამდენიმე ბერძნული დედნის მოპოვებაზე**[14].

თეოფილეს თარგმანის შემდეგი მონაკვეთის - **„და მოჰმადლე სოფელსა მშჳდობაჲ და ყოველსავე ამას ქალაქსა და მას შინა მყოფთა მათ პატიოსანთა და ღირსთა მონაზონთა,** ყოველსავე თანა სიმრავლესა ერისასა მოეც კურთხევაჲ და წყალობაჲ, სიხარული და მხიარულებაჲ და ცხორებაჲ საუკუნოჲ; რომელნიცა გადიდებენ შენ ლიტანიითა და გალობითა, დაიცვენ და შეზღუდენ და ყოველივე სავსებაჲ ეკლესიისაჲ დაიფარე" (**იხ. სქ. №308)** – შესატყვისი ბერძნული ტექსტის დასაწყისი ნაწილი: „kai tw kosmw brabeusai~ eirhnhn kai pasi toi~ thsde th~ polew~ orqodoxoi~ oikhtorsi pantelh eufrosunhn kai swthrian aiwnion**"** (**იხ.: PG 96, col.680 B 10-16; Kotter 1988:182,9-11)** აკლია **z** ნუსხას და არის **DQ** ნუსხებში (**იხ.: Kotter 1988:182,9-11, სქ. 9, om.z),** ეს მონაკვეთი, ხაზგასმული თეოფილეს ზემოთ მოტანილ ამონარიდში **("და მოჰმადლე სოფელსა მშჳდობაჲ და ყოველსავე ამას ქალაქსა და მას შინა მყოფთა მათ პატიოსანთა და ღირსთა მონაზონთა" იხ.: სქ. №308),** არ არის ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანებში, სადაც ტექსტი გაცილებით მოკლედ არის წარმოდგენილი: "და ცხორებასა მას საუკუნესა ერი შენი აღიყვანე და ლოცვითა მშობელთა შენთაჲთა და მეოხებითა ყოველთა სათნოთა და ღირსთა, იყავნ!" **(ეფთ.)**; "და ჭელპყრობით ძღუანვად ზენაჲსა მის მიმართ ნეტარებისა ლიტანიობითა მშობელთა შენთაჲთა და ყოვლისავე საეკლესიოჲსა სავსებისაჲთა, იყავნ, იყავნ!" **(გოგუაძე 1985:125,1-3). ე. ი. ამ შემთხვევაში სამი ქართული თარგმანისათვის გამოიკვეთა სხვადასხვა ბერძნული წყარო - ერთი მხრივ, ეფთვიმესა და ეფრემისათვის ("z" ნუსხა), ხოლო მეორე მხრივ – თეოფილესათვის ("DQ" ნუსხები).**

**ბ) თეოფილესა და ეფთვიმეს თარგმანები გარკვეულ მსგავსებას ავლენენ ერთმანეთთან PG-ს ბერძნული ტექსტისა და მისი მიმყოლი ეფრემის თარგმანის ფონზე**

14 იხ.: მახარაშვილი 2012 : 59.

ბერძნულ ტექსტში საუბარია იმაზე, რომ წარმართები გვერდს უვლიან ჭეშმარიტებას და ყოველ ღონეს ხმარობენ თავიანთი მეფეების შობის დღესასწაულის ღირსეულად აღსანიშნავად: "Ei gar Ellhnwn paide~, daimonwn yeudei muqw kleptontwn ton noun kai suskiazontwn thn alhqeian kai basilewn genesia (geneqlia GY, genesqai E) dia pash~ hgon timh~, dwron ekasto~ prosferwn ta(to Kotter) kata dunamin, kai panta lumainomenwn ton bion" (PG 96 col. 661 B 8-13; Kotter 1988:169,3-6). თეოფილესა და ეფთვიმეს თარგმანები განსხვავდება დღეს ჩვენ ხელთ არსებული ბერძნული წყაროსაგან, კერძოდ, ეს ორი ქართველი მთარგმნელი წარმართებზე საუბრისას ამატებს ბერძნულ ტექსტს ამ წარმართების დამაკნინებელ ხაზგასმულ მონაკვეთებს: "ძენი იონთანი ცუდითა სიტყჳთა საეშმაკოჲთა მიიპარვენ გონებათა და დაჰფარვენ ჭეშმარიტებასა და მეფეთა მათთა შობასა ყოველთა პატივითა წინა-უყოფენ ძღუენსა თითოეული მათი, **მსგავსად ძალისა მათისა ნაკლულევანთა მათ და კნინცხორებულთა და სრულიად განქარვებადთა...**" **(ეფთ.) (იხ.: სქ. №7);** "შვილნი ელენთანი, შეცთომილნი იგი ეშმაკთაგან და წარპარულნი გონებითა სიტყუათხზულებისა მიერ, წმასნიან საქმეთა და იპარვენ სამართალსა და მოსწრაფე არიან [ ]დღაობად ჭეშმარიტებისა და აღსწერენ შობასა მეფეთასა და მეფეთა მათ დღესასწაულთა სურვილით პატივ-სცემენ და მოწიწებით შესწირვენ ძღუენთა სიხარულით, **ძალისაებრ თჳთოეულისა მათისა, და ესეღა ხენეშთათჳს და განხრწნილთა ცხორებითა და არაწმიდათა მოქალაქობითა...**" **(თეოფ.)**. ასეთი შემთხვევები, კერძოდ, წარმართთა დამაკნინებელი ჩანართები, ხშირად გვხვდება ეფთვიმეს სხვა თარგმანებშიც და ისინი მკვლევართა მიერ მიჩნეულია თვით ეფთვიმეს კუთვნილებად.[15] ამ კონკრეტულ დამატებასთან მიმართებით დაბეჯითებით ვერ ვიტყვით იგივეს, რადგან ორივე მთარგმნელთან ერთმანეთის მსგავსი დამატებაა გაკეთებული, კომენტარი აქვს გაკეთებული იმას, თუ რატომ იქცეოდნენ ეს "მაქებარნი" ასე, კერძოდ, იმიტომ, რომ თვითონ იყვნენ ბუნებით "**ნაკლულევანნი", "არაწმიდანი მოქალაქობითა...**". რაც შეეხება ეფრემ მცირეს, ის მისდევს ბერძნულ ტექსტს: "შვილნი მეკერპეთანი, ეშმაკთა ტყუვილისა ზღაპრობითა წარპარულნი გონებითა, შეამრდუევენ ჭეშმარიტებასა და მეფეთა მათთა შობისა დღესა ყოვლითავე პატივითა აღასრულებენ და თითოეული მოართუამს ძღუენსა ძალისაებრსა **და ამას ზედა წარაგებენ ყოველსა ცხორებასა მათსა" (გოგუაძე 1986 : 115, 13-14). სავარაუდოა, რომ ეფთვიმე ათონელსა და თეოფილე ხუცეხმონაზონს დედნად ჰქონდათ PG–სა**

15 ზოგიერთ შემთხვევაში ეფთვიმე, პირიქით, ცდილობს თავი აარიდოს წარმართების დღესასწაულებზე და მათ კერპებზე ვრცელი ჩანართების თარგმნას (იხ. მელიქიშვილი 1987 : 123).

**და კოტერის გამოცემებისაგან განსხვავებული ბერძნული რედაქცია. ნაკლებად სავარაუდოა, რომ თეოფილე და ეფთვიმე ერთი და იმავე ბერძნული ტექსტის გარკვეულწილად თავისუფალ თარგმანს აკეთებენ**[16].

ფრაზა: "**შენ ხარ სიმტკიცე მეფეთა**", რაც აკლია მინის გამოცემას (**PG 96 col. 680 A 8),** არის კოტერის გამოცემის ძირითად ტექსტში: "basilewn sthrigma" **(Kotter 1988:181,24)**. ამ გამოცემის ვარიანტულ წაკითხვებში გაკეთებულია ასეთი შენიშვნა: basilewn sthrigma **om., sed suppl. sub aster. i. m. inf. L.** ეს ფრაზა არის ეფრემის **(გოგუაძე 1986:124,29)** და თეოფილეს თარგმანებშიც **(იხ. სქ. №195)**. როგორც ჩანს, ქართველი მთარგმნელები იყენებენ კოტერის გამოცემის ძირითად ტექსტში გათვალისწინებულ ნუსხებს და არა L ნუსხას, რომელსაც ეს სიტყვები აკლია. ქ. სალადაია თავის წერილში: **"ეფთვიმე ათონელის თარგმანის კვალი გვიანდელ მთარგმნელებთან"** - ამ ადგილზე დაყრდნობით ასკვნის, რომ ეფრემმა გამოიყენა ეფთვიმეს თარგმანი, როდესაც დაწერა PG-ს ტექსტისაგან განსხვავებული **"სიმტკიცე მეფეთაჲ": "ეს შესიტყვება - "სიმტკიცე მეფეთაჲ" - არ დასტურდება ბერძნული აკადემიური გამოცემის ვარიანტებში, რაც უდავოს ხდის მის ეფთვიმესეულ წარმომავლობას" (იხ. სალადაია 2009:51)**. როგორც ჩანს, ქ. სალადაიას ხელი არ მიუწვდებოდა კოტერის გამოცემაზე და ამან განაპირობა მის მიერ გაკეთებული ეს დასკვნა.[17] ამდენად, ეს მაგალითი ვერ დაადასტურებს ქ. სალადაიას მოსაზრებას ეფრემის მიერ ეფთვიმეს თარგმანის გამოყენების შესახებ. ბოლომდე დამაჯერებელი არ უნდა იყოს **ეფთვიმეს, როგორც წყაროს, მოხმობა თეოფილე ხუცესმონაზონისათვის ამ წერილში მოტანილ მეორე მაგალითშიც (ქ. სალადაიას აღნიშნულ წერილში სულ ორი მაგალითია),** სადაც ესაია წინასწარმეტყველის ციტატა (9,6) ეფთვიმესთან სრულად არის, ნაწილობრივ ნაკლულია თეოფილესთან და ბოლომოკვეცილი – PG-სა და ეფრემთან: ეფრემი ამ ციტატას აკლებს იმავე მონაკვეთს, რაც არ არის PG-სა და კოტერის გამოცემებში **(იხ.: გოგუაძე 1986: 118,14-15)** და რაც შემდეგნაირად არის წარმოდგენილი ეფთვიმესა და თეოფილესთან: **"ჴელმწიფე, მთავარი მშჳდობისაჲ, მამა მერმეთა მათ საუკუნეთაჲ" (ეფთ.); "ღმერთ ძლიერ და ჴელმწიფე და მთავარ საუკუნეთა" (თეოფ.) (იხ. ტექსტის წინამდებარე გამოცემა, სქ. №87; სქ. №248)**. ვფიქრობთ, **ვერ გამოვრიცხავთ ვარაუდს, რომ თეოფილემ ეს ბიბლიური ციტატა ესაიას წინასწარმეტყველებიდან (9,6) საკუთარი მოსაზრებითა და სურვილით დაასრულა, ისევე, როგორც ეფთვიმემ (ეფთვიმესთან მიმართებით ამას არც ქ. სალადაია გამორიცხავს,**

16 ამ შემთხვევაში შეიძლება იმის თეორიული დაშვებაც, რომ თეოფილემ ეფთვიმეს თარგმანის გავლენა განიცადა.

17 ასეთ შემთხვევებშიც, ვფიქრობთ მკვლევარმა არ უნდა გამორიცხოს განსხვავებული წაკითხვის მქონე ბერძნული ნუსხის არსებობა, რომელზეც, შესაძლოა, ხელი აღარ მიგვიწვდება და რომელიც გამოყენებული აქვს მთარგმნელს.

**მაგრამ თეოფილესთან დაკავშირებით რატომღაც იგივეს არარეალურად მიიჩნევს). ამ შემთხვევაში, ასევე, შეიძლება ვივარაუდოთ ეფთვიმესა და თეოფილესათვის ეფრემისაგან (ანუ PG–სა და კოტერის გამოცემებში გათვალისწინებული ნუსხებისაგან) განსხვავებული ბერძნული წყარო.**

ფრაზის ეფთვიმესეული დამასრულებელი სიტყვები: **"...ასულისა თქუენისა ყოვლადწმიდისა" (იხ. სქ. №198)** ასეა წარმოდგენილი თეოფილეს თარგმანში: **"წმიდისა მაგის და ყოვლადუბიწოჲსა"**. ეს სიტყვები არ არის **PG**-სა და **კოტერის** გამოცემებში (**PG 96 col. 680 B 2; Kotter 1988:182,2),** არ არის არც ამ ბერძნული ტექსტის მიმყოლ ეფრემის თარგმანში **(გოგუაძე 1986:124,35). ამ შემთხვევაშიც ეფთვიმესა და თეოფილეს თარგმანებს ერთი და იგივე ბერძნული წყარო უჩანთ დედნად, ხოლი ეფრემს – განსხვავებული.**

მინის პატროლოგიის ფრაზა: poma nektar toi~ ghgenesi phgazonta ei~ zwhn **(PG 96 col. 673 C 4-5)** კოტერის გამოცემის ძირითად ტექსტში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: nektar toi~ ghgenesi phgazonta ei~ zwhn **(Kotter 1988:178,2),** ხოლო ამავე გამოცემის ვარიანტული წაკითხვაა: nektar] qeion **E** oinon **X eras. L.** ე. ი. **E** ნუსხა, ნაცვლად **"ნექტარისა",** წერს **"ღმერთს"**. ბერძნულ ტექსტში საუბარია იმაზე, თუ რა **"აღმოცენდა"** ანასაგან: დავარქმევთ ამას **"საღმრთო ნეკტარს" (თეოფ.), "ახალ ღუნოს" (ეფთ.)** თუ **"ცხოვრების ნაკადულს" (იხ. სქ. №272),** - ამით ფრაზის აზრი არ იცვლება, რადგან მომდევნო სიტყვები ერთნაირად განმარტავენ ამ სამივე ვარიანტს: ეს არის ის (ანუ ანასაგან აღმოცენდა ის), რაც საუკუნო ცხოვრებას მოუტანს ადამიანებს. ეს განსხვავებული წაკითხვები მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ სამი ქართული თარგმანის ბერძნული წყარო, კერძოდ, ეფრემ მცირეს თარგმანი: **"... ნაკადული ცხორებისაჲ წყარო ექმნა" (გოგუაძე 1986:121,37)** ეყრდნობა კოტერის გამოცემის E ნუსხის წაკითხვას: nektar] qeion **E** – ეფრემმა qeion გადმოიღო როგორც **"ცხორება". ამ შემთხვევაშიც ეფთვიმესა და თეოფილეს ერთი და იგივე ბერძნული ტექსტი უჩანთ გამოყენებული, ხოლო ეფრემს – მათგან განსხვავებული.**

თეოფილემ ბერძნული phgh zwh~ **(PG 96 Col. 673 C 14)** და კოტერისეული pulh] phgh **EY (Kotter 1988:178,9)** თარგმნა როგორც **"გზა ცხორებისაჲ"**, ეფთვიმემ – როგორც **"ბჟᲗ ცხორებისაჲ" (იხ. სქ. №276). ე.ი. თეოფილემ და ეფთვიმემ გაითვალისწინეს ერთი და იმავე ბერძნული ნუსხის ჩვენება, კერძოდ, იმ ნუსხისა, რომელშიც არის** pulh **და არა** - phgh. ეფრემის თარგმანს ეს მონაკვეთი აკლია **(გოგუაძე 1986:122,4).**

დაბოლოს, გვინდა მივუბრუნდეთ იმ საკითხს, რაც ზემოთ უკვე დავაყენეთ, კერძოდ, **რა წყაროს ეყრდნობა თეოფილე ამ ჰომილიის თარგმნისას?** ეს კითხვა გაჩნდა იმის გამო, რომ თეოფილეს თარგმანში საკმაოდ ბევრი განსხვავება არის იმ ტექსტისაგან, რომელიც გამოყენებულია მინის პატროლოგიაში და, აგრეთვე, კოტერის გამოცემის ძირითად ტექსტად. როგორც ზემოთ წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რიგ შემთხვევაში ჩვენ შევძელით თეოფილეს განსხვავებული წაკითხვების წყაროს მიგნება კოტერისეული გამოცემის ვარიანტულ წაკითხვებში მითითებული ნუსხების სახით. ეს ნუსხებია: **E, Q, Y, L (იხ. სქ. №244, 271, 293, 195)**. ერთ შემთხვევაში ეფთვიმეს თარგმანიც მხარს უბამს თეოფილეს თარგმანს ამ კუთხით **(სქ. №195)**. არის კიდევ რამდენიმე შემთხვევა (გარდა სქ. №195-ისა), როდესაც თეოფილე და ეფთვიმე ერთსა და იმავე წაკითხვას გვთავაზობენ, განსხვავებით ბერძნული ტექსტისა და მისი მიმყოლი ეფრემის თარგმანისაგან. აქ უკვე აღარ ჩანს ამ საერთო წაკითხვების წყარო კოტერის გამოცემის ვარიანტულ ნუსხებში **(იხ.: სქ. №№ 7, 74, 198, 272, 276)**. მოტანილი გვაქვს თეოფილეს თარგმანის ის განსხვავებები ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანებისაგან, სადაც ეს უკანასკნელნი მიყვებიან ბერძნულ ტექსტს **(იხ.: სქ. №№ 255, 252, 273, 308)** და ამ განსხვავებათა წყაროს მიგნება კოტერის გამოცემის მეშვეობით ვერ ხერხდება.

ზემოთ თქმულის საფუძველზე უდავოა, რომ **თეოფილე ხუცესმონაზონი სარგებლობს გარკვეული ბერძნული წყაროთი (თუ წყაროებით), რომლებიც არ არის გათვალისწინებული ეფთვიმესა და, განსაკუთრებით, ეფრემის თარგმანებში**. ეფრემი, ფაქტობრივად, უცვლელად მიყვება PG-სა და Kotter-ისეული გამოცემების ძირითად ტექსტს. კითხვას აჩენს ის მაგალითები, სადაც ერთმანეთთან მსგავსებას ავლენენ თეოფილესა და ეფთვიმეს თარგმანები PG-სა და Kotter-ისეული გამოცემების ძირითადი ტექსტისა და მათი მიმყოლი ეფრემისეული თარგმანისაგან განსხვავებით. ასეთ შემთხვევებში შეიძლება ვივარაუდოთ როგორც კიდევ ერთი, საერთო ვარიანტული წაკითხვების მქონე, ბერძნული ნუსხის არსებობა ეფთვიმესა და თეოფილესათვის, ასევე, ეფთვიმეს თარგმანის გავლენა თეოფილეს თარგმანზე[18]. ოღონდ, ეს გავლენა არ გულისხმობს თეოფილეს მიერ ეფთვიმეს თარგმანის სიტყვა-სიტყვით გამეორებას; უფრო ზუსტი იქნება, თუ ამ გავლენას თეოფილეს მიერ ეფთვიმესაგან გარკვეული აზრის სესხებას დავარქმევთ. ამ კონტექსტში ზემოთ მოტანილი მაგალითების ხელახალ განხილვას არ შევუდგებით – ეს მკითხველმა თავად შეიძლება გააკეთოს გვ. 56-ზე "ბ" ქვეთავში განხილული ტექსტის საფუძველზე.

18 ამ გავლენაზე, ორიოდე მაგალითზე დაყრდნობით, საუბრობს ქ. სალადაია თავის წერილში **(იხ. სალადაია 2009:51)**.

კოტერს ტექსტზე დართული აქვს იმ ნუსხათა ჩამონათვალი, რომლებიც გათვალისწინებულია მის გამოცემაში და რომლებზეც მას ხელი მიუწვდებოდა **(95 ნუსხა)**[19]. ძირითად ნუსხებად ის ასახელებს 7 ხელნაწერს. ესენია: **1) D – Oxon, Bodl. Barocc. 174; s. 10/11. 2) E – Vatic. Gr. 455; s. 9/10 (10). 3) G – Laurent. IV,4; s. 11/12 u. 16. 4) L – Leningr. Saltyk.-Scedr. 48; s. 8(9). 5) Q – Mosqu. Hist. Mus, Synod. 284 (S); s. 9/10. 6) X – Mosqu. Hist. Mus. Synod. 140 (S); S. 11. 7) Paris. Gr. 1171; s. 10. 8) z == LQXY**[20]**.** გამომცემელი აჩვენებს ამ ნუსხათა ურთიერთმიმართებასა და მათ მიმართებას ძირითად ნუსხებთან და მიღებულ სურათს ცხრილის სახით წარმოადგენს[21]. როგორც ძირითადი ნუსხების ზემოთ მოტანილი ჩამონათვალიდან ჩანს, მასში შედის ხელნაწერი **z,** რომელიც აერთიანებს ოთხი ნუსხის ჩვენებებს. ვფიქრობთ, სწორედ მსგავსი ბერძნული წყაროდან თარგმნიდა თეოფილე და ამიტომ გვაქვს მის თარგმანში ასეთი „სიჭრელე" – ის ხან ეფთვიმეს მსგავს წაკითხვას იძლევა, ხან – ეფრემისას და ხანაც – ორივესაგან განსხვავებულს[22].

თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანში PG-სა და Kotter-ისეული გამოცემებისაგან განხვავებული წაკითხვების არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ ან ყველა ეს განსხვავება ავხსნათ ბერძნულ ნუსხათა სიმრავლით, ანუ იმით, რომ კოტერი თავის გამოცემაში ვერ გაითვალისწინებდა 95-ვე ხელნაწერის ჩვენებას, ან ისინი, ყველა განურჩევლად, მივაწეროთ დაკარგულ, დღემდე მოუღწეველ ბერძნულ ნუსხებს (თუმცა ჩვენ, თეორიულ დონეზე, ვვარაუდობთ ასეთი ვერმოღწეული ნუსხების არსებობას). სრულიად დასაშვებია, რომ რიგ შემთხვევაში თეოფილეს საკუთარი მოსაზრებით ზოგჯერ უმნიშვნელო ცვლილება შეჰქონდა ტექსტში (უფრო ხატოვნად და დამაჯერებლად ამბობდა სათქმელს), ზოგჯერ, ეფთვიმეს დარად, სათარგმნი ტექსტის გარკვეულ კომენტირებას ახდენდა. დღეს ძნელია ამ ორი კატეგორიის შემთხვევების ერთმანეთისაგან გამიჯვნა (ანუ როდის უნდა აიხსნას თეოფილესეულ თარგმანში ვარიანტულ დონეზე ცვლილება განსხვავებული ბერძნული ნუსხის საფუძველზე და როდის – თვითონ თეოფილესეული ჩარევით). მაგრამ თეოფილე ხუცესმონაზონს რომ ნამდვილად შეჰქონდა ასეთი ცვლილებები თარგმანში, ეს ჩვენთვის უდავოა; ისიც ცხადია, რომ ის ხშირად არღვევდა თავის თეორიულ შეხედულებას თარგმანის დედანთან

19 Kotter 1988:152-155.

20 Kotter 1988:168.

21 Kotter 1988: 155-168.

22 ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია თეოფილეს მთარგმნელობითი მეთოდის ერთ-ერთი პრინციპიც: ის დიდ ყურადღებას უთმობდა სარწმუნო – დაუმახინჯებელი და შეურყვნელი - დედნის მოპოვებას (იხ. მახარაშვილი 2012:59). არ არის გამორიცხული, რომ ჰომილიის თარგმნისას მან ერთმანეთისაგან ვარიანტულ დონეზე განსხვავებული რამდენიმე ბერძნული ნუსხა მოიპოვა და ამით აიხსნება მისი წაკითხვების „სიჭრელე".

ზედმიწევნითი სიახლოვის შესახებ[23].

სოსო მახარაშვილმა წმ. ეპიფანე კვიპრელის „ოთხმეოცთა წვალებათათჳს“ თეოფილესეული ქართული თარგმანის მისეულ გამოცემას დაურთო გამოკვლევა, რომელშიც მიმოიხილავს თეოფილე ხუცესმონაზონის მთარგმნელობით მეთოდს[24]. მკვლევარი სწორად შენიშნავს, რომ “ზუსტი თარგმანის მიმდევრები გარკვეულ ანგარიშს მაინც უწევდნენ ძველ ლიტერატურულ ტრადიციას... ეს მომენტიც, როგორც ერთგვარი გამონაკლისი, ალბათ, გათვალისწინებული უნდა იქნეს თეოფილეს ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისას”[25].

ვფიქრობთ, თეოფილეს ანდერძში ასეთი ხაზგასმით ნათქვამი (და არა მხოლოდ თეოფილეს მიერ), რომ **“უკუეთუ ვინმე წერდეს ამიერ, ვითა აქა პოოს, ეგრეთ წერდინ შეუცვალებელად... ვითარცა ბერძულად მიპოვნია წიგნთა შინა მართალთა და ფრიადცა წარჩინებულთა, ესრევე ქართულად დამიწერია...”**[26], არის ელინოფილი მთარგმნელის მიერ არა მხოლოდ ხაზგასმა ზუსტი თარგმანის აუცილებლობაზე, არამედ თავის დაცვა ისეთი პიროვნებებისაგან, როგორიც იყო, მაგალითად, ოზანი[27] და მათ მიერ ტექსტის დამახინჯებისა და “განრყუნისაგან”. ვფიქრობთ, რომ ამ მთარგმნელთა მიერ გამოცხადებული პრინციპი ტექსტის ზუსტი გადმოღებისა გულისხმობდა სწორედ აზრობრივად სწორ თარგმანს და არა ისეთ უმნიშვნელო ჩარევებს, რაც მიზნად ისახავდა თარგმანში მკითხველისათვის მეტი გარკვეულობის შეტანას. თუ ჩვენი ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ არის, ამით შეიძლება ავხსნათ ის ნაწილობრივი თავისუფლება თარგმნის პროცესში, რის უფლებასაც ელინოფილი მთარგმნელები აძლევდნენ საკუთარ თავს[28] და რაზეც მსჯელობს თუნდაც ს. მახარაშვილი თავის გამოკვლევაში. მოვიტანთ მცირე ამონარიდს: **“ოთხმეოცთა წვალებათათჳს” თხზულების ქართული თარგმანი ცხადყოფს თეოფილე ხუცესმონაზონის თავისუფალ მთარგმნელობით აზროვნებას. მთარგმნელის ამგვარი თავისუფლება და, გარკვეული აზრით, დედნისაგან დამოუკიდებლობა ჩანს მისი თარგმანის არა მარტო სინტაქსზე, არამედ ლექსიკა-სემანტიკაზე დაკვირვებისასაც”**[29]. ს. მახარაშვილი თეოფილეს “თავისუფალ მთარგმნე-

23 იხ. თეოფილე ხუცესმონაზონის ანდერძი: Ath. 20, 190r-v (ანდერძი გამოცემულია: ლოლაშვილი 1982 : 49-50. ათონური ნუსხა 1986 : 104).

24 მახარაშვილი 2012:58-61.

25 მახარაშვილი 2012 : 60. ავტორს თავისი გამოკვლევის სქოლიოებში (გვ. 58-62) მითითებული ყავს ის მკვლევრებიც, რომლებმაც ამ კუთხით შეისწავლეს ელინოფილი მთარგმნელების თარგმანები (ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, რ. მიმინოშვილი, ე. ხინთიბიძე, რ. სირაძე, მ. რაფავა).

26 Ath. 20, 190r.

27 კეკელიძე 1980 : 192-193.

28 იხ.: კეკელიძე 1956 : 189-190.

29 მახარაშვილი 2012:89.

ლობით აზროვნებაში" არ გულისხმობს ისეთ შედარებით მსხვილ ცვლილებებს, რაზეც ჩვენ ვმსჯელობთ ღვთისმშობლის შობის ჰომილიის ქართული თარგმანის ზემოთ მოტანილ ადგილებზე დაყრდნობით, თუმცა მსგავსი "თავისუფალი თარგმანის" მაგალითებიც მოაქვს მას მის მიერ განხილული თარგმანიდან, ოღონდ ამ ცვლილებებს უცნობი ბერძნული დედნიდან მომდინარედ თვლის[30]. ს. მახარაშვილის მიერ მოწოდებული განმარტება გასაგები და მისაღებია: ჩვენც ასევე გვიჭირს შობის ჰომილიაში დადასტურებული ცვლილებები ერთმნიშვნელოვნად მივაწეროთ ან თეოფილეს და ან ჩვენთვის უცნობ ბერძნულ დედანს.

თეოფილე ხუცესმონაზონი რომ გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებდა თავს ბერძნული ტექსტის გადმოღებისას, ამაზე მეტყველებს მის მიერ თარგმნილი "მამათა სწავლანი და თხრობანი"-ს ტექსტის ანალიზიც. ჩვენს მსჯელობას დავასრულებთ მცირე ამონარიდით ამ თარგმანის ტექსტზე დართული გამოკვლევიდან: **"პატერიკში გვხვდება შენიშვნები** (იგულისხმება ტექსტში, გაბმულ თხრობაში ჩართული ადგილები, ნ.მ.), **რომლებიც მთარგმნელს ეკუთვნის და ტექსტის გაუგებარი ადგილის ახსნას წარმოადგენს**"[31].

30 მახარაშვილი 2012:64-70.

31 თეოფილე ხუცესმონაზონი 2014 : 58.

## თავი II

### წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლის დაძინების სამი ჰომილიის ორი ქართული თარგმანის ურთიერთმიმართება და მიმართება ბერძნულ წყაროსთან

წინამდებარე თავში აისახა ის სამუშაო, რომელიც ჩავატარეთ წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლის დაძინების სამი ბერძნული ჰომილიის ორი ქართული თარგმანის (წინაათონური პერიოდის ანონიმური და, სავარაუდოდ, ეფრემ მცირისეული) ბერძნულ წყაროსთან შედარების კუთხით. შედარების საფუძველზე გაჩნდა იმის შესაძლებლობაც, რომ ვისაუბროთ ღვთისმშობლის დაძინების სამი ჰომილიის შემცველი ზემოთ დასახელებული ორი ქართული თარგმანის (რედაქციის) ურთიერთმიმართებასა და ორი მთარგმნელის (წინაათონელისა და ეფრემ მცირის) მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ. ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდი საკმაოდ კარგად არის შესწავლილი და ჩვენ მიერ მოპოვებული მასალაც მხარს უჭერს ამ საკითხზე მომუშავე მკვლევართა დასკვნას, კერძოდ, იმას, რომ ეფრემი, თავისი მოღვაწეობის დასაწყის ეტაპზე, ზომიერი ელინოფილი იყო, ანუ მისი თარგმანები სიტყვა-სიტყვით არ მისდევს სათარგმნ ტექსტებს. ეფრემის მთარგმნელობითი მეთოდის ორი პერიოდის არსებობის განსაკუთრებით თვალნათელი დადასტურებაა ის ტერმინოლოგიური სხვაობა, რაც შეინიშნება დროის ამ ორ შუალედში შესრულებულ თარგმანებს შორის. ვფიქრობთ, ჩვენი მასალა ამ მიმართულებით რამდენადმე გაამდიდრებს უკვე არსებულს. რაც შეეხება წინაათონურ თარგმანს, აქ სხვა ვითარებაა. ეს სფერო ნაკლებად არის შესწავლილი და, ამდენად, ამ რედაქციის ტექსტების ბერძნულ წყაროსთან ჩვენი შედარების შედეგები, სავარაუდოდ, გარკვეულწილად შეავსებს არსებულ ხარვეზს.

შესაძლებლობა გვქონდა გამოგვეყენებინა იოანე დამასკელის ღვთისმშობლის დაძინების ჰომილიების ბერძნული ტექსტის შემდეგი გამოცემები:

1) Patrologiae, Cursus Completus, Omnium SS. Patrum, Doctorum Scriptorumque Ecclesiasticorum, Sive Latinorum, Sive Graecorum, Accurante J. –P. Migne, Bibliothecae Cleri Universae, Patrologiae Graecae, Tomus 96,Brepols – Turnhout, 1976, S. Joannis Damasceni **(I - PG, 96, col. 700-721)[1]; (II - PG 96, col.**

1 Iwannou tapeinou kai elacistou monacou kai presbuterou, tou Damaskhnou, Egkwmion ei~ thn koimhsin th~ panumnhtou, kai uperendoxou euloghmemh~ Despoinh~ hmwn Qeotokou kai Aeiparqenou Maria~.

721-753)[2]; (III - PG 96, col. 753-761)[3].

2) Die Schriften des Johannes von Damaskos, herausgegeben von Byzantinischen Institut der Abtei Scheiern, V, Opera Homiletica et Hagiographica, besorgt von P. Bonifatius Kotter O.S.B., Walter de Gruyter. Berlin, New York, 1988: **(I - Kotter 1988:483-500)[4]; (II - Kotter 1988:516-540)[5]; (III - Kotter 1988:548-555)[6].**

კოტერის გამოცემაში გათვალისწინებულია იოანე დამასკელის განსახილველი ჰომილიების დღევანდლამდე მოღწეული ბერძნული ტექსტის შემცველი 100-მდე ნუსხა.[7]

შევეცადეთ, სისტემური სახე მიგვეცა ქართული მასალის ბერძნულ ტექსტთან შედარების შედეგებისათვის და, შეძლებისდაგვარად, გამოგვეყო ის კატეგორიები, რომლებშიც მოთავსდებოდა მიძინების ჰომილიის სათარგმნი წყაროსაგან ორივე თარგმანის გადახვევის შემთხვევები, ასევე, განსხვავებები ამ ორ ქართულ თარგმანს შორის. თითოეული თარგმანის ფარგლებში სამივე ჰომილიის მასალას ერთად წარმოვადგენთ.

## 1. ღვთისმშობლის დაძინების ჰომილიების წინაათონური თარგმანის მიმოხილვა

სამეცნიერო კვლევა წინაათონელ მთარგმნელთა მიერ ტექსტის უცხო ენიდან გადმოღების მეთოდების შესახებ ძირითადად ეფუძნება უძველესი ქართული ბიბლიური თარგმანების შესწავლას. V-VII სს-ში მთარგმნელთა მიზანი იყო, ზუსტად ეთარგმნათ ღვთის სიტყვა – რა მეთოდით შეიძლებოდა ამ სიზუსტის მიღწევა, სპეციალური მსჯელობის საგანი იმ პერიოდში ვერ გახდებოდა და ამ მოღვაწეობას სისტემური სახე, მთარგმნელობითი სკოლების შექმნის სახით, ვერ მიეცემოდა. ტექსტის სპეციფიკიდან გამომდინარე, მთარგმნელები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ირჩევდნენ თარგმნის იმ პრინციპს, რაც მათთვის უფრო მისაღები იყო და რაც იმას ნიშნავს, რომ ამ თარგმანებში შიგადაშიგ ვლინდება როგორც სიტყვა-სიტყვითი, ისე თავისუფალი თარგმანისათვის

2 Tou autou logo~ deutero~ ei~ thn endoxon koimhsin th~ panagia~ Qeotokou kai aeiparqenou Maria~.

3 Tou autou logo~ trito~ ei~ thn koimhsin th~ panagia~ Qeotokou.

4 Iwannou tapeinou kai amartwlou monacou, doulou twn doulwn tou kuriou hmwn Ihsou Cristou th~ palaia~ laura~, ei~ thn koimhsin th~ agia~ Qeotokou logo~ prwto~.

5 Tou osiou patro~ hmwn Iwannou, monacou Damaskhnou tou Mansour, ei~ thn agian kai uperendoxon koimhsin kai metastasin th~ despoinh~ hmwn Qeotokou kai aeiparqenou Maria~.

6 Iwannou, tou Damaskhnou monacou kai presbuterou, logo~ ei~ thn koimhsin th~ despoinh~ hmwn Qeotokou.

7 იხ.: Kotter 1988: 465-469; 474; 482.

დამახასიათებელი ნიშნები. ამდენად, გვიანდელ თარგმანებსა თუ რედაქციებში გამოყენებული თარგმნის არც ერთი პრინციპი სიახლეს არ წარმოადგენს, მათ ადრინდელ თარგმანებშიც ვხვდებით, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ უძველეს თარგმანებში ეს პრინციპები სპონტანურად არის გამოყენებული, შემდგომში კი უკვე გააზრებული, საგანგებოდ ჩამოყალიბებული, განვითარებული და დახვეწილი სახე აქვთ[8].

წინაათონურ პერიოდში, წმ. იოანე დამასკელის განსახილველი ჰომილიების ბერძნული ენიდან გადმოღებისას, მთარგმნელობითი პრინციპები უკვე გარკვეულად ჩამოყალიბებული იყო. ტაო-კლარჯული ნათარგმნი ლიტერატურის შესწავლა იმის საშუალებას იძლევა, რომ ვისაუბროთ იმ პერიოდში არსებული მთარგმნელობითი მეთოდების შესახებ. მკვლევართა მიერ დღესდღეობით ამგვარი შემაჯამებელი დასკვნა არის გაკეთებული: "ტაოკლარჯულ კრებულებში არ ჩანს მკაცრად ერთგვაროვანი მიდგომა თარგმანის მიმართ – ერთმანეთის პარალელურად შეიძლება შეგვხვდეს დედანთან უფრო დაშორებული თარგმანიც და ე. წ. ელინიზებულიც, რომელიც თარგმანის მიმართ უფრო მკაცრ დამოკიდებულებას ასახავს"[9].

ამ პერიოდის ქართული თარგმანების კვლევა მთარგმნელობითი მეთოდის კუთხით, სამწუხაროდ, ნაკლებად არის წარმოებული. ამიტომ წინაათონური ხანის ყოველი ახალი თარგმანის შესწავლა მნიშვნელოვანია. წარმოვადგენთ ჩვენს გამოცემაში შესული ჰომილიების ბერძნულ ტექსტთან შედარების შედეგად მიღებულ დასკვნებს. წინასწარ ვაცხადებთ, რომ დედანთან დაშორების მიზეზების განმარტება ყოველთვის ვერ იქნება ზუსტი, რადგან სრული დარწმუნებულობით არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ ხელთ გვაქვს ამ ჰომილიების ყველა უძველესი ბერძნული ნუსხა და ცვლილება ბერძნული წყაროსაგან მიეწერება მთარგმნელს და არა რომელიმე ვერმოღწეულ ბერძნულ ნუსხას.

იოანე დამასკელის "ღმრთისმშობლის დაძინების" ბერძნული ტექსტის თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოღებისას ქართველი წინაათონელი მთარგმნელის მიერ, ხშირად იკვეთება მთარგმნელისეული პოზიცია ამა თუ იმ საკითხთან მიმართებით. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს არ არის დოგმატური საკითხები, არამედ ეხება მთარგმნელის სუბიექტურ დამოკიდებულებას სათარგმნ ჰომილიაში გადმოცემული ამა თუ იმ ეპიზოდისადმი.

წინაათონელი მთარგმნელის თავისუფალი მიდგომა ბერძნული დედნისადმი, ძირითადად, გამოიხატება შემდეგში: **1) მთარგმნელი ზუსტად**

8 იხ.: ხარანაული 2005 : 133-152.

9 სურგულაძე 2018 : 54.

**არ მისდევს ბერძნულ წყაროს და მასში თავისი შეხედულებისამებრ ცვლის ზოგიერთ სიტყვას თუ ფრაზას; 2) მთარგმნელი უმნიშვნელოდ ამატებს ტექსტს ან გარკვეულწილად ცვლის მას, რათა სათქმელს ხაზი გაესვას და დაზუსტდეს, უფრო ხატოვანი გახდეს, გამოიკვეთოს აღწერილი პროცესის მიზანი და შედეგი; 3) მთარგმნელი აზრის შეუცვლელად ამოკლებს, უმნიშვნელოდ ცვლის ტექსტის ფრაზეოლოგიას და უფრო ლაკონურს ხდის კონტექსტს.**

**მოვიტანთ ნათქვამის დამადასტურებელ მასალას:**

რიგ შემთხვევაში მთარგმნელისეული ჩარევა განპირობებულია მისი სურვილით, სათარგმნ ტექსტთან მიმართებით კიდევ უფრო სრულად გამოხატოს თავისი მოწიწებული დამოკიდებულება მამა ღმერთის, ძე ღმერთისა და ღვთისმშობლის მიმართ. ამის მაგალითებად შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი შემთხვევები: საკმაოდ გრძელი ფრაზის უთარგმნელობა, ვფიქრობთ, იმ მიზეზით, რომ ვარაუდის დონეზეც კი არ სურს მთარგმნელს ეჭვი შეიტანოს იმაში, **რომ** ღვთისმშობელი **არის** „კურთხევის წყარო“ (th~ eulogia~ phgh **PG 96 col. 732 B 8-9; Kotter 1988:523,18) (იხ.: II, 1, სქ. №81)**[10]. ამავე რიგის მოვლენაა სულისა და ხორცის ერთ სიბრტყეზე დაყენების გამოსარიცხად იმავე ეპითეტების ჩამოშორება „ხორცისათვის“, **რაც** მისადაგებულია სულისთვის: “kai fusikw~ h paniero~ kai makaria sou yuch tou panolbiou kai akhratou sou cwrizetai swmato~“ **(PG 96 col. 716 A 14-15; Kotter 1988:495,18-19)**. ეფრემის თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს: “წესითა ბუნებითითა განეშორების ყოვლადდიდებული და ყოვლადსანატრელი სული შენი **ყოვლადსანატრელთა და უბიწოთა ჴორცთაგან შენთა” (იხ.: I, 1, სქ. №143). რაც შეეხება წინაათონელ მთარგმნელს, მან ხორცისადმი, ანუ სხეულისადმი, მიძღვნილი ეპითეტები არ გადმოიღო** ქართულ ტექსტში: მისი თავისუფალი თარგმანი ასე გამოიყურება: “არა დაადგრეს სიკუდილსა შინა და არცა დაიჴსნნეს **ჴორცნი შენნი** ხრწნილებითა, დაღაცათუ სული შენი უბიწოდ განეშორა მათგან“.

ზოგიერთ შემთხვევაში მთარგმნელისეული ჩარევა სათარგმნ ტექ-სტში, როგორც ჩანს, განპირობებულია მისი სურვილით, არ დაირღვეს მიმართება სამების წევრებს შორის. ეს გამოიკვეთება იმ კონტექსტებში, სადაც მამა ღმერთი და ძე ღმერთი გვერდი-გვერდ არიან მოხსენიებულნი:

10 მოტანილი გვაქვს მაგალითები წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლის დაძინების სამი ჰომილიის წინაათონური თარგმანის ტექსტის ბერძნულ წყაროსთან შედარების შედეგად გაკეთებული შენიშვნებიდან (შენიშვნ. II, დანართი I): აქ და ქვემოთ ადგილებს ვუთითებთ შემდეგნაირად: ჰომილიის ნომერს – რომაული ციფრით, ქვეჯგუფისა და გამოცემულ ტექსტზე დართული ჩვენეული სქოლიოს ნომრებს – არაბული ციფრით.

**მთარგმნელმა თარგმანში ძე ღმერთს ჩამოაშორა ის ეპითეტები, რომლებიც მისადაგებულია იმავე წინადადებაში მამა ღმერთისადმი:** o tou basilew~ twn apantwn qeou uio~, o sunanarco~ kai sumbasileuwn tw oikeiw Gennhtori (**PG 96 col. 713 B 1-2; Kotter 1988:493,3-494,4**). წინაათონელმა მთარგმნელმა დატოვა ფრაზის მხოლოდ ნაწილი: "მეუფჱ იგი ყოველთაჲ, რომელ არს ძჱ ღმრთისაჲ", ხოლო ეფრემმა ზუსტად გადმოიღო ბერძნული ტექსტი: "ყოველთა მეუფე ძჱ ღმრთისაჲ, **თანადაუსაბამოჲ და თანამეუფჱ თჳსისა მშობელისა მამისაჲ" (I, 1, სქ. №317).**

ასევე მოიქცა მთარგმნელი, შესაძლოა, იმავე მიზეზით, ძე ღმერთისა და ღვთისმშობლის მიმართაც, არ გაავლო რა პარალელი მათ შორის – გამოტოვა მთელი წინადადება, რომლითაც, თუნდაც ვარაუდის დონეზე, ღვთისმშობლის შესაძლებლობები შეიძლება გათანაბრებულიყო ძე ღმერთის ღვაწლთან: Ti~ gar, ei mhtige (mhge **Kotter**) o Logo~ h, prosenhktai touto pascwn, o prattein upeilhptai (**PG 96 col. 733 C 12-14; Kotter 1988:526,12-13)**. ეფრემმა კი ზუსტად გადმოიღო ეს ფრაზა: **"რამეთუ რაჲღა სხუაჲ შეგემთხუევის, თჳნიერ მასვე თავს-იდებ, რომელი კაცთათჳს თავს-იდვა სიტყუამან, შენგან ჴორცშესხმულმან" (II, 1, სქ. №120).**

წინაათონელი მთარგმნელი ტექსტის გადმოღებისას მხოლოდ იმაზე არ ზრუნავს, რომ დაცული იქნეს იერარქიული წესრიგი. ის არ გაურბის ტექსტის გავრცობას, როდესაც სურს, რომ შესხმის ობიექტის ესა თუ ის თვისება თუ მხარე უფრო სრულად წარმოაჩინოს. ტექსტში ასეთი ჩარევის კონკრეტული მაგალითია ბერძნული კონტექსტის გარკვეულწილად შეცვლა იქ, სადაც საუბარია იმ სიკეთეებზე, რაც ღვთისმშობლის **"მოუკლებელ და დაუწყუედელ მადლს"** თან სდევს – კერძოდ, დაკონკრეტება **მადლიდან აღმოცენებული ღვთისმშობლის იმ უნარებისა, რომელთა გონებით აღქმა შეუძლებელია**: "მარადის აღმოაცენებენ ნიჭთა შენთა, **რომელნი უზეშთაეს გონებისა არიან**". რაც შეეხება ეფრემისეულ თარგმანს - "შენი მადლი **მოუკლებელ არს და დაუწყუედელ"** – ეს არის ბერძნული ტექსტის ზუსტი თარგმანი **(იხ.: II, 1, სქ. №307).**

ღვთისმშობლის ღვაწლის ჯეროვან დაფასებაზე ზრუნავს მთარგმნელი, როდესაც დედნისეულ ფრაზას: **"**o~ auth mono~ kosmo~, kai paneuklee~ egkwmion pefuken**" (PG 96 col. 721 C 12-14; Kotter 1988:516,11-12),** რომელიც ეფრემის თარგმანში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: **"ჩუენ, რომელთა-ესე მხოლოდ კმა-გუეყოს სამკაულად და შესხმად ყოვლად ღირსებით საქადულად",** უთარგმნელად ტოვებს. შესაძლოა, მას არ სურდა, მკითხველს ტექსტის კითხვისას ის აზრი გასჩენოდა, რომ ჰომილია წარმოითქმებოდა მხოლოდ როგორც ლამაზი სიტყვები

ღვთისმშობლის შესამკობად; ამ შესხმის მიზანი კარგად ჩანს ბერძნული ტექსტის ფრაზის გაგრძელებაში, რასაც წინაათონელი მთარგმნელიც თარგმნის, კერძოდ: **ეს არის მცდელობა ვალის გადახდისა ღვთისმშობლისადმი, იმ ვალისა, რომელსაც ვერასოდეს გადაიხდიან ადამიანები: „რაჲთა უწყოდით, ვითარმედ ოდეს ვიწყოთ ქებად მისა, თანანადები იგი ხარკისა მისისა გარდაგჯდეს, და ოდეს თანანადები იგი გარდავიჯადოთ, ვიწყოთ კუალად მითვე" (იხ.: Ier. 148, 238)**.

იქ, სადაც იოანე დამასკელი ამტკიცებს ღვთისმშობლის საფლავის აღმატებულებას "კარავსა მას საწამებელსა" **(III, სქ. №39:** th~ palai skhnh~ **PG 96, col. 756 C 14)** და მოსეს კიდობანთან **(III, სქ. №40:** th~ Mwsaikh~ kibwtou **PG 96, col. 756 D 4)** შედარებით და სათანადო ხოტბას ასხამს ღვთისმშობელს, წინაათონელ მთარგმნელს დამატებითი არგუმენტაცია აქვს მოტანილი იმისათვის, რომ გამოიკვეთოს ღმერთის ძის ხორცშესხმის ფაქტის სიდიადე და, ამდენად, ხაზი გაუსვას მისი დედის, ღვთისმშობლის, საფლავის უპირატესობას: მთარგმნელი ამკობს ღმერთის ძეს იმ ეპითეტებით, რომლებიც არ არის ბერძნულ წყაროში, კერძოდ: **"ძლიერი და მძლე ყოვლისა" (იხ.: III, სქ. №41)**[11].

წინაათონელი მთარგმნელი ცდილობს მოციქულების მიმართაც დაიცვას სამართლიანობა, რათა არ დაირღვევს მათ შორის თანასწორობა. ის უთარგმნელად ტოვებს იმ კონტექსტს, რომლიდანაც აშკარაა ჰომილიის ავტორის მიერ მოციქულ პეტრესათვის მინიჭებული უპირატესობა იქ მყოფ სხვა მოციქულებთან შედარებით. ვფიქრობთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ წინაათონელ მთარგმნელს არ სურს პეტრეს გამოყოფა სხვა ხოტბის შემსხმელთაგან და ყველა ჩამოთვლილს, ვინც ღვთისმშობელს გალობით ქებას აღუვლენდა, აერთიანებს ერთ გუნდში: **"ყოველი კრებული მღდელთაჲ" (იხ.: II, 1, სქ. 295).** შესაძლოა, ეს ცვლილება განსხვავებული ბერძნული წყაროს გამოყენების შედეგია.

ასევე ჩაერია ბერძნულ ტექსტში წინაათონელი მთარგმნელი ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამის აღწერისას. წმიდა წერილზე დაყრდნობით **(მთ. 24:27,29),** ღმერთის ძის მეორედ მოსვლა სამყაროს აღსასრულის მსგავსი იქნება; რაც შეეხება ბერძნულ დედანს და მის მიმყოლ ეფრემის თარგმანს, აქ მეორედ მოსვლას "დიდი" და "დიდებული" ეწოდება ("deutera~

11 წმ. იოანე დამასკელი ღვთისმშობლის საფლავის უპირატესობას მოსეს კარავსა და კიდობანთან შედარებით შობის I ჰომილიაში დამაჯერებლად ასაბუთებს: „ეს კარავი, ღვთისმშობლის სხეული, უპირატესია იმ რჩეულ კარავზე, რომელიც დაამზადა მოსემ ძვირფასი მასალისაგან უდაბნოში, უპირატესია იმ კარავზეც, რომელიც უფრო ადრე შექმნა აბრაჰამმა, რადგან მან (ღვთისმშობელმა ნ.მ.) არა „მოქმედებით" შეიწყნარა ღმერთი, არამედ თავის თავში დაიტია ღმერთის ძის ნათელი სხეული. გაიგოს ოქროთი დაფარულმა შჯულის კიდობანმა და იმ ყოველივემ, რაშიც გამოვლენილია ძველი შჯული, რომ ყველაფერი, მანამდე არსებული, ამისთვის იყო შექმნილი, - როგორც სახე ხატისაგან და აჩრდილი ჭეშმარიტებისაგან" (S 3648,20; Ath. 20,174r, H 1760, 3v-4r) (თარგმანი ჩვენია. ნ.მ.).

megalh~ kai epifanou~ parousia~ kai (parousia~ kai **om. Kotter**) ouranoqen katafoithsew~**" PG 96 col. 732 B 2-3; Kotter, 1988:523,12-13)**. წინაათონელმა მთარგმნელმა ეს ეპითეტები არ გადმოიღო თარგმანში (II, 1, **სქ. №77**), შესაძლებელია, ისინი კონტექსტისათვის (სამყაროს აღსასრულთან გავლებული პარალელის გამო) რამდენადმე შეუფერებლად მიიჩნია. ეს შემთხვევაც საკმაოდ საინტერესოა, თუ ტექსტის ცვლილება მთარგმნელისეულია და არა ბერძნული წყაროდან მომდინარე.

ზოგიერთ შემთხვევაში მთარგმნელი ცდილობს მეტი გამჭვირვალობა შეიტანოს ტექსტში და ამ მიზნით აკლებს ან, პირიქით, ამატებს დედანს. ასე მაგალითად, ღვთისმშობლის დედის ბერწობაზე საუბრისას, ვფიქრობთ, მას რამდენადმე გაუგებარი ეჩვენა სიტყვები: mustikw de tini logw **(PG 96, col. 708 B 11-12; Kotter 1988:489,22),** რომლებიც ეფრემმა ზუსტად თარგმნა: "**საიდუმლოჲსა რაჲთამე სიტყჳთა** ბერწ-ყოფისა მიერ სნეულებით სენმძიმე იყო". ტექსტში, ცოტა ქვემოთ, დასახელებულია კიდეც ანას ბერწობის მიზეზი, კერძოდ, ადამიანების მცირედმორწმუნეობა. წინაათონელმა მთარგმნელმა, შესაძლოა, არ მოინდომა მკითხველის გაუგებრობაში დატოვება იმის თაობაზე, თუ რა იყო "**საიდუმლო სიტყვა**" და არ თარგმნა ეს მონაკვეთი **(იხ.: I, 1, სქ. №69)**.

როგორც ვხედავთ, არის მაგალითები, რომლებიც იმაზე მეტი ვა-რაუდის დაშვების შესაძლებლობას გვაძლევს წინაათონელი მთა-რგმნელის მიერ ტექსტის თავისუფალი მეთოდით თარგმნის მიზნის შესახებ, ვიდრე თარგმანის ბერძნულ წყაროსთან შედარებისას გამო-ვლენილი სხვაობების უმეტესობა. დავიმოწმებთ კიდევ ერთ მაგალითს: წინაათონელი მთარგმნელი, ბერძნული ტექსტისა და მისი მიმყოლი ეფრემის თარგმანისაგან განსხვავებით, ღმერთის ძეზე ამბობს, რომ „**არა გამოვიდა იგი ბუნებისაგან მამულისა და არსებისაგან ღმრთეებისა**". ეს ნათქვამი მკითხველს მიანიშნებს, რომ ორი ბუნება – საღმრთო და კაცობრივი - თანაბრად არის წარმოდგენილი ღმერთის ძეში: მართალია, ღმერთი განკაცდა, მაგრამ აღნიშნული მოვლენა არათუ საღმრთო ბუნების დამცრობაა, არამედ საღმრთო ჰიპოსტასში ორი არსების (საღვთო და ადამიანური ბუბების) ურთიერთდამტევნელობის გზით მოვლინებაა. ბერძნულ დედანში ნათქვამია: „kai menei kata tauton uparcwn amfotera opw~ oute th~ ousia~ ekbebhke th~ qeothto~" **(PG 96 col. 733 A 11; Kotter 1988:525, 10-11),** რასაც ეფრემი ზუსტად თარგმნის: „ჰგიეს უქცეველად ქონებით თავსა შორის თჳსსა ორთა მათსა, **არცა ღმრთეებისა არსებაჲ აღმატებულ-ყო**". ამ ფრაზამ შეიძლება მსმენელსა თუ მკითხველში გამოიწვიოს დაბნეულობა, გაუჩინოს ეჭვი - ხომ არ ჰქონდა ღვთის ძეს გარკვეული საფუძველი ასე მოქცეულიყო, **ანუ საღმრთო ბუნება კაცობრივზე მაღლა დაეყენებინა?** წინაათონელი მთარგმნელი ცდილობს

მკითხველი დააზღვიოს ამ ფრაზის, შესაძლებელია, უნებლიეთ, არასწორი აღქმისაგან (ან ამგვარი აზრის გაჩენის ალბათობისაგან) და შეაქვს ზემოთ წარმოდგენილი უმნიშვნელო კორექტივი ტექსტში **(იხ.: II, 1, სქ. №407)**. ვფიქრობთ, ეს მაგალითიც იმავე რიგში შეიძლება ჩავაყენოთ, რომელშიც ზემოთ განხილული ორი მაგალითი – აქაც ჩანს ტექსტის დაზუსტების მცდელობა (ვიმეორებთ, თუ ეს ცვლილება მთარგმნელისეულია და არა ბერძნული წყაროდან მომდინარე) - ის თავის სწორ პოზიციას მყარად წარმოაჩენს.

მთარგმნელის სიღრმისეულ მიდგომაზე მიუთითებს ბერძნულ წყაროზე დამატებული კიდევ ერთი მონაკვეთი: სათარგმნი კონტექსტის გაანალიზების შედეგად ის საინტერესო დასკვნას სთავაზობს მკითხველს, კერძოდ: ღვთისმშობელი ვერ იქნება **"სიტყჳს ნაწილი" - „ვინც ჰგონებდეს მას ნაწილად სიტყჳსა მის"**, ცდება, რადგან ღვთისმშობელმა თავის თავში დაიტია ის, ვისი დატევნაც არ შეუძლია არაფერს და არავის **(იხ.: II, 2, სქ. №13)**.

საინტერესო ცვლილება შეიტანა წინაათონელმა მთარგმნელმა მეტაფორა "სულიერ კიბესა" და "სიკვდილის კიბესთან" მიმართებით[12]. ორსავე შემთხვევაში მან **"კიბე"** შეცვალა სიტყვით **"მშვიდობა"**: ეს ცვლილება, ვფიქრობთ, ტექსტის კომენტირებაა: სიტყვაში "მშვიდობა" მთარგმნელმა, ჩვენი აზრით, განაზოგადა ის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მოუტანა ადამიანებს ღმერთის ძის განკაცებამ და რაც ზეცას მიწასთან აკავშირებს. ბერძნული ტექსტი და მისი მიმყოლი ეფრემის თარგმანი ასეთია: " Shmeron h nohth klimax h emyuco~" (**PG 96 col. 753 D 5; Kotter 1988:549,1**); "დღეს **საცნაური კიბე სულიერი,** რომლისა მიერ გარდამოჴდა მაღალი, ქუეყანასა ზედა რაჲ გამოჩნდა" ; ამავე კიბით, მაგრამ უკვე **"სიკვდილის კიბით"**, ავიდა ზეცაში ღვთისმშობლის სული: tw qanatw crhsamenh klimaki, ghqen ei~ ouranou~ anefoithsen (**PG 96 col. 756 A 1-2; Kotter 1988:549,2-3); "სიკუდილისა კიბესა** იჴუმევს ქუეყანით ზეცად აღმყვანებელად". წინაათონური თარგმანის შესატყვისი ტექსტია: "დღეს **მშჳდობაჲ იგი სულიერი,** რომლითა მაღალი იგი გარდამოჴდა და ქუეყანასა ზედა გამოჩნდა" **(III, 2, სქ. №24)** და - "ესე ქუეყანისაგან **სიკუდილითა მით უცხოჲთა, ვითარცა მშჳდობაჲ**, ზეცად აღვიდა" **(III, 2, სქ. №27). (იხ.: III, 2, სქ. №24, 27)**.

წინაათონელი მთარგმნელი რომ საკმაოდ თავისუფლად ეპყრობა

12 „სულიერი კიბის" შესახებ, წმინდა წერილზე დაყრდნობით (დაბ. 28,12), შემდეგნაირად საუბრობს წმ. იოანე დამასკელი ღვთისმშობლის შობის პირველ ჰომილიაში: დღეს ხუროს ძემ, „სიტყუამან შემოქმედმან ყოველთა და მკლავმან ძრიელმან ღმრთისა მაღლისამან", შექმნა სულიერი კიბე, რომლის ძირი ქვეყანაზე დგას, ხოლო წვერი ცას სწვდება. ამ გონიერი კიბის მეშვეობით, რომელიც არის უბიწო ქალწული, ზეცა და ქვეყანა ერთმანეთს დაუკავშირდა **(Ath. 20,172v; H 1760, 2r; S 3648,8-9)** (თარგმანი ჩვენია, ნ.მ.).

ტექსტს, ეს კარგად გამოჩნდა, როდესაც მან **“ὁ Δαυϊτικὸς πόκος” (PG 96 col. 713 A 16; Kotter 1988:493,2)** და მისი მიმყოლი ეფრემ მცირისეული თარგმანის **“საწმისი დავითისმიერი”** შეცვალა **“საწმისი იგი გედეონისით” (I, 1, სქ. №315)**. ეს მთარგმნელმა, როგორც ჩანს, წმიდა წერილზე დაყრდნობით გააკეთა, რომლის მიხედვითაც (**მსაჯ.** 8,24-27), **ევფუდი (აქ: “საწმისი”)** პირველად დაამზადა იოასის ძემ, გედეონმა. ისრაიტელები მადლიერების ნიშნად სთავაზობდნენ გედეონს სამეფო ძალაუფლებას, - მიუტანეს ოქრო, რომლის ძაფებისგანაც გედეონმა გააკეთებინა წმიდა სამოსი. ვფიქრობთ, სწორედ ამ ფაქტზე დაყრდნობით და მისი ასოციაციით, ბერძნული ტექსტის **“**o Dauitiko~ poko~**”** წინაათონელმა მთარგმნელმა გადმოიტანა როგორც **“საწმისი იგი გედეონისი”**. რაც შეეხება ჰომილიის კონტექსტს, მასში სიტყვა **“საწმისი”** გაჩნდა 71-ე ფსალმუნიდან, სადაც საუბარია სოლომონზე, დავითის ძეზე და **“საწმისი”** ნახსენებია სოლომონის დიდების ხატოვნად აღსაწერად, ასე რომ, ამ სიტყვას იქ რაიმე განსაკუთრებული დატვირთვა არა აქვს მეფე სოლომონთან მიმართებით და, ვფიქრობთ, წინაათონელმა მთარგმნელმა სწორად მიუსადაგა მას გედეონის სახელი, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით, ეს სიტყვა უკავშირდება გედეონს და არა დავითს.

წინაათონურ თარგმანში საკმაოდ ხშირია რამდენიმე სიტყვით ან მთელი ფრაზით ტექსტის გავრცობა. როგორც წესი, ეს გავრცობა ემსახურება აზრის უფრო სრულყოფილად გადმოცემას, ანუ, ფაქტობრივად, **ხდება ტექსტის მცირე კომენტირება**. ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც წინაათონელი მთარგმნელი აზუსტებს იმას, თუ რა შემთხვევაში **“მიეახლება ადამიანი უფალს” (იხ.: I, 2, სქ. №163): „შემდგომად სათნოებათა მაღალთა აღსრულებისა არნ იგი მათა დასამტკიცებელ“;** აკონკრეტებს, აგრეთვე, თუ რა მდგომარეობაში უნდა მიეახლოს ადამიანი ღვთისმშობლის საფლავს, რომ მიიღოს მისგან მადლი: **„და მოსრულნი იგი სარწმუნოებით, მიიღებენ კეთილთა მათ და სარგებელთა უხუებით“ (იხ.: II, 3, სქ. №255);** წარმართებზე საუბრისას ავრცობს და აკონკრეტებს ტექსტს: **„რამეთუ პატივ-სცემენ ესევითართა ამათ დედასა ღმერთთა მათთასა, მცბიერთა და მტყუართასა და მრავალთა ნაშობთასა” (იხ.: II, 2, სქ. №202), “მართლისა და წინასწარმეტყველთა”** დამსახურების აღსანიშნავად ავრცობს ტექსტს ხაზგასმული მონაკვეთით: „რომელნი-იგი წინაჲსწარ უთხრობდეს გამოჩინებით შობასა და განჴორციელებასა ძისა ღმრთისასა **წმიდისა მისგან ცხორებისა ჩუენისათჳს და აღივსნეს ხილვითა მით საკჳრველითა” (იხ.: II, 2, სქ. №88),** ურწმუნოზე დამბლის დაცემაზე საუბრისას აკონკრეტებს, რომ მან ეს ამბავი გადმოცემით იცის: **„და ვითარცა მთხრობელთაგან მოიწია ჩუენდა“ (იხ.: II, 2, სქ. №177)**. დამატებული ფრაზით უხსნის მკითხველს, თუ რატომ არის ძნელი ღვთისმშობლისადმი ღირსეული ხოტბის შესხმა – ამის მიზეზია

ის, რომ სულიერ საზრდელს მოკლებული ადამიანები **"სიგლახაკეში"** არიან ჩაცვენილები **(იხ.: III, 2, სქ. №11),** ტექსტზე დამატებული ფრაზით განმარტავს ღმერთის ძის განკაცების მიზანს: **"რადთა ერთი ქრისტე გამოუჩნდეს სოფელსა მაცხოვრად" (იხ.: II, 3, სქ. №283).** კომენტირების მაგალითად შეიძლება ჩავთვალოთ წინაათონელი მთარგმნელის მიერ ერთი ფრაზის ჩანაცვლება სხვა ფრაზით იმ მიზნის გამოსაკვეთად, თუ რა მოყვება ღვთისმშობლის ზეცაში დავანებას: "რადთა **აღივსოს იგი შუებითა** საუნჯეთა მათ შინა ზეცისათა" **(II, 3, სქ. №200).** ტექსტის კომენტირება ყოველთვის არ გულისხმობს მის გავრცობას. ასე მაგალითად, წინაათონელმა მთარგმნელმა რამდენადმე შეამცირა ტექსტი, როდესაც ბერძნული დედნისა და ეფრემის თარგმანის **"დღე ესე, დღე ცხორებისა და საუკუნოდ გამოჴსნისა ჩუენისაჲ",** თარგმნა როგორც **"შუენიერი დღე" (III, 3, სქ. №53).**

წინაათონელი მთარგმნელის ჩარევა ტექსტში ხშირად აზრის დაკონკრეტებას ემსახურება. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ზოგადი ნათქვამის - **"წესისაებრ მისდა რწმუნებულისა"** (საუბარია იმ მოვალეობაზე, რომელიც ქრისტემ განუკუთვნა იოანე ნათლისმცემელს თავისი დედის, მარიამის მიმართ), შეცვალა ერთი სიტყვით - **"შვილით"** – და ამ ნათქვამში გარკვეულობა შეიტანა **(იხ.: II, 2, სქ. №57).** ასევე დააკონკრეტა მთარგმნელმა ფრაზა: **"სიტყჳთა რაჲთმე გამოუთქუმელითა"** და მის ნაცვლად დაწერა კონტექსტისათვის უფრო შესაფერისი და გასაგები **"გალობითა" (იხ.: II, 2, სქ. №272).**

წინაათონელი მთარგმნელი იშვიათად, მაგრამ მაინც, ამოკლებს ტექსტს. ზოგჯერ ამ კლების მიზეზის დაძებვნა ჭირს. ასეთთა რიცხვში შეიძლება დავასახელოთ ის შემთხვევები, როდესაც მთარგმნელი ღვთისმშობლის ხოტბის შემსხმელ ეპითეტებს არ თარგმნის. მაგ.: წინაათონელმა მთარგმნელმა ბერძნული ტექსტის ფრაზა "upodexomenou thn ieran tauth~ yuchn, kai eilikrinh te kai amwmon" **(PG 96 col. 736 C 2-3; Kotter 1988:527,3-4)** ასეთნაირად გადმოიღო: "შეიწყნარა იგი **უბიწოჲ სული მისი" (II, 4, სქ. №136).** აი, როგორ გამოიყურება ეს ადგილი ბერძნულის მიმდევარ ეფრემისეულ თარგმანში: **"შეიწყნარა ყოვლადდიდებული და უბიწოჲ და მხიარული სული მშობელისა თჳსისაჲ".** კიდევ ერთი მსგავსი მაგალითის მოტანა შეგვიძლია: ორივე ქართულ თარგმანში თითქმის უცვლელად არის გადმოღებული ღვთისმშობლის შესხმის ეპითეტებით გაჯერებული ძალიან ხატოვანი მოზრდილი მონაკვეთი **(PG 96 col. 761 A 5-B 2; Kotter 1988:554,4-14).** ამ მონაკვეთის მანძილზე წინაათონელმა მთარგმნელმა არ დაასახელა ღვთისმშობლის შემამკობელი ერთ-ერთი ეპითეტი, კერძოდ, გამოტოვა "gh~ qeiotaton blasthma" **(PG 96 col. 761 A 8; Kotter 1988:554,6).** ეფრემის თარგმანში ის თარგმნილია: **"მორჩო ქუეყანისაო" (III, 4, სქ. №88).** ასეთი ადგილების არსებობა გასაკვირია,

რადგან მთარგმნელს დიდი სურვილი აქვს, რომ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ხოტბა რაც შეიძლება სრულყოფილი იყოს და თვითონაც შეაქვს ზოგჯერ ამ საქმეში წვლილი – ახალ ეპითეტებს უძღვნის მას. ვფიქრობთ, აქ სწორედ ის ვარაუდი უნდა მოვიშველიოთ, რომ ეს კლება არის არა მთარგმნელისეული, არამედ მომდინარეობს ჩვენთვის დღეისათვის უცნობი ბერძნული წყაროდან.

იმ შემთხვევაში, თუ ღვთისმშობლის მიძინებისადმი მიძღვნილი ჰომილი**ებ**ის წინაათონური ქართული თარგმანის ბერძნული წყაროსაგან ყველა ამ განსხვავებას მთარგმნელის ნახელავად მივიჩნევთ, ამ უკანასკნელის საქმიანობა შეიძლება შემდეგნაირად შევაფასოთ – ტექსტის გადმომღები უაღრესად დაკვირვებულად და სიღრმისეულად ჩაწვდა ჰომილიას და თავს ნება მისცა გარკვეული ცვლილებები შეეტანა მასში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინაათონური თარგმანი მთარგმნელობითი მეთოდის კუთხით ნაკლებად არის ნაკვლევი. ვფიქრობთ, აქ წარმოდგენილი მასალა ამ მიზეზის გამო დამატებით ღირებულებას იძენს – შესაძლებელია, მიღებული დასკვნები განვა-ზოგადოთ წინაათონური პერიოდის გარკვეულ თარგმანებზე: ჩავთვალოთ, რომ შესწავლილი თარგმანი არ არის გამონაკლისი და მთარგმნელებს იმ პერიოდში თავისუფალი თარგმანის საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდათ.

მოტანილი მასალა, გარკვეულწილად, ბადებს ეჭვს, ხომ არ სარგებლობდა წინაათონელი მთარგმნელი PG-სა და კოტერის გამო-ცემისაგან რედაქციულად განსხვავებული ბერძნული ნუსხით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კოტერს გათვალისწინებული აქვს დღევანდლამდე მოღწ**ეული** 100-მდე ხელნაწერი, რომელშიც არის ღვთისმშობლის მიძინების **ამ** სამი ჰომილიის ტექსტი. ცხადია, არსებობს ალბათობა, რომ სწორედ იმ ბერძნულ ნუსხას ვერ მოეღწია დღევანდლამდე, რომლის ტექსტსაც, შესაძლოა, მიყვება ქართველი წინაათონელი მთარგმნელი. თუ ეს თეორიული დაშვება სიმართლეს შეესაბამება, ქართული წინაათონური თარგმანი შესატყვისი ბერძნული ტექსტის ვერმოღწეული რედაქციის ასლად უნდა ჩაითვალოს, რაც, ფაქტიურად, ქართულ წინაათონურ თარგმანს ამ ჰომილიების დედნის მნიშვნელობას მიასიჭებს და ბიზანტინისტიკისათვის საკმაოდ მნიშვნელოვან ძეგლად აქცევს.

## 2. ღვთისმშობლის დაძინების ჰომილიების ეფრემ მცირისეული თარგმანის მიმოხილვა

XI ს-ის 80-იან წლებში ეფრემ მცირე წერდა, რომ "წმიდათა თქუმულსა და მართლმადიდებელთა აღწერილსა ვერვინ იკადრებს შეხებად"[13], მაგრამ, მიუხედავად ამ განცხადებისა, სხვადასხვა სახით მაინც თვითონვე ერეოდა წმიდა მამების ნაწერებში[14], აგრეთვე, ბიბლიური წიგნების ძველ ქართულ თარგმანებში[15]. მხოლოდ თავისი მოღვაწეობის ბოლოს, XI ს-ის უკანასკნელ წლებში, წმ. გრიგოლ ნაზიანზელის 16 ლიტურგიკული სიტყვის თარგმნისას, ეს პრინციპი მან სრულად განახორციელა[16]. ასე რომ, არაფერი მოულოდნელი არ არის იმაში, რომ ღვთისმშობლის მიძინების სამი ჰომილია, რომლებიც მან ბერძნულიდან, როგორც ჩანს, თავისი მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში გადმოიღო[17], შედარებით თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით არის შესრულებული.

განსახილველი ჰომილიების ეფრემ მცირისეული თარგმანის ბერძნულ ტექსტთან შედარების შედეგები დაახლოებით ისეთივე ჯგუფებში განლაგდა, როგორშიც წინაათონურ თარგმანთან დაკავშირებული მასალა, ანუ ეფრემის ჩარევა სათარგმნ ტექსტში, მისი თავისუფალი მიდგომა სათარგმნი წყაროსადმი, დიდად არ განსხვავდება წინაათონელი მთარგმნელის მიდგომისაგან. მაგრამ ერთი არსებითი განსხვავება მაინც გამოიკვეთა, კერძოდ: ეფრემი ძალიან იშვიათად ერევა ბერძნული ტექსტის შინაარსობრივ მხარეში თავისი პოზიციის დასაფიქსირებლად.

ეფრემის მიმართება ბერძნულ დედანთან შემდეგ ჯგუფებში შეიძლება ავსახოთ: 1) **ეფრემი თავისუფალ თარგმანს აკეთებს იმისათვის, რომ ღვთისმშობელს უფრო აღმატებულად და სრულყოფილად შეასხას ხოტბა; 2) ეფრემის მიერ ტექსტის გავრცობა (თუნდაც უმნიშვნელო) ემსახურება გარკვეული მოვლენის მიზეზის გამოკვეთას და დაზუსტებას; 3) ეფრემი აკლებს ბერძნულ ტექსტს და უმნიშვნელო ცვლილება შეაქვს მასში.**

**განვიხილოთ თითოეულ ამ ჯგუფში შესული მასალა:**

იმისათვის, რომ კიდევ უფრო აღმატებული გახადოს ბერძნულ ტექსტში წარმოდგენილი ღვთისმშობლის შესხმა, ეფრემ მცირე სხვადასხვა მეთოდს იყენებს.

პირველ რიგში, მოვიტანთ იმ მაგალითს, როდესაც ეფრემი ტექსტს

13 A 24, 3v.

14 ხინთიბიძე 1982:163-176; მიმინოშვილი 1966:116-142.

15 დანელია 1983:352-358.

16 მელიქიშვილი 1999.

17 სალაღაია 2006:76.

ავრცობს და ასე აღწევს მიზანს. ის ბერძნულ ტექსტს ღვთისმშობელთან მიმართებით ("Tauthn gar ouk anqrwpinh glwtta, ouk aggelwn nou~ uperkosmiwn, kat axian eufhmhsai dunatai" **PG 96 col. 700 B 10-12; Kotter 1988:483,(2),1-2)** ამატებს ხაზგასმულ ფრაზას: **"ამას, უზეშთაესსა ყოველთა სამკაულთასა** და ზეშთა სოფლისასა, ვერ შემძლებელ არს ღირსებით შესხმად ვერ ენაჲ კაცობრივი, ვერცა გონებაჲ ანგელოზებრივი" **(I, 1, სქ. №184)**[18]. წინაათონელი მთარგმნელი მიყვება ბერძნულ ტექსტს: "ამას არცა ენაჲ კაცობრივი და არცა გონებაჲ ანგელოზებრი, **რომელი უმაღლეს არს მკჳდრთა ქუეყანისათა,** შემძლებელ არს ქებად მისა".

ღვთისმშობლისადმი მთარგმნელისეული უაღრესად მოწიწებული დამოკიდებულების გამომხატველია **შემდეგი** ადგილი ეფრემის თარგმანიდან: მან, ღვთისმშობლის საფლავის შესახებ საუბრისას, არ ისურვა ეხმარა სიტყვა "**განმხრწნელი"** თუგინდ უარყოფის კონტექსტში, როგორც ეს გააკეთა წინაათონელმა მთარგმნელმა **("საფლავი, რომელი არა განჰხრწნის")** და გააკეთა ამ საფლავის სხვაგვარი შეფასება: **"ყოვლად საკჳრველი" (III, 1, სქ. №164)**. ბერძნულ **"**ton akhraton**"-ს (PG 96 col. 761 B 4; Kotter 1998:554,15)** მოტანილი კონტექსტისათვის შესაფერისი რამდენიმე სინონიმური მნიშვნელობა აქვს, კერძოდ: **"სუფთა, ხელუხლებელი, გაუხრწნელი"**. წინაათონელმა მთარგმნელმა ამ მნიშვნელობათაგან შეარჩია ის, რომლის მისადაგებაც, ზოგადად, ყველაზე მეტად იყო შესაძლებელი საფლავისათვის, ხოლო ეფრემმა გაითვალისწინა რა, რომ საუბარი იყო არა ჩვეულებრივ საფლავზე, არამედ ღვთისმშობლის განსასვენებელზე, გააკეთა შეფასებითი თარგმანი. კიდევ ერთხელ მოიქცა ანალოგიურად ეფრემი ამ ბერძნულ სიტყვასთან მიმართებით უკვე სხვა შემთხვევაში: ბერძნული ტექსტის "apaqh kai akhraton"-ს **(PG 96 col. 761 B 8; Kotter 1998:554,19),** რაც წინაათონელმა მთარგმნელმა ზუსტად გადმოიღო როგორც **"სალმობა და ხრწნილება",** ეფრემმა ზოგადი მნიშვნელობა მიანიჭა: **"ვნებათაგან განყენებული და უვნებელობით მოქალაქობა" (იხ.: III, 1, სქ. №167)**. ასეთივე ფრთხილი მიდგომა გამოიჩინა ეფრემმა ბერძნული სიტყვის **"**to ptwma**"-ს (PG 96 col. 757 D 7; Kotter 1998:552,12)** თარგმნისას. ეს სიტყვა ნიშნავს როგორც **"გვამს",** ასევე - **"დაცემულს, დავარდნილს"**. წინაათონურ თარგმანში წერია: **"გუამი იგი დაცემულ არს"**, ეფრემმა კი კონტექსტს მეორე მნიშვნელობა კარგად მიუსადაგა და დაწერა **"მდებარისა მიმართ" (იხ.: III, 1, სქ. №61)**, რადგან იქვე საუბარია "აღდგომაზე", ე.ი. ეს მდგომარეობა

18 მოტანილი გვაქვს მაგალითები წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლის დაძინების სამი ჰომილიის ეფრემ მცირისეული თარგმანის ტექსტის ბერძნულ წყაროსთან შედარების შედეგად გაკეთებული შენიშვნებიდან (შენიშვნ. II., დანართი II): აქ და ქვემოთ ადგილებს ვუთითებთ შემდეგნაირად: ჰომილიის ნომერს – რომაული ციფრებით, ქვეჯგუფებისა და გამოცემულ ტექსტზე დართული ჩვენეული სქოლიოს ნომერს – არაბული ციფრით.

– ღვთისმშობლის გარდაცვალება – დროებითი იყო – მას მალევე მოყვა აღდგომა.

ეფრემი ავრცობს ბერძნულ კონტექსტებს, რათა აღწერილი მოვლენის არსი, მიზეზი და მიზანი გამოკვეთოს და დააზუსტოს. ერთ-ერთი ამ შემთხვევათაგანი მოიცავს იმგვარ დამატებას ბერძნულ წყაროზე (PG 96 col. 701 D 6- col. 704 A 1; Kotter 1988:485,12-14), რომლის მეშვეობითაც ცხადი ხდება, რომ ის, რაც აღასრულა ღვთისმშობელმა, კერძოდ, შვა ღმერთის ძე, უფლის მიერ **"უწინარეს ჟამთა"** იყო ჩაფიქრებული **(იხ.: I, 2, სქ. №213)**. ასეთივე საინტერესო დამატება გააკეთა ეფრემმა ბერძნულ ტექსტზე **(PG 96 col. 712 D 15-17; Kotter 1988:493,38-39)**, როდესაც საუბრისას, თუ როგორ მოხდა ღვთისმშობლის წიაღში კაცობრივი და საღმრთო ბუნების შეერთება, გვამცნო ამ შეერთების შედეგი: იშვა **"ღმერთი სრული" (იხ.: I, 2, სქ. №308)**. ძალიან ნიშანდობლივია ეფრემისათვის ტექსტის გავრცობის კიდევ ერთი შემთხვევა – მან, ეფთვიმე ათონელის მსგავსად, რომელსაც თავის დიდ მასწავლებლად მიიჩნევდა, დაამატა ტექსტს მოზრდილი მონაკვეთი, რათა ხაზი გაესვა იმ ადამიანთა უგუნურებისა და სიშლეგისათვის **("სიჩქურისათვის")**, რომლებიც, **წარმართთა მსგავსად,** ღვთისმშობელს ღმერთს უწოდებენ: **"წარვედ ამიერ, რამეთუ წამართული სიჩქურე არს ზღაპრობა ესე ღმერთათჳს დედალთა და მამალთა, ხოლო ჩუენ არა უწოდთ ამას ღმრთად,** რამეთუ სიკუდილსაცა მისსა მიუთხრობთ, არამედ სახელ-ვსდებთ დედად ღმრთისა განკაცებულისა და ღმრთისმშობლად აღვიარებთ" **(II, 2, სქ. №484)**. ბერძნულ ტექსტს (apage, th~ Ellhnikh~ terqreia~ ta toiauta muqeumata, epei kai qanaton auth~ kataggelomen, alla sarkwqento~ qeou Mhtera ginwskonte~ (**PG 96 col. 744 B 8-9; Kotter 1988:533,33-534,35)** უცვლელად მიყვება წინაათონური თარგმანი: **"ნუ იყოფინ, ვითარ-იგი იონნი უგუნურნი უცნებით იტყჳან,** არამედ მიუთხრობთ სიკუდილსა მისსა და უწყით, ვითარმედ დედაჲ არს იგი ღმრთისა განმაცხოველებელისაჲ" **(იხ.: II, 2, სქ. №484)**. ამ მაგალითის გვერდით შეიძლება განვიხილოთ კიდევ ერთი მსგავსი შემთხვევა, როდესაც ეფრემმა ზოგად ნათქვამს, რომ შეუძლებელია ღვთისმშობელს ღირსეული ქება აღუვლინონ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანებმა, რაგინდ მრავალრიცხოვანნიც უნდა იყვნენ ეს ენები, დაუმატა სიტყვა **"წარმართები"** და შემოსაზღვრა სიმრავლე ამ ადამიანებისა: "ყოველნი ენანი მრავალთესლთა **წარმართთანი..."** **(II, 2, სქ. №319)**. წინაათონელი მთარგმნელი მიყვება ბერძნულ ტექსტს: "ei pasai twn polusporwn ai glwssai **(PG 96, col. 721 C 2)**[19] და ზუსტად თარგმნის მას: "და არცაღა კუალად **ყოველნი თუ ენანი** შეკრბენ" **(იხ.:**

19 კოტერის გამოცემის ძირითად ტექსტში ამ წინადადებაში წინაათონელისეული "წარმართების" ადგილას არის "ადამიანი" (anqrwpwn), თუმცა ეს სიტყვა არ არის წარმოდგენილი ამავე გამოცემაში გათვალისწინებულ MVW ნუსხებში (Kotter 1988:516,3).

**II, 2, სქ. №319). მთარგმნელის სიღრმისეულ განათლებაზე მიუთითებს ის ჩანართი**, რომელიც გაკეთებულია მე-18 ჰომილიის დასაწყისში და რომელიც გვაწვდის გარკვეულ ცნობას, თუ ვინ არის ჰომილიაში ნახსენები ევთუმი (ეს ცნობა არ არის ბერძნულ ტექსტში): **"ევთუმის ვისმე, ჟამთა თხრობისა აღმწერელსა, აღუწერია წიგნი მოთხრობაჲ მათ ჟამთაჲ, რომელსა შინა ქალკიდონისა კრებაჲ იქმნა და მისსა მას წიგნსა უწოდს წმიდაჲ ესე თხრობად ევთუმიანად, რამეთუ ესე ევთუმი იყო კაცი, აღმწერელი საქმეთა მის ჟამისათაჲ, ჩუეულებისაებრ ბერძულთა ხრონოღრაფთა, ესე იგი არს ჟამთა აღწერათაჲ" (იხ. II, 2, სქ. №517).** მართალია, ბოლომდე დადასტურებულად ვერ ვიტყვით, რომ ჩანართი ნამდვილად მთარგმნელისეულია, მაგრამ ქ. სალაღაიას სამართლიანი შენიშვნით, გაძნელდება ამ ჩანართის მიკუთვნება ჰომილიის ავტორისათვის იქვე არსებული ფრაზის გამო: "**მისსა მას წიგნსა უწოდს წმიდაჲ ესე თხრობა ევთუმიანად"** და, ამდენად, არ გამორიცხავს ამ დაშვების შესაძლებლობას[20].

ეფრემის თარგმანში გვაქვს ტექსტის გავრცობის კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც იდენტურია წინაათონურ თარგმანში **(შდრ.: II, 3, სქ. №255)** არსებული შემთხვევისა, კერძოდ: ტექსტში საუბარია იმაზე, რომ ღვთისმშობლის მადლი **"უშურველად"** არსებობს: Thn mnhmhn thn hmeteran toinun tameion th~ qeotokou kataskeuaswmen **(PG 96 col. 752 B 6-8; Kotter 1988:539,6-7).** სწორედ ამ კონტექსტში აკონკრეტებს მთარგმნელისეული დამატება, რომ მხოლოდ ხორციელ ზრახვათაგან განწმედის შემთხვევაში შეიძლება ამ მადლის მიღება: **"გულისა და გონებისა ჩუენისაჲ განუმზადოთ ადგილი მოჴსენებისაჲ"** (**II,** 2, **სქ. №**540).

ძალიან საინტერესო და ვრცელი დამატება აქვს გაკეთებული ეფრემ მცირეს ბერძნულ წყაროზე იქ, სადაც არის ზოგადი ნათქვამი, რომ ღვთისმშობელი განშორებულია ყოველგვარი ცოდვისაგან: ეფრემი მოუწოდებს ადამიანებს ცოდვათაგან განშორებისაკენ და ამბობს, რომ **ხორცის სიწმიდესთან ერთად აუცილებელია დავიცვათ გონების სიწმიდე**: „**რაჟამს ჴორცთა სიწმიდესა თანა შევიკრძალოთ გონებისაჲცა, რომელ-ესე არს, რაჲთა არა ხოლო ქმნასა, არამედ მოგონებასაცა და მოჴსენებასა ვევლტოდით ბოროტისასა, რამეთუ ევლტის დედოფალი დაბადებულთაჲ ყოველსა ნივთთმოყუარეობასა" (II,** 2, **სქ. №543).** წინაათონური თარგმანი მიყვება ბერძნულ ტექსტს და ამ მონაკვეთის შესატყვისად მასში გაცილებით მოკლედ არის ნათქვამი: **"რამეთუ მარადის მეოტ არს იგი ყოვლისაგან მწურისა ცოდვათაჲსა"** (Feugei gar ilun apasan **PG 96 col. 752 B 12; Kotter 1988:539,9-10).**

აზრის სრულყოფილად და ხატოვნად გადმოცემის შესანიშნავი

20 სალაღაია 2008:109.

მაგალითი არის ეფრემის თარგმანში იქ, სადაც საუბარია ღვთისმშობლის სულის ზეცად ამაღლებაზე. მთარგმნელმა საკმაოდ გაავრცო დედნისეული ფრაზა იმის შესახებ, თუ როგორ მიაცილებდა ღვთისმშობლის სულს იერეთეოსის სული ზეცისაკენ გონებასთან ერთად, **"კეთილად ფრთოვან ქმნულისაჲთა"**, გალობითა და საოცარი შესხმით: **"ყოვლად თანაადყოლითა გონებისა, კეთილად ფრთოვან ქმნულისაჲთა, რომლითა აღიტყუელებდა ყოვლად განძლიერებითა თჳსთა საგალობელთაჲთა და შესხმათა ყოვლად განსაკჳრვებელთაჲთა" (Ш,** 2, **სქ. №138)**. ეს სურათი, ასე ხატოვნად აღწერილი ეფრემის მიერ, გაცილებით მარტივად არის წარმოდგენილი როგორც ბერძნულ ტექსტში, ასევე მის მიმყოლ წინაათონურ თარგმანში: "olo~ sunekdhmeitw th proairesei, kai kroteitw toi~ efumnioi~" **(PG 96 col. 760 A 5-6; Kotter1998:552,18-19): "და მოგზაურ ექმენინ ყოველი დედასა ღმრთისასა კეთილითა სარწმუნოებითა და შეერთებითა გალობისაჲთა" (წინაათ.)**. გარდა ამ გავრცობისა, ეფრემმა **აქვე** დაუმატა რამდენიმე სიტყვა იეროთეოსის შესახებ, რომლითაც ეს **"რჩეული ჭური"** ღვთის ტაძრად გამოაცხადა: "არს ჭური იგი რჩეული იეროთეოს, განწმედილი სულისა მიერ წმიდისა, **ტაძარ საღმრთო-ყოფად მსგავსად სახელისა მისისა,** რომელმან ღმრთისა შეერთებითა ისწავნა საღმრთონი საიდუმლონი" **(Ш, 2, სქ. №137)**. ეს ხაზგასმული ფრაზა არ არის ბერძნულ ტექსტში - to skeuo~ th~ eklogh~ Ieroqeo~, o tw qeiw kaqierwmeno~ Pneumati, o th qeia enwsei ta qeia paqwn kai maqwn **(PG 96 col. 760 A 4; Kotter 1988:552,16-18)** და არც წინაათონურ თარგმანში. ამ პიროვნების წარმოჩენა ეფრემისათვის, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი იყო.

ეფრემის მიერ ბერძნული ტექსტის კომენტირებად შეიძლება მივიჩნიოთ იმ ადგილის გავრცობა, სადაც საუბარია ღმერთის ძის მიგებებაზე თავის მშობელთან, - მაცხოვარი ეუბნება ღვთისმშობელს, რომ დარჩეს მასთან (ძესთან), რომელიც მის გამო **"დაგლახაკდა"**. სწორედ ამ კონტექსტში დააკონკრეტა ეფრემმა ბერძნული ტექსტის ფრაზა: "deuro, sumbasileuson tw ek sou sun soi ptwceusanti" **(PG 96 col. 760 B 5-6; Kotter 1998, 553,29-30)** შემდეგი ხაზგასმული სიტყვებით: "რომელი ჟამ რაოდენმე ნებსით ვგლახაკობდ შენ თანა **გლახაკობითა მით ჴორცთშესხმისა და სიკუდილისაჲთა" (Ш, 2 სქ. №144)**. ეფრემს თავისი დამატებით განმარტებული აქვს, თუ რას გულისხმობს სიტყვა **"დაგლახაკება"** ამ კონტექსტში, გვეუბნება, რომ გლახაკობა **იყო უფლის ძის ხორცშესხმა და სიკვდილი (იხ.: Ш, 2, სქ. №144)**. რაც შეეხება წინაათონურ თარგმანს, ის უცვლელად თარგმნის ბერძნულ ტექსტს: **"და სუფევდ ჩემ თანა, რომელი შენგან და შენთჳს დავგლახაკენი"**.

ეფრემის მიერ ბერძნული ტექსტის შემოკლების შემთხვევებიც გარკვეულ მიზანს ემსახურება. მთარგმნელმა გამოტოვა **"შეძრწუნ-დნენ ეშმაკნი" (იხ.: III, 3, სქ. №120)** იქ, სადაც საუბარია ღვთის-მშობლის მიცვალებაზე და მისი სულის ცად ამაღლებაზე, როგორც მორწმუნეთათვის ცხოვრების მინიჭებაზე და მათ საუკუნო გამოხსნაზე; სწორედ აქ ახსენებს ჰომილიის ავტორი ეშმაკებსა და ნესტორიანელებს, როგორც მწვალებლებს, რომელთათვისაც ამ დღეს, კერძოდ, ღვთისმშობლის მიცვალების დღეს, **საუკუნო გამოხსნის** მნიშვნელობა ვერ ექნება. ეფრემმა ავტორისეული ტექსტიდან გამოტოვა ზემოთ მოტანილი ხაზგასმული ფრაზა და დატოვა მხოლოდ **"გოდებედ ნისტორიანნი"**. შესაძლებელია, ეფრემმა ამ კონტექსტში უადგილოდ მიიჩნია ეშმაკების ხსენება და მათი სახით წარმართებზე საუბარი. ვფიქრობთ, ეფრემის გარკვეული პოზიციის გამოხატულებაა კლების მეორე მაგალითიც, როდესაც მან არ მოინდომა ჰომილიაში წმიდა წერილიდან მოტანილი ადგილის გავრცობა და ტექსტს დააკლო სიტყვები **"რომელმან მოუწოდის არა არსსა მას, ვითარცა არსსა" (იხ.: I, 3, სქ. №290)**. ეს არის იერემიას ეპისტოლედან **(23,24)** ბერძნულ ტექსტსა და მის ორ ქართულ თარგმანში მოტანილი ფრაზის - **"ანუ არა ცაჲ და ქუეყანაჲ მე აღმივსიეს?" (წინაათ.)** და **"რომელი აღავსებს ცასა და ქუეყანასა" (ეფრ.)** - პარაფრაზი. ეფრემმა, შესაძლოა, ზედმეტად მიიჩნია წმიდა წერილიდან წარმოდგენილი ციტატის კომენტირება.

დაბოლოს, მოვიტანთ იმ რამდენიმე მაგალითს, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ვერც ამ ორმა მთარგმნელმა აუარა გვერდი ბერძნული ენის პოლისემიურობით გამოწვეულ განსხვავებულ თარგმანს. პირველ შემთხვევაში საუბარია იმაზე, თუ როგორ უპასუხა გაბრიელ მთავარანგელოზმა მარიამის კითხვას. პასუხში არის მინიშნება იმაზე, თუ რა ელის მომავალში მარიამს. წინაათონურ თარგმანში ნათქვამია, რომ მარიამმა თავისი შრომით (იგულისხმება, რასაკვირველია, ღმერთის ძის შობა) უნდა დაამკვიდროს მადლი (**მოჰკან შრომითა** აგარაკი მადლისაჲ), ხოლო ეფრემის თარგმანში მარიამს ეწოდა **"მუშაკი ტკივილთა მადლისათაჲ"**. ეს განსხვავება გამოიწვია ბერძნული სიტყვის, "ponou~"-**ის (PG 96 col. 709 B 5-6; Kotter 1988: 490(7)11),** ორმა მნიშვნელობამ: **"შრომა"** და **"ტკივილი, ტანჯვა"**. აზრი ბერძნული ფრაზისა ორსავე თარგმანში მაინც გასაგებია და, ფაქტობრივად, თავისუფალი თარგმანის მიუხედავად, ერთი და იგივეა **(იხ.: I, 5, სქ. №81)**. არის სხვა მსგავსი შემთხვევები. ასე მაგალითად, ბერძნული "krinousa" **(PG 96 col. 701 B 12-13; Kotter 1988:485,30-31)** წინაათონელმა თარგმნა როგორც **"დასჯა"**, ხოლო ეფრემმა –როგორც - **"სათნო-ჩენა"**. არც ამ შემთხვევაში გაბუნდოვანდა აზრი, რადგან თავისუფალი თარგმანის ხარჯზე წინაათონელმა

მთარგმნელმა ბერძნული ფრაზის აზრი შეინარჩუნა **(იხ.: I, 5, სქ. №205)**. საინტერესო სურათი გამოიკვეთა კიდევ ერთი პოლისემიური სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობით თარგმნისას. იმის გამო, რომ წინაათონელმა მთარგმნელმა გადმოიღო ბერძნული **"khdeia"-ს (PG 96 col. 705 B 3-4; Kotter 1988:487,7)** ადრინდელი მნიშვნელობა (**"მისცემენ ნეტარებასა"**, ანუ იზრუნებენ მასზე ნ.მ.), ხოლო ეფრემმა თარგმნა ის უფრო გვიანდელი გაგებით **("დასაფლველი")**, აზრი ბერძნული ფრაზისა ამ ორ მთარგმნელთან საგრძნობლად შეიცვალა: წინაათონელი მთარგმნელი საუბრობს ღვთისმშობელზე, **რომელიც შეიწყნარა ღმერთმა,** ანუ **ღვთისმშობლის ამაღლებაზე,** ხოლო ეფრემი – "ღმრთის შემწყნარებელ გვამზე", ანუ **ღვთისმშობლის დაფლვაზე (იხ.: I, 5, სქ№236)**. კიდევ ერთ შემთხვევაში გამოიყენა ეფრემმა ბერძნული სიტყვის პოლისემიურობა იმისათვის, რომ წინადადების აზრი გაემკვეთრებინა – მან enantio~**-ის (PG 96 col. 744 D 7-8; Kotter 1988:534,21-22)** ორივე მნიშვნელობა გადმოიღო და დაწერა: **"წინააღმდგომთა ძალი, ... ბილწებით შენებული" (იხ.: II, 5, სქ. №225)**.

მოტანილი მასალიდან ცხადია, რომ ამ ჰომილიის თარგმნისას ეფრემი, მართალია, უფრო ახლოს არის ბერძნულ ტექსტთან, ვიდრე წინაათონელი მთარგმნელი, მაგრამ ეს არ არის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი, რასაც აკეთებდა ეფრემი თავისი მოღვაწეობის მეორე პერიოდში[21]. მთარგმნელობითი საქმიანობის დასაწყის ეტაპზე ეფრემს, თავისი დიდი წინამორბედის, წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის მსგავსად და მისი მიბაძვით, საკმაო თავისუფლებით გადმოჰქონდა ბერძნული ტექსტი[22]. თუ ზემოთ განხილული მასალის საფუძველზე ერთმანეთს შევადარებთ წინაათონელი მთარგმნელისა და ეფრემ მცირის თავისუფალი თარგმანის ხარისხს, დავინახავთ, რომ ეს თავისუფლება ამ ორ მთარგმნელთან საკმაოდ განსხვავებულად არის გამოხატული: წინაათონელი მთარგმნელის ჩარევა სათარგმნ ტექსტში უფრო სიღრმისეულია – ის ხშირ შემთხვევაში საკუთარ პოზიციას გამოხატავს და სათანადო ცვლილება შეაქვს სათარგმნ წყაროში. რაც შეეხება ეფრემს, იგი არ სცილდება სათარგმნი ტექსტის აზრობრივ ჩარჩოებს და თავს მხოლოდ იმის უფლებას აძლევს, რომ სათქმელი შედარებით მკვეთრად გამოხატოს, ან, პირიქით, შეარბილოს.

ეფრემის თარგმანთან მიმართებით, ისევე როგორც წინაათონურ**ი** თარგმან**ის** შემთხვევაში, ვერ გამოვრიცხავთ დღეს ჩვენს ხელთ არსებულისაგან განსხვავებული ბერძნული წყაროს გამოყენებას. ასეთი რეალობა, რა თქმა უნდა, შეცვლის განხილულ**ი** მაგალითებ**ის**

21 მელიქიშვილი 1991 : 89.

22 ამის კარგი ნიმუშია ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი გრიგოლ ნაზიანზელის სამი არალიტურგიკული ჰომილიის (№№17, 18, 32) ტექსტი. იხ.: მელიქიშვილი 2001.

კვალიფიკაციას და მათ ვეღარ მივიჩნევთ ეფრემის თავისუფალი მეთოდით თარგმნის გამოხატულებად, არამედ ვისაუბრებთ დღევანდლამდე ვერმოღწეულ ბერძნულ ტექსტზე - ეფრემის თარგმანს, ისევე როგორც წინაათონელისას, დედნის მნიშვნელობას მივანიჭებთ, რითაც მისი ღირებულება ბიზანტიური ლიტერატურის შესწავლის კუთხით კიდევ უფრო გაიზრდება.

ამგვარად, ზემოთ წარმოდგენილ ორ თავში ჩვენ მიმოვიხილეთ სხვადასხვა მთარგმნელის მიერ ქართულ ენაზე გადმოღებული ერთი და იმავე ბერძნული ტექსტების თარგმანები. ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ ითარგმნა ეს ჰომილიები რამდენიმეჯერ: ღვთისმშობლის შობის ჰომილიის შემთხვევაში 3-ჯერ, ხოლო ღვთისმშობლის გარდაცვალების სამი ჰომილია - 2-ჯერ. ვფიქრობთ, შესაძლებელია ორგვარი პასუხი: 1) მთარგმნელებს შორის არ იყო კარგი კოორდინაცია; 2) მთარგმნელი გარკვეული მიზეზების გამო თავიდან თარგმნიდა უკვე ნათარგმნ ტექსტს. ისიც შესაძლებელია, რომ ზოგ შემთხვევაში პირველი ფაქტორი მოქმედებდა, ზოგიერთ სხვა შემთხვევაში კი – მეორე.

თუ რამდენად მოსალოდნელი იყო, რომ მთარგმნელს ხელმოსაჭიდი მიზეზის გარეშე ხელმეორედ ეთარგმნა რომელიმე ტექსტი, ამაზე პასუხს გვცემს თეოფილე ხუცესმონაზონის მინაწერი "ჯვრის ამაღლების" საკითხავზე, რომელიც მან ეფთვიმე ათონელისეული თარგმანით შეიტანა თავის ავტოგრაფულ ნუსხაში, სექტემბრის თვის მეტაფრასულ კრებულ Ath. 20-ში: "თჳნიერ ჯუარისა საკითხავისა სხუაჲ ყოველივე ახალი არს" . ამ საკითხავს დამატებით მიწერილი აქვს: "თარგმანებული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესი". ვფიქრობთ, ნათქვამიდან ცხადია, რომ თეოფილემ არაფერი იცოდა ეფთვიმე ათონელის მიერ თარგმნილი ღვთისმშობლის შობის ჰომილიის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, რატომ მოიქცეოდა ის განსხვავებულად, ვიდრე ეს გააკეთა ჯვრის ამაღლების საკითხავთან მიმართებით? – ჩვენ მიერ შესწავლილ კონკრეტულ შემთხვევაშიც ან ეფთვიმეს თარგმანს შეიტანდა კრებულში, ან მინაწერს მაინც გაუკეთებდა თავის თარგმანს და ახსნიდა, თუ რა მიზნით გადმოიღო ეს ჰომილია თავიდან.

იმის გასარკვევად, თუ რა მიზეზით თარგმნა ეფრემ მცირემ ხელმეორედ თავისი დიდი წინამორბედის, ეფთვიმე ათონელის მიერ უკვე თარგმნილი იოანე დამასკელის ღვთისმშობლის შობისა და გარდაცვალების ჰომილიები, ლოგიკური იქნება, თუ მოვიშველიებთ ეფრემის მიერ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული სიტყვის ხელმეორედ თარგმნის ისტორიას.

გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ეფრემისეულ თარგმანებზე დართული შესავალი და ანდერძ-მინაწერები საშუალებას იძლევა ჩამოვაყალიბოთ ეფრემისეული მთარგმნელობით პრინციპები, რაც

შეიძლება დაგვეხმაროს ჩვენ მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემაში. ეფრემი თვლიდა, რომ მთარგმნელს უნდა ჰქონოდა სრული ინფორმაცია უკვე არსებული თარგმანის შესახებ და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიეღო გადაწყვეტილება, თუ რამდენად იყო მიზანშეწონილი და აუცილებელი თხზულების ხელახლა თარგმნა. ეს აუცილებლობა შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო ძირითადად შემდეგი მიზეზებით: 1) მდარე, უხარისხო თარგმანი; 2) მთარგმნელის მიერ დაშვებული უნებლიე შეცდომები; 3) მთარგმნელის მიერ დედნის შეგნებული ცვლა. ამ პუნქტების გარდა, ეფრემის მთარგმნელობითი პრინციპები რამდენიმე სხვა მოთხოვნასაც შეიცავს, რაზეც აქ აღარ შევჩერდებით .

ამავე თარგმანებზე დართულ მიმართვაში ბერ კვირიკე ალექსანდრიელისადმი ეფრემი საუბრობს იმაზე, რომ გრიგოლ ნაზიანზელის 16 ლიტურგიკული სიტყვის ეფთვიმეს თარგმანში დაიკარგა გრიგოლ ღვთისმეტყველის "სიტყუამოკლეობა" და "სიტყუათა მიფარულება". ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეფრემი იწუნებს ეფთვიმეს თარგმანს. ამავე ანდერძში იგი ხოტბას ასხამს თავის დიდ წინამორბედს, წერს, რომ "ყოველი მჭელი ღმრთისმეტყუელისაჲ ეფთვიმეს აედვა ურემსა ქართველთასა", ხოლო მას (ეფრემს) "სანთლით ჴუვილნიდა აღუკრებია დატჳრთვად ურემსა მისსა" . ეფრემი თვლიდა, რომ ეფთვიმემ თავისი თარგმანით, რომელიც სწორედ მისი "სიტყუასივრცის" გამოისობით იყო ყველასათვის გასაგები, აღზარდა ერი და მისცა მას საშუალება გაეგო წმ. გრიგოლ ნაზიანზელის ნაწერების არსი, მაგრამ დადგა დრო, მკითხველი ჩაწვდომოდა ამ ჰომილიების "სიღრმეს" და ეს მისია ეფრემმა აიღო თავის თავზე ზუსტი თარგმანის გაკეთების მეშვეობით[23].

მიმართვის ტექსტს თუ მივუსადაგებთ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევას, ადვილად დასაშვები გახდება, რომ ეფრემს შეიძლება სცოდნოდა წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლის შობის ჰომილიის ეფთვიმესეული თარგმანის არსებობის შესახებ და იმ ცვლილებების გამო, რაც დიდმა მამამ ბერძნულ ტექსტში შეიტანა, თავიდან ეთარგმნა ის დედანთან დაახლოების მიზნით. გასარკვევი რჩება, აქვს თუ არა ეფრემს სადმე, რომელიმე ანდერძსა თუ მინაწერში, შენიშვნა ამის შესახებ. ჩვენ ჯერჯერობით ასეთ შენიშვნას ვერ მივაკვლიეთ.

ასევე არა გვგონია, რომ ეფრემმა არაფერი იცოდა წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლის გარდაცვალების სამი ჰომილიის წინაათონური თარგმანის არსებობის შესახებ. ამ თარგმანთან მიმართებით ხელახალი თარგმანის შესრულების ეფრემის მიერ ჩამოყალიბებული პირველი ორი მიზეზი გამოირიცხება, რადგან ეს არ არის არც მდარე, უხარისხო თარგმანი და მასში არც შეცდომებია დაშვებული მთარგმნელის მიერ. რაც შეეხება მესამე მიზეზს - მთარგმნელის მიერ დედნის შეგნებულ

23 ვრცლად ამის შესახებ იხ.: მაცნე 1999 : 149-156.

ცვლას - მას ვერ გამოვრიცხავთ, რადგან წინაათონელი ანონიმი მთარგმნელი, ისევე როგორც ეფთვიმე ათონელი შობის ჰომილიის თარგმნისას, საკმაოდ აქტიურად ჩაერია ბერძნულ ტექსტში. თუ ჩვენი მოსაზრება სწორია და ეფრემმა ხელახალი თარგმანი ამ მიზეზით გააკეთა, მაშინ უფრო თამამად შეიძლება მთარგმნელს მივაწეროთ ყველა გადახვევა ბერძნული ტექსტიდან, რადგან ორიგინალისაგან განსხვავებული წაკითხვები რომ რომელიმე ბერძნული ნუსხიდან მომდინარე ყოფილიყო, ეფრემ მცირეს გაურკვეველი არ დარჩებოდა და ამ საკმაოდ დიდი მოცულობის ტექსტებს ხელახლა არ თარგმნიდა.

ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაო და ამის საფუძველზე გამოთქმული ვარაუდები ერთი და იგივე ბერძნული ტექსტების ხშირ შემთხვევაში არაერთი ქართული თარგმანის არსებობის მიზეზთა შესახებ, სხვადასხვა სამწიგნობრო ცენტრისა და მთარგმნელობითი სკოლის ურთიერთობას ასახავს. ის, თუ როგორ ხდებოდა ათონური სკოლის თავისუფალი თარგმანიდან ელინოფილური მიმდინარეობის მთავარ პრინციპზე - დედანთან დაახლოებულ თარგმანზე - გადასვლა, ეფრემ მცირისა და თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანების შესწავლითაც ხდება ცხადი. წმ. გრიგოლ ნაზიანზელის 16 ლიტურგიკულ სიტყვასთან მიმართებით ეფრემს გაცილებით ხელშესახები მიზეზი ჰქონდა ტექსტების ხელმეორედ თარგმნისათვის, ვიდრე ეს იყო წმ. იოანე დამასკელის ჩვენ მიერ შესწავლილი ჰომილიების თარგმანებთან დაკავშირებით, რადგან ამ ჰომილიებში რაიმე არსებითი გადახვევა ბერძნული ორიგინალიდან არ არის. მიუხედავად ამისა, ეფრემმა მაინც იტვირთა ეს საქმე. ამდენად, სურვილი და აუცილებლობა უკვე არსებული თარგმანების ბერძნულ ორიგინალებთან დაახლოებისა, როგორც ჩანს, იმდენად ძლიერი იყო, რომ ელინოფილური მიმდინარეობის ეს პროცესი შეეხო ისეთი დიდი საეკლესიო მამისა და მთარგმნელის ნამუშევრებსაც, როგორიც იყო ეფთვიმე ათონელი.

## ლექსიკონისათვის

**I სინონიმური ლექსიკონ-საძიებელის** მასალა ემყარება წინამდებარე გამოცემაში შესულ წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ბერძნული ჰომილიების ძველ ქართულ თარგმანებს, კერძოდ, წმ. ეფთვიმე ათონელის, თეოფილე ხუცესმონაზონისა და ეფრემ მცირის[1] მიერ თარგმნილ **"ღვთისმშობლის შობის"** პირველ ჰომილიასა და **"ღვთისმშობლის გარდაცვალების"** სამი ჰომილიის ორ ანონიმურ თარგმანს (წინაათონურსა და, როგორც კვლევამ აჩვენა, ეფრემ მცირისეულს). **ერთი და იმავე ბერძნული ტექსტის რამდენიმე თარგმანის არსებობამ სინონიმური წყვილების გამოყოფის საშუალება მოგვცა**. "ღვთისმშობლის გარდაცვალების" ჰომილიაში გაცილებით უხვად არის წარმოდგენილი ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი **საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სიტყვები და ტერმინები,** ამიტომაც ლექსიკონ-საძიებელში უმეტესწილად სწორედ ამ ჰომილიებიდან არის შეტანილი მასალა.

**II** ბერძნული სალექსიკონო ერთეულის თუ ფრაზის **ზუსტ თარგმანს, როგორც წესი, იძლევა ეფრემ მცირე, ასევე, ხშირად – თეოფილე ხუცესმონაზონი**. რაც შეეხება ეფთვიმე ათონელსა და წინაათონელ მთარგმნელს, ისინი, უმეტესწილად, ბერძნული ტექსტის თავისუფალ თარგმანს აკეთებენ, ამიტომ მათ მიერ გამოყენებული სიტყვები ბერძნული წყაროსაგან ნიუანსურად განსხვავდება. მიუხედავად ამისა, ამ **ნიუანსურად განსხვავებულ სიტყვებსა თუ შესიტყვებებს ეფრემისა და თეოფილეს მიერ ზუსტად გადმოღებული ლექსიკური ერთეულების სინონიმებად წარმოვადგენთ,** რადგან განხილულ კონტექსტებში მათი გამოყენება აზრობრივად გამართლებულია. ამდენად, ჩვენს ლექსიკონს ვერ ექნება განაცხადი იმაზე, რომ წარმოადგენს სინონიმურ ლექსიკონს **კლასიკური გაგებით**.

**III "ღვთისმშობლის შობის"** კიდევ ერთი ბერძნული ჰომილიის ორი ქართული თარგმანი მოგვეპოვება – წმ. გიორგი მთაწმიდელისა და თეოფილე ხუცესმონაზონის. გიორგისეული თარგმანი გამოცემულია **(იხ. გოგუაძე 1986:102-114)** და არ შედის წინამდებარე

1 არსებობს ამ ჰომილიის ეფრემ მცირისეული თარგმანი, გამოცემული ნ. გოგუაძის მიერ **(გოგუაძე 1986:115-125)**. მიუხედავად იმისა, რომ ეს თარგმანი არ შედის წინამდებარე წიგნში, მისი მონაცემები, ეფრემ მცირის თარგმანისა და მასში ასახული ლექსიკისადმი განსაკუთრებული ინტერესის გამო, გათვალისწინებული გვაქვს ლექსიკონში.

წიგნში. ამ დიდი მამის ლექსიკის მიმოხილვა დღესდღეობით ჩვენს მიზანს არ წარმოადგენდა, ამიტომ თეოფილეს თარგმანი დარჩა მეწყვილე ტექსტის გარეშე და მასალა ამ უკანასკნელიდან ვერ შევიდა წინამდებარე სინონიმურ ლექსიკონ-საძიებელში. ამას ჩვენი ნაშრომისათვის დიდ დანაკლისად არ მივიჩნევთ, რადგან თეოფილე ხუცესმონაზონის ლექსიკის რამდენადმე გათვალისწინების საშუალება მოგვეცა შობის პირველი ჰომილიის მასალაზე დაყრდნობით.

**IV "ღვთისმშობლის ქებისა და შესხმის"** ანონიმური ქართული თარგმანიდან მასალა ორი მიზეზით არ შევიტანეთ სინონიმურ ლექსიკონ-საძიებელში: 1) ამ ჰომილიის ბერძნულ წყაროს ვერ მივაკვლიეთ (ეს ტექსტი, სავარაუდოდ, დაკარგული ბერძნული დედნის ქართული ვერსიაა) და, ამდენად, უცხოენოვანი შესატყვისების მოტანის საშუალება არ გვქონდა; 2) გარდა ამისა, ეს ჰომილია მხოლოდ ერთი თარგმანით არსებობს და სინონიმური წყვილების გამოყოფაც არ შეგვეძლო.

**V** წინამდებარე **სინონიმური ლექსიკონ-საძიებელი დოკუმენტირებულია** – სალექსიკონო ერთეულები, მათი **საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური შინაარსიდან გამომდინარე,** ხშირად არაერთგვაროვანი გაგების შესაძლებლობას იძლევა. ამიტომ ყოველ მათგანს ერთვის ვრცელი ქართულ-ბერძნული კონტექსტი და მკითხველს ამ სიტყვების მნიშვნელობების ღრმა და სრულყოფილი გააზრების საშუალება აქვს. ამას ხელს უწყობს სალექსიკონო ერთეულების სინონიმურ წყვილებად წარმოდგენაც.

**VI** როგორც აღვნიშნეთ, ლექსიკონ-საძიებელში შეტანილ ერთეულებს **ე. წ. სინონიმურ წყვილებად** წარმოვადგენთ. ძალიან იშვიათად, თუ ორივე (ან სამივე) თარგმანში ბერძნული ერთეულის შესატყვისად ერთი და იგივე სიტყვაა გამოყენებული, ან ერთ-ერთი თარგმანის შემცველი ხელნაწერი დაზიანებული ან ნაკლულია და მონაკვეთი, რომელშიც არის ჩვენთვის საინტერესო სიტყვა, მას არ გააჩნია, სალექსიკონო ერთეული მეწყვილეს გარეშე არის შესული ლექსიკონში.

**VII** წინამდებარე სინონიმურ ლექსიკონს მის დასახელებაში დავუმატეთ სიტყვა **"საძიებელი",** რადგან წარმოდგენილი სინონიმური ლექსიკონი ემსახურება იმ მიზანსაც, რომ მკითხველმა მასში მოიძიოს **საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური დატვირთვის მატარებელ ბერძნულ სიტყვა-ტერმინთა ის ქართული შესატყვისები, რომლებიც ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარად აისახა ამა თუ იმ მთარგმნელობით სკოლაში.**

**VIII** ლექსიკონ-საძიებელში **პირველ ადგილზე ეფრემის თარგმანიდან ამოღებული ერთეულები არის გატანილი და, შესაბამისად, კონტექსტებიც ამ თარგმანიდან იკავებს პირველ ადგილს**. მნიშვნელოვანია სიტყვის შესაბამისობისობა ბერძნულ ერთეულთან, ამიტომ ისეთ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც წინაათონელი ანონიმი მთარგმნელი უფრო ზუსტი შესატყვისით თარგმნის, ვიდრე ეფრემ მცირე, ლექსიკონში ჯერ წინაათონური თარგმანიდან მოგვაქვს სალექსიკონო ერთეული და შესატყვისი კონტექსტი, შემდეგ – ეფრემის თარგმანიდან. მაგ.: ბერძნულ sugkatabasi~-ს, რაც "ვინმესთან ერთად ქვემოთ ჩამოსვლას" **ან** "შეთანხმებულ მოქმედებას" ნიშნავს, აქვს სხვა, გადატანითი გაგებაც, კერძოდ, "თავმდაბლობის" (ანუ "ვიდაცის დონეზე დაშვება", "ვინმესთვის თავის გაყადრება"). ეფრემმა არ გაითვალისწინა კონტექსტი და ეს სიტყვა კალკირებულად გადმოიღო როგორც "თანაშთამომავალობაᲲ" და ამით ქართული თარგმანი რამდენადმე გაუგებარი გახადა, წინაათონელმა მთარგმნელმა კი ამ სიტყვისათვის სწორი შესატყვისი, "სიმდაბლე", მოძებნა. მოვიტანთ კიდევ ერთ მაგალითს: Qeia~ uparxew~ ეფრემმა, ტექსტის აზრის შეცვლის გარეშე, გადმოიღო როგორც "გუამოვნება", ხოლო წინაათონელმა ანონიმმა მთარგმნელმა, – როგორც **"სადმრთო არსება". ეს გამონაკლისი შემთხვევები საერთო სურათს არ ცვლის**.

**IX** ეფრემ მცირის თარგმანიდან მოტანილი სალექსიკონო ერთეულებიდან კარგად ჩანს, რომ **ეს დიდი საეკლესიო მამა ტერმინთქმნადობის პროცესს აწარმოებს:** იგი ერთსა და იმავე შესატყვისს სისტემატურად იყენებს ერთი და იმავე ბერძნული ერთეულის გადმოსაცემად და ამ გზით **გარკვეულ ქართულ სიტყვებს ტერმინების მნიშვნელობას ანიჭებს**. ეფრემი უფრო შორსაც მიდის და მის მიერ ქართულ ტერმინად მიჩნეულ სიტყვას თუ შესიტყვებას უსადაგებს ისეთ ბერძნულ სიტყვას, რომელიც ნიუანსურად განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელია. მაგ.: ბერძნული ouraniw temenei ეფრემმა გადმოიღო როგორც "კარავი ზეცისა"; როგორც წესი, ეფრემი **"კარავს"** წერს ბერძნული h skhnh-ს შესატყვისად, ამ შემთხვევაში კი მან ბერძნული – to temeno~ (=სიწმიდე; წმიდა ან ტაძრისეული მიწა; უფლის კუთვნილი ადგილი) **გადმოიღო ამავე** "კარავით", ანუ ouraniw temenei გააერთიანა იმ ზოგად მნიშვნელობაში (საღმრთო სავანე), რაც აქვს "ზეცის კარავს" (h skhnh ton ouranon).

**X** სალექსიკონო ერთეულები (სახელები და საწყისები) წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით; ზმნები გატანილია

საწყისის ფუძის სახით.

**XI** სალექსიკონო ერთეულებს ვურთავთ: 1) განმარტებას (თუ ამას საჭიროდ მივიჩნევთ); 2) ბერძნულ შესატყვის სახელს ნომინატივში ან საწყისს ფუძის სახით; 3) სალექსიკონო ერთეულის შემცველ ქართულ და ბერძნულ ვრცელ კონტექსტებს;

**XII** ლექსიკონ-საძიებელ'ში არ აღვნიშნავთ, თუ რომელი ჰომილიიდან გვაქვს აღებული ესა თუ ის სიტყვა – ამის გარკვევა მკითხველს თავად შეუძლია მითითებული ადგილის მიხედვით (გამოცემული ტექსტის გვერდი და სტრიქონი). ლექსიკონის სპეციფიკიდან გამომდინარე (სხვადასხვა მთარგმნელობით სკოლებში შესრულებული ერთი და იმავე ტექსტის თარგმანები), მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ, სალექსიკონო ერთეულებთან მოტანილ ვრცელ კონტექსტებთან მთარგმნელთა ვინაობის მითითება.

## ლექსიკონი

### ა

**აგებულება-ჲ//დაბადებულ-ჲ//შექმნულ-ჲ** – ktisi~ h – **ქმნილება:**
...სიქადული ყოველთა **აგებულებათაჲ (ეფრ.,** 92,9-10); ...ϩ, სიქადულო ყოვლისა **დაბადებულისაო...** (**წ. ათ.,** 71,22-23). ...th~ ktisew~... (PG 96, col. 702, C 8).
...ზესთა აღმატებული ყოველთა **აგებულებათაჲ** (**ეფრ.,** 141,5); დედოფალ არს ყოველთა **შექმნულთა** (**წ. ათ.,** 110,20-21). ...h pantwn ktismatwn... (PG 96, col. 722, D 3).

**აგებულ-ი//დაბადებულ-ი** - ktiston to – **შექმნილი:**
...ერთსა შინა გუამსა შეერთებულნი..., **აგებული** და აუგებელი (**ეფრ.,** 93,26-28); ...**დაბადებული** და დამბადებელი (**წ. ათ.,** 73,2-4). ...to ktiston kai to aktiston... (PG 96, col. 705, C 3-4).

**არა არსება-ჲ//არა არსობა-ჲ//არა ყოფა-ჲ** – to mh on – **არარსებობა:**
ხოლო ჩუენ, რომელთა მიერ იმსახურების ღმერთი ჭეშმარიტი, ღმერთი არათუ **არა არსებისაგან** მოსრული არსად, არამედ მარადის არსი მარადის არსებისაგან, ზესთა მიზეზისა და სიტყჳსა, მოგონებისა და ცნობისა, ჟამთა და ბუნებისა, ჩუენ ჭეშმარიტად ღმრთისა დედასა პატივ-ვსცემთ და ვჰმსახურებთ ... (**ეფრ.,** 158,26-30); ხოლო ჩუენ, რომელნი-ესე ვჰმონებთ ღმერთსა ჭეშმარიტსა, არათუ **არა ყოფილსა** და მერმე ქმნულსა, არამედ რომელი-იგი უწინარეს და უზეშთაეს არს ყოველთა საუკუნეთა და არსთა და უზეშთაეს არს ყოველთა მოგონებათა და სიტყუათა და ჟამთა და ბუნებათა, და წმიდასა ღმრთისმშობელსა თაყუანის-ვსცემთ და ვადიდებთ ... (**წ. ათ.,** 130,7-11). Hmei~ de oi~ Qeo~ esti to latreuomenon, Qeo~ ouk ek mh onto~ ei~ to einai paragenomeno~, all aei wn ek tou aei onto~ uper aitian, kai logon, kai ennoian kai cronou, kai fusew~, Mhtera Qeou timwmen kai sebomen (PG 96, col. 744, A 5-9). ...ვითარ ღმერთ არს და **არა არსობისაგან** არსად მოვალს შობითა? (**ეფრ.,** 158,12-13); ...ვითარ-მე იპოვნენ არსად სულიერად **არა ყოფილნი** იგი? (**წ. ათ.,** 129,26-27). ...to mh on, men proteron, pro~ de genesin paragomenon (PG 96, col. 742, C 14-15).

**არა არსობა-ჲ** – **იხ. არა არსება-ჲ**
**არა ყოფა-ჲ** - **იხ. არა არსება-ჲ//არა არსობა-ჲ.**

**არაწმიდა-ჲ//უკეთურ-ი** – akaqarth h:

ძრწიან **არაწმიდანი** სულნი ჰაერისანი (**ეფრ.,** 105,10); შეძრწუნდეს სულნი **უკეთურნი** (**წ. ათ.,** 84,7). ...ta akaqarta kai snaeria pneumata (PG 96, col. 716, D 2).

**არსებით-ი** – ousiwdw~:
...რომელი-ესე არათუ მოქმედებათა ღმრთისათა საუნჯე, არამედ **არსებითისა მის** და გუამოვნებითისა სიტყჳსა ღმრთისა გუამისა სამკჳდრებელ იქმნა (**ეფრ.,** გოგუაძე 1986, 120,6-8);... ესე არა საქმეთა ღმრთისათა იქმნა შემწყნარებელ, არამედ ბუნებითსა მას გუამოვნებასა ძისა ღმრთისასა (**თეოფ.,** 41,8-10); ... ესე არა მოქმედებით იქმნა შემწყნარებელ ღმრთეებისა, არამედ მიუწდომელად და გამოუთქუმელად იქმნა დამტევნელ ნათელსა მას გუამსა ძისა ღმრთისასა (**ეფთ.,** 22,13-15). ... auth gar ouk energeia~ Qeou uphrxe duceion, all ousiwdw~ th~ tou Uiou kai Qeou upostasew~ (PG 96, col. 672, A 4).

**აუგებელ-ი//დამბადებელ-ი** – aktiston to:
...ერთსა შინა გუამსა შეერთებულნი..., აგებული და **აუგებელი** (**ეფრ.,** 93,26-28); ...დაბადებული და **დამბადებელი** (**წ. ათ.,** 73,2-4). ...to ktiston kai to aktiston... (PG 96, col. 705, C 3-4).

**აღთქუმა-ჲ//მცნება-ჲ** – diaqhkh h **პირობა, შეპირება:**
...რაჲთა აღიყვანონ კიდობანი **აღთქუმისაჲ** უფლისაჲ (**ეფრ.,** 155,2-3); ...რაჲთამცა აღიღეს კიდობანი იგი **მცნებისა** უფლისაჲ (**წ. ათ.,** 125,23). ...thn kibwton diaqhkh~ Kuriou (PG 96, col. 737, C 13-D1).

**აღთქუმა-ჲ - იხ. ხარება-ჲ.**

**აღმაღლება//აღყვანება//მიცვალება** – apairw:
...უკუეთუ **აღიმაღლებ,** კარავი ეგე ღმრთისაჲ, და ჩუენცა **თანა-აღგჳყვანენ** (**ეფრ.,** 151,23-024); ...უკუეთუ **მიიცვალო,** ჰ კარავო ღმრთისაო, ჩუენცა შენ **თანავე მივიცვალნეთ** (**წ. ათ.** 122,10-11). ...Ei apairei~, h tou Qeou skhnh, kai hmei~ sunapairoimen (PG 96, col. 736, A 2-3).

**აღსლვა-ჲ** – anabasi~ h **= ამაღლება:**
ჰაერი ეთერითურთ და ცით ზოგადად წმიდა იქმნებოდეს **აღსლვითა** სულისა მისისაჲთა (**ეფრ.,** 154,10-11); ჰაერნი და სამყარონი და ცანი **აღსლვითა** სულისა მისისაჲთა განწმიდნებოდეს (**წ. ათ.,** 124,22-23). ...th anabasei tou pneumato~ (PG 96, col. 757, B 8).

**ახალ-ი ადამ-ი** – neo~ Adam o **= ქრისტე (მეტაფორა):**

დღეს ედემი **ახლისა ადამისი** სიტჯერსა სამოთხესა შეიწყნარებს (**ეფრ.,** 142,32); დღეს სამოთხემან **ახლისა ადამისმან** სამოთხე იგი პირმეტყველი შეიწყნარა (**წ. ათ.,** 112,22-23). ... Shmeron h Edem tou neou Adam ton logikon paradeison upodecetai (PG 96, col. 725, A 2-3).

**ახალ-ი აღთქუმა-ჲ//ახალ-ი მცნება-ჲ** – Nea Diaqhkh h:
...წინამძღუართა **ახლისა აღთქუმისათა,** ვიტყჯ უკუე წმიდათა მოციქულთა, ... (**ეფრ.,** 155,13-14); მთავარნი იგი **ახლისა მცნებისანი,** მოციქულთასა ვიტყჯ, ... (**წ. ათ.,** 126,7). ...th~ Nea~ Diaqhkh~ (PG 96, col. 740, A 5).

**ახალ-ი მცნება-ჲ - იხ. ახალ-ი აღთქუმა-ჲ.**

## ბ

**ბუნება-ჲ** – fusi~ h:
ხოლო ჩუენ, რომელთა მიერ იმსახურების ღმერთი ჭეშმარიტი, ღმერთი არათუ არაარსებისაგან მოსრული არსად, არამედ მარადის არსი მარადის არსებისაგან, ზესთა მიზეზისა და სიტყჯსა, მოგონებისა და ცნობისა ჟამთა და **ბუნებისა,** ჩუენ ჭეშმარიტად ღმრთისა დედასა პატივ-ვსცემთ და ვჰმსახურებთ ... (**ეფრ.,** 158,26-30); ხოლო ჩუენ, რომელნი-ესე ვჰმონებთ ღმერთსა ჭეშმარიტსა, არათუ არაყოფილსა და მერმე ქმნულსა, არამედ რომელი-იგი უწინარეს და უზეშთაეს არს ყოველთა საუკუნეთა და არსთა და უზეშთაეს არს ყოველთა მოგონებათა და სიტყუათა და ჟამთა და **ბუნებათა,** და წმიდასა ღმრთისმშობელსა თაყუანის-ვსცემთ და ვადიდებთ ... (**წ. ათ.,** 130,7-11). Hmei~ de oi~ Qeo~ esti to latreuomenon, Qeo~ ouk ek mh onto~ ei~ to einai paragenomeno~, all aei wn ek tou aei onto~ uper aitian, kai logon, kai ennoian kai cronou, kai fusew~, Mhtera Qeou timwmen kai sebomen (PG 96, col. 744, A 5-9).

**ბუნება-ჲ სრულ-ი** - h teleiai fusi~:
... ერთი ქრისტე, ... ერთი გუამი, შეზავებული ორთა **ბუნებათაგან სრულთა,** - ღმრთეებისაგან და კაცებისაგან (**ეფრ.,** 93,18-19; 20-21); ... ერთი ქრისტე, ... გუამი ერთი ორთა **ბუნებათაგან სრულთა,** შეერთებული ღმრთეებისაგან და კაცებისა (**წ. ათ.,** 72,26; 28—29). ... ei~ Cristo~, ... mia upostasi~ sunqeto~, ek duo fusewn teleiwn, Qeothto~ te kai annqrwpothto~, kai en duo teleiai~ fusesi, Qeothti te kai anqrwpothti (PG 96, col. 704, B 6; 9- 12).

**ბჭენი სამოთხისანი//ბჭენი ცათანი** – Pulai paradeisou:

... კიდობანი უფლისაჲ, სიტყჳერი და სულიერი, განსუენებად ძისა თჳსისა მიიცვალების, **ბჭენი სამოთხისანი** განეხუმიან და ღმერთშემოსილსა მას ორნატსა შეიწყნარებენ (**ეფრ.,** 178,34-180,1); დღეს კიდობანი იგი უფლისაჲ, სულიერი და მეტყუელი, მიიცვალა განსასუენებელსა ძისასა; დღეს **ბჭენი ცათანი** განეხუნეს და შეიწყნარეს აგარაკი იგი ღმრთისა შემწყნარებელი (**წ. ათ.,** 169,17-19). ... kai h kibwto~ Kuriou h emyuco~ te kai logikh pro~ thn tou Uiou anapausin metanistatai. Pulai paradeisou anoigontai, kai thn Qeoforon upodecontai arouran (PG 96, col. 756, A 11-15).

**ბჭენ-ი ცათან-ი - იხ. ბჭენ-ი სამოთხისანი.**

## გ

**გამოსხმა - იხ. ექსორია-ყოფა.**
**გამოჴსნა-ჲ - იხ. ცხორება-ჲ.**
**განგდებულ-ი - იხ. უპატიოქმნილ-ი.**
**განგდებულ-ი მოქმედება-ჲ ღმრთეებრი და მოქმედება-ჲ კაცობრივი – იხ, ვნება-ჲ თანაწარუვალ-ი.**

**განდგომილ-ი//განძებულ-ი** – apostath~ o:
... დაჰჴსენ მტერობაჲ და მიჰგუარენ **განდგომილნი** მამასა შენსა, შეცთომილნი მოაქციენ ... საცთურისაგან მრავალღმრთეებისა დაბადებულნი განათავისუფლენ ... (**ეფრ.,** 94,10-13); ... დაჰჴსენ მტერობაჲ იგი და წარმოიყვანე **განძებული** და მიუძღუანე მამასა, და მოიძიე წარწყმედული ... და განათავისუფლე დაბადებულნი ცთომისაგან მრავალღმრთეებისა ... (**წ. ათ.,** 73,15-18). thn ecqran elusa~, kai tw sw Patri tou~ apostata~ prosghgage~, to peplanhmenon epestreya~ ... th~ poluqeou planh~ thn ktisin hleuqerwsa~ (PG 96, col. 704, D 1-5).

**განგება-ჲ - იხ. საჭეთმპყრობელობა-ჲ.**

**განგებულ-ი//შემსგავსებულ-ი//შეერთებულ-ი** – prosaneimi:
გონებაჲ მისი შეკრულ იყო სიყუარულსა ღმრთისასა და მის მიერ **განგებულ** იყო (**ეფთ.,** 26,2-3); გაქუნდა გონებაჲ ღმრთივძღომილი და წარმართებული და მხოლოჲსა ოდენ ღმრთისადა **შემსგავსებული** (**თეოფ.,** 45, 16-17); ...**შეერთებული... (ეფრ.,** გოგუაძე 1986:122,17). ...noun men econ Qeokubernhton, kai monw Qew prosaneconta (PG 96, col. 676, A 9-10).

**განზრახვა-ჲ - იხ. ცნობა-ჲ.**

**განკაცება-ჲ - იხ. განკაცება-ჲ გუამოვნებით-ი.**

**განკაცება-ჲ გუამოვნებით-ი//განკაცება-ჲ** – upostasin sarkwqhnai:
...რომელმან სათნო-იყო **განკაცებაჲ მისგან გუამოვნებით** და ჴორცთა შობაჲ... (**ეფრ.,** 164,4-5); ...რომელმან-იგი სათნო-იყო **განკაცებაჲ** მისგან და ჴორცთა შესხმაჲ... (**წ. ათ.,** 136,10). kat idian upostasin sarkwqhnai kai enanqrwphsai ex auth~ kai gennhqhnai sarki (PG 96, col. 749, B 5-6).

**განკუეთა-ჲ//განყოფილება-ჲ** – diairesi~:
არა შეგემთხუა შერევნაჲ, არცა თავს-იდევ **განკუეთაჲ,** არამედ თავსა შორის თუსსა გქონან სხუაარსებანი ორთა ბუნებათანი (**ეფრ.,** 93,24-25); ... ღმერთი შეერთებული და კაცი, რომელმან არა თავს-იდევ შერეულებაჲ და არცა **განყოფილებაჲ,** არამედ გამოჩნდებიან შენ შორის თუთებანი ბუნებათანი (**წ. ათ.,** 72,30-73,1-2). ... ou sugcusin uposta~, oude diairesin upomeina~, ferwn en eautw twn eteroousiwn duo fusewn (PG 96, col. 704, B 14-C1).

**განსასუენებელ-ი სულისა-ჲ//სასძლო-ჲ სულისა-ჲ** – to en qalamw tou Pneumato~ – **ტაძარი (მეტაფორა):**
ჰ ყოვლადწმიდაჲ იგი ასული იოვაკიმ და ანნაჲსი, რომელი ... **განსასუენებელთა მათ შინა სულისათა** მოქალაქობით დაცვულ იქმნა უბიწოდ სძლად ღმრთისა და დედად ბუნებით ძისა ღმრთისა! (თეოფ., 41,22-26); ... **სასძლოსა შინა სულისასა ... (ეფრ.,** გოგუაძე 1986:120,20). ჰ ასულსა მას იოვაკიმისსა და ანაჲსსა უბიწოსა, ... რომელი **სასძლოსა მას შინა სულისასა** ... დამარხულ იქმნა უბიწოდ, ვითარცა სძალი ღმრთისაჲ და დედაჲ მისი, რომელი-იგი ბუნებით არს ძე ღმრთისაჲ და ღმერთი (**ეფთ.,** 22,27-31); W Qugatrion Iwakeim te kai Annh~ to ierwtaton, ... to en qalamw tou Pneumato~ politeusamenon, kai thrhqen amwmon ei~ numfhn Qeou, kai mhtera fusei tou Qeou! (**PG** 96, col. 672, A 15-B1; 3-5).

**განსასუენებელ-ი უფლისა-ჲ – იხ. ტაძარ-ი ღმრთისა-ჲ.**

**განსლვა-ჲ//მიცვალება-ჲ//შემურვა-ჲ** – ekdhmew; exodion:
...მიისწრაფეს გალობათა მიმართ **განსლვისათა (ეფრ.,** 152,9-10); ...შეცვალნეს სიტყუაჲ იგი მათი გალობად **მიცვალებისა** (**წ. ათ.,** 122,23-24). ...pro~ umnou~ ekdhmiou~ etreponto (PG 96, col. 736, A 16).
...ვითარცა ძღუენი რაჲმე **განსლვისაჲ** (**ეფრ.,** 178,6); ...ვითარცა შესაწირავი და მსხუერპლი **შემურვისაჲ** (**წ. ათ.,** 167,4-5). ...wsper ti dwron exodion (PG 96, col. 753, A 5-6).

**განსლვა-ჲ ამიერ სოფლით - იხ. განსლვა-ჲ ჴორცთაგან.**

**განსლვა-ჲ ჴორცთაგან//განსლვა-ჲ ამიერ სოფლით** – ekbasi~ h = **გარდაცვალება:**
...ხედვიდეს მას მოსწრაფედ **ჴორცთაგან განსლვისა** მიმართ (**ეფრ.,** 152,7-8); ... იხილეს იგი წადიერად და მოსურნედ **განსლვასა ამიერ სოფლით** (**წ. ათ.,** 122,22-23). ... epeidh pro~ thn ekbiwsin speudousan (PG 96, col. 736, A 14-15).

**განსუენება//მიცვალება** – katapauw = **გარდაცვალება:**
...დღეს **განისუენა** კიდობანმან უფლისა ღმრთისამან (**ეფრ.,** 160,12); ...კიდობანი იგი ღმრთისაჲ დღეს **მიიცვალების (წ. ათ.,** 132,1-2). h kibwto~ gar Kuriou shmeron katapepautai (PG 96, col. 744, D 9-10).

**განურყუნელ-ი – იხ. შეურევნელ-ი.**
**განუყოფელ-ი - იხ. განუწვალებელ-ი.**

**განუწვალებელ-ი//განუყოფელ-ი** – adiaireto~:
არამედ თავსა შორის თჳსსა გქონან სხუაარსებანი ორთა ბუნებათანი, ერთსა შინა გუამსა შეერთებულნი, თანად შეურევნელადცა და **განუწვალებელადცა** თჳთებითა ბუნებითთა თჳთებათაჲთა (**ეფრ.,** 93,25-28); ... არამედ გამოჩნდებიან შენ შორის თჳთებანი ბუნებათანი, რომელნი შენ შორის შეერთნეს განურყუნელად და **განუყოფელად** (**წ. ათ.,** 73,2-3). ... ferwn en eautw twn eteroousiwn duo fusewn kaq upostasin asugcutw~ ama kai adiairetw~ (PG 96, col. 704, B 15 – C 2).

**განყოფა-ჲ//წინაადდგომა-ჲ** – parakrouw:
არა თავს-ვიდებ მეორე ევა-ყოფასა და ამით დამბადებელისა ჩემისა ნებისაგან **განყოფასა (ეფრ.,** 99,15-17); არა მნებავს, ვითარმცა ვიქმენ მეორე ევა და **წინა-აღუდეგ** ნებასა დამბადებელისა ჩემისასა (**წ. ათ.,** 78,9-10). Ouk anecomai Eua crhmatisai deutera, kai to tou Poihsanto~ parakrousasqai boulhma (PG 96, col. 709, C 7- 9).

**განყოფილება-ჲ – იხ. განკუეთა-ჲ.**
**განძებულ-ი – იხ. განდგომილ-ი.**

**განხრწნილ-ი//ხრწნილ-ი** – fqarto~ to:
... დაჰჴსენ მტერობაჲ და მიჰგუარენ განდგომილნი მამასა შენსა, შეცთომილნი მოაქციენ, დაბნელებულნი განანათლენ, შემუსრვილნი განაახლენ, **განხრწნილნი** უხრწნელად შესცვალენ, საცთურისაგან

მრავალღმრთეებისა დაბადებულნი განათავისუფლენ ... (**ეფრ.,** 94,10-13); ... დაჰკსენ მტერობაჲ იგი და წარმოიყვანე განძებული და მიუძღუანე მამასა, და მოიძიე წარწყმედული და განანათლე დაბნელებული და განაახლე შემუსრვილი და შესცვალე **ხრწნილი** იგი უხრწნელად და განათავისუფლე დაბადებულნი ცოთმისაგან მრავალღმრთეებისა ... (**წ. ათ.,** 73,15-18). thn ecqran elusa~, kai tw sw Patri tou~ apostata~ prosghgage~, to peplanhmenon epestreya~, to eskotwmenon efwtisa~, to suntetrimmenon anekainisa~, to fqarton ei~ afqarsian metebale~ th~ poluqeou planh~ thn ktisin hleuqerwsa~ (PG 96, col. 704, D 1-5).

**გარდასლვა-ჲ//ურჩება-ჲ** – parabasi~ h:
...ყოვლად პირველი ადამ, პირველ **გარდასლვისაჲ,** თავისუფალი ცოდვისაგან, ვითარი იყო პირველ ურჩებისა, ეგევითარი შეიმოსე, მეუფეო, წყალობითა მოწყალებისა შენისაჲთა ჴორცნი და სული და გონებაჲ და ამათნი ბუნებითნი თჳსებანი (**ეფრ.,** 94,4-7); ყოვლითურთ პირველი იგი ადამ, რომელი იყო უწინარეს **ურჩებისა** თავისუფალი ცოდვისაგან, შეიმოსე წყალობითა შენითა ჴორცი, სული და გონებაჲ და თჳთებანი ამათნი (**წ. ათ.,** 73,9-12). Olon gar ton prwton Adam ton pro th~ parabasew~ ton amartia~ eleuqeron, anelabe~, Despota, dia ta splagcna eleou~ sou swma, yuchn, noun, kai ta toutwn fusika idiwmata (PG 96, col. 704, C 9-13). ... ადამ და ევა, პირველნი მამანი ნათესავთანი, ... ღაღადებდეს: "შენ, ნეტარო ასულო, დამჴსნელ იქმენ პატიჟსა **გარდასლვისა** ჩუენისასა ..." (**ეფრ.,** 150,18-20); ... ადამ და ევა, ნათესავთა მშობელნი, ... იტყოდეს: "ჱ ასულო, შენ ნეტარებასა ღირს ხარ, რამეთუ დაჴსენ პატიჟი **ურჩებისა** ღმრთისაჲ ..." (**წ. ათ.,** 121,3-5). ... Su makaria, Qugater, th~ parabasew~ hmin ta epitimia leluka~ ... (PG 96, col. 733, B 11-12).

**გარდაცვალება-ჲ – იხ. დაძინება-ჲ.**

**გარემოდგომა//ძღუნისშემწირველობა-ჲ** – doruforew (doruforia= 1) თანამგზავრი; 2) დაცვა, ესკორტი. dwroforew=ძღვენის შეწირვა)
და რაჲ-მე რაჲ იყო მას ჟამსა შინა, ... შეიძრნეს ნივთნი იგი სტჳქისთანი და იცვალნეს ჴმისა მისგან, რომელი ისმოდა, რამეთუ გალობდეს ანგელოზნი ძლიერად, წინა-უძღოდეს და რომელნიმე უკუანა-შეუდგეს და რომელნიმე **გარე-მოადგეს** სულსა მას წმიდასა უბიწოსა ქალწულისასა (**წ. ათ.,** 124,7-11); და რაჲდა იქმნა სხუაჲ თჳნიერ? ... შეძრვაჲ და შეცვალებაჲ ნივთთაჲ ... და ღირსებით გალობაჲ ანგელოზთაჲ, თანად წინამავალთა და უკუანამავალთაჲ, რამეთუ რომელთამე **ძღუნისშემწირველობაჲ** ყოვლადწმიდისა მის სულისაჲ აღასრულეს თანააღყოლითა ზეცად აღსლვასა მისსა (**ეფრ.,** 153,21-25). Kai ti ginetai Stoiceiwn ... kinhsi~ kai

alloiwsi~ ... kai aggelwn umnoi epaxioi, protrecontwn, sumpropempontwn, parepomenwn twn men th amwmhtw kai panagia yuch th doruforian plhrountwn, kai pro~ ouranon anioush sunaniontwn (PG 96, col. 737, A 1-6).

**გარეშემოწერილ-ი** – enwn = **მასში მყოფი:**
ხილულისა და უხილავისა დაბადებისა ჭელოვანმან, რომლისა ადგილ დასატევნელ არა არს მათ ყოველთა შორის, დაღაცათუ რაჲმე განისაზღვრებოდის **გარეშემოწერილთაგანი** ადგიდ მისსა (**ეფრ.,** 143,24-26). oratou te kai aoratou tecnith~ dhmiourghmato~, ou topo~ oudei~ twn pantwn einai eiper to periecon twn enontwn topo~ orizetai (PG 96, col. 725, B 12-15).

**გარეშეუწერელ-ი** – aperigrafo~:
...ჩჩულებრნი ჴორცნი თავისა თჳსისათჳს დაჰბადნა და გამოაჩინა ესე ვრცელ საუნჯე ყოვლისავე აღმავსებელისა მის და მხოლოდ **გარეშეუწერელისა** ღმრთეებისა თჳსისა (**ეფრ.,** 143,27-144,2). ...kai monh~ aperigrafou Qeothto~ (PG 96, col. 725, C 3).

**გარეშეუწერელ-ი//შეუცავ-ი//შეუზომელ-ი** – aperigrapton to:
თავსა შორის თჳსსა გქონან სხვა არსებანი ორთა ბუნებათანი ... გარეშეწერილი და **გარეშეუწერელი (ეფრ.,** 93,25-29); გამოჩნდებიან შენ შორის თჳთებანი ბუნებათანი ... შესაცავი და **შეუცავი (წ. ათ.,** 73,2-5). ...to perigrapton kai to aperigrapton (PG 96, col. 704, C 4-5). რაჲ-მე ვჰგონოთ ჩუენ ქალაქად უხილავისა და **გარეშეუწერელისა** ღმრთისა? (**ეფრ.,** 89,11-12); და რომელი-მე ქალაქი გულისხმა-ვყოთ საღმრთოდ, რომელი-იგი უხილავ არს და **არაჲ შეიცავს** მას? (**წ. ათ.,** 69,12-13). Poian gar eklhyomeqa polin tou aoratou kai aperigraptou Qeou... (PG 96, col. 700, B 2-3). ...შენ, საზღვარი და სიტყუაჲ მამისაჲ, **გარეშეუწერელად** მკჳდრ იქმენ მის შორის (**ეფრ.,** 93,8-9); ...შენ, ჰ სიტყუაო ღმრთისაო **შეუზომელო,** დაემკჳდრე მას შინა (**წ. ათ.,** 72,18-19). ...o tou Patro~ oro~ kai Logo~ aperigraptw~ (PG 96, col. 704, A 11-12).

**გარეშეწერილ-ი//შესაცავ-ი** – perigrapton to **=შემოსაზღვრული:**
თავსა შორის თჳსსა გქონან სხვა არსებანი ორთა ბუნებათანი ... **გარეშეწერილი** და გარეშეუწერელი (**ეფრ.,** 93,25-29); გამოჩნდებიან შენ შორის თჳთებანი ბუნებათანი ... **შესაცავი** და შეუცავი (**წ. ათ.,** 73,2-5). ...to perigrapton kai to aperigrapton (PG 96, col. 704, C 4-5).

**გონება-ჲ** – **იხ. ცნობა-ჲ.**

**გონება-ჲ, მშობელი სიტყჳსა-ჲ – იხ. ცნობა-ჲ ზღაპართმშობელ-ი.**
**გონება-ჲ, სიყუარულით შეკრულ-ი – იხ. გონებაჲ ღმრთივწარმართებულ-ი; იხ. გონება-ჲ ღმრთივძღომილ-ი.**
**გონება-ჲ ღმრთივძღომილ-ი – იხ. გონება-ჲ ღმრთივწარმართებულ-ი.**

**გონება-ჲ ღმრთივწარმართებულ-ი//გონება-ჲ ღმრთივძღომილ-ი//გონება-ჲ, სიყუარულით შეკრულ-ი** – nou~ Qeokuberneton~:
... გონებაჲ **ღმრთივწარმართებული (ეფრ.,** გოგუაძე 1986:122,16-170. ...რომელსა გაქუნდა **გონებაჲ ღმრთივძღომილი და წარმართებული (თეოფ.,** 45,15-16); **გონებაჲ** მისი **შეკრულ იყო სიყუარულსა ღმრთისასა (ეფთ.,** 26,2-3);... noun men econ Qeokubernetun (PG 96, col. 676, A 9).

**გუამ-ი** – upostasi~ h **= პირი, ჰიპოსტასი:**
... ერთი ქრისტე, ... ერთი **გუამი,** შეზავებული ორთა ბუნებათაგან სრულთა, – ღმრთეებისაგან და კაცებისაგან ორთა შინა ბუნებათა სრულთა, – ღმრთეებისა და კაცებისათა (**ეფრ.,** 93,18-19; 20-22); ... ერთი ქრისტე, ... **გუამი** ერთი ორთა ბუნებათაგან სრულთა, შეერთებული ღმრთეებისაგან და კაცებისა (**წ. ათ.,** 72,26; 28-29). ... ei~ Cristo~, ... mia upostasi~ sunqeto~, ek duo fusewn teleiwn, Qeothto~ te kai anqrwpothto~, kai en duo teleiai~ fusesi, Qeothti te kai anqrwpothti (PG 96, col. 704, B 6; 9- 12).

**გუამ-ი//გუამ-ი სამეუფო-ჲ//გუამოვნება-ჲ** – upostasi~ h **= პირი, ჰიპოსტასი: (აქ: ქრისტეს სხეული):**
...რომელმან ერთითა მით **გუამითა** ორად განყოფილნი ბუნებანი შეაერთნა (**ეფრ.,** გოგუაძე 1986:119,31-32); მთაჲ ღმრთისა მაღალი იშვა, ... რომლისაგან გამოეკუეთა თჳნიერ კაცობრივისა ჴელისა ლოდი იგი საკიდური, **გუამი** ერთი **სამეუფოჲ,** რომელმან შეკრიბნა განყოფილნი და შეაერთა ღმრთეებაჲ და კაცებაჲ (**ეფთ.,** 21,16-17; 19-21); იშვების მთაჲ უფლისაჲ, ... რომლისაგან თჳნიერ ჴელთა ჴორციელად გამოკუეთაჲ სათნო-იყო ლოდმან თავკიდურმან ქრისტემან და ერთმან მან **გუამოვნებამან** განყოფილნი იგი შეაერთნა – ღმრთეებბაჲ და კაცებაჲ (**თეოფ.,** 40,18; 21-23). h mia upostasi~, h ta~ diestwsa~ fusei~ sunaptousa (PG 96, col. 669 C 6-7).

**გუამ-ი//ჴორც-ი** – swma to **= სხეული:**
იხარებდინ ქუეყანაჲ დადებითა **გუამისა** მის ყოვლადწმიდისაჲთა (**ეფრ.,** 185,12). იხარებდინ ქუეყანაჲ დადებითა **ჴორცთა** მისთაჲთა მას შინა (**წ. ათ.,** 175,11). Agalliasqw h gh th kataqesei tou swmato~ (PG 96, col. 760, C 15).

**გუამ-ი განჭრწნად-ი – იხ. ჭორცნ-ი ხრწნილნ-ი.**
**გუამ-ი დიდებულ-ი – იხ. ღმრთისშემწყნარებელ-ი ჭორც-ი.**

**გუამ-ი მოკუდავ-ი//ჭორც-ი კაცობრივ-ი** – swma qnhto~ to:
ანგელოზნი მსახურ იქმნენით **გუამისა მოკუდავისა** (**ეფრ.,** 183,21-22); ანგელოზნი **ჭორცთა კაცობრივთა** ჰმსახურებდით (**წ. ათ.,** 173,22). Aggeloi qnhtw leitourgoitwsan swmati (PG 96, col. 760 A 8-9).

**გუამ-ი ნათელ-ი – იხ. გუამოვნებით-ი.**
**გუამ-ი სამეუფო-ჲ – იხ. გუამ-ი.**
**გუამოვნება-ჲ – იხ. გუამ-ი.**
**გუამოვნება-ჲ ბუნებით-ი (ძისა ღმრთისაჲ) – იხ. გუამოვნებით-ი (სიტყჳსა ღმრთისა გუამისაჲ).**
**გუამოვნება-ჲ (ძე ღმრთისა) (ეფრ.) – იხ. საღმრთო არსება-ჲ (წ. ათ.).**

**გუამოვნებით-ი//გუამოვნება-ჲ ბუნებით-ი//გუამ-ი ნათელ-ი** –upostasi~ h:
...რომელი-ესე არათუ მოქმედებათა ღმრთისათა საუნჯე, არამედ არსებითისა მის და **გუამოვნებითისა** სიტყჳსა ღმრთისა გუამისა სამკჳდრებელ იქმნა (**ეფრ.,** გოგუაძე 1986, 120,6-8);... ესე არა საქმეთა ღმრთისათა იქმნა შემწყნარებელ, არამედ **ბუნებითსა მას გუამოვნებასა** ძისა ღმრთისასა (**თეოფ.,** 41,8-10); ... ესე არა მოქმედებით იქმნა შემწყნარებელ ღმრთეებისა, არამედ მიუწდომელად და გამოუთქუმელად იქმნა დამტევნელ **ნათელსა მას გუამსა** ძისა ღმრთისასა (**ეფთ.,** 22,13-15). ... auth gar ouk energeia~ Qeou uphrxe duceion, all ousiwdw~ th~ tou Uiou kai Qeou upostasew~ (PG 96, col. 672, A 3-4).

**გულისსიტყუა-ჲ** – logismo~ o = **ფიქრი, ზრახვა:**
ამათ შინა ჩუეულებითა ჯეროვნად მწყსიდა იოვაკიმ თჳსთა **გულისსიტყუათა,** რამეთუ დაივანებნ ადგილთა მწუანვილოვანთა საღმრთოთა წერილთა ხედვისათა (**ეფრ.,** 97,14-15); ამათ სათნოებათა შინა აძოებდა იოაკიმ **გულისსიტყუათა** თჳსთა და დაამკჳდრებდა ადგილსა მწუანვილოანსა სიტყჳერსა საღმრთოსა (**წ. ათ.,** 75,31-76,1). Ento~ Iwakeim sunhqw~ tou~ oikeiou~ epoimane logismou~ en topw men cloe~, twn ierwn logiwn th qewria enaulizomeno~ (PG 96, col. 708, B 6-9).

**გულისსიტყუა-ჲ – იხ. ზრახულ-ი.**

**გულისჭმის-ყოფა-ჲ (ზეციური)//სიბრძნე-ჲ და ზრახვა-ჲ (ზეციური)** – nohma to:
დღეს ქალწული უხრწნელი და არაოდეს ზრახული ქუეყნიერთა ვნებათა,

არამედ ზეცისათა მიერ აღზრდილი **გულისჴმის-ყოფითა,** ... საუკუნეთა სავანეთა ზეცისათა დაემკჳდრების (**ეფრ.,** 143,16-19); დღეს ქალწული წმიდაჲ, რომელმან-იგი სოფლისა ოცნებათა ზრახვაჲ არა ინება, არამედ შეიმკო იგი **სიბრძნითა და ზრახვითა** ზეცისაჲთა, ... საგრილთა ზეცისათა დაემკჳდრების (**წ. ათ.,** 113,3-6). Shmeron h Parqeno~ h acranto~, kai ghinoi~ mh orosomilhsasa paqesi, all ouranioi~ entrafeisa nohmasin, ... tai~ ouraniai~ skhnai~ enoikizetai (PG 96, col. 725 B 3-7).

## დ

**დაბადებულ-ი** – ktisi~ h:
... დაჰჴსენ მტერობაჲ და მიჰგუარენ განდგომილნი მამასა შენსა, შეცთომილნი მოაქციენ, დაბნელებულნი განანათლენ, შემუსრვილნი განაახლენ, განხრწნილნი უხრწნელად შესცვალენ, საცთურისაგან მრავალღმრთეებისა **დაბადებულნი** განათავისუფლენ ... (**ეფრ.,** 94,10-13); ... დაჰჴსენ მტერობაჲ იგი და წარმოიყვანე განძებული და მიუძღუანე მამასა, და მოიძიე წარწყმედული და განანათლე დაბნელებული და განაახლე შემუსრვილი და შესცვალე ხრწნილი იგი უხრწნელად და განათავისუფლე **დაბადებულნი** ცთომისაგან მრავალღმრთეებისა ... (**წ. ათ.,** 73,15-18). thn ecqran elusa~, kai tw sw Patri tou~ apostata~ proshgage~, to peplanhmenon epestreya~, to eskotwmenon efwtisa~, to suntetrimmenon anekainisa~, to fqarton ei~ afqarsian metebale~ th~ poluqeou planh~ thn ktisin hleuqerwsa~ (PG 96, col. 704, D 1-5).

**დაბადებულ-ი** – **იხ. აგებულება-ი.**
**დაბადებულ-ი** – **იხ. აგებულ-ი.**

**დაბნელებულ-ი** – eskotwmeno~ to:
... დაჰჴსენ მტერობაჲ და მიჰგუარენ განდგომილნი მამასა შენსა, შეცთომილნი მოაქციენ, **დაბნელებულნი** განანათლენ ... (**ეფრ.,** 94,10-11); ... დაჰჴსენ მტერობაჲ იგი და წარმოიყვანე განძებული და მიუძღუანე მამასა, და მოიძიე წარწყმედული და განანათლე **დაბნელებული** ... (**წ. ათ.,** 73,15-16). thn ecqran elusa~, kai tw sw Patri tou~ apostata~ proshgage~, to peplanhmenon epestreya~, to eskotwmenon efwtisa~, (PG 96, col. 704, D 1-3).

**დადგრომა** – **იხ. შეცვა.**
**დადგრომა** – **იხ. შეწერვა.**
**დამბადებელ-ი** – **იხ. აუგებელ-ი.**

**დამბადებელ-ი – იხ. შემოქმედ-ი.**
**დამბადებელ-ი ცათა-ჲ – იხ. შემოქმედ-ი ცათა-ჲ.**
**დამბადებელ-ი – იხ. ხუროთმოძღუარ-ი.**

**დამბადებელ-ი ცათა-ჲ//შემოქმედ-ი ცათა-ჲ** – o Demiourgo~ twn ouranwn: **დამბადებელმან** და მპყრობელმან ცათამან ... უთესლოდ ... ჩჩუღებრნი ჴორცნი თავისა თუსისათუს დაჰბადნა (**ეფრ.,** 143,22- 144,1). ...**შემოქმედი** ცათა და **დამბადებელი** ზღუათაჲ ... (**წ. ათ.,** ფრაზის დანარჩენი ნაწილი ტექსტს აკლია). O gar twn ouranwn Dhmiourgo~ te kai Sunoceu~... en tauth pro~ eautou asporw~ brefo~ dedhmiourgetai (PG 96, col. 725 B 11; 15-16).

**დასაბამ-ი, დასაბამიერ-ი//დაწყება-ჲ** – arch h = **საწყისი, პირველმიზეზი:** დღეს **დასაბამსა** მიიღებს მეორედ კუალადგებისასა მიმცემელი იგი ღმრთისა სიტყუსა ჴორცთა **დასაბამიერთაჲ** მისგან, რომელმან-იგი მოსცა მას პირველიცა იგი **დასაბამად** სოფლად შემოსლვისაჲ (**ეფრ.,** 182,17-19); დღეს მიიღებს **დაწყებასა** მეორისა არსებისასა მისგან, რომელმან-იგი მისცა მას არსებაჲ პირველისა მის **დაწყებისაჲ** და მან მისცა **დაწყებაჲ** ჴორცთა არსებისაჲ მას ... (**წ. ათ.,** 172,22-24). ...Shmeron archn lambanei deutera~ uparxew~ upo tou donto~ auth thn archn th~ protera~ uparxew~, h dousa deutera~ archn te~ swmatikh~ (PG 96, col. 757, C 8-10).

**დაუსაბამო-ჲ** – anarcw~ = **უჟამო, მარადიული:**
...რომელი იყო **დაუსაბამო** და **უჴორცო** (**ეფრ.,** 159,1-20; განჴორციელდა უჴორცოჲ იგი და **დაუსაბამოჲ** (**წ. ათ.,** 130,16). ...Sarkoutai gar o wn anarcw~ (PG 96, col. 744, A 14-15).

**დაუსაბამო-ჲ შობა-ჲ (სიტყუსა ღმრთისაჲ) – იხ. უჟამო-ჲ შობა-ჲ.**

**დაძინება-ჲ//გარდაცვალება-ჲ** – koimhsi~ h = **გარდაცვალება:**
...**დაძინებაჲ** – ნანდუღლვე დიდ და ყოვლადქებულ და განსაკრთომელ (**ეფრ.,** 93,3-4); ...**გარდაცვალებაჲ** მისი ჭეშმარიტად სადიდებელ და უბიწო და ღირს არს ყოვლისა ქებისა (**წ. ათ.,** 72,13-14). h koimhsi~ endoxo~ kai ontw~ iera kai paneufhmo~ (PG 96, col. 704, A 6-7).

**დაცვა-ჲ – იხ. წინაძღომა-ჲ.**
**დაწყება-ჲ – იხ. დასაბამ-ი, დასაბამიერ-ი.**
**დაწყება-ჲ მეორისა არსებისა-ჲ – იხ. კუალადგება-ჲ (მეორედ).**
**დედა-ჲ – იხ. წმიდა-ჲ ღმრთისმშობელ-ი.**

**დედა-ჲ დედოფალ-ი//დედოფალ-ი ღმრთისმშობელ-ი** – h basili~:

...სავანეთა ზეცისა სასუფეველისათა მიიცვალა **დედაჲ დედოფალი,** სამეუფოჲ უფალი, დედაჲ ღმრთისაჲ და ჭეშმარიტად ღმრთისმშობელი (**ეფრ.,** 107,20-22); ... ტალავართა მათ ზეცისა სამოთხისათა შენ, **დედოფალო ღმრთისმშობელო,** ჭეშმარიტად დაემკჳდრე (**წ. ათ.,** 86,21-22). ... en ouranwn basileioi~ monai~ h basili~, h kuria, h despoina, h Qeomhtwr, h alhqh~ Qeotoko~ metateqeisa (PG 96, col. 720, A 9-11).

**დედა-ჲ ღმრთისა//წმიდა-ჲ ღმრთისმშობელ-ი** – Qeomhtoro~ h:
... შენი მადლი მოუკლებელ არს და დაუწყუედელ, ... არცა **დედისა ღმრთისა** ქველისმოქმედებანი საფლავისა მიერ ოდენ შეიცვებიან ... (**ეფრ.,** 165,9-12); ... მადლნი შენნი დაუკლებელ არიან და მარადის აღმოაცენებენ ნიჭთა შენთა, ... კეთილნი **წმიდისა ღმრთისმშობელისანი** და მადლი არა საფლავსა შინა ხოლო დადგრომილ არს (**წ. ათ.,** 138,10-14). ... H men sh cari~ anelliph~ kai aennao~, ... oude ai th~ Qeomhtoro~ euergesiai ei gar monw tw tumbw peregrafonto (PG 96, col. 752, B 2-4).

**დედოფალ-ი ღმრთისმშობელ-ი – იხ. დედა-ჲ დედოფალ-ი.**
**დიდება – იხ. მსახურება.**

**დღესასწაულობა//მსახურება** – panhgurizw:
**დღესასწაულობენ** საყდარნი, ქერობინნი უგალობენ, სერაბინნი დიდებისმეტყუელებენ... (**ეფრ.,** 142,23-24); ...**ჰმსახურებენ** საყდარსა და აღამაღლებენ სერაბინნი და უგალობენ ქერობინნი...(**წ. ათ.,** 112,13-14). ...kai qronoi panhgurizousi, kai anumnei ta Ceroubim, kai doxologei ta Serafim (PG 96, col. 724, C 14-15).

## ე

**ედემ-ი//სამოთხე-ჲ** - Edem h:
შენ იქმენ **ედემ** საცნაურ (**ეფრ.,** 100,28); შენ ხარ **სამოთხჱ** გონებითი (**წ. ათ.,** 79,25-260). Su Edem nohth (PG 96, col. 712, B 11). ესე საფლავი **ედემსა** უშუენიერეს არს (**ეფრ.,** 180,19-20); ესე საფლავი უბრწყინვალეს არს **სამოთხისა** (**წ. ათ.,** 170,17). Outo~ o tafo~ th~ Edem wraiotero~ (PG 96, col. 756, C 2-3).

**ედემ-ი სამოთხის//სამოთხე-ჲ** – tou paradeisou th~ Edem **= სამოთხის ბაღი:**
უფალმან ღმერთმან დასაბამნი კაცთა ნათესავისანი ... ექსორია-ყვნა გამოვლინებითა **ედემისაგან სამოთხისა** (**ეფრ.,** 144,24 – 145,1); ...პირველნი

იგი კაცთა ნათესავისა ...უფალმან ღმერთნან ... გამოიყვანნა **სამოთხით** (**წ. ათ.,** 113,29-33). Kurio~ o qeo~ tou~ tou broteiou genou~ ... exoris tou~ tou paradeisou th~ Edem exeporeuse (**PG** 96, col. 728, A 3-4; 8-9).

**ეთერ-ი//სამყარო-ჲ//ჰაერთა ზედა მყოფნ-ი** – aiqer o:
ჰაერი **ეთერითურთ** და ცით ზოგად წმიდა იქმნებოდეს (**ეფრ.**, 154,10), **სამყარონი** და ცანი ... განიწმიდნებოდეს (**წ. ათ.,** 124,22-23). ahr, aiqhr, te kai ourano~ hgiazonto (PG 96, col. 737, B 1-2). წმიდა იქმნების ჰაერი და იკურთხვის ზედა კერძო მისსა **ეთერი (ეფრ.,** 105,11-12); იკურთხნეს ჰაერნი და განწმიდნეს, რომელნი-იგი არიან **ჰაერთა ზედა (წ. ათ.,** 84,8-9). Sou th diabasei eulogeitai men ahr, aiqhr de kaqagiazetai (PG 96, col. 716, D 3-4).

**ეკლესია-ჲ** – Ekklhsia h = **აქ: ღვთისმშობელი მარიამი (მეტაფორა):**
აღიღედ, მარიამ, **ეკლესიამან**, ებანი ჭელთა თჳსთა და დამწყებელ იქმენინ გალობასა სადღესასწაულოსა გამოსლვასა სულიერისა ისრაელისასა **(ეფრ.,** 181,22-24); აღიღენ, მარიამ, რომელ არს **ეკლესიაჲ,** ჭელთა თჳსთა ბობღანი და იწყენ შესხმად დღესასწაულსა ამას (**წ. ათ.,** 171,22-23). Airetw Mariam h Ekklhsia tai~ cersi to tumpanon, kai exarcetw wdhn thn eortion (PG 96, col. 757, A 11-12).

**ერთარსება-ჲ (მამა ღმერთის)//სწორ-ი ბუნებითა (მამა ღმერთის)** – omoousio~ o = **ერთი არსების მქონე:**
და იქმენ სრულ კაც, არა განჭუებული ღმერთ სრულყოფისაგან და მამისა თანა **ერთარსებისაგან (ეფრ.,** 93,15-16); არა შეიცვალნე, რაჲთა გამოსჩნდე ღმერთი სრული, **სწორი** მამისაჲ **ბუნებითა (წ. ათ.,** 72,23-24). kai gegona~ teleio~ andrwpo~, ouk apobalwn to einai teleio~ qeo~, kai tw sw Patri omoousio~ (**PG** 96, col. 704, B 3-4).

**ერთბუნება-ჲ//სწორ-ი ბუნებითა** – omofuh~ – **ერთი ბუნების მქონე:**
...რომელნი-იგი მამამან ბრწყინვალე და ფრიად სამეუფო სანოვაგე-ყვნა ერთძალისა და **ერთბუნებისა** მის თანასწორისა ძისა თჳსისა (**ეფრ.,** 148,11-13); ...რაჲთა პატივ-სცეს ჩინებულთა ქორწილსა ძისა თჳსისასა, რომელი **სწორი** არს მისა **ბუნებითა** და ძალითა ბრძანებითა მისითა საღმრთოჲთა (**წ. ათ.,** 118,5-7). ...ou~ o Pathr tw isosqenei kai omofuei Uiw lamprw~ estia (**PG** 96, col. 732, A 9-10).

**ერთძალ-ი//სწორ-ი ძალითა** – isosqeno~ – **თანასწორი ძალის მქონე:**
...რომელნი-იგი მამამან ბრწყინვალე და ფრიად სამეუფო სანოვაგე-ყვნა **ერთძალისა** და ერთბუნებისა მის თანასწორისა ძისა თჳსისა (**ეფრ.,**

148,11-13); ...რაჲთა პატივ-სცეს ჩინებულთა ქორწილსა ძისა თჳსისასა, რომელი **სწორი** არს მისა ბუნებითა და **ძალითა** ბრძანებითა მისითა საღმრთოჲთა (**წ. ათ.,** 118,5-7). ...ou~ o Pathr tw isosqenei kai omofuei Uiw lamprw~ estia (**PG** 96, col. 732, A 9-10).

**ერ-ი ღმრთისა-ჲ//ერ-ი ქრისტეს-ი** – o Cristou lao~:
ამას სამღდელოჲთა გალობითა ვაქებდეთ დღეს, განმდიდრებულნი ესე **ერ ღმრთისა** ყოფითა და წოდებითა (**ეფრ.,** 159,15-16); ამას გალობითა საკჳრველითა ვადიდებთ დღეს, რომელნი-ესე ღირს-ვიქმნენით წოდებად **ერად ქრისტესა** (**წ. ათ.,** 130,26-27). Tauthn asmati ieroi~ eufhmiswmen shmeron, oi Cristou lao~ kai einai peplouthkote~, kai legesqai (PG 96, col. 744, B 11-13).

**ერ-ი ქრისტეს-ი** – **იხ. ერ-ი ღმრთისა-ჲ.**

**ექსორია-ყოფა//გამოსხმა** – exoristo~:
უფალმან ღმერთმან დასაბამნი კაცთა ნათესავისანი ... **ექსორია-ყვნა** გამოვლინებითა ედემისაგან სამოთხისა (**ეფრ.,** 144,24 – 145,1); ...პირველნი იგი კაცთა ნათესავისა ...**გამოასხნა** უფალმან ღმერთნან და გამოიყვანნა სამოთხით (**წ. ათ.,** 113,29-33). Kurio~ o qeo~ tou~ tou broteiou genou~ ... exoristou~ tou paradeisou th~ Edem exeporeuse (**PG** 96, col. 728, A 3-4; 8-9).

**ეშმაკ-ი//სულ-ი უკეთურ-ი** – daimwn o:
მე ქმნილ ვარ ... განმჴდელ **ეშმაკთა** (**ეფრ.,** 161,12-14); მე განვასხამ **სულთა უკეთურთა** (**წ. ათ.,** 133,8). Egw nosousin ... daimonwn alexithrion (**PG** 96, col. 745, B 9-10; 11 ).

## ვ

**ვნება-ჲ** – **იხ. ცოდვა-ჲ.**

**ვნება-ჲ ბუნებით-ი** – to fusikon paqo~:
... თავსა შორის თჳსსა გქონან სხუაარსებანი ორთა ბუნებათანი, ერთსა შინა გუამსა შეერთებულნი, ... საღმრთოჲ ნებაჲ და კაცობრივი ნებაჲ, ... საღმრთონი სასწაულნი და კაცობრივი ვნებანი; **ვნებათა** ვიტყჳ **ბუნებითთა** და თანაწარუვალთა ... (**ეფრ.,** 93,25-26; 94,2-3); ... გუამი ერთი ორთა ბუნებათაგან სრულთა, შეერთებული ღმრთეებისაგან და კაცებისა ... ნებაჲ ღმრთეებრი და ნებაჲ კაცობრივი, ... საკჳრველებანი ღმრთეებრნი და ვნებანი კაცობრივნი, ესე იგი არს **ვნებაჲ ბუნებითი**

და არათუ განგდებული იგი მოქმედებაჲ ღმრთეებრი და მოქმედებაჲ კაცობრივი (**წ. ათ.,** 72,28-29; 73,5-8). ... ta te Qeia qaumata kai ta anqrwpina paqh, ta fusika fhmi kai adiablhta (PG 96, col. 704, C 8-9).

**ვნება-ჲ თანაწარუვალ-ი//განგდებულ-ი მოქმედება-ჲ ღმრთეებრი და მოქმედება-ჲ კაცობრივი** – to paqo~ adiablhto~:
... თავსა შორის თჳსსა გქონან სხუაარსებანი ორთა ბუნებათანი, ერთსა შინა გუამსა შეერთებულნი, ... საღმრთოჲ ნებაჲ და კაცობრივი ნებაჲ, ... საღმრთონი სასწაულნი და კაცობრივი ვნებანი; **ვნებათა** ვიტყჳ ბუნებითთა და **თანაწარუვალთა** ... (**ეფრ.,** 93,25-26; 94,2-3); ... გუამი ერთი ორთა ბუნებათაგან სრულთა, შეერთებული ღმრთეებისაგან და კაცებისა ... ნებაჲ ღმრთეებრი და ნებაჲ კაცობრივი, ... საკჳრველებანი ღმრთეებრნი და ვნებანი კაცობრივნი, ესე იგი არს **ვნებაჲ** ბუნებითი და **არათუ განგდებული იგი მოქმედებაჲ ღმრთეებრი და მოქმედებაჲ კაცობრივი (წ. ათ.,** 72,28-29; 73,5-8). ... ta te Qeia qaumata kai ta anqrwpina paqh, ta fusika fhmi kai adiablhta (PG 96, col. 704, C 8-9).

**ვნება-ჲ კაცობრივ-ი** – to anqrwpinon paqo~:
... თავსა შორის თჳსსა გქონან სხუაარსებანი ორთა ბუნებათანი, ერთსა შინა გუამსა შეერთებულნი, ... საღმრთოჲ ნებაჲ და კაცობრივი ნებაჲ, ... საღმრთონი სასწაულნი და **კაცობრივი ვნებანი** ... (**ეფრ.,** 93,25-26; 94,2-3); ... გუამი ერთი ორთა ბუნებათაგან კაცობრივი, ... საკჳრველებანი ღმრთეებრნი და **ვნებანი კაცობრივნი (წ. ათ.,** 72,28-29; ... ta te Qeia qaumata kai ta anqrwpina paqh, ta fusika fhmi kai adiablhta (PG 96, col. 704, C 8-9).

**ვნება-ჲ ქუეყნიერ-ი//ოცნება-ჲ სოფლის** – to ghinoi~ paqo~ **= მიწიური განცდა:**
დღეს ქალწული უხრწნელი და არაოდეს ზრახული ქუეყნიერთა **ვნებათა,** ... საუკუნეთა სავანეთა ზეცისათა დაემკჳდრების (**ეფრ.,** 143,16-19); დღეს ქალწული წმიდაჲ, რომელმან-იგი სოფლისა **ოცნებათა** ზრახვაჲ არა ინება, ... საგრილთა ზეცისათა დაემკჳდრა (**წ. ათ.,** 113,3-6). ... Shmeron h Parqeno~ h acranto~, kai ghinoi~ mh orosomilhsasa paqesi, ... tai~ ouraniai~ skhnai~ enoikizetai (**PG** 96, col. 725, B 3-5; 7).

## ზ

**ზესთაბუნებისა-ჲ//უფროჲსბუნებისა-ჲ** – uperousio~:
...ვითარ უზესთაესი არსებისაჲ, საშოსა შინა დედაკაცისასა არს იქმნა

**ზესთაბუნებისა** (**ეფრ.,** 149,29-30); ...რომელი უზეშთაეს არს ყოვლისა ბუნებისა, საშოისაგან დედაკაცისა გამოუთქუმელად, **უფროჲსბუნებისა,** იქმნა კაც (**წ. ათ.,** 120,12-14). ...opw~ o uperousio~ ek gunaikeia~ nhduo~ uperousiw~ ousiwtai (**PG** 96, col. 733, A 7-8).

**ზესთსოფელ-ი//ზესკნელ-ი სოფლისა-ჲ** – perikosmio~ o:
განემზადენით ღრუბელნი ყოვლისა სოფლისანი და **ზესთსოფლისანი** (**ეფრ.,** 183,4-5); განემზადენით ღრუბელნი ყოვლისა სოფლისანი და რომელნი ხართ **ზესკნელსა მას სოფელსა** (**წ. ათ.,** 173,8-9). Etoimazesqw nefelh pagkosmio~ te kai perikosmio~ (uperkosmio~ **Kotter**) (**PG** 96, col. 757, D 3-4).

**ზესკნელ-ი სოფლისა-ჲ – იხ. ზესთსოფელ-ი.**

**ზეშთაარსებისა-ჲ//უზეშთაეს-ი ნივთთა და გონებათა-ჲ** – uperousio~:
რაჲ-მე ვჰგონოთ ... ქალაქად უხილავისა და გარეშეუწერელისა ღმრთისა..., რაჲდა სხუაჲ, თჳნიერ ნამდჳლვე მხოლოჲ ზეშთაბუნებისა და **ზეშთაარსებისა** (**ეფრ.,** 89,11-14); ...რომელი-მე ქალაქი გულისხმა-ვყოთ საღმრთოდ ..., გარნა თუ ... **უზეშთაესი** ყოველთა ბუნებათაჲ და **ნივთთა და გონებათაჲ** (**წ. ათ.,** 69,13-17). Poian gar eklhyomeqa polin tou aoratou kai aperigraptou Qeou, ... all h thn monhn onto~ uperfuw~ kai uperousiw~ (**PG** 96, col. 700, B 2-5).

**ზეშთაბუნებისა-ჲ//უზეშთაეს-ი ბუნებისა-ჲ** – uperfuh~:
რაჲ-მე ვჰგონოთ ... ქალაქად უხილავისა და გარეშეუწერელისა ღმრთისა..., რაჲდა სხუაჲ, თჳნიერ ნამდჳლვე მხოლოჲ **ზეშთაბუნებისა** და ზეშთაარსებისა, გარეშეუწერელად დამტევნელი ღმრთისა არსებათა უზეშთაესისაჲ (**ეფრ.,** 89,11-15); ...რომელი-მე ქალაქი გულისხმა-ვყოთ საღმრთოდ..., გარნა თუ იგი, რომელმან-იგი დაიტია სიტყუაჲ ღმრთისაჲ, რომელი შეუწერელი არს და შეუზომელი, **უზეშთაესი** ყოველთა **ბუნებათაჲ** და ნივთთა და გონებათაჲ (**წ. ათ.,** 69,13-17). Poian gar eklhyomeqa polin tou aoratou kai aperigraptou Qeou, ... all h thn monhn onto~ uperfuw~ kai uperousiw~ ton uperousion tou Qeou Logon aperigraptw~ cwrhsasan (**PG** 96, col. 700, B 2-6).

**ზეშთამსოფლიო-ჲ** – uperkosmio~ o:
...მპყრობელმან ცათამან და ყოვლისავე მსოფლიოჲსა და **ზეშთა-მსოფლიოჲსა** ... ჩჩჳლებრნი ჴორცნი თავისა თჳსისათჳს დაჰბადნა (**ეფრ.,** 143,23-27-144,1). ... O gar twn ouranwn Dhmiourgo~ te kai Sunoceu~, kai panto~ egkosmiou te kai uperkosmiou (**PG** 96, col. 725, B 11-12).

**ზეშთასოფელ-ი//ქუეყანის მკჳდრთა უმაღლეს-ი** – uperkosmio~ o:
ამას, უზეშთაესსა ... **ზეშთასოფლისასა,** ვერ შემძლებელ არს ღირსებით შესხმად ვერ ენაჲ კაცობრივი, ვერცა გონებაჲ ანგელოზებრივი (**ეფრ.,** 90,2-3); ამას არცა ენაჲ კაცობრივი და არცა გონებაჲ ანგელოზებრი, რომელი **უმაღლეს არს მკჳდრთა ქუეყანისათა,** შემძლებელ არს ქებად (**წ. ათ.,** 70,4-5). Tauthn gar ouk anqrwpinh glwtta, ouk aggelwn nou~ uperkosmiwn, kat axian eufhmesai dunatai (PG 96, col. 700, B 10-12).

**ზრახვა//პატივისცემა** – prosfqeggomai:
რაჲ-მე გრქუათ შენ, დედოფალო, ანუ რომლითა სიტყჳთა **გეზრახნეთ** შენ, რომლითა შესხმითა გჳრგჳნოსან-ვყოთ ... ყოველთა კეთილთა მომცემელი თავი შენი...? (**ეფრ.,** 92,6-8); ვითარ-მე სახელ-გდვათ, ჰ დედოფალო, და რომლითა სიტყჳთა **პატივ-გცეთ** და რომლითა ქებითა გჳრგჳნოსან-ვყოთ თავი შენი, ... ჰ მომცემელო სიმდიდრისაო?! (**წ. ათ.,** 71,20-22). Ti de proseipwmen, Despoina, tisi de prosfqegxomeqa rhmasi (toi~ rhmasi Germ.) (PG 96, col. 701, C 3-4).

**ზრახვა-ჲ – იხ. თხრობა-ჲ.**
**ზრახვა-ჲ – იხ. თანაგანზრახვა-ჲ.**

**ზრახვა-ჲ საღმრთო-ჲ – იხ. სიტყუა-ჲ ღმრთივაღმოთქუმულ-ი.**
**ზრახვა-ჲ საღმრთო-ჲ – იხ. სიტყუაჲ ღმრთივსულიერ-ი.**

**ზრახულ-ი//გულისსიტყუა-ჲ** – logismo~ o:
ყოველი ზრახული, მზრდელი სულისაჲ, ამან სახიერმან მოიზიდა (**ეფთ.,** 26,19); კუალად უკუე მოზარდეობაჲ **გულისსიტყუათა** მათ მოძრავთაჲ არიან ყოლადვე სარგებელად სულისა მოკრძალულ (**თეოფ.,** 46,3-4). Panta logismon (proqumon Edit.) trofimon, kai yucwfelh ecousa (PG 96, col. 676, B 9-10).

**ზღაპართმოქმედება//უგულისხმოება** – muqoplastew:
მოვედით უკუე და ჩუენცა დღეს დღესასწაული განსლვისაჲ უდღესასწაულოთ დედასა ღმრთისასა, არა ავლთა რაჲთმე და კორჳვანტთა შორის შემოყვანებითა დედასა სახელმტყუვართა მათ ღმერთთაჲსა, ვითარ იგინი იტყჳან, – საკჳრველ-ვჰყოფდეთ კრთომათა, რომელსა შვილმრავლად **ზღაპართ-მოქმედებენ** უგუნურნი ... (**ეფრ.,** 158,2-6); მოვედით აწ და ჩუენცა ვდღესასწაულობდეთ დღესასწაულსა ამას, რომელსა შინა დედაჲ ღმრთისაჲ მიიცვალების სასუფეველსა ცათასა ... ვითარ-იგი ჰყოფენ წარმართნი და საიდუმლონი მათნი, რამეთუ პატივ-სცემენ ესევითარითა ამით დედასა ღმერთთა მათთასა, მცბიერთა და

მტყუვართასა და მრავალთა ნაშობთასა, ვითარცა-იგი **შექმნიან** უგუნურნი მათ **უგულისხმოდ** ... (**წ. ათ.,** 129,16-22). ...hn poluteknon muqoplastousin oi afrone~ ... (PG 96, col. 741, C 8).

**თ**

**თანადაუსაბამო-ჲ** — sunanarco~ o; sunaidio~ o:
...ყოველთა მეუფე, ძჱ ღმრთისაჲ, **თანადაუსაბამოჲ** და თანამეუფჱ თჳსისა მშობელისა მამისაჲ, ვითარცა წჳმაჲ, გარდამოჴდა ... (**ეფრ.,** 102,13-15); მეუფჱ და მეუფჱ იგი ყოველთაჲ, რომელ არს ძჱ ღმრთისაჲ, ვითარცა წჳმაჲ, გარდამოჴდა შენ ზედა ... (**წ. ათ.,** 81,10-11). ...o tou basilew~ twn apantwn Qeou uio~, o sunanarco~ kai sumbasileuwn tw oikeiw Gennhtori w~ ueto~ katabebhken (PG 96, col. 713, A 16- B 3). სიტყჳსა ღმრთისა შობაჲ უჟამო არს და **თანადაუსაბამოჲ** მამისაჲ (**ეფრ.,** 158,31-32); სიტყუაჲ იგი დაუსაბამოჲ ამისგან გამოგჳჩნდა (**წ. ათ.,** 130,14). ... h gar tou Qeou Logou gennhsi~ acrono~ te kai tw Patri sunaidio~ (PG 96, col. 744, A 11-12).

**თანაზრახვა-ჲ//ზრახვა-ჲ** — omilia h:
...ხოლო იგი შეძრწუნდა სიტყჳსა ამისთჳს, რამეთუ უჩუეველ იყო **თანაზრახვასა** მამაკაცისასა ... (**ეფრ.,** 98, 27-28); ხოლო იგი შეძრწუნდა სიტყუასა მას ზედა მისსა, რამეთუ უჩუეველ იყო იგი **ზრახვასა** მამათასა ... (**წ. ათ.,** 77,11-12). H de epi tw logw etaracqh, th~ pro~ andra~ omilia~ ahqh~ uparcousa (PG 96, col. 709, A 15-16).

**თანამდებობა-ჲ//თანანადებ-ი** — creo~ to = **მოვალეობა, ვალი:**
...მიისწრაფეს გალობათა მიმართ განსლვისათა, --- ამისთჳს, რაოდენ ეძლო, წინა-უსწრობდეს განსლვასა მისსა, ... ხოლო ვინაჲთგან ზოგად ყოველთა აღივსეს სურვილი და **თანამდებობაჲ,** ... თითოფერთა მიერ ყუავილთა გალობისათა ... შეუთხზეს მას გჳრგჳნი დიდებული, რაჲთა მის წილ მოისთულონ კურთხევაჲ მისი ... (**ეფრ.,** 152,9-10; 13-14; 14-18); ...სწადოდა ჴორცთაგან განსლვაჲ და მიცვალებაჲ მიცვალებასა თანა ღმრთისმშობლისასა, ... ენება მათ სიხარულით, რაჲთა წარუსწრონ მას, ... და ვითარცა აღასრულეს **თანანადები** იგი ჯერისაჲ მის და შეთხზეს გჳრგნი გალობისაჲ ..., მაშინდა შეიწყნარეს კურთხევაჲ იგი (**წ. ათ.,** 122,25-30). ...pro~ umnou~ ekdhmiou~ ... kai proekdhmounte~ w~ oion te tw tonw th~ proairesew~. Epei de pante~ ama ton poqon, kai to creo~ afwsiwsanto, kai poluanqh te kai poikilon umnwn ierwn eplexanto stefanon (PG 96, col. 736, A 16- B 4-7).

**თანამოსაყდრე-ჲ//თანამჯდომარე-ჲ** – sugkaqizw:
...რაჲთა იხილოს იგი **თანამოსაყდრედ მამისა (ეფრ.,** 157,30); ...რაჲთა იხილოს იგი **მჯდომარჱ დიდებით მამისა თანა (წ. ათ.,** 29,8-9). ...tw Patri kaqoran sugkaqhmenon (PG 96, col. 741, B 11-12).

**თანამჯდომარე-ჲ – იხ. თანამოსაყდრე-ჲ.**
**თანანადებ-ი – იხ. თანამდებობა-ჲ.**

**თანასათნო-ყოფა-ჲ//ნება-ჲ** – suneudokew = **ერთობლივი ნება, განზრახვა სურვილი:**
ვითარ არა განეჴუა თჳსისა დიდებულებისაგან, შთა-მო-რაჲ-ვიდა დაცარიელებისა მიმართ აღმამაღლებელისა, **თანასათნო-ყოფითა** მამისა და სულისაჲთა (**ეფრ.,** 149,27-28); ... საყდართაგან განუშორებელ იყო და სიმაღლეთაგან შეუცვალებელ და გარდამოჴდა პატივად მდაბლისა მის და სიმაღლედ მიმყვანებელისა **ნებითა** მამისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა ... (**წ. ათ.,** 120,8-10). ...opw~ th~ oikeia~ ouk ekfoithsa~ megaleiothto~ pro~ thn uyopoion katabebhke kenwsin, Patro~ suneudokounto~ kai Pneumato~ (PG 96, col. 733, A 4-7).

**თანაყოფა-ჲ//შეკრება-ჲ** – sunduasmo~ o = **შეერთება, შეკავშირება:**
შობს ვითა-მე-ა **თანაყოფითა** უჴორცოთაჲთა და ვითარ სახედ შეეყოფვის მათ და ვითარ ღმერთ არს და არა არსობისაგან არსად მოვალს შობითა? (**ეფრ.,** 158,11-13); ვითარ-მე ეგების შობაჲ უჴორცოჲსაჲ მის **შეკრებით,** ანუ ვითარ-მე შეკრბენ უსახურნი იგი და უსისხლონი და ვითარ-მე იპოვნენ არსად სულიერად არაყოფილნი იგი? (**წ. ათ.,** 129,24-27). Genna gar pw~ ek sunduasmou to aswmaton kai tina tropon micqhsetai, kai pw~ qeo~ to mh on men proteron pro~ de genesin paragomenon (PG 96, col. 741, C 12-15).

**თანაშთამომავალობა-ჲ – იხ. სიმდაბლე-ჲ.**

**თჳთება-ჲ – იხ. თჳსება-ჲ ბუნებით-ი.**
**თჳთება-ჲ – იხ. სხუაარსება-ჲ.**

**თჳთმპყრობელ-ი//მეუფე-ჲ** – autokratwr o:
უკუეთუ ვინმე **თჳთმპყრობელსა,** ღმრთისა მიერ მიმღებელსა თანა-მონათესვეთა თჳსთა საჭეთმპყრობელობისასა, ... მოართჳს ვინმე ზესთა ჟამისაჲ იაჲ ... (**ეფრ.,** 141,10-11; 15-16); **მეუფესა,** რომელსა ერწმუნის ღმრთისა მიერ განგებაჲ ნათესავთაჲ, ... მოართუა მას უწინარეს ნაყოფთა დამწიფებისა ყუავილი ნარდისაჲ ... (**წ. ათ.,** 110,25; 111,1-2). ... Wsper gar ei ti~ tw autokratori ... (PG 96, col. 721, D 8-9).

**თჳთცხორება-ჲ//ცხორება-ჲ** – autozwh h = **ქრისტე (მეტაფორა):**
...ვითარცა ასული ადამ პირველისა, გარდაიჴდის მამულთა თანანადებთა, ვინაჲთგან ამისმანცა ძემან, **თჳთცხორებამან,** არა გარე-მიაქცია სიკუდილისაგან (**ეფრ.,** 144,14-16); ...ვითარცა ასულმან ადამის ძუელისამან, თავს-იდვა პატიჟი მამათაჲ, ვითარ-იგი ძემან მისმან, რომელი-იგი **ცხორებაჲ** არს, ...არა ურჩ-ექმნა სიკუდილსა (**წ. ათ.,** 11319-21). ...kai w~ qugathr men tou palai Adam ta~ patrika~ euquna~ upererceta epei kai o tauth~ Uio~, h autozwh tauta~ ouk aphnhnato ... (PG 96, col. 725, C 13-D 1).

**თჳსება-ჲ ბუნებით-ი//თჳთება-ჲ** – h fusikh idiwma:
...ყოვლადპირველი ადამ, პირველ გარდასლვისაჲ, თავისუფალი ცოდვისაგან, ... ეგევითარი შეიმოსე, მეუფეო, წყალობითა მოწყალებისა შენისაჲთა ჴორცნი და სული და გონებაჲ და ამათნი **ბუნებითნი თჳსებანი (ეფრ.,** 94,4-7); ყოვლითურთ პირველი იგი ადამ, რომელი იყო უწინარეს ურჩებისა თავისუფალი ცოდვისაგან, შეიმოსე წყალობითა შენითა ჴორცი, სული და გონებაჲ და **თჳთებანი ამათნი (წ. ათ.,** 73,9-12). Olon gar ton prwton Adam ton pro th~ parabasew~ ton amartia~ eleuqeron, anelabe~, Despota, dia ta splagcna eleou~ sou swma, yuchn, noun, kai ta toutwn fusika idiwmata (PG 96, col. 704, C 9-13).

**თუალ-ი გონებისა-ჲ – იხ. თუალ-ი გულისა-ჲ.**
**თუალ-ი გონებისა-ჲ – იხ. თუალ-ი საცნაურ-ი.**

**თუალ-ი გულისა-ჲ//თუალ-ი გონებისა-ჲ** – o th~ kardia~ ofqalmo~:
...დასაბამნი კაცთა ნათესავისანი. ...მირულებულნი **თუალითა გულისაჲთა,** ... ექსორია-ყვნა გამოვლინებითა ედემისაგან სამოთხისა (**ეფრ.,** 144,24-145,1); ...რაჟამს-იგი აღივსნეს გესლითა ურჩებისაჲთა პირველნი იგი კაცთა ნათესავისა, ... მიერულა **თუალთა გონებათა** მათთასა სიმთრვალითა ურჩებისაჲთა ... (**წ. ათ.,** 113,28-30). ... ton ofqalmon th~ kardia~ ... (PG 96, col. 728, A 5-6).

**თუალ-ი საცნაურ-ი//თუალ-ი გონებისა-ჲ** – to noeto~ omma:
ამას გარე-მოადგეს ყოველნი, ... მიუდრეკელისა სურვილისათა მისდა შემსჭუალულ იყვნეს **თუალითა საცნაურითა (ეფრ.,** 149,10-13); დგეს ყოველნი იგი ამის წინაშეცა, ... რომელნი მოწიწებით ... ჰხედვიდეს მას და შეეკრნეს **თუალნი გონებათა** მათთანი მისა მიმართ (**წ. ათ.,** 119,14-18). Tauth pareisthkeisan apante~, ... kai aklinei tw poqw eilikrine~ auth oma nohton enereidonta~ (PG 96, col. 732, C 9-10; 12-13).

**თუალ-ი ცხორებისა-ჲ – იხ. წყარო-ჲ მანანაჲსაჲ.**

**თუალ-ი ცხორებისა-ჲ** – **იხ. წყარო-ჲ ცხორებისა-ჲ.**

**თხრობა-ჲ//ზრახვა-ჲ** – aggelia h:

...ევა სასმენელნი შემსჭუალნა **თხრობასა** გუელისასა და ისმინა სწავლაჲ ბოროტისაჲ (**ეფრ.,** 145,6-7); ...ევა, რაჟამს-იგი განახუნა სასმენელნი თჳსნი **ზრახვასა** გუელისასა და შეიწყნარა მტერისაგან ერთგულებაჲ მისი ... (**წ. ათ.,** 114,3-4). Eua men gar thn akohn upoqeisa th aggelia tou ofew~, akoutisqeisa de tou dusmenou~ thn parainesin ... (PG 96, col. 728, B 1-2).

## ი

**იონ-ი** – **იხ. წარმართ-ი**

## კ

**კარავ-ი ზეცისა-ჲ** – h skhnh ei~ ton ouranon (**შდრ.: სავანეჲ საღმრთოჲ**): და ვითარცა-იგი თავადი მოწყალებით გარდამოჴდა მისსა, ეგრეთვე ესე სიყუარულით აღვიდეს მისსა, უფროჲსსა და უსრულესსა **კარავსა ზეცისასა,** ... რაჲთა საღმრთოთა მათ შინა სავანეთა ძისა თჳსისათა დაემკჳდროს (**ეფრ.,** 157,13-17); ... და ვითარ-იგი თავადი ამისდა გარდამოჴდა, ესრეთვე რაჲთა ესე აღმაღლდეს მის წინაშე **კარავსა** მას დიდებულსა **ზეცისასა,** ... რაჲთა ესე დაამკჳდროს საგრილსა ქუეშე ძისა მისისასა საღმრთოჲსა (**წ. ათ.,** 128,13-17). ...thn meizona kai telewteran skhnhn, ei~ auton ton ouranon, Edei thn ton Qeon Logon en th auth~ nhdui xenodochsasan, en tai~ tou eauth~ Uiou katoikisqhnai skhnai~ (PG 96, col. 741, A 10-15).

**კარავ-ი ზეცისა-ჲ//სასძლო-ჲ ზესკნელისა-ჲ** – to temeno~ tou ourano~: დღეს წმიდაჲ და მხოლოჲ ქალწული მშობელთა შორის ზეშთასოფლისასა მას და **ზეცისასა კარავსა** შეიყვანების (**ეფრ.,** 142,10-11); დღეს წმიდაჲ იგი და უბიწოჲ, რომელი-იგი მხოლოჲ იხილვა ქალწულად შემდგომად შობისა, ამაღლდა ტაძარსა მას ზეცისასა და **სასძლოსა მას ზესკნელისასა** (**წ. ათ.,** 111,28-112,1). Shmeron h osia kai monh Parqeno~ tw uperkosmiw kai ouraniw temenei prosagetai (PG 96, col. 724, C 1-2).

**კარავ-ი ზეცისა-ჲ//ტაძარ-ი ზეცისა-ჲ** – to ouraniw temeno~:

დღეს წმიდაჲ და მხოლოჲ ქალწული მშობელთა შორის ზეშთასოფლისასა მას და **ზეცისასა კარავსა** შეიყვანების (**ეფრ.,** 142,10-11); დღეს წმიდაჲ იგი და უბიწოჲ, რომელი-იგი მხოლოჲ იხილვა ქალწულად შემდგომად შობისა, ამაღლდა **ტაძარსა მას ზეცისასა** და სასძლოსა მას ზესკნელისასა (**წ. ათ.,** 111,28-112,1). Shmeron h osia kai monh Parqeno~ tw uperkosmiw kai ouraniw temenei prosagetai (PG 96, col. 724, C 1-2).

**კაც-ი სრულ-ი** – o anqrwpo~ teleio~:
იქმენ **სრულ კაც**, არა განჴუებული ღმერთ სრულყოფისაგან და მამისა თანა ერთარსებისაგან ... (**ეფრ.,** 93,15-17); იქმენ **კაცი სრული** და არა შეიცვალე, რაჲთა გამოსჩნდე ღმერთი სრული, სწორი მამისაჲ ბუნებითა ... (**წ. ათ.,** 72,21-24). kai gegona~ teleio~ anqrwpo~ ouk apobalwn to einai teleio~ Qeo~, kai tw sw Patri omoousio~ (PG 96, col. 704, B 3-4).

**კაცთმოძულეობა-ჲ//უწყალოება-ჲ** – apanqrwpia h:
დედოფალი დაბადებულთაჲ ... არა მიითუალავს **კაცთმოძულეობასა** და შურსა ჴდომითურთ (**ეფრ.,** 165,23; 166,4); ქალწული არს და უყუარს მას ქალწულებაჲ, ... საძულელ არს მის წინაშე გულისწყრომაჲ და **უწყალოებაჲ** არა იშუებს მის წინაშე მახლობელად მისა (**წ. ათ.,** 138,19; 139,1-2). Parqeno~ auth, kai filoparqeno~ ... apanqrwpian kai erido~ ou prosietai (PG 96, col. 752, B 8-9; C C 2-3).

**კიბე-ჲ სულიერ-ი//მშჯდობა-ჲ სულიერ-ი** – h klimax h emyuco~ = **ღვთისმშობელი (მეტაფორა)**:
დღეს საცნაური **კიბე სულიერი,** რომლისა მიერ გარდამოჴდა მაღალი, ქუეყანასა ზედა რაჲ გამოჩნდა და კაცთა შორის იქცეოდა, სიკუდილისა კიბესა იჴუმევს ქუეყანით ზეცად აღმყვანებელად (**ეფრ.,** 179,24-26); დღეს **მშჯდობაჲ იგი სულიერი,** რომლითა მაღალი იგი გარდამოჴდა და ქუეყანასა ზედა გამოჩნდა და კაცთა შორის იქცეოდა, ესე ქუეყანისაგან სიკუდილითა მით უცხოჲთა, ვითარცა მშჯდობაჲ, ზეცად აღვიდა (**წ. ათ.,** 169,7-10). Shmeron h noh th klimax h emyuco~, di h~ kataba~ o Uyisto~ epi gh~ wfqh, kai toi~ anqrwpoi~ sunanestrafh, tw qanatw crhsamenh klimaki ghqen ei~ ouranou~ anefoithsen (PG 96, col. 753, D 5-756 A 2 ).

**კიდობანი აღთქუმისა უფლისა-ჲ//კიდობანი მცნებისა უფლისა-ჲ** – thn kibwton diaqhkh~ Kuriou:
...რაჲთა აღიყვანონ **კიდობანი აღთქუმისაჲ უფლისაჲ** (**ეფრ.,** 155,2-3)... რაჲთამცა აღიღეს **კიდობანი იგი მცნებისა უფლისაჲ** (**წ. ათ.,** 125,23). ...thn kibwton diaqhkh~ Kuriou (PG 96, col. 737, C 13-D 1).

**კიდობან-ი გონიერ-ი – იხ. კიდობან-ი საცნაურ-ი.**
**კიდობანი მცნებისა უფლისა-ჲ – იხ. კიდობანი აღთქუმისა უფლისა-ჲ.**

**კიდობან-ი საცნაურ-ი//კიდობან-ი გონიერ-ი** – o kibwto~ noero~ = **ღვთისმშობლის სხეული (მეტაფორა):**

... ეგრეთვე აწ, განსუენებასა ამის **საცნაურისაცა ამის კიდობმისა** არა აღთქუმისა უფლისასა, არამედ თჳთ სიტყჳსა ღმრთისა გუამისასა, ... წმიდაჲ იგი სული მისი ანგელოზთა მიერ შეიყვანა პირმშოსა მას სახესა დასაბამისასა, ... უშინაგანესსა მას კრეტსაბმელსა შინაგან, სადა-იგი წინამორბედად თჳთ თავადი ქრისტე ჴორციელად შევიდა (**ეფრ.,** 155, 9-11; 17-18; 20-21);... რაჟამს დასდგმიდეს **კიდობანსა მას გონიერსა** და არათუ კიდობანსა მას მცნებისა უფლისასა, არამედ კიდობანსა მას, რომელსა შინა დაემკჳდრა გუამი ძისა ღმრთისაჲ, ... მუნ განუსუენა ... შინაგან კრეტსაბმელსა სულსა მას, სადა-იგი ქრისტე, განკაცებული შევიდა (**წ. ათ.,** 126,2-4;12-13). ... th~ noera~ kibwtou, ou diaqhkh~ Kuriou (PG 96, col. 740, A 1).

**კიდობან-ი უფლისა-ჲ** – h kibwto~ Kuriou = **ღვთისმშობლის სხეული (მეტაფორა):**

**კიდობანი უფლისაჲ,** სიტყჳერი და სულიერი, განსუენებად ძისა თჳსისა მიიცვალების, ... რომლისაგან საუკუნოჲ ... ხე ცხორებისაჲ აღმოსცენდა (**ეფრ.,** 179,33-180,2); დღეს **კიდობანი იგი უფლისაჲ,** სულიერი და მეტყუელი, მიიცვალა განსასუენებელსა ძისასა, ... რომლისაგან ცხორებაჲ იგი სამარადისოჲ აღმოსცენდა (**წ. ათ.,** 169,17-18; 20). ...kai h kibwto~ Kuriou h emyuco~ te kai logikh pro~ thn tou Uiou anapausin metanistatai ... ex h~ to th~ aiwniou zwh~ xulon blasthsan (PG 96, col. 756, A 11-13; 15).

**კიდობან-ი ღმრთისშემწყნარებელ-ი//ჴორც-ი უფლის დამტევნელ-ი** – h kibwtou, tou Qeodocou fhgi = **ღვთისმშობლის სხეული (მეტაფორა):**

დღეს განწმედილი იგი ტრედი უმანკოჲ და უბიწოჲ სული და გონება, საღმრთოდ განკუთნვილი, აღფრინვებულ იქმნა **კიდობნით, ღმრთისშემწყნარებელით** ... და ცხორებისდასაბამით გუამით (**ეფრ.,** 142,27-29); დღეს ტრედი იგი უმანკოჲ და მარტივი სულითა და უბიწოჲ ჴორცითა, სულისა მიერ წმიდისა განიწმიდა, აღფრინდა **ჴორცთაგან,** რომელთა შეიწყნარეს ცხორებაჲ**, დაიტიეს უფალი** ყოველთაჲ (**წ. ათ.,** 112,16-19). ... Shmeron h ierwtath peristera, h akeraia kai akako~ yuch, kai tw Qeiw kaqierwmenh Pneumati, ekptasa th~ kibwtou, tou Qeodocou fhgi, kai zwarcikou swmato~ (PG 96, col. 724, D 1-4).

**კრებულ-ი ეკლესიისა-ჲ – იხ. სავსება-ჲ ეკლესიისა-ჲ.**

**კრებულ-ი წმიდათა-ჲ - იხ. მწყობრ-ი წმიდათა-ჲ.**

**კუალადგება-ჲ (მეორედ)//დაწყება-ჲ მეორისა არსებისა-ჲ** – h deutero~ uparxi~:
დღეს დასაბამსა მიიღებს **მეორედ კუალადგებისასა** მიმცემელი იგი ღმრთისა სიტყჳსა ჴორცთა დასაბამიერთაჲ მისგან, რომელმან-იგი მოსცა მას პირველიცა იგი დასაბამი სოფლად შემოსლვისაჲ (**ეფრ.,** 182,17-19); დღეს მიიღებს **დაწყებასა მეორისა არსებისასა** მისგან, რომელმან-იგი მისცა მას არსებაჲ პირველისა მის დაწყებისაჲ და მან მისცა დაწყებაჲ ჴორცთა არსებისაჲ მას ... (**წ. ათ.,** 172,22-24). ...Shmeron archn lambanei deutera~ uparxew~ upo tou donto~ auth thn archn th~ protera~ uparxew~, h dousa deutera~ archn th~ swmatikh~ (PG 96, col. 757, C 8-10).

**კურთხევა-ჲ//მადლ-ი** – eulogia h:
... არცაღა წყალთა ბუნებაჲ უნაწილო იქმნა მის მიერ **კურთხევისაგან** (**ეფრ.,** 154,12-13); წყალთა ბუნებანიცა არავე დაშთეს **უმადლოდ (წ. ათ.,** 125,1-2). ... All oude h tou udato~ fusi~ th~ eulogia~ hmoirhse (PG 96, col. 737, B 3-4).

## ლ

**ლოდ-ი (თჳნიერ ჴელისა გამოკუეთილი)//ქვა-ჲ საკიდურ-ი (უჴელოდ გამოკუეთილი)** – liqo~ o (ou ceirwn aneu tmhqei~) **= ქრისტე (მეტაფორა):**
... დაჴსნა ურჩებაჲ ევაჲსი და მოკუდავებაჲ ადამისი, ესე თჳთ თავადი არს ქრისტე, მიზეზ ყოველთა ცხორებისა ... დღეს ქუაბი გამოკუეთილი მთასა გამოუკუეთელსა შეიწყნარებს, ვინაჲ-იგი **თჳნიერ ჴელისა გამოკუეთილმან ლოდმან** აღავსო ყოველი სოფელი (**ეფრ.,** 180,3-6); ... დაჴსნა ურჩებაჲ იგი ევაჲსი და განაქარვა სიკუდილი ადამისი ქრისტემან, ყოველთა ცხორებისა მომცემელმან, დღეს ქუაბმან გამოკუეთილმან შეიწყნარა მთაჲ იგი გამოუკუეთელი, რომლისაგან **გამოეკუეთა ქვაჲ იგი საკიდური უჴელოდ** ... (**წ. ათ.,** 169,20-170,2). ... Cristo~ outo~, o th~ zwh~ twn apantwn aitio~ antron lelaxeumenon, oro~ to alatomhton upodecetai, ex ou liqo~ ceirwn aneu tmhqei~ thn oikoumenhn eplhrwsen (PG 96, col. 756, B 1-4).

**ლოდ-ი თავკიდურ-ი – იხ. ლოდ-ი თავსაკიდურ-ი.**

**ლოდ-ი თავსაკიდურ-ი//ლოდ-ი თავკიდურ-ი //ლოდ-ი საკიდურ-ი//ქვა-ჲ საკიდურ-ი** – o akrogwniaio~ liqo~ **= ქრისტე (მეტაფორა):**

... რომლისაგან ... გამოკუეთაჲ სათნო-იყო **ლოდმან თავსაკიდურთამან** ქრისტემან (**ეფრ.,** გოგუაძე 1986:119,30-32); ... რომლისაგან გამოეკუეთა თჳნიერ კაცობრივისა ჴელისა **ლოდი იგი საკიდური,** გუამი ერთი სამეუფოჲ ... რომელმან შეკრიბა განყოფილნი და შეაერთა ღმრთეებაჲ და კაცებაჲ (**ეფთ.,** 21,19-21); რომლისაგან თჳნიერ ჴელთა ჴორციელად გამოკუეთაჲ სათნო-იყო **ლოდმან თავკიდურმან** ქრისტემან და ერთმან მან გუამოვნებამან განყოფილნი იგი შეაერთნა – ღმრთეებაჲ და კაცებაჲ (**თეოფ.,** 40,21-23);... ex ou ceiro~ aneou swmatikw~ tmhqhnai hudokhsen o akrogwniaio~ liqo~ Cristo~ h mia upostasi~, h ta diestwta sunaptousa, Qeothta te kai anqrwpothta (PG 96, col. 669, C 4-8). რაჲდა იყოს მთაჲ დანიელისი, რომლისაგან **ლოდი თავსაკიდურთაჲ,** ქრისტე, გამოეკუეთა თჳნიერ მოქმედებისა ჴელთა კაცობრივთაჲსა ...? (**ეფრ.,** 102,18-20); რაჲ-მე რაჲ არს მთაჲ იგი დანიელისი, რომლისა მიერ **ქვაჲ იგი საკიდური** გამოიკუეთა თჳნიერ კაცობრივისა ჴელისა ...? (**წ. ათ.,** 81,15-16). Ti de to oro~ tou Danihl, ex ou o akrogwniaio~ etmhqh liqo~ Cristo~, ouc uposta~ andro~ egceiridion (PG 96, col. 713, B 7-9).

**ლოდ-ი საკიდურ-ი – იხ. ლოდ-ი თავსაკიდურ-ი.**

## მ

**მადლ-ი//ნიჭ-ი** – cari~ h; dwron to:
... შენი **მადლი** მოუკლებელ არს და დაუწყუედელ, ... არცა დედისა ღმრთისა ქველისმოქმედებანი საფლავისა მიერ ოდენ შეიცვებიან, რამეთუ უკუეთუმცა სამარხოსა ოდენ შინა შეიწერებოდეს, მცირედთამცა მიმართ ოდენ მისწუთებოდა **მადლი** მისი, ხოლო აწ ყოვლისა სოფლისკიდეთა უშურველად გარდაფენილ არს (**ეფრ.,** 165,9-14); ... **მადლნი** შენნი დაუკლებელ არიან და მარადის აღმოაცენებენ **ნიჭთა** შენთა, ... კეთილნი წმიდისა ღმრთისმშობელისანი და **მადლი** არა საფლავსა შინა ხოლო დადგრომილ არს და უკუეთუმცა საფლავი ამას შეიცვიდა, მცირედნიცა მიემთხუეოდეს **ნიჭთა** მისთა, არამედ აწ ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა **მადლი ნიჭთა** მისთაჲ განფენილ არს (**წ. ათ.,** 138,10-17). ... H men sh cari~ anelliph~ kai aennao~, ... oude ai th~ Qeomhtoro~ euergesiai ei gar monw tw tumbw periegrafonto, oligoi~ an h dwrea epeqeiazeto. Nun de en pasi tou kosmou toi~ perasin afqonw~ dianememhtai (PG 96, col. 752, B 2- 6).

**მადლ-ი – იხ. კურთხევა-ჲ.**
**მადლ-ი – იხ. შეწევნა-ჲ.**

**მამა ღმერთ-ი//მამა-ჲ პირველ-ი** – o Qeo~ kai Patro~:
... აწ ვნებაჲ იგი ურჩებისა მათისაჲ განგუყარა ჩუენგან, რაჟამს ნაყოფი **ღმრთისა მამისა** მორჩილებისაჲ აღმოაცენა ჩუენგან; ვინაჲცა დამწყებელი ესე ცხორებისა ყოველთა ნათესავთაჲსაჲ ვითარ არა სამოთხემან შეიწყნაროს? **(ეფრ.,** 145,1-3); ... რომელმან განყარა ყოველი ვნებაჲ სალმობისაჲ და მოართუა ნერგი მორჩილებისაჲ **პირველსა მამასა** და ექმნა დასაბამ ცხორებისა ყოველსა ნათესავსა კაცთასა, არა-მე სასუფეველსა შეიწყნაროს-ა? (**წ. ათ.,** 113,34-114,1). Nun de tauthn thn paqou~ panto~ ektinaxamenhn thn prosbolhn, kai th~ tou Qeou kai Patro~ upakoh~ proagagausan to blasthma, kai th~ zwh~ panti tw genei katarxasan, ou paradeiso~ upodexetai (PG 96, col. 728, A 9-13).

**მამა-ჲ პირველ-ი** – **იხ. მამა ღმერთ-ი.**

**მამან-ი პირველნ-ი ნათესავთან-ი// მშობელნ-ი ნათესავთან-ი** – oi tou genou~ propatore~ **= შთამომავლობის პირველწარმომშობნი; წინაპრები:**
... ადამ და ევა, **პირველნი მამანი ნათესავთანი**, ... ღაღადებდეს: "შენ, ნეტარო ასულო, დამჴსნელ იქმენ პატიჟსა გარდასლვისა ჩუენისასა ..." (**ეფრ.,** 150,18-20); ... ადამ და ევა, **ნათესავთა მშობელნი,** ... იტყოდეს: "ჲ ასულო, შენ ნეტარებასა ღირს ხარ, რამეთუ დაჴსენ პატიჟი ურჩებისა ღმრთისაჲ ..." (**წ. ათ.,** 121,3-5). ...tote Adam kai Eua, oi tou genou~ propatore~ ... (PG 96, col. 733, B 9-10).

**მამულ-ი სათნო-ყოფა-ჲ//ნება-ჲ მამისა-ჲ** – h patrikh eudokia **= მამისეული ნება, სურვილი:**
... ჴმითა მთავარანგელოზისაჲთა მუცლად-იღო **სათნო-ყოფაჲ მამული** (**ეფრ.,** 145,14); ხარებითა მთავარანგელოზისაჲთ მუცლად-იღო **ნებითა მამისაჲთა** (**წ. ათ.,** 114,10). ... kai di arcaggelou thn patrikhn eudokian egkumonhsasan (PG 96, col. 728, B 9-10).

**მამშჯდებელ-ი//მოციქულ-ი** – presbu~ o:
...შობილ არს ქალწული, მშობელი ევმანუელისი, ... რომელ არს "ჩუენ თანა არს ღმერთი", ... ჩუენ თანა არს ღმერთი, არა კაცი, არცა **მამშჯდებელი,** არამედ ღმერთი მხოლოჲ მოვიდეს ... (**ეფთ.,** 18,15; 17; 18-19); ... იშვა ქალწული, ... რომელმან ... შვეს ძჱ და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ, რომელ არს "ჩუენ თანა ღმერთი, ... ჩუენ თანა არს ღმერთი, არა ანგელოზი, არა კაცი, არცა **მოციქული** (**თეოფ.,** 37,10-14); ... არა კაცი, არცა მოციქული (ეფრ., გოგუაძე 1986:118,8).... oti meq hmwn o Qeo~, Ouk anqrwpo~, ou presbu~, all auto~ o Kurio~ hxei (PG 96, col. 668, A 10-12).

**მარადის არს-ი//ყოველთა საუკუნეთა და არსთა უწინარეს-ი და უზეშთაეს-ი** – aei wn:
ხოლო ჩუენ, რომელთა მიერ იმსახურების ღმერთი ჭეშმარიტი, ღმერთი არათუ არა არსებისაგან მოსრული არსად, არამედ **მარადის არსი** მარადის არსებისაგან, ზესთა მიზეზისა და სიტყჳსა, მოგონებისა და ცნობისა, ჟამთა და ბუნებისა, ჩუენ ჭეშმარიტად ღმრთისა დედასა პატივ-ვსცემთ და ვჰმსახურებთ ... (**ეფრ.,** 158,26-30); ხოლო ჩუენ, რომელნი-ესე ვჰმონებთ ღმერთსა ჭეშმარიტსა, არათუ არა ყოფილსა და მერმე ქმნულსა, არამედ რომელი-იგი **უწინარეს და უზეშთაეს** არს **ყოველთა საუკუნეთა და არსთა** და უზეშთაეს არს ყოველთა მოგონებათა და სიტყუათა და ჟამთა და ბუნებათა, და წმიდასა ღმრთისმშობელსა თაყუანის-ვსცემთ და ვადიდებთ ... (**წ. ათ.,** 130,7-11). Hmei~ de oi~ Qeo~ esti to latreuomenon, Qeo~ ouk ek mh onto~ ei~ to einai paragenomeno~, all aei wn ek tou aei onto~ uper aitian, kai logon, kai ennoian kai cronou,, kai fusew~, Mhtera Qeou timwmen kai sebomen (PG 96, col. 744, A 5-9).

**მართალ-ი** – dikaio~ o = **კეთილმორწმუნე ადამიანი:**
ხოლო საჴმარ-იყო ძუელთაცა **მართალთაჲ** და წინაწარმეტყუელთა მწყობრისაჲ შეერთებულ-ყოფაჲ ზიარებასა საღმრთოჲსა ამის ძღუნისშემწირველობისასა, ვითარცა წინამომთხრობელთაჲ მისგან ჩუენთჳს კაცთმოყუარებით შობასა ღმრთისა სიტყჳსასა (**ეფრ.,** 149,1-4); რამეთუ ჭეშმარიტად ჯერ-იყო მუნ დახუდომაჲ პირველთა მათ **მართალთაჲ** და წინაწარმეტყუელთაჲ, რომელნი-იგი წინაჲსწარ-უთხრობდეს გამოჩინებით შობასა და განჭორციელებასა ძისა ღმრთისასა წმიდისა მისგან ცხორებისა ჩუენისათჳს (**წ. ათ.,** 119,5-8). Ecrhn de kai twn palai dikaiwn kai profhtwn tou~ akremona~ sumparomartein ... (PG 96, col. 732, B 14-15).

**მახარებლებრ//სიტყჳსაებრ სახარებისა** – euaggelikw~:
... რომელთა გწყურის, წარვედით წყლად, ესაია გიბრძანებს, ... მე ყოველთა **მახარებლებრ** უღაღადებ ... (**ეფრ.,** 161,17; 18-19); ესაია ბრძანებს და იტყჳს: რომელთა გწყურის, წარვედით წყლად, ... **სიტყჳსაებრ წმიდისა სახარებისა** ვღაღადებ ... (**წ. ათ.,** 133,12-13; 14). ... Egw pasin euaggelikw~ anakekraga ... (PG 96, col. 745, C 2-3).

**მეუფე-ჲ – იხ. თჳთმპყრობელ-ი.**
**მთავარნ-ი ახლისა მცნებისან-ჲ – იხ. წინამძღუარნ-ი ახლისა აღთქუმისან-ჲ.**

**მიზეზი** – aitia h = **მიზეზი, დასაბამი:**

ხოლო ჩუენ, რომელთა მიერ იმსახურების ღმერთი ჭეშმარიტი, ღმერთი არათუ არა არსებისაგან მოსრული არსად, არამედ მარადის არსი მარადის არსებისაგან, ზესთა **მიზეზისა** და სიტყჳსა, მოგონებისა და ცნობისა, ჟამთა და ბუნებისა, ჩუენ ჭეშმარიტად ღმრთისა დედასა პატივ-ვსცემთ და ვჰმსახურებთ ... (**ეფრ.,** 158,26-30); ხოლო ჩუენ, რომელნი-ესე ვჰმონებთ ღმერთსა ჭეშმარიტსა, არათუ არა ყოფილსა და მერმე ქმნულსა, არამედ რომელი-იგი უწინარეს და უზეშთაეს არს ყოველთა საუკუნეთა და არსთა და უზეშთაეს არს ყოველთა მოგონებათა და სიტყუათა და ჟამთა და ბუნებათა, და წმიდასა ღმრთისმშობელსა თაყუანის-ვსცემთ და ვადიდებთ ... (**წ. ათ.,** 130,7-11). Hmei~ de oi~ Qeo~ esti to latreuomenon, Qeo~ ouk ek mh onto~ ei~ to einai paragenomeno~, all aei wn ek tou aei onto~ uper aitian, kai logon, kai ennoian kai cronou, kai fusew~, Mhtera Qeou timwmen kai sebomen (PG 96, col. 744, A 5-9).

**მიცვალება – იხ. ამაღლება.**
**მიცვალება-ჲ – იხ. განსლვა-ჲ.**
**მიცვალება – იხ. განსუენება.**
**მიცვალება-ჲ იხ. წარსლვა-ჲ.**

**მიწა-ჲ უქმ-ი//ქუესკნელ-ი ქუეყანისა-ჲ** – kenewn th~ gh~:
"... რაჲთა არა შეიწყუდიოს **მიწასა შინა უქმსა** და დაშთეს ქუეყანასა უნაყოფოსა, არამედ ... მესამესა დღესა აღდგეს საფლავისაგან (**ეფრ.,** 157,7-10); ... რაჲთა არა დაადგრეს იგი **ქუესკნელთა თანა ქუეყანისათა,** არამედ ... მესამესა დღესა ... აღტაცებულ იქმნას საფლავისაგან (**წ. ათ.,** 128,8; 10-11). ... toi~ kenewsi th~ gh~ mh kaqeirgesqai, all ... th trith hmera tou mnhmato~ exanistato (PG 96, col. 741, A 3-4; 6).

**მიწისა-ჲ//ქუეყანისა-ჲ** – coo~ **= ამქვეყნიური, მიწიური:**
წარვედ, დედოფალო, წარვედ! არა მოსეანად აღვედ და აღესრულე; უფროჲსდა აღესრულე და ეგრეთ აღვედ; სული შეჰვედრე ჴელთა ძისა შენისათა, ხოლო **მიწისაჲ** მიეც მიწასა, რამეთუ იგიცა შენ თანა აღტაცებად არს (**ეფრ.,** 184,12-15); წარვედ, დედოფალო, წარვედ! არა ვითარცა მოსჱ, რომელი აჴდა და მოკუდა, არამედ ... მოკუედ და მერმე აღჴედ; მიეც სული შენი ჴელთა ძისა შენისათა და **ქუეყანისა** მიეც ქუეყანასა და იგიცა შენ თანავე ამაღლებად არს (**წ. ათ.,** 174,10-13). ... Yuchn paraqou tai~ tou Uiou sou cersin. Apodo~ to tou coo~ tw coi, w~ oti touto suneparqhsetai (PG 96, col. 760, B 8-10).

**მიჰრონ-ი//საკუმეველ-ი** – muron to:
...აღსავსე-მყო **მიჰრონითა** სულნელებისაჲთა (**ეფრ.,** 161,8); ... აღმავსო მე

სულნელებითა **საკუმეველთა** მისთაჲთა (**წ. ათ.,** 133,2-3). ... kai murou kai euwdia~ poihsan anaplewn (PG 96, col. 745, B 5).

**მოგონება-ჲ** – ennoia h – **აზრი, ფიქრი:**
ხოლო ჩუენ, რომელთა მიერ იმსახურების ღმერთი ჭეშმარიტი, ღმერთი არათუ არა არსებისაგან მოსრული არსად, არამედ მარადის არსი მარადის არსებისაგან, ზესთა მიზეზისა და სიტყჳსა, **მოგონებისა** და ცნობისა, ჟამთა და ბუნებისა, ჩუენ ჭეშმარიტად ღმრთისა დედასა პატივ-ვსცემთ და ვჰმსახურებთ ... (**ეფრ.,** 158,26-30); ხოლო ჩუენ, რომელნი-ესე ვჰმონებთ ღმერთსა ჭეშმარიტსა, არათუ არა ყოფილსა და მერმე ქმნულსა, არამედ რომელი-იგი უწინარეს და უზეშთაეს არს ყოველთა საუკუნეთა და არსთა და უზეშთაეს არს ყოველთა **მოგონებათა** და სიტყუათა და ჟამთა და ბუნებათა, და წმიდასა ღმრთისმშობელსა თაყუანის-ვსცემთ და ვადიდებთ ... (**წ. ათ.,** 130,7-11). Hmei~ de oi~ Qeo~ esti to latreuomenon, Qeo~ ouk ek mh onto~ ei~ to einai paragenomeno~, all aei wn ek tou aei onto~ uper aitian, kai logon, kai ennoian kai cronou, kai fusew~, Mhtera Qeou timwmen kai sebomen (PG 96, col. 744, A 5-9).

**მონება** – **იხ. მსახურება.**

**მოქმედება-ჲ კაცობრივ-ი** – h anqrwpinh energeia:
... თავსა შორის თჳსსა გქონან სხუაარსებანი ორთა ბუნებათანი, ერთსა შინა გუამსა შეერთებულნი, ... სადმრთოჲ მოქმედებაჲ არა მარტოდ, არამედ **კაცობრივითურთ მოქმედებით,** თჳთმფლობელობანი ორნი, ვითარ-იგი ღმრთისაჲ, ეგრეთვე – კაცობრივი (**ეფრ.,** 93,25-26; 94,1-2). ... Qeian energeian, ou mhn alla kai anqrwpinhn energeian (PG 96, col. 704, C 6-7).

**მოქმედება-ჲ სადმრთო-ჲ** – h Qeia energeia:
... თავსა შორის თჳსსა გქონან სხუაარსებანი ორთა ბუნებათანი, ერთსა შინა გუამსა შეერთებულნი, ... **სადმრთოჲ მოქმედებაჲ** არა მარტოდ, არამედ კაცობრივითურთ მოქმედებით, თჳთმფლობელობანი ორნი, ვითარ-იგი ღმრთისაჲ, ეგრეთვე – კაცობრივი (**ეფრ.,** 93,25-26; 94,1-2). ... Qeian energeian, ou mhn alla kai anqrwpinhn energeian (PG 96, col. 704, C 6-7).

**მოციქულ-ი** – **იხ. მამშჳდებელ-ი.**

**მრავალღმრთეება-ჲ** – poluqeia h:
... დაჰჴსენ მტერობაჲ და მიჰგუარენ განდგომილნი მამასა შენსა,

შეცთომილნი მოაქციენ, დაბნელებულნი განანათლენ, შემუსრვილნი განაახლენ, განხრწნილნი უხრწნელად შესცვალენ, საცთურისაგან **მრავალღმრთეებისა** დაბადებულნი განათავისუფლენ ... (**ეფრ.,** 94,10-13); ... დაჰჴსენ მტერობაჲ იგი და წარმოიყვანე განძებული და მიუძღუანე მამასა, და მოიძიე წარწყმედული და განანათლე დაბნელებული და განაახლე შემუსრვილი და შესცვალე ხრწნილი იგი უხრწნელად და განათავისუფლე დაბადებულნი ცთომისაგან **მრავალღმრთეებისა** ... (**წ. ათ.,** 73,15-18). thn ecqran elusa~, kai tw sw Patri tou~ apostata~ proshgage~, to peplanhmenon epestreya~, to eskotwmenon efwtisa~, to suntetrimmenon anekainisa~, to fqarton ei~ afqarsian metebale~ th~ poluqeou planh~ thn ktisin hleuqerwsa~ (PG 96, col. 704, D 1-5).

**მსახურება//მონება** — latreia h:
ხოლო ჩუენ, რომელთა მიერ **იმსახურების** ღმერთი ჭეშმარიტი, ღმერთი, არათუ არა არსებისაგან მოსრული არსად, არამედ მარადის არსი მარადის არსებისაგან, ზესთა მიზეზისა და სიტყჳსა, მოგონებისა და ცნობისა, ჟამთა და ბუნებისა, ჩუენ ჭეშმარიტად ღმრთისა დედასა პატივ-ვსცემთ და ვჰმსახურებთ ... (**ეფრ.,** 158,26-30); ხოლო ჩუენ, რომელნი-ესე **ვჰმონებთ** ღმერთსა ჭეშმარიტსა, არათუ არა ყოფილსა და მერმე ქმნულსა, არამედ რომელი-იგი უწინარეს და უზეშთაეს არს ყოველთა საუკუნეთა და არსთა და უზეშთაეს არს ყოველთა მოგონებათა და სიტყუათა და ჟამთა და ბუნებათა, და წმიდასა ღმრთისმშობელსა თაყუანის-ვსცემთ და ვადიდებთ ... (**წ. ათ.,** 130,7-11). Hmei~ de oi~ Qeo~ esti to latreuomenon, Qeo~ ouk ek mh onto~ ei to einai paragenomeno~, all aei wn ek tou aei onto~ uper aitian, kai logon, kai ennoian kai cronou, kai fusew~, Mhtera Qeou timwmen kai sebomen (PG 96, col. 744, A 5-9).

**მსახურება//დიდება** — sebw:
ხოლო ჩუენ, რომელთა მიერ იმსახურების ღმერთი ჭეშმარიტი, ... ღმრთისა დედასა პატივ-ვსცემთ და **ვჰმსახურებთ** ... (**ეფრ.,** 158,26; 29-30); ხოლო ჩუენ, რომელნი-ესე ვჰმონებთ ღმერთსა ჭეშმარიტსა, ... წმიდასა ღმრთისმშობელსა თაყუანის-ვსცემთ და **ვადიდებთ** ... (**წ. ათ.,** 130,7; 11). Hmei~ de oi~ Qeo~ esti to latreuomenon, ... Mhtera Qeou timwmen kai sebomen (PG 96, col. 744, A 5-6; 9).

**მსახურება//ქება** — terpw:
ამას სამღდელოჲთა გალობითა ვაქებდეთ დღეს, განმდიდრებულნი ესე ერ ღმრთისა ყოფითა და წოდებითა; ამას პატივ-ვსცემდეთ ღამე ყოველ მღჳძარებით დგომითა; ამას **ვჰმსახურებდეთ** სიწმიდითა სულისა და ჴორცთაჲთა, ვითარცა ნამდჳლვე შემდგომად ღმრთისა უწმიდესსა

ყოველთასა (**ეფრ.,** 159,15-19); ამას გალობითა საკჳრველითა ვადიდებთ დღეს, რომელნი-ესე ღირს-ვიქმნენით წოდებად ერად ქრისტესა; ამას ღამე ყოველ მდჳძარებითა და განკრძალულად დგომითა პატივ-ვსცემდეთ; ამას უბიწოჲთა სულითა და განწმედილითა ჴორცითა **ვაქებდეთ,** რომელ-იგი ჭეშმარიტად წმიდაჲ არს შემდგომად ღმრთისა უფროჲს ყოველთა დაბადებულთა (**წ. ათ.,** 130,26-31). Tauthn asmati ieroi~ eufhmiswmen shmeron, oi Cristou lao~ kai einai peplouthkote~, kai legesqai. Tauthn pannucoi~ timhswmen stasesi, tauthn yuch~ te kai swmato~ agnothti terywmen thn ontw~ agnhn meta Qeon uper apanta~ (PG 96, col. 744, B 11-15).

**მსახურება – იხ. დღესასწაულობა.**
**მსახურ-ი სიტყჳსა-ჲ – იხ. ჴელითმსახურ-ი სიტყჳსა-ჲ.**
**მშობელნ-ი ნათესავთან-ი – იხ. მამან-ი პირველნ-ი ნათესავთან-ი.**
**მშჳდობა-ჲ სულიერ-ი – იხ. კიბე-ჲ სულიერ-ი.**
**მცნება-ჲ – იხ. აღთქუმა-ჲ.**

**მწყობრ-ი წმიდათა-ჲ//კრებულ-ი წმიდათა-ჲ** – o twn agiwn coro~:
... ჴმა-ყვეს ყოველმან **მწყობრმან წმიდათამან** (**ეფრ.,** 151,8); ... ყოველი **კრებული წმიდათაჲ** იტყოდეს (**წ. ათ.,** 121,17-18). o twn agiwn coro~ ... (PG 96, col. 733, C 14-15).

## ნ

**ნათესავ-ი პირველ-ი – იხ. ნათესავთდასაბამ-ი.**

**ნათესავთდასაბამ-ი//ნათესავ-ი პირველ-ი** – ta genh arcaia:
... ესე, **დასაბამითგანთა ნათესავთაჲთგან** გამორჩეული, პირველსაუკუნეთა განსაზღვრებულისა და უწინარეს ჟამთა სათნო-ყოფისა შენისა აღმასრულებელი, რაჲ-იგი უკუანაჲსკნელ ჟამთა საქმრად განჩინებულ იყო შენისა მის, პირველსაუკუნეთა უჟამოდ და უვნებელად მშობელისა მამისაგან, სალხინებელ და საცხორებელ ჩუენდა ყოფაჲ ... (**ეფრ.,** 92,20-26); ... მცირედ ვიტყოდით დიდებულებათა მშობელისა შენისა უბიწოჲსათა, რამეთუ ესე **ნათესავთა მათგან პირველთა** გამოირჩიე და ნებითა მამისაჲთა, რომელ-იგი უჟამო არს, ულმობელად გშვა შენ ... (**წ. ათ.,** 72,5-7). ... Auth gar ek genewn arcaiwn eklelegmenh, th prowrismenh boulh kai eudokia tou se acronw~, arreustw~ te kai apaqw~ gennhsanto~ Qeou kai Patro~ (PG 96, col. 701, D 4-7).

**ნება-ჲ – იხ. თანასათნო-ყოფა-ჲ.**

**ნება-ჲ კაცობრივ-ი** – to anqrwpinon qelhma:
... თავსა შორის თჳსსა გქონან სხუაარსებანი ორთა ბუნებათანი, ერთსა შინა გუამსა შეერთებულნი, ... სადმრთოჲ ნებაჲ და **კაცობრივი ნებაჲ** ... (**ეფრ.,** 93,25; 29-30); ... გუამი ერთი ორთა ბუნებათაგან სრულთა, ... ნებაჲ ღმრთეებრი და **ნებაჲ კაცობრივი (წ. ათ.,** 72,28; 73,5). ... Qeion te qelhma kai anqrwpinon qelhma (PG 96, col. 704, C 5-6).

**ნება-ჲ მამისა-ჲ – იხ. მამულ-ი სათნო-ყოფა-ჲ.**

**ნება-ჲ სადმრთო-ჲ//ნება-ჲ ღმრთეებრ-ი** – to Qeion qelhma:
... თავსა შორის თჳსსა გქონან სხუაარსებანი ორთა ბუნებათანი, ერთსა შინა გუამსა შეერთებულნი, ... **სადმრთოჲ ნებაჲ** და კაცობრივი ნებაჲ ... (**ეფრ.,** 93,25; 29-30); ... გუამი ერთი ორთა ბუნებათაგან სრულთა, ... **ნებაჲ ღმრთეებრი** და ნებაჲ კაცობრივი (**წ. ათ.,** 72,28; 73,5). ... Qeion te qelhma kai anqrwpinon qelhma (PG 96, col. 704, C 5-6).

**ნება-ჲ ღმრთეებრ-ი – იხ. ნება-ჲ სადმრთო-ჲ.**
**ნერგებ-ი სამოთხის – იხ. ხეებ-ი მადნარის.**

**ნივთ-ი//ნივთ-ი სტჳქისთან-ი** – Stoiceion to:
და რაჲდა იქმნა სხუაჲ თჳნიერ? ... შეძრვაჲ და შეცვალებაჲ **ნივთთაჲ** ... და ღირსებით გალობაჲ ანგელოზთაჲ, თანად წინამავალთა და უკუანამავალთაჲ, რამეთუ რომელთამე ძღუნისშემწირველობაჲ ყოვლად-წმიდისა მის სულისაჲ აღასრულეს თანაადყოლითა ზეცად აღსლვასა მისსა (**ეფრ.,** 153,21-25); და რაჲ-მე რაჲ იყო მას ჟამსა შინა, ... შეიძრნეს **ნივთნი იგი სტჳქისთანი** და იცვალნეს ჴმისა მისგან, რომელი ისმოდა, რამეთუ გალობდეს ანგელოზნი ძლიერად, წინა-უძღოდეს და რომელნიმე უკუანა-შეუდგეს და რომელნიმე გარე-მოადგეს სულსა მას წმიდასა უბიწოსა ქალწულისასა (**წ. ათ.,** 124,7-11). Kai ti ginetai Stoiceiwn ... kinhsi~ kai alloiwsi~ ... kai aggelwn umnoi epaxioi, protrecontwn, sumpropempontwn, parepomenwn twn men th amwmhtw kai panagia yuch th doruforian plhrountwn, kai pro~ ouranon anioush sunaniontwn (PG 96, col. 737, A 1-6).

**ნივთ-ი სტჳქისთან-ი – იხ. ნივთ-ი.**

**ნიჭ-ი – იხ. მადლ-ი.**

## ო

**ოცნება-ჲ სოფლის – იხ. ვნება-ჲ ქუეყნიერ-ი.**

## პ

**პატივისცემა – იხ. ზრახვა.**

**პატიჟ-ი –** epitimia h **= სასჯელი:**
... ადამ და ევა, პირველნი მამანი ნათესავთანი, ... ღაღადებდეს: "შენ, ნეტარო ასულო, დამჴსნელ იქმენ **პატიჟსა** გარდასლვისა ჩუენისასა ..." (**ეფრ.,** 150,18-20); ... ადამ და ევა, ნათესავთა მშობელნი, ... იტყოდეს: "ᲐᲐ ასულო, შენ ნეტარებასა ღირს ხარ, რამეთუ დაჴჴსენ **პატიჟი** ურჩებისა ღმრთისაჲ ..." (**წ. ათ.,** 121,3-5). ... Su makaria, Qugater, th~ parabasew~ hmin ta epitimia leluka~ ... (PG 96, col. 733, B 11-12).

**პირველად გამოსახულ-ი – იხ. პირმშო-ჲ სახე-ჲ დასაბამისა-ჲ.**

**პირმშო-ჲ სახე-ჲ დასაბამისა-ჲ//პირველად გამოსახულ-ი –** to arcetupo~ **= წმიდაჲ წმიდათა-ჲ (ძველი აღთქმის კარვის და ტაძრის ნაწილი):**
... წმიდაჲ იგი სული მისი ანგელოზთა მიერ შეიყვანა **პირმშოსა მას სახესა დასაბამისასა**, რომელ არს ჭეშმარიტი იგი ზეცისა წმიდაჲ-წმიდათაჲ, ... სადა-იგი წინამორბედად თჳთ თავადი ქრისტე ჴორციელად შევიდა (**ეფრ.,** 155,18-19; 21); ... სული იგი წმიდისაჲ მის ანგელოზთა თანაყოფითა წმიდასა მას წმიდათასა დაამკჳდრა, **პირველად გამოსახულსა მას,** ... სადა-იგი ქრისტე, განკაცებული, შევიდა (**წ. ათ.,** 126,9-10; 13). ... kai thn mhn yuchn di aggelwn ei~ ta Agia twn agiwn, ta arcetupa ta alhqina kai ourania eisoikizetai, ... opou prodromo~ auto~ Cristo~ swmatikw~ eiselhluqe (PG 96, col. 740, A 7-9; 11-12).

## ჟ

**ჟამ-ი –** crono~ o:
ხოლო ჩუენ, რომელთა მიერ იმსახურების ღმერთი ჭეშმარიტი, ღმერთი არათუ არა არსებისაგან მოსრული არსად, არამედ მარადის არსი მარადის არსებისაგან, ზესთა მიზეზისა და სიტყჳსა, მოგონებისა და ცნობისა **ჟამთა** და ბუნებისა, ჩუენ ჭეშმარიტად ღმრთისა დედასა პატივ-ვსცემთ და ვჰმსახურებთ ... (**ეფრ.,** 158,26-30); ხოლო ჩუენ, რომელნი-

ესე ვჰმონებთ ღმერთსა ჭეშმარიტსა, არათუ არა ყოფილსა და მერმე ქმნულსა, არამედ რომელი-იგი უწინარეს და უზეშთაეს არს ყოველთა საუკუნეთა და არსთა და უზეშთაეს არს ყოველთა მოგონებათა და სიტყუათა და **ჟამთა** და ბუნებათა, და წმიდასა ღმრთისმშობელსა თაყუანის-ვსცემთ და ვადიდებთ ... (**წ. ათ.,** 130,7-11). Hmei~ de oi~ Qeo~ esti to latreuomenon, Qeo~ ouk ek mh onto~ ei~ to einai paragenomeno~, all aei wn ek tou aei onto~ uper aitian, kai logon, kai ennoian kai cronou, kai fusew~, Mhtera Qeou timwmen kai sebomen (PG 96, col. 744, A 5-9).

## ს

**საგრაგნელ-ი – იხ. სახუეველ-ი.**
**საგრაგნელ-ი – იხ. სიდონ-ი.**
**საგრილ-ი ზეცისა-ჲ – იხ. სავანე-ჲ ზეცისა-ჲ.**
**საგრილ-ი საღმრთო-ჲ – იხ. სავანე-ჲ საღმრთო-ჲ.**

**სავანე-ჲ ზეცისა-ჲ//საგრილ-ი ზეცისა-ჲ** – h ourania skhnh
დღეს ქალწული უხრწნელი ... საუკუნეთა **სავანეთა ზეცისათა** დაემკჳდრების (**ეფრ.,** 143,16-19); დღეს ქალწული წმიდაჲ ... **საგრილთა ზეცისათა** დაემკჳდრა (**წ. ათ.,** 113,3-6). ...Shmeron h Parqeno~ h acranto~ ... tai~ ouraniai~ skhnai~ enoikizetai (PG 96, col. 725, B 3-4; 7).

**სავანე-ჲ ზეცისა-ჲ//ტალავარ-ი ზეცისა-ჲ** – o ourania shko~
